BIBLIONTEKA.COM

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია.

პ რ ო ლ ო გ ი

დასვენების დღეს, როცა ტფილისელები კომფორტაბელური ავტოებით მიემგზავრებიან ქალაქგარეთ, ჩვეულებისამებრ ჰიპოდრომზე მივდივარ ხოლმე. დოღის სეზონი მოთავებულია და ნასუქალ ულაყებს არას ავნებს საქართველოს სამხედრო გზაზე გაჯირითება. ჰიპოდრომზე კარგად იციან ჩემი გარდაუვალი ვნება ცხენოსნობისადმი.

«სეირა გნებავთ?» მეკითხება ნოშრევანი, ძველი მეჯინიბე.

«სეირა ჩინებული ცხენია, მაგრამ დაცდილი მაქვს, მანქანების ეშინია».

«ნავარდა?»

თავადვე დასძინა:

«ნავარდა ხიდზე გასვლას უფრთხის».

«დარდიმანდისათვის რას იტყვით?»

«ოჰო, დარდიმანდი ყველაზე მეტად დინჯი ულაყია, არც მანქანებს ეპუება, ხიდზედაც უწყინარად გადადის».

დარდიმანდზე შეჩერდა ჩემი არჩევანი.

სამხედრო გზა ულამაზესია მსოფლიოს დიდ გზათა შორის, ხოლო დარდიმანდი, ცხენთა შორის უსაჩინოესი.

ცხენოსნობა უდიდესი დასვენებაა ჩემთვის. როცა თავწვრილა, მკერდგანიერი, მუხლმაგარი და ყურდაცქვეტილი ცხენი შემომხედავს შრომისაგან წელში გადრეკილს, წინაპრების ჩემის უშრეტი ენერგია კვლავ იღვიძებს ჩემში, ასე მგონია ხელახლა ვშობილვარ-მეთქი და ჯერაც არ მეგემნოს სიარულის, ხტომის და ჭენების სიხარული ამ მშვენიერ მიწაზე.

ვეფერები დარდიმანდს თელის ფოთლებისებრ პაწია ყურებზე, ქლიავისფერ თვალებში შევცქერი და ჩემს სულში გადმოდის ის მოუღალავი ძალმოსილება, ცხოველისათვის ასე ჭარბად რომ მიუცია დედაბუნებას.

მოხდა ისე, რომ ეს დარბაისელი დარდიმანდიც გაფიცხდა. ცხენი გალთმისანია, მხედრის განწყობილებას შეიცნობს ხოლმე წინასწარ.

უწინაც ვმჯდარვარ დარდიმანდზე, იგი საქართველოს ჩემპიონია წმინდა სისხლიან ულაყთა შორის, მრავალი დიდი ქალაქი ჰიპოდრომზე უსახელებია მას ჩვენი ქვეყანა, ამიტომაც მოკრძალებულად ვექცევი.

მატარებლებით დავლილი აქვს საბჭოთა კავშირის დიდრონი ცენტრები. შეჩვეულია ლოკომოტივების ბღავილს, ავტოების ზუზუნსა და ტრაქტორების ბუბუნს.

როგორც ზოგიერთს, კაცთაგანს, ცხოველსაც ასე სჩვევია, როცა შენ ქედმოდრეკილად ექცევი, მას ჰგონია, ჩემი ეშინია, თორემ რად მომეპყრობოდაო პატივისცემით?

გახელდა დარდიმანდი და მეც ისეთ გუნებაზე ვარ, ყარაყორუმამდის ვივლი თუნდაც გაბმული ჭენებით, მაგრამ ვზოგავ დარდიმანდის იშვიათ ტალანტებს.

თავის მშვენიერს დიდრონ თვალებს უბრიალებს კრიალა ავტოებს, მუზმუზელა საბარგულებს და ყოველ წუთში მზადაა გამიტაცოს, გადანთქას სივრცე.

მე არ ვამტყუნებ დარდიმანდს, ასე ხალაღებით რომ აუჩქროლდა მოუღალავი ულაყის მდუღარე სისხლი.

ტფილისი თვალსა და ხელს შუა გაიზარდა, გადიდქალაქდა.

ლაპლაპებს უზარმაზარი კოცონი მთაწმინდაზე, ელავენ ელექტრონის ლამპიონები, ჩელიუსკინელთა ხიდისა და სტალინის შესანიშნავ სანაპიროს გასწვრივ ელექტრონის ბურთები ტივტივებენ მტკვარში, ჩაბღავიან გახელებულ ულაყს თვალებბრიალა ავტოები ყურში, დაიზმუვლებენ და გარბიან გუდრონით მოგებულ გზაზე.

ზუზუნებენ ქარხნის სირენები, გუზგუზებენ რაიონებისაკენ მიმქროლავი ტრაქტორები, მხიარულად წკრიალებენ ველოსიპედები და დინჯი დარდიმანდი იფხორება, ფრთხება, ჟამიდანჟამზე მოუსვენრად ფრუტუნებს და ღეჭავს ლაგამს.

ვეღარც საყბეური აკავებს, ვეღარც სამკერდე, დაითრევს გედის კისრისებრ გადრეკილ ქედს და წამართმევს თავს.

ისევ მოვსდრეკ, დავიოკებ, მაგრამ განზე გოგვას მოჰყვება ერთბაშად, დაიგრძელებს სადავეს უკითხავად და მოჰყვება ქევქევით სვლას.

ბოლოს მეც მომეღალა მკლავები, ნება-ნებას მივუშვი, ასე ვიფიქრე, გულს შეიჯერებს-მეთქი ჭენებით მცირე ხანს.

დიღმის ბორანთან მოსწყდა ადგილიდან და გამიჭენდა. მივყევი სულმოსწრაფებულ ულაყს და ასე მგონია, ათასი ცეცხლოვანი თვალი მოგვსდევდეს უკან ქშენითა და ბუბუნით.

უმატა ჭენებას ცხენმა, გრძნობდეს დარდიმანდი თითქოს, რომ მანქანების ქალაქში აღარაა უკვე ცხენის ადგილი, გარბოდეს იგი ტფილისიდან, სადაც მისი ნათესავი დღეს თუ ხვალ სასტიკად დამარცხდება და მიქროლავდეს ქედფიცხელი ულაყი, რათა დაღუპვას გადაარჩინოს თავისი ჯილაგი.

ქალაქის მიჯნები მოვათავე და ჩორთზე გადავიყვანე როგორც იქნა.

რაკი მოგვიანებით მომიხდა ტფილისიდან გასვლა, ამიტომაც განზრახული მქონდა ავჭალიდან შემობრუნება ქალაქში და ამადაც აღარ მენახა ჩემი საყვარელი სვეტიცხოველი.

თუმცა ამ ტაძრისათვის თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია; დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემოდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა.

ჩემთვის საკმარისია ოდნავ, ოდნავ მაინც მოვკრა თვალი ცაში ატყორცნილ სიმფონიას ლოდებისას, დეე, თუნდაც ჭენებით გამატაროს ქედფიცხელმა დარდიმანდმა მის გვერდით.

წამიერად თვალი შევავლო მწუხრში განდგომილს და გავეცალო კვლავ.

სწორედ ავჭალასთან დამიფრთხა ცხენი.

ტრაქტორისათვის ფურგონი გამოებათ უკან, გაუსწორდა თუ არა, მოულოდნელად შემოესმა მანქანის ბუბუნი, ისევ წამართვა თავი და გაჭენდა საშინელის სისწრაფით.

მე ისე მიამა მისი თავაწყვეტილი ქროლვა, მაინცდამაინც არ მივეძალე და მივუშვი სადავე.

ზაჰესის ელნათურები ციმციმებენ მტკვარში. ამ ათასთვალა პოლიფემის ნათელი მისდგომია ზედაზენის მთას, რომელიც დემონების საუფლოდ მიაჩნდათ ძველ იბერიელებს ოდესღაც.

ჯვარის მონასტრის გასწვრივ ძლივს ავლაგმე დარდიმანდი.

წვებოდა ღამე ზედაზენისა და სარკინეთის მთების უბეებში.

წვიმის შხეფები მხვდებოდა სახეზე.

მტკვარი შესდგომია პომპეუსის ხიდს.

გზა და ხიდი უცნაურ ფიქრს აღმიძრავს ხოლმე. ამ ხიდზე გაუვლიათ რომაელ კონსულსა და მის ჯარებს, განა მარტო რომაელთა ლეგიონებს, – სარკინოზების, სელჯუკიანების, ურუმთა და ირანელთა ურდოებს.

მტკვარზე ტივტივებს ეს ხიდი და იგი უკვე აღარაა დღევანდელისა და გუშინდელის მტკიცე კავშირი. წარსულის უტყვი მოწმეა, დღევანდელობისთვის სავსებით უხმარი. მუზეუმის ექსპონატად ვერ გამომდგარი და სადაცაა წალეკავს მას მტკვარი, როგორც ქიმერას, მომავლისათვის მოუხმარებელს.

სატახტო ქალაქში მისასვლელის და მეკლიტის როლი გმირების ხიდს წაურთმევია მისთვის, ისევე, როგორც ჩვენს საამაყო ტფილისს პირველობა მცხეთისათვის.

უკვე მცხეთაში ვარ, ღრუბლებით წაგრაგნილი ცარგვალი დამხობია სვეტიცხოვლის წვეტიან გუმბათს, კიდე-კიდე ქარვისფერი კალთები მოუჩანს ცას, მრუმე ზუჩიან მწვერვალებზე ელავს ხანდახან.

სვეტიცხოველის გალავანთან თავდება ჩვენი ეპოქის ჩქამი და სინათლე, მის წიაღში იწყება საუკუნო რიცხვით მეათე თავისი მრუმე ღამეებითა და იდუმალებით.

კარიბჭესთან დავქვეითდი, რამდენიმე ლანდი ჩალიჩობდა ტაძრის შესავალთან, ქუჩაში.

ექვთიმე თუ შინაა-მეთქი, ვეკითხები უქუდო ბიჭუნას.

ყმაწვილმა თავი გააქნია: აქ არავინ მეგულებაო ასეთი.

ვიღაც დედაკაცი მომეახლა თავსაფრიანი.

ე მანდ ეზოში ზისო ბერიკაცი, იმას ჰკითხეო.

ჭიშკარი შევაღე, დასადავებული ცხენი შევიყვანე გალავანში, მარცხენა კუთხეში, ზედა გალავანზე მოშენებული შრამელის წინ წელში მოდრეკილი ლანდი იჯდა ლოდზე.

ცხენიანად რა დამინახა ლანდმა, ზეწამოიჭრა, მომიახლოვდა.

რომელი ხარო? შემეკითხა განცვიფრებული.

ხმაზე შევიცანი ექვთიმე, მან კი ვერ მიცნო, ვიდრე გვარი არ ვუთხარი ჩემი.

გაიხარა მოხუცმა, მარჯვენა მკერდზე მაკოცა, ისე, როგორც ოდიშელებს სჩვევიათ ხოლმე. ცხენი ჩამომართვა და ხის კიბისაკენ გამიძღვა.

სიბერეს დაეპატარავებინა ისედაც ტანმორჩილი მოხუცი. ოცდაათი წლის წინათ გალობას მასწავლიდა იგი. ძველ სძილისპირებს აგროვებდა, ძველ ხელნაწერებს, ფოლკლორის ნიმუშებს, შელოცვებს, ზღაპრებს და ძველ მონეტებს.

ასეთი კაცები ჩვენი მუზეუმებისა და ძეგლების გარშემო დაფუსფუსებენ ხშირად, ისინი ძველი კულტურის ნასუფრალით იკვებებიან.

ექვთიმე ჩემს მეხსიერებაში დარჩენილი იყო როგორც ქერა, სავსებით ქერა კაცი, რომელსაც სიმინდის ხაშარივით ბრჭყვიალა, გრძელი ულვაში ჰქონდა.

ახლა სავსებით თეთრი თმა მოსავდა მას და გრძელი, გრძელი წვერი, ისეთი, როგორითაც პრიმიტიული მხატვრები ბიბლიურ ღმერთს ჰხატავდნენ ხოლმე სოფლის ეკლესიებში.

ექვთიმე ჩემის დაკვირვებით ერთი მათგანია, რომელნიც ყველგან საჭირონი არიან, მაგრამ ადგილზე მივლენ, მუდამ ზედმეტნი აღმოჩნდებიან ხოლმე. ისინი მუდამ ახალსა და ახალს მიზანს ეძიებენ ცხოვრებაში, მაგრამ ვერსად პოულობენ თავის თავს, რადგან მათზე ახდება ხოლმე ყოველთვის: «მრავალნი არიან რჩეულნი და მხოლოდ ერთმან მოიხვეჭოს ნიჭი».

ზოგიერთი ადამიანი თავისი უმნიშვნელობითა ხდება შესამჩნევი, ამიტომაც იგი მუდამ თვალში მხვდებოდა ხოლმე.

ხან გალობას ასწავლიდა ძველ-სენაკში, ხან ზუგდიდის მუზეუმის კუსტოსად იყო, ქუთაისის პირველ კინოში გამგედ, ხანაც სტატისტად ქუთაისის თეატრში, ნერონის ქანდაკების როლს ჩინებულად ასრულებდა სცენაზე, ათი წლის წინათ ეთნოგრაფიულ ხოროებს დაჰყვებოდა, ერთ დროს ტფილისში ბუკინისტობდა, მას მუდამ ჰქონდა სავსებით იშვიათი, ძველი წიგნები და სურათები. ერთ მშვენიერ დღეს მის პაწია დუქანში საპარიკმახერო აღმოვაჩინე და ამის შემდეგ იგი გაჰქრა ჩემი ჰორიზონტიდან.

მცხეთაში ჩასვლის კვირაძალში შემთხვევით გავიგე: სვეტიცხოვლის მეთვალყურედ ყოფილაო თურმე.

დიდხანს ვისხედით მე და ექვთიმე აივანზე.

გაიელვებდა, მოიჭრებოდა ცაზე სვეტიცხოვლის სილუეტი, კვლავ დაბნელდებოდა ირგვლივ, შეუდგებოდა ცას უცნაური ცახცახი, ახლა უფრო ძლიერი გახდებოდა ელვათა კრთომა, ჯვარის მონასტერი გამოჩნდებოდა, ზედაზენისა და სარკინეთის შავჯაგრიანი მთები.

იძალა ქარმა, აღმოსავლეთისაკენ გადალალა ღრუბლები, შემოდგომის ცა მოიწმინდა და ისეთი კაშკაშა მთვარე დაადგა სვეტიცხოველს, როგორიც მაისში მინახავს ხოლმე.

უსიტყვოდ შევსცქეროდი ბნელში მთვლემარე ტაძარს და მის გარშემო მოჯარულ კბილოვან ქონგურებს. ღამურები უკანასკნელ ფერხულს უვლიდნენ ეზოში და ისეთი უცნაური მყუდროება იდგა ირგვლივ, თითქოს დროსაც დავიწყნიაო სრბოლა.

თავზე დაადგა ტაძარს მუქლურჯი ცარგვალი, რომლის ქუბეს გალავნის ქონგურების ნაჩრდილები ისე ხატავდნენ, როგორც გიშრისა და იასპის აჟურებს.

რაც უნდა დიდი ქმნილების წინაშე იდგე, თვით უმნიშვნელო ადამიანიც მეტ ყურადღებას მოითხოვს შენგან.

მე გამოვკითხე ექვთიმეს თავისი ცხოვრების ამბავი. იჯდა ტაძრის ჩრდილისაგან წარმომდგარ ბნელში ჩია მოხუცი და მომითხრობდა.

ეს იყო ტრაგედია ისეთი ადამიანისა, რომელსაც მრავალი რამ აინტერესებდა და ყურადღების დაფანტულობის წყალობით ყველგან მოსცარვოდა ხელი. უკანასკნელად ათი წელი დაუყვია მცხეთაში ამ უცნაურ კაცს, რომელიც ყოველ წელს სამ სამსახურს იცვლიდა ხოლმე.

ამჟამად ნუმიზმატიკით ყოფილა თურმე გატაცებული.

ადგა, ოთახში შევიდა, ჭრაქი გამოიტანა და პაწია ქისა, მონეტებით სავსე. ეს ფულები საქართველოს მუზეუმს უნდა ვუანდერძოო სიკვდილის წინ.

ძველკოლხური სპილენძის მონეტები მაჩვენა, თამარის, რუსუდანის, ლაშა გიორგის, დავით ნარინისა და ერეკლე მეფის თეთრები. ეს ყველაფერი დმანისის, უფლისციხის და გელათის სანახებში ჰქონია ნაპოვნი.

ექვთიმეს მოძრავი ბუნების ამბავი რაკი ვიცოდი, გამოვკითხე: მცხეთიდან თუ აპირებ-მეთქი ადგილის გადანაცვლებას სადმე?

«ვისთან ან სად წავიდე, შვილო?

ორი წყება ცოლ-შვილი მიწას მივაბარე ამ ოცი წლის მანძილზე. უკვე მიხრწნილებაში გადამდგარი ვარ.

ერთადერთი, რაც ცოტა, სულ ცოტა მაკავშირებს ამ ცხოვრებასთან, ეს არის ამ ტაძრისადმი სიყვარული წარუხოცელი. აქ ვჩალიჩობ, შვილო, ამ საყვარელი ქმნილების ჩრდილის ქვეშ, ვუვლი ამ შესანიშნავ ტაძარს და იგი ჩემს თვალში ღვთის სახლი როდია, არამედ დიდი ხელოვნების იგავმიუწვდენელი ქმნილება, რომელიც, როგორც ხედავ, თვით ღმერთზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა.

ასე დავდივარ, დავბორიალობ, შვილო, ჩვენს წინაპართა საფლავებსა და აჩრდილებს შორის. წრეულს დაიწყეს ამ ტაძრის შეკეთება, იმ ხარაჩოებს ხომ ხედავ, გუმბათზე რამდენიმე სარკმელია კიდევ ჩასადგმელი, ველური მტრედები ჩადიან ტაძარში.

მეც დავდივარ, სკორეს გადავაცლი ხოლმე ვახტანგ გორგასალისა და ერეკლე მეორის საფლავებს.

განა ჩემისთანებს გაუწირავთ თავი ამ ტაძრისათვის? ცამეტი საუკუნის მანძილზე აწყდებოდნენ მის გალავანს მტრის ურდოები.

სარკინოზი აბულ-ყასიმი ეძგერა მას პირველად, შემუსრა და აქლემთა თავლად გახადა იგი, აღადგინეს, შემდგომ ამისა, სელჯუკმა ალფ-ასლანმა იავარჰყო იგი, კვლავ აღადგინეს და თემურ-ლენგმა დაანგრია ისევე, შაჰ-თამაზმა და შაჰ-აბაზმა მილეწეს მრავალგზის.

მერმე ის იყო მთელი საუკუნე აწვიმდა ტაძარს, ახალ დროშიაც კაცს არ მოჰგონებია მისი შეკეთება, მხოლოდ საბჭოურმა ხელისუფლებამ, ვენაცვალე მას, გადაახურვინა იგი წრეულს და გალავნის ქონგურები შეაკეთეს, ჩრდილოს ფასადზე ხარაჩოები ჯერაც არ მოუხსნიათ, გუმბათის სარკმელებშიაც ჩასდგნენ ამ დღეებში თითო მტკაველა მინას და ჩემი აქ ყოფნის მიზანიც აღსრულებული იქნება კიდევაც, შესაძლოა ჩემი ცხოვრებისაც»... (ეს სიტყვები მცირეოდენის გულის ტკივილით იყო ნათქვამი მის მიერ).

«ხვალ დილას აჰყევი იმ ხარაჩოებს და ისეთ რამეს გიჩვენებ, რაც შთაგონებით აღგავსებს უთუოდ.

მე ასე მესმის, შვილო, მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა მხოლოდ, მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერი.

ჩრდილოს კედელზე ერთი წარწერაა და ქანდაკი ორი კაცისა. შენი თვალისა და მარჯვენის საქმე იქნება ეს, თუ როგორ ამოიკითხავ ცხრა საუკუნის მანძილზე ქვაში ჩაკირულ საიდუმლოს დღემდის შეუცნობს».

*

იმ ღამეს აივანზე მოვისურვე წოლა. გათენებამდის მოუსვენრად ვბორგავდი, ცხენის მიერ გაღებული ჩქამი მესმოდა ძილში, დარდიმანდი ფრუტუნებდა, ფეხებს აბაკუნებდა და ტკბილად, ტკბილად ახრამუნებდა თივას, თანაც პირქვე დამხობილი ბნელში, გათენებას ვნატრობდი, აღთქმული საიდუმლოს მალე შესაცნობად.

ცისკარმა ყური ამოჰყო თუ არა, შოშიებმა ასტეხეს ჭყიპინი. მერმე ის იყო თავზე წამომადგა მზით გაბრწყინებული, ხვლიკისფერი სვეტიცხოველი; იგი ისეთი მშვენიერი იყო იმ დილას, როგორც არასოდეს მინახავს მანამდის.

ავყევი ხარაჩოებს ჩრდილოს ფასადზე.

ადამიანის მარჯვენა გამოუხატავს კედელზე ოსტატს. გონიო უპყრია მას.

იქვე წარწერაა ასეთი:

«ხელი მონისა არსაკიძისაჲ, რათა შეუნდოთ».

შორიახლოს უცნაური ქანდაკია ორი კაცისა.

ერთი, უწვერული ჭაბუკია, ქართულ ჩოხაში მორთული, ხოლო მეორეს, სახედაღრეჯილ მოხუცს, პირი დაუბჩენია ვაგლახად. სპარსული სამოსი აცვია და გულბოროტების იერი გადაჰკრავს სახეზე.

როცა ხარაჩოებიდან ძირს ჩამოვედი, ჭრუტა თვალებით მიღიმოდა მოხუცი.

«ეს უწვერული კონსტანტინე არსაკიძეა, ხოლო ჩაქუჩიანი მოხუცი, მისი ოსტატი ფარსმან სპარსი.

კიდევ გაჩვენებ ერთი კაცის სახეს, ამ ჩვენ დრომდის მკრთალად მოღწეულს».

დიდხანს აფათურა ხელები უბეში, ბოლოს ძველთაძველი მონეტა ამოიღო ქართული.

ცხენოსანს შავარდენი უზის მარცხენაზე და ასომთავრულით წარწერილია ზედ:

«მეფეთ მეფე გიორგი – მესსიის მახვილი».

ეს იყო და ეს.

წელიწადზე მეტია, რაც ეს ამბავი ჩემს სულში სდუღს, ბოლოს იგი დაიწრიტა, ჩემს წარმოდგენაში შედედდა, სიტყვამ ხელ-ფეხი შეისხა და გადმოინთხა ქაღალდზე, როგორც ნათელი მითი, საუკუნოთა არმურიდან გადმონაჟონი.

I

სწორედ იმ წელს, როცა გიორგის ბრძანებისამებრ სამი ეკლესია მოათავა ფარსმან სპარსმა სამცხეში, საქართველოს ჭილყვავი შემოესია.

მეხის ღრუბელივით დააბნელა მან აღმოსავლეთი, შირვანიდან წამოსული ქვემო ქართლს მოედო, მტკვარს აღმა აჰყვა და ბასიანამდე გააოხრა ნათესი.

ახმობინა მეფემ ფარსმანი და უბრძანა მოესრა სირი.

ტფილისი იმჟამად სარკინოზებს ეპყრათ, ფარსმანი ამირას კარზე იყო ნამყოფი, გიორგის მამას, ბაგრატ კურაპალატს ტყვედ ჰყავდა იგი, ჯერ კიდევ სიყრმეში ჩამოყვანილი.

ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი, იდუმალთა მიმთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ ალქიმიაში ფრიად განსწავლული, უებარი ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქიმი, უცნაური მეწამლე და მჩხიბავი.

ფრიად ბნელ ამბებს უკავშირებდნენ მის სახელს ცრუმორწმუნენი, იმასაც ამბობდნენ, გველი ჰყავსო ფარსმანს ლაგამამოდებული და ზედმჯდომი დაჰქრისო იგი არაგვის ჭალებში. სამი კვირის მანძილზე ამზადებდნენ წამლებს ფარსმანი და მისი შეგირდები, ბოლოს ჯადოსნური რამ სითხე შეკაზმეს, მამასახლისებს დაურიგეს, ლეშები დააწამლინეს და ხეებზე გაატანინეს.

გაუმაძღარი სირი მიეტანა მძორს და მოისრა სრულიად.

შემდგომ ამისა, წლის მიწურულამდის მშვიდობა სუფევდა საერისთავოებში, ბერძენთა კეისართან მტკიცე ზავი შეიკრა, ბაგრატ კურაპალატის მიერ მრავალგზის გვემული განძელი ფადლონი ხარკს აძლევდა მეფეს; ამ მაგალითით დაშინებული

ტფილისელი ამირაც გატვრინული იყო, სარკინოზები ჯერ კიდევ ბოგინობდნენ შურის ციხეში.

გულმოცემული გიორგი დადიოდა აფხაზეთსა, სამცხესა და ქართლში, აგებდა ციხე-ქალაქებს, აგარებს და ეკლესიებს, ხანმოკლე ზავის დროს ხანგრძლივი ომებისთვის ემზადებოდა.

ახალ წელს მცხეთაში იყო ტაძრეულითურთ გიორგი, კათალიკოსმა მელქისედეკმა უთენია უკვლია, საწოლის დარბაზს მოადგა ოქროითა, ვერცხლითა და ბროწეულებით გავსილი ხონჩით, კლარჯეთიდან ჩამოტანილი ძელიცხოვლის ჯვარი მიართვა, პატიოსანის თვლებით მოოჭვილ ლუსკუმაში ჩადებული, და ძვირფასი ხატი ამინაშატისა.

დილიდანვე ეწვიენ მეფეს ერისთავნი, ზვიად სპასალარი და მსახურთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და მსაჯულთუხუცესი, ეზოსმოძღვარი და ჩუხჩარხი, მოლარეთუხუცესი და მეღვინეთუხუცესი. მენადირეთუხუცესმა სამი ქორი მიართვა ფოლადისფერი, შვიდი შავარდენი ლაზიკიდან ჩამოყვანილი, ერთი თავიც ველური ეშვისა სავსებით მოოქროვილი.

მერემეთუხუცესმა და სამმა ერისთავმა შვიდ-შვიდი ცხენი თვითეულთა.

ერისთავებმა ისრებიც მოართვეს მეფეს, მსხვილნი ბოძალნი დიდნადირთათვის, ქეიბურნი მხეცთათვის, ხარჩა და ქიბურჯი ფრინველთათვის, დიდ-დიდნი კაპარჭნი საომარნი.

მოიდო მთელი კონა ისრებისა ბანჯგვლიანმა მამამზე ერისთავმა, რომელსაც ლომკაცად უხმობდნენ თავისი დიდი ანაგობისა და ვაჟკაცობის გამო, ჭრელი და მჭრელი თვალები ისარივით მიაჭდო ტახტზე მჯდომარეს და წარმოსთქვა:

«მრავალჟამიერ ჰყოს დამბადებელმან ყოველთამან მეფობა შენი და ისარნი ესე გულსა შინა განერთხოს მეფობისა შენისა ორგულსა. წყეულიმც იყოს ყოველი გულბოროტი და ქვეგამხედვარი ტახტისა შენისაი». გიორგი მდუმარე იყო ბუნებითგანვე, კაცი არამეტყველი, მაგრამ ფრიად დაკვირვებული. მან ხმალივით შეაგება მზერა ისრიმისფერ თვალებს, დაფანჩვულ, თეთრ წარბებქვეშ თრითინებსავით აწრიალებულთ, შემდგომ ამისა, სპასალარისაკენ გადაიტანა მზერა.

თავმოდრეკილი იდგა ზვიად სპასალარი, წარბშეუხრელად ისმენდა მამამზის სიტყვებს და აგურის იატაკს დასჩერებოდა რაღაც უცნაურ ფიქრში წასული. უზარმაზარი ხმლის ვადას მოსჭიდებოდა მისი ფაჩვუნიერი მარჯვენა. (ყველანი უხმლოდ იდგნენ გარშემო, მხოლოდ მას ერტყა დარბაზობის დროს ფოლადის ჯავარდენი).

პურობა მოთავდა და ნადიმი დაიწყო თუ არა, მონადირეთუხუცესმა, ბაზიერებმა და მარეკებმა ერისთავების მიერ მორთმეული ცხენები წაასხეს მეფის ნაკრძალში, ხმლით დააყრევინეს თავები და ნაკრძალი გამოჭკეტეს ირგვლივ.

ღამემ შემოუსწრო ნადიმს, მემაშხალეთა მაშხალები აანთეს, მეჭურჭლეთ სამაშხალე ქონი და ალყა შემოზიდეს დარბაზში.

მეფეს მოლხენა ეწადა იმ საღამოს, მაგრამ სპასალარის მოწყენით მდუმარებამ გუნება გაუფუჭა ანაზდად.

ნაშუაღამევს გაიყარნენ დარბაზისერნი, ორი მემაშხალე ანთებულის მაშხალებითა კათალიკოსს წარუძღვა წინ, თითო-თითო სამთავე ერისთავთა.

მეფემ ღამენებისა უსურვა სტუმრებს, ზვიადს წამუყო, მემაშხალენი დაითხოვა და წინ დაისვა სპასალარი.

სრული მყუდროება სუფევდა დარბაზში, თაფლის სანთლები ბჟუტავდნენ ნიშებში, ნასამურევზე ლოყები შეფაკლოდა ჭაბუკ მეფეს, მაგრამ უგუნებობა ვერ დაეთრგუნა ღვინოს.

მცირე ხანს იდგნენ ორივენი ასე მდუმარედ. ჭოტის ხმა მოდიოდა კათალიკოსის ბაღიდან, გუშაგები ჰყივოდნენ უვარსკვლავო ღამეში.

თავი აიღო გიორგიმ, ჯიქურად შეხედა სპასალარის შავადშეყრილ წარბებს და უგუნებობის მიზეზი ჰკითხა.

არ მინდოდა ახალ წელს უხიაგ ამბავთა მოხსენება მეფისათვის, თავი იმართლა ზვიადმა, აწ შუაღამე გადასულიაო და ამიტომაც უამბო შემდეგი: სწორედ წინა დღით მსტოვარებს უცნობებიათ აქ მოთხრობილი მისთვის:

კვეტარის ერისთავს თალაგვა კოლონკელიძეს ძალით უთაყვანებია ფხოველნი და დიდონი, მათ აჰყოლიან ძურძუკნი და ღალღაი და ის თემები, რომელნიც ტილიჭამიათა მეზობლად ბინადრობდნენ მაშინ.

არაგვის ხეობაში შემოჭრილან საერთო ჯარით; ციხეებს შემოწყობიან, უბრძოლველად გაუტეხიათ ციხისთავები, რადგანაც ყველგან შინაკაცები ჰყოლიათ წარმართთაგანნი თურმე.

მამამზე ერისთავის ერთადერთი ვაჟი ჭიაბერი გუდამაყარში შებრძოლებია კოლონკელიძეს, მაგრამ უვნებლად უკუქცეულა და ქორსატეველას ციხეში ჩაკეტილა მცირედის ჯარით.

არც ის დაუმალავს ზვიად სპასალარს, ამ შეტაკებისას მხოლოდ ცამეტნი ფხოველნი დაუკოდნიათ ისრით და შვიდნი არაგველნი საკმაოდ მსუბუქად.

შემდგომ ამისა, შესევია თურმე კოლონკელიძე თავის ლაშქრით არაგვის ხეობას, ეკლესიები გადაუბუგავს, ხატები შეუმუსრავს, ხუცები და ბერები სამრეკლოზე დაუკიდნია თოკით, ბორცვებზე ბომონები აღუმართავთ კვლავ, არაგველებიც შეერთებიან ფხოველთა და მათთა მიმყოლთა, ღამეები უთევიათ კერპებისათვის, ძენი და ასულნი შეუწირავთ უძველესს წესისამებრ.

სამი დღე და ღამე როკავდნენ თურმე ბომონების წინაშე და გამარჯვებას ზეიმობდნენ ლუდით გალეშილი ბრბოები.

ეს მომხდარა სწორედ იმ დღეს, როცა მამამზე ერისთავი მეფესთან სადარბაზოდ გამოემართა.

თავი ჩაჰქინდრა გიორგიმ პირველმა, ამ ამბის შემცნობმა. თვალწინ დაუდგა მამამზე ერისთავის ისრიმისფერი თვალების ყალბი ციმციმი. როგორი ნირშეცვლილი ეჩვენა მას მამამზე ერისთავი იმ წუთში? ნუთუ მამამზე იყო იგი, თუ სატანა ჩასვლოდა მას გვამში?

მერმე ვინ?

ბაგრატ კურაპალატის განუყრელი მეგობარი, ფადლონ ამირასთან ომებში, შირიმნის ბრძოლაში გიორგისთან ერთად მრავალი ჭირის გადამხდელი.

განა მამამზე არ უდგა გიორგის მხარში, როცა «განდგა ქვეყანა, ჰერეთ-კახეთისა და დადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნენ ერისთავნი».

ბოლოს ესეც მოაგონდა გიორგის, ნიალის ველზე ბერძენებთან შეტაკების პირველი ღამე ჭაბუკმა მეფემ ხმლით გაჰკვეთა ბერძენთა მთავარსარდალი, შემოაბრუნა ცხენი თუ არა, ბერძენმა მხედარმა თორიანი ცხენი გამოუკლა მეფეს და მარჯვენა წვივი გაუგმირა შუბით.

ისკუპა მამამზემ ცხენიდან, ბალღივით აიყვანა ხელში ჭაბუკი გიორგი, საკუთარ ცხენზე შესვა, ხმალს ხელი გაივლო და ისე დაიფრინა მტერი, შავარდენი დარევიაო ღალღათა გუნდს.

ახალ წელს იმავე მამამზემ ისრების კონა აიღო ხელში და ლიქნიდა ურცხვად მეფის წინაშე, ერთგულებას ეფიცებოდა.

კარგი ხანია იცოდა გიორგიმ, რომ არც მამამზე და არც მისი ვაჟი ჭიაბერი გულით ქრისტიანები არ იყვნენ.

საქართველოს მეფისათვის თვალისასახვევად ხატებითა და ჯვრებით ჰქონდათ მორთული ქორსატეველას ციხე-დარბაზი და კარის ეკლესია. მიუვალს მთებში წარმართული ბომონები ჰქონდათ მუხოვანებში აღმართული და იქ ლოცულობდნენ თავათ.

მსტოვრებს ეს ამბავიც ეუწყებინა სპასალარისათვის: კვეტარის ერისთავს კოლონკელიძეს, მამამზესა და ჭიაბერს პირი შეეკრათ გიორგის წინააღმდეგ.

ეს არ იყო ოღონდ დადგენილი, ვინ იდგა მათ უკან? ტფილისელი სარკინოზების თივას, თუ ბიზანტიის კეისარი, ბასილი, რომელსაც ბასიანს გადაღმელი ქვეყნები წაართვა გიორგიმ ოდესღაც.

შესაძლოა ამირა ან ბასილი?

ან ორივენი ერთად?

გიორგის ისიც მოხსენდა, რომ თალაგვა კოლონკელიძის მხოლოდშობილი ქალი, პიმრმშვენიერი შორენა, აკვანშივე დანიშნული ჰყოლია ჭიაბერს.

ეკლესიების შემოუსვრა მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვას მოასწავებდა. გაზაფხულზე მამამზე და თალაგვა დამზახლდებოდნენ და საერთო ძლით შემოეწყობოდნენ უფლისციხეს.

გიორგი შორს ჭვრეტდა ფრიად. მან კარგად უწყოდა, რომ ქრისტეს სჯული საფარველი იყო ამ შემთხვევაში.

თავათ გიორგისაც შერყეული ჰქონდა რწმენა.

არაბი ბაზიერნი უწვრთნიდნენ მას მიმინოებს, ხოლო ფარსმან სპარსთან ღამეული საუბრების დროს იგი დიდის გულისყურით ისმენდა მისგან პლატონის სწავლას სულთა გადავლენისათვის.

ვარსკვლავებს უთვალთვალებდა ასტროლოგი მეფე ღამღამობით, ვინ იცის, ეგებ, მზეგადასულთა სულნი იყვნენო იგინი?

მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ქომაგად ითვლებოდა გიორგი და მის ზარაფხანაში მოჭრილ თეთრზე ასე ეწერა: მეფეთ მეფე გიორგი – მესსიის მახვილი.

კეისართან ზავის დარღვევას გაურბოდა გიორგი, თავის მხრით ბიზანტიისათვის თვალის ასახვევად დაუცხრომლად აგებდა ქრისტიანულ ტაძრებს და მახვილით ავრცელებდა მთელს კავკასიონში ქრიტეს სჯულს.

ახლა მიხვდნენ გიორგი და ზვიადი მამამზე ერისთავის დარბაზობის ნამდვილ მიზეზს.

დასაზვერავად გამოეგზავნა ვაჟს ეს საპატიო სტუმარი. გიორგის შეეძლო ახალწლის მეორე დღესვე თვალები დაეთხარა მამამზისათვის, ჭიაბერისა და კოლონკელიძის წინააღმდეგ ჯარი გაეგზავნა, ვიდრე პირველი თოვლით შეიფიფქებოდნენ მთები, მაგრამ ჭიაბერი ახლადმობრუნებული იყო ბიზანტიონიდან, სადაც იგი თურქებთან ბრძოლაში შველისათვის ოქროს მუზარადითა და «არხეგოსის» სახელწოდებით დააჯილდოვა კეისარმა.

ჭიაბერმა ბიზანტიონიდან დაბრუნებისთანავე ღალატით მოაკვლევინა ოვსთა მეფე და ძალით ითაყვანნა ოვსნი; შეუდარებელ მეომარსა და მოჯირითეს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მთელს კავკასიონში.

ზვიად სპასალარი გულდინჯი მრჩეველი იყო, არც თუ გიორგის სჩვეოდა დიდ საქმეთა ხელაღებით გადაწყვეტა. ამიტომაც დასთქვეს: მხოლოდ მეორე დღეს გამოლპარაკებოდნენ მამამზეს.

თანაც დაადგინეს, გადაცმული ბერები გაეგზავნათ ფხოვში და გამოერკვიათ სარკინოზების ამირა ურევდა ამ საქმეში ხელს, თუ ცბიერი კეისარი ბასილი?

II

იმ ღამეს მოვიდა საშინელი თქეში, ნაშუაღამევიდან წვიმდა დაუცხრომლად. შემოდგომის პირველი სუსხი ჩამოდგა. შირიმნის ბრძოლაში მიღებული იარა განუახლდა გიორგის. ფეხი ასტკივდა, მაგრამ წინაპართა წესის დარღვევა არ ისურვა და წინაღამის უძილარმა უთენია ითხოვა ცხენი.

ზარდახანის მოლარემ აღვირი მოართვა, ლაგამი ამოსდო ოქროსფერ ულაყს, მერმე ზარდახანის მეჯინიბე მიეჭრა, საყბეური შეუსხა, ზარდახანის მოლარემვე შეუდგა უნაგირი.

შეჯდა მეფე და ზარდახნისუხუცესმა მათრახი მიართვა.

დაწინაურდნენ აჩუხჩი და ზარდახნისუხუცესი.

გიორგიმ ცხენს მათრახი სწყვიტა, უკან გამოუდგნენ სამივე ერისთავნი, მერემეთუხუცესი, მენადირეთუხუცესი და ბაზიერნი.

ატყდა ბუკის ცემა მეფის ნაკრძალში. სპილენძის დაფდაფებს სცემდნენ მეითარები და მარეკები. უცნაურის ღრიანცელით მოსდებოდნენ ტყეს.

ნადირმა შორს გაიტყუა მადევრები, შორიდან, ძლიერ შორიდან ისმოდა მათი გამალებული ყეფა და გნიასი.

გიორგის და მის ამალას ადგილის გამოცვლა ეწადათ, მაგრამ ხევს გაღმა კბოდეები და ქარაფები იყო, ხევში უსიერი ჭოჭი და სადები, გაუვალი კატაბარდები გზას უღობავდნენ მხედრებს.

ფეხით სვლა იყო საჭირო, ცხენზე ჯდომამ უარესად აატკივა მეფეს წვივის იარა, ამიტომაც ვეღარ ბედავდა დაქვეითებას იგი. მამამზემ თათბირი მიაწოდა ასეთი:

მხარმარჯვნით ხევია ერთი, იმ მთის ცხვირის გადაღმა მდებარე, მადევრები უცილოდ ამ ხევში შემოაბრუნებენ ოტებულ ნადირს. დასავლეთისაკენ ქარაფები ახლავს იმ ხევს, როცა მადევრები მოსდევენ მხეცს, იგი იოლი გზით გარბისო მუდამ, არ ეტანებაო არასდროს ქარაფს. იმ ხევის ყელთან დავუხვდეთ და არ აგვცდებაო არც ერთი.

გაიზიარეს მამამზის რჩევა. სადებს შორიდან მოუარეს, ნეკერჩხლის ტყე გადალახეს ცხენდაცხენ.

მოუახლოვდნენ ხევის ყელს და ისევ ატყდა მადევრების ყეფა, მარეკებმა უმატეს ღრიანცელს. ჯერ მუხნარიც არ გაეარნათ მხედრებს, აშრიალდა ერთბაშად ტევრი, ცხენისებური თქარუნი მოისმა ანაზდად, მიწისპირზე გადაირბინა მგელმა.

ახლა მეორე მოძუნძულებდა ხევდახევ, კვლავ ისმოდა ცხენისებური თქარუნი. კატაბარდებში გაიელვა ცეცხლოვანმა თვალმა, მშვილდი მოზიდა გიორგიმ და პირველი ქეიბური ესროლა გულდაგულ. ძაღლივით დაიყეფა რაღაცამ, დაიგმინა და მოისმა ბრაგვანი სულ ახლოს, კუნელის ჩირგვების გადაღმა.

დაქვეითდა მამამზე ერისთავი, ბირკებიან ჯაგებში გადაიჭრა, დიდხანს დაბობღავდა კატაბარდში და მერმე გიორგიმ თვალი ჰკიდა – ღიჭიანიდან გამოვიდა

მამამზე, მხარზე უზარმაზარი მგელი შეეგდო. ტყისკაცსა ჰგავდა ბირკით მოცულ ტყავკაბაში გამოწყობილი.

თავისი მშვენიერი თეთრი კბილები შემოანათა გიორგის და მოაძახა:

«ეს ერთი და სხვა ათასი, მეფეთ მეფეო».

ესა სთქვა და გიორგის ცხენის ფერხთით დააგდო ნანადირევი. ისევ ასტეხეს მარეკებმა დაფდაფების ცემა, მენადირეთუხუცესის დიდი ბუკი ისმოდა სულ ახლოს.

ნეკერჩხლის შტოებს ლეწავდა ირემი, მოანგრევდა ტყეს და მოჰქროდა გამალებული, სჩანდა მადევრები მოსდევდნენ ფეხდაფეხ.

მხედრებმა შენიშნეს ადამიანის ორანი რომ იგრძნო ნადირმა, – მხარმარჯვნისაკენ გადაუხვია, სწორედ იმ სადებისკენ, რომელსაც შორიდან მოუარეს მეფემ და მისმა ამალამ ხევის ყელამდის მოსვლისას.

დიდებულებმა არ ინდომეს თავათ გამოდგომა, რადგან ცხენდაცხენ ვერ მიყვებოდნენ; გიორგიმ ცხენიდან ჩამოხტომა დააპირა, მაგრამ მამამზემ აღვირში უტაცა ხელი.

უარესად გაგიმიზეზდებაო ნაიარევი ფეხი, ნუ იქმო, აფიცებდა ბაგრატ კურაპალატის სულს.

მეფე დინჯად იჯდა მშვლის ბეწვის უნაგირზე და შესცქეროდა მამამზის ისრიმისფერ თვალებს. მის მუდარაში იმდენი სიწრფელე და მამაშვილური რუდუნება ისმოდა, გაოცდა გიორგი.

ძველი მამამზე მოაგონდა, შირიმნის, ფანასკერტის და ნიალის ომებში თანამებრძოლი, ბაგრატ კურაპალატის უერთგულესი ყმა და მისივე სიყრმის მეგობარი.

ახლა კი ეჭვი შეეპარა გიორგის, ეგებ სტყუოდნენ მსტოვარები, მამამზე უბრალო იყოსო კოლონკელიძისა და ჭიაბერის მიერ ატეხილ ამბოხში.

ცხენიდან არ ჩამოვიდა და გადასწყვიტა იმ წუთშივე დაემარტოხელებინა მამამზე, ძმურად, მამაშვილურად გასაუბრებოდა, გამოეკითხა ჭიაბერის განდგომის მიზეზი.

შემდგომ ამისა, სახის გამომეტყველებით, ან ხმის ნირით გამოარკვევდა მეფე, თუ რა წილი ედო თავათ მამამზეს ამ საქმეში?

ბოლოს ხომ შესაძლოა, მამამზე იმადაც წამოსულიყო საახალწლოდ მეფესთან, რათა თავათ ემხილა საკუთარი ვაჟი.

ამიტომაც დაითხოვა დანარჩენი ერისთავები. მენადირეთუხუცესს უბრძანა სადებისაკენ გამოსდგომოდნენ ირემს, ნეკერჩხლის ტყეში ეძიათ ნაკვალევი მისი.

მე და მამამზე ხევის ყელთან დავრჩებითო მარტო.

ხევის ყელისაკენ მიაბრუნეს ცხენები ორთა. მეფეს ნაბიჯით მოჰყავდა ულაყი, თანაც გულმოდგინედ ეძებდა პირველ სიტყვას საუბრის დასაწყებად.

მის გულში რიალებდნენ სიტყვები ხან გოლეულივით ტკბილი, ხან ასპიტის გესლივით მწარე, მაგრამ იდუმალად გადაიხედავდა მის გვერდით ცხენდაცხენ მომავალ მოხუცისაკენ, ისევ ნიალის ველი მოაგონდებოდა, ბასიანის სანახებში გამართული ბრძოლები, ფანასკერტის ციხეში ჩაკეტვის ამბები და კვლავ დაებმებოდა ენა.

ბოლოს მამამზე მისი სტუმარი იყო. ბაგრატ კურაპალატმა მის ხელში დალია სული. განა მამამზემ და ზვიად ერისთავმა არ წაიღეს ბაგრატის გვამი ბედიაში დასამარხავად?

ნუთუ იგივე ხელები ლესავენ გიორგის წინააღმდეგ მახვილს, იგივე ხელები, რომელთაც გააპატიოსნეს ბაგრატის ცხედარი ფანასკერტის ციხეში?

ეს ყოველივე სდუღდა გიორგის გულში და სიტყვა ვერ ეპოვნა მას, სიმძიმილის გამოსათქმელი.

სწორედ ამ დროს კვლავ მოისმა დიდი ბუკის ხმა და მარეკების მოახლოებულმა ღრიანცელმა დააფრთხო გიორგის ცხენი. ფიქრში წასულმა მხედარმა სადავის დამოკლება მოასწრო და უზარმაზარი ქარაფის კიდესთან ყალხზე შეაყენა ულაყი.

ხევის ყელთან შესდგნენ ორივენი.

ყური სცქვიტეს მონადირეთა.

რომელიღაც ნადირი მობობღავდა ნისლისაგან დაბურულ ტყეში. მის თათების ქვეშ ლიწინლიწინი გაჰქონდა გამხმარ შტოებს.

დეზი ჰკრა ულაყს გიორგიმ, ხევის სიღრმეში შეაგდო იგი, მშვილდი მოზიდა და არწივის ფრთაზე გამართული ქეიბური მკერდში ჰკრა ჩალისფერ დათვს.

დაიღრიალა გამძვინვარებულმა მხეცმა, ცხენოსანთან შებმას განერიდა, ქარაფისაკენ გაიქცა, ერთი შესდგა უფსკრულის პირად, კვლავ დაიღრიალა და გადაეშვა დაჭრილი ნადირი.

მეფეს სიჭაბუკემ სძლია, უკან გამოუდგა ცხენდაცხენ, ქარაფის კიდეზე მისული გადმოხტა, კვლავ მოზიდა მშვილდი, მაგრამ დააცდინა ღიჭიანში გაუჩინარებულ დათვს.

გულნატკენი მეფე ზედ დასცქეროდა უფსკრულს, მაგრამ მიხვდა, ნაიარევი ფეხის პატრონი ვერ მიჰყვებოდა ოტებულს.

მაშინ ისკუპა ცხენიდან მამამზე ერისთავმა, სწორედ ისევე მარჯვედ, როგორც შირიმნის ბრძოლაში, ტყავკაბის უკანა ბალთები ამოიკეცა, ზედ დაჯდა და ჭაბუკური ხალისით გადაეშვა უფსკრულისაკენ.

იდგა გიორგი ქარაფის კიდესთან და შესცქეროდა შემრეცილ ბილიკზე სრიალით მიმავალ მამამზეს ზურგს, მერმე შამბში დაინთქა მისი ტყავკაბა და სრული მდუმარება დავარდა ტყეში.

ბუკი აიღო გიორგიმ, იხმო მარეკები და მეითარები.

ქარაფებს შემოუარეს შორიდან ბაზიერებმა, მარეკებმა და მეითარებმა, მადევრებმა შამბნარში იპოვნეს დათვის ნაკვალევი და ნასისხლარი, მაგრამ დეკაში გადასული დაეკარგათ ისევ.

ამაოდ ჩხრიკეს ღრანტეები, ხევები, შამბნარები და ღიჭიანი, მაგრამ მიწამ პირი უყოო ორთავეს, ვერც დათვი იპოვნეს სადმე და ვეღარც მამამზე.

დაიმარტოხელა სპასალარი გიორგიმ, უჩურჩულა: გაგვეპარაო მთავარი ნადირი.

ვერ შეგბედეთო, თორემ არ მინდოდა მამამზის გამოშვება ციხიდან. მისი ზრახვანი წუხელვე ნათელი იყო ჩემთვის. მას ეს უნდოდა, დავეზვერეთ, ჩვენი საომარი მზაობა შეემოწმებინა, კარგად იცოდა, მეფის კარზე ხელს არავინ ახლებდა სტუმარს. ახალწლის მეორე დღეს სანადიროდ გაიწვევდნენ სადარბაზოდ მოსულ დიდებულს, ხოლო ნადირობის დროს გაპარვა არც ისე საძნელო იქნებოდაო.

გიორგის ენიშნა ზვიადის ნათქვამი, მაგრამ დადუმდა, თავის სიჭაბუკესა და გამოუცდელობას ქენჯნიდა მწარედ.

მზე მიიდრიკა, გიორგის უკვე სამი ირემი, შვიდი მგელი, ხუთი ტურა და სამი შველი მოეკლა, მაგრამ მაინც არ იღიმოდა გამარჯვებული მონადირე.

ბოლოს სხვა ღონე არ იყო, უნდა აეშვათ ყურშაი, საყვარელი მადევარი მეფისა.

ყურშაი მაკედ იყო, მაინც შინ არ დადგა, როგორც კი სხვა ძაღლების ყეფა შემოესმა. წამოსვლისას ისეთი საცოდავი ყმუილი მორთო, გიორგის შეებრალა და ბრძანა: სასეიროდ მაინც წამოიყვანეთო ყურშაი, თოკით ატარეთო ტყეში.

ბოლოს მენადირეთუხუცესმა თავათ მოიყვანა ყურშაი დათვის გაწყვეტილ ნაკვალევთან, ნამეხარ იფნის ძირას. ამ ადგილიდან სისხლის წვეთებიც არ აჩნდა მიწას.

ყურშაიმ მხარმარცხნით გაუხვია, ბევრი ისუნსულა, ორ-სამჯერ წრე დაუარა და მერმე აიღო გეში. სამი ბაზიერი და შვიდი მოისარი გააყოლა ბაზიერთუხუცესმა ყურშაის.

ნაკრძალი გადიარეს, შემოღობილი გაენგრია ნადირს, ველი გადალახეს შამბიანი, მუხოვანი დაიწყო უსიერი და სწორედ ამ ტყეში, ერთ მუხის ქვეშ ყურშაი თავზე დაადგა მოკლულ დათვს. ნადირის გვერდით, გვიმრიანში პირქვე დამხობილი ეგდო დატორილი მამამზე.

მარჯვენაში სატევარი შერჩენოდა მოხუცს, სისხლს დაეცვარა მისი თეთრი, მატყლივით თეთრი წვერი.

გვიმრა დათქერილი იყო ირგვლივ, სისხლს დაეცვარა დაჯეგილი ბალახიც.

გიორგი ფრიად დააღონა ამ ამბავმა. ზვიად სპასალარს გამოუტყდა იდუმალ: ის მერჩია გაპარულიყოო მამამზე ერისთავი, რადგან ჭიაბერს ვერავინ დააჯერებსო ნადირობის დროს რომ შეემთხვა ეს ყოველივე მამამისს.

დიდხანს უსრისეს საფეთქლები მამამზეს, მერმე ის იყო, თორმეტმა მონადირემ ძლივს მიათრია სასახლემდის გონსმოსულის უზარმაზარი სხეული.

გიორგიმ ბრძანა და იხმეს ფარსმანი, არც ამას დასჯერდა მეფე, თურმანიძე ჩამოაყვანინა ფანასკერტის ციხიდან.

თვალის გახელის უმალვე ეს იკითხა მამამზემ:

სად ვარო?

როცა ეს გაიგო სასახლეშიო, მყისვე ამოიოხრა, მერმე თვალები მოიფშვნიტა და სთქვა:

იმ დათვის ტყავი უნდა მიმერთმიაო მეფისათვის, ამადაც გავსწირეო თავი.

შორს გაეტყუებინა დაკოდილ ნადირს მამამზე. ღიჭიანებში მრავალგზის ხელი მოსცარვია მოისარს და როცა უკანასკნელი ქეიბურით მუცელში დაუკოდნია დათვი, დაძრულა თურმე ეს უზარმაზარი მხეცი, მამამზეს მშვილდი გადაუგდია და პირისპირ შებმიან ურთიერთს დათვი და მამამზე.

III

ექვსი თვე თავზე ადგა თურმანიძე მამამზეს. ყოველ შაბათს ან მეფე ეწვეოდა, ან კათალიკოსი, ჯანმრთელობის ამბავს გამოჰკითხავდნენ და გაეცლებოდნენ კვლავ. მესაწოლე ბერი ღამეებს უთევდა, ეზოსმოძღვარი სასთუმალთან უჯდა, ფსალმუნს უკითხავდა.

მამამზე გულმოდგინედ ისმენდა ხუცის ქადაგებას, ხალისიანად იზეპირებდა ფსალმუნის ლექსებს, გულში დასცინოდა ებრაელების ღმერთის იწილბიწილოს.

უკანასკნელ შაბათს ძელსა ჰკრეს თუ არა, მეფე და ზვიადი ეწვიენ ერისთავს.

ამჯერად დიდხანს დაყოვდნენ მნახველები. გადახდილი ომებისა, ძველებურ ნადირობათა ამბავი ჩამოაგდო გიორგიმ, ყარყატზე ნადირობაარ ახლა არაგვის ჭალებში კარგი.

გიორგი ჩვეულებრივზე მეტად გულტფილი იყო იმ საღამოს. მამამზეს მაინც შესდგომოდა ძრწოლა. ყოველ წუთში მოელოდა, სადაცაა დააგდებსო მეფე ნადირობის ამბავს და კოლონკელიძის ამბოხს გადასწვდებაო ანაზდად.

მერმე?

მერმე მოულოდნელად მიაპყრობდა მას თავის დიდრონ, წაბლისფერ თვალებს და შეეკითხებოდა:

მერმე შენ რა ჰქენი, მამის ჩემის თანამებრძოლო და ჩემო უერთგულესო ყმავ?

რა ეთქვა მამამზეს?

სათქმელიც მზად ჰქონდა.

მტკიცე უარი და სამარისებური დუმილი. გზაში ვიყავი და არა ვიცი რაო. საკუთარი ნების სიმტკიცის უნარიც ჰქონდა, გინდ დილეგში ჩაეგდოთ, გინდ ძელზე გაეკრათ, გინდ თვალები დაეწვათ.

მეფემ დუმილი დაარღვია, ჯიქურად შეხედა და ასეთი რამ უთხრა:

«ძალიან არ ივაჟკაცა ყურშაიმ?»

მამამზეს გულზე მოეშვა. გაიხარა ამ სიტყვების გაგონებისას. დიახო, მიუგო, თავი დაუქნია თანაც.

გიორგიმ თავი ჩაჰქინდრა. აგურის იატაკს დააშტერდა. თითქოს რაღაც დავარდნიაო და ახლა ეძებსო მანდ.

«დიახ, ძალიან ერთგული ცხოველია ძაღლი»...

სიტყვა «ერთგული» სამსჭვალივით შეერჭო მამამზეს გულში. ნათელი იყო: ძაღლის ერთგულებიდან ერთი ნაბიჯიღა დარჩენოდა მას მამამზისა და ჭიაბერის ორგულობამდის.

ერთბაშად ჰაერი ეცოტავა, ზეწამოიჭრა, რაღაც უნდოდა ეთქვა და გიორგიმ დაასწრო სიტყვა:

«ჩვენ კი, ადამიანები, უბედურნი ვართ, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად (ეს სიტყვები ძლიერ გააჭიანურა მეფემ) უერთგულეს ადამიანსაც იოლად გავწირავთ ხოლმე».

მერმე ისევ დადუმდა, კვლავ დახედა აგურის იატაკს.

ამის შემდეგ, ყოველივე იჭვის გარეშე, მამამზე, ჭიაბერი და კოლონკელიძე უნდა ეხსენებინა მას, მაგრამ გაოცებულის ყურებმა ასეთი რამ გაიგონეს:

«გახსოვს, ფანასკერტის ციხეში რომ ჩაგვკეტა ბასილი კეისარმა, მესამე თვეს, როცა წყარო მოგვიწყვიტეს და შიმშილმა ხელი დაგვრია, ჩემი საყვარელი მადევარი კუდაი დავკალით და შევჭამეთ».

თავისუფლად ამოისუნთქა გახარებულმა მამამზემ:

«ოჰო, დიდებული ძაღლი იყო კუდაი, როგორ არ მახსოვს, ყურშაის სჯობდა კუდაი კიდევაც».

მოულოდნელად ზეწამოიჭრა მეფე, ღამე ნებისაო, - დააგდო სიტყვა. წასვლა დააპირა ანაზდეულად.

მამამზე საწოლიდან წამოიწია. შეევედრა გიორგის, საერისთავოში წასვლის ნება დამრთეო.

როცა ამას ამბობდა იგი, გიორგიმ შენიშნა: ქვედაყბა დაუგრძელდა, აუცახცახდა.

შემცივნებული ხომ არა ხარო?

ჰკითხავდა.

შეუძლოდა ვარ, მაგრამ თუ მეფის ბრძანება იქნება, შესაძლოა ცხენზე ჯდომამ მარგოსო კიდევაც.

«შენ ხომ ჩემი სტუმარი ხარ, წადი-მეთქი, ხომ არ გეტყოდი».

ესა სთქვა და სპასალარს მიუბრუნდა გიორგი:

დილაადრიან ცხენები მზად ჰყავდეს მეჯინებეთუხუცესს. ერთი ურემიც თან გატანეთ. ვინძლო იარები გაეხსნას და ვერ შესძლოსო ცხენით სვლა.

მარტოშთენილი სტუმარი საწოლიდან წამოდგა, დარბაზში გაიარ-გამოიარა, ნაავადარ იოგებს სინჯავსო თითქოს. მერმე კოშკის ჩარდახზე გავიდა, გადახედა მძინარე ქალაქს.

კბილოვანი შავი ქონგურები გარს შემორტყმოდნენ მოლურჯო ცარგვალს.

ძელსა ჰკრეს ეკლესიებში, კარის ეკლესიიდან ერთობლივი გალობა ისმოდა. მონასტრების ეზოებში შავოსანი ბერებისა და მონაზვნების ლაშქარი ზიმზიმებდა.

არაგვის კარის კოშკიდან გუშაგების ყივილი მოდიოდა.

ნელა ეშვებოდა ღამე სარკინეთის გადრეკილ ზურგზე.

ვაშლისა და ალუჩის ყვავილს თეთრად დაეფიფქა კათალიკოსის ბაღი. ბულბულები კვნესოდნენ ჩირგვებში.

მოაჯირს მიყრდნობილი იდგა მამამზე ერისთავი, ხვალინდელი გამარჯვების სიხარული შემოგზნებოდა გულზე.

აღმოსავლეთისაკენ გაიხედა. მთვარე დასდგომოდა ჯვარისმონასტერს.

მოგვთა ხიდზე ერთობლივ ლაპლაპს შეასწრო თვალი. მოგვთა ხიდზე თორიანი ლაშქარი გამოდიოდა. მოაგონდა: ამ სამი დღის წინადაც წავიდა ხერკის ციხისაკენ ჯარი. თვალი გააყოლა მუზარადების ელვას, ისინი სერს გადაღმა გაუჩინარდნენ, მერმე ისევე გამოჩნდნენ აღმართზე. მდუმარედ ისხდნენ ცხენებზე მხედრები, ფლოქვების ტკაპატკუპი ისმოდა, ულაყების ფრუტუნი და ჭაკების ჭიხვინი.

ომი მოაგონდა, კი არ მოაგონდა, მოენატრა მამამზეს. ცხენზე ჯდომა და ომი. სამთავროს მოედანი გაიარა ჯარმა და მეციხოვნეებმა ჩრდილოს კარნი გაუღეს.

შემდგომ ამისა მყუდროება დამყარდა სრული. გაშავდნენ ეკლესიების წვეტიანი გუმბათები, ვარსკვლავები აენთნენ ცაზე. გარს მომდგარ დუმილში მოუსვენრობა დაეუფლა მამამზეს (ჭოტის ხმა მოდიოდა კათალიკოსის ბაღიდან მხოლოდ).

ექვსი თვე დაჰყო მამამზემ მცხეთაში და ამ ხნის მანძილზე არც მეფეს, არც კათალიკოსს, არც სპასალარს სიტყვაც არ დაუძრავთ ფხოველთა და არაგველთა ამბოხის გამო. არც ეკლესიების შემუსვრა უხსენებიათ. ამ მოჩვენებითი თავაზიანობის მიღმა საშინელი წყრომა და მუქარა ბობოქრობდა.

გასულ თვეს მეფე ტაძრეულითურთ უფლისციხეში დაყოვნდა, ღამღმობით დაჰყავდათ ჯარები ხერკსა და უფლისციხეს შორის. მთელი ღამეების მანძილზე თქარათქური ესმოდა მამამზეს. სასახლეშიაც უჩვეულო ფუსფუსი იყო.

ახლა ისევ ამოძრავდა ლაშქარი. შესაძლოა, კეისართან ომს მოელოდეს მეფე, ან ტფილისელ ამირას თავდასხმას.

ეს ყველაფერი კარგი,მაგრამ ჭიაბერს რა უყვეს ნეტავი, ან კოლონკელიძეს რა ბედი ეწვია?

შესაძლოა, ორივეს დასთხარეს თვალი. ვინ იცის, მიწასთან გაასწორეს კიდევაც ქორსატეველას და კვეტარის ციხე-კოშკები.

ხოლო მამამზეს, მამამზეს გამოკეთებას აცლიან ალბათ, ეს მესაწოლე ბერი ისე საეჭვოდ სდუმს, შესაძლოა, მსტოვარი იყოს. ბიბლიის ზღაპრების თხრობას და ფსალმუნის ღეჭვას რა მოათავებს, დადუმდება და შესცქერის მამამზეს ცერცვისფერი, უსიამო თვალებით.

ცხადია, სტუმრის განკურნებას უცდიდნენ აქამდის და ვინ იცის, ეგებ ეს იყო მამამზე ერისთავის უკანასკნელი ღამე.

«ეჰა, ღამევ, სულის ჩემისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!»

სად მიდიოდა ნეტავი ის ცხენოსანი ჯარი, მოგვთა ხიდზე რომ გადმოვიდა წეღან? შესაძლოა, ჭიაბერი და თალაგვა მცხეთაში ჰყავდეთ, დილეგში სადმე და ერთ მშვენიერ ღამეს სამთავეს დააყრევინონ თავები.

განა ასე არ მოექცა მეფე ცოტა-ერისთავებს, ცხრატბისას? ჯერ მამა იწვია სტუმრად, ძალით ითაყვანა, მერმე შვილი ჩამოაყვანინა ცხვილოს ციხიდან, სამ თვეს მთავართა სანათლოის დილეგში ჰყავდა ორივენი, ვნების კვირაში ეზოსმოძღვარი მიუგზავნა, აზიარებინა, შემდგომ ამისა, თავი მოსჭრეს მამა-შვილს და არაგვს გაატანეს გვამები.

ოჰ, ეს ეზოსმოძღვარი, ის შავანაფორიანი ყორანი, ჭირისდღესავით სძაგდა მუდამ მამამზე ერისთავს. აი ვინ არის მართლაც მსტოვარი და ძაღთაპირი.

საპატიო ტუსაღებად მიჩენილი ჰყავს იგი გიორგის. მისი ყრანტალი უეჭველ სიკვდილის მაცნეა. პირველ თვეებში, როცა მამამზე სულთმობრძავი იყო, ყოველ დილას შემოიჭყიტავდა დარბაზში, თავისი ჭრუტა თევზისებურ თვალებს მიაშტერებდა მამამზეს, თითქოს ეკითხებოდა: კიდევ არ ამოგართვესო სული?

ძელზე გასაყვან ტუსაღს ზიარებას მიუცუნცულებს და უამბობს მერმე, თუ როგორ აქცია კანას ქორწილში წყალი ღვინოდ იესო ქრისტემ.

«ეჰა, ღამევ, სულის ჩემისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!»

შეკრთა ფიქრში გართული მამაზე. ორი ცხენოსანი მოჰქროდა მუხნარისას ციხიდან. ცეცხლისმფრქვეველი ხმლები ეჭირათ ხელში. სამთავროს მოედანი გამოიარეს ჭენებით, სასახლეს ჩაუქროლეს და მოგვთა ხიდისკენ გაჰქრნენ.

ზმანება იყო ნეტავი, თუ განცხადება უცნაურობის?

«ეჰა, ღამევ, სულის ჩემისამებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!»

ფლოქვების თქარუნი მკაფიოდ ესმოდა მამამზეს, მაგრამ სასახლის გუშაგები რად იდგნენ გოდოლებზე გაუნძრევლად?

თვალმა და სმენამ ხომ არ უღალატა მამამზეს?

ეგებ ჩვენება იყო რაიმე უცნაური?

არა, ცხენოსნები იყვნენ, ცხადლივ ცხენოსნები, ცეცხლისმფრქვეველი მახვილები ეჭირათ ხელში.

მამამზე ერისთავს იმდენივე ომი ჰქონდა გადახდილი, რამდენი წელიც დაეყო ამქვეყნად, მაგრამ სიკვდილის წინაშე შიში უცნობი იყო ამ დღემდე მისთვის.

ახლა კი შეკრთა, მუხლები მოეჭრა, ქვითკირის მოაჯირს მოეჭიდა წელში მოდრეკილი ვაგლახად.

მხნეობა მოიკრიფა, ისევ გასწორდა და კვლავ გადახედა სამთავროს მოედანს და ხედავს: სამი მხედარი მოჰქრის, სამს სამი მოჰყვება, მერმე მთელი რაზმეული გამოჩნდა. საშინელის სისწრაფით მოჰქროდნენ, ვარვარებდნენ გაშიშვლებული ხმლები.

ჩქამს არ იღებდნენ თავათ მხედრები, ცხენების თქარუნი ისმოდა ერთობლივი და როცა ისინი სასახლეს გაუსწორდნენ, ხმლების ელვარებისაგან ამდგარ ნათელში მხედრების მოღუშულ სახეებს თვალი ჰკიდა მამამზემ, ლაპლაპებდნენ მუზარადები და ჯაჭვის პერანგები. მთელი ლაშქარი მოჰქროდა ბნელში.

«ეჰა, ღამევ, სულის ჩემისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!»

ვინ იცის, ეგებ ჭიაბერი და მისი ძუძუმტე ტოხაისძე ყოფილიყვნენ ის ორი მხედარი, პირველად შემოჭრილნი ქალაქში. მწუხრისას მცხეთიდან გასული ჯარი დაამარცხეს ალბათ და შემოვიდნენ კიდევაც, ეს არის.

თუ ასეა, გუშაგები რად სდუმან ნეტავი?

განა გუშაგებს ვერ მოისყიდიდნენ წინასწარ?

...მაგრამ ეს ხმლები? ცეცხლისმფრქვეველი ჯავარდენები? შესაძლოა ჭიაბერს ჩამოეტანოს ბიზანტიონიდან ცეცხლისმფრქვეველი ხმლების საიდუმლო?

თუ ასე იყო, რად არ გაუმხილა მამას?

ვინ იცის, ეგებ ჯერ თავათ უნდა გამოეცადა. ახლა მოაგონდა მამამზეს ჭიაბერის ნათხრობი: ბაღდადელი თურქი შეიპყროო კეისარმა ერთი, დილეგში ჩააგდო, ძვალთა და რკინათა მკვეთელი ხმლების ოსტატი უნდა ყოფილიყო იგი. ამასაც ამბობდა ჭიაბერი, ძელზე გააკრეს, მაინც არ გასთქვაო ეს საიდუმლო თურქმა.

...ჰო, მაგრამ, ციხენი მუხრანისა და ღართისკარისა როგორ დანებდებოდნენ ასე უბრძოლველად ჭიაბერს?

თუ ჭიაბერი და ტოხაისძე მართლაც შემოჭრილან ქალაქში, მცხეთის სასახლე არც ისე ადვილად დანებდება მტერს. გარს შემოეწყობიან თუ არა ციხეს, მამამზეს შეიპყრობენ და თავს წააცლიან.

«ეჰა, ღამევ, სულის ჩემისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!»

დარბაზში შებრუნდა მამამზე ფიცხლად, მესაწოლე ბერს ფსალმუნი გავარდნოდა ხელიდან, საკუთარ მკლავებზე დამხობილს ეძინა მშვიდად.

თორნი გადაიცვა, მუზარადი დაიხურა, ხმალი შემოირტყა და იდუმალ კიბეს მიჰყვა ბაღისაკენ ჩასასვლელს.

ბაღში გასვლისთანავე შენიშნა მამამზემ, ორმა ლანდმა ჩაურბინა გვერდით და უტყვად გაუჩინარდნენ ორივენი ხილნარში.

სამთავროს მოედანი ისე გაიარა, ძე-ხორციელი არ შეხვედრია გზაზე.

გასცდა მოედანს და სამი შუბოსანი წამოეწია, მხედრები დაქანცულნი სჩანდნენ, მუზარადები ლაპლაპებდნენ მთვარის ნაშუქარზე, უღიმღამოდ მიდიოდნენ ცხენები.

ჩაიარეს მხედრებმა, უკან მოიხედა მამამზემ და აქლემების ქარავანი მოდიოდა დიდი.

განერიდა მექარავნეთაც. გზის პირად სამლოცველო ნიში შენიშნა და შესდგა მუნ.

სამლოცველოს კიბეზე მათხოვრები მიყრილიყვნენ, მიუახლოვდა. ვერ გაეგო, მათხოვრები იყვნენ, თუ მგზავრები?

ტკბილად ეძინათ უსახლკარო მწირებს. ერთი მოხუცი იქვე გდებულ ლოდზე იჯდა განკერძოებით და ღამის ლოცვებს ბუტბუტებდა თავისთვის. ნიშის წინაშე ხატის სანთლები ბჟუტავდნენ. მაცხოვრის სახეს, ვაგლახად დაღრეჯილს, შეხედა მამამზემ, არ იამა მისი დანახვა, ლოდზე მჯდარს მიეახლა და მწუხრი მშვიდობისაო, უთხრა.

სალამითვე გადაუხადა ბერიკაცმა მადლი.

წამუყო: ჩამოჯექიო ლოდზე და თავათ მიიწია ლოდის კიდისაკენ.

«მოხუცო მწირო, – ეუბნება მამამზე ბერიკაცს, – მოდი გავცვალოთ სამოსელი, თუ მოგესურვოს».

მოხუცი წამოდგა, ხატის სანთლებთან მიიყვანა უცნობი, ახედ-დახედა, მიხვდა: დიდებულთაგანი რომ იყო ვიღაც.

ეუცხოვა: «რად მონატვრიაო ამ დიდკაცს მწირის ძონძები?»

«რა შეჭირვებაი დაგდგომია ქრისტეს მიერ, ძმაო ბედშავო, ან მწირის ძონძები რად მოგნატრებია?»

«წარმართთაგანი ვიყავი, ძმაო, მცხეთაში მომნათლეს, შჯული შევიცვალე, – დაიწყო მამამზემ, – ამიერიდან მინდა ქრისტეს მაგალითს მივყვე, ამქვეყნიური დიდებისაგან განვიძარცვო და ვიარო სოფლად, ვითა ბოგანომ, უსახლკარომ, მიუსაფარმა. განა აგრე არ დაძრწოდა ქვეყნად უფალი ჩვენი, მაცხოვარი მაცხონებელი?»

მოხუცმა ჯიქურ შეხედა უცნობის მშვენიერ სახეს და ანაგობას კეთილშობილს. მისი ნათქვამი ეჭეშმარიტა.

გაიხადა თავისი დაბებკილი წამოსასხამი, მკლავზე გადაჰკიდა მამამზეს, ლოდზე ჩამოჯდა, დაფხრეწილი სამოგვის წუღები გაიხადა, მიაწოდა მასვე.

მუზარადი მოიხადა მამამზემ, ლოდზე დააგდო, შეიხსნა თორნი, ძვირფასი ჯუბა გაიხადა ტარისკონისა, გადასცა მოხუცს, ლოდზე ჩამოჯდა, ვერძის ტყავის წაღები გაიძრო, ბერძნულ კატარღებსავით ჭვინტაბზეკილნი, ეგეც მწირს დაუდო წინ.

«სადაური ხართ და საითკენ მიედინებით?»

ეკითხება მამამზე მოხუცს.

«ყველისციხიდან მოვდივართ, ქვისმთლელები ვართ და კირითხურონი, ქორსატეველას კარის ეკლესია დაუნგრევიათ წარმართებს და მის აღსადგენად გვგზავნის კათალიკოსი მელქისედეკი ხვალ დილით».

ქორსატეველას ხსენებაზე გულმა რეჩხი უყო მამამზეს, უნდოდა ეკითხა, კიდევ რა გსმენიათ ქორსატეველას გამო, მაგრამ თავი შეიკავა.

ჩაცმა მოათავა თუ არა, წასვლას დაადგა. მოხუცს გულით უნდოდა ვინაობა და სადაურობა ეკითხნა მისთვისაც, მაგრამ სიტყვის დაძვრა ვერც კი მოასწრო, მწუხრი მშვიდობისაო, დაუბარა უცნობმა და გაუჩინარდა ბნელში.

მთვართა სანათლოის ბნელ ქუჩაზე წამოეწია მექარავნეთ მამამზე.

ჯავახელი ვაჭრები აღმოჩნდნენ, ხერკისაკენ მიდიოდნენ.

მწირს თუ წარიტანთო? შეეკითხა მექარავნეს თავმოდრეკილად მამამზე. ღამე მხეცების შიში მაქვსო, ფეხდაფეხ გამოვყვებიო ქარავანს.

მექარავნე მგზავრის ვინაობას იკითხავდა.

მწირი ვარო ტაოელი, არტანუჯის ციხიდან მოვდივარო ფეხით, გუდამაყარში მივალო საროჭიკოდ.

ამ საუბრით გართული მთავართა სანათლოი გაეარნათ. გარეუბანშიაც არ ისმოდა ჩქამი. მამამზე უკან იხედებოდა.

არავინ სჩანდა. გული მოეცა, მაშ სასახლეში შეუმჩნეველი დარჩენოდათ მისი გაპარვა, კიდევ მცირე მანძილი და მუხნარისას ციხეს თუ გასცდებოდნენ, სამშვიდობოს გავიდოდა მამამზე და ეს ბნელი ღამე იქნებოდა მისი ციხე-სიმაგრე.

«ეჰა, ღამევ, სულის ჩემისამებრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!»

მუხნარისას ციხის კარიბჭე დაგმანული დაუხვდათ.

ადრე კეტავენო ციხეს, ჭიაბერ ერისთავსა და თალაგვა კოლონკელიძეს ძალად უთაყვანებია ოვსნი და ძურძუკნი, მეფე თავდასხმას მოელისო ჩრდილოეთიდან.

სთქვა მექარავნემ.

ქარავანი ციხეს მიეახლა, გუშაგები გამოეყვნენ ბნელს.

მწუხრი მშვიდობისა უსურვა მექარავნემ ციხისთავს, სთხოვა გაგვატარეთო. უთენია გამოვსულვართ უფლისციხიდან, მაგრამ გზაში ერთი აქლემი დაგვივარდა, ვიდრე მას ფალნს მოვხსნიდით და ტვირთს სხვა აქლემებზე გადავიტანდით, შემოგვაღამდაო კიდევაც.

ბოდიშობდა მექარავნე.

«სულ რამდენი მეაქლემე გახლავთ?» შეეკითხა ციხისთავი.

«ათორმეტი, და ერთიც მწირი შემოგვეკედლა, მეროჭიკე, ბერი უნდა იყოს».

ამ საუბარში იყვნენ გართულნი ციხისთავი და მექარავნე, მამამზემ შენიშნა: ორი ლანდი შემოუერთდა ქარავანს.

და როცა ციხისთავის ბრძანებისამებრ მუხნარისას ციხის კარი გააღეს, ლანდთაგანი ერთი მისწვდა მამამზეს და მექარავნის გასაგონად სთქვა:

«ეგ მწირი მეფის სტუმარია, ამაღამ ვერ განდობთო მას».

ზვიად სპასალარის სასახლეში დიდი ალიაქოთი შეჰქმნა მამამზის გაქცევამ. მემაშხალენი გამოცვივდნენ, მაშხალები აანთეს, ბატონს არ ეძინა, მაინც დიდხანს დაიგვიანა საწოლის დარბაზში.

მამამზეს მიწისფერმა გადაჰკრა, სპასალარი დარბაზში შემოვიდა, ხელებგაკოჭილი ტუსაღი ფეხზე იდგა.

სელზე დაჯდა პირბანჯგვლიანი, მოღუშული მხედართმთავარი. მათხოვრის ძონძებში გამოწყობილ მამამზეს ახედ-დახედა.

ვინა ხარო? – შეეკითხა ყასიდად, თითქოს არ იცოდა, თუ ვინ იდგა მის წინაშე.

მამამზე ერისთავი გახლავართო, მიუგო თავჩაქინდრულმა ტყვემ.

ზვიად სპასალარი წამოდგა. თავათ დაუდგა სელი. მერმე წამუყო შუბოსნებს და ხელები შეუხსნეს მამამზეს.

რაღაც წაიბუტბუტა ტუსაღმა მადლობის გრძნობის გამოსახატავად და კვლავ შენიშნა სპასალარმა: ქვედა ყბა ისევ დაუგრძელდა და აუცახცახდა ერისთავს.

«ისევ ხომ არ შეგამცივნა, ერისთავთ ერისთავო?»

«არა, ახლა შემახურა, სპასალარო ბატონო».

სიმწრის ღიმმა დაღრიჯა მამამზის დიდრონი, ვნებიანი ტუჩები.

«რად ილტვოდი მაინც, აკი ნაბრძანები ჰქონდა მეფეს, ხვალ უნდა გაგვემგზავრებინეთ საერისთავოში?»

მცირე ხანს სდუმდა ერისთავი, მერმე თავი აიღო, ისევ გაუსწორა თვალი ზვიადის შეყრილსა და მრისხანე წარბებს.

«მე თავათ არ ვიცი რად შემემთხვა, სპასალარო, ეგ.

შესაძლოა, ავადმყოფური ჩვენება მომელანდა, უცნაური რამ. თქვენი წაბრძანების შემდეგ ციხის ჩარდახზე გავედი. ქალაქს გადავცქეროდი. ვიღაც მხედრებმა ცხენი შემოაქროლეს, ჯერ ორნი იყვნენ, მერმე ორჯერ სამ-სამნი, ბოლოს მთელი ლაშქარი, ყველას ცეცხლოვანი ხმლები ეჭირა ხელში, ცეცხლისმფრქვეველი ჯავარდენები.

სარკინოზებთან ბრძოლებში მრავალგზის ვხლებივარ ბაგრატ კურაპალატს, ბერძნებთან ომებში მიბრძოლნია გიორგი მეფესთან მხარდამხარ, ამის მსგავსი არაფერი მომლანდებია».

«აჰა, შენ ესა გსურს, ვინ იყვნენ ის მხედრები. ან ის ხმლები რანი იყვნენ? ეს საიდუმლო მხოლოდ მეფემ და მე ვიცით და ჩვენმა ოსტატებმა, – ხოლო ორგულთათვის მიუწვდენელია იგი.

ეს ყველაფერი მე მოვაწყვე, რათა უსიტყვოდ გამომერკვია, სამტროდ იყავი, თუ სამეგობროდ მოსული?

ეხლა ყოველივე ნათელია ჩვენთვის.

ხვალვე, მეფის ბრძანებისამებრ, საერისთავოში გაემგზავრები. შთააგონებდე ჭიაბერს და კოლონკელიძეს, მეფის ერთგულებად მოიქცნენ კვლავ, თორემ ჩვენ მოვალთ, ქორსატეველას ციხესაც მივწვდებით და მაშინ გაიგებთ, თუ ის მხედრები ვინ იყვნენ, ან ის ხმლები რანი არიან».

ესა სთქვა სპასალარმა და ღამენებისა უსურვა სტუმარს.

მთელი ღამე მუშაობდნენ მთავართა სანათლოის მჭედლები. გადმოიღებდნენ თუ არა გამოკვერილ მახვილებს გრდემლიდან, ხელში აწვდიდნენ ზედმომდგარ ცხენოსნებს და ესენიც საშინელის სისწრაფით მიაჭენებდნენ მთვარიან ღამეში ცხენებს, ჰაერში აწრთობდნენ ჰინდურ ფოლადს – ცეცხლებრ მგზნებარეს.

ღამენათევი მამამზე დილამდის არ მოშორებია ციხე-დარბაზის სამზერს. როცა მტრედისფრად აყვავდა ცა და მარიხი ჩაჰქრა, მხოლოდ მაშინ ჩასთვლიმა ოდნავ.

დილაადრიან ამირჩქარმა გამოაღვიძა, ცხენები მზად არისო, ეს მოახსენა.

ორი შუბოსანი ამოუდგა მხრებში, ციხის ეზოში ჩამოიყვანეს და შესვეს ცხენზე.

მეჯინიბეთუხუცესმა მათრახი მიართვა.

მამამზემ მადლობა დაუბარა მეფესა და ზვიად სპასალარს, თანაც სთხოვა: სააღდგომოდ კათალიკოსი მობრძანებულიყო ქორსატეველას ციხეში. ხატები და ხუცები გამოეტანებინათ საერისთავოსთვის.

როცა ცხენოსნებმა მუხნარისას ციხე გაიარეს და ამირჩქარმა ჩრდილოეთისაკენ გაჰქუსლა ცხენი, მხოლოდ მაშინ ირწმუნა მამამზემ, რომ მას საიქიოს როდი აგზავნიდნენ, არამედ საკუთარ საერისთავოში.

გაზაფხულის არენი მისდგომოდნენ მთებსაც, არაგვის პირად ალუჩები ჰყვაოდნენ და ტოროლებს ცაში აჰქონდათ განახლებული მიწის სიხარული. . . . . .

IV

აპრილის მიწურულში მსახურთუხუცესი მიუგზავნა გიორგიმ მელქისედეკ კათალიკოსს და სთხოვა: შაბათ საღამოს მწუხრის შემდეგ სწვევოდა.

კათალიკოსმა მსახურთუხუცესი რა დაინახა შუა დარბაზში თავმოდრეკილად მდგომარე, გაოცდა, რადგან ამ დღემდე ჭაბუკი მეფე თავათ ეახლებოდა მელქისედეკს.

კათალიკოსი გულში ნაწყენი იყო მეფეზე, ოღონდ ეს ამბავი ვერავისთვის გაემხილა, ემდუროდა, რადგანაც გიორგი ბაგრატ კურაპალატსავით გულმოდგინედ არ ექცეოდა სარწმუნოებისა და ზნეობის საქმეებს.

საერთო სენია კაცთა: მიცვალებულებს იმადაც აქებენ ხანდახან, რათა ცოცხალთ მიაყენონ ჩრდილი.

გულმოდგინედ ადიდებდა მელქისედეკი ბაგრატ კურაპალატს, ფრიად ღვთისმოსავი იყოო ბაგრატი, ამიტომაც მოიხედაო უფალმან და დააპყრობინაო «კავკასია ჯიქეთიდან ვიდრე გურგანის ზღვამდე».

გიორგის იდუმალ ჰქირდავდა კათალიკოსი ცხრატბის ცოტაერისთავებისათვის თავის მოკვეთის გამოც. სტუმარი ღვთისააო, სჯეროდა მელქისედეკს, ისევე, როგორც ქართველ ხალხს ოდესღაც, – რად გასწირაო სტუმარი ქრისტეანმა მეფემ. ბაგრატ კურაპალატი ასეთ რამეს არ იკადრებდაო.

ცხადია, მელქისედეკს ვერ წარმოედგინა, თუ ჟამთააღმწერელი ასეთს რასმე დასწერდა: «ბაგრატ კურაპალატმა იწვია კლარჯნი ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თვისნი მამის დისწულნი, დარბაზად მის წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, დარბაზობის ნაცვლად შეიპყრა იგინი და აღიხვნა ქვეყანანი და ციხენი მათნი, ხოლო თვით იგინი პატიმარ ჰყო ციხესა შინა თმოგვისასა». (ამ ციხეში სული დალიეს სტუმრებმა ბოლოს).

მელქისედეკ კათალიკოსს კარგი მეხსიერება ჰქონდა, მაგრამ რასაც მიცვალებულს მიუტევებენ ხოლმე, მას ცოცხალს არ აპატიებენ თანამედროვენი არასდროს.

ეს ამბავი ახსოვდა მელქისედეკს, სწორედ ამადაც დაფაცურდა იგი, როცა სადარბაზოდ მოსული მამამზე ერისთავი საპატიო ტყვეობაში მოხვდა უეცრად.

ექვსი თვის მანძილზე გამუდმებული და იდუმალი ბრძოლა იყო ახალგაზრდა მეფესა და მოხუც კათალიკოსს შორის.

როცა ჯავარდენების წრთობა და საომარი სამზადისი დაიწყო მეფემ, ღამეებს ლოცვაში ათენებდა მელქისედეკი.

ზვიად სპასალარი თავგამოდებით მოითხოვდა მამამზისათვის თავის მოკვეთას, ან თვალების დაწვას. ეს კიდევ ცოტაა, თავათ ზვიადს უნდა წაეყვანა ჯარი, როგორც კი ზვავების საფრთხე გაივლიდა, ჭიაბერის, ტოხაისძისა და კოლონკელიძის თავები მარგილებზე წამოეცვა, ქორსატეველას და კვეტარის ციხეები ბალავრიანად დაენგრია.

კათალიკოსი გიორგის არწმუნებდა:

«არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, ხამს სახარებითა და პატიოსანითა ჯვრითა უჩვენოთ გზაი ჭეშმარიტ განდგომილთა, რამეთუ ძელიცხოველის ჯვარი პატიოსანი არს მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და ძალმან მისმან განანათლოს ბნელი იგი გულითა მათთა».

გიორგი მაინცდამაინც დიდ იმედებს არ ამყარებდა ძელიცხოველის ჯვარზე, მაგრამ კათალიკოსის თათბირისაკენ იხრებოდა უფრო, რადგან ჭიაბერთან ომით ბიზანტიონთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდა. გარდა ამისა, თავათ მამამზის დიდი დამსახურება სამეფო ტახტის წინაშე, მისი თავგანწირული შებრძოლება დათვთან და ბოლოს მამამზის მშვენიერი აღნაგობა, ყოველივე ეს ურთიერთს დაერთო და ცოცხალი თავით გაასწრო სტუმარმა მთებში.

ზვიად სპასალარი დიახაც მორწმუნე იყო, მაგრამ ჯვარის ძალით დამარცხებული მტერი არსად ენახა ჯერ და ამიტომაც დაჟინებით ურჩევდა მეფეს: სანამ მამამზეს, ჭიაბერს და კოლონკელიძეს თავები ასხიათ მხრებზე მშვიდობა არ დამყარდებოდაო. ტოხაისძეს კოჭის ძარღვები დავაჭრათ და ეს ვაკმაროთო სახლთუხუცესს.

იმ შაბათს მწუხრის ლოცვა განგებ გააგრძელა კათალიკოსმა. მოსაბოდიშებელი მზად ჰქონდა: აღაპები დაგვიგროვდა და მწუხრის შემდეგ გვიანხლებას მოვერიდეო.

V

გაჭიანურებულმა მწუხრმა ფრიად მოქანცა კათალიკოსი. მას გულის მანკი სჭირდა. ფეხები უსივდებოდა. წირვა გათავდა თუ არა, თვალთ დაუბნელდა და მცხეთელი ეპისკოპოზი რომ არ მიშველებოდა, წაიქცეოდა.

მერმე ჩვეულებისამებრ ეახლნენ მისი სიყრმის მეგობრები: ბერი გაიოზი და მამათა მონასტრის მამაი სტეფანოზ. მხრებში ამოუდგნენ და მონასტერში წაიყვანეს.

მელქისედეკს ასე სჯეროდა: თუ გსურს ზეგავლენა მოახდინო ერზე, იგივე უნდა სჭამო, რასაც მრევლი სჭამს, და ისევე ჩაიცვა, რაც მას აცვია, სხვა მხრით უნდა ეცადო იშვიათად ეჩვენო ხალხს.

თვალს შეგაჩვევენო...

ამიტომაც იშვიათად ეჩვენებოდა მრევლს, დიდ ხატობათა და დღეობებზე დასწრებას გაურბოდა, თვით მეფის სასახლეში დიდ დარბაზობას ერიდებოდა ისეთ დღეებში, როცა სხვა ქვეყნის დესპანები, მეფეები ან ერისთავები მიდიოდნენ ხოლმე. დიდ აზნაურთა სახლებში გამართულ ნადიმებსა და ქორწილებს არასოდეს დაესწრებოდა. აზნაურთა შორის მომეტებულნი მწვალებლებად და მკვრეხელებად მიაჩნდა.

ეკლესიიდან გამოსული უბრალო ბერის ჩოხას იცვამდა ჯვალოსას.

რაც შეეხება ყოველდღიურ პურობას, სტეფანოზ ბერის საოსტიგნოში, ბერებისა და მორჩილების თვალწინ სჭამდა მხალეულსა და საერთო სამარხვოს.

ამ საღამოსაც გაიოზ ბერისა და სტეფანოზ წინამძღვრის შორის უჯდა სუფრას მელქისედეკი და ოსპის გბოლვილს შეექცეოდა ხის კოვზით.

მთელი დღის ნამარხულევს იამა ოსპის წვენი, მეორე ითხოვა და სწორედ ეგეც მიართვა ქერა კულულიანმა მორჩილმა, კოვზით აიღო ოსპის წვენი და პირისაკენ რომ მიჰქონდა, სწორედ ამ დროს, რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე ვიღაცამ იკითხა ხმამაღლა:

კათალიკოსი თუ ბრძანდებაო აქ?

კათალიკოსმა ეს გაიგონა და გაიოზს უჩურჩულა: ჩემი აქ ყოფნა არავის ამცნოთო.

ვიდრე მოხუცი გაიოზ წამოდგომას შესძლებდა, შავანაფორიანმა გაარღვია ბერებისა და მორჩილების ბრბო, თავს წაადგა კათალიკოსს.

ქედმოდრეკილი მიეჭრა ეზოსმოძღვარი, თავისი მარადსველი, მსუქანი ტუჩებით დაულოშნა მარჯვენა, მერმე კრძალვისაგან აცახცახებული უკუდგა და მოახსენა:

მეფე სადარბაზოდ იწვევსო შენს მეუფებას.

მელქისედეკი დააფიქრა განმეორებით მიპატიჟებამ, ასე გაიფიქრა: ფარსმან სპარსის ამბავი აწუხებსო.

მელქისედეკს ფრიად არ მოსწონდა ამ «საეჭვო უშჯულოს» ყოფნა მეფის კარზე, მით უმეტეს, არავინ იცოდა დაბეჯითებით, მართლაც სპარსი იყო იგი, სარკინოზი თუ ბერძენი?

ფარსმან სპარსი შერქმეული სახელი უნდა ყოფილიყო, არსებითად ნამდვილი მისი ვინაობა და სადაურობა არავინ უწყოდა.

ყოველი ენა, ყოველგვარი სჯულის კანონი ზედმიწევნით იცოდა: ქართული, არაბული, თურქული, ირანული და ბერძნული.

ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატს აუხირდა მელქისედეკი ამ «წარმართის» გამო, მერმე ის იყო მოანათვლინა მეფემ ორმოცდახუთი წლის კაცი.

ეკლესიაში სიარულითა და მარხულობით თავს არ იწუხებდა ფარსმანი.

მსტოვარ ბერებს ამბავი მიჰქონდათ კათალიკოსთან, ჩუმჩუმად დასცინისო კიდევაც ქრისტეს სჯულს. მარიამის უხრწნელობის დოგმას აპამპულებდა თურმე და როცა თრიაქით დათვრებოდა, მოურიდებლად ხითხითებდა: ღვთისმშობელს იმდენი შვილი ჰყოლია, რამდენიც ანგელოსი დაეტევაო ნემსის წვერზე.

ეს ოხუნჯობაც ორპირულად იყო მოსაზრებული. თუ ეტყოდნენ, ნემსის წვერზე ბევრზე ბევრი ანგელოსი დაეტევაო, იგი მიუგებდა: თქვენ არ გცოდნიათ ანგელოსი კაცისოდენა რომ არისო, ხოლო თუ ვინმე მიუგებდა, საერთოდ ანგელოსს როგორ დაიტევსო ნემსის წვერი, – თქვენ არ გცოდნიათ ანგელოსი უხორცონი რომ არიანო.

მერმე მოჰყვებოდა იმდენს ანგელოსების უხორცობის გამო, თავბრუს დაახვევდა მსმენელს.

როგორც ყოველ ავანტიურისტს (და შუა-საუკუნეებში ისინი გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენს დროში), მასაც რამდენიმე ხელობა ჰქონდა მომარჯვებული.

უკანასკნელად მზის საათების მოწყობას მიჰყო ხელი, დაეთრეოდა საერისთავოებში, მზის საათებს აწყობდა, მთვარის «ხელთაის» სწერდა, ხანდახან ნადიმებზე მიიწვევდნენ, როგორც ხუმარას და მოცლილს, მოხუც აზნაურებს აცინებდა, ყოველ სარწმუნოებას აპამპულებდა იდუმალ (რათა საკუთარი დაემალა), ყოველი ეროვნების კაცს ამასხარავებდა (რათა საკუთარი არ გაემხილა როგორმე).

კათალიკოსი დიდხანს ეძებდა რაიმე საბაბს, არსებითს, რათა მცხეთიდან მისი გაძევება მოეთხოვნა მეფისაგან და ახლა გახარებული იყო მელქისედეკ, რომ სწორედ ეზოსმოძღვარმა მიაწოდა მას ასეთი, ფრიად გამოცდილმა ჭორიკანამ და მოენემ.

ფარსმან სპარსი დედათა მონასტერს შესჩვეოდა, მცირეწლოვან, მორჩილ ქალწულებს საჩუქრებით გაიტყუებდა მთავართა სანათლოის ერთ ბნელ ქუჩისკენ,

სადაც გაუქმებული ბაზილიკის უკან, ბნელ სენაკში ცხოვრობდა თავათ, და ნამუსს ახდიდა თურმე.

უკანასკნელად ფანასკერტელის ქალისთვის დაედგა თვალი. ცამეტი წლის გოგონა ძალით გაეხრწნა (იგი ეზოსმოძღვარის ნათესავი აღმოჩნდა).

თუ აფხაზეთიდან, კლარჯეთიდან და ფხოვიდან ჩამოყვანილ მონათა შვილების გაუპატიურებამ დაუსჯელად ჩაუარა ფარსმანს, ფანასკერტელი დიდი აზნაური იყო და აქ უეჭველად მოძებნილი იყო ის ფონი, რომელსაც მკრეხელი ფარსმანი უცილოდ უნდა დაეხრჩო.

გამოძიება დასრულებული იყო, მაგრამ ჯერ სხალტბის ეკლესია არ მოეთავებინა ფარსმანს და კათალიკოსი ჯერ არ აპირებდა საქმისთვის მსვლელობის მიცემას, მეფესთან შეხვედრასაც ამიტომ გაურბოდა, ვაჲთუ გიორგიმ შემავრდომოსო ფარსმანი.

ეზოსმოძღვარის პირით შემოთვლილ ხელმეორედ წვევას, ცხადია, ვერ გაექცეოდა მელქისედეკი. ოდნავ გულნაწყენი იყო ამ მიპატჟებით, მაგრამ ერთბაშად გადასწყვიტა დაესწრო როგორმე მეფისათვის და დაბეჯითებით მოეთხოვა ამ ბილწი წარმართის დასჯა.

VI

დარბაზში ფეხი შესდგა თუ არა უსიამოდ შეიშმუშნა მელქისედეკი, ტაბლას გარს მოსხდომოდნენ გიორგი მეფე, ზვიად სპასალარი და ფარსმან სპარსი.

დარბაზის შუაგულში მიწვეულს უსიამო სუნი ეცა, ეს არ იყო ხანდაზმული სუნი ქონისა, არამედ რაღაც მურტალი, უცნაური სუნი.

ეგებ ამ წარმართს უდიოდესო, გაიფიქრა მელქისედეკმა და მიესალმა დამხვდურთ.

სამივენი ზეწამოიჭრნენ, სპასალარმა სელი დაუდგა, მეფემ დაბრძანება სთხოვა. ყველანი დასხდნენ, მხოლოდ ფარსმან სპარსი ფეხზე დარჩა და უცდიდა კათალიკოსი როდის უბრძანებდა დაჯდომას.

მელქისედეკი ტაბლას დააჩერდა, ამინაშატის ხატსა და ძელიცხოველის ჯვარს მოჰკრა თვალი.

გიორგიმ მოიკითხა კათალიკოსი, მადლობა მოისმინა მისგან, შემდგომ ამისა ეს უთხრა:

«შენ გიბრძანებია, უნეტარესო, ნააღდგომევს მამამზის საერისთავოში მივალო. ეს ხატი (თვალით აჩვენა ამინაშატის ხატი) მამამზეს მიართვი ჩემგან, ხოლო ძელიცხოველის ჯვარი - ჭიაბერს».

მელქისედეკმა შენიშნა, ლუსკუმიდან ამოღებული იყო იგი.

«ჩემი სახელით უბრძანე, შენს თვალწინ ეამბორონ ორივენი ჩემგან ნაძღვენ ხატსა და ჯვარს, კოლონკელიძესთან ყოველივე კავშირი გასწყვიტონ, კოლონკელიძეს ჩვენ მოვუვლით (ესა სთქვა და სპასალარს გადაჰხედა).

უბრძანე ქრისტეს სჯულს დაუბრუნდნენ, თავისი ქალი კატაი ტაოელ აზნაურს ტარიჭისძეს მიათხოვოს მამამზემ და არა ტოხაისძეს, იმ მელაძუა სახლთუხუცესს. ჭიაბერმა არ გაბედოს კოლონკელიძის ქალის შორენას შერთვა (ესა თქვა და მუშტი დაარაკუნა ტაბლაზე მეფემ), თორემ ერთი თვის შემდეგ ქორსატეველას ციხეს შემოვეწყობი ჩემის ლაშქრითა, ჭიაბერსა და მამამზეს თავები არ შერჩებათ მხრებზე».

მტკიცედ, აუღელვებლად სთქვა მეფე გიორგიმ და მზერით ამცნო კათალიკოსს, თუ ასე არ მოხდა, შენი ლოცვა-კურთხევა ვერას უშველისო განდგომილთ.

კათალიკოსს ეზოსმოძღვარის ნაჩურჩულევი გაახსენდა, მამამზის წასვლის შემდეგაც ჯარის გაგზავნას აპირებენო ქორსატეველას ციხეში, მეფის ნათქვამი რა ისმინა, გაუხარდა, თათბირნი ჩემნი შეუწყნარებიაო გიორგის. ავადმყოფობა მოძალებული ჰქონდა, მაგრამ სისხლისღვრის ჩამოვარდნას საერისთავოში წასვლას არჩევდა.

თავი აიღო მელქისედეკმა, კმაყოფილი სახით თანხმობა ამცნო სიტყვის დაძვრამდის გიორგის; წარბშეყრილი და მოღუშული იჯდა ზვიად სპასალარი, ფარსმან სპარსი კვლავ ფეხზე იდგა, დაქანცულობას ვაგლახად დაეღრიჯა მისი დამჭკნარი და ქოსა სახე.

VII

მეორე დღესვე ქორსატეველას ციხისაკენ დიდძალი ამალით გაემგზავრა მელქისედეკი. ოთხი ეპისკოპოზი იახლა: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი და მტბევარი. ორასზე მეტი ხუცესი და ბერი, ბერთა შორის თორმეტი გამოცდილი მსტოვარი გაატანა სპასალარმა კათალიკოსს, ბერის ჩოხაში გამოწყობილნი.

მათ დაწვრილებით უნდა შეესწავლათ ერისთავის კარისა და საერისთავოს ცხოვრების ყოველი საიდუმლო და კათალიკოსის მობრუნებამდის საჩუქრად მოეხსენებინათ მეფისათვის.

ამ პროცესსიას ჯვარის მტვირთველნი მიუძღოდა წინ, ამინაშატის ხატი და ძელიცხოველი მიჰქონდა თან.

ქორსატეველამდის ექვსიოდე ეჯი უკლდათ, როცა მამამზე ერისთავი დიდის ამალით შემოეგება ქრისტეს მოსაყდრეს წინ.

თვალი მოჰკრა თუ არა მღვდელმთავარს, მამამზე მყისვე დაქვეითდა, ისრის მისაწვდენი ადგილი ფეხით გამოიარა თავისი სახლთუხუცესის ტოხაისძის თანხლებით, მიუახლოვდა, მუზარადი მოიხადა და ეამბორა ხელზე საპატიო სტუმარს.

კათალიკოსი ოქროს ზანზალაკებით მორთულ ჯორზე იჯდა და ასე მიდიოდა ბზის ტოტებით მორთულ გზაზე. ხეობის უბეებში მოგროვილი თავშიშველა მონები, დედაკაცები, ბავშვები, ქადაგები და მათხოვრები უკან მისდევდნენ ამალას, მკერდზე მჯიღს იცემდნენ, გალობდნენ ოსანას.

მამამზემ შავლეგ ტოხაისძეს წამუყო, ორივენი კვლავ შესხდნენ ცხენებზე და უკან მოექცნენ პროცესიას.

იჯდა თორიანი გოლიათი ჩალისფერ იაბოზე, თავის უზარმაზარი ცხენის დაცქვეტილ ყურებს შორს გადახედავდა ჯორზე დაყუნცულ ჩია ბერიკაცს, შავჩოხიანი ბერების ლაშქარსა და მათ წინ მდებარე ცარიელ გზას. აღელვებული ცქმუტავდა უნაგირზე.

მოღუშულმა ერთბაშად კისერი მიიდრიკა გვერდით მომავალ მხედრისაკენ და ეკითხება ტოხაისძეს:

«რად იგვიანებს, თუ იცი, ჭიაბერი, შავლეგ?»

«ჭიაბერი და მისი ამალა მზად იყვნენ, რა მოგახსენოთ, ერისთავთ ერისთავო!»

«უბედურება ის იქნება, თუ ჭიაბერი გაჯიქდა ისევ და არ შეეგება კათალიკოსს».

თითქმის ჩურჩულით სთქვა მამამზე ერისთავმა. ცხენს წაუტლაშუნა მათრახი.

ამის თქმა მოასწრო მამამზემ და ადგა გზის ასაქცევთან ბუღი.

თავისი გაჯაგრული, შავი მარჯვენა თვალზე მიიჩრდილა შავლეგ ტოხაისძემ და მზერა მისი ანაზდეულად მისწვდა მუზარადებისა და თორ-აბჯარის ლაპლაპს შორეულ მზვარეში.

«მოდიან, მოდიან»... წამოიძახა ტოხაისძემ. მამამზემაც იფარა ხელისგული, მაგრამ ვერაფერი დაინახეს მისმა თელგამიანმა, ჭროღა თვალებმა, რომელნიც დათვის მიერ დატორვის შემდეგ არ აპირებდნენ სავსებით გაჯანსაღებას.

«ჭიაბერია, ჭიაბერი, ერისთავთ-ერისთავო», სთქვა ტოხაისძემ და გაჰქუსლა თავის ძუძუმტეს შესახვედრად ცხენი.

«უთხარი უეჭველად ემთხვიოს კათალიკოსს ხელზე», დააბარა სახლთუხუცესს მამამზემ. ვიდრე ტოხაისძე სადავის მოკრებას მოასწრებდა და დეზს ჰკრავდა ცხენს.

ზუჩიანი, თორიანი მხედრები ქევქევით მოაჯირითებდნენ ცხენებს, როცა კათალიკოსის ამალას გაუსწორდნენ, დაწინაურდა ოქროს მუზარადიანი, მშვენიერი ვაჟკაცი, დაქვეითდა და მეაბჯრეს მიუგდო ცხენი.

მუზარადი მოიხსნა, თავთუხისფერი კულულები გადმოიღვარა მის მაღალ შუბლზე. დიდრონი, ცისფერი თვალები მიაშტერა კათალიკოსის დალეულ ავადმყოფურ სახეს, ღილივით წვრილსა და ციმციმა თვალებს. თავისი გოლიათური მარჯვენა გაუწოდა სტუმარს. ზიზღნარევი ძრწოლით აღვსილმა თავი მოიდრიკა, ცივად ეამბორა მის დამჭკნარსა და გრძელ თითებს (ამ წუთში ფეხზე მდგომარე ჭიაბერი გაცილებით უფრო მაღალი მოსჩანდა, ვიდრე ჯორზე მჯდომარე მელქისედეკ კათალიკოსი).

VIII

დამრეცილი გზა სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა. მელქისედეკი თავს ძლივს იკავებდა ჯორზე. მოთავდებოდა ერთი აღმართი, ახლა მეორე დაიწყებოდა. ავიდოდნენ მწვერვალზე, მხარმარცხნით გაუხვევდნენ, ისევ ახალ აღმართს შეუდგებოდნენ, ისევ და ისევ.

ბოლოს გამოჩნდა ქორსატეველას ციხე-დარბაზი და საბრძოლო გოდოლები სწორედ იმ მწვერვალზე, სადაც ამდენ ხანს მხოლოდ ღრუბლებს ჰხედავდა კათალიკოსი.

ახლა კი ხანგრძლივად აღმასვლამ ისეთი უცნაური გულის ძგერა მოჰგვარა მელქისედეკს, იგი ვეღარც ღრუბლებს ჰხედავდა და ვეღარც ქორსატეველას ციხეს.

ცალ მხარეს სტეფანოზ ბერი მიჰყვებოდა ჯორით, ცალი მკლავი მამამზეს ეჭირა, გაფითრებული მელქისედეკ მიცვალებულივით იჯდა ჯორზე და ყოველ წუთში ელოდა ძირს ჩამოვარდნას.

უკვე ქორსატეველას პირველ გოდოლს მიადგნენ, მაგრამ მელქისედეკმა სავსებით დაჰკარგა ცნობიერება და ოთხმა ბერმა ხელით ჩამოიღეს იგი უნაგირიდან.

მამამზის მეუღლე ბორდოხანი ფანატიურად მორწმუნე იყო, იგი შორიდან თაყვანს სცემდა მელქისედეკ კათალიკოსს, როგორც «შესანიშნავ მწყემსს ქრისტეანობისას და ეკლესიათა დიდ აღმშენებელს».

პირველ გოდოლთან დაუხვდა იგი კათალიკოსს თავის შიმუნვარებითა და მოახლეებით. როცა სულთმობრძავი მღვდელმთავარი ჯორიდან ჩამოიღეს, მანდილოსნები მისცვივდნენ მას.

ზოგი ხელ-ფეხზე ეამბორა კათალიკოსს, ზოგიც ტანისამოსის კალთებს უკოცნიდა.

ორხოვით, ფარდაგებით და ნატებით მორთულ დარბაზში შეიყვანეს კათალიკოსი და ტახტზე დაასვენეს.

მამამზე ფრიად შეშფოთებული იყო, რადგან კარგად იცოდა, მეფე გიორგი უთუოდ ჭიაბერს შესწამებდა კათალიკოსის სიკვდილს და ეს უცილოდ გაამძაფრებდა ისედაც გამწვავებულ ურთიერთობას.

ბორდოხან, ერისთავის მეუღლე, ღაწვებს იხოკდა, მთელი სიცოცხლე იმის ნატვრაში იყო, მელქისედეკ კათალიკოსი თვალით ენახა ოდესმე.

სამგზის წავიდა მის სანახავად მცხეთას და სამგზისვე ხელი მოეცარა, მელქისედეკი ხან უფლისციხეს აღმოჩნდებოდა წასული, ხან არტანუჯის ეკლესიების ასაშენებლად და მოსაკაზმავად.

ახლა უჩვეულო ბედნიერებას ეღირსა ბორდოხან, მელქისედეკ კათალიკოსი ქორსატეველას ციხე-დარბაზს ეწვია, მაგრამ უკვე სულთმობრძავი და განწირული.

ცამეტი წლის კატაი გაოცებული შესცქეროდა ატირებულ დედას და ვერ გაეგო, თუ რად აწუხებდა მას ამ ჩონჩხადქცეული მოხუცის სიკვდილი?

ბორდოხან ძველი ქართველი მანდილოსნების დარად აქიმობაში განსწავლული იყო ფრიად. ერთი წუთი მოისაზრა, მებადური ბიჭები ჩააგზავნა არაგვში და ორაგულის ლიფსიტები დააჭერინა საჩქაროდ.

დიდხანს უზილეს ცივი ტილოთი გულ-მკერდი კათალიკოსს ბორდოხანმა და მისმა უფროსმა დამ რუსუდანმა, გონს მოიყვანეს ძლივს.

მამამზემ თავათ შემოიტანა ლანგარზე დაწყობილი ცოცხალი ლიფსიტები.

ადგა ბორდოხან ერისთავი, საკუთარი ხელით დააცალა ლიფსიტებს ფრთები, ისე, როგორც კარაბადინში ჰქონდა ეს წამლობა ამოკითხული, და თორმეტი ლიფსიტა სათითაოდ გადააყლაპინა მელქისედეკს, სულ რამდენიმე წუთში კათალიკოსი გამომჯობინდა.

ბორდოხან ფერხთით დაუვარდა მელქისდეკს, რელიგიურ ექსტაზში შესული სტიროდა და ტანისამოსის კალთებს უკოცნიდა კათალიკოსს.

გულამრეზილმა ჭიაბერმა ვერ აიტანა ასეთი უსიამო სურათის მზერა. მამას უჩურჩულა: პურობის დაჩქარებისათვის ვიზრუნებო, და მყისვე გავიდა დარბაზიდან.

კათალიკოსი წამოდგა. მიიხედ-მოიხედა და ვერსად ნახა ხატები და ჯვრები გარშემო კედლებზე.

მოაგონდა მსტოვარი ბერების მოტანილი ცნობა, - ქორსატეველას ციხე-დარბაზი გაძარცვესო წარმართმა ფხოველებმა. ჯვრები და ხატები ხმლებისა და სატევრების შესამკობად გადაადნესო.

ჯვარის მტვირთველს ვაშკარანების გახსნა უბრძანა.

მამამზეს წამუყო და ჭიაბერი ახმობინა.

ჭიაბერი შემოვიდა და უჩურჩულა მამას: პურობისათვის მზად იყავითო. მცირეწლოვანი კატაი შემოუძღვა შიმუნვარებს, პირსახოცი მხარზე ეფინა.

თავმოდრეკილი მივიდა კატაი, ხელზე ეამბორა კათალიკოსს, შემდეგ თავათ აიღო სურა და ხელი დააბანინა ჯერ მელქისედეკს, შემდეგ ოთხივე ეპისკოპოზს.

ხელის ბანა რომ მოთავდა, ამინაშატის ხატი აიღო კათალიკოსმა, გადასცა მამამზეს, მის წინაშე მონურად ქედმოდრეკილს, და დასძინა: მეფემ გისახსოვრათო.

მამამზემ დაიჩოქა ბალღივით, ჯერ მუხლზე ემთხვია. შემდეგ ხელზე, მერმე ამინაშატის ხატს აკოცა და ფარისევლური სასოებით ჩაიკრა იგი მკერდში, ისევ გამოიღო და ხელახლა ემთხვია.

ახლა ჭიაბერი მოიხმო კათალიკოსმა, შორიახლო მდუმარედ მდგარი.

როცა ეს ოქროსკულულებიანი გოლიათი ეახლა, ჰაერში ჯვარი გადასახა სახეშეჭმუხვნილმა მელქისედეკმა, მერმე ძელისცხოველის ჯვარი ამოიღო ლუსკუმიდან, დააცქერდა მის ფერხთით დამუხლულის თავთუხისფერ კულულებს და მკაფიოდ სთქვა:

«მეფედ მეფემან გიორგიმ, აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა ბატონმა გიბრძანა, ერისთავთ-ერისთავო, ჭიაბერ»... – თანაც შთაგონებულად ზეასწია ხელი.

«მეფეთ მეფემან გიორგიმ გიბრძანა, – განიმეორა მტკიცედ და ხმა აუკანკალდა კათალიკოსს, – განაგდო ეშმაკეული, ქრისტეს შჯულად მოიქცე კვლავ და მოკრძალებით ემთხვიო ამ ძელიცხოველსა».

ეს უთხრა და ზედ ტუჩთან მიუტანა ჯვარი მის ფერხთით დაჩოქილს.

ყველანი თავჩაქინდრული შესცქეროდნენ ამ სცენას, ბორდოხან კუთხეში დაჩოქილი სტიროდა ბალღივით, მოხუცი აზნაურებიც ფეხზე იდგნენ და სასოებით ისმენდნენ კათალიკოსის ქადაგებას, რომელშიაც მელქისედეკი აფრთხილებდა ყველას, ვისაც რაიმე წილი სდებოდა ფხოველთა მიერ მოწყობილ ამბოხში, ემუქრებოდა ძელიცხოველის სახელით.

შავლეგ ტოხაისძე განმარტოებით მიყუჟულიყო ბნელ კუთხეში, ბრაზმორეული აკრიჭინებდა თავის წვეტიან, ნადირისებურ კბილებს.

ჭიაბერი ზიზღნარევი ძრწოლით ემთხვია ჯერ ჯვარს, შემდეგ კათალიკოსის მარჯვენას. წამოდგა თუ არა იგი, მელქისედეკმა დაოკებული ბრაზის ნატამალი დაიჭირა მის მშვენიერ, ცისფერ თვალებში.

IX

პურობის დროს იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი და მტბევარი მიუსვეს კათალიკოსს მხარმარჯვნივ, ხოლო მხარმარცხნივ თავათ მამამზე მიუჯდა, მის გვერდით ბორდოხანი და ჭიაბერი დასხდნენ.

შავლეგ ტოხაისძე და თორმეტი აზნაური არაგველნი მკლავწაკარწახებულნი ემსახურებოდნენ საპატიო სტუმრებს.

მამამზე თავათ აწვდიდა კათალიკოსს ხან ზურგიელს, ხან ჭანარს, ხან მურწას, რადგან მელქისედეკმა გახსნილების შემდეგაც თევზის გარდა არა ინდომა რა.

ისევ წამოდგა მამამზე და ახლად შემწვარი კალმახი მოართვა სტუმარს.

ჭიაბერი მამისაკენ გადაიხარა და უჩურჩულა: ღვინო მემწარა, წავალ და გამოვაცვლევინებო ღვინოს.

ეს სთქვა და დარბაზიდან გავიდა.

ისევ გაუწოდა კალმახით სავსე ლანგარი მამამზემ სტუმარს, უქებდა არაგვის კალმახს, რაც უფრო აღმა ამოყვება კალმახი მდინარეს, მით უფრო გემრიელიაო იგი. ახლა ქვირითობა იწყება მალე და თუ შენი მეუფება დიდხანს დაყოვნდება ქორსატეველას ციხე-დარბაზში, ყოველდღე ახალ ქვირითსა და კალმახს მოგართმევო.

ერთბაშად კალმახის ამბავი დააგდო მამამზემ და ძელიცხოვლის ჯვარის გამო დაუწყო საუბარი. გამიგონია ამ ჯვარს დიდი სასწაულები მოუხდენიაო კლარჯეთში - იმერხევში ეკლესია დაქცეულა მიწისძვრის დროს, ყოველივე შემუსრულა საკურთხეველში, ხოლო ძვირფას ლუსკუმაში ჩადებული ძელიცხოველი უვნებლად გადარჩენილიყო.

კათალიკოსი კალმახს ჭამდა, მდუმარედ ყურს უგდებდა ნაუბარს.

როცა ძელიცხოველის ჯვრის სასწაულების ამბავი მოათავა მამამზემ, მელქისედეკმა თავი დაუქნია, - დაუმოწმა, ეს ასე ჭეშმარიტად აგრე მოხდაო.

მამამზემ ეს ამბავი აღარ განაგრძო, თუმცა იმ ჯვარის მცხეთაში კვლავ ჩამოტანის ისტორიაც ჰქონდა გაგონილი ეზოსმოძღვრისაგან. ერთბაშად ეს ამბავიც დააგდო და თითქმის ჩურჩულით ეუბნება მელქისედეკს:

«ჩემს აქ არ ყოფნაში წყეულ ფხოველებს დაუქცევიათ ჩემი საერისთავო, შენო მეუფებავ, ეკლესიები გადაუწვავთ, ჩემი ვაჟი ჭიაბერი და სახლთუხუცესი ტოხაისძე ჯარით შეგებებიან წინ, სასტიკი ბრძოლა გაუმართავთ, მაგრამ ფხოველნი განა მარტონი იყვნენ? მტრის სიმრავლისაგან ოტებულნი უკუქცეულან და ქორსატეველაში ჩაკეტილან ჩვენები.

მერმე წყარო მოუწყვეტიათ უსჯულოთა, ციხე აუღიათ, დარბაზები გაუძარცვავთ, არც ერთი ხატი, არც ჯვარი შეგვარჩინეს მამა-პაპათა დანატოვარი».

მელქისედეკმა კალმახს თავი წასჭამა, მცირე ხანს ღეჭავდა ლუკმას უკბილო ბერიკაცი, მერმე აცახცახებული ხელით ფხა გამოიღო პირიდან, თეფშის ლინგზე დააწყო, მამამზეს მიუბრუნდა და ეუბნება:

«მეფე გიორგის ეს ყოველივე წვრილად მოხსენდა თავის დროზე. ეს იყო, შენ დათვმა დაგტორა, მეფემ პატივი დაგდო, როგორც საპატიო სტუმარსა და ავადმყოფს, ამიტომაც არ გაგიმხილეს».

შემდგომ ამისა ისევ დაითრია მელქისედეკმა მოზრდილი კალმახი, ისევ წასჭამა თავი.

მამამზე ლიქნიდა კათალიკოსის წინაშე მრავალი ფიცითა და აღთქმითა. მეფის მზესა და ბაგრატ კურაპალატის სულს იფიცავდა. ჩემს ხელში დალია ბაგრატ კურაპალატმა სული ფანასკერტელის ციხეში, მე და ზვიად ერისთავს ჩაგვაბარაო მცირეწლოვანი გიორგი და მთელი საქართველოს ბედი.

ბაგრატმა ჩამომართვაო სიკვდილის წინად ფიცი და ამ ფიცის ერთგული ვარო დღემდის. მე და ჩემი თანამეცხედრე ბორდოხან დღე და ღამეს ლოცვაში ვატარებთო, მეუფეების შენის მიწა ვართო, მე და ჩემი მეუღლე, ჩემი ვაჟი ჭიაბერი და ქალი კატაი.

ეს საუბარი არა ჰქონდა მოთავებული მამამზეს, როცა კათალიკოსმა მამამზის წინაშე მდებარე ლანგარისაკენ გამოიხედა რადგან იშხნელსა და მაწყვერელს მუსრი გაევლოთ კალმახისათვის.

მამამზეს სიტყვა გაუწყდა პირში და როცა ახალი ლანგრით მიართმევდა კათალიკოსს კალმახს, მელქისედეკმა ღილივით წვრილი და შავი თვალები შეაგება ისრიმისფერ თვალებს, მამამზის დაფანჩვულ წარბებს ქვეშ აწრიალებულთ.

ბორდოხანმა შენიშნა ჭიაბერის გასვლის შემდეგაც რომ არ გამოსცვალეს ღვინო.

გაოცდა: რად იგვიანებსო ამდენ ხანს? მელქისედეკის გასაგონად ბოდიში მოიხადა და დარბაზიდან გავიდა. კათალიკოსმა ხელახლა აიღო მოზრდილი კალმახი ამასაც წასჭამა თავი და მასპინძელს მიუბრუნდა:

«მეფეთ მეფე გიორგი სულგრძელია. იგი დიახაც ისმენს თათბირთა ჩემთა. რამეთუ არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღებაი. ესე ხამს ქრისტიან მეფეთა და ეკლესიის მწყემსთა სახარებითა მაცხოვრისათა და ჯვარითა პატიოსანითა უჩვენონ ქვეშევრდომთა თვისთა გზაი ჭეშმარიტ, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, რათა ძალმან ძელისაცხოველისამან განანათლოს ბნელი ცთომილების გზაზე შემდგართა გულში.»

ეს სთქვა კათალიკოსმა და დარბაზში ბორდოხანი შემოიჭრა, ჭიაბერი კვდებაო, გაოგნებულმა შეჰკივლა და გაიქცა.

სტუმრები წამოცვივდნენ, ვიდრე იშხნელი და მაწყვერელი ჭიაბერის საწოლ დარბაზში გაიყვანდნენ კათალიკოსს, ჭიაბერს უკანასკნელი სუნთქვა გასცლოდა უკვე.

ტოხაისძე თავზე წამოდგომოდა და აპატიოსნებდა ცხედარს.

ავიაო, დაიბუხუნა მამამზე ერისთავმა და მისი გოლიათური სხეული დაგორდა იატაკზე.

გაფითრებული მელქისედეკი დააშტერდა მიცვალებულს, უკვე ჩამქრალიყვნენ მისი მშვენიერი, ცისფერი თვალები.

წესის აგებისას ამოიღო კათალიკოსმა პაწია, ჩალისფერი ლოცვანი და აბუტბუტდნენ მისი დამჭკნარი ტუჩები...

...«ავაზაკთა შორის ჯვარს ეცვი, მხსნელო, დაისაჯე ძელითა ცხოველითა, სიკვდილი მოჰკალ უკვდავმა სიკვდილითა, სამდღე დაფლობილმან ხორცითა, ბნელი განაქარვე ნათლითა».

ბორდოხან ლოყებს იხოკდა, მდუღარე ცრემლით მისტიროდა შვილს, უკოცნიდა ჩაცვენილ თვალებს, ხანაც კათალიკოსს დაუვარდებოდა ფერხთით, ფეხზე ეხვევოდა, ევედრებოდა: აღადგინეო ჩემი საყვარელი შვილი, ისე, როგორც ქრისტემ - ლაზარე.

გაოგნებული მამამზე თავში იცემდა ორივე ხელს, ცრემლი გაშრობოდა სრულიად.

მხოლოდ შავლეგ ტოხაისძე იდგა გულზე ხელდაჭდობილი დასისხლიანებული, ამღვრეული თვალებით მისჩერებოდა კათალიკოსს და მის გულში წყალგადასხმულ ნაღვერდალივით შიშხინებდა მელქისედეკის მიერ წარმოთქმული ლოცვის ერთ-ერთი ლექსი:

...«დაისაჯე ძელისცხოველითა? ვის გულისხმობდა კათალიკოსი, ჭიაბერს თუ ქრისტეს?»...

პანაშვიდის გათავების უმალვე ერისთავების სახლეულმა და სტუმრებმა იწამეს, რომ კლარჯეთელმა ძელიცხოველმა მორიგი სასწაული ჩაიდინა ჭიაბერის მოკვლით.

თავად მამამზეც შედრკა, მანაც დაიჯერა ეს სასწაული. მისი აზრით ახლა ტოხაისძის, კოლონკელიძისა და მისი ჯერი იყო მომდგარი, მაგრამ უეცარი სიკვდილი სანატრელად უჩნდა ვაჟკაცი შვილის დამკარგველ მოხუცს.

ანაზდად გამოიცვალა, მოტყდა მამამზე, ახლა მთლად ფეხქვეშ ეგებოდა კათალიკოსს და მის ამალას.

იმ ღამესვე აღსარების ნება სთხოვა მელქისედეკს და აღიარა თავისი და ჭიაბერის თანაზირობა ფხოველთა ამბოხში.

X

ქორსატეველას ციხეში კათალიკოსის ჩასვლამ (უკეთ რომა ვთქვათ, ძელიცხოველისამ) და ჭიაბერ ერისთავის სიკვდილმა შიშის ზარი დასცა კავკასიონის წარმართებს.

ქრისტიანები წელში გასწორდნენ, დილეგებიდან ამოიყვანეს ფხოველთა ამბოხის დროს შეპყრობილი ხუცები და მედავითნენი, ყველა, ვინც ცოცხალი გადაურჩა ხალხის რისხვას.

ცრუმორწმუნებას ფრთები შეესხა, აგრე ამბობდნენ: ძელიცხოველი მოდისო კათალიკოსის თანხლებით, კერპები და ბომონები მის გამოჩენისას ცამტვერდებიან, წარმართნი ემთხვევიან თუ არა, მყისვე განუტევებენო სულს.

მელქისედეკ კათალიკოსი სისასტიკით არ იყო ცნობილი, მას მთელს საქართველოში სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ეკლესიათა მშენებელსა და უებრო ასკეტს, ძელიცხოველს გაცილებით უკეთ იცნობდნენ მთეულნი.

თავდაპირველად ვახტანგ გორგასალსა ჰქონდა იგი, როგორც «საომარი ჯვარი»; წინ უძღოდა მეფის ლაშქარს, როცა კავკასიონი გადალახა ვახტანგმა და «დიდმა მთებმა შეჰქმნეს დრეკა».

ალანნი, წანარნი და ღალღაი უცნაურ ლეგენდებს სთხზავდნენ მის სასწაულთა გამო.

ლუსკუმიანად ცხრა გირვანქა იყო ძელიცხოველი, სამნახევარი წყრთის სიმაღლისა და წყრთა-ნახევრის განისა.

ლეგენდების მიხედვით, სვეტიცხოველის ხისაგან უნდა ყოფილიყოს იგი იმ ეპოქაში გაკეთებული, როცა წარმართული ხის კულტი შეიგუა ქრისტიანობამ.

ძელიცხოველს სხვადასხვა საუკუნეში შემოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.

ერთი მემატიანის ცნობით ეს ჯვარი დაკარგულა სწორედ იმ დღეს, როცა ხაზარებმა პირველად აიღეს ტფილისი.

აშოტ კურაპალატს უტარებია სარკინოზების წინააღმდეგ ომებში ძელიცხოველი, ბოლოს საბერძნეთში განტოლვილს თან წაუღია იგი. ბიზანტიაში პატიოსანი თვლებით მოაოჭვინა თურმე მისი ლუსკუმა.

853 წელს, როცა სარკინოზებმა ტფილისი აიღეს, კახაი და თარხოჯი მოჰკლეს, ეს ჯვარი ბუღა თურქს ჩავარდნია ხელში.

ძელიცხოველს ბედი სწყალობდა: როცა მისი იმედით აღჭურვილი ერისთავები და მეფეები გაიმარჯვებდნენ, მემატიანენი ჯვარს ადიდებდნენ, «ვითარცა ძლევამოსილს», ხოლო როცა ისინი მარცხდებოდნენ, ჯარის სიმცირეს, ან სტრატეგიულ მარცხს, რომელიმე სარდალს ან მეფეს აჰკიდებდნენ ხოლმე ბრალს.

ცნობილია, ადამიანები ღვთაებას უფრო იოლად აპატივებენ ხელის მოცარვას, ვიდრე კაცთაგანს და სწორედ ამან შეუქმნა ვახტანგისეულ ძელიცხოველს ზვიადი სახელი.

არაბებთან ბრძოლაში 50.000 ქართველი დაიღუპა ტფილისში, თავათ ძელიცხოველიც «წარტყვენილ იქმნა», იმდროინდელ ჟამთაღმწერელს ჯვრისთვის არ მოუკითხავს ბრალი.

მთიულეთში სალაშქროდ მიმავალ ბუღა თურქს მთეულებმა და ხევსებმა მოუჭრეს გზა. «მოისრნა სარკინოზთაგან ურიცხვი» და თოვლის ქვეშ დაიღუპა მრავალი.

ერთმა მენადირე მთეულმა არაგვის პირად დახოცილ სარკინოზების გვამთა შორის დიდძალი ნაალაფარი და ერთი ვაშკარანი იპოვნა, ვაშკარანში სავსებით გაძარცვული ძელიცხოველი, და ბაგრატ კურაპალატს მიუტანა უფლისციხეში.

სარკინოზების შემუსვრა მამაც მთეულთა და ზვავებს როდი მიაწერეს, არამედ ძელიცხოველის ჯვარს.

ბაგრატმა ვერცხლით მოაჭედვინა მისი ლუსკუმა ოქრომქანდაკებლებს და პატიოსანი თვლებით შეამკობინა კვლავ.

იმ ბნელ ეპოქიდან სულ მცირე ცნობები მოღწეულა ჩვენ დრომდის; მესხური ერთი დავითნის მინაწერიდან ირკვევა: კიდევ ერთი ომი მოუგია ბაგრატ კურაპალატს «მეოხებითა ძელისა ჭეშმარიტისათა».

ბარდას-სკლიაროსის შემუსვრისას ძელიცხოველი წინ უძღოდა თურმე თორნიკე ერისთავის ლაშქარს.

ამის შემდეგ დიდხანს სდუმდნენ ჟამთაღმწერელნი ამ ჯვარის გამო. როცა ბაგრატ III და გაგიკ სომეხთა მეფემ ზორაკერტთან შემუსრეს განძელი ამირა

ფადლონი, ეს გამარჯვება მოძმე ერების კავშირს როდი მიაწერეს, არამედ «ძალას პატიოსანის ჯვრისას».

ბასილი კეისართან ატეხილ ომებში წინ უძღოდა იგი გიორგი პირველის ლაშქარს, მაგრამ დამარცხებულმა მეფემ გული აიცრუა მასზე, გზაში ოლთისი დასწვა და უკუიქცა.

ბერძნების ჯარის მეწინავე ჯვარისმტვირთველი შეეპყრათ ერთ ტყეში, ორი წლის შემდეგ ტაოს კარში ეპოვნა ჯვარი ერთ ბერს, მაწყვერელისთვის მიეტანა, მაწყვერელს კათალიკოსისათვის მიურთმევია. მერე ის იყო, ახალ წელს მეფეს უკვლია მელქისედეკმა იგი.

როცა ამ ჯვარმა ბიზანტიონთან ომი ააცდინა გიორგის, ჭიაბერს სიცოცხლე მოუსწრაფა და კავკასიონის წარმართებს შიშის ქარი შეჰყარა, გიორგის გული მოუბრუნდა მისდამი.

შეძრწუნდნენ არა მარტო წინართა და არაგველთა აზნაურები, არამედ ფხოველთა ხევისბერებიცა.

აურაცხელი ხალხი მიაწყდა ჭიაბერის ტირილს, ქელეხში თავმოყრილთა შორის უმეტესნი ამ საოცარი ჯვრის საჭვრეტლად იყვნენ მოსულნი.

XI

ჭიაბერის გარდაცვალების მეორე დღეს მამამზე ერისთავმა შაოსანი მაცნენი გაუგზავნა მეგობრებსა და მოკეთეებს.

პირველი მაცნე კვეტარს აფრინა, ჭიაბერის ფარი და ჯაჭვის პერანგი თან გაატანეს.

თავში ხელის ცემითა და ზარის ღიღინით მიეახლნენ მაცნენი კვეტარის ციხეს.

პირმშვენიერმა შორენამ ნუშისგულივით თეთრი ღაწვები დაიხოკა, დალალები დაიშალა, მამას მკერდზე მიეყრდნო და ატირდა საწყალობელად.

ჭიაბერი ოვსეთში იყო აღზრდილი, აზნაურის თაყაის ოჯახში. თორმეტი ვაჟი ჰყავდა თაყაის.

ძუძუმტეებმა ჭიაბერისეული ხმალი რა დაინახეს, ხმამაღლა ტირილითა და ზარით ეახლნენ ბორდოხანს, მუხლზე მოეხვივნენ და დაიწყეს გლოვა.

თაყაი უსინათლო იყო, ითხოვა მომიტანეთო ჭიაბერისეული ხმალი. ხელი მოუსვა ვადაზე, კოცნიდა ხმალს და სტიროდა გულდამდუღრული.

სამასი თორიანი ცხენოსანი თან ახლდა თალაგვა კოლონკელიძეს, მის თანამეცხედრეს და ძაძითმოსილ შორენას.

მიეახლნენ თუ არა ქორსატეველას ციხეს, დალალნი დაიშალა შორენამ, საშინელი კივილი მორთო, შაოსანი მოზარენი ღიღინით მოსდევდნენ ცხენდაცხენ.

ჭიაბერის სასძლო შორენა მოკივისო რა შეიტყვეს ქორსატეველას ციხეში, დიდი და მცირე ციხის ჩარდახზე გამოეფინა. სტუმრები, მხევლები და მონები სამზერებს მიეჭრნენ.

შავით მოსილი მხედრები ღიღინებდნენ გლოვის ზარს და ამ გულის გამგმირავ ზუნს მოძახილად ერთვოდა შორენას ცადამწვდენი კივილი.

დაქვეითდნენ მხედრები, ჯერ გურანდუხტი ჩამოიყვანეს ცხენიდან, თალაგვას მეუღლე, მერმე შორენა და მისი მოახლენი.

კივილითვე შემოვიდა ციხეში შორენა, ცალი მკვლავი მისი მამას ეჭირა, ცალიც კონსტანტინე არსაკიძეს, უწვერულ ჭაბუკს.

მეფე გიორგი და მისი ამალა უკვე პირველ გოდოლში იყვნენ ამ დროს მოსულნი. მამამზე და შავლეგ ტოხაისძე გოდოლის კართან შეეგებნენ სტუმრებს.

არავინ ელოდა გიორგის მოსვლას, მაინც ყველანი შორენას უთვალთვალებდნენ, ღაწვებდაკაწრულს.

მხარმარჯვნით დედოფალი მარიამ ახლდა გიორგის, მხარმარცხნით ზვიად სპასალარი.

მამამზე მიეჭრა მეფეს, მარჯვენა მკერდზე ეამბორა და მის მკლავებში ატირდა ბალღივით.

გიორგისაც გული აუჩვილდა, ამ წუთში მართლაც ეწყინა ჭიაბერის სიკვდილი, ძველი მამამზე მოაგონდა, თავისი მამის სიყრმის მეგობარი.

გიორგიმ შორენას თვალი ჰკიდა, შეფარვით შეხედა ხელახლა, ეს გაიფიქრა:

საოცარია, ტირილი არავის შვენის, არც ბალღს, არც ყრმას, არც ჭაბუკსა და არც მოხუცს, მხოლოდ ლამაზ ქალს შვენისო ტირილი.

მერმე კონსტანტინე არსაკიძეს გადახედა, იგი ძლიერ წააგავდა შორენას. ფხოვური ჩოხა ეცვა და ჟანგისფერი თორი.

ძმა ხომ არ არისო ეს ვაჟი შორენასი?

გაახსენდა: მხოლოდშობილი რომ იყო შორენა.

თალაგვა კოლონკელიძე თავმოდრეკილად ეახლა მეფესა და დედოფალს, უკუდგა და თაყვანი სცა ორთავეს.

გულმოკლული სასძლოს მწუხარება დასჩრდილა თავშიშველა, წვერდახოკილი, საკინძეშემოხეული თაყაის გოდებამ.

დამხვდური მოზარენი ღიღინითვე შეეგებნენ უსინათლო მამამძუძეს. მოხუცი წვერს იგლეჯდა, თავპირს იღადრავდა და ყვიროდა:

«ვაჰვუ მესერბუნ, ვაჰვუ მესერბუნ»

თაყაის დანახვაზე გული აუდუღდა მამამზეს, ყელზე შემოეჭდო უსინათლოს, თორაბჯარში გამოწყობილ ცხედართან მიიყვანა მამამძუძე, დედამძუძე და ძუძუმტენი.

თაყაი ხელის ფათურით შეეხო ჭიაბერის გაცივებულ გვამს, თხემიდან ტერფამდის დაჰკოცნა და ისევ დაიშინა მუშტი სახესა და მკერდზე.

დალალებდაგლეჯილი დედამძუძე კიოდა, თორმეტივე ძუძუმტენი ოსურად ლუღლუღებდნენ და თანდამსწრეთათვის გაუგებარ ენაზე მოთქმა მთლად ამაზრზენად ხდიდა მათ გლოვას.

უსინათლო თაყაის ქვითინმა საოცრად შესძრა გიორგის გული, ახლა იგიც დააღონა ჭიაბერის სიკვდილმა. მამამზეს შემოეხვია და გულწრფელად ატირდა თავათაც.

თვით გულმძვინვარე სპასალარსაც ცრემლი მოჰგვარა ღრმად მოხუცებულის, უსინათლო ბერიკაცის გულისმომკვლელმა მოთქმამ და მიხრწნილებაში გადამდგარ დედამძუძეს ტირილმა.

სიკვდილმა თითქოს წამიერად შეარიგა მოსისხარნი.

ჭიაბერის ცხედრის წინ იჯდა უსინათლო მამამძუძე და გოდებდა, იგონებდა ჭიაბერის ბავშვობას, სიყრმეს და სიჩაუქეს. აქებდა მის ტანკენარობას, ცისფერ თვალებს და ლომგულოვნებას.

«ვაჰვუ მესერბუნ, ვაჰვუ მესერბუნ!»

შენ ხარჯიხვი იყავიო, სულო, და ტურებმა როგორ შეგბედესო, შენ მთის მგელი იყავიო და მელიებს რა ხელი ჰქონდათო შენთან? შენ შევარდენი იყავიო და წუნკალა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელყოფა?

«ვაჰვუ მესერბუნ, ვაჰვუ მესერბუნ!»

მიმიყვანეთო იმ ჯვართან, ყვიროდა უსინათლო თაყაი.

მე მოვეკალიო იმ ტიალს, შენს მაგივრად. სიკვდილს რა ხელი ჰქონდაო შენთან? მოვეკალიო მაგ ოხერ ძელიცხოველს.

«ვაჰვუ მესერბუნ, ვაჰვუ მესერბუნ».

მოთქვამდა თაყაი, თავში იცემდა ხელს, თავის უსინათლო თვალებით შესცქეროდა გარსმომდგარ წყვდიადს.

კათალიკოსს ოსური არ ესმოდა, ამიტომაც მას არ გაუგონია მოხუცი თაყაის მიერ ძელიცხოველის გმობა. მეფე გიორგი და ზვიადი ოვსეთში იყვნენ გაზრდილნი, მათ ჯვარის ხსენებაზე ყური სცქვიტეს, იამათ კიდევაც ჭიაბერის მოკვლა ძელიცხოველის ჯვარს რომ დაუკავშირა თაყაიმ.

ტირილს სამიოდე ათასი კაცი დაესწრო, კავკასიონის მთიანეთის ყოველი თემიდან მოედინებოდა ზღვა ხალხი. ოთხივე გოდოლი, გოდოლების ერდოები, ციხე-დარბაზის ეზო, ჩარდახი ციხისა და თავათ დიდი დარბაზი, კარის ეკლესია და შემოგარენი მისნი ხალხით გაჭედილი იყო სავსებით.

ბავშვებს ჭილყვავივით დაეხუნძლათ ალვის ხეები, მათხოვრები, ბერები და გიჟები ვერსად პოულობდნენ ადგილს.

მოსულთა შორის მრავლად იყვნენ ისეთნი, რომელთაც აფხაზთა და ქართველთა მეფისათვის არროდეს მოეკრათ თვალი, არც ქართლის კათალიკოსი მელქისედეკი ენახათ, არც შორენასავით ლამაზი სასძლო, ასე გულითადად საქმროს მოტირალი, მაგრამ არც მეფეს, არც კათალიკოსს, არც შორენას ისე გაოცებით არავინ უჭვრეტდა, როგორც ძელიცხოველის ჯვარს, მიცვალებულის თავთით დაყუდებულს.

ცერებზე დგებოდნენ, კისერს იგრძელებდნენ, ბრბოში ისრისებოდნენ, შეძრწუნებულნი, გაოცებული თვალებით ეძებდნენ მრისხანე ჯვარს, ამ ლომგულოვანი რაინდის მომაკვდინებელს.

შორს მდგარნი მიახლოებას გაურბოდნენ, ახლოს მყოფნი შიშით გვერდს უვლიდნენ მას.

სპასალარი ჯვრის ახლოს არხეინად იდგა გულზე ხელდაჭდობილი, როგორც გველის მგეშავი გველის სიახლოვეს, ხან მამამზეს გადახედავდა, ხან უსინათლო თაყაის.

წოწოლა ქუდი ეხურა მამამზეს პირუკუშებრუნებული, ასეთივე წილამურიანი ტყავკაბა. იგი ძლიერ მოაგონებდა ზვიადს მათხოვრის ტანისამოსში გამოწყობილ მამამზეს, მცხეთიდან გაქცეულს.

ეს იყო მხოლოდ, ადამიანის სახე არ შერჩენოდა მოხუცს, განუზომელ მწუხარებას დაელია მისი ღაჟღაჟა, ჭაბუკური სახე.

XII

მამაპაპისეულ საძვალეში დაფლეს ჭიაბერი, მხოლოდ მესამე დღეს გაიყარნენ სტუმრები, მოზარენი და შორეული მოკეთენი.

კათალიკოსი თავისი ამალით გადავიდა გუდამაყარში. ოთხივე ეპისკოპოზი თან ეახლა, ჯვარისმტვირთველი წინ უძღოდა შაოსანთა პროცესსიას, - ხელით მიჰქონდა ძელიცხოველის ჯვარი.

გზებსა და მოედნებზე, შუკებსა და ორღობეებში უამრავი ბრბოები უხვდებოდნენ მელქისედეკს; ნახევრად შიშველი მონები, დამშეული დედაკაცები და მუწუკებიანი ბალღები ეყარნენ გზებზე.

სოფლებიდან გამოცვენილი კეთროვანები და ბნედიანები, გლახაკები და ქადაგად დავარდნილები ათასგვარ სიზმრებსა და გამოცხადებას ამცნობდნენ ტრიუმფით მიმავალ «მოსაყდრეს ქრისტესას».

მომჩივანნი ქვითკირების ერდოებსა, ხეებსა და გალავნებზე ადიოდნენ, კათალიკოსი შესდგებოდა, საჩივრებს ისმენდა, დაკეტილ ეკლესიებს გახსნიდა, მოწესეებს დაადგენდა, ბავშვებს დანათლავდა, პურ-მარილს მიიღებდა და ისევე მიჰყვებოდა შემრეცილ ბილიკებს.

ფურცლოვანი ტყეები მოთავდა, ქორისფერი ქორედები ცის სილურჯეს მიბჯენოდნენ თხემებით, არწივები ფრთხებოდნენ ჯვარისმტვირთველის ჯორის თქარუნზე, მხრებს გაშლიდნენ, ეახლებოდნენ ღრუბლებს.

სოჭისა და ნაძვის ტევრებით გაჯაგრული მთები მოთავდებოდა, ისევ ხრიოკი ქარაფები აილანძებოდნენ ცის დასავალზე, ჯიხვის ჯოგები მშვიდად ჩადიოდნენ მჟავე წყაროებთან, არად აგდებდნენ შაოსანთა ლაშქარს.

გადახრუკულ, უნაყოფო მთებში სამლოცველოების კარზე გამოტანილი პურ-მარილი აბა რას გააძღებდა ჩაკურატებულ ბერებს.

ნააღდგომევი იყო სოფლებში ბატკნის ხორცისა და ხინკალის მეტი არა მოიძეოდა რა. ბერთა შორის ეპისკოპოზნი და «ძმანი თავადთაგანნი» ხორცეულს არა სჭამდნენ. თავათ კათალიკოსი ხმელი პურითა და წყლით იკვებებოდა, მწირნი და მორჩილნი, «ჭაბუკთა ძმათაგანნი» ვეღარ იოკებდნენ შიმშილს, ხორაგეულის ჩამოსათხოვად სოფლებში ჩაგზავნილნი ლორს მოახელებდნენ ხოლმე და სჭამდნენ ჩუმად.

ბოლოს ისე მისჭირდა საქმე, ქარაფების უბეებში მიყუჟულ სოფლებშიაც ვეღარ შოულობდნენ საზრდოს. ღანძილისა და ღოლოს ანაბრად დარჩნენ როგორც კათალიკოსი, ისე მხლებელნი მისნი.

რაც უფრო მაღლა მიიწევდნენ, მით უფრო აუტანელი ხდებოდა მელქისედეკისათვის გზა. დამშეულსა და ღონემიხდილს კვლავ მიეძალა გულის მანკი. ჰაერი ეცოტავებოდა, მაგრამ სიკვდილს არ ეპუებოდა ფანატიკოსი ბერი.

ორგზის დაუვარდა ჯორი, ორჯერვე შეუნაცვლეს, მესამეც სულს ღაფავდა ქუშისაგან აქშინებული, მაჯაგანით მიფოხრიკობდა ჯორის ზურგის სიგანე ბილიკებზე.

სამს ეპისკოპოზს სამივე ცხენი დაეხოცათ გზაში, ძმანი ჭაბუკთაგანნი ნდობით აღვსილნი უთვალთვალებდნენ ლეშებს, მაგრამ მარჯვე დრო ვერ მოიხელთეს. დაქვეითდა სამი მორჩილი, ეპისკოპოზებს დაუთმეს ჯორები, თავათ ფეხით გაუდგნენ გზას.

გული შეუღონდებოდა თუ არა მელქისედეკს, გაიოზ და სტეფანე ბერები მიეჭრებოდნენ, ჯორიდან ჩამოიყვანდნენ, ცივი ტილოთი დაუზელდნენ გულის არეს, მერმე რომელიმე ჩქერალთან გადააგდებდნენ ბადეს, ორიოდე ლიფსიტას დაიჭერდნენ, გადააყლაპვინებდნენ ცოცხლად, ისევ მოიკრეფდა ავადმყოფი მხნეობას და განაგრძობდა მგზავრობას.

კვეტარის საერისთავოში გადასულთ ფეხქვეშ ეგებოდა გარს მოჯარული ბრბო.

კოლონკელიძე უკვე კვეტარში ჩასულიყო, ბოკოწნის ხევის თავში მოციქულები დაახვედრა ერისთავმა მელქისედეკს. საკლავები და თაფლით სავსე გეჯები გამოეგზავნა. კვეტარის ციხეში მობრძანებას სთხოვდა კოლონკელიძე.

შეძრწუნებულნი ფხოველნი დალახვრული თვალებით შესცქეროდნენ ჯვარისმტვირთველის ხელში აღმართულ ძელიცხოველს. თავს იშიშვლებდნენ, პირჯვარს იწერდნენ, კალთებს უკოცნიდნენ კათალიკოსს.

პირველი ათასეული წლის მიწურულში ქრისტიანულ ქვეყნებში ხელმეორედ წარღვნას ელოდნენ, წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ბიზანტია, იტალია და საფრანგეთი. საქართველოში ბერები ეფუთს იმოწმებდნენ, მეორედ მოსვლით ემუქრებოდნენ ხალხს.

სწორედ იმ დღეს, როცა მელქისედეკ ქორსატეველას ციხეს ეწვია, ნოკორნას მონასტერში ამეტყველებულა დაყუდებული ბერი ევდემონ, მეორედ მოსვლის დაგვიანება ასე აუხსნია: კათალიკოსი საქართველოს შემოვლას მოუნდა, ახლა ფხოვში მოდისო, თან მოაქვსო ძელიცხოველი, რათა ფხოველთა მონათვლა მოასწროსო განკითხვის დღემდის, ეკლესიების შემმუსვრელთ ღვთის რისხვა დაატეხოსო თავზე.

თალაგვა კოლონკელიძე დააფიქრა ჭიაბერის სიკვდილმა, ახლა ევდემონ ბერის წინათქმანი ენიშნა, კვეტარს მიაშურა, რათა მანდ დახვედროდა მელქისედეკს. როცა კათალიკოსის ამალა მიეახლა ციხეს, კარის ეკლესიაში ძელსა ჰკრეს.

კოლონკელიძე და მისი ამალა სამი ეჯის მანძილზე ჩამოეგება მელქისედეკს.

მუზარადმოხდილმა, თოროსანმა რაინდებმა დაიჩოქეს გზის პირად. კოლონკელიძეს ყელზე საბელი მოება; მან ჯერ კალთები დაუკოცნა კათალიკოსს, შემდეგ ხელზე ეამბორა, ბოლოს ძელიცხოველის ლუსკუმას ემთხვია.

მთელი კვირის მანძილზე კოლონკელიძის სასახლეში თავზარდაცემული დაბორიალობდა დიდი და მცირე, ჭიაბერის მაგალითით დაშინებულნი, დღე-დღეზე ელოდნენ კოლონკელიძის სიკვდილს.

ღამეებს უთევდა სახლეული. სძლისპირებს უგალობდნენ მოახლენი. გათენდებოდა დილა, ერისთავი პირჯვარს გადაიწერდა, კიდევ ერთი დღის სიცოცხლე რომ აჩუქა ღმერთმა.

მოულოდნელად შეუჟღალდა საფეთქლები კოლონკელიძეს, წვერი გაუჭაღარავდა, უცნაურად მოტყა და დაშინდა.

პაპისეული ლოცვანები გამოჩხრიკა, დილასა და საღამოს ჟამნს აკითხვინებდა, თავათაც იზეპირებდა ფსალმუნის ლექსებს, კარის ეკლესია ხატებით მორთო, კვეტარის ბასტიონის ზეთავზე აღამართინა ჯვარი.

მელქისედეკმა ამასობაში ეკლესიები და მონასტრები აღადგენინა. მოწესეები დაადგინა, ორი ათასზე მეტი უნათლავი მოხუცი და ყრმა მოანათვლინა ბერებს და ქორსატეველას ციხეში მიბრუნდა.

თალაგვა კოლონკელიძე ნოკორნას მონასტერში წავიდა სახლეულითა და საკლავითურთ.

გადარჩენისათვის მსხვერპლი შესწირა ნოკორნას ხატს.

ფხოველები განცვიფრებულნი იყვნენ, ძელიცხოველის რისხვას რომ გადაურჩა კოლონკელიძე.

თავათ ერისთავი თავს ინუგეშებდა: ალბათ საბელის ყელზე გამობმამ გადამარჩინაო.

XIII

ბორდოხანმა და მამამზემ ჟანგისფერი სამოსი ჩაიცვეს, ბნელ მიწურში გადასახლდნენ.

ორი კვირა გამოხდა, ახლა ხამლნი ჩაიცვეს შავნი, მოთეთრო ზოლებით აჭრელებული.

დღე და ღამე შიშველ სოხანეზე იყვნენ პირქვე დამხობილნი, სასმელ-საჭმელს არ იკარებდნენ.

ერთ საღამოს ევედრნენ რუსუდანი, კატაი და შავლეგ ტოხაისძე, თივა დაუგეს, უმი მხალი აჭამეს ძალით.

ორმოც დღეს ყოველდღე მზის ჩასვლისას გროვდებოდნენ ციხის ეზოში მოკეთენი, ზარითა და ტირილით მიდიოდნენ პაპისეულ საძუალეში.

უბედურებამ და ძელიცხოველის «სასწაულმა» ქრისტეს სჯული შეაყვარა მამამზეს, მან ხატებითა და ჯვრებით მოართვევინა ქორსატეველას ციხე-დარბაზი, საგვარეულო კარის ეკლესია.

აღაპებს ახდევინებდა ახლად დადგენილ მოძღვარსა და მედავითნეებს, ჯვარი დაადგმევინა ჭიაბერის საფლავზე. ტოხაისძე ამრეზილი იყო, მაგრამ ვერას უბედავდა გაოგნებულს.

ბოლოს მელქისედეკი მობრუნდა ფხოვიდან, ძელიცხოველი ჩამოიტანა და ქორსატეველას ციხეში დასტოვა.

ბორდოხანი და მამამზე ფორთხვით დაუვარდებოდნენე ჯვარს, ავედრებდნენ ჭიაბერის სულს. დაძინებული სახლეული, მხევლები და მსახურები შიშით ვეღარ ბედავდნენ იმ დარბაზში შესვლას, სადაც ძელიცხოველი ესვენა.

ორმოცზე კვლავ მოგროვდნენ მოტირალენი და მოზარენი, ოცდაათი ძროხა დაიკლა, ასზე მეტი ცხვარი, ციხის ეზოში კოცონები ენთო, ხარშავდნენ და სწვავდნენე საკლავს.

შორენა მოვიდა კვლავ, თორმეტი მოზარე და თალაგვა თან ახლდნენ მას.

დიდი ამალით მოვიდა გიორგი მეფე, მხოლოდ დედოფალი და ზვიად სპასალარი უფლისციხეში წასულიყვნენ. სამი ერისთავი თან ახლდა მეფეს, ეზოსმოძღვარი, მსახურთუხუცესი და ანჩელი ეპისკოპოზი კათალიკოსის ნაცვლად, რადგან მელქისედეკ ფხოვიდან დაბრუნების შემდეგ ლოგინად ჩავარდნილიყო.

ოცდათი შაოსანი მოზარის თანხლებით მოვიდნენ თაყაი, მისი თანამეცხედრე და თორმეტივე ვაჟი.

ქორსატეველას ციხიდან კარვებამდის ორ მწკრივად იდგნენ შაოსანი მოზარენი, დაბალი, დაბალი ხმით ღიღინებდნენ, მათი ერთობლივი ზუზუნი შემზარავი იყო. გულის მომკვლელი ზუნი ისმოდა ირგვლივ და შაოსან მოხუცების ღიღინი, რომელიც ძლიერ წააგავდა ვერძების ერთობლივ შებღავლებას, - როცა საფრთხე რამ მოელის ფარას.

მათ შორის მიმოდიოდნენ მოტირალნი ციხის კიბესა და კარვებს შორის, თავ-პირის ხოკვითა და მოთქმით.

ციხის ეზოში სამი კარავი დაედგათ.

ერთ კარავში ჭიაბერისეული სამოსი ესვენა, მისი ოქროს მუზარადი, კეისრისაგან ნაჩუქარი, მისნი თორნი და მშვილდკაპარჭნი, ფარები და ხმლები.

მეორე კარავში ძაძებით მოსილი, ძუა-ფაფარშეკრეჭილი ულაყი ება, ბიზანტიონში საჩუქრად მიღებული, სარკინოზებთან ბრძოლების დროს თან ჰყავდა იგი თავის პატრონს, ხოლო მესამეში მწევრები, მადევრები, მაძებრები და ქორშავარდნები.

პირველი კარვის კართან სახენაგვემი, უბედური ბორდოხანი იჯდა, ცალკერძ თაყაის ცოლი მისჯდომოდა, დედამძუძე ჭიაბერისა, ცალკერძ შორენა; ჭიაბერისა და სასძლოს ბორდოხანის კალთაში ჩაედო თავი, სტიროდა, მოსთქვამდა თავათ ბორდოხანი და ნაზად ეფერებოდა შორენას ჭავლისებრ მღელვარე დალალებს.

როცა გიორგი მეფე მანდილოსნებს მიეახლა, შორენამ თავი აიღო, განსაცვიფრებელმა სილამაზემ შეანათა სახეში, ელდა ეცა გიორგის. მას არასოდეს ენახა ძაძას, მწუხარებას და უბრალო სამოსს ასე გაემშვენიერებინოს ქალი.

ბორდოხანთან მივიდა, მხარზე ეამბორა დამწუხრებულს, მიუსამძიმრა ჯერ დედას, მერმე დედამძუძეს, და შემდეგ სასძლოს. ამ წუთში უცნაურად გაბოროტებული მზერა მოხვდა მეფეს და ასე ეგონა სახე ამეწვაო ამ შემოხედვისაგან.

მოზარენი ღიღინებდნენ ერთობლივი და ამაზრზენი ხმით. მეფეს კვლავ შემოესმა უსინათლო თაყაის ზლუქუნი «ვაჰვუ მესერბუნ».

გული აუჩვილდა, ცრემლი მოიწმინდა და შეხედა ყურებდაცქვეტილ ულაყს. მას კიდევ აჩნდა სარკინოზებთან ბრძოლებში მიღებული ორკეცი ნახმლევი.

გიორგი კარვიდან გამოვიდა, სწორედ ამ დროს მოზარეთა და მისივე ვაჟებმა ამ კარავში შეიყვანეს უსინათლო თაყაი.

უფროსმა ვაჟმა ზედ ცხენის მკერდთან მოიყვანა იგი. თაყაიმ გაშალა თავისი გოლიათური მკლავები, შემოეხვია ცხენს, ჯერ მიუსამძიმრა:

აღარა გყავსო მხედარი, უშენოდ წავიდაო შავეთში, ბნელს როგორ გაჰკვეთესო იგი უშენოდ, ხმალს როგორ მოიქნევსო იგი უშენოდ, მტერს როგორ დაიფრენსო იგი უშენოდ, გლოვა გმართებსო, ცხენო, აღარა გყავს პატრონი შენი, გლოვა გმართებსო, ცხენო, აღარ გყავსო გმირი ჭიაბერი.

ფერხთით დაუვარდა ატირებული, ხელით ეფერებოდა საოლავებზე, ფლოქვებზე ჰკოცნიდა ულაყს.

გიორგი შეაძრწუნა ამ სანახაობამ, მთელს ტანზე ეკლები დააყარა და მეორე კარავს შეაფარა თავი.

ატირებული, წელში მოხრილი მამამზე უკან მოყვებოდა მეფეს. ჭიაბერის თორ-აბჯარს შეავლო მეფემ თვალი და როცა კეისრის მიერ ნაჩუქარი ოქროს მუზარადი დაინახა, მყის იფეთქა მის გულში ძველმა მტრობამ, მაგრამ ამ დროს ისევ მოესმა პირველი კარვიდან თორმეტი ძუძუმეტს ზლუქუნი და თაყაის საწყალობელი ბუხუნი:

«ვაჰვუ მესერბუნ»...

ისევ თვალწინ დაუდგა უსინათლო მოხუცი, თავის გაზრდილის ცხენის ფერხთით მტირალი და ცრემლმა იწვიმა გიორგის თვალთაგან.

მამამზე შორიახლო იდგა. წელში გადრეკილი შინდის ჯოხს მოსჭიდებოდა და ამ წუთში მართლაც ჰგავდა ცისქვეშ დარჩენილ მათხოვარს და მეფეს შეებრალა იგი, მიუახლოვდა და ნუგეშის საცემად მხარზე დაადო ხელი, მაგრამ სანუგეშო სიტყვებს ვერ მოუყარა თავი.

მეფის თვალზე ცრემლი რა შენიშნა მამამზემ, საოცრად ატოკდნენ მისი გადრეკილი მხრის თავები, მოეხვია იგი გიორგის, ასე გაიფიქრა: დავიწყნიაო გიორგის ჭიაბერისადმი მტრობა და ამიტომაც თვალები დაუკოცნა მამაშვილურად.

ახლა მესამე კარავში შევიდა გიორგი, ქორ-მეძებრებს მიუსამძიმრა.

მობუზულნი ისხდნენ ხარიხებზე ქორები და შავარდნები. მოზარეთა ღიღინისა და ადამიანთა მოთქმისაგან შეძრწუნებული ცხოველები უცნაურად ყმუოდნენ და ყეფდნენ; მხოლოდ ბებერი, შავი მწევარი, ჭიაბერის უსაყვარლესი ძაღლი იწვა განმარტოებით, ძლივს აღებდა თელგამიან თვალებს და უღიმღამოდ იგერიებდა ტარაბუას კუდით.

როცა კვლავ პირველ კარავს ჩაუარა გიორგიმ, მან შენიშნა მწუხარებისაგან სახეშეცვლილი, ძაძებში მოსილი შორენა. არამიწიერი მშვენებით ბრწყინავდა იგი, ამ წუთში გაცილებით უფრო მშვენიერი იყო, ვიდრე სამი წლის წინად, როცა იგი

პირველად ხატობის დროს ნახა მცხეთაში, ფხოვურ ტანისამოსში მორთული, ამორძალივით მოჯირითე რაინდთა შორის.

XIV

მეორე წლის შემოდგომამდის ბნელში ისხდნენ მამამზე და ბორდოხან. თერთმეტი თვე მიიწურა და უკვე მაცნენი უნდა დაეგზავნათ, წლისთავისთვის მოეწვიათ მოტირალნი და მოზარენი, სწორედ იმ ღამეს უსიამოვნო სიზმარი ნახა მამამზემ:

პაპისეულ საძუალეში, ჭიაბერის სამარხის ლოდზე ისხდნენ ვითომ იგი და ტოხაისძე, საფლავის ჯვარს შესცქეროდნენ დამწუხრებულნი.

ეს აღარ იყო უბრალო ქვის ჯვარი, რომელიც ბორდოხანმა აღამართინა კალატოზებს, არამედ კლარჯეთური ძელიცხოველი.

მიწაში ფესვები გაედგა ჯვარს და გაზრდილიყო, კაცის სიმაღლე გამხდარიყო. მაჯის სისხო ვაზი შემოხვეოდა გარს.

დააცქერდნენ: რქა აეყარა ვაზს.

გაოცდა მამამზე: ვინ დარგო ძელიცხოველი ჭიაბერის საფლავზე? ადგნენ, მიეახლნენ.

შეირხა რქანაყარი ვაზი.

დახედეს: აღარც ვაზი იყო სადმე, აღარც რქაი.

შეტოკდა უზარმზარი გველი, გარს შემოეჭდო ჯვარს. წაიგრძელა, წაიგრძელა კისერი, გაასავსავა თავი და ორკაპიანი ენით მისწვდა ღრუბლიან ცას.

გაიძრო ტოხაისძემ ჭიაბერისაგან ნაჩუქარი ხმალი და თავი წააცალა უხსენებელს.

მიწაზე დაეცა გველის თავი, პირი დააბჩინა და იქედნურად იცინის.

გამოეღვიძა მამამზეს, ადგა, სარკმლის ხვრელთან მივიდა, ცისკარი მოსდგომოდა ბნელ სავანეს.

ავადმყოფი ბორდოხან ბორგავდა თივაზე.

შავლეგ ტოხაისძე იხმო მამამზემ, სიზმარი უამბო.

სთხოვა: წამიყვანეო ჭიაბერის საფლავზე.

ციხის ეზო გადაიარეს.

ბნელში ჯდომას უცნაურად შეეცვალა მოხუცი. ნამჭვარტლარ მატყლივით გახდომოდა თმა-წვერი. ძლივს მოკელანობდა ცალკერძ სახლთუხუცესის მხარსა, ცალკერძ შინდის ჯოხს დაყრდნობილი.

მწუხარება მკერდზე მიყრდნობოდა საგოდებელში დუმილს. ხავსს დაეფარა წინაპართა საფლავები, შექანებულიყვნენ ქვის ჯვრები, სვიას, ხვიარას და კაჭაჭს მოეცვა ლოდები. ალვის ფოთლები მოწყენილად სცვიოდნენ მიწაზე.

განცვიფრდა მამამზე, ახალი სამარხი რომ ვერსად იპოვნა, ერისთავთ-ერისთავებისა და მათ თანამეცხედრეთა ხავსმოდებული ლოდები ეყარნენ ირგვლივ.

თავზე წაადგა ჭიაბერის საფლავს, ჯოხით გადაფოცხა ფოთლები.

შეშფოთდა მამამზე.

ვინ მოიპარა ლოდი? სიზმარი ენიშნა ანაზდად.

მე ავიღეო ლოდი, გამოუტყდა ტოხაისძე.

შესცქერის გაოგნებული მამამზე ტოხაისძეს და ასე ჰგონია გაგრძელდაო წუხანდელი სიზმარი.

«ეს ხომ პაპაჩემის, გვარამის ლოდია, შავლეგ».

«დიახ, ეს გვარამის ლოდია, პაპის შენისა, ერისთავთ-ერისთავო».

«ჭიაბერის ლოდი რაღა იქნა, შავლეგ?»

«გადავმალე, ერისთავთ-ერისთავო, ჭიაბერის ლოდი».

«რადა ჰქენი ეს, შავლეგ?»

«საჭიროდ ვცანი და იმადაც, ერისთავთ-ერისთავო».

«როგორ თუ საჭიროდ სცანი?»

«არ ვიცი, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე!»

«რას როშავ, ბედშაო შავლეგ?»

«სიბრძნის დედაა სიფრთხილე, ერისთავთ-ერისთავო».

«გარკვევით თქვი, რისი თქმაც გწადის?»

«სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ყოველივე ერთად არ ითქმის ერისთავთ-ერისთავო».

«მაინც?»

«განა არ იცი, გიორგი მეფე გულმხეცია, თუ საქმე მისჭირდა და ცოცხლებს ვერა დაგვაკლო რა, მიცვალებულზე იძიებს შურს».

მამამზეს მუხლი მოეჭრა, პაპისეულ ლოდზე ჩამოჯდა, ხელისგულზე ყბა დააყრდნო და მიწას დააჩერდა მდუმარედ.

«განა არ გახსოვს, ერისთავთ-ერისთავო, ხურსი აბულელი სარკინოზებთან რომ გაექცა მეფეს, - ციხე წარუღო, ხურსის ვაჟების ძვლები ამოსთხარა აბულელთა საძუალედან, ღორსა და ძაღლს ათრევინა».

«ჰო მაგრამ, მეფე შეგვირიგდა აკი, ჭიაბერის ტირილს დაესწრო, ორმოცზედაც აქ იყო».

«ამის მიზეზი სხვა იყო, ერისთავთ-ერისთავო».

«მაინც რაო?»

«სხვას ვისმეს უჭვრეტდა ჭიაბერის ტირილზე მეფე».

? ? ?

«ვის გულისხმობ მაინც?»

«შორნას, კოლონკელიძის ქალს».

«ნუთუ ისე გულბოროტია გიორგი? არა, ამას ვერ დავიჯერებ, შავლეგ, ისე გულწრფელად მისტიროდა იმ დღეს ჭიაბერს».

«სტიროდაო? ეგ რად გიკვირს, ერისთავთ-ერისთავო? მკვლელებსა და ლოთებს აგრე სჩვევიათ, ჯერ ღვინითა და სისხლით გაილეშებიან, შემდგომ ამისა მოჰყვებიან ცრემლების ნთხევას».

«რას ამბობ, შავლეგ?..

მკვლელიო? რა ბრალი მიუძღვის მეფე გიორგის ჭიაბერის სიკვდილში? ძელიცხოველის რისხვამ იმსხვერპლა ჭიაბერი».

«ძელიცხოველის რისხვამო? ნუთუ შენაც გჯერა ეს ზღაპარი, ერისთავთ-ერისთავო, მსტოვარმა ბერებმა გაავრცელეს იგი ქორსატეველას ციხეში.

თუ მაგ ჯვარს შერისხვა შეეძლო, თალაგვა კოლონკელიძე უნდა მოეკლა უწინარეს ყოვლისა, ფხოველთა ამბოხი თალაგვამ წამოიწყო აკი?»

მამამზე დადუმდა, ისევ დააშტერდა ჭიაბერის საფლავს.

«გარკვევით თქვი, რისი თქმაც გინდა, შავლეგ?»

«გიორგი მეფემ და ზვიად სპასალარმა მოჰკლეს ჭიბერი! ამის თქმა მინდოდა, ერისთავთ-ერისთავო, სხვა არაფერი».

«ღმერთს ნუ ჰგმობ უსაფუძვლოდ, შავლეგ».

«საფუძველს თუ მოიკითხავთ ეგეც ხელთა მაქვს, ერისთავთ-ერისთავო.

რა საფუძველი?..

პირუთვნელად მოგახსენებ, სანამ ბორდოხან, შენი თანამეცხედრე, ბნელსა ზის, ძელიცხოველის ჯვართან მიმიყვანე და ყოველივეს ნათელს ვყოფ შენ თვალ წინ».

გაოცდა მამამზე, რაღაც საშინელი და გაუგონარი მზაკვრობისათვის უნდა აეხადა საფარველი შავლეგს.

მამამზემ იცოდა გულმხეცი რომ იყო გიორგი მეფე, მაგრამ თუ მას ფარისევლური ცრემლის ნთხევაც შეეძლო, ეს არ ეგონა მას!

მის ხელში დავაჟკაცდა გიორგი, ტლანქია იგი და გულზვიადი, მაგრამ მლიქვნელიც თუ იყო, ეს არ იცოდა მამამზემ.

ციხე-დარბაზში რუსუდანსა და კატაის ეძინათ ჯერაც, როცა მამამზემ და ტოხაისძემ დიდი დარბაზი გაიარეს და ჭიაბერისეულ საწოლში კარი გადაიკეტეს, ტოხაისძე ჯიქურ მიეჭრა ძელიცხოველის ჯვარს.

მამამზეს შვილივით ჰყავდა იგი გამოზრდილი და შეძრწუნდა, როცა ტოხაისძე ასე უშიშრად მიეახლა «სასწაულთმოქმედ კლარჯეთელ ჯვარს». არ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა ტოხაისძე, ხელი არ ახლოო, უნდა ეყვირა, მაგრამ ცნობისწადილმა შეიპყრო და შეიკავა თავი.

ტოხაისძემ გადმოიღო ძელიცხოველი. ლუსკუმა გახსნა და ჯვარი ამოიღო, სუნი უდინა და ისევ დაასვენა ტაბლაზე.

«აბა მობრძანდი, ერისთავთ-ერისთავო, და უყნოსე ამ ჯვარს».

მამამზე წამოდგა, გარღვეულივით დაბარბაცდა, მაგრამ ღონე მოიკრიფა, მიეახლა, დასწვდა და უყნოსა ჯვარს.

სუნი თუ მოგდისო? ეკითხება ტოხაისძე.

«სუნი დიახაც უდის, მერე რა? შეიძლება ეს ოფლის სუნი იყოს, ადამიანის ოფლის სუნი, ხანგრძლივად ნახმარსა და ნაამბორებ ჯვრებს რომ უდის, ამგვარი. სხვა რამ სუნიც რომ უდიოდეს, მერმე რა?»

«რაო და, მე ამას მოგახსენებთ, ეგ ჯვარი მოწამლულია, ერისთავთ-ერისთავო».

«რას როშავ, შავლეგ, გონს მოდი, ბედშავო».

«მე იმას მოგახსენებთ, რომ ეს ჯვარი მოწამლულია, სხვას არაფერს».

«ყველა, ყველა, მაგრამ მელქისედეკ კათალიკოსი ამას არ იკადრებდა. როგორ? მელქისედეკმა ეს იცოდა და განზრახ აამბორებინა ჭიაბერს?»

«არა, შესაძლოა ეს არ ცოდნოდა მელქისედეკს, მაგრამ იგი რეგვენია მხოლოდ. მელქისედეკი იმჯერად ბრმა იარაღი იყო მეფისა და სპასალარის ხელში».

«არა, შენ სცდები, შავლეგ, ჩვენ ხომ ვიცით, კოლონკელიძეც ეამბორა ჯვარს, მაგრამ არა ვნებია რა».

«ეგ მეც ვიცოდი, ერისთავთ-ერისთავო, ამიტომაც დაგეთხოვეთ გასულ კვირას, კვეტარის ციხეში გახლდით, თალაგვას წვრილად გამოვკითხე, კოლონკელიძეს ლუსკუმისათვის ამბორუყვია მხოლოდ.

ხოლო ჭიაბერს... ხომ გახსოვს, დიდ დარბაზში, ჩვენ თვალწინ გაახსნევინა მელქისედეკმა ჯვარისმტვირთველს ვაშკარანები, ხოლო ლუსკუმა თავათ გახსნა, ძელიცხოველის ჯვარი ამოიღო და ტუჩისპირამდის მიუტანა ჭიაბერს».

გველცემულივით წამოიჭრა მამამზე.

«შენი ნათქვამი მეჭეშმარიტა, შავლეგ, მაგრამ როგორ შევამოწმოთ მოწამლულია თუ არა ჯვარი?»

«ბრძენთა ხმობა არ დაგვჭირდება, ერისთავთ-ერისთავო. ჭიაბერის შავი მწევარიც იოლად გამოარკვევს ამას. ეს ძაღლი სიცოცხლში უერთგულესი იყო, მაინც სიკვდილის პირზეა ბედშავი, უკანასკნელად დაუმოწმებს თავდადებას პატრონს».

ესა სთქვა და დარბაზიდან გავიდა ტოხაისძე.

შეძრწუნდა მარტო შთენილი მამამზე, თვალი დაადგა ძელიცხოველს. ჯვარი თუჯისფრად იყო გამხდარი, საუკუნეთა მანძილზე ნალოშნს ალაგ-ალაგ სიშავე გადაცლოდა, სწორედ იმ ადგილზე, სადაც უკოცნიათ იგი, იმ ადგილზე, სადაც ჭიაბერი ეამბორა უკანასკნელად.

მიუახლოვდა მამამზე ჯვარს.

მივალ და ვემთხვევიო, ეს ბოლოს მოუღებსო გაგრძელებას იმ საშინელი სიზმრისას, რომელსაც ცხოვრება ერქვა, მაგრამ უკუიქცა, ეს უნდოდა: ღვთისა და კაცის მუხანათობაში დარწმუნებულიყო სავსებით.

შემდგომ ამისა... შემდგომ ამისა ახალი მიზანი ექნებოდა მის ცხოვრებას - ჭიაბერის სისხლის აღება.

ჰაერი ეცოტავა, წამოდგა, ციხის სამზერთან მივიდა. აქედან მოსჩანდა წინაპართა საძვალე და ძველთაძველი სამლოცველოს ნანგრევი. აჩქარებულა ტახაისძე, სანამ მამამზე ცოცხალია, ჭიაბერის საფლავს ვერავინ შეუბღალავს. გამობრუნდა, თვალი გადაავლო ჭიაბერისეულ სამოსს ზეზისას, მის თორსა და მის მუზარადს, კედელზე დაკიდებულ ქეიბურებსა და ხმლებს.

«მე მოვეკალი იმ ოხერ ჯვარს, შვილო, და შენ აგეღო ჩემი სისიხლი, აჰ, ნეტავ მართლაც»..

ტოხაისძე აღარსად სჩანდა, მთელ საუკუნედ მოეჩვენა წამი.

კარი შემოაღო შავლეგმა. შავი მწევარი მოჰყავდა საბელით. მოდიოდა შავი მწევარი, სიზმარში ნახულ გველივით მოიკლაკნებოდა იგი.

ტოხაისძემ ქონის ნაჭერი ამოიღო ჯიბიდან და გაუსვა ძელიცხოველს სწორედ იმ ადგილზე, სადაც აჩნდა მრავალგზისი ნაამბორევი, ზედ ცხვირთან მიუტანა მწევარს ჯვარი, ძაღლმა დაჰყნოსა იგი, სისხლისფერი ენით გალოკა ძელი.

შავლეგ ტოხაისძემ აიღო ჯვარი, ისევ ლუსკუმაში ჩასდო და ტაბლაზე დასდო.

«ქრისტეს ჯვარი იყო ჩვენი ხალხის უბედურების მიზეზი მთავარი. ამ ბოროტების სათავე ბიზანტიონია, ერისთავთ-ერისთავო.

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი. ბასილი კეისრის სასახლეში ბევრი რამ გავიგეთ ჭიაბერმა და მე. თვალების დაბნელება, ადამიანის ცოცხლად დამარხვა, ძელზე გაყვანა, მოწამლვა, ორივე ხელის მოჭრა და მკვლელის მიჩენა. ეს ყოველივე ბიზანტიონში ისწავლეს ჩვენმა მეფეებმა. ბასილი კეისარმა ცეტინიუმთან ბრძოლის მეორე დღეს ხუთმეტ ათას ბულგარელს დასთხარა თვალი.

ახლა უფლისწული ბაგრატი ჰყავთ მანდ ბერძნებს მძევლად, იქ უკეთეს ამბებს აწავლიან მას და როცა იგი მობრუნდება, მაშინ გვიხაროდეს...

შემზარავი სისატიკე გამოიჩინა თავათ გიორგი მეფემ ოლთისში, ათასზე მეტ ბერძენ მონასპას თვალები დასთხარეს. ორი ათას ტყვეს თავი წააცალეს, სამასი ტყვე ცოცხლად დამარხეს.

დამპალი ქალაქია ბიზანტიონი, გარყვნილებისა და მუხანათობის ბუდე. სამი თვე ემზადებოდა ბასილი კეისარი სარკინოზების წინააღმდეგ სალაშქროდ. სასახლეში ვცხოვრობდით ჭიაბერი და მე, ერთი სომეხი დაგვიმეგობრდა ანისელი, იგი გვიამბობდა ყოველივეს წვრილად.

საეკლესიო კრებები მიდიოდა იმჟამად. ორი თვე გაგრძელდა ერთი. ეს გამოჩერჩეტებული პატრიარქი სრულიადის აღმოსავლეთისა, ქორეპისკოპოზნი, ეპისკოპოზნი, სწავლულები და ბერები ორი თვე ზედ ასქდებოდნენ ურთიერთს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ ანგელოსს დაიტევს ნემსის წვერი?

კეისრის სასახლე ომის სამზადისში იყო, მაინც ამ კრებებს ესწრებოდა დიდი და მცირე. სარკინოზების საფრთხე კარზე იყო მოსული.

წევსო თუ დგასო მამაღმერთი? შეუძლია თუ არა ღმერთს უმამოდ შვილი გააჩინოს, უველოდ მთაი, ან მეძავი აქციოს ქალწულად?

ყველა ამის გამო ქაქანებდა და კამათობდა. ეს იყო...»

შავლეგ ტოხაისძეს სიტყვა პირში გაუწყდა, შავი მწევარი უეცრად წაიქცა და დაიწყო ფხარკალი, ისევ აიღო თავი, წინა თათებზე წამოიწია, იატაკზე დაეცა კვლავ, ტარაბუასავით დატრიალდა რკალივით მოდრეკილი ძაღლი, პირიდან დუჟი მოსდიოდა კარაქის ფერი და ხაოდა საწყალობელად.

მამამზე და ტოხაისძე თავზე დაადგნენ სულთმობრძავ ცხოველს.

წინა თათების ჭანგებით ფხაჭნიდა იგი იატაკს, მერმე უკანა ფეხები შეატოკა და კვლავ ასტეხა ფხარკალი, უკანასკნელად დაიწკმუტუნა, წაიგრძელა კისერი, ცილისფერი გუგები შემოაშტერა მამამზესა და ტოხაისძეს, მინებდა სიკვდილს.

«ახლა ხომ გჯერა, ერისთავთ-ერისთავო, ქრისტეს შჯული დიაცების და ბალღების თვალის ასახვევად რომ გამოუგონიათ ხუცებს?»

ორივე ხელისგული შუბლზე იტკიცა მამამზემ: ავაიო წამოიძახა და წელში მოდრეკილი ჩამოჯდა სელზე.

ტოხაისძე დარბაზიდან გავიდა და როცა მწევრის ლეში გაიტანეს, იგი კვლავ მობრუნდა.

თავი აიღო მამამზემ:

«შენ მართალი ხარ, შავლეგ, ცამდე მართალი, დიაცებისა და ბალღების მეტს არავისა სწამს ქრისტეს ჯვარი».

«შესაძლოა, მაგ გამოყრუებულ კათალიკოსს და ორიოდე ბერს მცხეთაში»...

«შესაძლოა»...

მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ, ბოლოს მამამზემ დაარღვია დუმილი:

«არც გიორგი მეფეს სწამს ქრისტე და მისი ჯვარი ბასიანთან ომის დროს კეისარმა ითხოვა მშვიდობა. ზავის წერილი მიუგზავნა გიორგიმ, შემდგომ ამისა განავლინა მეფემ ზვიადი, დალაშქრა ზვიადმა კიდე ბასიანისა და აოტნა ბერძენთა სპანი.

ბასილი არ მოელოდა ქართველთაგან მუხანათობას. ბრძანა კეისარმა ჰოროლის წვერზე დაკიდება ზავის წერილისა.

აღმართა ჰოროლი და სთქვა:

«იხილე, უფალო, წერილი ესე და საქმენი, რომელსა იქმან».

შემდგომ ამისა გადმოიღო კეისარმან ძელიცხოველი, დააჭდო მიწაზე და შეჰღაღადა: «უკეთუ მიმცე ხელთა მტრისასა, აღარ თაყვანი გცე უკუნისამდე».

მერმე ის იყო, ჩვენ დავმარცხდით, უკუვიქეცით და ოლთისი გადავწვდით გზაში. ქალაქიდანაც არ ვიყავით გასული, მოახსენეს მეფეს, უფლის სახლი იწვისო, გიორგიმ გადახედა ცეცხლშემოგზნებულ ეკლესიას, ზვიადს უბრძანა ჩააქრობინეო, მერმე ცხენს დეზი ჰკრა.

ცეცხლში გახვეულ საყდარს გულგრილად მიჰხედა უკანასკნელად.

ადგა მამამზე, ჭიაბერისეული მუზარადი და ხმალი გადმოიღო, ტაბლაზე დასდო და ეუბნება ტოხაისძეს:

«შემომფიცე, შავლეგ, ჭიაბერის სისხლი ავიღოთ. შენ ჭიაბერის ძუძუმეტე ხარ და ფიცვერცხლი გაქვს მასთან ნაჭამი».

«მე იმ დღეს შევფიცე მის საფლავს, როცა პაპისეული ლოდი დავადევი ზედ.

არ გვინდა ქრისტეს ჯვარი, არ გვინდა მეფე გიორგი, არც ზვიად სპასალარი, არც მელქისედეკ კათალიკოსი, მცხეთა და უფლისციხე ისეთივე ბუდეა გულარძნილობისა, როგორიც ბიზანტიონი.

ბერძნებს ეს უნდათ, ჩვენი ბომონები ვგმოთ და მათ ეკლესიებში ვილოცოთ, წინაპართა ჩვენი სალოცავები შეგვიმუსრეს, თავიანთი ხატები და ჯვრები შემოგვაჩეჩეს ხელში.

ბერძნებს ეს სწადიათ, ჩვენი ენა დაგვავიწყონ და თავიანთი შემოგვჩარონ პირში, ჩვენი წარსული დავივიწყოთ და მათი შევისწავლოთ, ჩვენი სამოსი შემოგვაძარცვონ, მათი ჩავიცვათ. თუ ჩვენი კერპები ვახსენეთ და მათი დავგმეთ, მყისვე პირზე აკერიათ: «მკრეხელი, მწვალებელი და მსტოვარი».

ამიტომაც გვინდოდა მე და კოლონკელიძეს მეფე გიორგი შეგვეპყრო, ჭიაბერი ტახტზე დაგვესვა. მცხეთას ავიღებდით, უფლისციხეს შემოვეწყობოდით, თმოგვის ციხეს ავიღებდით და ციხეს ფანასკერტისას, დედოფალს ბედიის მონასტერში მონაზვნად აღვკვეცავდით, ამირას ტფილისიდან გავაგდებდით, არმაზსა და ზედაზენს აღვადგენდით, მელქისედეკ კათალიკოსსა და მის შავჩოხიან მსტოვრებს ქართლოსის საფლავზე დავაკლავდით, მაგრამ შენ ტყვედ გვეგულებოდი მცხეთაში, მე იმ თავიდან არ მომწონდა ახალწელს სადარბაზოდ მცხეთაში წასვლა».

«ვაჲ, ჩემს თავს! - სთქვა მამამზემ, შუბლზე შემოიკრა ხელი, - ნეტავ წამოსულიყავით და ჩემთვის წაეჭრა მეფე გიორგის თავი. იმ ტიალ დათვს არ გადავყროდი ნადირობისას, გავექცეოდი უთუოდ».

«თავათ მეფეც ბიზანტიონის მტერია, მაგრამ დაბნეულია გიორგი. მელქისედეკ კათალიკოსსა და ფარსმან სპარსს შორის ირყევა მუდამ.

ზოგს ასე ჰგონია: კოლონკელიძის მიერ შემუსრული ხატების ბედი აწუხებდა გიორგის. ჭიაბერი რომ შორენას ირთავდა, ეს ახელებდა მეფეს.

შარშანწინ მცხეთობისას ნახა შორენა პირველად. სავსებით გადაავიწყდა, რომ იგი მეფე იყო და თავდაჭერა მართებდა. კათალიკოსი და დედოფალი ტაძრეულს შეატოვა, ყმაწვილივით აგვეკიდა მე და ჭიაბერს.

როცა წამოსვლა დავაპირეთ, შორენას მიეჭრა, ცხენზე ასვლაში უშველა თავათ, შემდგომ ამისა, უნაგირზე გადამჯდარ ქალს მისწვდა, ცხენი იფარა, საწმერთულის ტოტი აუწია და აკოცა წვივზე. ჭიაბერს ეს არ დაუნახავს, რადგან იმ წუთში ჯდებოდა ცხენზე.

ჭიაბერის ტირილში მე თვალს არ ვაშორებდი მეფეს, იგი შეფარვით უჭვრეტდა მგლოვიარე ქალს. ორმოცზედაც იმიტომ მოვიდა, შორენა ენახა ხელახლა».

წამოდგა მამამზე ერისთავი, ჭიაბერისეული ხმალი აიღო ხელში.

ორხოვით დაფარულ ტაბლაზე დაარჭო და ტოხაისძეს უთხრა:

«შემომფიცე, შავლეგ, მხოლოდ იმისთვის ვიცოცხლოთ, ჭიაბერის სისხლი ვაზღვევინოთ მეფე გიორგის».

«ვფიცავ წინაპრების ჩვენის სალოცავს, გველსავით წავაცალო გიორგი მეფეს თავი».

ეს თქვა შავლეგ ტოხაისძემ, დაიჩოქა და ზეასწია თავისი გაჯაგრული, შავი მარჯვენა.

ენიშნა მამამზეს სიზმარი.

მეორე დღესვე კოლონკელიძესთან გაგზავნა შავლეგ ტოხაისძე, რათა ყოველივე წვრილად მოეხსენებინა ტოხაისძეს მისთვის. დასთქვეს: ჯერ ეკლესიებისა და ხატების შემუსვრას დაიწყებდა კოლონკელიძე, მერმე არაგვის ხეობაში გადმოვიდოდა, საერთო ძალით შემოეწყობოდნენე უფლისციხეს და მცხეთას.

ბორდოხან იმ დღესვე ბნელიდან ამოიყვანა მამამზემ, ძაძა გაიძრო და ცოლს ამცნო: შავლეგ ტოხაისძეს უნდა მივათხოვოთო კატაი.

შეკრთა ბორდოხან, მეფის მიერ მელქისედეკის პირით დანაბარები გაახსენდა მყისვე, შეშინებულმა ამის თქმა შეჰბედა ქმარს:

«მეფე რას იტყვის?...

«მეფეს მე გავცემ პასუხს».

XV

ენკენისთვის მთვარიან ღამეს მუხნარისის საბრძოლო გოდოლიდან შენიშნა გუშაგმა: ვიღაც მხედარი დაუზოგავად მოაჭენებდა მცხეთისკენ ცხენს.

შესდგა ჩარდახზე, დაუსტვინა ნელა.

სამი შუბოსანის ლანდი გამოვიდა ციხის კარიდან და შეეგება მხედარს.

ფრუტუნებდა ქუშამომჯდარი თორიანი ცხენი.

ციხისთავი მოიკითხა უცნობმა. როცა იგი ციხისთავის სამყოფლოში შეიყვანეს შუბოსნებმა, გაოცდნენ თავათ: ბერის ტანისამოსი ეცვა მხედარს, სავსებით გამოგანგლულს ბირკაში, ბირკა მოსდებოდა ქუდზედაც ბერს, ბირკას მოეცვა თმა-წვერი, ტყის კაცს მიაგავდა იგი.

ციხისთავი შემოვიდა თუ არა, მარტო საუბარი მოისურვა უცნობმა მასთან.

როცა მეციხოვნე სპანი დაითხოვა ციხისთავმა, უცნობმა წილამურებიანი ფაფახი მოიხადა, მუზარადმა იელვა მის თავზე, მუზარადი მოიხსნა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, გაიხსნა თუ არა ჩოხა, თორნი გამოუჩნდა ბერს.

განცვიფრდა ციხისთავიც, ჯერ არსად ენახა თორიანი ბერი.

ხმალს დაეყრდნო უცნობი და სთხოვა: ამაღამვე შემიშვითო ქალაქში, დაუყოვნებლივ უნდა წარვუდგეო სპასალარს, ზვიადს.

ზვიადი გვიან მობრუნებულიყო უფლისციხიდან, მაინც გააღვიძეს ნამგზავრი, რადგან თორიანი ბერი უარს ამბობდა მის გარეშე სხვა ვინმესთვის ემცნო სათქმელი და საუწყებელი.

წინ დაისვა სპასალარმა თავისი წარგზავნილი, ცხრაკარის მონასტრის მამაი სერაპიონ და მოისმინა შემდეგი:

თალაგვა კოლონკელიძეს კვლავ შემოეყვანა დიდოთა და ღილღვთა ლაშქარი ფხოვში, ხატები და ჯვრები შეუმუსრავს კვლავ, ეკლესიები დაუწვავს, ბერები და ხუცები სამრეკლოებზე დაუკიდნია თოკით, ქარაფებიდან გადაუყრია ზოგიც.

ცხრაკარის საყდრისთვის ცეცხლი შემოუგზავნია ღამე, ევდემონ თოკით გადასულა ქარაფიდან, მერმე ურბენია ღამღამობით ტყედატყე.

ხერკში თორიანი ცხენი უთხოვებიათ და წამოსულა მცხეთაში მაცნედ. დიდის ჯარით აპირებდა კოლონკელიძე არაგვის ხეობაში გადმოსვლას.

ეს ვეღარ სთქვა მსტოვარმა, მამამზე ერისთავი რას აპირებდა? მხოლოდ ერთი საყურადღებო ამბავი ამცნო: ტოხაისძეს დაუნიშნავსო კატაი, მამამზე ერისთავის ქალი.

ამ წელს ორგზის უფრო ძლიერი ლაშქარი ჰყავსო კვეტარის ერისთავს, ამბობდა სერაპიონი.

გიორგი უფლისციხეში იყო ტაძრეულითურთ წასული, ამიტომაც მეორე დღესვე უფლისციხეს წავიდა ზვიადი.

მყისვე მოიხმო მეფემ დარბაზისერნი წინაშე თვისსა.

*

მალემსბოლნი აფრინეს საერისთავოებში, წვევის წიგნნი დააგზავნეს. ლაშქართა მზაობისა და შეყრის პაემანად ცხრა ოქტომბერი დათქვეს.

ნაშუაღამემდის გაგრძელდა ბჭობა, გვიან გაიყარნენ დარბაზისერნი.

გადაწყდა: ზვიად სპასალარი დაუყოვნებლივ წასულიყო დიდის ლაშქრით ფხოვს; ექვსი დღის შემდეგ მეფე წარუძღვებოდა სამეფოის სპათა.

უბრძანეს ზვიად სპასალარს: მარბიელი წინ გაეშვა, იგი ჩრდილოეთიდან გადაუვლიდა კვეტარს, ფხოველთა მთებზე ხეობათა ყელებს შეჰკრავდა, თორღვას ციხემდე ივლიდა აგრე.

ისიც დააბარეს: სისხლის ღვრას მორიდებოდა შეძლებისამებრ. ციხისთავებისა და ხევისთავებისათვის მძევლები გამოერთმია, მარბიელ ლაშქარსაც არ აეღო ალაფი გარდა აბჯრისა, შეპყრობილ მოწესეთა და ბერთა აზატქმნა მოეთხოვნა; ზვიადის ლაშქარი უკან მიჰყვებოდა მარბიელს და კვეტარას მანამდის არ შემოეწყობოდა, სანამ მეფე არ მიადგებოდა ციხეს, რადგან იცოდა გიორგიმ: გულმძვინვარე იყო ზვიადი, ლაშქარს შეაწყვეტდა მიუვალ სიმაგრის აღებას.

მეფემ კარგად უწყოდა: თუ კოლონკელიძეს როგორმე ვერ გამოიტყუებდნენ ციხიდან, იგი ჩაიკეტებოდა, ზამთარი კარზე იყო მომდგარი და უსურსათოდ დარჩენილი ლაშქარი გაზაფხულამდის ვერ გაუძლებდა ციხის გარემოცვას.

ზვიად სპასალარს გაუხარდა, მისი წინათქმა რომ აუხდა როგორც გიორგის, ისე მელქისედეკს, სჯეროდათ: არ გასწორდებაო კუდი ძაღლისა, არცა კირჩხიბი იწყებსო მართლად სვლას.

ზვიადის პირველადი გეგმა ასეთი იყო: ფხოვში შესვლისთანავე მიელეწა რამდენიმე ციხე, რამდენიმე სოფელი დაეწვა, ხევისბერები მოეშთო, შემდგომ ამისა დაშინებული მოსახლეობა დაუყოვნებლივ მისცემდა მძევლებს.

უკეთუ კოლონკელიძე შემოეგებებოდა, რომელიმე ხეობაში მოიმწყვდევდა ერისთავს ზვიადი, ამოჟუჟავდა მის ლაშქარს.

გიორგი მეფემ, სამმა ერისთავმა და მელქისედეკმა არ შეიწყნარეს ზვიადის გეგმა, არ ივარგებსო საქმის გამწვავება, გამძვინვარებული მოსახლეობა უფრო გულმოდგინედ ამოუდგებაო კოლონკელიძეს მხარში.

*

ცხრა ოქტომბერს უფლისციხეში მოგროვდნენ სამეფოის სპანი, ტაოს ლაშქარნი, ჯარები კლარჯთა, სპანი მცხეთისა და ქვემო ქართლისანი. «მოიღო მეფემ დროშა სვიანად ხმარებული გორგასლიანი» და გადასცა იგი ზვიად სპასალარს.

შეამოწმა სპათა საომარი მზაობა და ცხენკეთილობა მათი.

მეორე დილით უთენია გავიდა ლაშქარი უფლსციხიდან. მცხეთიდან აღმა აჰყვა გუდამაყრისკენ არაგვს.

ქორსატეველას ციხე მხარმარცხნით დასტოვა, ლარგვისის ციხესთან შუა გაჰყო ზვიადმა ლაშქარი, ჩრდილოეთისკენ წარგზავნილ მარბიელ ლაშქარს კახაი უსარდლა, სამცხის სპათა წინამდგომი.

ცროლის მთიდან მხარმარჯვნით შეჰყვებოდა კახაი, ფხოვის მთების გადასასვლელებს ხელში ჩაიგდებდა, ხოლო ზვიადსა და მის ლაშქარს ოჩანის ციხისათვის უნდა შემოეარნა.

თუ ოჩანის ციხის თავი მძევლებს მოსცემდა, ზვიადი კახას ჯარს დაეწეოდა და ორივე ლაშქარი ივლიდა მხარდამხარ თორღვაის ციხემდის, დიდოეთს მოსწყვეტდნენ ფხოვიდან.

XVI

შემოდგომის მზე ალერსიანად ატფობდა ხეობას. კაკბების კაკანი ისმოდა ცარცისფერ გორმახების უბეებში. ისინი გუნდგუნდად მიჰყვებოდნენ შეღმართებს, ფუსფუსებდნენ ავშანის ბუჩქებში.

აგოგდებოდა ერთი გუნდი ბორცვზე, გუნდის მეთაური შესდგებოდა, იწყებოდა კრიახს, აფრინდებოდა გუნდი, მეორე და მესამე მოჰყვებოდა მას და მთელს ხეობაში გაისმოდა გაბმული კრიახი.

ხევის სიღრმეში საცალფეხო ბილიკს შესდგომოდა თორიანი ჭაბუკი ცხენით. ფხოვური ჭრელჭრულა კაბა ეცვა ტანკენარს, ფხოვური ქუდი ეხურა თავზე, ფარი ზურგზე დაეკიდნა, მარცხენაზე მიმინო შეესვა, დახოცილი მწყრები, ბარე თორმეტი, თავქვე ეკიდა წელზე შებმული თასმით.

დაქანცული ცხენი უღიმღამოდ მიაკანტურებდა თავს, ჩაქჩაქით მიჰყვებოდა ბილიკს. მიმინო აქეთ-იქით თვალს აცეცებდა, კაკბის კრიახს მიუგდებდა ყურს.

უდარდელად მიიმღეროდა თორიანი ჭაბუკი აღმართზე

ჰარალო, ჰარიარალუუ,
ჰარალო, ჰარიარალუუ...
კაი ყმა, მგელი, არწივი,
არც ერთ არ გაიწურთნების,
ჰარალუ, ჰარიარალუუ...

ხევს გადაღმა, სადაც ქარაფის კიდეს შურივით აჩნდა ხევიდან ამომავალი ბილიკის ტოტი, ფხოვურ სამოსში მორთულ დიაცს შეეყენებინა ცხენი.

«კოსტანტილეე, ჰაუ კოსტანტილეე.»

იძახოდა დედაკაცი.

თვალზე ხელისგულს იჩრდილავდა, ხან დასავლეთისკენ გაშლილ ბარს გადასცქეროდა, ხან ისევ ხევისკენ მიბრუნდებოდა და მთელის ხმით ყვიროდა:

«კონსტანტილე, ჰაუ კონსტანტილეე».

ჰარალუ, ჰარიარალუუ,
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა,
ჰარალუ, ჰარიარალუუ...

მღეროდა ვაჟკაცი, არხეინად მიაჩაქჩაქებდა ცხენს, ნელა მოყვებოდა აღმართისკენ ბილიკს, ხევი ქშუოდა, კაკბები უფრო გამძაფრებით კაკანებდნენ, ჭაბუკი განაგრძობდა ღიღინს:

ჰარალუ, ჰარიარალუუ,
კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწივობასა,
მთის ყურში ნადირობასა.

დედაკაცის ყივილზე ქარაფზე ასული კაკბები ისევ ხევისკენ შებრუნდნენ, მომეტებულის კრიახით გადაიხვეწნენ კბოდედან, მახლობელ სამლოცველოს ნანგრევიდან წამოიშალნენ ყორნები, უცნაური ყრანტალი შეჰქმნეს, მერმე აირივნენ ჰაერში და მელნის ლაქებად შეესხნენ სადაფისფერ ცას.

ყმაწვილმა სიმღერა შესწყვიტა და მიაყურა დედაკაცის ძახილს.

«გამააჭენე, გამააჭენე ცხენი»...

ყვიროდა დიაცი, ხელს უქნევდა თანაც.

ცხენს აუჩქარა ჭაბუკმა, მაგრამ მიმინო უჯდა მარცხენაზე, გაჭენება ვერ მოახერხა, და როცა აყვირდა დედაკაცი, იგი მარჯვენათი მიმინოს მისწვდა, ცხენს დეზი ჰკრა და აქშინებულმა ცხოველმა ძლივს მოათავა შეღმართი.

დიაცმა ცხენი დასძრა, ქარაფის კიდეს მიუახლოვდა, თავზე წამოადგა ხევიდან ამომავალს და დასჭყივლა:

«გაჰქუსლე ახლავე ცხენი, ოჩანის ციხეში ამბავი დააგდე, მეფის ჯარები მოდიან-თქო, მერე კვეტარისკენ მოუსვი, ერისთავს ამცნე, ოჩანის ციხეს მააშველოს ჯარი».

ვაჟმა მიმინო დიაცს მიაჩეჩა, კისრიდან ბოლომდის დაუსვა ხელი. ფრთები გაუსწორა, ასწავლა როგორ დაესვა მარცხენაზე. თასმა შემოიხსნა, მწყრებიანად გადასცა.

გაიფხორა მიმინო, ქარვისფერი თვალები დაუბრიალა დიაცს.

«მე ვერ მოგყვები ჭენებით, შვილო, ხალმები დამემტვრევა ხურჯინში. მოკლეებს მიჰყევ, საყორნეი გადასჭერ».

ვაჟი უნაგირზე შესდგა ორივე ფეხით, ხევს გადაღმა სერზე მომავალ ჯარს თვალი შეასწრო, მუზარადები ელავდნენ მზვარეში, მერმე უნაგირს დაახტა უკანალით და გაჰქუსლა ცხენი.

დედაკაცმა თავსაფარი მოიხსნა, ფრთხილად გაახვია მიმინო შიგ, თავი ამოაყოფინა მხოლოდ, რუდუნებით ჩაისვა იგი უბეში, თასმა წელზე მოიბა და გაუჯავრდა დავარდნილ ცხენს.

XVII

გამოჩნდა თუ არ ოჩანის ციხე, ზვიადმა აქაც ორად გაჰყო ლაშქარი, ერთს ტაოელი აზნაური ფანასკერტელი უსარდლა, მეორეს თავად წარუძღვა წინ. ფანასკერტელი ჩრდილოდან შემოუვლიდა ციხეს, იმ მხრიდან, საიდანაც ხატის ტყეები გარს ერტყა მას.

წინასწარ იცოდა ზვიადმა:

ფხოველები ხატის ტყეებში არ დადგამდნენ ფეხს, ხოლო ზვიადი და მისი ლაშქარი ჯერ ხევ-ხევ ივლიდნენ და როგორც კი გაუსწორდებოდნენ ოჩანის ციხეს, ზეგანზე ამოვიდოდა ჯარი, აღმართებს შეჰყვებოდა ფიცხლავ.

თუ მძევლებს მისცემდნენ, ხომ კარგი, თუ არადა ზვიადისა და ფანასკერტელის ლაშქარი მაკრატელივით მოიკეცებოდა სამკუთხედად მთებში შემოჭრილი, სალტეებში მოიქცევდა მტერს.

ოჩანის ციხეს ჩრდილოეთიდან გორმახები საზღვრავდა. დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მიუვალი ქარაფები, ხოლო სამხრეთიდან ოდნავ დაქანებული ვაკე, რომელსაც ამომშრალი ხევი.ზღუდავდა, ხევის კიდეს მეჩხერი ტყე მისდევდა თელისა, აქა-იქ ღიჭიანი და კატაბარდი.

ხევი ღრმა იყო. ცხენოსანს კარგად დამალავდა, ნახირებსა და ჯოგებს ბილიკებით დაეკბილა ხევის კიდე ალაგ-ალაგ.

ამ ბილიკებით უნდა ესარგებლნა ხევიდან ვაკისკენ ამომავალ ლაშქარს.

ზვიადი სარკინოზებთან ნაბრძოლი იყო მრავალგზის, მან კარგად იცოდა: როცა საიერიშოდ მიმავალ ცხენოსან ჯარს თხრილი ეგულება უკან, ეს უკუქცევის ფიქრს ახშობს მხედრების გულში.

სარკინოზები საგანგებოდ აკეთებდნენ თხრილებს, ამ შემთხვევაში თვით ბუნება წამოშველებოდა სპასალარს.

ზვიადმა ბრძანა: ყოველ მეორე მხედარს ხევში დაეტოვებინა ცხენი. ყოველ ცხენოსანს თითო-თითო ხლებოდა ქვეითი, ზოგი შუბით, ზოგი ქამანდით, ზოგიც ჰოროლითა.

სპასალარმა იგიც იცოდა, მთეულების ჯარს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ფხოველნი და დიდონი მთაში გაზრდილ მუხლმაგარ ცხენებზე ისხდნენ.

ზვიადს წესად ჰქონდა, ცხენოსან ლაშქართან ბრძოლაში მტრის ცხენის დაშვება შუბით, ჰოროლით ანდა ქამანდით.

ვიდრე ჭაბუკი კონსტანტინე ციხემდის მიაღწევდა, ზვიადის ლაშქრის მოახლოვება გზირებმა აცნობეს კვეტარის ციხისთავს კიდევაც.

როგორც კი ხევში შემავალი ლაშქარი შენიშნეს მეციხოვნეთა, ქოსსა ჰკრეს ოჩანის ციხეში.

გოდოლების ჩარდახებზე კოცონები აანთეს და ჩამოეგებნენ ვაკიდან ამომავალ მტერს.

ჩრდილოეთიდან ფანასკერტელის ჯარი მოიპარებოდა ხატის ტყეებში. ზვიადის ლაშქარი ვერ დაფარა მეჩხერმა თელიანმა.

ერთ წუთში აივსო ვაკე ფხოველთა და დიდოელთა ცხენოსნებით... ჯერ დიდოელნი ეძგერნენ შეღმართში ამავალ მხედრებს, ცხენები დაუხოცეს მეწინავეთა. თელიანი და ჯაგნარი ხელს უშლიდა ბრძოლას, ამიტომაც ხმალი ვერ იხმარეს ზვიადის სპათა.

ხევი ვიწრო იყო,ზვიადის ლაშქარს კიდემდის გაევსო იგი.

ვაკეზე ასასვლელი ბილიკები არც ისე ბევრი იყო, ამიტომაც ურთიერთს აწყდებოდნენ ცხენოსნები. დიდოელნი ბილიკები ყელებში უხვდებოდნენ, უმოწყალოდ სცემდნენ ცხენსა და კაცს.

ისრით და შუბით განგმირული მხედრები ძირს ენარცხებოდნენ, კოტრიალით სცვივოდნენ ხევში. დამფრთხალი ცხენები ყალყზე დგებოდნენ, ჭიხვინით ვარდებოდნენ კბოდეებიდან.

ერთბაშად ყორნების ლაშქარმა დაფარა ხევი, თელებზე ჩამომსხდარნი შემზარავად ყიოდნენ.

ჭიხვინებდნენ უპატრონო ცხენები, კვნესოდნენ დაჭრილები, ველურად ყიჟინებდნენ დიდოელნი და ფხოველნი.

ცხენი დაუჭრეს ხევიდან ამოსვლისას ზვიადს. წაიქცა ზვიადის ცხენი. ისკუპა აბჯრის მტვირთველმა, მარქაფა შეაგება მყისვე, სცა ჰოროლი დიდოელ შუბოსანს, კბოდედან გადააგდო ზვიადმა დევკაცი.

შეკრთა ერთი ფრთა შეღმართში ამავალ ჯავახელებისა, ხევისაკენ მიაბრუნეს ცხენები.

მაშინ განრისხდა ზვიად სპასალარი, «შეუზახნა ლაშქარს, სცეს მეფის სპათა საყვირთა და მიეტევეს, ვითარცა მხეცნი».

მოათავეს შეღმართი, გაივაკეს ქვეითად მომავალ სამცხელთა, ისევ მოასხდნენ ცხენებს. ამოიწვადეს ჯავახელებმაც ჯავარდნები და შეუტიეს მტერს.

მოისრნენ დიდძალი ფხოველნი და დიდონი, მწკრივად დაწვნენ ოჩანის ციხის სანახებში მკერდგანგმირულნი.

ხელახლა სცეს საყვირი მეფის სპათა და მარჯვენა ფრთა დაწინაურდა, ზურგზე მოექცა ციხისკენ მიმავალ სერს.

ფხოველთა ჯარს ხევისბერი ღუდუშაური მეთაურობდა. მთის ცხვირზე უკვე აცნობეს, ხატის ტყე გადმოლახაო კახაის ლაშქარმა.

იცოდა: ფხოველნი ხატის ტყეებში არ შევიდოდნენ, დიდოელთა დიდი რაზმი წარგზავნა. კახას ლაშქარს არც ჰოროლი უხმარია, არც შუბები, - ტყიდან გამოსვლის უმალვე ხმალდახმალ ეძგერნენ ცხენოსნები მტერს, - რადგან ახოში შემოეყარნენ დიდონი მათ.

განცვიფრდნენ დიდოელნი, როცა მათ ხმლები ყინვის ლოლუებივით მილეწეს კახას სპათა ჯავარდნებმა.

ღუდუშაური დიდოელთა საშველად აპირებდა ციხისაკენ მიბრუნებას. ამ დროს შედრკნენ დიდოელნი და ხატის ტყეებისაკენ გაჰქუსლეს ცხენები. კახას ლაშქარმა თავი ააღირა, გულდაგულ გამოემართა ციხის გოდოლისაკენ.

მიხვდა ღუდუშაური, თავათ ციხეს რომ მიშველებოდა, ზვიადის სპანი ზურგში მოექცეოდნენ, ამიტომაც საშინელი ყიჟინი მორთო ხევისბერმა, ხმალი იშიშვლა და ხუთასზე მეტი ცხენოსანი მიაგდო ზვიადის ლაშქრისკენ გულდაგულ.

ახლა ტაოელებმა გამართეს ჯავარდენები და შეეგებნენ სერის თავზე მამაც ხევისბერს.

მაშინ თავის უზარმაზარ ულაყს დეზი ჰკრა ზვიად სპასალარმა, ხევისბერის ტანმორჩილ ჩერქეზულს აძგერა მკერდულით. მხარი აქცევინა ღუდუშაურმა ცხენს, თავათ ხმალი გადაუქნია სპასალარს, მაგრამ ხმალს ხმალი შეაგება ზვიადმა და ვადა შერჩა ხევისბერს ხელში.

ვიდრე ჰოროლს მიაწვდიდნენ ღუდუშაურს, მოუნაცვლა ზვიადმა და აბჯრიანად გაჰკვეთა იგი წელამდის.

ხევისბერის ვაჟი თორღვა გამოენთო სპასალარს, მაგრამ უმუხთლა ქედფიცხელმა ულაყმა, მისი ხმალი სპასალარს ასცდა და ზვიადის ცხენს წააცალა ორივე ყური.

ფხოველნიც დარწმუნდნენ, ძვალისა და ფოლადის მკვეთელი ხმლები რომ ჰქონდათ სამეფოის სპასთა, პირი იბრუნეს, და გაჰქუსლეს ხატის ტყეებისაკენ ცხენები.

შეანგრიეს თუ არა ციხის კარები, დაზავება ითხოვა ციხისთავმა მყისვე, მძევლების მოცემას დაჰირდა ზვიადს.

იმ დღესვე თავი მოჰკვეთეს ციხისთავს და გოდოლის ჩარდახიდან გადმოჰკიდეს იგი თოკით.

ორი ათასი აბჯრის ალაფი აიღო ზვიადმა და დაარღვია ოჩანის ციხე.

უთენია მიჰყვა ხეობებს, უგრძნეულოდ და უბრძოლველად გასწია კვეტარისაკენ.

გზადაგზა პურ-მარილით ეგებებოდნენ ფხოველნი. ყელზე საბელშებმული ხევისბერები ითხოვდნენ ზავს.

გააფთრებულმა ზვიადმა ბრძანა და სამრეკლოზე დაჰკიდეს ისინი იმავე საბელებით, რომელნიც მორჩილების ნიშნად გამოებათ თავათ. გზადაგზა ხიზანი და აბჯრის ალაფი აიღო, მძევლები ჩაიბარა ხევისთავებისაგან.

ყველას აგრე ეგონა: კვეტარის ციხის ასაღებად მიემართებოდა ზვიადის ლაშქარი. სპასალარმა განზრახ აირჩია პირდაპირი გზები, რათა შიშის ქარი შესდგომოდა ერისთავს.

კოლონკელიძეს კონსტანტინე არსაკიძის მოსვლამდის აცნობეს მსტოვარებმა მეფის ლაშქრის შემოსვლა ფხოვში. სამი დღით ადრე მამამზე და ტოხაისძე იუწყებოდნენ: დიდძალი სპით მოდიანო მეფე და ზვიადი.

თავდაპირველად გუდამაყარში უნდა შებმოდა ერისთავი ზვიადის ლაშქარს, მაგრამ აქ მოხდა ასეთი ამბავი:

მამამზეს და ტოხაისძეს პირობა ჰქონდათ, კოლონკელიძე არაგვის ხეობაში გადმოსვლას თუ მოასწრებდა, მხოლოდ მაშინ შეუერთდებოდნენ ისინი მეამბოხეებს.

ახლა, როცა სპასალარმა დაასწრო კოლონკელიძეს, ისინი უარზე დადგნენ, რადგან იცოდნენ: ქორსატეველას მიწასთან გაასწორებდა გზადგავლილი ზვიადი.

კოლონკელიძემ ასე ივარაუდა: ჯერ ხევისთავებისა და ხევისბერების მიერ მოგროვილ ბრბოებს უნდა შელეწნოდა ზვიადის ლაშქარი, ხეობების თავებში აღმართულ გოდოლებს გამკლვებოდა. როცა კვეტარს მიეახლებოდა, ციხიდან გამოვიდოდა კოლონკელიძე და კვეტარის სანახებში შეებრძოლებოდა მას.

თუ საქმე მისჭირდებოდა, კვეტარის ციხეში ჩაიკეტებოდა კვლავ.

ზამთარს გულისხმობდა მოკავშირედ. უსურსათოდ დარჩენილნი სპანი მეფისანი ვერ გააწევდნენ გაზაფხულამდის.

ოჩანის ციხის აღებამ, დიდოთა ლაშქრის უკუქცევამ, კახაის მიერ ფხოვის მთების ჩაკეტვამ, ბოლოს ფოლადისა და ძვალის მკვეთელ ჯავარდენების გამოჩენამ თავზარი დასცა კოლონკელიძეს.

ზვიადთან მძევლების გაგზავნას აპირებდა ერისთავი და სწორედ ამ დროს მალემსრბოლი მოვიდა უფლისციხიდან. მეფე გიორგი ტაძრეულითა და დიდის ლაშქრით მობრძანდებაო კვეტარს. მძევლებსა და ზავის პირობის შეკვრას მოითხოვსო, რათა შემდეგ საერთო ჯარით გაილაშქროსო კახეთ-ჰერეთის ქორ-ეპისკოპოზის წინააღმდეგ.

თალაგვამ კარგად იცოდა «უშიშო იყო გიორგი, ვითარცა უხორცო», მაგრამ ეს გარეშე მტრებთან ომებში, ხოლო საერისთავოებში სისხლის ღვრას გაურბოდა იგი. მართალია, ზვიადი მუდამ სისასტიკეს მოითხოვდა, მაგრამ სამაგიეროდ მელქისედეკ კათალიკოსი მხარს უჭერდა სათნო თათბირით მეფეს.

ამიტომაც აგრე იფიქრა კოლონკელიძემ; ზვიადმა დალაშქრა ფხოვი, დიდონი უკუაქცია. მეფე სისხლის ღვრას ერიდება და შემირიგებსო უთუოდ.

პირველი ამბოხიც მანვე აპატია, ძელიცხოველის ლაშქრობა აკმარა ორივე ერისთავს.

XVIII

სულ სხვა გზით წამოვიდა გიორგის ლაშქარი. მეფემ ლარგვისის ციხეში გაათია ღამე და ქორსატეველას მიადგა დილით. მამამზე და ტოხაისძე დიდის ამალით შემოეგებნენ მას.

მამამზე «მამაშვილურად» გადაეხვია გიორგის, მარჯვენა მხარზე აკოცა ჩვეულიბისამებრ.

ბევრი ევედრა მეფეს ბორდოხან, დილამდის დარჩითო ჩვენსას. მეფე დაჰპირდა ფხოვიდან მობრუნებულნი უეჭველად გამოგივლითო.

«ქალს ათხოვებო, ბორდოხან ბატონო, ასე გადმომცეს ქორწილია მოსალოდნელი».

ბორდოხანს სახე აელეწა, შედრკა. ხელაღებით უპასუხა:

«რა დროს გათხოვებაა ბალღისა, ჯერ მხოლოდ თორმეტი წლისაა, მეფევ ბატონო, კატაი».

ისაუზმეს თუ არა, დაიძრა ლაშქარი.

მეფის მოლოდინისაგან დამფრთხალი ხალხი მიუვალ მთებში გახიზნულიყო, დაცარიელებული სოფლები უპატრონო ძაღლების, მოხუცებისა და ავადმყოფების ამარა მიეგდოთ.

სამრეკლოზე ჯერ კიდევ ეკიდნენ თავჩაქინდრული ხევისბერები თოკით. ეკლესიები გამოეკეტნათ, რადგან ბერები და ხუცები დაეხოცნათ, ან თავათ ისინი გაქცეულიყვნენ მცხეთას.

ხევის ყელებთან დახოცილი გზირები ეყარა; სვავები ჰკორტნიდნენ ნადირის მიერ დაძიძგნილ ცხედრებს.

ზვიადის მიერ გამოგზავნილი მალემსრბოლი გოიმზვარესთან წამოეწია გიორგის.

კოლონკელიძემ მძევლები მოიღოო, დიდოთა და ღილღვთა ბრბოები ფხოვის მთებს გადაღმა გადავრეკეთ, კახას ჯარი თორღვაის ციხეს შემოეწყოო, ცხრაკარში ველოდებით ბრძანებას მეფისას, იწერებოდა ზვიადი.

გიორგიმ ეს დააბარა მალემსრბოლს უშიშარაისძეს:

როცა მე შემოგითვლი: პანკისს წადი-მეთქი, ეს ნიშანი იქნება, მე კვეტარის ციხეში დაგიხვდები, მყისვე ლაშქრიანად მოდიო, - გოიმზვარეს გასცილდნენ თუ არა, დაწინაურდა ჯვარისმტვირთველი. თორმეტი თორიანი რაინდი სეფე-დროშას ახლდა, მოშორებით მეფე მოდიოდა, სამასი შუბოსანი თან მოსდევდა. ათასზე მეტი მონასპა უკან მოჰყვებოდა მეფის ამალას, მაგრამ ეს ლაშქარი ჯერაც არ იყო შემოსული გოიმზვარეში.

დაღმართში მიმავალი ურმის გზა ხევის უბეში იკარგებოდა, წაბლის ტყეები დაიწყო უსიერი, მელიები გადარბოდნენ გზაზე.

მეფემ თვალი მოჰკრა, ხევის უბიდან თორიანი მხედრები გამოვიდნენ და გაუსწორდნენ თუ არა ჯვარისმტვირთელსა და მედროშეს, მყისვე დაქვეითდნენ, რაინდთა წესისამებრ, პატივითა ხილვამოუწყვეს მეწინავეთ, ეამბორნენ და ისევ შესხდნენ ცხენებზე და გიორგის ამალისაკენ გამოემართნენ.

გიორგიმ კოლონკილიძე იცნო, გზა წვრილი იყო და არ სჩანდა, თუ რამდენი სპა ახლდა ერისთავს.

ისრის მისაწვდენზე კვლავ დაქვეითდა კოლონკელიძე და მისი ამალა, ახლა უფრო მოკრძალებულად გაუმართეს პატივითა ხილვა მეფესა და მის ამალას.

როცა თავმოდრეკილი კოლონკელიძე ეახლა მეფეს და ხელზე ეამბორა, მან ნაძალადევად გაუღიმა ცბიერ ერისთავს.

კოლონკელიძეს გული მოეცა, როცა გიორგის გვერდით მომავალი მამამზე დაინახა, ხოლო მისუკან სახლთუხუცესი - ტოხაისძე.

მეფის ამალას თვალი შეავლო კოლონკელიძემ, ინანა: დიდი ლაშქრით რად არ შევეგებეო გიორგის. ასე ეგონა მარტოოდენ სამასი მონასპა ახლდა მეფეს.

ეს წაბლის ტყე ჩინებული იქნებოდა ჩასასაფრებლად.

გზა შეღმართებს მიჰყვა, ამასობაში უკან მომავალი ლაშქრის მეწინავენი წამოეწიენ მეფის ამალას, კოლონკელიძეს გუნება გაუფუჭდა. აღარ იცოდა, ბოლოს რადმენი ათასი ცხენოსანი თან ახლდა გიორგის.

მეფის საუბრის კილო სამშვიდობოს იძლეოდა ნიშანს. მშვიდი იყო ბუნებით გიორგი, ენამზეობას მოკლებული, მაგრამ ამაოდ მოუბარი და სახით სათნო.

წყნარი და მზიანი საღამო იყო, ცხენების ერთობლივი ფრუტუნი, ხევის წყლის ამო ჩხრიალი, ცას მიწვდენილი მთების სილურჯე, შაბიამანის ფერი მაღალი ცა, - ეს ყოველივე მშვენიერ გუნებას უქმნიდა მეფეს და მის ამალას. გიორგი მეფე, კოლონკელიძე და მამამზე თავთავიანთი მხლებლებით ისე ტკბილად მოსაუბრობდნენ, თითქოს ყველას დავიწყნოდა, საომრად რომ უნდა შეხვედროდნენ ამ ხეობაში ურთიერთს.

კოლონკელიძეც ამოდ შესაყრელი კაცი იყო, - ტანმორჩილი, ტანხმელი, მაგრამ მშვენიერი ვაჟკაცი; წვერი გაჟღალებოდა ოდნავ, მაგრამ ჭაბუკური იერი გადაჰკრავდა სახეზე, თაფლისფერ თვალებიდან სიჭაბუკის ცეცხლი გამოკრთოდა.

მეფემ ორ-სამჯერ ესროლა მზერა გვერდით მომავალს, გაახსენდა ის საღამო მცხეთობას, როცა კოლონკელიძე ცხენოსნობაში ეპაექრებოდა შორენას. და-ძმას უფრო წააგავდნენ იმ ჯირითში ისინი, ვიდრე ხუმრობით გაჯიბრებულ მამა-შვილს.

წაბლები სცვიოდნენ გზაზე გადმოსულ შტოებიდან, სადღაც ხევში ხარირემი ყვიროდა. კვერნები დაშლიგინებდნენ ცადაწვდენილ სოჭის ხეებზე.

მეფემ განზრახ აუჩქარა ცხენს, კოლონკელიძე აიყოლია და როცა მცირე მანძილზე დაშორდნენ ამალას, კოლონკელიძემ ფრთხილად წამოიწყო «სამწუხარო გაუგებრობის» ამბავი. ეს ყველაფერი «დიდოთა და ღილღვთა ბრბოებს» გადააბრალა უტიფრად და როცა ამას ამბობდა, თაფლისფერ თვალებს არ აშორებდა გიორგის.

დიდის მადლობით ახსენებდა სპასალარს, ფხოვის მთებს გადაღმა გადარეკაო «ის მურტალნი» ზვიადმა, თანაც შესჩივლა შეფარვით მეფეს, მძევლები შევაძლიე, აბჯრის ალაფა აიღო, ხევისბერები მაინც მოაშთოო, მორჩილების ნიშნად საბელგამობმულნი ყელზე.

მეფემ ცხენი შეაყენა, მალემსრბოლი იხმო, ზვიადთან წასვლა უბრძანა.

დააბარა: ხევისბერებს არ ახლოო ამიერიდან ხელი. შეუთვალა: ცხრაკარი დააგდეო მყისვე და ზეგ დილამდის მიცადეო პანკისში.

პანკისის ხსენებამ იმედი განუმტკიცა ერისთავს, ალბათ პანკისიდან აპირებსო გიორგი ჰერეთის ქორ-ეპისკოპოზის დალაშქვრას.

გარდა ამისა, კიდევ ერთი რამ აძლევდა კოლონკელიძეს ნუგეშს: ერისთავს გუმანი ჰქონდა: მეფე შეფარვით ეტრფოდა შორენას.

ისიც იცოდა: დედოფალთან უთანხმოება რომ ჰქონდა უწესო დედათა მოყვარულს.

გაახსენდა გურანდუხტის ნათქვამი: შიმუნვარებს უნახავთ, შორენას უჭვრეტდაო თურმე იდუმალ ჭიაბერის ორმოცზე მეფე.

ტოხაისძის ნაამბობიც ემთხვეოდა ამას ყოველივეს, გიორგიმ ჯვარი მოაწამვლინა ფარსმანს, ჭიაბერი იმადაც მოაკვლევინა, რათა დედოფალს გაეყაროს და შორენა შეირთოსო ცოლად.

ამ წუთში დაბეჯითებით ირწმუნა კოლონკელიძემ: შესაძლოა შორენას შესართავად მოსულიყოსო მეფე.

თალაგვას ახლა აღარ მოსწონდა უკვე მამამზე ერისთავისა და ტოხაისძის ჩამოსვლა.

თუ გიორგი მართლაც გაეყრებოდა ცოლს და შორენას შეირთავდა, კოლონკელიძე მზად იყო ჰერეთლის ქორ-ეპისკოპოზთან ომში დახმარებოდა მას. მეფესთან დამოყვრება ახალ ასპარეზს აღუთქვამდა თავმოთნე ერისთავს.

ეს ყოველივე ურთიერთს დაერთო, ამიტომაც გულმხიარული წარუძღვა იგი საომრად მოვლენილ სტუმრებს.

კოლონკელიძემ შიკრიკი აფრინა კვეტარის ციხეში, მეფისა და მისი ამალის მისაღებად მოემზადენითო, დააბარა სახლთუხუცესთან.

ციხისთავი, შვიდი ხევისთავი და ცამეტი ხევისბერი ჩამოეგებნენ სტუმრებს, ერისთავის მეუღლე გურდანუხტი, შორენა შიმუნვარებითურთ ციხის კარებთან დაუხვდნენ მეფეს.

ორას ორმოცდაათი ხარი დაჰკლეს იმ საღამოს. შვიდი ირემი და სამასზე მეტი ცხვარი.

პურობის დაწყებამდის მეფე და ერისთავი განმარტოვდნენ, მცირე ხანს ისაუბრეს, შემდგომ ამისა, ხუთი ტაოელი აზნაური ციხისთავი და სამი ხევისთავი დაისწრეს თათბირზე.

დასთქვეს: მეორე დღესვე წასულიყვნენ პანკისს მეფე და ერისთავი, იქიდან შეეტიათ ჰერეთის ციხეებისათვის.

მეფემ ლალისთვლიანი ბეჭედი წამოაცვა ერისთავს ცერზე, ერთი საყურე, ერთი რაინდული სარტყელი ბიზანტიური, ერთი ხელი აბჯარ-მუზარადი, სამი თოროსანი ცხენი, დროშა და შუბი მიუბოძა. ზავის პირობა მისცა, «სამარადჟამოდ და დაურღვეველი და კვეტარის საერისთავოს შეუვალობა სრული».

კოლონკელიძემ ციხის ეზოში გაიყვანა მეფე, აჩვენა ქალტა ირმებისა. ირმის მთელი ჯოგი ჰყოლოდა ციხეში.

გარემოცვის დროს ვკლავთო ხოლმე ამ ირმებს, როცა მშვიდობაა, ვაშენებთო.

ეუბნება გახარებული მასპინძელი სტუმარს.

მეფეს თვალები გაუბრწყინდა ამ მშვენიერი ცხოველების პირისპირ მდგარს. კისერი მოიღრიჯეს ხარებმა და ფურებმა, ატორტმანდა ქორბუდიან რქებისა ტევრი.

ნუკრები მორცხვად იმალებოდნენ მოთვინიერებულ ფურების ლაჯებში, მათ ჯერაც არ გასცლოდა დედის მუცლიდან დაყოლილი ველური დარცხვენილობა. მხოლოდ ერთი, უმშვენიერესი ნუკრი, მთლად ლომისფერი და ამაყად ყელმოღერილი იდგა განაპირას, ჯახველის ქვეშ. როცა გიორგი მიეახლა, იგი ადგილიდან არ დაძრულა, თავისი მშვენიერი გიშრისფერი თვალებით შესცქეროდა ახალმოსულს.

გიორგიმ ხელი გაუშვირა: თფუჩიო, - უთხრა.

ნუკრი უფრო ახლოს მოვიდა, ჯერ დახედა გაწვდილ ხელს, შემდეგ თავისი უფრო ახლოს ხორკლიანი ენით გალოკა იგი.

«აი ეს შორენას საყვარელი ნუკრია ნებიერა, ობოლია, ამტომაც შეივრდომა იგი და თავათ გაზარდა შორენამ».

სთქვა კოლონკელიძემ.

ახლა ყველაზე უფრო დიდსა და მშვენიერ ფურს დაუწყო მზერა გიორგიმ.

«სამოცდაათი მეწველი მყავს ასეთი, თორმეტ წყვილს ხვალვე გაახლებთ მცხეთაში».

ეუბნება ერისთავი მეფეს.

თავის სიცოცხლეში არაფერი ისე არ შეჰხარბებია გიორგის სხვისი, როგორც ეს ირმის ჯოგი, ეს ირმის ჯოგი და შორენა...

«შორენა აწი ველარ გახდება « სხვისი», რადგან ჭიაბერი აღარაა ამქვეყნად, ხოლო ირმის ჯოგი?.. ირმის ჯოგი... ვნახოთ რა მოხდება ამაღამ»...

ეს გაიფიქრა მეფე გიორგიმ და ჯიქურ შეხედა კოლონკელიძის თაფლისფერ თვალებს. ამ წუთში ვერავითარი მზაკვრობა ვერ დაიჭირა ამ თვალებში. ეტყობოდა, იგი მართლა აპირებდა თორმეტი წყვილის გაგზავნას მცხეთაში.

პურობა დაიწყო. მემაშხალეთ ალყა და ქონი შემოზიდეს და მაშხალები აანთეს.

აწრიალდა მეფე გიორგი. გულით ეწადა: პურობის დაწყებამდის მოესწრო ზვიადს.

უეცრად ძრწოლამ აიტანა, ვაჲთუ, მალემსრბოლი უშიშარაისძე გზაში შეეპყრო რომელიმე ხევისთავს. უშიშარაისძე დაცდილი ჰყავდა ომებში გიორგის, ფეხებით რომ დაეკიდნათ, იგი არ გასთქვამდა საიდუმლოს, მაგრამ ეს იყო, მთელი გეგმები აერეოდათ ზვიადსა და გიორგის.

თუ უშიშიარაისძე ცხრაკარამდის ვერ მიაწევდა, ზვიადი პირდაპირ გაიგებდა ქარაგმულად შეთვლილს, ლაშქრიანად აიყრებოდა ალბათ და მართლაც წავიდოდა პანკისს».

თუ უშიშარაისძე მშვიდობით ჩასულია ცხრაკარში, მაშ რად იგვიანებდა ზვიადი ამდენს ხანს?

არც პანკისი იყო შორს, მაგრამ გიორგიმ დანამდვილებით არ იცოდა, რას მოუწყობდა მეფესა და ამალას მელაძუა ერისთავი, ხომ შესაძლო იყო ღვინო მოეწამლათ, ან ირმის ხორცში გაერიათ მცირედი შხამი?

უმთავრესი მაინც ეს იყო, მეფე გიორგის არ უნდოდა პურ-მარილის მიღება.

პურობა გათავდა თუ არა, ნადიმი დაიწყო მყისვე, როცა მეფის სადღერგრძელო შეისვა, შორენამ თავათ მიართვა სამადლობელი ჯიხვი გიორგის.

ამ საღამოს ადრინდელზე მეტად მოეწონა მეფეს ერისთავის ასული.

დაქალებულიყო შორენა. ქალწულურ ტანკენარობას მისას სრულიადაც არ არღვევდა მოწიფულობის მაცნე სავსება ხორცისა, ოდნავი სიყვითლე მაინც შერჩენოდა ღაწვებზე; ძაძა მუქყვითელ სამოსს შეეცვალა ირანული აბრეშუმისას, რომელსაც მწყრისფერი იერი გადასდიოდა ზოგან.

სხეულის კიდურები დარგძელდებოდა, გულ-მკერდისა და თეძოების სისავსე ჰარმონიულად შერწყმულიყო ისეთ სიმრგვალეში, როგორიც მწყერს სჩვევია ხოლმე რთველის მიწურულში, ამ ძვალწვრილსა და ხორცმრავალ არსებას.

მეფე შეფარვით უმზერდა მის გვერდით მჯდარ შორენას და მამაკაცის ქორულმა მზერამ ეს შენიშნა: ისეთ მიჯნამდის მიწეულიყო მგლოვიარე სასძლო, როცა ქალობა სძლევს ხოლმე გლოვას და დიაცური სიკეკლუცე თავის მშვენების გამოსაჩენად მოირგებს სიმძიმილის ნიშნად სატარებ სამოსსაც.

კიდევ შეხედა შორენას, შეუძლებელი იყო რაიმე მზაკვრობა ხლებოდა ამ მშვენიერ, შეურყვნელ თვალებს. ეს იყო, მის მზერაში გიორგიმ დაიჭირა ის ველური დარცხვენილობა, რომელიც ირმის ნუკრების გამოხედვაში შენიშნა წეღან.

როცა ჯიხვი გამოართვა და ნუშისგულივით თეთრ ხელებს დაჰხედა, ასეთი ხელებით მორთმეული საწამლავიც საამური იქნებაო ალბათ, ეს გაიფიქრა და გამოსცალა ჯიხვი.

გაახსენდა ჭიაბერის მიერ ოვსთა მეფის მოწამვლა ქორსატეველას ციხეში.

გამოსცალა თუ არა, რაღაც უცნაურმა შიშმა შეიპყრო მეფე გიორგი, «უშიშო ვითარცა უხორცო» (როგორც მატიანე ახსენებს მას).

ერთ წუთში ისევე მოიცა გული, გაუხარდა ხელ-ფეხი რომ ესხა კვლავ და მოძრაობა შეეძლო, ახლა ხმის გაღება მოუნდა და ეუბნება შორენას:

«შენი ნუკრი მაჩვენა თალაგვამ, მშვენიერი ცხოველია ნებიერა».

შორენას იამა, მეფესაც რომ მოსწონებოდა მისი საყვარელი ნუკრი, გაუკვირდა: სახელიც რომ დახსომებოდა მისი. რაღაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ გამოსაღები ხმა სადღაც ხორხის არეში გაუწყდა და საკუთარ ხელებს დახედა მორცხვად.

დიდი ხანია რაც მისი ხმა არ გაეგონა მეფეს, ამიტომ ასეთი რამე უთხრა:

«თალაგვა მიამბობდა: ობოლიაო ნუკრი, დედამისი რა იქნა?»

«წრეულს მყვირალობის დროს გაგვექცა დედამისი. საერთოდ ფურები უკეთ იტანენ ტყვეობას, ვიდრე ხარები, განსაკუთრებით თუ ნუკრი ეყოლათ, მაგრამ ნებიერას დედა გამონაკლისი იყო.

იგი ერთმა დიდოელმა მოჰგვარა სამი წლის წინად მამას. ბევრი ვეცადეთ, არ იქნა მისი მოთვინიერება. ჩემი ხელით ვაჭმევდი, მარილს ვალოკინებდი, მუდამ ტყისკენ ეჭირა თვალი.

მყვირალობის დროს აუტანელია მათი ბღავილის მოსმენა. მე მთელი ღამე არა მძინავს მყვირალობის დროს.

ნებიერას დედა წრიალებდა განსაკუთრებით, დაიწყო თუ არა ამ წელს მყვირალობა, დღისით და ღამით ბღაოდა ბედშავი, საჭმელს პირს არ აკარებდა, ბოლოს წყლის სმაც აღიკვეთა, ჩვენ შეგვეშინდა, ვაჲთუ მოკვდესო დარდისაგან. მერმე ეს იყო, მონადირეებს უბრძანა მამამ, თოკით წაეყვანათ მთაში, მჟავე წყალი მოსვასო ეგების.

როგორც კი მთები დაინახა, შემზარავი ყვირილი ასტეხა თურმე, მჟავე წყალს დაეწაფა და მოიკლა თუ არა წყურვილი, ერთი გადაბღავლა მთებს, ყურები დასცქვიტა, და გადაეშვა ქარაფიდან»...

«მონადირეები?»

იკითხა გიორგიმ.

«ერთმა ხელის გაშვება მოასწრო ხოლო მეორე, დიდოელი არ მოეშვა, თან გადაჰყვა უფსკრულში».

«ასე ძნელია თავისუფლების დათმობა», ეუბნება გიორგი და ჯიქურად შესცქერის თვალებში ქალს.

თუ ნადირობო?

შეეკითხა გიორგი.

«როგორ არა?»

«რაზე?»

«ჯეირანზე , შველზე».

«ირემი თუ მოგიკლავს?»

«ირემი ჯერ არ მომიკლავს».

«მარტო დადიხარ მთებში?»

«არა, მამასთან, როცა მამას არა სცალია, არსაკიძესთან?».

«არსაკიძე ვინღაა?»

«ჩემი ძუძუმტეა».

ღვინისაგან ლოყები შეეფაკლა გიორგის, ცხენით ნამგზავრი მიეძალა ირმის ცურს (ირმის ცურის მწვადი უყვარდა განსაკუთრებით მას).შორენა ისე ბრწყინავდა, გიორგი უდიდეს ბედნიერებას განიცდიდა მის სიახლოვეს. ამ წუთში მას ერჩივნა უბრალო აზნაური ყოფილიყო და არა მეფე. მალემსრბოლი უშიშარაისძე მართლაც შეეპყრო რომელიმე ხევისთავს და ზვიადი მართლაც წასულიყო ლაშქრითურთ პანკისს.

სწორედ ამ წუთში მეორედ წარგზავნილი მალემსრბოლი შემოიყვანეს, ჯიქურ წამოვიდა მეფისკენ.

გიორგის გაუხარდა. - ალბათ ნანატრ ამბავს მომახსენებსო მალემსრბოლი, უშიშარაისძეს ჩაუსწრებდა იგი:

თავმოდრეკილი მიეახლა მალემსრბოლი და მოახსენა: ზვიადი გეახლებათო ახლავე.

მეფე აიმღვრა, მაგრამ მღელვარება მყისვე დაიოკა.

კოლონკელიძე სუფრის ბოლოს იჯდა, ზვიადის ხსენებაზე უსიამო ჟრუნტელმა დაუარა.

გაოცდა თანაც: აკი პანკისს უნდა წასულიყო ზვიადი?

ეს გაიფიქრა ერისთავმა და ოცდაათი შუბოსანის თანხლებით შემოვიდა ზვიადი დარბაზში.

არც ეს ეპრიანა კოლონკელიძეს, ზვიადს დიახაც მართებდა ხმლიანად ხლება მეფისა, მაგრამ ჯერ არსად სმენოდა თალაგვას, საჭურველიანი რაინდები შემოსულიყვნენ იმ დარბაზში, სადაც მეფე იმყოფებოდა.

ამაზე უარესიც მოხდა ამ წუთში.

თოროსნები კარებთან შესდგნენ, ხოლო ზვიადი მეფეს როდი ეახლა, ჯიქურ წამოვიდა მასპინძლისაკენ, უსალმოდ თავზე დაადგა და მტკიცედ აუღელვებლად ამცნო:

აფხაზთა და ქართველთა მეფეთ მეფის გიორგის სახელით გიბრძანებ: ციხის კლიტენი ჩამაბარეო.

გიორგიმ თავი ჩაღუნა.

კოლონკელიძემ ერთი გახედა მის პირდაპირ მჯდარ მეფეს, გაშრა, გაფითრდა, ისევ გაწითლდა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ თავისი ბანჯგვლიანი მარჯვენა ისე მაგრად დაედო მის მხარზე ზვიადს, ადგილიდან ვერ დაიძრა კოლონკელიძე.

წამოცვივდნენ ფხოველი რაინდები, კარებს მისცვივდნენე ხევისთავები, მაგრამ ზვიადის მონასპათ გზა მოუჭრეს უიარაღოთ.

შორენამ შეცხადებულივით იკივლა, მიეჭრა უკვე ზეამდგარ მეფეს:

მე მაპატიეო მამა.

როცა მოღუშული, მდუმარე სახეზე თანაგრძნობის ნატამალიც ვერ ჰპოვა მუხლი მოეკეცა და გიორგის ფერხთით დაეცა ატირებული.

მეფე დასწვდა, ბალღივით აიყვანა იგი ხელში და ნატებით მორთულ ტახტზე დაასვენა გულშემოყრილი.

გამობრუნდა მეფე და დარბაზიდან აპირებდა გასვლას. ახლა გურანდუხტი მივარდა ღაწვებდახოკილი, მუხლზე მოეხვია მეფეს:

ნუ დამიქცევ ოჯახს, ამ ერთხელაც შეუნდე თალაგვას.

გვიმსახურეო მე და ჩემი უბედური თანამეცხედრე, ჩემი ერთად-ერთი შვილი.

სამოსის კალთებს უკუცნიდა, ეხვეოდა მუხლებზე.

მეფემ წამოაყენა ერისთავის მეუღლე, თავაზიანად შეაშვებინა სამოსის კალთისათვის ხელი, მშრალად, უგულოდ უთხრა:

ომში სპასალარია მბრძანებელი, მე არას მკითხავსო ზვიადი.

ზვიადის შუბოსნებმა შეჰკრეს კოლონკელიძე, მისი სახლთუხუცესი, სამი ხევისთავი და შვიდივე ხევისბერი.

ამასობაში ციხის ტალანებში, მთავარი ციხისა და გოდოლების ჩარდახებზე ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა.

ციხის ეზოში სცვიოდნენ მეომრების ცხედრები, ბღაოდა დამფრთხალი ირმის ჯოგი, ილეწებოდა კარები, პრიალებდნენ ფარები, კვნესოდნენ, ხვნეშოდნენ დაჭრილი მეომრები, ყვიროდნენ ჩარდახებიდან გადაყრილი მხედრები, ჭიხვინებდნენ ცხენები, ტალანებში დაშლიგინებდნენ მემაშხალენი და სწორედ მემაშხალეებზე გაიმართა ნამდვილი ნადირობა, ყველას ეს უნდოდა, როგორმე მაშხალა ჩაეგდო ხელში, მტერი და მოყვარე გაერჩიათ ურთიერთისაგან.

გათენებამდის გრძელდებოდა ასეთი უთავჟამო აურზაური, არავინ იცოდა ვის დარჩებოდა კვეტარის ციხე და მისი გოდოლები დილით!

ვიდრე მარიხი ჩაჰქრებოდა ცაზე, მემაშხალენი დახოცეს სრულიად, მაშხალები აღარსად იყო, ბნელში დარჩენილი მეომრები აიტუზნენ კედლებზე და შესწყდა ომი.

ინათლა თუ არა, ქოსსა ჰკრეს კვეტარის ციხეში:

საყვირები სცეს გარს მომდგარმა ჯარებმა. ციხეში მომწყვდეულმა სამასმა ტაოელმა ნაშუადღევს ძლივს აიღო პირველი საბრძოლ გოდოლი.

ციხისთავი შეიპყრეს და ჩარდახიდან გადმოაგდეს.

ზვიადის ლაშქარმა და მეფის სპათა ათასეულმა სამივე გოდოლი შელეწეს სამხრობამდის.

ნასამხრალზე ციხის ეზოში ოთხი მარგილი დაარჭვეს, ცეცხლი დაანთეს იქვე. სამმა მონასპამ დილეგიდან გამოიყვანეს ნაგვემი ერისთავი კოლონკელიძე და მარგილებზე ხელ-ფეხით მიაკრეს.

მერმე მოვიდა ტფილისელი ჯალათი საღირა, წვერგაბურძგვნილი, ცალთვალა კაცი, რომელსაც მარღია კამეჩს მიუგავდა ის ერთადერთი თვალი და სახე ნახანჯლარებით დაჩეხილი ჰქონდა სავსებით.

ამოიღო საღირამ ჯიბიდან ორი რგვალი ფირფიტა რკინისა, ადამიანის თვალზე უფრო ფართე ოდნავად, ორ შამფურზე წამოაცვა ორივენი, გაჩაღებულ ცეცხლში შესდო და აუღელვებლად უცდიდა მათ გახურებას. მერმე გამოიღო კვლავ და ასევე მშვიდად მიადო სათითაოდ ორივე თვალზე ხელფეხგაკოჭილ კოლონკელიძეს.

გასაოცარი მამაცობა გამოიჩინა კვეტარის ერისთავმა, მან ერთხელ დაახველა მხოლოდ.

შიშხინებდა დავსილი თვალები, სისხნარევი, გამურული სითხე წურწურით ჩამოსდიოდა სახეაღგზნებულ კოლონკელიძეს გაჟღალებულ წვერზე.

როცა ორივე თვალის სისველე ამოაშრო საღირამ, ხელი შეუშვა, გააცივა რკინის ფირფიტები, მზრუნველი ხელით შეჰხვია ორივენი მჩვრებში და ჯიბეში ჩაიდო ისევე.

ერთ წუთში საოცრად დაუსივდა და გამოეცვალა კოლონკელიძეს სახე. იგი უკვე აღარ ჰგავდა თაფლისფერთვალება ერისთავს კვეტარისას.

ზვიადმა ბრძანა და დააქციეს ოთხივე გოდოლის ზღუდენი. მეფემ ერთადერთი სათხოვარი შეუსრულა გურანდუხტს: მთავარი ციხე დაურღვეველი დასტოვეს, რათა თვალდაბნელებულ კოლონკელიძეს და მის თანამეცხედრეს იქ დაელიათ სიცოცხლის დღენი.

გადასწყდა: შორენა წამოეყვანათ ტყვედ, რათა არავინ ჩაესიძებინა კოლონკელიძეს და შურისგებას არ გამოდგომოდა. ათი შიმუნვარი გამოატანა შორენას დედამ და ვარდისახარ პირისფარეში მისი.

ხელები გაუკრეს კონსტანტინე არსაკიძეს, შორენას ძუძუმტეს, რომელიც პირველად მივიდა კვეტარის ციხეში მეფის სპათა შემოსვლის მაცნედ. სამასიოდე მონასპა წაიყვანეს ტყვედ.

ათი შიმუნვარი გამოაყოლეს შორენას, მთელი საგანძური კვეტარის ერისთავისა და ირმის ჯოგი. მხოლოდ ერთი მეწველი ირემი დაუტოვეს გურანდუხტს.

*

შავლეგ ტოხაისძეს იმედი გაუცრუვდა. მას აგრე ეგონა: კოლონკელიძე ჭკუას იხმარდა, ციხეში შეიტყუებდა მეფეს და ზვიადს, თვალებს დასთხრიდა ორივეს, შემდგომ ამისა საერთო ძალით გაჟლეტდნენ მეფის ლაშქარს.

ახლა თავათ ქენჯნიდა თავის თავს: რად არ მოვწამლეო მეფე ქორსატეველას ციხეში საუზმობის დროს?

მოწამლული ღვინო მზად ჰქონდა, მაგრამ გამბედაობამ უღალატა, რადგან ერჩია სხვისი ხელით მოგლეჯა ნარისა.

დიდ აღმართში მოსართავი გაუწყდა მამამზეს,ლაშქარს ჩამორჩნენ მამამზე და ტოხაისძე.

ვიდრე მეჯინიბე მოსართავს გამოცვლიდა, შავლეგმა იდროვა და უჩურჩულა: მეფე და ზვიადი მოვიწვიოთო ქორსატეველას ციხეში.

ჭენებით დაეწიენ ამალას.

ხელახლა მოიპატიჟა მამამზემ გიორგი, ეს ღამე ჩვენსას გაათენეო. ზვიადსაც იგივე სთხოვა.

სპასალარიც ფრიად მოქანცული იყო, თავდაპირველად იგი დაეთანხმა, მაგრამ ოჩანის ნაციხარს რა მიაღწიეს, გუნება შეეცვალათ მიპატიჟებულთ,მადლობა მოახსენეს და მოკლეებით გასწიეს უფლისციხისაკენ.

მცხეთაში მისვლისთანავე ირმის ჯოგი სასახლის ეზოში დააბინავეს, შორენა და მისი შიმუნვარები ჩაჰკეტეს ღართისკარის ციხეში, ხოლო კონსტანტინე არსაკიძეს ერთი საკანი მიუჩინეს მთავართა სანათლოის უბანში, ძველი ბაზილიკის ნანგრევებს გადაღმა, სადაც ფარსმან სპარსი ცხოვრობდა მაშინ.

XIX

გიორგი პირველს თორმეტი წლისას დაადგეს სამეფო გვირგვინი თავზე, სათამაშოების ნაცვლად სკიპტრა შეაჩეჩეს ხელში.

ადრიან სიყრმეშივე შეება იგი ბიზანტიის კეისარს პირველად. ბასიანის ომიდან უვნებლად გამობრუნებულმა კათალიკოსი მიუგზავნა ბასილის, ზავის პირობა მისცა, «მის ნოხს დაადგა ფეხი», როგორც იმჟამინდელ ბიზანტიაში იტყოდნენ ხოლმე.

როგორც გიორგი მეფეს, ისე ბიზანტიის კეისარს მუდმივი ომი ჰქონდათ დიდგვაროვან აზნაურებთან. პატრიციუსი ქსიფე გადაუდგა ბასილის და ნიკიფორე კისერმოქცეულს დაუკავშირდა, ბარდა ფოკასძეს. გიორგიმ დრო იხელთა, აჯანყებულებთან მოლაპარაკება დაიწყო, თანადგომა აღუთქვა კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განდგომილი ფოკა და ქსიფე ურთიერთს წაეკიდნენ, ფოკა მოჰკლეს, თავი მისი კეისარს მიართვა შერიგების გუნებაზე დამდგარმა ქსიფემ.

ბასილიმ მოღალატის თავი გიორგი მეფეს გაუგზავნა ძღვნად, ამგვარად ამცნო: არ გენდობიო ფიცის გამტეხელს.

უხტიკესთან სასტიკად დაამარცხა კეისარი მეფემ, წარჩინებული სტრატიგები, კატეპანები ბრძოლის ველზე დასტოვეს ბიზანტიელებმა, რამდენიმე ათასი სტრატიოტი დაჰკარგეს.

დიდძალი აბჯრის ალაფა ჩაუვარდა ქართულ ჯარს ხელში: არანგები, აქლემები, ჯორები, ლოდსატყორცნები და ციხეთა მმუსვრელი ტარანტები. დამარცხებული უკუიქცა მაკედონელი ბარბაროსი.

ვასპურაკანის პროვინციის მმართველმა, კომნინმა, სარკინოზებთან შეტაკების წინა დღეს ერთგულების ფიცი ჩამოართვა თავის ჯარს, ან გაემარჯვათ, ან თავის სტრატიგთან ერთად მომკვდარიყო ყველა მონასპა.

მსტოვარებმა დააბეზღეს სტრატიგი კომნინი, გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფესთან იყოო შეთქმული, იმპერატორობას მიელტვოდაო.

კომნინი შეაპყრობინა ბასილიმ, თვალები დაუბნელა, თვალები დასწვეს მასთან ერთად შვიდ პატრიციუსს.

შემდგომ ამისა მსტოვარებს ამბავი მოჰქონდა გიორგი მეფესთან, ახალი ომისათვის ემზადებაო კეისარი, ხმელეთიდან და ზღვიდან შემოტევას აპირებს, საომარ ხომალდებსა და დრომონებს აგებსო სასწრაფოდ.

კეისრის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინმა და საქართველოსთვის წართმეული პროვინციების დაბრუნების წადილმა ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობა გადაავიწყა გიორგის, ახლა ალ-ჰაქიმთან გამართა მიწერ-მოწერა მეფემ.

ალ-ჰაქიმი 11 წლისა ავიდა ხალიფის ტახტზე. მან გაუგონარი სისასტიკით გაითქვა სახელი ქრისტიანების უწყალოდ მმუსვრელმან.

სავსებით გახელებული და დაუდგრომელი ბუნების კაცი იყო ხალიფი.

ხან ბრწყინვალე ამალითურთ დაჯირითობდა ხალხით სავსე მოედნებზე, ხანაც «ღმერთის გამოცხადებას» მოწყურებული დაეხეტებოდა მუკატტამის უკაცრიელ მთებში, მისტიური ჰალიუცინაციები აწვალებდა ბნედიანს.

ხან ათი ათასებს მოასრევინებდა ჯალათებს, ხანაც მეფურ საჭურჭლეთა გასცემდა უხვად. თავის ქვეშევრდომების მიერ ღვთაებად აღიარებას მიელტვოდა და მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა დრუზების სექტამ «ღმერთად» გამოაცხადა იგი.

ფატიმიდების დინასტიის ვარსკვლავი ამოდიოდა. აღორძინებული ისლამი ბიზანტიის სამანებს აწყდებოდა, ალ-ჰაქიმი გააფთრებული მუსრავდა ქრისტიანებსა და ებრაელებს, დაუცხრომლად ებრძოდა იმ «ძაღლს», ბასილი კეისარს.

კეისარმა დავით კურაპალატი დალაშქრა 988 წელს, შემდგომ ამისა ანტიოქიაში წარგზავნა დომესტიკი დიდძალი ჯარით.

ალ-ჰაქიმმა რელიგიური ომი გამოაცხადა ქრისტიანეთა წინააღმდეგ, ამას მოჰყვა იერუსალიმის ტაძრის დანგრევა, მონასტრებისა და ეკლესიების გადაბუგვა სინას მთაზე, ანტიოქიასა და ეგვიპტეში.

მელქისედეკ კათალიკოსს დიახაც არ მოსწონდა გიორგი მეფის დაკავშირება სარკინოზების ხალიფასთან, არც თუ ბიზანტიის სამტრო პოლიტიკას იზიარებდა იგი.

მელქისედეკი გარეგნულად ექვემდებარებოდა გიორგის, მაგრამ ქრისტეს მოსაყდრეს ურყევად სჯეროდა, რომ «მეფე ქვეყანასა ზედა ხელმწიფეა, ხოლო ქრისტე - ზეცისა, ქვეყნისა და ქვესკნელისა».

ქართული ლაშქრის მიერ ოლთისის ეკლესიის შემთხვევით გადაწვას ყოველ წელს ხელახლა შეახსენებდა ხოლმე კათალიკოსი მეფეს, ხან მის «ურწმუნოებას» აბრალებდა იგი ამას, ხანაც ალ-ჰაქიმის «წარმწყმენდელ ზეგავლენას».

ოლთისის ეკლესიის ნაცვლად სამი საყდარი ააგებინა კათალიკოსმა გიორგის სამცხეში, ერთი მათგანი მეხმა დააქცია, ორიც მიწისძვრამ იმსხვერპლა ზედიზედ.

მიწისძვრამ დააქცია იმავე წლის აღდგომის დღეს სვეტიცხოველის ტაძარიც, აბულ-ყასიმის მიერ იავარქმნილი პირველად.

ახლა ეს ეწადა მელქისედეკს: ოლთისის ეკლესიის სამაგიეროდ სვეტიცხოვლის აგების ხარჯები ეკისრნა გიორგის.

ბოლოს დაითანხმა მეფე, სამნაირი გეგმა წარმოადგენინეს ხუროთმოძღვართა უხუცესს - ფარსმან სპარსს.

ფარსმანის გეგმით ახალი სვეტიცხოველი უნდა ყოფილიყო ერთნავიანი ტაძარი, რომლის ოთხივე ფასადის რელიეფები ირანული ალეგორიებით იქნებოდა გადატვირთული. ფრთოსანი ცხენების, ძაღლების, სირაქლემების, გრიფონების ფიგურებითა.

ქართული წარმართობის გამოძახილიც ცხადდებოდა კედლების ბარელიეფებში, თავაღერილ, კუდაშვერილ ხარებს ტოტემის ნიშნებით ჰქონდათ დადაღული ფერდები, ქრისტიანთა თვალის ასახვევად ამ ცხოველებს ჯვარი ჰქონდათ დადგმული რქებს შორის.

გუმბათის ფრიზებში, კარიბჭეების სიახლოეს, პანიურად აღტყინებულ, შიშველ ფიგურებს ღვინით სავსე ყანწები ეჭირათ ხელში, ყურძნის აკიდოებით დაფარული ჰქონდათ სხეული სანახევროდ.

სარკმელების ირგვლივ შემოვლებულ როზეტებსა და ჩუქურთმებში ოსტატური მიმიკრიით ჩახლართული იყო დაწყვილებული გველების ხატებანი.

ეკლესიის შიგნით ოთხსავე კესონში თვით მეფეების, მღვდელმთავრებისა და ანგელოსების ფიგურებიდანაც გამოსჭვიოდა ჰელლენური სიშიშვლე და მშვენება ხორცისა.

სამივე გეგმა ამგვარი შინაარსისა იყო მეტნაკლების სხვაობით, ამიტომაც სამივენი უარჰყო მელქისედეკმა.

ახლა კათალიკოსმა მოიხმო ბერძენი ოსტატები ბიზანტიიდან.

გიორგის დაკვირვებულმა თვალმა მყისვე შენიშნა, რომ ამ გეგმების მიღება მოასწავებდა მიბრუნებას იმ ზეგავლენისაკენ, რომელიც ქართულ ხუროთმოძღვრებას ორი საუკუნით ადრე დაძლეული ჰქონდა უკვე.

უდაბნო იცქირებოდა კესონებში მოთავსებულ მღვდელმთავრების ფრესკებიდან. განკითხვის დღისა და ჯოჯოხეთის ხატებანი შეიცავდნენ საშინელ მუქარას ყოველივე ადამიანური ვნებების მიმართ.

გუმბათის თაღიდან ამას ყოველივეს გადმოსცქეროდა ნამსჭვალიანი, ხორცდაშრეტილი ნაზარეველი.

ყველაზე მეტად ერთმა ფრესკამ აღაშფოთა გიორგი მეფე. შარავანდიანი ბასილი კეისარი კლიტეებს აბარებდა აღმოსავლეთის მოსაქცევად წარგზავნილ წმ.

მამებს; ბასილი კეისარი, რომელსაც «ძაღლს» უწოდებდნენ არა მარტო სარკინოზები, არამედ ქართველები, სომხები და ბულგარელებიც.

ამ ფრესკის დანახვისას ბრაზისაგან გახელდა გიორგი, მაგრამ მოხუცებულ კათალიკოსს ვერაფერი შეჰკადრა, ადგა და გავიდა დარბაზიდან უხმოდ.

ახლა სხვა ოსტატების ძებნას შეუდგა კათალიკოსი და სწორედ ამ დროს დაიწყო ფხოველთა ამბოხი.

*

ძელიცხოველის მიერ ჭიაბერის მოკვლევამ გიორგიც დააფიქრა და შეაშფოთა. მეფემ თავის თვალწინ მოაწამვლინა ხის ჯვარი ფარსმანს, მაგრამ რაკი ერთი და იმავე ჯვარის ამბორმა ჭიაბერი მოჰკლა და კოლნკელიძეს არ ავნო, ამან დააეჭვა გიორგიც.

ვაჲთუ ფარსმანის წამალს არც კი ემოქმედნოს და მართლაც მოეკლასო ძელიცხოველს ჭიაბერი.

ცხადია, ჯვარის მოწამვლის ამბავი კათალიკოსისათვის არ გაუმხელია გიორგის, ამიტომაც ვეღარც ისა ჰკითხა მას, თუ ჭიაბერი სად ემთხვია ჯვარს, ან კოლონკელიძე სად ეამბორა?

ამას ერთი უცნაური ამბავიც დაერთო კიდევ: მცხეთის სასახლეში დავით კურაპალატისეული ხატი ჰქონდა გიორგი მეფეს ერთი წმ. გიორგის ხატი ვერცხლნაქანდაკევი. ეს წმ. გიორგი უშველებელი ჯაჭვით ჰყავდა საწოლის დარბაზში დაბმული, რადგან ოდითგანვე ასეთი გადმოცემა არსებობდა აფხაზთა მეფეების ოჯახებში:

ეს ხატი თუ ჯაჭვით არ დააბა პატრონმა, მოიხსნება და წავაო სადმე. ასე ჰყოლია თურმე დაბმული იგი თვით კურაპალატს უფლისციხეში, ხოლო ბაგრატ III-ს ქუთაისის სასახლეში.

ფხოველთა ამბოხების დაწყებამდისაც მელქისედეკსა და ეზოსმოძღვარს ფრიად აწუხებდა ერთი რამ: ისინი ჰხედავდნენ გიორგი მეფე უფრო და უფრო გულგრილი ხდებოდა სარწმუნოების მიმართ.

ყოველივე ამას ფარსმანს აბრალებდნენ ისინი. ფანასკერტელის ქალის საქმემ საბოლოოდ გადააწყვეტინა კათალიკოსს; ფარსმანი უნდა გაეგდო მცხეთიდან როგორმე, საამისოდ უმთავრესი იყო: სარწმუნოებაში განმტკიცება გიორგი მეფისა.

სწორედ იმ დღეებში, როცა ავადმყოფი მელქისედეკი მცხეთას მიბრუნდა, დედოფალი აფხაზეთს წავიდა, ხოლო მეფე კვეტარის ერისთავის დასალაშქრავად გაემგზავრა, ეზოსმოძღვარმა ბნელი ღამე შეარჩია, მეფის საწოლ დარბაზში შეიპარა, ბოქლომი დაამსხვრია, ჯაჭვი ახსნა, წმ. გიორგის ხატი მოიპარა და ნოკორნას მონასტერში ჩაუტანა დაყუდებულ ბერს ევდემონს.

დაანამუსა თანაც, მხოლოდ ერთი თვის შემდეგ განეცხადებინა: ხატი თავათ ჩამოვიდაო ნოკორნაში.

ეზოსმოძღვარი არც მოსტყუვდა თავის ვარაუდში: კვეტარიდან დაბრუნებულ მეფეს შიშის ზარი დასცა წმ. გიორგის სასახლიდან «გაპარვამ».

ეზოსმოძღვარი ახმობინა მსახურთუხუცესს მყისვე, საწოლის დარბაზში ჩაიკეტა და მთელი ღამე აკითხვინებდა ფსალმუნს.

მალე კათალიკოსიც გამომჯობინდა.

მელქისედეკმა როგორც კი შენიშნა, კვლავ მიუბრუნდაო სარწმუნოებას გიორგი, ეზოსმოძღვარს უბრძანა: დაბადება უკითხეო მეფეს, განსაკუთრებით დანიელი, თავი მეოთხე, სადაც მოთხრობილია თუ როგორ დასაჯა ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფე იერუსალიმის ტაძრის შემუსვრისთვის ღმერთმა.

შემდგომ ამისა თავათ მიჰყო ხელი შეგონებას მელქისედეკმა.

არწმუნებდა, თუ სვეტიცხოველს ამაგებინებ, მოგიტევებსო «ოლთისში ჩადენილ მკრეხელობას უფალი».

იმჟამად გიორგის მთელი გულისყური ციხეების შეკეთებისაკენ იყო მიქცეული.

თმოგვის ციხე დაანგრია მიწისძვრამ. შესაკეთებელი იყო ციხე კლდეკარისა, ქანდაციხე, ბერციხე, ციხე-ბოდოკი, ციხე-კაბერი, ქოლოთკვირი და აწყვერი, ოძრახეს ციხე-ქალაქი და მგელციხე.

განსაკუთრებით საშურო იყო: ანაკერტის, ფანასკერტის, ბოლოციხის, კუმერლუხის და თუხარისის ციხეების შეკეთება, რადგან ბასილი კეისარი ყველაზე ადრე სამცხისა და ტაოს სიმაგრეებს მოადგებოდა.

გარდა ამისა, ნაალაფავ ლოდსატყორცნებისა და ტარანტების შეკეთებასა და მათი ბადალების გაკეთებას ჰპირდებოდა ფარსმანი გიორგის, საამისოდ დიდძალი ოქრო სჭირდებოდა მეფეს.

ბოლოს იმდენი უჩიჩინეს მას, რომ ხარჯებისა და მონების მიცემას დაჰპირდა გიორგი კათალიკოსს. ეს კიდევ ცოტაა, უცნაურად აეკვიატა მეფეს ოლთისში ეკლესიის ჩვენება. და ეს ამბავი დაიწყო ასე:

XX

ადრე დააწვა გიორგის ჭაბუკურ მხრებს ომებსა და აჯანყებებში დანთხეული სისხლის კოშმარი.

ცნობილია, ვისაც სიყრმეში არ გაუხარნია, ვისაც ბავშვობაში სიჭაბუკე წამოსწევია, ხოლო სიჭაბუკეში შუაკაცობის ტვირთი, მას მარადჟამს თან დაჰყვება გაცდენილი სიყრმისა და სიჭაბუკის დარდი.

ასეთნი მუდამ ჰკარგავენ წონასწორობას და ყოველთვის იმის ცდაში არიან, გვიან მაინც შეივსონ ეს დანაკლისი როგორმე.

მელანქოლია შეეყარა გიორგის, კაცმძულვარება შეეპარა მის გულს, ადრე მოსწყინდა მეფეს დარბაზობის გრძელი ცერემონიები და ხელმწიფის კარის გარიგების სასტიკი ეთიკეტი. ჯერ მზრდელის, შემდეგ მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მოსაწყენი შეგონებანი:

მეფე ხარ და ხამს...

მეფე ხარ და გმართებს...

მეფე ხარ და გევალება...

ასეთ წუთებში მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი.

როგორც კი შემოუტევდა უგუნებობა, აიყვანდა მალემსრბოლს უშიშარაისძეს და სეფე მეაბჯრეთაგანს ერთს, გავიდოდა მცხეთიდან. საფურცლეს გადაღმა, რომელიმე მუხის ქვეშ მიუგდებდა მონასპათ ცხენს, იხეტიალებდა ველად, მუხის გარშემო წრეს უვლიდა, უვლიდა წრეს და ბუნებაში განმარტოებული ეძიებდა მოოხებას გულისას.

წელიწადში ორჯერ, ირმის მყვირალობასა და წეროთა გადაფრენის თვეებში, ინით წვერს შეიღებავდა გიორგი, სელის სამოსელსა და სამოგვის წაღებს ჩაიცვამდა, აიყოლიებდა მდაბიორებს: მეხამლეს - დრუისძეს ქიტესას, მეჯინიბეს - გაბრიელ კოხრიჭისძეს - ბაზიერს - ესტატე ლომაისძეს, თავათ მეფე გლახუნა ავშანიძეს დაირქმევდა ხუმრობით.

მთელი კვირა გადაიკარგებოდნენ სიყრმის მეგობრები, ნადირობდნენ ნარეკვავის ტყეებსა და არაგვის ჭალებში.

საწოლის დარბაზის ბუმბულს მეცხვარეებთან ღამის თევას არჩევდა, მირთმეულ ირმის ცურს - სახელდახელოდ ტყეში შემწვარ მწვადებს.

მხოლოდ ასეთ წუთში სჯეროდა გიორგის, რომ ეს ქვეყანა მარტოოდენ საომრად არა ყოფილაო გაჩენილი.

იმ დროს ტევრები იწყებოდა ჯერ კიდევ ღართისკარის ციხესთან, შეუვალი ტყეებით იყო დაბურული საფურცლისა და მისაქციერის სანახები.

ნარეკვავის ხევის გაღმა-გამოღმა ჭოჭი იყო თვალშეუვლები, ბატებით, წეროებითა და ჭყიამპოთი სავსე.

როცა მთის ყურში სადმე დაისვენებდნენ დაქანცული მონადირენი, ქიტესა ტიკს გადმოიღებდა და მოზვრის ყანწს გაავსებდა ღვინით, მხოლოდ ამ ყანწის გამოცლისას არ გაუვლიდა გიორგის სიყრმიდანვე თანდაყოლილი ფიქრი: მოწამლული არ იყოსო ღვინო?

არც კარისკაცთა უტიფარი ლიქნა აწუხებდა ამ ტყეებში, არც მკვლელი უდარაჯებდა სადმე, არც თუ მომჩივანი ადიოდა მის დანახვისას ხეზე.

სამი ღამე ათიეს ერთ წიფლის ქვეშ დანთებულ ცეცხლის პირად. წეროების გადაფრენა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, მხოლოდ კანტიკუნტად გაისმოდა გარიჟრაჟზე მარტოხელა წეროს ყივილი, ღაღანებდნენ ჭაობის ბატები, ტყის ინდოურები სძოვდნენ ჯეჯილებს, ჭილყვავები უხმობდნენ მთებიდან გადმომდგარ ზამთარს.

უთენია ადგნენ. ინათლა თუ არა, წეროების ყივილმა შესძრა მონადირეთა გულები. დიდი გუნდი დაჯდა ნამუხვართან, ჩაუნისკარტეს შლამს.

სამ-სამი დახოცეს თითოთა. მზე შუბის ტარზე იდგა, როცა მოშივდათ კვლავ.

«გლახუნავ, დღეს შენი ჯერია, გაიქე, ბატი ჩამოაგდე ერთი, მე და ქიტესა შამფურებს დავთლით, ფიჩხს მოვიტანთ, ესტატე ცეცხლს გააჩაღებს», ეუბნება გაბოი გიორგის, «ოღონდ შორს არ წახვიდე, ამ იფნის ქვეშ დაგელოდებით».

გიორგი დაემორჩილა უფროსი მონადირის ბრძანებას. მიჰყვა მხარმარცხნით ჭაობებს.

მარტო შთენილს კვლავ შემოესია უსიამო ფიქრები, მიდის ჭალაში და მოუნდა ისევ წრის გარშემო ტრიალი. ბატების მთელი გუნდი აუფრინდა ცხვირწინ. ესროლა და დააცდინა.

ახალმა და ახალმა გუნდმა ბატებისამ ტყის სიღრმეში შეიტყუა. ყაყანით დგებოდნენ ისინი, გაისმოდა იხვების და ბატების გნიასი, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა გიორგის, თითქოს იგინიც დასცინიანო მონადირეს ხელმოცარულს.

უკვე მობრუნებას აპირებს, მაგრამ რცხვენია თანატოლებისა.

მეხრე შემოხვდა ერთი ტალახში ამოგანგლული. გზა ჰკითხა.

ჭაობი გადალახა, იფნის ძირისაკენ აპირებდა შემობრუნებას, ცხვირწინ აუფრინდა მშვენიერი წერო, დურაჯისფერი ფრთები ჰქონდა, მიხაკისფერი მკერდი, მწყრისფერი ზოლებით მოხატული კისერი.

ესროლა ლელიანში ჩამჯდარს, მძიმედ ადგა წერო, ჭოჭში დაეცა მის თვალწინ, მიეახლა მონადირე, ისრის მონაცვლებას აპირებდა, ცალი ფეხით სკუპ, სკუპ, ლაქაშებში გაუჩინარდა, მერმე ადგა ისევე და გადაფრინდა შორს.

გამოუდგა გიორგი, ასეთი წერო განსაკუთრებით უყვარდა მას, დაუზოგავად მიტოპავდა ჭაობებში, მიარღვევდა წელამდის მოწვდენილ ლაქაშს, გაფრთხილებული ფრინველი ისევ გადაინაცვლებდა ადგილს.

როცა ისარი მიაწია როგორც იქნა, და წერო დაიკიდა ქამარზე, მიიხედ-მოიხედა, ეუცნაურა გარემო. თვალუწვდენელი ლაქაშები იყო ირგვლივ, ლაქაშები, ჯაგები და ღიჭიანი.

ისრები შემოელია.

გარეული ტახები დაშლიგინებდნენ ლაქაშებში, შველი დაფრთხა მის თვალწინ, ისკუპა, ლელიანში გადაეშვა და მოუსვა საშინელის სისწრაფით.

შესდგა ბორცვზე გიორგი, ხედავს ლაქაშში ჩაფლული გამალებული გარბის შველი, მხოლოდ ყურები მოუჩანს და ასე ეგონება კაცს, შველი კი არა, რომელიღაც ფრინველი მიფრინავსო ლაქაშების ზედაპირზე.

ტბას წააწყდა გიორგი ვარხვებით, ბატებით და წეროებით გავსილს, აფრინდნენ საშინელი გნიასით ტყიერნი, მეხის ღრუბელივით დააბნელეს ცა.

და როცა წეროების გუნდს თვალი მიაყოლა ჩრდილოსაკენ გაფრენილს, ხედავს: კავკასიონის წოწოლა მწვერვალზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია აღმართულა, გუმბათამდის მისწვდენია ხანძარი.

შეძრწუნდა გიორგი, მუხლი მოეჭრა, საფეთქლებიდან ოფლი გამოსდიოდა.

თვალს მოიფშვნეტს, კვლავ გასცქერის მთას, ლაპლაპებს ცათამწვდენი კოცონი, იწვის «უფლის სახლი», ისევე როგორც იმ საღამოს ოლთისში.

პირჯვარი გადაიწერა, თვალები დახუჭა, სამხრეთისაკენ შემოიქცა, მაგრამ აღარ იცის, საით წავიდეს. ეუცხოვა გარემო ანაზდად.

ჰაუო, დაიძახა, არც მეხრე გამოეხმაურა საიდანმე, აღარც მონადირე სჩანს შემთხვევით გამვლელი.

მიჰყვება შეძრწუნებული გიორგი ღიჭიანით დაბარდული ჭაობების კიდეს.

და ეჩვენება, ქცეულიყოს თითქოს ნაბუქოდონოსორ ბაბილონის მეფედ, რომელიც კაცთაგან განიდევნა და თივასა სჭამდა, ვითარცა ზროხა, ცვარისაგან შეიღება სხეული მისი, თმანი მისნი ვითარცა ლომთანი გახდიდდეს, ფრჩხილნი ვითარცა ლომთანი ექცეს იერუსალიმის შემმუსვრელს.

ნასამხრალზე ძლივს მოაღწია იფნის ძირად სამოსდაფხრეწილმა და ლაფში ამოსვრილმა გიორგიმ. ბირკას მოეცვა თმაწვერი, ლოყები დაეკაწრა ღიჭიანს.

ეუცნაურა მონადირეებს ფერნამკრთალობა მეფისა, ბალღობის შემდეგ არ ენახათ ასე შემკრთალი გიორგი- «უშიშარი, ვითარცა უხორცო».

«რა მოგივიდა, გლახუნავ?»

ეკითხება ესტატე,

«ალი ხომ არ შემოგყრია, ჭოვ!»

გიორგიმ თავი დააქნია, ჩრდილოეთისაკენ გაიხედა, ეკითხება ესტატეს:

«იმ წოწოლა მთაზე ეკლესია იწვოდა წეღან, ხომ არ დაგინახავთ რომელიმე თქვენგანს?»

«ეკლესიაო?»

ესტატეს ეუცხოვა ასეთი კითხვა.

«შენ ცუდად ხომ არ გეძინა, გლახუნავ, წუხელ, მოგეჩვენებოდა ალბათ, იმ მთაზე ეკლესიას რა უნდა, შე კაი კაცო?»

წაისაუზმეს მცირედი და აიყარნენ მონადირენი კვლავ.

გიორგიმ აიჩემა თემშარაზე გადავიდეთ და საფურცლეში ვინადიროთო. დანარჩენებს არაგვის ჭალებში სურდათ გადასვლა.

ტყეში ღამენათევს და ჭაობებში უსაზმნოდ ნარბენს წვივის ტკივილი განუახლდა გიორგის, იცოდა: არაგვის ჭაობებში ნადირობისას წყალში გატოპვა

მოჰყვებოდა. რადგან ეს ასეა: გადმოღმა დაჰკოდავ წეროს, შესაძლოა გაღმა დაეცეს რიყეზე.

მაინც დაეთანხმა მეგობრებს.

შემოდგომის წყნარი საღამო იყო, კავკასიონის მწვერვალებს ღრუბლების უბეში შეეყოთ თავი, გახიდულიყვნენ ცასა და მყარს შორის მთები.

ნისლი დგებოდა არაგვის პალებიდან, ფერხთით ეფინებოდა იისფერ კორდებს.

წეროები ყელებით გადააბეს მონადირეებმა ურთიერთს და გაუდგნენ გზას. უგუნებობა შეამჩნიეს მეგობრებმა გიორგის.

ქიტესა გამოვდა პირველად ტყიდან არაგვს გადაჰხედა და ესა სთქვა:

«გახსოვს ჩვენს ბიჭობაში, გლახუნავ, ისრით რომ დაჰკიდე იმ რიყეზე წერო? აფრინდა ი ტიალი და გადაეშვა შუაგულ არაგვში».

«როგორ არ მახსოვს ქიტესა, მახსოვს».

ნაღვლიანად მიუგო გიორგიმ და თავათაც გადახედა არაგვის ნაპირებს, თითქოს მანდ დარჩენიაო სიყრმე.

«მერმე, შენ არ დაგვიჯერე, გლახუნავ, წყალში შესტოპე უჩვენოთ. ორი წერო მხრებზე გეკიდა. მიჰყევი ცურვით დაკოდილ წეროს, ორი მოკლული წაგართვა წყალმა, მისდევ და მიჰყვები, აღარ იცი რომელს გამოუდგე.

გადავეშვით მე და გაბოი, იმ მუხნარს ქვევით წამოვეწიეთ ძლივს, მერმე ის იყო ყურებით დაგითრიეთ, წეროები წყალმა წაგვართვა.

მცხეთაში ჩამოგიყვანეთ ურმით, გამოგვიდგა მზრდელი, შეგვრისხა: უფლისწული წყალში დაგხრჩობოდათ, დაგაყრევინებდითო, თქვე ეშმაკებო, თავებს».

«შენ დაგვიწყნია, ქიტესა, წეროები მე გამოვიტანე იმ დღეს», - შენიშნა გაბრიელმა.

«ორივეს გეშლებათ, - ჩაერია საუბარში ესტატე, - ი წეროები მეტივეებმა გამოიტანეს მცხეთაში».

«კარგი, მამა გიცხონდებათ, ნუ ჩხუბობთ წყალწაღებულ წეროების გამო».

ამბობს გაბოი და იღიმება.

«ეჰ, იმ წეროებსავით წაიღო ჩვენი სიჭაბუკე არაგვმა», - ამოიოხრა ესტატემ.

«არაგვმა, თუ დრომ?»

სიტყვა ჩააგდო გიორგიმ, ესტატემ არაგვს გადახედა, გიორგის ეუბნება:

«დაინახე, იმ ორკუზიან გორაკზე ვიღაც ჭაბუკი ავიდა ხეზე?»

გიორგი თავიდანვე ხედავდა არაგვის გადმოღმა, ორკუზიან გორაკზე ერთი ბორცვიდან მეორეზე გადაირბინა ვიღაც კაცმა და ნეკერჩხლის ხეზე აძვრა.

შეკრთა, ალბათ მიცნო, სავედრებელი ჰქონდესო რაიმე, მერმე რომელიღაც ფრინველი დაიჭირა იმ ჭაბუკმა ხეზე, უბეში ჩაისვა, მეორე ბორცვის თხემამდის მიაღწია და იქ გაუჩინარდა.

«ვინ დაინახა ის კაცი პირველად?»

ეკითხება მეგობრებს გიორგი.

მეო, მიუგო ესტატემ.

«საიდან გაჩნდა ის ჭაბუკი იმ გორაკზე, ან სად გაჰქრა ბოლოს?»

«მეც მიკვრს, არ ვიცი სწორედ».

უპასუხა ესტატემ.

განცვიფრდა გიორგი. მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, ბორცვი სავსებით შიშველი იყო, წითელ-ყვითელი სამოსი ეცვა იმ კაცსა, ბარისაკენ რომ დაძრულიყო, უთუოდ შენიშნავდნენ მონადირენი.

«შენც დაინახე?»

ეკითხება გიორგი გაბოს.

«მეც ვნახე».

«ქიტესა, შენცა?»

«მეც».

შეძრწუნდნენ.

სად დაიკარგაო ის ჭაბუკი ხელსა და თვალს შორის?

ფარსმან სპარსისაგან ათასგზის სმენოდა გიორგის: გრძნეულნი მიონნი უხვდებიანო მონადირეებს ჭალებში, მშვილდისარს გაუჩხიბავენ, უღონოდ გახდიანო მოისართ.

ესტატე გულდასმით ამტკიცებდა:

მე თავათ ვნახე ის ფრინველი როგორ შეიპყრო, მეორე ბორცვამდის მიაღწია და მიწის ნაპრალში ჩაძვრაო ალბათ.

გულადი იყო გაბოი, მაგრამ ყველაზე მეტად მას ეშინოდა გრძნეულისა. ხელი ავიღოთ სატანის ძებნაზე, პირჯვარი გადავიწეროთ, საფურცლისაკენ გავუდგეთო გზას.

ახლა მთლად უცნაური ამბავი წამოიწყო მან:

«შენ ხომ გახსოვს, გლახუნა, ხერკის ციხეში რომ გამგზავნე გასულ შაბათს?»

«მახსოვს, როგორ არა, გაბრიელ».

«ცოტა არეული მოვბრუნდი უკან, საჯინიბოში შემხვდი, რა მოგსვლიაო?» მკითხე.

«ეგეც მახსოვს, გაბრიელ».

«მიზეზი არ მითქვამს, არა?»

«არა, არ გითქვამს მიზეზი».

«მაშ თუ სიმხდალეს არ შემწამებ გლახუნა, ახლა გიამბობ წვრილად. საღამო ჟამს ცხენს მოვაჭენებდი ხერკიდან. როცა ღართისკარს ერთი ეჯის მანძილზე მოეახლები, წიფლნარი არის ერთი, სავსებით მეჩხერი. ჰოდა, იმ წიფლნარის პირად ვეებერთელა მუხა დგას ერთი. შენც ხომ შეგინიშნავს ეს მუხა, გლახუნა?»

«შემინიშნავს, როგორ არა, გაბრიელ».

«ალბათ ესეც შეგინიშნავს: ვიდრე იმ მუხამდის მიაღწევდე, ქარაფების კიდეს მოჰყვება დამრეცილი გზა, ამ გზიდან დიდხანს უყურებ იმ მუხას.

სწორედ იმ ადგილამდის მივაღწიე, ვხედავ, ვხედავ და რას ვხედავ? წითელ-ყვითელით მორთული ვაჟი გამოვიდა ერთი, წითელი მამალი გამოეჩრა იღლიაში. სამჯერ შემოუარა იმ ყმაწვილმა მუხას, სამგზის აკოცა ხეს, შემდგომ ამისა თავი წააცალა მამალს, სისხლი აპკურა გარშემო მუხას, მამალი წაიღო და გაუჩინარდა ტყეში».

ყველანი გააოცა ამ ამბავმა. საფურცლისაკენ აპირებდნენ წასვლას, ახლა გიორგი გაჯიქდა:

«ვაჟკაცები არა ვართ? ოთხ მონადირეს რას დაგვაკლებსო ერთი ეშმაკი?»

სხვის გასამხნევებლად ამბობდა, თავათაც ეშინოდა გულში.

წეროები მოიხსნეს მხრიდან, ხეებზე დაჰკიდეს, მშვილდისრები მოიმარჯვეს, ოთხივე მხრიდან მოუარეს ბორცვს.

ყველაზე ადრე გიორგი ავიდა გორაკზე.

შენიშნა: შიშველი ბორცვის ზეთავზე მოჭრილი გვიმრა იყო მოქუჩებული. სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა გიორგი, მაგრამ ვერავინ ნახა გვიმრის ქვეშ. ერთი რამ შეამჩნია მონადირის მახვილმა თვალმა: ტოკავდა მიწიდან ამოშვერილი, შიშველი ჯოხი, ხტოდა და ფეთქავდა მასზე მიბმული ჩიტბატონა ჟამიდანჟამზე.

შეტოკდებოდა ჯოხი, ზეახტებოდა, შეიფრთხიალებდა ჰაერში ჩიტი, კვლავ დაახტებოდა ჯოხს, კიდევ შეტოკდებოდა წნელი, დაიწყებდა ფეთქვას დაბმული ჩიტი.

ბორცვის ზეთავზე მოექცა გიორგი და ხედავს: კაცის სიმაღლე ორმოში განაბულა წითელ-ყვითელ ჩოხაში მორთული ვაჟი.

ჩოხა მისი ბირკას დაეხუნძა, თმა გაბურძგნოდა, ბჟიტის ნაკრტენივით უსუსური წვერი მოსავდა მის ნიკაპსა და ყვრიმალებს.

როცა ოთხივე მშვილდოსანი თავზე წამოადგა, შეკრთა და გაფითრდა ორმოში მჯდომი.

«ჰეი, ვინა ხარ, ჭაბუკო მანდ?»

შეეკითხა განცვიფრებული და გახარებული გიორგი, რაკი დარწმუნდა, რომ მის წინაშე ხორციელი ადამიანი იდგა და არა ეშმაკეული. მერმე დააკვირდა ამ ჭაბუკს, სახეც ეცნაურა და სამოსიც.

ოღონდ ჩოფურა იყო იგი, ახლადმოხდილი უნდა ჰქონოდა ყვავილი, სვრინგები ზედ აჩნდა ჯერაც, ეს უშლიდა ხელს გამოცნობას ოდესღაც ნახული სახისას.

«მეც თქვენსავით მონადირე ვარ, ვინღა ვიქნები სხვა!»

შემოესმათ პასუხი ორმოდან.

«თუ მართლაც მონადირე ხარ და არა გრძნეული, მაგ ორმოში რას იმალები?»

შეეკითხა ესტატე უცნობს.

«ზოგი ორმოში ნადირობს, ზოგიც ტყეში, გააჩნია, ვის როგორ ეპრიანება, ბატონო».

ესტატე ხან ჭაბუკს უთვალთვალებს, ხანაც ჩიტს. თუ ამ კაცს ამნაირ ფრინველისთვის მოუცლია, კანაფით რათ დაუბამსო ჯოხზე? თანაც არა სჯერა, რომ ეს ჭაბუკი მართლაც მონადირეა და არა გრძნეული.

ვაჟი მონუსხულივით შესცქერის გიორგის, მასაც ეცნაურა იგი, მაგრამ მისი წითური წვერი და მწირული ჩაცმულობა ებლანდება თვალში.

ამ დროს ესტატემ უჩურჩულა გიორგის:

«არ დაიჯერო, გლახუნა, ეგ კაცი ან გრძნეულია, ან მპარავი, დილეგიდან გამოქცეული»...

ვაჟმა სახელი «გლახუნა» გაიგონა, ეუცნაურა კიდევაც, ალბათ ვცდებიო გაიფიქრა და კიდევ შეხედა გიორგის.

«რაზე ნადირობ, ჭაბუკო, მაინც?

«მიმინოზე, ბატონო».

მიუგო ვაჟმა.

«მიმინოზეო? როგორ? რაგვარად?»

«აი ამ ჩიტს ხომ ხედავ, ბატონო, აჰა ეს ბადეც»...

ესე სთქვა, ჯოხი აწია ცალი ხელით, დააწყებინა კვლავინდებურად ფეთქვა, მეორე ხელით კუნჭულიანი ბადე ზეასწია გრძელ ჯოხზე დაგებული.

«მიმინო ამ დროს გამოდის საირაოზე. რა დაინახავს ციდან ამ ჩიტის ფეთქვას, იფიქრებს გაბმულაო კაკანათში ჩიტი, დავეცემი და გავიტაცებო. ჩამოუქროლებს, დააცხრება თუ არა, მე გვიმრის ქვეშ დამალული ვარ ორმოში, მყისვე წამოვაცვამ აშრიალს თავზე».

მონადირეები განცვიფრდნენ, ამგვარი რამ ჯერ არ სმენოდათ.

გიორგიმ იცოდა მიმინოზე ნადირობის ამბავიც, მაგრამ მისი ირანელი ბაზიერები სულ სხვარიგად ნადირობდნენ მიმინოზე.

სადაური ხარ, ჭაბუკო?» ეკითხება გიორგი ვაჟს.

«ლაზი გახლავარ, ბატონო».

«ლაზი თუ ხარ, აქ რა გინდოდა მერმე?»

«გიორგი მეფის ტყვე გახლავარ, ბატონო».

გიორგი უფრო მეტად გააოცა ამ ამბავმა. ლაზები არასოდეს შეუპყრია მის ლაშქარს. ოლთისიდან წამოსხმული ტყვეები მოაგონდა, მაგრამ მათ შორის ბერძნები იყო ბევი, სომხებიც ერია მათ შორის, ბერძნები კალატოზებად დააყენა, ხოლო სომხები გაათავისუფლა. ლაზიო? ლაზი არ მოაგონდა არც ერთი.

ამიტომაც შეეკითხა ხელახლა უცნობს:

«ლაზიკიდან ხარ აქ მოყვანილი?»

«არა, ფხოვიდან, ბატონო».

«რა გვარისა ხარ, ყმაწვილო?»

«არსაკიძე ვარ, ბატონო».

«ფხოვში რა გინდოდა, ბედშაო ლაზო?»

«მამაჩემი კვეტარის ერისთავის კირითხუროი იყო, ბატონო».

«ახლა სადღაა მამაშენი, ჭაბუკო?»

«კვეტარის აღებისას მოჰკლეს სამეფოის სპათა».

გვარი მოაგონდა გიორგის, შორენამ რომ ახსენა კოლონკელიძის ციხეში იმ საშინელ საღამოს.

ისევ მიუბრუნდა არსაკიძეს:

«განა ეკლესიებს აგებდა კოლონკელიძე?»

«ერთ დროს ეკლესიებსაც ვაშენებდით მე და მამაჩემი, მაგრამ ერთბაშად რწმენა შეიცვალა ერისთავმა, ეკლესიების შემუსვრა დაიწყო და ციხეების აგებას შეუდგა».

გიორგი დადუმდა, ეხლა ესტატე შეეკითხა არსაკიძეს:

«ე, მანდ ხეზე რა დაიჭირე წეღან?»

«დაგეშილი მიმინო გამექცა და იგი შევიპყარ».

ესა სთქვა და წითელი სახამლავით მხარშეკრული მიმინო აიყვანა ორმოს ფსკერიდან არსაკიძემ და აჩვენა მონადირეებს.

«ახლა რაღად გინდა მერმე მიმინო, აკი მწყერობა მოთავდა უკვე?»

შეეკითხა გიორგი.

«წეროზე ვანადირებ მიმინოს».

«სად გისწავლია ასეთი რამ, ჭაბუკო?»

«ლაზიკაში, მიმინოთი ვნადირობთ წეროზე, ბატონო».

!!!

გაოცდა გიორგი.

როცა არსაკიძე ორმოდან ამოვიდა, მყისვე მიეჭრა გახარებული ესტატე, ათვალიერებდა ტერფიდან თხემამდის, თანაც უღიმოდა უცხოს.

«ესტატე, ეგ ხომ არ იყო ის ვაჟი, მამალი რომ დაჰკლა მუხის ძირას?»

ეკითხება ლომაისძეს მეფე.

ესტატემ თავი დაუქნია.

«ეგ იყო ის ვაჟი, გლახუნა».

გიორგი არსაკიძეს მიუბრუნდა:

«ახლა ეს მითხარი, ჭაბუკო, მამალი რად დაგიკლავს მუხის ძირას იმ დღეს?»

«ყვავილი მოვიხადე გასულ კვირას, ბატონო, ამადაც შევსწირე წითელი მამალი ღვთაებას».

«სად იციან ასეთი რამ?»

«ჩვენში, ლაზიკაში, ბატონო!»

არსაკიძემ მხრები შეუხსნა მიმინოს, მარცხენა ცერზე ტყავის თათმანი გადაიცვა, მიმინო შეისვა ზედ. მერმე მარჯვენა ხელი გადაუსვა თავიდან ბოლომდის, მოეფერა, დაუყვავა ტყიერს.

გაბოროტებულ თვალებს უბრიალებდა უცხოებს მიმინო.

არსაკიძე წინ მიდიოდა, ოთხივენი უკან მისდევდნენ, გახარებულნი უცდიდნენ, რა მოხდებოდა ახლა.

არაგვის რიყეზედაც არ იყვნენ მიღწეული, ფშანიდან წამოფრინდა წერო. გიორგი ყმაწვილივით აღტაცებული შესცქეროდა, თუ როგორ მიუტია არსაკიძემ გაფრენილს მიმინო.

თავდაპირველად გაასწრო წერომ, აიჭრა ცაში, მხარგაშლილი ებრძოდა ჰაერს, თვალი მიატანეს მონადირეთა. მიმინომ კამარა ჰკრა, ერთ წუთში გადაევლო თავზე, მერმე განზე წავიდა წერო, აქაც გაუსწრო მტაცებელს და მოუსვა დასავლეთისაკენ, მცირე ხანს ჩამორჩა მიმინო, მერმე ერთბაშად წამოეწია ფრინველს, ჭანგებით მისწვდა და ლანდის უსწრაფესად ძირს დასცა წერო.

ყიჟინით გაექანენ მონადირენი, წვივის ტკივილი გადაავიწყდა გიორგის. პირველმა მიუსწრო ასეთ სურათს: ავშანის ბუჩქებში ფართხალებდა წერო, ფრთაგაფოფრილი მიმინო ზედ დასჯდომოდა, პუტავდა სულთმობრძავ მსხვერპლს, აბრიალებდა ფეტვისფერ თვალებს.

დაუწრუწუნა არსაკიძემ მიმინოს, სულგანაბული მიეპარა, დაუყვავა, დაუყვავა, თავზე ხელი გადაუსვა, ჯერ შუათანა ჭანგი გაუმართა, მერმე სათითაოდ სხვა დანარჩენი, ჯიბიდან ხორცის ნაჭერი ამოიღო, წერო გამოაცალა, საქნიერი შეაჩეჩა კლანჭებში.

სისიხლი მოწანწკარებდა სურის ყელივით მოღერილ კისრიდან წეროს, მხრები დააბარტყუნა, ფეხები გაასავსავა, უსუსური, უცნაური ხმა გაიღო კისერგამოღადრულმა, სითეთრე გადაეკრა თვალებზე და უმწეოდ, უდრტვინველად მიენდო სიკვდილს.

გიორგი გვერდით მისდევდა არსაკიძეს, თვალს არ აშორებდა მის მიმინოს.

«ეს მიმინო სად დაგიჭერია, ჭაბუკო?»

«საფურცლეში, ბატონო».

«ეს შავი მიმინო როგორი მონადირეა?»

«შავი მიმინო კარგი დამჭერია, ბატონო, მაგრამ ძნელად საგეშია, უხასიათოა, ჯიუტი, თავნებაა და შორს მიდის».

«ჟანგისფერისთვის რას იტყვი?»

«ჟანგისფერი ბედოვლათია».

«წითელი?»..

«წითელი შავსაც სჯობია და ჟანგისფერსაც, ბატონო. ყველას ფოლადისფერი სჯობია, ტანსრულია, ადრე იგეშება, თვინიერია და გამგონე».

მცირე ხანს უხმოდ მიჰყვებოდა არსაკიძეს გიორგი, შორენასთვის ფიქრობდა ამ წუთში, კვეტარის ციხის აღება მოაგონდა, კოლონკელიძისათვის თვალების დაწვა, კვლავ მოეშხამა საწუთროება.

გზაში წამოეწიენ მეფე და ზვიადი. ლოყებდახოკილი იჯდა ცხენზე შორენა, არსაკიძე გვერდით მისდევდა მხრებგაკრული ცხენდაცხენ.

«რა მოხდენილი ჭაბუკი იყო, როგორ დაუგლახებია ტყვეობას ბედშავი?!»

ეს გაიფიქრა გიორგიმ და კვლავ მიმართა არსაკიძეს:

«შენ გეტყვი, ჭაბუკო, რას აკეთებ მცხეთაში ამჟამად?».

«კირითხურო ვარ, ფარსმან სპარსთან ვმუშაობ ამჟამად».

«როგორი ოსტატია ფარსმანი?»

ეკითხება არსაკიძეს მეფე.

«ჩინებული ოსტატია ფარსმანი, მაგრამ თავნებაა ფრიად, სხვათა თათბირს ჩირად არა სთვლის, ძნელია მასთან მუშაობა, ბატონო».

«თავისუფალი მუშაობა თუ შეგიძლია, ჭაბუკო?»

«რისთვის არა, ბატონო, ცხრაკარის ეკლესია მე ავაგე ორი წლის წინად».

გიორგის ნახული ჰქონდა ეს საყდარი.

«ჩვენში თუ აგიგია რაიმე?»

«ითვალისის ეკლესია დავასრულე წრეულს».

ითვალისიც ძლიერ მოსწონდა გიორგის.

«მელქისედეკ კათალიკოსი და გიორგი მეფე სვეტიცხოველის აგებას აპირებდნენ, თუ იმარჯვებ, შენ მოგანდობს ამ საქმეს მეფე».

«მე ვინ მიჩვენებს მერმე მეფეს?»

«ხვალ სასახლეში მოდი, მე წარგადგენ გიორგი მეფესთან».

მონადირეებს გაეღიმათ ამის გამგონეთ.

არსაკიძემ ეს შეამჩნია, თავათაც ღიმილით შეჰხედა იმ კაცს, რომელსაც გლახუნას უძახოდნენ მონადირენი, მდაბიორის ჩაცმულობას მისას თვალი შეავლო კვლავ და ეს გაიფიქრა მხოლოდ: ალბათ მატყუებსო ეგ წვერწითელა კაცი.

შეღამდა უკვე.

ბინდი დაეშვა არაგვის ჭალებზე, ტყეებში არ ისმოდა ჩქამი, ცაზე გაკრული წეროების ქარავნები ჩრდილებივით მიჰქროდნენ სამხრეთისაკენ. ყიოდნენ ჩამორჩენილი, მარტოხელა წეროები. ერთადერთი ვარსკვლავი კიაფობდა მხოლოდ.

წითლად და ყვითლად ქათქათებდნენ კავკასიონზე დაზვინული ღრუბლები შორეთში.

როცა მუხრანისას ციხის კარები გაუღეს მეციხოვნეებმა მონადირეებს, გიორგი შიგ შესვლამდის შემოტრიალდა, თეთრზუჩიან მწვერვალებს მიჰხედა, წოწოლა მთაზე ცეცხლშემოგზნებული ეკლესია იწვოდა კვლავ.

პირჯვარი გადაიწერა შემკრთალმა და ციხეში შევიდა უსიტყვოდ.

XXI

გარინდებული ზის ფარსმან სპარსი ჩუქურთმიან საკარცხლულზე და გასცქერის მთავართა სანათლოის განაპირა უბანს, მიწისძვრებისაგან იავარქმნილს.

სარკმლიდან შემოსულ უსუსურ ნათელს გაუჩრდილავს ბორას ნისკარტივით მოდრეკილი, სიფრიფანა ცხვირი და პერგამენტივით გაყვითლებული ქოსა სახე.

ხრჩოლავს ირანულ ყალიონში გაღვივებული თრიაქი, ლიცლიცებს ბენგალის ცეცხლივით მომწვანო შუქი. ლილისფერი ბოლი მატყლის ფთილებივით იწელება, ზანტად მიიკლაკნება ქვითკირის დარბაზის მაღალ თაღებისაკენ.

სათოფურებსა და სამზერებზე ეტყობა ამ დარბაზს, ციხე ყოფილა ოდესღაც იგი, ან სამლოცველო წარმართების, ძველთუძველესი.

თაროებზე უწესრიგოდ ჰყრია საკითხავები, ეტრატის გრაგნილები, კარაბადინები, ავანდასტები და ფიალები.

კედლებზე ფრესკები ატყვია წამალგადასული. ფრთოსანი ლომები შეჰბმიან გვირგვინის გარშემო ურთიერთს, კუდაშვერილ გრიფონს ხახაში გაურჭვია ტერფი კაცისა, ცხენოსანი, შარავანდიანი რაინდი ჰოროლსა სცემს ხახაში ურჩხულს.

მცხეთის ერისთავს თაჯი ახურავს თავზე, წელზე ხმალი ჰკიდია ვადაჯვარიანი და ეკლესიის მოდელი უპყრია ხელში, იქვე ჰკიდია ეკლესიების, ციხეების ნახაზები და გეგმები, ქვის საკოდი ეჩოები და საჭრეთელები, მკუთხავები და გონიო.

სარკმელიდან მთავართა სანათლოის ნანგრევები მოსჩანს ცარცისფერ მთების ფონზე. გასული წლის მიწისძვრისაგან დალეწილი პალატები, გუმბათგადაცლილი სამრეკლო, დანგრეულ ბალავრებზე მარტო შთენილი ბუხრისთავები.

მხარმარცხნით ნაძვნარი მოსჩანს თოვლით დახუნძლული.

ფარსმანი გაჰყურებს თოვლისაგან დადრეკილ ტოტებს, რომელიღაც ნადირის თათებს მიაგვანან შორიდან ისინი. ესმის თუ როგორ ილეწებიან ნაძვის შტოები, ყინვის ლოლუები სცვივიან სამრეკლოს გუმბათის კარნიზებიდან.

კუზიანი დედაკაცი გამოდის ტყიდან, დათქერილ ბილიკზე ხრაშახრუში გაუდის თოვლს. მოდის ვაგლახად მოდრეკილი მხევალი თებრონია და მოათრევს მორებს.

მხარმარჯვნით გზა მიდის მუხნარისას ციხისაკენ. ქარავანი მიემართება ზლაზვნით, ჟრიალებენ ზანზალაკები, ფრუტუნებენ ჯორები, მეაქლემის შემახილი გაისმის მჭახე. ხანაც შოლტის ტლაშუნი ზედიზედ.

ისევ დავარდა დუმილი და ესმის ფარსმანს, ტალანში ფეხებს აბაკუნებს თებრონია, სამოსიდან იბერტყავს თოვლს.

კარი შემოაღო მხევალმა, უსიამო მზერა ესროლა ფარსმანმა ტყირპიან სახეს. უარესად დაწითლებოდა თებრონიას მოხარშულ კიბოსავით გაწითლებული ტყირპი.

აცმაცურდნენ მისი ზანგური ლაშები, რაღაც წაიბუტბუტა, მაგრამ ბუხრისაკენ მიბრუნდა, მირეჯგვ-მორეჯგვა მუგუზლები, მორები შეჰყარა შიგ.

თვალი აარიდა ფარსმანმა დიაცს, ისევ სარკმელიდან გაიხედა ანაზდად.

ყორნები შემომსხდარან სამრეკლოს გუმბათზე, ყრანტალებენ უსიამოდ მყივარნი.

სიბნელე ნელ-ნელა მოიპარება დარბაზში. თებრონია დაფათურობს ნიშების მახლობლად, გაჩაღებული კვარი უჭირავს ხელში, თაფლის სანთლებს ანთებს სათითოოდ.

ლიცლიცებენ თაფლის სანთლები, ყორნების ყრანტალი მოისმის გარედან, ხანაც ზანზალაკების ერთობლითი ჟღარუნი.

კარი გაიღო ანაზდად, ფარსმანი მიაშტერდა ტალანს. ახალმოსულმაც დაიფერთხა ტალანში ფეხი, საკარცხლულისაკენ წამოვიდა ჯიქურ.

თავი დახარა, მასპინძელს შეხედა მცირედ, მიესალმა თავმოდრეკილი:

«მწუხრი მშვიდობისა, ოსტატო!»

ფარსმანმა კონსტანტინე არსაკიძე შეიცნო ხმაზე. სამფეხა სკამი უჩვენა თვალით.

სტუმარმა მადლი მოახსენა მასპინძელს, იღლიიდან უშველებელი გრაგნილი გამოიღო, წაიბუტბუტა:

«სვეტიცხოველის გეგმა დავასრულე, გიორგი მეფესთან ვიყავი წვეული, მოიწონა მეფემ ეს ნახაზები, მხოლოდ ესა ბრძანა: ფარსმანმა გადაჰკრასო თვალი, ხვალ დილით კათალიკოსს მივართმევ გეგმას».

უსიამოდ დაეღრიჯა სახის ნაკვთები ფარსმანს, გრაგნილი ტაბლაზე გახსნა, საკარცხლულიანად მიუჩოჩდა, ორივე ხელით დაებჯინა ნახაზზე. დიდხანს ათვალიერა მდუმარედ. მერმე თებრონიას უბრძანა: მომაშველეო მაშხალა.

თებრონიამ ანთებული მაშხალა მოიტანა. თავი აიღო ფარსმანმა, მცირე ხანს ითვლიდა, სიგრძესა და სიგანეს ამრავლებდა, ანგარიშობდა კედლების სიმაღლეს, ნავების სივრცეს და მოცულობას, გუმბათის სიგრძეს, კარ-ფანჯრების რიცხვსა და ოდენობას.

«მაინც არ იშლის მელქისედეკი თავისას, სამნავიანი იყოსო უთუოდ?»

ეკითხება ფარსმანი არსაკიძეს.

«სიმაღლეზე რამდენი გაქვს ნავარაუდევი?»

«ორჯერ მეტი, ვიდრე სიგანე».

«კათალიკოსი აგრე ბრძანებს, ოსტატო, - მიუგო მოკრძალებულად შეგირდმა, - ახალი სვეტიცხოველი ისეთი მოცულობისა უნდა იყოს, სამი ეკლესია გაიმართოს მასში, ოლთისის ეკლესია ქართული ლაშქრის მიერ გადამწვარი უცაბედად, ორიც სამცხისა, შენს მიერ აგებული, ოსტატო».

ფარსმანი მოიღუშა.

«მეფე რას ამბობს ამის გამო?»

«მეფემ დასტური მოგვცა, ოსტატო, გუშინ».

«ეგებ მელქისედეკს ასე ეგონოს, 300 ფხოველი ტყვე კმაროდეს მუშახელად?»

«მეფეს ნაბრძანები აქვს, ორ ათას მონას მოვასხამო ტაოკლარჯეთიდან, ერგას გამოცდილ ქვისმთლელს ბერძენთაგანს მიგიჩენთო».

«რა მასალაა ნაგულისხმევი?»

«ალგეთურ თეძამის ქვისა და ცისფერი ფიქალისაგან უნდა გაკეთდეს პერანგი ტაძრისა».

«ძველი მასალა?»

«ძველი მასალა მხოლოდ ეკვდრებს უნდა მოხმარდესო, კათალიკოსს ასე აქვს ნაბრძანები, ოსტატო».

«კირითხურონი?»

«ათორმეტი ბოლნისიდან წამოსულია».

«სახურავი?»

«მთლიანი ფიქალისა».

«ახლა ძველი ნაგებობის დანგრევა ნახეთ, როგორ მისჭირდეს: აბულ-ყასიმს მხოლოდ ჩრდილოს ფასადი აქვს სავსებით დანგრეული».

«ნაბრძანებია, სათითაოდ ჩამოვიღოთ ლოდები, რათა დანგრევისას მეფეთა და კათალიკოსთა სამარხები არ დაზიანდეს».

«აბა მე გეტყვით, ძველი ნაგებობის დანგრევასაც არ ეყოფა სამი თვე».

«მისი მეუფობა ასე ბრძანებს, თუ გასჭირდა ათას მონასა და ერგას კირითხუროს ჩამოვიყვანო, ლაზებს».

შემდგომ ამისა დადუმდა ფარსმანი. ისევ დაეყრდნო ტაბლაზე გადაშლილ გეგმას, ორივე ხელით, სულ ახლოს, სულ ახლოს მიჰქონდა ნახაზის დეტალებთან თვალები, და აშტერდებოდა, მერმე აიღებდა, ბუტბუტებდა, ანგარიშობდა.

ბოლოს წელში გაიმართა, ბნელ კუთხისაკენ გაიხედა, თვალები მიაშტერა კედელს, თითქოს იქ ეგულებაო ასაგებ ტაძრის გეგმა და მას უმზერსო, მერმე კონსტანტინე არსაკიძეს ჩოფურა სახეს შეჰხედა და ეუბნება:

«მოახსენებდე, ჭაბუკო, მეფეს, ჩემის ვარაუდით: ასეთი უზარმაზარი ტაძრის აგებას ათი წლის მანძილზედაც ვერ შევძლებთ ჩვენის ძალებით, ციხეების შეკეთება

უნდა შეჩერდეს, ვეღარც ლოდსატყორცნებისა და ტარანტების აგებას შევძლებთ ამ წლებში».

მერმე გრაგნილი დაკეცა ფარსმანმა, ხელში მისცა არსაკიძეს.

გრაგნილი გამოართვა კონსტანტინემ, მწუხრი მშვიდობისა დაუბარა მანსპინძელს, გაღვივებულ ცეცხლისაკენ გაექცა შემცივნებულს თვალი.

ბუხრისწინ გაჩაღებულ მაყალზე ლითონის კოჭობები იდგნენ, რაზრაზებდნენ ადუღებული ქოთნების სარქველები, უსიამო სუნს ავრცელებდნენ ირგვლივ.

ალბათ რაღაც საწამლავებს ხარშავსო ფარსმანი, ეს გაიფიქრა არსაკიძემ და კარისკენ გაემართა მკვირცხლად. თებრონია წინ მიუძღოდა, მაშხალით უნათებდა დაბნელებულ ტალანებსა და კიბეებს.

ფარსმანმა ისევ გადმოიღო ყალიონი, თრიაქი ჩასტენა, ცერით. მოუკიდა და ააბოლა კვლავ, მატყლის ფთილივით დაწეწილი მწვანე ბოლი ადგა და გაემართა დარბაზის ბნელ თაღებისკენ ზლაზვნით.

დიდხანს იჯდა გაოგნებული ფარსმანი, ხარბად სწევდა თრიაქს და გასცქეროდა ირგვლივ მოწოლილ ბნელს.

ლიცლიცებდნენ თაფლის სანთლები, ჟღარუნებდნენ აქლემების ზანზალეკები ბნელში.

შემოფათურდა თებრონია, ქუმელი შემოუტანა ჯამით, მაგრამ წინა ღამით უძინარ ფარსმანს ისე მოსძალებოდა თრობა, არც თებრონია შეუნიშნავს და არც ქუმელის ჯამი.

ერთბაშად თავბრუ დაესხა ფარსმანს, მის თვალწინ ყვითელი ბურთულები აცეკვდნენ, თითქოს ჯამბაზის მიერ ზეასროლილთ შესცქერისო მთვრალი, შემდგომ ამისა ისეთი რყევა შეიცნო, აქლემზე პირველად შემჯდარი რომ განიცდის ხოლმე, ან ნავით გასული ატოკებულ ზღვაზე.

საფეთქლებში ოფლი გამოუვიდა, მჯიღით მოიფშვნიტა თვალი, ბოლოს ოდნავ დაუცხრა მღელვარება, მოუდუნდა სხეულის იოგები, მოეწადინა რული და სწორედ ამ დროს უხეშად დააკაკუნა ვიღაცამ კარზე.

უსიამოდ შეკრთა ფარსმანი.

ბუხართან მთვლემარე თებრონიამ მაშხალს წაავლო ხელი, კარი გამოაღო თუ არა, კარის ჩარჩოში გამოჩნდა ვიღაც ახმახი კაცი, თვალი მიაშტერა ფარსმანმა და მსაჯულთუხუცესის შიკრიკი შეიცნო.

უცნობმა არ ინდომა კარის ზღურბელზე გადმოსვლა, რაღაც გრაგნილი შეაჩეჩა თებრონიას, სალამის დაუბარებლად გაალაჯა ბნელ ტალანისკენ.

გახსნა თუ არა ფარსმანმა წიგნი, მსაჯულთუხუცესის მოწოდება ამოიკითხა:

«შესმენილ იქნა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფეთ მეფის გიორგის წინაშე.

ხუროთმოძღვართუხუცესი - ფარსმან სპარსი...

მოაჯე - ფანასკერტელი რუსუდან.

შემსმენელი - ეზოსმოძღვარი ამბროსი».

უეცრად გაუარა ფარსმან სპარსს თრობამ, გაბურძგლა მთელ ტანზე, შემცივნება იგრძნო, გრაგნილი დააგდო ტაბლაზე, საკარცხლული დაითრია, ზედ ცეცხლის პირად მიაჩოჩა, ხელისგულები მიაფიცხა ცეცხლს.

გააჟრჟოლა, გააჟრჟოლა ანაზდეულად, მერმე გაიმართა საკარცხლულში, ორივე ხელი გადააწნა ურთიერთს, ხელ-ფეხი გასჭიმა და გააზმორა ისე, როგორც ხურვება მოძალადებული გაიჭინთება ხოლმე.

შემდგომ ამისა ხელები გაითავისუფლა, საკარცხლულის სახელურებს მოსჭიდა ორივენი, ფეხები გამართა, ბუხრის ლინგს მიაყრდნო მტკიცედ და მიაშტერდა ღველფადქცეულ მუგუზლებს, რომელთაც ჯერაც ზედ აჩნდათ ის მსუბუქი ხაზები, ძარღვების დარად რომ ეტყობათ ხოლმე ახლად დახეთქილ მორებს.

მერმე ხედავდა ფარსმანი, თუ როგორ დაინგრა აყუდებული, დამწვარი მუგუზლები გამოხურვებულ ოქროსავით ბრწყინვალე.

წამოიწია, ორი მორი აიღო და შეუკეთა ცეცხლს. ესმოდა თუ როგორ მოედო ცეცხლი კოპიტს, აშიშხინდა მორი. ცოფიანის დუჟისებრი სითხე გამოეყო ნარტოალებს, ბოლოს ეს შიშხინი წივილად იქცა...

ზის გარინდებული ფარსმანი ბუხართან და შეჰყურებს ცეცხლს... ხან მელქისედეკ კათალიკოსის პირგამეხებული სახე ელანდება, ხანაც ეზოსმოძღვრის ცერცვისფერი, ჭრუტა თვალები.

როგორი უცნაურია და უგუნური ეს ცხოვრება მართლაც!

რამდენ ხმალშემართულ რაინდს შეჰგებებია უშიშრად ფარსმანი! ქართველსა და ბერძენს, სარკინოზსა და სომეხს, ცხენდაცხენ შესტაკებია სახელოვან სტრატიგებს და ფარისებს, ხმლითა და ჰოროლით უბრძოლნია მტრებთან...

და ახლა, ამ დალეულმა, ჩია მოხუცმა - მელქისედეკ კათალიკოსმა უნდა მოუსწრაფოს სიცოცხლე მრავალნაცად მეომარსა და მოგზაურს!

წრეულს, შობა დღეს იდგა საკურთხევლის წინ მელქისედეკი, უქადაგებდა მრევლს. აღტყინებისაგან სიმაღლე მომატებოდა თითქოს, ღველფივით ელავდნენ ღილივით წვრილი და გამხვრეტი თვალები მის ფერმკრთალ სახეზე.

ქადაგად დავარდნილივით როშავდა კათალიკოსი. განკითხვის დღის გეენით აშინებდა იგი თავის მრევლს. ადამიანურ ვნებათა დაოკებისაკენ მოუწოდებდა ქრისტიანებს და როცა სოდომის ცოდვებს შეეხო, ასეთი რამე სთქვა:

«ამისათვის ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა, ყოველსა პატივსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისაგან»...

მერმე მოჰყვა კათალიკოსი, თუ როგორ წარწყმინდა ამ ცოდვამ ათინა და რომი, თებაი და ბაბილონი, აშურთა ქვეყანა და ქვეყანაი ფარსთა.

წამოდგა ფარსმანი, ტაბლიდან აიღო მსაჯულთუხუცესის მოწოდება, ისევ ბუხართან დაჯდა, გულმოდგინედ გადაიკითხა იგი.

ხედავდა, «უძვირესსა და უსაწყალობელს» ბრალსა რომ სდებდა კათალიკოსი მას. სჯულის კანონები ზედმიწევნით იცოდა ფარსმანმა, სოდომის ცოდვისათვის სამი სხვადასხვაგვარი სასჯელი იყო დაწესებული როგორც ბიზანტიაში, ისე საქართვლეოში.

ძელზე აბმა, თავის მოკვეთა, ან დაბნელებაი ორთავე თვალთა.

თვალების დაწვას ყოველგვარი სასჯელი ერჩია ფარსმანს, უთვალოდ ან რას გააწყობდა ხუროთმოძღვარი?

ბრალდება ორკეცი იყო: «უჰასაკოისა გახრწნაი ქალისა ქალწულისა და დედათა თანა მამათმათლობაი».

ეს ყოველივე რთულდებოდა თავათ ფარსმანის მდგომარეობითაც. სამეფოის კანონთა მიხედვით, «სწავლულთა და მეცნიერთა ცოდვანი უძნელესს არიან უსწავლელთა და უმეცართასა».

კიდევ ერთხელ გადაავლო მოწოდებას ფარსმანმა თვალი, კვლავ დაგრაგნა და ბუხრის რაფაზე შეაგდო.

იდაყვები მუხლისთავებზე დაუყრდნია ფარსმანს, მჯიღები ყბებზე შემოუდგამს, დადუმებული შესცქერის ცეცხლს, თებრონია სკამლოგინზე მიგდებულა და ხვრინავს.

მდუმარება და ბნელი შემოსწოლია ფარსმანის სავანეს, მხოლოდ გზის პირიდან მოისმის კანტიკუნტად შოლტის ტლაშუნი და ზანზალაკების ერთობლივი ჟღარუნი. გულის მომწყლველად წრიპინებს კოპიტის ნარტოალი, თუთხუნებენ თუჯის კოჭობები, ჯოჯოხეთურს ოხშივარს ავრცელებენ ირგვლივ.

აჰა, დაიწვა უკანასკნელი მუგუზალი, ნაღვერდალად ქცეულ შეშის ნაჭერს ზედ აჩნია ზოლები, ძარღვისებური ფაქიზი ხაზები. კიდევ ცოტა ცეცხლი, კიდევ სიმხურვალე მცირეოდენი, წაიქცევა და ათას კავშირად იქცევა იგი.

არც ერთი მათგანი არ ემგვანება იმ ორს, რომელიც ფარსმანმა შეუკეთა სახმილში.

რაღა დარჩება მისგან? მცირეოდენი ნახშირი და ფერფლი, ნახშირი და ფერფლი...

კიდევ ორიოდე დღე, შესაძლოა, მისი სხეულიც ისე დაიშალოს და დაირღვეს, როგორც ეს ცეცხლმოდებული ძელი.

შესცქერის გაჩაღებულ ბუხარს ფარსმანი, აგონდება თავისი ტკბილი, ტკბილი ბავშვობა.

თაფლის სანთლები ლიცლიცებენ ნიშებში. ზის თავის საკარცხლულზე წელში მოდრეკილი, უზარმაზარი ჩრდილი მისი სხეულისა აყუდებულა აგერ კედელთან. თავის გარშემო შემოგრაგნილი ჩალმის ტოტები ისე იხატება ნაჩრდილევში, როგორც მარჩბივი რქაი სატანისა.

დამჯდარა იგი ცეცხლის პირად, სიბერის ნაჩრდილევსა და სიყმაწვილის ჩვენებას შორის.

აგერ მორბის შვიდი წლის ბიჭუნა, მშვილდისარი უპყრია ხელში. თუხარისის ციხის სილუეტი წარმოისახა მის წარმოდგენაში.

ამ ციხის ჩარდახებზე დასდევდა ფარსმანი მტრედებს, ხოლო იდუმალ ხვრელებსა და სარდაფებში ვირთხებზე ნადირობდა მოისარი სწორუპოვარი.

შავშეთის უღრანი ტყეები აგონდება. ქარაფებზე გადმომდგარი ციხეები და ეკლესიები, კლდიდან გადმოკიდებული ჩქერალები, ჭოროხის ცისფერი წყალი, სასირე ბადეები, კალმახის ფაცერები, საძოვრებიდან მობრუნებულ კუროების ბღავილი, მწუხრისას გალობა კლიროსზე, მხიარული ლამპრობა ვნების კვირაში, ნაჩრდილევისა და ნაშუქალის ციალი თუხარისის კარის ეკლესიის სარკმლიდან, მღამიობები, მტრედები, ქედნები...

მათ ფრთებს თან გადაჰყვა მისი სიყმაწვილე.

პაპა სუმბატი, მუდამ მოღუშული, ჟანგისფერ თორიანი დევკაცი, მისი ფეხკავშა იაბო, ქორ-შავარდნები, მაძებრები და ლომისფერი მწევრები, მამა – ბაქარი, ჭროღათვალება, ქერა რაინდი, დედა – ნანაი, მუდამ ლოცვებში ჩაფლული, სძლისპირების ტკბილი მგალობელი.

ბუზღუნა მზრდელი, თავმოტვლეპილი, კოჭლი ვარდანი (კრუხის უკანალივით გამოპუტული ჰქონდა ნიკაპთან წვერი. ცალ დეზს ატარებდა მარჯვენა ფეხზე).

ლანდივით უკან დასდევს ვარდანი ყრმას, ციხის ჩარდახებზე გასვლას უკრძალავს. არც სარდაფებში ჩახედვას ანებებს, ნიადაგ იფუთნება თვითონაც და ფუთნის თავის გაზრდილს მუდამ.

ტყეში ნუ მიხვალ – დათვებია მანდ დღისით, ღამით მიონები გაგჩხიბავენო, ჭოროხში ნუ ჩახვალ – გველები და ჯოჯოებიაო შიგ, მიწაზე ნუ წვები – უჟმურს

შეეყრებაო, ხილი არ სჭამო – სტომაქს გაიფუჭებო, სარკმლიდან ნუ გაიხედავ – ქარი გეცემაო, მზეს ნუ მიაშტერდები – თვალებს აგატკიებსო, «რამეთუ მზეი ქნული ღვთისაი არს», თვალი ვერავინ შეუდგინოსო მას.

ერთადერთი რაც დაშლილი არა ჰქონდა ფარსმანს მზრდელისაგან ეს იყო ლოცვა...

დილით, სადილობის წინ, ნასადილევს და ზარმელისას, მწუხრისა და დაწოლის წინ მუდამ უნდა ელოცნა ყრმას, ფსალმუნს აზეპირებინებდა დღენიადაგ.

განკითხვის დღისა და მეორედმოსვლის საშინელებას უხატავდა უცნაურის ენამზეობითა.

ერთხელ ჭექა-ქუხილი ატყდა. ვარდან მზრდელი გზაში დარჩა. ნაშუადღევს მოაქევქევა ციხეში ჯორი.

აცახცახებული, გაფითრებული ძლივს ჩამოათრიეს დასველებული ვარდანი უნაგირიდან. დაჯდა ბუხრის პირად, უამბობდა ფარსმანს:

ტყეში მომისწრო ქარიშხალმა, იყო ელვა, ქუხილი და ჰაერი ბოროტი, შვიდგზის დაჰკვერა ეშმაკმან და პეროინ იღრჭენდა და ყიოდა, ხოლო მე მუხის ძირას ვიდექი და ვილოცვიდიო.

ლოგინად ჩავარდა ვარდანი.

ყრმა ფარსმანი გახარებულია, ეგებ მოკვდეს და გადავრჩეო ფსალმუნის ღეჭვას.

ისევ გამომჯობინდა ვარდანი და დაიწყო ჩიჩინი.

«ნუ ცილსა სწამებ, ნუ ორსა სიტყვასა იტყვი. პატივი ეც დედასა შენსა და მამასა შენსა, შეიყვარე მოყვარენი, ვითარცა თავი თვისი.

ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე გარს შემოუარო». ბეჭის ძვალზე ასწავლა ნახშირით წერა ვაჟას.

შემდგომ ამისა დაუმეგობრდა საკითხავებს ფარსმანი.

ისევ ახალი შეგონება:

«მხეცი არს სიბრძნე და გონიერება კაცთა შორის და სისპეტაკეთა მათთა არად სარგებელ».

უკვე სიჭაბუკეში გადავიდა ყრმა, მზრდელის ბუზღუნს აღარაფრად აგდებს. შავარდენს შეისვამს მარცხენაზე, მხარზე მშვილდს გადაიკიდებს, დაყიალობს ჭოროხის ჭალებში.

უბელო ულაყებით დაჯირითობს. სანადიროდ აეკიდება პაპასა და მამას, ჭოროხში სათევზაოდ დაჰყვება მონადირეებს.

და როგორც იხვის ბჟიტებს ყვერულს მიუსხმენ ხოლმე, დასდევს მერმე თავის შვილობილებს საჭურისი ქათამთაგანი, შესცურავენ ბჟიტები გუბეში, ყვერული კუთავს და წრიალებს, გულგახეთქილი ასკდება ნაპირებს, ეშინია წიწილები არ დამეხრჩოსო, ასე კრუსუნებს და ავობს ვარდან მზრდელი, როცა შეხედვას თუ როგორ შეახტება ფარსმანი ნასუქალ ულაყს, ან ჭოროხს გადასცურავს მხარულით. ღამეებს ათევს ნადირობის დროს ტყეში.

კვალად მოესმის ჩიჩინი.

«ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე გარს შემოუარო»...

ჭაბუკ ფარსმანს ცხოვრება ენატრება პირიქით, ამ უდაბნოში წიაღსვლას მონატრებულია იგი და სწუხს კიდევაც, რომ ჯერ არც ომია სადმე, მშვიდობაა ჩორჩანელების ციხეში, მეომრებს ხმალი ჩაუჟანგდათ ქარქაშში, დღისით და ღამით ამაოდ უთვალთვალებენ ციხის გუშაგები სამზერებს.

მხოლოდ პაპა სუმბატის ნაამბობიდან თუ სმენია ფარსმანს ომების, ბრძოლების, ფალავნური შეტაკებების, ტალად დგომის, ციხეების შემოწყობისა და გოდოლების შემუსვრის ამბები.

განუსაზღვრელად უყვარს ჭაბუკს თორის გადაცმა, მუზარადის თავზე დახურვა, პაპის ხმლები, მამის ქეიბურები, ცხენი, ჯირითი და ხმლის მოქნევა...

თექვსმეტი წლის ფარსმანს საომარი ცხენი მიუჩინა პაპა სუმბატმა, თორი აჩუქა და მუზარადი, ხმალი, მშვილდი და საბრძოლო ქეიბურები.

ხედავდა ვარდან მზრდელი, მისი ძველი შეგონებანი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ამიტომაც მიაწოდა ჭაბუკს შეგონება ახალი:

«არს კაცი ჭური თვითმოძრავი – სულისა ხელმწიფე»...

და სწორედ იმ წელს შეუსრულდა ფარსმან ჩორჩანელს ნატვრა. საქართველოს დიდმა პატრიოტმა იოანე მარუშისძემ უფლისციხე გადასცა დავით კურაპალატს.

ფარსმანის პაპა სუმბატ ჩორჩანელი მიიწვია სხვა ერისთავებთან ერთად დავითმა და წარუდგინა ბაგრატ კურაპალატს:

«ესე არს მკვიდრი ტაოისა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილად გაზრდილი ჩემი და მას დაემორჩილეთო»...

სუმბატ ჩორჩანელმა არა ჰქნა მორჩილებაჲ მეფისა, მაშინ შეიპყრო იგი ბაგრატმა და თავი მოჰკვეთა, ხოლო გვამს მისას თოკი შეაბეს ფეხებზე, ციხის ჩარდახიდან გადმოჰკიდეს თავქვე ურჩ აზნაურთა ჭკუის სასწავლებლად.

შემდგომ ამისა წამოვიდა ბაგრატ მესამე ლაშქრითურთ და თუხარისის ციხეს შემოეწყო, გულით ეწადა სუმბატის ძე ბაქარი შეეპყრო და ვაჟი მისი ფარსმანი. ქოსსა ჰკრეს თუხარისის ციხეში... ჩამოეგებნენ ტაოელები ციხიდან სამეფოის სპათა...

ჭაბუკი ფარსმანი ვაჟკაცურად იბრძოდა მამის გვერდით, მაგრამ სასტიკი იერიშები მოიტანეს სამეფოის სპათა, ჩორჩანელის ჯარი უკუაქციეს.

ციხეში შებრუნდა ერისთავის ლაშქარი. სამ თვეს გაუძლო შემოწყობას ბაქარ ჩორჩანელმა, ბოლოს სურსათი შემოელიათ მეციხოვნეებს, ძაღლები, სახედრები და ვირთხები აღარ დარჩათ საჭმელად. ბაქარ ჩორჩანელმა აიყოლია თვისი მხოლოდშობილი ვაჟი და ათასი მონასპა, ციხის ხვრელიდან გაძვრა და ბნელ ღამეს მიმართა.

აგორდა თვითმოძრავი ჭური...

ბიზანტიაში გადავიდნენ ოტებულნი. კეისრის ქვეყანაში ბარდა ფოკას ამბოხი იწყებოდა იმჟამად, ბაგრატ მესამეს ახლად მიღებული ჰქონდა კურაპალატის ხარისხი, ამადაც ერთგულობდა ბასილი კეისარს.

განდგომილი ბაქარ ჩორჩანელი მეამბოხე სარდალს ბარდა ფოკას მიემხრო.

ფოკას ციხეს შემოეწყო ბიზანტიელი პატრაციუსი იოან პორტეზე თავისი იჯარით, ლოდსატყორცნებითა და ტარანტებით გასტეხა ციხე. ფოკამ თავს უშველა, ხოლო ბაქარ ჩორჩანელი და ათასი იბერიელი მონასპანი ექვს თვეს იბრძოდნენ გააფთრებული, ბოლოს ციხე აიღო პორტეზემ, იბერიელი მონასპანი გასწყვიტეს, ბაქარ ჩორჩანელს თავი მოსჭრეს, ფარსმან ჩორჩანელი და სამასი იბერიელი მონასპა ტყვედ წაასხეს ბიზანტიონში.

კვლავ აგორდა თვითმოძრავი ჭური.....

ფარსმან სპარსმა შეშა შეუკეთა ცეცხლს.

სრული დუმილი სუფევდა დარბაზში, თებრონია ბოდავდა ძილში, მეაქლემის მჭახე ხმა მოისმა გზიდან, ზანზალაკების ერთობლივმა ჟღარუნმა შეაშფოთა ღამე.....

...აგონდება საშინელი მოგზაურობა ანტიოქიის ურწყულ მიწაზე.

ხვატით გადარუჯული ველები, ცისკიდურებზე ციხეთა ქონგურები, მიზგითები, ეკლესიები, ღატაკური მიწურები, თავშიშველა მონების ბრბოები.....

«წყალი», ეხვეწებიან იბერიელი ტყვეები გუშაგებს, მაგრამ არავის ესმის მათი მუდარა.

«წყალი», ევედრებიან გამვლელებს, მეაქლემეებს და სტრატიოტებს, არავის ესმის ეს სიტყვა.

ზის ფარსმანი იმავე აქლემზე, რომელზედაც ხურჯინით ზედ ჰკიდია ბაქარ ჩორჩანელისა და მისი სახლთუხუცესის თავები.....

ტარაბუები ჰკბენენ მხარგაკრულს, მიყანყალებს ორკუზიანი აქლემი, გული ერევა, თავბრუ ესხმის მწყურვალს, იბერიელთა შორის ერთადერთი ფარსმან ჩორჩანელი არავის ევედრება წყალიო, რადგან ეს უნდა მასაც, არ დააყოვნოს უწყლო სიკვდილმა, ამ უკაცრიელ ველებზე ამოხადოს სუნთქვა.

ჟრიალებენ ზანზალაკები, აფურთხებენ აქლემები ხვატისაგან დახეთქილ მიწაზე და აგონდება ფარსმანს შეგონება მზრდელის ვარდანისა:

ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე გარს შემოუარო...

იგორა მერმე ამ თვითმოძრავმა ჭურმა, იგორა, ვიდრე აია სოფიას ჯვარი არ გამოჩნდა ზეცის თავანში.

ჰიპოდრომის გვერდით დილეგი ჰქონდა გამართული იმ «ძაღლს» ბასილი კეისარს.

შვიდი იბერიელი და ცამეტი სარკინოზი გამოიყვანეს ტყვეების მწკრივიდან, თმა-წვერი მოპარსეს, ნესტოები გაუხვრიტეს. ჯაჭვი ქედზე დაადვეს, ფეხებზე ბორკილები შეასხეს და ერთ საკანში შეაგდეს.

ერთი წლის წამების შემდეგ ერთმა ქართველმა ბერმა ინახულა ფარსმანი და ექვსი იბერიელი აღდგომა დღეს, მცირეოდენი მოსაკითხი მოუტანა და ანუგეშა ტყვეები.

როცა მნახველი წავიდა, დამშეული ტუსაღები მისცვივდნენ საპასექო ლელანგოებს, სწორედ ფარსმან ჩორჩანელს შეხვდა ის ლელანგო, რომელშიაც პწია ქლიბი შეეტანა ბერს.

შვიდი ღამე იმუშავა ფარსმანმა, ქედზე დადებული ჯაჭვი და ფეხებში ასხმული ბორკილები გაქლიბა, შემდგომ ამისა ამხანაგებსაც გაუხსნა ხელ-ფეხი, ბორკილები ურთიერთს გადააბეს, ციხის კედელი გამოანგრიეს, ბნელ ღამეს შეაფარეს თავი.

კონსტანტინოპოლის სანახებში თავს დაესხნენ წმ. იოანეს მონასტრის ბერებს, ვენახებში მომუშავეთ თავზე წაადგნენ.

ეს ამბავი ასე მოაწყო ფარსმანმა: ჯერ თავის რაზმს უბრძანა ტანზე გაიხადეთო...

ბერები გაოცდნენ, გახევდნენ, რა დაინახეს შიშველი ვაჟკაცები გამოქანდნენ მათკენ.

ახლა ბერები გაატიტვლეს, ტუსაღების ძველმანები მიუგდეს, ათ-ათი ოქროს სოლიდი წართვეს თითოს.

სახედრები იყიდეს და ანტიოქიისაკენ გასწიეს.

გამვლელებს ატყუებდნენ იერუსალიმს მივალთო.

იგორა თვითმოძრავმა ჭურმა.

ახლა სახედრით შემოიარა ფარსმანმა ბითინია, ანატოლიკი და ანტიოქია, ბოლოს ალ-ჰაქიმთან ჩავიდა ჰალებში.

ხალიფს წვრილად სცოდნოდა საქართველოს ამბები. ბაქარ ჩორჩანელის მამაცობაც სმენოდა თურმე. ბაგრატ კურაპალატისა და ბიზანტიის კეისრისადმი სიძულვილმა სჯული გამოაცვლევინა ფარსმანს.

აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი დაირქვა.

როცა ბასილი კეისარი ჰალების ციხეს მიადგა, ფარსმანი ციხისთავად იყო. ამ ბრძოლაში დიდად გაითქვა სახელი, ალ-ჰაქიმის მარჯვენას უწოდებდნენ სარკინოზები მას.

ბერძნებთან მეორეჯერ შეტაკებისას განსაცვიფრებელი სიმამაცე გამოიჩინა. ალ-ჰაქიმი და ფარსმანი მაშველი ჯარით ზურგში მოექცნენ ბიზანტიელ დუკას.

დუკას ლაშქარი შემოწყობოდა ქაიროს ციხეს, ლოდსატყორცნით ანგრევდა პირველ გოდოლს.

დასძრა თავისი არაბული ულაყი ფარსმანმა, ელვის უსწრაფესად მიეჭრა ბერძნებს, მიდიური ცეცხლი ესროლა ლოდსატყორცნს, ხანძარი გაუჩინა, ალ-ჰაქიმთან მიბრუნდა კვლავ.

დუკა უკუაქციეს.

ციხე გაათავისუფლეს სარკინოზებმა, მაგრამ, ხელჩართულ ბრძოლაში ჰოროლი სცა ბერძენმა სტრატიოტმა ფარსმანს, ბექთარიანად გაუგმირა ბეჭი.

საუკეთესო აქიმები მიუჩინა ალ-ჰაქიმმა, მაგრამ ვერ განკურნეს სავსებით, თავის სასახლეში დააბინავა ხალიფმა ფარსმანი.

ქაიროში შეისწავლა მან ხუროთმოძღვრება, ალქიმია და ფარსული.

აქვე გაიცნო ინდოელი ფაკირები... მოპირულ ხმლებზე სიარულს შეაჩვია შიშველი ფეხი. ხანაც დიდ ბაზრებზე გამოდიოდა, როგორც ჯამბაზი, დღისით ალესილ ხმლებს იბჯენდა თვალებზე, ცეცხლის ალს ყლაპავდა უვნებლად და მიზგითების მინარეთებიდან უთვალთვალებდა ვარსკვლავებს ღამით.

სუფიების მოძრაობას მიემხრო, მერმე ისევ ხელოვნებას მიუბრუნდა და უმშვენიერესი მიზგითები ააგო ქაიროში.

ბიზანტიელი დომესტიკის ლაშქარი კვლავ შემოეწყო ჰალებს 990 წელს, ხუთშაბათს, მაისის ორს.

ლოდსატყორცნი მანქანები და ტარანტები მიაყენა დომესტიკმა ციხეს, მეწინავე ჯარმა პირველი გოდოლი შელეწა, «ამ ჯარის სათავეში იბრძოდა საქართველოს მეფე, ხოლო, მარჯვენა ფლანგზე – გრძელ ბექთარებში ჩაჭედილი პატრიციები».....

მაშინ ალ-ჰაქიმმა მძევლები მისცა დომესტიკს და ელჩები წარგზავნა ბიზანტიონში.

ისევ აგორდა თვითმოძრავი ჭური.

ამ დესპანების ხელმძღვანელობა ჩააბარეს აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარის.

მამალმა იყივლა მთავართა სანათლოის გარეუბანში...

ფარსმანმა ნეკერჩხლის მუგუზალი შეუკვეთა ცეცხლს. მაისის მიწურულში ბიზანტიაში ჩავიდნენ დესპანები, კეისრის სასახლეში გამოცხადდა აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი, მთავარი ელჩი ხალიფის ალ-ჰაქიმისა.

შავი მოსასხამი ეცვა, თავზე თეთრი ჩალმა ჰქონდა შემოგრაგნილი, შავი სატევარი ეკიდა წელზე.

კარისკაცები გაჯანჯლდნენ, არ ისურვეს თეთრჩალმიან და შავხანჯლიან კაცის შეშვება კეისრის პალატებში.

მაშინ ეს უთხრა აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარიმ კეისრის კარისკაცებს:

მე წავალ და აღარ მოვალო ამიერიდან.

გამობრუნდა გახარებული: შემრჩებაო ათასი შუშა მუსკუსი, ათი ათასი ოქროს სოლიდის საღირალი პატიოსანი თვლები, სტავრა, ოქსინო და არაბული შტახსი ხუთასი შუშა.

აგორდა ისევ ჭური თვითმოძრავი, ზღვის კიდემდის მიაღწია, განიზრახა ინდოეთს წავალო, უთვალთვალებდა ნაპირისკენ მომავალ ტრირემას.

კარისკაცებს მალემსრბოლი გამოეგზავნათ, კეისარი უხმობსო ალ-ჰაქიმის ელჩს.

როცა ხელახლა მოვიდა სასახლეში, მსახურთუხუცესი გამოეგება. მოსთხოვა, კეისრის პალატებში შესვლამდის მიწას უნდა ემთხვიოსო ყოველი მუსლიმანი.

უარზე დადგა აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი, წასვლა დააპირა კვლავ.

მივიდნენ და მოახსენეს ბასილი კეისარს.

გაეცინა იმპერატორს, დამარცხებული ალ-ჰაქიმის ელჩის ასეთი თავხედობა რა შეიცნო. ხალიფა ალ-ჰაქიმი ბნედიანია, ალბათ გიჟს გამოგზავნიდაო ვინმეს.

ბრძანა: ისეთი კარი შეაბითო, თავმოდრეკა მაინც მოუხდესო ჩემთან შემოსვლისას.

მეორე დღისით იხმეს აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარი.

როცა თეთრჩალმიანი და შავხანჯლიანი ელჩი კვლავ მიბრუნდა კეისრის სასახლეში და სახელდახელოდ შეხანხლული დაბალი კარი დაინახა, ზღურბლამდის მივიდა ქედგამართული, მერმე გამობრუნდა და უკანალით შევიდა ბასილი კეისრის დარბაზში, კარი ვიწრო იყო, ჩარჩოს გამოედო, მაგრად შეანჯღრია ხის კარი.

კეისარი ვერცხლის ტახტზე იჯდა, მხარმარჯვნით სამი ოქროსთორიანი პატრიციუსი იდგა, მხარმარცხნით სამი თარჯიმანი. ოქროს გვირგვინი ეხურა ბასილის თავზე, მარგალიტებით მოოჭვილი ძოწეული ტანზე ეცვა, კისერზე პატიოსანი თვლებით დახუნძლული ჯაჭვი ეკიდა, ფეხზე წითელი წაღები ეცვა, ალმასებითა და მარგალიტებით მოოჭვილი სრულად.

წინ წამოდგა არაბულის თარჯიმანი, მიესალმა და ეკითხება ელჩს:

«რა მოვახსენო თქვენის სახელით კეისარს?»

«მხოლოდ იგი, რაც ჩემგან გაიგონოთ».

გაეცინა კეისარს.

მერმე არაბულის თარჯიმანს მიუბრუნდა ბასილი და ეუბნება:

«სარკინოზების ელჩებს, როგორც სჩანს, უკანალი უფრო მაგარი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე შუბლი?»

აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარიმ არ აცალა გადათარგმნა თარჯიმანს, დახვეწილი ბერძნულით მიმართა კეისარს:

უფლისწულო, საერთოდ ელჩებს განსაკუთრებით უკანალი უნდა ექნეთ მაგარი, როცა ხალიფის სასახლიდან კეისარს ეახლებიან, რაკი ბევრ პანღურს უნდა მოელოდნენო.

ბასილის დედა მიკიტნის ქალი იყო, ამიტომაც უყვარდა ბილწსიტყვაობა კეისარს.

გულიანად გაეცინა ამის გამგონეს.

როცა ალ-ჰაქიმის ელჩებმა საქმე მოათავეს და ქრთამები გადასცეს კეისარს, ლულუის მცხოვრებთა დესპანები შემოიყვანეს, მათ შეატყობინეს კეისარს: ლულუის ქალაქი აპირებსო ქრისტეს სჯულად მოქცევას.

ბასილი ბრმად მორწმუნე იყო, დიდძალი საჩუქრები მიუბოძა ლულუის დესპანებს და დაუყვავა.

მეორე დღეს კვლავ გამოეცხადა ბასილის ალ-ჰაქიმის ელჩი, მეც ვიწამებო ქრისტეს სჯულს.

იმ დღეს ხრიზოტრიკლინის ოქროს დარბაზში მიიღო ბასილიმ ელჩები.

კეისარს გაუხარდა, რა გაიგო ეს ენამახვილი და გამბედავი რაინდი უერთდებაო ქრისტიანობას. როცა ფარსმანმა შვიდი ხელობა ჩამოუთვალა, ხუროთმოძღვართა უხუცესად დანიშნეს იგი.

წლის დამლევს დიდი მიწისძვრა მოხდა ბიზანტიაში. ფარსმანმა შეაკეთა აია სოფია და რამდენიმე ტაძარი ანატოლიკში.

კონსტანტინოპოლშივე მიემხრო ფარსმანი სუფიების სექტას, ერთ მშვენიერ დღეს ქალაქიდან გაიპარა. დაუჭედელი აქლემით გაიქცა მისრს.

დიდხანს იმოგზაურა ეგვიპტეში. ხეოპსის პირამიდაზე არაბული წარწერა ამოიკითხა ასეთი:

დააგდე სექტა, სიძულვილის გახდი საგანი,
ვერ გაგიბედოს შენ ხელყოფა მუხთალმა დრომა,
გახდი დერვიში, უსამშობლო გლახაკთაგანი,
ზღვისგან ისწავლე ღელვის შემდეგ გულდამშვიდება...
განაძე შენგან წუთისოფლის მტკნარი დიდება,
დაიმსახურე მართებულად მეფეთა წყრომა...

ეს ლექსი, უკაცრიელ უდაბნოში ამოკითხული, ისე ღრმად ჩასწვდა გულში, დერვიშობა დაიწყო, მთელი ეგვიპტე შემოიარა, მათხოვართა ხანაგებში ღამეს ათევდა.

იქიდან ბაღდადს ჩავიდა...

სწორედ იმ დღეს საშინელი ქარიშხალი დაიწყო ბაღდადში, ატყდა ჭექა-ქუხილი, ცეცხლის სვეტი გამოვიდა ციდან. შავი წვიმა დაუშვა, საღამოს კუდიანი ვარსკვლავი ამოხდა მახვილის სახისა.

შეძრწუნებული მოსახლეობა ალაჰის რისხვას მიაწერდა ამას ყოველივეს და ლცულობდა პირქვედამხობილი.

ამ ამბავმა ფარსმანი ფრიად დააფიქრა და ვარსკვლავთმრიცხველობამ გაიტაცა იგი.

უკვე ხანში შესულს სამშობლო მოენატრა. ბაღდადის ხალიფამ ტფილისის ამირასთან წარგზავნა იგი. ტფილისში მოაწყო მან პირველი ობსერვატორია, აქვე შეირქვა ფარსმან სპარსი.....

როცა ტფილისის ამირა ბაგრატ მეფეს შეება დიღომთან, ფარსმანი შეიპყრეს სამეფოს სპათა (იგი თუხარისის ციხეში იდუმალ ჩასვლას აპირებდა თურმე, იმადაც წამოყოლოდა სარკინოზების ჯარს).

მცირე ხანს დილეგში იჯდა უფლისციხეში, ბაგრატ კურაპალატს ჯერ თარჯიმანად ჰყავდა სასახლეში. ერთი წლის შემდეგ ხუროთმოძღვართა უხუცესობა დააკისრა მას გიორგი პირველმა.

ისევ იყივლა მამალმა მუხნარისას ციხის სანახებში, ახლა მეორე გაეპაექრა მას. აყივლდნენ მთავართა სანათლოის მამლებიც.

ზის წელში მოდრეკილი ფარსმან ჩორჩანელი ჩანაცრულ ბუხრის წინ. ხვალ, ზეგ ან ერთი კვირიაკეს მოქცევის შემდეგ რა მცირე ღელე დაახრჩობს ზღვათა გადამლახველს!..

სულ მცირე, უსუსური ღელე დაახრჩობს მრავალნაცად მეომარსა და მსოფლიო მოგზაურს, თავის სამშობლოში უსამშობლოდ ქცეულს.

კვლავ აგონებდა ვარდან ბრძენის შეგონებაი:

ცხოვრება უდაბნოა ურწყული და ეცადე გარს შემოუარო...

ფარსმანს შეეძლო ახლა ეთქვა: მე არც ქრისტეანი ვარ, არც იუდაელი და არც მუსლიმი.

უსჯულოდ, უღმერთოდ, უთვისტომოდ იღუპება იგი თვისტომთა შორის.

მერმე რისთვის?

ერთი ციდა ქალის, ფანასკერტელის გომბიოს გამო...

უკეთეს შემთხვევაში თავს მოჰკვეთენ სადმე, ღართისკარს გადაღმა გადააგდებენ მის ცხედარს ხევში და არავინ გამოჩნდება ქვეყნად არც მთხრობელი, არც მწერალი, არცა მხატვარი, რათა მისი დიდი ვნებანი გაუზიაროს შთამომავლობას შემდეგ.....

მხევალი თებრონია პირაღმა გაშოთილა. უდრტვინველად ხვრინავს და მისი ტყირპიანი სახე ისე მოქცეულა, მორიელები დასევიანო ღაწვის თავებზე.

იყივლა მამალმა კვლავ, ახლა სულ ახლოს, სადაც ფარსმანის შეგირდი არსაკიძე ცხოვრობს. მას მეორე გამოეხმაურა, მესამე, მეოთხე და ვეღარ დათვალა ფარსმანმა.....

«რა საოცარი არსებაა მაინც მამალი!!»

ფიქრობს თავისთვის ფარსმანი.

«იგი ერთადერთია ცხოველთა შორის, რომელიც ცისკენ იყურება მუდამჟამს. მზისა და სიკვდილის მოახლოების მაცნეა მამალი, ღამესთან მორკინე და მარადჟამს ღამისმთეველი.

ლომსაც კი აფრთხობს მისი უცნაური ყივილი.

...იგორა თვითმოძრავმა ჭურმა და აჰა, სიკვდილის ბჭესთან მოგორებულა იგი!.....

მელქისედეკის პირგამეხებული სახე წარმოუდგა კვლავ.

ცისკენ თავაშვერილ მამალს წააგავდა მელქისედეკ კათალიკოსი, შობა დღის ქადაგების მთქმელი.

რაღაც უჯიათი შეუმუსვრელობა გამოსჭვიოდა ხორცდაშრეტილი ბერის ჩონჩხდაქცეულ ანაგობიდან. ტირანული სისასტიკე გართხმულიყო ძარღვებდაბერილ შუბლსა და ენერგიულ ღაწვისთავებს შორის, ციმციმებდნენ ტიარის ალმასები, ვარვარებდა ოქროს ომფორი უამრავი სანთლის ერთობლივ ლიცლიცზე.

ისეთი ბედითი ლაპლაპი გაჰქონდა ტიარასა და ომფორს, როგორიც ბიზანტიელ პატრიციების მოოქროვილ მუზარადებსა და ჯაჭვის პერანგებს იმ წუთში, როცა ხმალამოწვდილნი დასძგერებიან ისინი აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალ-აშარს, ჟანგისფერ თორ-აბჯარში მორთულს.

იდგა მელქისედეკი ამაყად, თავაწეული და გაუდრეკელი, როგორც სეფედროშა გამარჯვებული ლაშქრისა.

სარკმლიდან გაიხედა ფარსმანმა.

ეძინა მთავართა სანათლოის ჩაბნელებულ უბანს.

მგლების ყმუილი მოისმოდა შორიდან, ისევ ატყდა მამლების დაჟინებული ყივილი, ტოკავდა, ზანზარებდა მთვარის შუქისაგან დაბლონდილი ზეცის თავანი.....

XXII

მოწეულიყო არე გაზაფხულისა. ლაინისფერ მთებზე ალაგ-ალაგ ელავდა ხასხასა სითეთრე. მწვანე შემოსდგომოდა არაგვის ხეობას.

ჰყვაოდა ნუში.

ქედანისფერი, მგლისფერი და ზღვისფერი ებრძოდნენ ურთიერთს კორდებზე ....

მზე ეთხოვებოდა მცხეთის ტაძრების მოოქროვილ გუმბათებს.

კონსტანტინე არსაკიძე ნელი ნაბიჯით ჩამოდიოდა ერთსართულიან ქვითკირის სახლიდან, რომელსაც ჩარდახმორღვეული კოშკი ჰქონდა უკან მოდგმული. ხურსი აბულელის სახლთუხუცესს რატის ეკუთვნოდა ეს პატარა სასახლე ოდესღაც.

როცა ხურსი სარკინოზებთან გაიქცა, სახლეული და სახლთუხუცესი თან წარიტანა, მხევალი ნონაი დასტოვა შინ.

მერმე ის იყო, ხუროთმოძღვარის ხარისხი მიუბოძა გიორგი მეფემ არსაკიძეს და ეს სასახლეც მას გადასცეს.

ხილნარი ერტყა სასახლეს გარშემო, ირანულ გეგმაზე მოწყობილი ბაღჩა, ათიოდე საფუტკრეც შიგ.

მოხუცებული ნონაი მრავალ წელს მარტოკა ცხოვრობდა ამ უკაცრიელ სახლში.

ყველაზე ადრე მწერი და ქვეწარმავალი შეიცნობს ხოლმე კაცთა ოჯახის იავარყოფას.

ობობები შეესია კუთხეებს, ხოჭოებით გაივსო კარადები და განჯინები, მორიელებმა გამოსტეხეს ქვითკირი, ცეცხლისფერი მორიელები ზიმზიმებდნენ თაროებსა და ფანჯრის რაფებზე.

ნონაი თავგამოდებით ებრძოდა მათ, ბოლოს გაქცევა გადასწყვიტა, დედათა მონასტერში მონაზვნად აღკვეცას აპირებდა, რადგან ამბავი მოუვიდა – რომელიღაც ომში მოჰკლესო რატი.

სწორედ ამ დროს დააბინავეს ტყვეყოფილი ლაზი მუნ. სიხარულისაგან ცას ეწია ნონაი.

მამისეულ ოჯახში ნებივრად აღზრდილს მეურნის ნიჭი არ მოსდგამდა არსაკიძეს. განდგურების კიდეზე იყო მიმდგარი რატისეული სასახლე.

შერყეულიყვნენ თავკიდურები, ბალავარი მიწისძვრას დაეხეთქა, სახურავის ფიქალი ალაგ-ალაგ ქარს გადაეძრო. ხეხილი დაეზრა ყინვას.

მიმხედავი არავინ სჩანდა.

არსაკიძე დღენიადაგ ხარაჩოებზე დაბობღავდა. მთელს საქართველოში დაეხეტებოდა, ციხეთა და ეკლესიათა მშენებლობას თვალს ადევნებდა. დაქანცული, კირში ამოთხვრილი ბრუნდებოდა ნასამხრალზე შინ, ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა.

თავათ ხაზავდა გეგმებს, ასწორებდა სხვის მიერ დახატულ დეტალებს, არ ენდობოდა ხელოსნებს, ხანაც საჭრეთელს წაავლებდა ხელს, აქანდაკებდა ბარელიეფებს, ჩუქურთმებსა სჭრიდა უდრეკ ლოდებზე, საფრესკე ნახაზებს ამზადებდა თავათ.

საკუთარ შვილსავით უვლიდა ნონაი ჭაბუკს. იტანჯებოდა მოხუცი დიაცი არსაკიძის უმწეობისა და სიბედშავის შემყურე. დღენიადაგ შრომაში გართულს ჭამაც ავიწყდებოდა. ჯამიანად უკან დასდევდა ნონაი.

შესჭამეო რამე, ევედრებოდა თავის ახალ ბატონს, რომელსაც ბატონობის უნარიც არ აღმოაჩნდა.

იმ საღამოსაც ჩრდილივით მიიპარებოდა არსაკიძე ბინიდან. ბაღჩაში კაჭაჭსა სთხრიდა ნონაი.

გამოუდგა.

დღეს უმადოდ ისადილე, ბატონო, მცირეოდენი კორკოტი მაინც ინებეო, ევედრებოდა. არსაკიძეს ეჩქარებოდა, მაგრამ ხათრი დასდო მოხუცებულს. დედას აგონებდა იგი უცნაურის მზრუნველობითა.კორკოტიც არა ჰქონდა მოთავებული, კეცზე შემწვარი ორაგულები მოურბენინა ნონაიმ.

მაგვიანდებაო, მოიმიზეზა არსაკიძემ, ხელიდან დაუძვრა მხევალს.

ბაღჩა გადაიარა თუ არა, ფარსმანის სახლს მოჰკრა თვალი.

შევალ და ვინახულებ ავადმყოფ ოსტატს, ეს გაიფიქრა და სწორედ ამ დროს ძელსა ჰკრეს მთავართა სანათლოის ეკლესიაში. ეზოსმოძღვარის გუშინდელი საყვედური გაახსენდა ანაზდად: წირვასა და მწუხრზე ვერ გხედავენო, ლაზო.

შემდგომ ამისა, ძველთუძველესი ისტორიები წამოიწყო ხუცესმა: ლაზები იყვნენო პირველქრისტეანნი საქართველოში, მათ აღმართესო ძელი პატიოსანი პირველად. თუ წარმართმა ფხოველებმა არ გადაგარჯულეს, შენ უნდა იყვეო სანაქებო სჯულისმოყვარე.

ამ თავაზიან შეგონებაში უცილოდ ერია იდუმალი ქირდვა. კარგად იცოდა არსაკიძემ, გულბოროტი რომ იყო ეზოსმოძღვარი ამბროსი, ენაჭარტალა და მთესავი ღვარძლისა.

ახლა, როცა დიდი ხნის წამების შემდეგ ბედმა გაუღიმა, რაღად სჭიროდა მიუსაფარ ტყვე ლაზს ამ ქვეყნის ძლიერთა გულისწყრომის დამსახურება.

დაქანცული იყო მთელი დღე ხარაჩოებზე თრიალისაგან, შინგაბრუნება ყველაფერს ერჩია, მაინც მიეძალა გზას.

მარტის მზეს სიმხურვალე დარჩენოდა მთების უბეებში, ხვადაბუნების პაწია ვენახებს სხლავდნენ. ალაგ-ალაგ კოცონები ენთო ბაღის კუთხეებში, ლიწინ-ლიწინი გაჰქონდა წალამს.

რქა აეყარა ვაზს, აყვავებულიყო ფშატისა და ატმის ხეები, ლერწები დასწითლებოდა ნერგებს, მანეულის ბუჩქები ყვითლად ღვიოდნენ. ცეცხლმოდებულ ჯაგებს წააგავდნენ ისინი.

მწუხრი მშვიდობისას უსურვებდა არსაკიძე ვენახებში მომუშაკეთა.

ბავშვებს სიმღერით შემოჰყავდათ მთავართა სანათლოის გარეუბანში ღორ-ხბო. მათ უკან კამეჩის ჯოგები მოიზლაზნებოდნენ თემშარაზე, ნახირები მოსდებოდნენ გზებსა და შუკებს, ყოყინებდნენ თავაწეული კამეჩები, ჭიხვინებდნენ უბელო ჭაკები, ფალნიანი აქლემები მოაკატუნებდნენ თავს, ქერა კვიცები მოკუნტრუშობდნენ ტალახიან გზებზე.

კორდი აიარა თუ არა, სვეტიცხოველი გამოჩნდა შორიდან. თავის საყვარელ ქმნილებისაკენ გაექცა თვალი.

გაიხარა ოსტატის გულმა. ორი წლის წინათ მიწას არ აჩნდა ბალავარი ამ ადგილიდან. ახლა ხარაჩოების მთელი ტყე იდგა ოთხივე კიდეს. სვეტები, კოჭები, კაკუტები, ლატნები, ხარიხები და ძელები.....

სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ჯვარედინი, წრიული და მანდიკური ხაზები, ეს ყოველივე ისეთ შთაბეჭდილებას ჰბადებდა შორიდან, გოლიათური ქარის წისქვილები აუგიათო, ქორედ-ქორედი ხუხულები, დევის ყმაწვილთა სათამაშოდ გაკეთებული.

ამ უწესრიგო, უსწორო ხაზების ქაოტიურ ზესწრაფვაში მხოლოდ ოსტატის თვალი თუ ამოიკითხავდა მომავალი ნაგებობის ანაგობას დიდებულს.

არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამქვეყნად.

არსაკიძე გრძნობდა, მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარკინეს იგი. მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებმოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი, მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში.

ღმერთმია მოწამე, მას არ მოუწადინებია ეს. არსაკიძის სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი მწიფე ნაყოფს.

ხალხს გულამაყი ეგონა არსაკიძე – უთვინიერესი ბუნებით. ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნული კონსტანტინეს: ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს.

არც თუ ოდესმე გაბედავდა არსაკიძე არაგვისა და მტკვრის შესართავთან ტაძრის აგებას უკვარცხლბეკო ვაკეზე.

აღმოსავლეთიდან ჯვარის ტაძარი გადმოსცქერის მას, სარკინეთისა და ზედაზენის მთების გვირგვინი, ჩრდილოეთიდან ყაზბეგის მწვერვალიდან ყინვის ბექთარებში ჩაჭედილი მარადჟამობა.

ეს ყოველივე კარგად ესმოდა არსაკიძეს, ამიტომაც ებრძოდა იგი ამ უხეში ლოდების ქაოსს, როგორც კოჭლი იაკობი თავის მრისხანე ღმერთს.

ორი წლის წინათ ეს ლოდები, ეს ძელები, ეს აგურები უწესრიგოდ ეყარნენ მიწაზე, დაჰხედა ოსტატის თვალმა, შეეხო ოსტატის ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, აგური აგურს წაეპოტინა, კედლებმა მხარი მისცეს ურთიერთს, თაღებმა კამარა შეჰკრეს, გუმბათმა ნაგებობა დააგვირგვინა. მალე მიეახლება ნაოსტატარს ოსტატი, ქაოსს შემოაცლის სრულყოფილს, ბედნიერი შემოქმედი, შესძახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი!

და ცას მისწვდება ლოდების უცნაური ჰარმონია ცადატყორცნილი და ცაშივე გაყინული სამარადჟამოდ.

«კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე.

უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება».

უბანი გაიარა ამ ფიქრით მოცულმა ჭაბუკმა, ველი დაიწყო უკაცრიელი. გუგულის ხმა მოისმოდა შორიდან. გაზაფხული გაუბედავად მოსდგომოდა არაგვის ხეობას, გუგული უხმობდა თითქოს მთების უბეებში დაყოვნებულს.

ბეხრეკა მუხა გაეჭაბუკებინა გაზაფხულის სუნთქვას ძალოვანს. გალურჯებულიყვნენ შტოებზე ლერწები, ია გამოსულიყო აქა-იქ კორდებზე, ავშანის მხმარ ბუჩქებში განაბული. ფაჩუნებდა ღობემძვრალა ნაზამთრალ ფოთლებში, წითური ჯინჭველების ქარავანი აღმა აჰყოლოდა დაკორძებულ მუხის ტანს. ხოლო ქვევით, დაღვარჭნილ ფესვებთან, შავი ჯინჭველები მისეოდნენ გვამგამოფატრულ, ყვითელ მუხლუხას, ფუსფუსებდნენ გრძელულვაშიანი მეკობრენი, სიცოცხლე ზეიმობდა სიკვდილის კარზე.

კორდზე წამომჯდარი მწყემსი სალამურს უკრავდა. თხები დაკუნტრუშებდნენ ქარაფების ფერხთით. ციკნები კიკინებდნენ მაყვლოვანში მონავარდენი.

ძელსა ჰკრეს სამთავროს ეკლესიაში.

მწუხრზე ეჩქარებოდა არსაკიძეს, გადასწყვიტა მოკლეებით მოეჭრა სასაფლაოზე გზა.

საწყალობელი იყო ძველთაძველი საგოდებელი.

ქართული, ბერძნული, არაბული წარწერანი მოსჩანდნენ ლოდებზე, ფრინველთა სკორეს წაებილწათ უპატრონო სამარხები.

ყორნები წამოიშალნენ ქვის ჯვრებიდან, უკმაყოფილო ყრანტილით მიაშურეს მუხოვანს.

მიდიოდა არსაკიძე, შრიალებდნენ ანწლისა და ავშანის მხმარი კლერტოები. თვალს გადაჰკრავდა გზადაგზა წარწერებს, ხანაც სამარხებზე დაყუნცულ ვერძებს გადაჰხედავდა. ზოგ წარწერას კიდევ გაარჩევდა თვალი, ხავსს წარეხოცა ზოგიც.

ქართველები ბერძნები, სარკინოზი, ყველა წამხდარიყო სიკვდილის წინაშე. ამსოფლიურ ამაოებას მისტიროდნენ, შენდობასა და მოხსენებას ითხოვდნენ ყველანი.

«ნუთუ ცოცხალთა ღმერთი უნდა იყოს იგი, ვისაც ეს მზეგადსული თაობანი შეჰღაღადებენ? თუ სიკვდილის უფალია, ჩრდილების ქვეყნისა და შავეთის თავადი?»

საგოდებელი გადაიარა არსაკიძემ და შეღმართი მოათავა. ანწლისა და ავშანის კლერტოები წელამდის წვდებოდა, უსიცოცხლო შარიშური გაჰქონდა ნაზამთრალ ღეროებს.

იძალა სალამურის ხმამ, ძახილს მოუხშირა გუგულმა.

ასე გამოდიოდა: პანის სალამური და გუგულის ხმა უხმობდნენ გაზაფხულს. ამ გავერანებულ საგოდებელშიაც გადმოსულიყო იგი, რადგან ავშანისა და ანწლის ნაფესვარებიდან თავი წამოეყო მორჩს, ყურდაცქვეტილი ყლორტები უღიმოდნენ ცას. აზმორებდა მიწას სიმხურვალე გაზაფხულისა. სადაცაა ჟვერს უნდა ამოეხეთქა და ამ ველურ ვეგეტაციას წარეხოცა ეს ხავსიანი ლოდები და ქვის ჯვრები. ეს წარწერანი, ამაოებისა და სიკვდილის მაუწყებელნი.

გუნება შეეცვალა არსაკიძეს, კიდევ ერთხელ გადაჰხედა სვეტიცხოველს. კორდი აირბინა ისე მსუბუქად, თითქოს ხელმეორედ შობილიყო ამ ქვეყანაზედ.

მოდიოდა მტკიცე ნაბიჯით და ფიქრობდა თავისთვის:

«ხელოვნებაა თავათ უკვდავება.

მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი.....

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი».

შედრკა საკუთარი ფიქრის წინაშე და ეკლესიისაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვა აჩქარებული ნაბიჯით.

ძელსა ჰკრეს სამთავროში ხელახლა.

ზღვა ხალხი ეტეოდა ეზოში, გალავნის გარშემო მოჯარულიყო ბრბო. ბალღებიანი დიაცები კარიბჭეში ისრისებოდნენ, ჭიხვინებდნენ ქვის ყორეებთან დაბმული ულაყები, დიდკაცების თოროსან ცხენებს დაასეირნებდნენ მეჯინიბენი.

მათხოვრები, ჯამბაზები და მუცლით მეზღაპრენი ქოთქოთებდნენ კარიბჭეებთან. ისმოდა ურთიერთი აღრეული გალობა, ტირილი, ბავშვების ღნავილი და ცხენების ჭიხვინი.

შესავალთან ვიღაც მოხუცი შეაყენა არსაკიძემ.

ჰკითხავდა:

ხატობაზე ხომ არ მოსულაო ეს ამდენი ხალხი?

არა, ხატობა როდიაო, მელქისედეკ კათალიკოსი იქადაგებს მწუხრის შემდეგ, ამადაც მოაწყდაო ხალხი.

არსაკიძეს არ უყვარდა ის უცნაური სუნი, ადამიანების გაჭექილ ეკლესიებში რომ ხდება საცნაურ, მხოლოდ ეს უნდოდა ლაზს, ეზოსმოძღვარი დაელანდა როგორმე, ამის შემდეგ მოხდილად ჩათვლიდა მოვალეობას ამჯერად.

ხალხით გაჭედილიყო ტაძარიც, მაინც ყველა შიგ შესვლას მიესწრაფოდა. ორ-ორ კაცს გამოჰყავდათ გულშემოყრილი ქალები,ერთ მანდილოსანს, გოლიათურ ანაგობისას, ოთხი ვაჟკაცი შესდგომოდა, სავსებით ფერმიხდილს ძლივს მიათრევდნენ ბრბოში.

კლიროსიდან მოისმოდა სულზე უტკბესი გალობა. ეს გალობა უყვარდა არსაკიძეს. მხოლოდ ამისთვის დადიოდა წირვაზე, მაგრამ ტაძარში ისეთი ზუნი იდგა, მხოლოდ კანტიკუნტად მოესმოდა მგალობელთა ხმა.

მწუხრი მოთავებული იყო, როცა არსაკიძემ ტაძრის შუაგულამდის მიაღწია ძლივს.

კათალიკოსს ქადაგება უკვე დაეწყო.

რა უცნაურია ბრმა შემთხვევის ძალა! სწორედ იაკობის მიერ ღმერთთან შებრძოლებას ეხებოდა მელქისედეკი.

...«და წიაღ მოიკრიბა იაკობ ყოველივე, როცა იყო მისი და დადგა იგი მარტოი მუნ და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადამდე.

და ვითარ იხილა რამეთუ ვერ უძლავს მისსა მიმართ, შეეხო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბოშა ვრცელი ბარკლისაი იაკობისი, ბრძოლასა მას მისსა მისთანა და ჰრქვა: განმიტევე მე, რამეთუ აღმოხდა ცისკარი.

და მან ჰრქვა: რაი არის სახელი შენი?

ხოლო მან ჰრქვა: იაკობ».

ეს ადგილი ზეპირად წარსთქვა მელქისედეკმა.

შემდგომ ამისა მტკიცე და შუდრეკელი ხმით განაცხადა:

მოწესეებსა და მღვდლებს მართებთო კარგად განმარტება ამ ადგილისა, რადაგნ მწვალებელნი და მკრეხელნი აუგად იყენებენო იაკობის მიერ ღმერთთან ბრძოლის ამბავს.

ამქვეყნიური სახელითა და პატივით გულმოცემულნი შემოქმედს უტოლებენ თავს, ღმერთთან შერკინებას მიელტვიანო.

აქ ხმა აუმაღლა კათალიკოსმა და იქედნური ღიმილით დასძინა: ამ საცოდავებს ის ავიწყდებათ, ბარკალი რომ მოსტეხაო ღმერთმა თავის უფალთან მორკინე იაკობს.

ბიბინებდნენ კანკელის წინ სანთლები, ელავდა ოქრომკედი კათალიკოსის ომფორზე, ციმციმებდნენ ვარშამანგის ალმასები.

ღაწვისთავები შესწითლებოდა მელქისედეკს, მომნუსხველი მზერით შესცქეროდა იგი გარს მოჯარულ ბრბოს.

ამ წუთში ასე ეგონა არსაკიძეს: მას ერთს შესცქეროდა კათალიკოსი, ეჭვი აღეძრა მცირეოდენი. წეღანდელი ფიქრი ხომ არ შეიცნოო ამ მოხუცმა გრძნეულების ძალით?

ჯიქურ შეხედა კათალიკოსს, მაგრამ მალე თავი დაჰხარა, ვერ აიტანა მელქისედეკის დაძაბული მზერის სიმძაფრე.

გული უწუხდება კონსტანტინეს, ბრბოში გაჭექილს. ოფლის სუნი მისწვდა მის სათუთ ყნოსვას, ოფლისა, საკმეველისა და მირონის სუნი ურთიერთში აღრეული.

კარებისკენ უკუიქცა.

მიდიოდა. კი არ მიდიოდა, მხარულით მისცურავდა თითქოს. არსაკიძე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ტაძრიდან, როცა მელქისედეკმა ქადაგება მოათავა.

ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ყოველ კუთხეში.

აბობოქრდა ხალხი, დიდი და მცირე საკურთხევლისაკენ გაეშურა კათალიკოსის დამჭკნარი ხელის ამბორსაყოფად, მაგრამ რადგანაც ბრბოს მრავალი ათასი პირი ჰქონდა, ხოლო მელქისედეკს ერთადერთი მარჯვენა, საშინელი სრესა გაიმართა.

ოთხივე კარიდან შემოაწვა გაჭექილ ტაძარს ხალხი.

მთავარდიკვნის კათედრა წააქციეს.

ერთბაშად იკივლა ვიღაც დედაკაცმა. მცირე ხანს ზუზუნებდა შეტბორებული ბრბო, თოთო ბავშვის ცხედარი ამოტივტივდა ორი ვაჟკაცის ხელებზე.

არსაკიძე შეჰზარა თავგასრესილ ბალღის შეხვედამ, თვალი აარიდა და მთელის ძალღონით დაიძრა გასასვლისაკენ, დაქანცულობა გადაავიწყდა გაგულისებულს, ბოლოს ძლივს გავიდა ეზოში საკინძეშემოხეული.

იმხანად ასეთი ჩვეულება დასჩემდა არსაკიძეს.

ყოველ ეკლესიას საგანგებოდ ატოლებდა სვეტიცხოველის მომავალ შენობას. ამიტომაც ორჯერ შემოუარა სამთავროს ეკლესიას ბნელში. ნაბიჯით გამოზომა სიგრძე და სიგანე. გაცილებით უფრო დიდი აღმოჩნდა ახალი სვეტიცხოველი. იამა ეს ამბავი ოსტატს.

მუდამ ასეთი ყოფილა ხელოვანის ბედი.

როგორც ტოილოთი დაბმული ცხენი გარს უვლის ხოლმე დღედაღამ პალოს, აქ მოსძოვს მცირეს, იქ მოიბალახებს, დადის წრის გარშემო გაჩხიბულივით, ასევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას შემოქმედების თვისის საგანი, სულ ერთია, სეირნობს იგი, ლხინს ეძლევა, ან და მაშინაც, როცა ბრბოში უსაქმურად დაეხეტება, მარადჟამს თავის პირმშოს დასტრიალებს გონების თვალით.

მთვარე ამოსულიყო უკვე.

ცაცხვის ჩრდილში იდგა არსაკიძე, მძინარე ქალაქს გადასცქეროდა. ჩრდილის კარიდან ეზოსმოძღვარი გამოძვრა. პირდაპირ შეეჩეხა ბნელში მდგარ ხუროთმოძღვარს.

«მწუხრი მშვიდობისა».

წაიბუტბუტა არსაკიძემ, მაგრამ ეზოსმოძღვარი ისე გაოგნებულ იყო, არც კი სმენია ეს მისალმება.

სჩანდა: ვიღაცას უთვალთვალებდა იგი ეკლესიის ეზოში.

კისერი წაიგრძელა ხუცესმა და მიჰყვა დიაცების ერთ ჯგუფს, საქალებოდან გამოსულს იმ წუთში.

არსაკიძეს ცნობის წადილი მოეძალა.

ნაბიჯს აუჩქარა.

შენიშვნა: ფხოვურ სამოსში გამოწყობილ მხევლებს ვიღაც მანდილოსანი მიჰყავდათ ეზოში.

მიუახლოვდა თუ არა, ვარდისახარის შინდისფერი თავშალი შეიცნო არსაკიძემ.

შესაძლოა შორენა მოჰყავდეთო, ეს გაიფიქრა და წამოეწია. ორიოდე ნაბიჯით გაუსწრო მოახლეებს, უკან მოიხედა ფრთხილად.

თავჩაღუნული მოდიოდა შორენა, სახეს არიდებდა ცნობისმოყვარეთა დაჟინებულ მზერას. გამსჭვირვალე ბლონდი ებურა პირზე, ბროწეულის ყვავილის დარი, სითვით ამოქარგული.

ორი შკვარიანი მოახლე გვერდით მისდევდა. სიყვითლის იერი გადასდიოდა ღაწვებზე. არსაკიძეს ვერ გაეგო, შუქის ანარეკლი იყო ეს, თუ ბუნებრივ ფერად ქცეოდა იგი ტყვეს?

არსაკიძემ შენიშნა, ვარდისახარმა შეიცნო იგი.

ორჯერ მოიხედა ზედიზედ, მზერა აარიდა ჭაბუკმა ქალს.

სწორედ ამ დროს გაიელვა მის წინაშე ეზოსმოძღვარის ლანდმა.

გაეცალა არსაკიძე შაოსანს. ნელის ნაბიჯით მიდიოდა ბრბოში. ცალკერძ ფხოველ ქალების გუნდს უთვალთვალებდა, ცალკერძ შავ ანაფორას ხუცისას.

ისევ მოუარა წადილმა. უნდოდა როგორმე წამოსწეოდა ფხოველ დიაცებს, მწუხრი მშვიდობისა მაინც ეთქვა შეფარვით.

უცნაური ხმები დადიოდა ბოლო ხანს შორენას გამო მცხეთაში. საბელით გადააპარესო იგი მოახლეებმა ღართისკარის ციხიდან ღამით. ფხოვს გაქცეულაო თორ-აბჯარში გადაცმული ტყვე, ახალ ამბოხებას აწყობსო ერისთავის ასული ახლა.

სულ სხვას ამბობდნენ სხვანი: უფლისციხეში ჰყავსო კოლონკელიძის ქალი მეფეს, დასნეულდაო ბნელში ჯდომისაგან შორენა.

ასეთი რამეც განაგონი ჰქონდა არსაკიძეს: ბედიის მონასტერს წარგზავნაო იგი კათალიკოსმა, მონაზვნად აღკვეცილაო მუნ.

დაწინაურდა არსაკიძე ბრბოში, ისევ წაებლანდა მის მზერას ეზოსმოძღვარის შავი ანაფორა.

მშვენიერი საღამო იყო, გაზაფხულის ამო სუნთქვით დამტკბარი. ცაცხვების შტოები ელავდნენ ვარსკვლავებით, მთვარე გადმოსულიყო სარკინეთის შავჯაგრიან ზურგზე.

ფხოველი ქალების დანახვამ უცნაურად ააფორიაქა არსაკიძე, ტკბილი სიყრმე მოაგონა თავისი, ბედითად შეწყვეტილი ლხენა სიჭაბუკისა.

ვიწრო ქუჩაში მოლაშლაშებდა მლოცველების ბრბო. მარტოობა მოუნდა გულდარდიან ჭაბუკს. ქუჩის გასწვრივ ნანგრევები იყო ძველი, მათ ჩრდილს შეაფარა თავი. მიდიოდა დარდიანი, თავჩაქინდრული.

ვიღაცამ უბიძგა მკლავი. რიდით პირახვეული ლანდი ეუცნაურა. შეკრთა, აღელდა, ვარდისახარი შეიცნო მყისვე.

თილისმურად უღიმოდა დიაცი.

წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ვარდისახარი, შორს მიმავალ მოახლეების ჯგუფს არ აცილებდა თვალს.

«სად იყავი აქამდის, რად არ სჩანდი მცხეთაში?»

ეს ჰკითხა არსაკიძემ პირველად.

«ღართისკარის ციხეში ვისხედით»...

«ახლა?»

ახლა შეგვიწყალაო მეფემ, ხურსისეული სასახლე მიგვიჩინა. იმასაც ამბობენ, დროებითა ვართო მანდ, აფხაზეთს გვგზავნისო კათალიკოსი.

არსაკიძე გაოცდა. სიზმარი ეგონა ეს ყოველივე.

«შენი ამბავი წვრილად გვამცნო ჩვენმა მოძღვარმა, ათანასე ბერმა. მეფეს გაუცვნიხარ ნადირობის დროს, წარჩინება მიგიღიაო. შორენა გახარებულია ამ ამბით.ფხოვიდან თუ გსმენია რაიმე?»

ეუბნება სხაპასხუპით ვარდისახარი, ხურვება შეყრილივით უცახცახებს ყბები.

ფხოვიდან არაფერი მსმენიაო ჯერაც.

ქალი გაოგნებული შესცქეროდა ვაჟს. არსაკიძეს ბრბოსკენ გაექცა თვალი. ხელი მკლავზე წაავლო გაშტერებულ ქალს.

«გესმის ვარდისახარ, გესმის, მეც თქვენს ახლოს მიმიჩინეს ბინა. შებინდებულზე მოდი როგორმე, ნონაი იკითხე, სახლთუხუცესის რატის მხევალი. ახლა წადი, ეზოსმოძღვარი გვითვალთვალებს ვგონებ».

რიდე აიფარა დიაცმა, კედელს აეკრა და ისაფრა ჩრდილი, ბნელში წალასლასდა ლანდი.

უცნაურად მოსწყდა არსაკიძე იოგებში. ნაბიჯს უკლო, სასაფლაოსკენ გადავივლიო, გაიფიქრა მარტო შთენილმა.

ცა იისფერი იყო, ვარსკვლავები მჭმუნვარედ აფახულებდნენ მოოქროვილ წამწამებს.

ვარდისახარის სქელი ტუჩები თვალწინ დაუდგა, ვნებისაგან უელავდა დიაცს თვალები.

ფხოვური მაღალი ცა მოგონდა. ვარდისახარის რბილი და ტფილი სხეულის სიტკბო, თავის წაწალთან გათენებული ღამეები.

საოცარმა ნდომამ იფეთქა ჭაბუკის გულში.

ისევ აუჩქარა ნაბიჯს. ფხოველი დიაცები აღარ სჩანდნენ ბრბოში, ლანდივით მოეჩვენა ვარდისახარი წეღან, უნდოდა შორენასთვის სახეში ჩაეხედნა, წამიერად ენახა სიყრმის მეგობარი როგორმე.

ახლა თუ წაახელებდა იგი, არ მოერიდებოდა ეზოსმოძღვარს, ახლოს ჩაუვლიდა, მწუხრი მშვიდობისაო, –ეტყოდა მაინც.

პატარა სამლოცველოს გვერდით ვიწროვდებოდა ტალახიანი ქუჩა. მლოცველების ბრბო შეტბორდა. არსაკიძემ ისარგებლა ამით.

ისევ წააწყდა მისი თვალი შინდისფერ თავსაფარს. შორენას მოქარგულმა ბლონდმაც გაიელვა მკვარის სინათლეში.

ახლა ეს შენიშნა არსაკიძემ, – გარსმოჯარული მცხეთელი დიაცები. მომეტებულის გულისყურით უჭვრეტდნენ ერისთავის ქალსა და მის მოახლეებს.

ფხოვური ჩოხა ეცვა კონსტანტინეს, მიახლებოდა ფხოველ დიაცებს?

ეს თვალში ეცემოდა ყველას.

კვლავ მოუდუნდა ნებისყოფა ჭაბუკს, შესაძლოა, ქალებს დაუშავდესო რამე.

ორი ყმაწვილი ქალი უკან მიჰყვებოდა ფხოველ ტყვეებს. მანდილიანი ეჩურჩულებოდა რიდემოსხმულს.

რიდით შებურვილმა რაღაცა ჰკითხა მანდილიანს (ეს ვერ გაარჩია არსაკიძემ). პასუხი გაიგონა მხოლოდ:

«კოლონკელიძის ასულია, შორენა».

«დედოფალივით ქალია, არა?»

ამას ამბობდა მაღალი მანდილოსანი.

«არც ბევრი უკლია»...

ეუბნება რიდემოსხმული.

«რად იტყვი მაგას,ქა?»

«გიორგი მეფის ხარჭაა, ხომ იცი»...

სამსჭვალივით ეცა ეს სიტყვები არსაკიძეს.

უნდოდა მივარდნოდა ენაჭარტალა დიაცს, მიეხლა: სტყუიო.

თავი შეიკავა, გველცემულივით გამოტრიალდა, პირდაპირ შეეჩეხა მის უკან მომავალ ეზოსმოძღვარს, მდუმარედ ჩაუარა მას და ბნელ შუკაში გაუჩინარდა.

XXIII

ხუროთმოძღვართუხუცესის სასამართლოში მოწოდებამ დიდი მითქმა-მოთქმა აღძრა მცხეთის სასახლეში. ნამდვილი ვითარება საქმისა სამიოდე პირმა იცოდა მხოლოდ.

მიუხედავად ამისა, ფარსმანის დასჯას მოითხოვდა დიდი და მცირე, განსაკუთრებით მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მემხრენი. ყველას, ყველას სძაგდა ფარსმანი თავისი ყბადაღებული «წარმართობისა» და მუსლიმური ჩაცმულობის გამოც.

არც დედოფალს მოსწონდა თავიდანვე იგი, მაგრამ მის შემცვლელს ვერავის ხედავდა ეკლესიათა მშენებლობით გატაცებული, ამიტომაც ითმენდა «სახითა

ბარბაროსს და სჯულითა ტარტაროზს» (როგორც უწოდებდა ხოლმე ეზოსმოძღვარი ფარსმანს).

მარიამ დედოფლის ოცნება ეს იყო: მთელი საქართველო ეკლესიად და მონასტრად ექცია; არა მარტო საქართველო და სომხეთი, მთელი ქვეყანა.

აფხაზეთიდან ახლადჩამოსულს ამბავი დაახვედრეს უფლისციხეში: მეფემ და კათალიკოსმა ახალგაზრდა, ქრისტიანი ლაზი დააწინაურესო. ფრიად გაიხარა დედოფალმა, თუმცა ჯერ არც არსაკიძე ენახა და არც მისი ნახელოვნები.

უფლისციხეშივე ამცნეს: ფანასკერტელის ქალს გამიჯნურებია მოხუცი ფარსმანი. თუმცა ფანასკერტელიც ისევე სძაგდა, როგორც ყოველი ნაშიერი დიდაზნაურთა გვარისა, მაინც მოითხოვდა ფარსმანის დასჯას.

ყველაზე მეტად წმ. გიორგის მცხეთის სასახლიდან «გაპარვამ» დააღონა მარიამი, უდიდესი უბედურების მაცნედ მიიჩნია ეს ამბავი.

მცხეთაში ჩამოსვლისთანავე ითავა და მერმე ის იყო, მეფემ, კათალიკოსმა და ეზოსმოძღვარმა დიდძალი საკლავი წაასხმევინეს ნოკორნას, თაყვანი სცეს ახალ საბრძანისში წმინდანს.

ფხოველნი, წანარნი და ღილღვნი მოაწყდნენ ნოკორნას მონასტერს იმ დღეს.

თავათ კათალიკოსი სწირავდა. ნაწირველს დიდხანს იქადაგა მელქისედეკმა. მეფემ დაიჩოქა და ეამბორა განრისხებულ ღვთაებას. შემდგომ ამისა, დედოფალი მიეახლა ფორთხვით, მდუღარე ცრემლებით დაალტო ხატი, თავის ოჯახზე გულის მობრუნება შესთხოვა წმინდანს.

ამაოდ ეცადა ეზოსმოძღვარი როგორმე წვრილად მოეხსენებინა ფარსმანის დანაშაულის ნამდვილი ვითარება დედოფილისათვის, მაგრამ საამისოდ ისეთი ბიწიერი სიტყვები უნდა ეხმარა, მათი წარმოთქმაც ვერ გაჰბედა შემასმენელმა.

მარიამ დედოფალი სომეხთა მეფის ასული იყო. მან შემოიტანა სასახლეში აფხაზთა მეფეებისათვის სავსებით უცხო, ასკეტური სული.

მარიამი თვალს ადევნებდა არა მარტო რელიგიური რიტუალების სასახლეში შესრულებას, არამედ მონასტრებისა და ეკლესიების ყოფას, მღვდელმთავართა, ეპისკოპოზთა, მოწესეთა ზნეობას.

მისი ყოვლისმხილველი თვალი და ყოვლისმსმენელი ყური ეზოსმოძღვარი ამბროსი იყო, იგი უთვალთვალებდა არა მარტო სამღვდელოთა, არამედ თავათ მეფეს, მის ვაზირებსა და ერისთავებს.

ფარსმანის საქმის გამო დაჟინებით სდუმდა გიორგი, რადგან კარგად იცოდა მეფემ: მის მიერ თუნდაც რაიმე აზრის გამოთქმაც განჩინების წინასწარ გამოტანა იქნებოდა უთუოდ.

ზვიად სპასალარიც თავს იკავებდა. მაინცდამაინც არც მას უყვარდა ფარსმანი, მაგრამ როგორც ყოველ საქმეში, აქაც სამხედრო მოსაზრება ამოძრავებდა სპასალარს მხოლოდ.

კარგად ჰხედავდა: დღითი დღე რთულდებოდა ბიზანტიასთან ურთიერთობა. «კომნინის შეთქმულებას» საშინელი დევნა მოჰყვა, ეს ყოველივე ქართველობას დაატყდა თავზე.

ცნობილია: ვესტარხების ხარისხს მარტოოდენ ქართველებსა და სომხებს ანიჭებდნენ ხოლმე ბიზანტიის კეისრები. უკანასკნელ წლებში მხოლოდ სომხებს მიუბოძა ბასილ კეისარმა ეს ხარისხი.

ბიზანტიონში შეიპყრეს ჯერ კიდევ დავით კურაპალატის დროს სამშობლოდან გაქცეული კლარჯეთელი აზნაურები, სავსებით უბრალოდ დაუკავშირეს ისინი «კომნინის საქმეს», მსტოვარების მიერ საგანგებოდ შეთხზულს.

ამგვარი ატმოსფერო შეურიგებელ აზრთა სხვაობას იწვევდა გიორგი მეფის სასახლეში. დედოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმადმორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ჰხედავდნენ კეისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაესს არსებას, რომელიც ვითარცა რომის იმპერატორი და «პონტიფექს მაქსიმუმ», მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამქვეყნად.

ბიზანტიასთან სჯულის ერთიანობით დაბრმავებულმა თავისი სამეფო გადასცა ბასილი კეისარს სენაქერიმმა, სომხეთის მეფემ.

ზვიადი ამჩნევდა: «კომნინის შეთქმულება» საქართველოსაკენ მოღერილი მახვილის ალესვას მოასწავებდა მხოლოდ.

ასეთ დროში ფარსმანისთვის თვალების დაწვა არც ისე იოლად გადასაწყვეტი იყო.

ეკლესიათა მშენებელი დიახაც მოიძებნა, მაგრამ მეფისა და სპასალარის გარდა არავინ უწყოდა, რომ რკინათა მკვეთელ ხმალთა წრთობის საიდუმლო ერთმა ფარსმანმა იცოდა მხოლოდ.

ამ საიდუმლოს სხვისთვის გადაცემას არც აპირებდა იგი.

გარდა ამისა, არც საქართველოში, არც წინა აზიაში ფარსმანზე უფრო დიდი მცოდე ციხეთმშენებლობისა ზვიად სპასალარს არ ეგულებოდა.

*

მეფე გიორგი უჩვეულოდ ღელავდა. სამჯერ გადაადებინა საქმე. ბოლოს მარტის 27-ს უნდა წარსდგომოდა სასამართლოს ფარსმანი.

ახმობინა მეფემ მსაჯულთუხუცესი, დედათა მონასტრის წინამდგომი ვერხაულისძის ქალი და ეზოსმოძღვარი.

გამოუცხადა: ფანასკერტელის ქალის საქმე არავისთვის ემცნოთ მსჯავრის გამოტანამდის. თვით მარიამ დედოფლისათვის არ გაემხილათ საქმის შინაარსი. უსასტიკესი სასჯელით დაემუქრა სამთავეს.

შემდგომ ამისა, მსახურთუხუცესი წარგზავნა, მელქისედეკ კათალიკოსი აწვევინა. სამგზის ეახლა იგი მელქისედეკს, სამგზისვე ლოგინად ჩავარდნილი დაუხვდა მელქისედეკი მოციქულს.

მეფე თავათ იყო სასამართლოს უზენაესი წინამდგომი. მისთვის დიახ უხერხული იქნებოდა საქმის მოსპობის, ან ფარსმანის შეწყალების მოთხოვნა, რაკი მოაჯის – ფანასკერტელის ქალის ძიება საქმეში იყო ჩართული.

ბოლოს თავათ დააპირა კათალიკოსთან წასვლა, მაგრამ ერთიც ვნახოთ, სადარბაზოდ მოსული მეფე გაეწბილებინა მელქისედეკს?

ეს დიდად საჩინოდ გახდიდა მათ შორის უჩინარად წარმოებულ ბრძოლას.

რაკი კათალიკოსთან სათათბიროდ წარგზავნილისათვის ფრიად დიდი და იდუმალი საქმენი უნდა გაემხილათ, ზვიად სპასალარმა თავათ შესთავაზა გიორგის: მე ვეახლებიო კათალიკოსს.

მეფემ დაათათბირა ზვიადი, ყოველივე წვრილად უნდა აეხსნა მელქისედეკისათვის.

დიდხანს იჩურჩულეს, ბოლოს დააბარა: არავინ დაესწრო ამ საუბრის დროს.

სპასალარმა უგუნებობა შეამჩნია გიორგის, მიზეზი ჰკითხა. წინა ღამის უძინარი ვარო, მოიმიზეზა.

თათბირი მოთავებული ჰქონდათ, მეფემ თრიაქი გადმოიღო, ნარგილე გააჩაღა და სწორედ ამ დროს მალემსრბოლი ჩამოვიდა ბიზანტიონიდან.

გახსნეს გრაგნილი და ასეთი ამბავი ამოიკითხეს:

ტაოდან იერუსალიმს სალოცავად მიმავალი ბერი ზაქარია შეეპყრო ანტიოქიის დომესტიკს. ბასილისთვის გადაეგზავნა, კეისარს დილეგში ჩაეგდო იგი.

შესწამეს თურმე ზაქარიას, მას მიეტანოს თითქოს კომნინისათვის გიორგი მეფის მიერ გაგზავნილი წითელი წაღები, და მისივე სახელით კეისრობა მიელოცნოს განდგომილისათვის.

დიდხანს ეწამებინათ ბერი ზაქარია, მისგან ამას მოითხოვდნენ, დაედასტურებინა ოღონდ: მართლაც გაეგზავნოს თითქოს წითელი წაღები კომნინისათვის გიორგი მეფეს. მყისვე განთავისუფლებას ჰპირდებოდნენ ბერს, კესარეის საეპისკოპოზო ტახტს აღუთქვამდნენ თურმე.

ზაქარიას მტკიცე უარი განეცხადებინა.

რაკი აღთქმებით ვერ გააწყვეს რა, დილეგში ჩააგდეს კვლავ, ვირთხები მიუსიეს.

როცა დაკითხვებით თავი მოაბეზრეს, სიმუნჯე მოიგონა.

ენა მოსჭრეს თურმე.

რაკი დამუნჯდი, ენა რაღად გინდაო, დასცინოდნენ ღრმად მოხუცებულს.

გიორგი გააცოფა ამ ამბავმა.

წამოვარდა, მუშტებს უშენდა ტაბლას.

«ბასილი კეისარს ეს უნდოდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი»...

ყვიროდა მეფე.

ასეთი სიტყვები არასოდეს სმენოდა მისგან სპასალარს.

ნუთუ ამას ვერ ჰხედავს დაბრმავებული მელქისედეკი? აღარც მარიამ დედოფალს ესმის ეს საფრთხე».

ზვიადს გაუხარდა ეს ამბავი ერთის მხრით, მიხვდა: დიდად წაადგებოდა იგი კათალიკოსის სიჯიუტის დასათრგუნველად.

წასვლას დაადგა ზვიადი და სწორედ ამ დროს გაიღო კარი, დედოფალი შემოვიდა დარბაზში.

სიგამხდრეს უფრო მეტად გაემაღლებინა ისედაც ახოვანი, პირხმელი ქალი. ფერგამკრთალი სჩანდა და სახეგამშრალი.

ჩინური, შავი ფარჩა ეცვა, დიდრონი ალმასების მანიაკი ირისეს დარად უთიმთიმებდა ყელის გარშემო. წვრილსა და გრძელ კისერზე უცნაურად დაბერილი, ენერგიული ძარღვები მოუჩანდა, რისხვიანად უელავდნენ წამოსივებული თვალები.

ზვიადმა თაყვანი სცა.

მშრალად მიესალმა სპასალარს.

ზედ ეტყობოდა: აფხაზეთში მოგზაურობას თუ შინ დახვედრილ უსიამო ამბებს ფრიად მოექანცა დედოფალი.

როცა სპასალარს სალამითვე მიუგო, ნაძალადევად გაუღიმა. ჭარბად წაცხებულ უმარულს ვერ დაეფარა ჩიტის ნაფეხურივით წვრილი, წვრილი ნაოჭები, ფართე და სევდიან თვალების გარშემო მომდგარნი.

უჩვეულო შარიშურით გაიარა საწოლის დარბაზისაკენ. კარის გახურვაზედაც შეამჩნია ზვიადმა, რაღაც დიდი უსიამოვნება უნდა მოსვლოდა ცოლ-ქმარს.

ზვიადმა თაყვანისცა მეფეს, ღამე ნებისაო, ჩაილუღლუღა.

გიორგი მეფე იჯდა, თრიაქსა სწევდა, არც კი გაუგონია სპასალარის გამოსალმება.

დარბაზის კარამდისაც არ იქნებოდა მიღწეული ზვიადი, როცა გიორგიმ თავი აიღო და მიაძახა:

«შენ გეტყვი, ზვიად, მობრუნდი, აქ დაჯე!»

ზვიადი გაოცდა, გიორგის არა სჩვეოდა უკუხმობა მიმავლისა, არც თუ ოდესმე დავიწყნია წარგზავნილისათვის დაბარება შესათვლელისა.

როცა ნარგილეს გვერდით მჯდარს თავზე წამოადგა სპასალარი, დიდხანს იყო გაოგნებული, თითქოს დაავიწყდაო, წეღან რომ უხმობდა ზვიადს.

იდგა გახევებული სპასალარი, ხედავდა, როგორ უსიტყვოდ იტანჯებოდა მეფე, თმა შუბლზე ჩამოფხატოდა, ღაწვები ჩავარდნოდა, სახე დაგრძელებოდა. თმის ყოველ ღერზე ეტყობოდა, თუ როგორ აფორიაქებოდა ბუნება საერთოდ გულდინჯსა და უშიშარ ვაჟკაცს.

სპასალარმა ნელა დახველა. ამით უნდოდა შეეხსენებინა ფიქრით მოცულ გიორგისათვის: რად მიხმეო წეღან?

თავი აიღო.

თრიაქი თუ გსურსო?

შეეკითხა იგი ზვიადს.

მადლობა მოახსენა: არა, უკვე არ ვწევო თრიაქს.

მეფემ სელზე დაჯდომა ანიშნა თვალით, კიდევ მცირე ხანს სდუმდა... მერმე ამღვრეული თვალები ჯიქურად მიანათა სპასალარს და ეუბნება:

«შენ გეტყვი, ზვიად, თუ მელქისედეკმა შორენას გამო რაიმე გითხრა, რას მიუგებ მაშინ?»

ზვიადი აიმღვრა.

«მხოლოდ იმას, რასაც მეფე მიბრძანებს, პატრონი ჩემი».

გიორგიმ თავი ჩაჰქინდრა და გაუმეორა:

«მხოლოდ იმას, რასაც მეფე გიბრძანებს... ჰმ»...

«რადა ბრძანებთ ამას, მეფეთ მეფეო?»

«არა, ისე ვთქვი»...

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

«დედოფალი წამეკიდა წუხელ, სჩანს ეზოსმოძღვარს უჭორავნია... მარიამ ყოველივეს ამცნობდა კათალიკოსს, ალბათ, თუ მელქისედეკმა შორენას წარგზავნა მოითხოვა, აფხაზეთს წარგზავნა და ბედიაში მონაზვნად აღკვეცა, არამც და არამც არ მისცე ჩემის სახელით დასტური.ხოლო»...

აქ ისევ დადუმდა, მცირე ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო: «ხოლო თუ კათალიკოსი გაჯიქდეს, უთხარი ჩემის სახელით, გირშელს მიათხოვებენ-თქო შორენას, ყველისციხის პატრონს, დედიჩემის დისწულს.

ეცადე აქამდის არ მიიყვანო საქმე, თუ სხვა ღონე არ იქნეს, დაეთანხმე, გურანდუხტმა მზითევი გადმოუგზავნა-თქო უკვე, მეფემ დასტური მისცა-თქო. გირშელს მიათხოვებენ-თქო ყველისციხის პატრონს. ასე უთხარი და ვნახოთ მერმე»...

ხელახლა თაყვანი სცა ზვიადმა მეფეს, მან კვლავ ჩაიდო ნარგილეს მილი პირში, გააბოლა. მცირე ხანს რეტდასხმული იჯდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ მიაძახა მიმავალს:

«წითელი წაღების ამბავი გამოიყენე შენებურად, ზვიად»...

XXIV

ბინდი გადმომდგარიყო სარკინეთის მთებზე, როცა კათალიკოსის ბაღში ფეხი შესდგა ზვიად სპასალარმა. ღვივოდა მიმავალი სხივის ნამუსრევი ატმების აყვავებულ შტოებზე. ფარშავანგების ჩხავილი მოისმოდა საიდანღაც.

ზვიადს ეს უნდოდა: შეუმჩნევლად შეპარულიყო კათალიკოსის სასახლეში როგორმე.

შველმა გადაურბინა გზაზე. ყურდაცქვეტილი შესდგა ნუშის ქვეშ. ერთი შეხედა, შეკუნტრუშდა და შრამელებისკენ გაჰქანდა ჭენებით. უზარმაზარი ნაგაზები გამოენთნენ ღრიანცელით სტუმარს.

ზვიადს დაცდილი ჰქონდა: საერთოდ არ ერჩოდნენ ძაღლები მას, მაგრამ ესენი ისე მჭიდროდ შემოესიენ, ქარქაშიანი ხმლით იგერიებდა, უყვიროდა მყეფარებს.

ბოლოს მისჭირდა საქმე, ერიდებოდა ომებში მრავალნაცად მახვილის ამოღებას, სწორედ ამ დროს გამოსცვივდნენ შრამელებიდან მონები, დატუქსეს ძაღლები.

აივნის კარი გაიღო, ეზოსმოძღვარმა გამოჰყო თავი. ისევ გაუჩინარდა. არ იამა ზვიადს: რად გადავაწყდიო ამ მელაძუა ხუცესს?

იცოდა: უსიტყვოდ მიხვდებოდა ამბროსი სპასალარის დარბაზობის საგანს. დღესვე მოახსენებდა დედოფალს.

მეფესა და სპასალარს აგრე ეწადათ: ყოველივე ისე მოეწყოთ, ვითომდაც მელქისედეკს თავათ განეჭვრიტოს ყოველივე წინასწარ, სახელმწიფური მოსაზრებით შეეჩერებინოს ფარსმანის საქმე, რაკი ზნეობისა და სჯულის ვითარებანი კათალიკოსის საუფლოს შეადგენდნენ უპირატესად.

კიბის ხარიხაზე ფეხი შესდგა ზვიადმა თუ არა, ეზოსმოძღვარმა კვლავ გამოჰყო ტალანიდან თავი.

«მობრძანდით, ზვიად ბატონო», – შემოეგება ღიმილით სტუმარს, მარად მოღუშული, შეყრილი წარბები არც კი გაუხსნია ზვიადს, ისე მიუგდო «მწუხრი მშვიდობისა» ხუცესს და ღია კარში შეასწრო ანაზდად.

სამ დარბაზში გაატარა ეზოსმოძღვარმა სტუმარი. საკმეველისა და მურის სუნი სდიოდა ირგვლივ. თაფლის სანთლები ლიცლიცებდნენ ნიშებში ჩარაზმულ ხატების წინაშე.

პირჯვრის წერით მიჰყვებოდა სპასალარი ეზოსმოძღვარს, მიფათურობდა გარეშემო დაფანტულ დგამს შორის.

საწოლი დარბაზის კარი ღია იყო. შიგ შესვლამდის თვალი მოჰკრა ზვიადმა მელქისედეკის გაფითრებულ სახეს, უზარმაზარ ბალიშზე მთლად დალეულს.

სასთუმალთან უსხდნენ კათალიკოსს მამათა მონასტრის მამაი სტეფანოზ, მცხეთის მიტროპოლიტი რაჟდენი და გაიოზ ბერი.

სამი მემაშხლე თავზე ადგა სტუმრებს. აქაც უამრავი სანთლები ლიცლიცებდნენ ხატებისა და ჯვრების წინაშე.

როცა კათალიკოსს თაყვანი სცა ზვიადმა და ხელზე ეამბორა მას, დარწმუნდა: სრულიადაც არ უნდა ჰქონოდა მელქისედეკს სიცხე. მიხვდა: ეს «ლოგინად ჩავარდნა» მხოლოდ იმას მოასწავებდა, რომ მელქისედეკს არა სურდა ჯერჯერობით შეხვედროდა მეფეს.

ზვიადს ისეთი დაფანჩვული წარბები და გრძელი წამწამები ჰქონდა, მძინარე ეგონებოდა უცხოს. მიუხედავად ამისა, გაუმხელელ ზრახვათა შეცნობის დიდოსტატიც იყო ზვიად სპასალარი.

ახლა ცხადი იყო, თუ რად გამოსტოვა კათალიკოსმა სამი დღის წინათ დანიშნული ბჭობა, სვეტიცხოვლისათვის საჭირო ახალი მასალისა და მუშახელის მოსახვეჭად მოწვეული გიორგის მიერ.

როცა მისალმებანი და ურთიერთის მოკითხვა მოთავდა, ერთბაშად დიდი უხერხულობა შეიცნო ზვიადმა, ამაოდ ეძებდა კათალიკოსთან გასაუბრების საგანს, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა ანაზდად.

ეზოსმოძღვარი ფეხზე იდგა, პირში შესციცინებდა სპასალარს, თავისი რჩხია, ცერცვისფერი თვალებით ეუბნებოდა თითქოს: სთქვი ბარემ, რისთვის მოსულხარ? სულ ერთია, უთქმელადაც ყოველივე ვიციო.

ეკლესიის ყვავებივით დამსხადრიყვნენ დანარჩენი ბერები სარეცელის ირგვლივ. მათგან ისეთი შთაბეჭდილება მიიღო სტუმარმა, დუმილის მოწესედ დამსხდარანო ეს შაოსნები ხატებით მორთულ საწოლის დარბაზში.

გაციებული კამეჩივით ქშინავდა შავწვერა გოლიათი მამაი სტეფანოზ, ასრუტუნებდა ბუკივით მსხვილსა და მეჭეჭიან ცხვირს, წარამარა ხელს ისვამდა ფაფუკ ღიპამდის მიღწეულ წვერზე.

ძლივს აფახულებდა დიდრონ თვალებს წვერგაბურძგვნილი მიტროპოლიტი რაჟდენი, თრიაქით მთვრალს მიუგავდა სახე, პირმოკუმული იჯდა თხაწვერა მოხუცი ბერი გაიოზ, ცხვირმოკლე და ყურკვეთილი მოხუცი.

კათალიკოსმა წამუყო და ეზოსმოძღვარი ციყვივით დაყუნცდა სელის სკამზე. მის გამოხედვაში ცნაურდებოდა ის ველური სიფხიზლე, მინდვრის ვირთხას რომ ეტყობა ხოლმე, ველის პირად ახალგამოსულს სოროდან.

ზვიადი უგუნებოდ შეიქმნა, ხელისგული დაისვა წვერით გაჯაგრულ ნიკაპზე (როგორც ეს მღელვარების დროს მას სჩვევოდა ხოლმე).

აღარ იცოდა რა ეთქვა, რა მოემოქმედნა?!

მოეხსენებინა კათალიკოსისათვის მარტო შენს მეუფებასთან მსურსო საუბარი? ეს უთუოდ შეურაცხყოფდა თანდამსწრეთა.

ბოლოს, როგორც იქნა, ორიოდე ფრაზას თავი მოუყარა და წაილუღლუღა:

«მეფის დავალებით გეახელით, უნეტარესო. წვივის ტკივილები განუახლდა, თორემ თავათ გეწვეოდა უთუოდ».

ესა სთქვა, სელიდან წამოიწია და დასძინა:

ხვალ დილას უფლისციხეს მგზავნისო მეფე, და სწორედ ამ დროს თავათ კათალიკოსმა შეაგება:

მცირე რამ საუბნო მქონდაო, ზვიად ბატონო, შენთან.

სტუმრები აიყარნენ.

ზვიადმა შენიშნა: ეზოსმოძღვარი სხვებს აცილებდა, მაგრამ ჯერ არა სჩანდა, თავათ იგი თუ წაშავდებოდა აქედან, ვის თანდასწრებითაც საუბარს განსაკუთრებით გაურბოდა სპასალარი.

მცირე ხანს მონუსხულივით შესცქეროდა მელქისედეკის დაშრეტილ სახეს. ახლა მიხვდა ზვიადი: არც კათალიკოსს ნებავდა საუბრის დაწყება, ვიდრე სტუმრების გაცილებას არ მოათავებდა ეზოსმოძღვარი.

სიცოცხლის ნიშანწყალი არ ღიმღამებდა მელქისედეკის სახეზე. მდოგვის ფესვებივით წვრილი, ცისფერი ძარღვები მიიკლაკნებოდნენ ღაწვის თავებიდან საფეთქლებისაკენ.

გულზე ხელდაკრეფილი იწვა პირაღმა. მისი გრძელი, ნაოჭიანი ხელები მიცვალებულისას მიაგავდნენ, დალურჯებოდა თითების ნუნები, ხელის ზურგზედაც უსუსური ძარღვები სჩანდნენ, როგორც უმწიფარ ფოთოლს თუთუნისას ატყვია ხოლმე.

საკმარისი იყო წამიერად დაეხუჭა ღილზე უწვრილესი და ღამეზე უშავესი თვალები, და იგი სამი დღის მიცვალებულს დაემგვანებოდა უცილოდ.

ცხედრის თმას მიაგავდა მისი გამოხუნებული, მგლისფერი წვერი, ნიკაპსა და ტუჩპირს ოდნავ გაპუტული.

იწვა და სდუმდა მელქისედეკი.

უსიცოცხლო ბაგენი ისე მოეკუმა, ზედვე ეტყობოდა: დიდძალ ენერგიას ხარჯავდა დუმილის დასაცავად.

ზვიადს უხაროდა მემაშხლეთა თანდასწრებით რომ არ აპირებდნენ ეს ტუჩები ამეტყველებას. ბოლოს შემოვიდა ეზოსმოძღვარი, ხელზე ემთხვია მელქისედეკს და წაცუნცულდა.

კათალიკოსმა წამუყო მემაშხლეთა. ისინიც გავიდნენ.

მცირე ხანს კიდევ ასე იწვა ხმაგაკმენდილი, აღმოსავლეთის კედელს მისჩერებოდა, თითქოს მანდ ჩარაზმულ ხატებს ეკითხებაო თათბირს, ბოლოს ნახევრად ბნელში მწოლარემ დაიწყო ასე:

«ორგზის ვუწვევივარ მეფე გიორგის, მაგრამ ჯანმრთელობამ არ მომცა ნება, რათა ვხლებოდი როგორმე და თავათ მომეხსენებინა იგი, რასაც გაუწყებ, ზვიად ბატონო, ახლა».

ზვიადი უხერხულად შეირხა სელზე, ისევ დაისვა ხელისგული ნიკაპზე, სმენა დაძაბა, რადგან სახის იერიც უმტკიცებდა მელქისედეკს რაღაც უცნაური და უკმეხი უნდა წარმოეთქვა ამ წუთში:

«ჯანმრთელობა ჩემი ფრიად შერყეულია, ზვიად ბატონო, უფლის ნებაა ეგეც. არც მე მწადის საქართველოს დაქცევის მოწმე რომ გავხდე. უმალ დამვსებია ეს თვალნი და ყურნი დამგმანვია, სმენად ბოძებულნი უფლისა მიერ.

რამეთუ ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმალ უწევს, ვიდრე საკუთარის თვალით იხილავდნენ სამშობლოს თვისის იავარყოფას.

ნეტარ არიან იგინიცა, ვინცა გულმართალ წინაპართა აჩრდილებს შორის ლანდადქცევას არჩევენ, გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა წიაღში ყოფნას.

ვაჲ მათ, ვისაც იერემიასებრი გოდება წილად ხვდეს, სამშობლოის თვისის დარღვეულ გოდოლთა და ნაციხართა შორის.

უსჯულობა მოძალებული არს საქრისტიანოსა ზედა. ასეთ დროს სჯულის სიმტკიცე და ზნეობის სისპეტაკე თუ ვერ შევინარჩუნეთ, ვერას გვიშველის ის ციხეები, რომელთაც მეოხებითა მეფისათა აშენებ, ზვიად ბატონო, შენ.

ქვეყანა თავზე დაგვემხობა, იავარქმნიან საქრისტეანოს და ვეღარც ის ცეცხლის მფრქვეველი ხმლები გააწყობენ რაიმეს, გიორგი მეფე რომ აწრთობინებს ფარსმანს, უსჯულოსა და მუცლით მეზღაპრეს.

რადგან ყოველთა დამბადებლისა და ყოვლის მხილველის თვალი სუფევს, ზვიად ბატონო, ყოველგან და მდოგვის მარცვალიც ვერსად დაეცემა თვინიერ ნებისა და ხედვისა მისისა»...

ზვიადს აგრე ეგონა: ამ გრძელ წინასიტყვის შემდეგ მაინც მიაღწევსო სათქმელამდის მელქისედეკი. გონებადაძაბული უსმენდა, მაგრამ ერთბაშად ბაგრატ კურაპალატი ახსენა მელქისედეკმა და ჩვეულებისამებრ შეუდგა მის ხოტბას.

«ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა სასოება» იყოო ბაგრატი, ამიტომაც განავრცოვო მან საქართველო, არც თუ ვინმეს აუგიაო ამდენი ეკლესია სხვას, ვახტანგ გორგასალის შემდეგ.

ყოვლად ქრისტიანი მეფე იყოო ბაგრატი, მიტომაც მიუბოძაო კურაპალატობა მას, «საქრისტეანოს უზენაესმა მამამ – ბასილი კეისარმან».

გასაგები იყო, თუ ვის ეხებოდა ეს იგავები: გიორგი მეფის ქირდვას მოასწავებდა ეს ყოველივე.

არც იმას ახსენებდა მელქისედეკი, ბაგრატისძემ – გიორგიმ კურაპალატისა და ნოველისიმუსის ხარისხებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა რომ არჩია.

ბასილის ხსენებისას ხველა აუტყდა მელქისედეკს, ხოლო ზვიადს ბრაზი წაეკიდა. ბრაზი წაეკდა, რადგან მთელი სიცოცხლის მანძილზე ამას ნანობდა იგი: ოლთისის ომში რად არ მოვჰკალიო ბასილი?

ცხენდაცხენ შეეჩეხა ხელჩართულ ბრძოლის დროს მას, მაგრამ ვერ შეჰბედა ქრისტიან კეისარს და მის ნაცვლად პატრიციუსს ბასილისკ კულეიბს აძგერა მახვილი.

ხველებისაგან ღონემიხდილ კათალიკოსს ლაპარაკის უნარი წაერთო და ისევ მოკუმა მან თავისი ჯიუტი, ლაინისფერი ბაგენი, რათა ანაზდად შეწყვეტილ საუბრისათვის კვლავ მოეკრიბა ძალა.

სწორედ ამით იდროვა სპასალარმა და ხელისგული ჩამოისვა ნიკაპზე, მღელვარება ძლივს დაიოკა.

სპასალარი ყოველგვარ ენამზეობას მოკლებული იყო, უბრალო საუბარიც ძლიერ უჭირდა ბუნებით მდუმარეს. ლაპარაკის დროს სახე ეღრიჯებოდა, ცხვირის ნესტოები ებერებოდა, მუშტებს იშველიებდა უნებლიეთ, თითქოს ექადნებაო ვისმეს, წარამარა სიტყვას ეძებდა.

მღელვარების დროს წინადადებას უმატებდა «არა»-ს.

«თუ ბასილი კეისარი მართლაც უზენაესი მამაა სრულიადის საქრისტეანოსი, როგორც წეღან ბრძანე, უნეტარესო, რად აწამებინა მან სავსებით უბრალოდ ბერი ზაქარია?.. იგი ხომ ჩვენს მიერ წარგზავნილი მსტოვარი არა ყოფილა?! არა?

არც თუ წითელი წაღები გაუგზავნია მისი მეშვეობით კომნინისათვის მეფე გიორგის. იერუსალიმს მიდიოდა თურმე ბერი ზაქარია სულის საცხონებლად, არა?»...

კათალიკოსი სახტად დარჩა ამის გამგონე. მცხეთის მიტროპოლიტი ახლად ჩამოსული იყო ბიზანტიონიდან და სწორედ ზვიადის მოსვლამდის მოახსენებდა კათალიკოსს ბიზანტიის ქართული ეკლესიების ვითარებას, გაკვრით იხსენიებდა ვინმე ზაქარია ბერის შეპყრობას.

მელქისედეკი აიმღვრა, ღაწვისთავები შეუწითლდა, მხოლოდ ეს შეაგება სპასალარს:

«ზაქარია ბერი მართლმორწმუნე როდია, სომეხია იგი».

«სომეხიაო?»

იქედნურად გაიღიმა ზვიადმა.

«ზაქარია ბერი არტანუჯელი აზნაურია, არიშიანის გვარისა და არიშიანის სომხობა არავის სმენია, უნეტარესო, დღემდის».

ამ ამბავმა სავსებით დათრგუნა კათალიკოსი, მიტროპოლიტი ასე ამბობდა: ზაქარია დარიშიანი აწამესო ბიზანტიონში. არ ესიამოვნა საკუთარ სამწყსოს მიმართ გულგრილობაში რომ დაიჭირა იგი, მერმე ვინ?

ზვიად სპასალარმა, რომელსაც, მელქისედეკის აზრით, მცირეოდენი წილი ედო ოლთისის ეკლესიის დაწვაში.

ბრაზი წაეკიდა კათალიკოსს, რადგან მიტროპოლიტს სწყევლიდა თავის გუნებაში: ასე რამ გამოაშტერაო ბერიკაცი, დარიშიანი და არიშიანიც რომ ვერ გაერჩია ურთიერთისაგან?

ამ მარცხის მიუხედავად არ შემკრთალა მელქისედეკი.

მოურიდებლად აღლესა მახვილი მხილებისა და დაიწყო გიორგი მეფის ძაგება უშიშრად. აქაც შორიდან მოუარა სათქმელს.

იგიც ახსენა, გიორგი რომ მისი ნათესავი იყო მკვიდრი, ნეტარხსენებულმა ბაგრატ კურაპალატმა ჩამაბარაო თორმეტი წლის ყრმა.

ბოლოს, როგორც იქნა, მიადგა სათქმელს:

უწესო დედათა მოყვარულიაო გიორგი. კოლონკელიძეს თვალები დაუბნელა, მისი მხოლოდშობილი ქალი ხურსისეულ სასახლეში გადაიყვანა და ხარჭადა ჰყავსო.

მეფის მიერ წინასწარ გაფრთხილების მიუხედავად ზვიადი არ მოელოდა ამას ყოველივეს თუ შეაგებებდა კათალიკოსი.

ფარსმანის ამბავი დაჩრდილა ამ ამბავმა.

ღართისკარიდან შორენას გადმოყვანაც მასთან მოითათბირა გიორგიმ. არც მაშინ ურჩევდა ზვიადი ამის ჩადენას მეფეს.

ღართისკარის ციხე უნდა შევაკეთოო, მოიმიზეზა მან.

ეს გაახსენდა ზვიადს და სწორედ ამით დააშოშმინა კათალიკოსი.

რაიცა შეეხება ხარჭას, დანამდვილებით ვიცი, გიორგი მეფე აქაც სავსებით უბრალოა, ავი ენების მოტანილი უნდა იყოსო ეს ყოველივე. კარგს იზამდაო უნეტარესი, ზოგიერთი სამღვდელო პირის ნათქვამს შეამოწმებდესო წინასწარ როგორმე.

კათალიკოსს გულზე შემოენთო, მიხვდა: ეზოსმოძღვარს რომ გულისხმობდა სპასალარი, ბოლოს თავათაც დაფიქრდა: თუ მცხეთის მიტროპოლიტს არიშიანი დარიშიანად მოეჩვენა, ხომ შესაძლო იყო ეზოსმოძვარსაც არეოდა რაიმე?

ვინ იცის?..

ღართისკარის ციხე რომ შესაკეთებელი იყო, ეგეც მიაგავდა ჭეშმარიტებას.

ზვიადმა რა შენიშნა კათალიკოსი მოლბაო, წელში გაიმართა, თავათაც შორიდან მოუარა უმთავრესს. დიდსა და იდუმალ საქმეთ აუწყებდა კათალიკოსს, წარამარა ისვამდა ნიკაპზე ხელისგულს.

...«მაინც დიდი დღე წინ არ უძევს, უნეტარესო, ფარსმან სპარსს. მეფესა და მე, მიწას მეუფებისა შენისას, გადაწყვეტილი გვაქვს სიცოცხლე მოვუსწრაფოთ მაგ მუცლით მეზღაპრეს, მაგრამ ვშიშობთ, მცირეოდენი გაგულისება და შესაძლოა, სარკინოზებთან გაგვექცეს.

არა?

საიდუმლონი ჩვენი სარკინოზებს მისყიდოს.

არა?

და სარკინოზები კარზე გვადგანან, უნეტარესო, არა?»

შესაძლოა, ხურსი აბულელის დარად გაგვექცესო ფარსმანი.

აბულელის ხსენებამ ჟრუანტელი მოჰგვარა მელქისედეკს. «სატანასთან თანაზიარობისათის» თავათ ჰყავდა შეჩვენებული იგი.

ისევ აუტყდა კათალიკოსს ხველა, კვლავ იდროვა ზვიადმა: «უმთავრესი მაინც ეგაა, უნეტარესო, – დაიწყო იდუმალი ხმით. მიმოიხედა ირგვლივ, რა დარწმუნდა ხატების გარდა სხვა არავინ უსმენდა, ხმამაღლა განაგრძო:

«...როგორმე დავსტყუოთ ფარსმანს რკინათა და ძვალთა მკვეთელი ხმლის საიდუმლო, რომელიღაც უცნობი ბუნების ჰინდურ ფოლადსა ჰხმარობს ის წყეული და არაბულ ფხვიერს უცნაურს.

ჯერ კიდევ ნეტარხსენებულმა ბაგრატ კურაპალატმა სამგზის აწამა იგი, დილეგში ჩააგდო, ენის მოჭრას დაემუქრა, ფეხის ფრჩხილები სათითაოდ დააძრობინა, კრინტი არ დასძრა გაჯიქებულმა».

ზვიადი შესდგა, კათალიკოსს ჩახედა თვალებში, რა დარწმუნდა, გულმოდგინედ მისმენსო, მხნეობა შეემატა და დასძინა:

«კვეტარიდან ჩამოყვანილი ტყვე დიაცთა შორის მხევალი გვეგულება. ვინმე ვარდისახარი, კოლონკელიძის ასულის პირისფარეში. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს

ბებერ ფარსმანს შევართვევინოთ იგი, უწესო დიაცთა მოყვარულია ეგ უსჯულო, ვინ იცის, ეგებ ამ დიაცმა დასტყუოს ეს საიდუმლო მას».

მელქისედეკი არც ისე გულუბრყვილო იყო, ჯერ კიდევ სავსებით ვერ დაარწმუნა იგი სპასალარმა, ხარჭად რომ არა ჰყვდა გიორგის შორენა.

ღართისკარის შეკეთების ამბავი მოსჩანდა მარტოოდენ სარწმუნოდ. ისიც იცოდა კათალიკოსმა. ჯერ კიდევ ჭიაბერის ორმოცზე ამ «სიძვის დიაცის» საჭვრეტად რომ წასულა მეფე.

არც ის დაუმალავს ეზოსმოძღვარს მისთვის, მეფე და დედოფალი როგორ წაეკიდნენ ამ ქალის გამო ურთიერთს.

მარიამ დედოფალს ფრიად აფასებდა მელქისედეკი, «ვითარცა წმიდათასწორსა და ეკლესიათა დიდს მოამაგეს» (რა ვუყოთ, რომ აზნაურებს სძაგდათ ეს «სომხის ქალი»?).

მისთვის ცხადი იყო: ღართისკარის ციხეშიაც რომ ჩაეკეტნათ ეს ცდუნებით სავსე დიაცი, მაინც დიდ საფრთხეს უქადდა იგი როგორც დედოფალს, ისე სამეფოის ზნეობას. სწორედ ამიტომაც, ხელი ჩასჭიდა მელქისედეკმა ხელმარჯვე შემთხვევას და ეუბნება ზვიადს.

«მე მივაწვდიდი კარგ თათბირს, ზვიად ბატონო, მეფესა»... სპასალარმა ყური სცქვიტა:

???

«თუ თქვენ ფარსმანის მოჯადოება გწადიათ მართლა, მე გირჩევდით კოლონკელიძის ასული შეართვევინოთ მათ უსჯულოსა. თილისმა ქალიაო, აგრე ამბობენ. ფარსმანზე უფრორე ახალგაზრდათათვის წარუტაცნია მაგ დიაცს გონება».

ზვიადი მიხვდა, გიორგის რომ გულისხმობდა მელქისედეკი შეფარვით, მაინც არ დაიბნა.

კვლავ შეეცადა კოლონკელიძის ასული გამოეთიშა ამ საქმიდან როგორმე, უფრო ენერგიულად ჩამოისვა ხელისგული ნიკაპზე და მიუგო:

«რაც არ უნდა იყოს, ერისთავის ქალია, უნეტარესო, ეგ დიაცი, არა? ვიღაც სარკინოზს თუ ირანელს არ მითხოვდება, არა? გარდა ამისა ვარდისახარი გრძნეულებით ყოფილა განთქმული, მდაბიორის, მეჯადაგის ქალი, ოვსთა მეფეს ჰყოლია ხარჭად, მერმე ის იყო ღალატით მოჰკლა ოვსთა მეფე ჭიაბერმა, ციხენი წარუღო, ეს დიაცი ტყვედ წამოიყვანა და თავის სასძლოს შორენას უბოძა იგი».

მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ მიაშტერა თავისი დიდრონი, მოღუშული თვალები მელქისედეკს. უსიტყვოდ შეატყო, რომ ვერც ამით შეაჯერა კათალიკოსი.

«რაიცა შეეხება ფანასკერტელის ქალს, ეს საქმეც მოგვარებულია, უნეტარესო, წინასწარ.

ცხრატბის ცოტა-ერისთავის უმრწემესს ვაჟს, დაჩის, სიცოცხლე აჩუქა მეფემ. ასე რომ მაგ უბედურს შევართვევინებთ ფანასკერტელის ასულს. უკვე მიღებულია დაჩისაგან დსტური.

ძიებას რომ მსვლელობა მიეცეს ამჟამად, სახელი გაუტყდება სასძლოს და ფარსმანის სიკვდილი ვერას უშველის ამ სამწუხრო საქმეს».

კათალიკოსი ყოველგვარი მოკვდინებისა და თვალების დაწვის წინააღმდეგი იყო. აქამდის ფარსმანის გაძევებას მოითხოვდა იგი, მაგრამ ახლა თავათაც დარწმუნდა, მისი გაძევება სარკინოზებს გაახარებდა, ამიტომაც სარწმუნოდ მიიჩნია ეს ყოველივე.

დაეთანხმა სპასალარს: კათალიკოსის შუამდგომლობის მეოხებით მეფე უბრძანებდა მსაჯულთუხუცესს, საქმეს შეაჩერებდნენ დროებით. მელქისედეკი არა

ჰკარგავდა იმედს, რომ ასეთი გულმოწყალება ქრისტეს სჯულისაკენ მოახედებდა ფარსმანს.

ზვიადს აგრე ეგონა, ამით დასრულდაო თათბირი.

გულხელდაკრეფილი იწვა კათალიკოსი, ბაგემოკუმული შესცქეროდა ხატებს. ერთბაშად სახე მიიდრიკა ზვიადისაკენ:

«ეს ყოველივე ჩინებულია და კეთილი, ზვიად ბატონო, მაგრამ... ერთი და უმთავრესი უნდა მოგვარდეს მაინც»...

ესა სთქვა მელქისედეკმა ღილზე უწვრილესი და ღამეზე უშავესი თვალები მიაშტერა სპასალარს:

«გულმეცნიერი ბრძანდები, ზვიად ბატონო, და უჩემოდაც მოგეხსენება, თუ რა მძიმე ტვირთი დამაკისრა ამ სოფლად უფალმა. დედოფალი მარიამი ბრძანდებოდა სამი დღის წინათ ჩემთან. იმ სელზე იჯდა და სტიროდა მდღარე ცრემლით.

შემომჩიოდა მეფის გულარძნილობის გამო, გადაწყვეტილი მაქვსო ბედიის სადედო მონასტერში მონაზვნად აღკვეცა. მოგეხსენება, მარიამ დედოფალს წმინდანად შეჰრაცხს ეკლესია საქართველოსა ოდესმე, მაგრამ ამჟამად მონაზვნად აღკვეცა მისი უთუოდ საზიანო იქნებოდა სამეფოისა ჩვენისათვის.

ამიტომაც მოვითხოვ მეფისაგან, ზვიად ბატონო, კოლონკელიძის ქალი აღკვეცილ იქნას ბედიის მონასტერში».

ზვიადი სახტად დარჩა, მიხვდა, უკუსაქცევი გზა რომ არ გააჩნდა, ამიტომაც შებრძოლებაზე ხელი აიღო მყისვე და მეფის დანაბარები უყოყმანოდ ამცნო კათალიკოსს.

გირშელს, ყველისციხის პატრონს, მიათხოვებსო გურანდუხტი თავის ქალს, მეფე გიორგის მიუცია დასტური უკვე.

ეგეც კეთილგონიერად იცნო კათალიკოსმა.....

ნაშუაღამევი იყო, როცა სამმა მემაშხალემ კათალიკოსის ბაღიდან გამოაცილეს სპასალარი.

ზვიადმა მონები დაითხოვა, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას აჰხედა. მოგვთა ხიდის სანახებში იყივლა მამალმა ხოხობმა.

XXV

ნააღდგომებს მოუთმენლად მოელოდა მარიამ დედოფალი ყველისციხის პატრონის სასახლეში ჩამოსვლას. მას არ უყვარდა ქმრის ნათესავები, მით უმეტეს გირშელი, მაგრამ ამჯერად მასზე იყო დამყარებული უკანასკნელი იმედი.

დედოფალი დარწმუნებული იყო, როგორც კი შორენას დანიშნავდა გირშელი, გიორგი მყისვე ჩამოეცლებოდა ამ «სიძვის დიაცს» და ავ ენებსაც გამოელეოდათ საჭორაო საგანი.

ბოლოს დაიწყო მდინარეების საგაზაფხულო დიდროაი, არაგვი, მტკვარი და ქსანი განსაკუთრებით გაცოფთდნენ იმ წელს, მარიამმა იმედი დაჰკარგა, აღრც სხვანი მოელოდნენ მოკლე ხანში სტუმრებს.

სიყრმის შემდეგ არავის ენახა ყველისციხის პატრონი მცხეთაში. დიდი და მცირე მას აქებდა იმ დღეებში. შვიდ წელს ჰყოლოდათ სარკინოზებს გირშელი და მისი სამი აზნაური ტყვედ, ბოლოს, ბაირამობის დღეს, ხალიფის სასახლეში მიჰყავდათ თურმე ტყვეები.

დასძგერებიან გულიამებს იბერიელები, საჭურველი აუყრიათ, თოროსანი ცხენები წაურთმევიათ, ბრძოლით გაუკაფავთ გზა, ერთი წლის წამების შემდგ ყველისციხემდის მიუღწევიათ ძლივს.

სწორედ კვირაცხოვლობის ნაშუაღამევს შვიდი თოროსანი რაინდი მოადგა დიდი ამალით არაგვის კარის საბრძოლო გოდოლებს.

ქვახვრელთან გადმოელახათ ადიდებული მტკვარი. მდინარეს წარეტაცა ერისთავის მეაბჯრე ქაჩაბურაისძე, ამაოდ გამოსდგომოდნენ აზნაურები. ბოლოს თავათ პატრონს გამოედო თავი, ცხენი დახრჩობოდა მეაბჯრეს.

წამოსწეოდა მხარულით გირშელი, ყმაწვილივით გამოეჩრა სულმობრძავი იღლიაში, ცურვით გამოეტანა გამოღმა, ისევ გაეცურა მტკვარი, ახლა ცხენდაცხენ გადმოელახა მდინარე.

დიდად გასჭირვებოდათ ქსანზედაც გადმოსვლა.

მეორე დღეს საშვიდობო პარაკლისი გადაიხადა მელქისედეკმა, მთელი მცხეთა ისევ ალაპარაკდა გირშელის მამაცობის გამო.

ნაშუადღევს მელქისედეკ კათალიკოსი, ჭყონდიდელი და მთელი ტაძრეული დიდდარბაზში ისხდნენ, როცა ვერცხლის ჯაჭვიანი დევკაცი დეზების ჟღარუნით შემოვიდა უხმლოდ, შვიდი თოროსანი აზნაურის თანხლებით.

დედოფალს მიეჭრა მყისვე, ცალი მუხლი იატაკს დაჰკრა, თაყვანი სცა და ხელზე ეამბორა, ხელზე ემთხვია კათალიკოსს, გიორგი მეფე გადაჰკოცნა და, როცა სპასალარს მიეახლა, მთელი წყრთით მასზე უფრო დაბალი აღმოჩნდა ზვიადი.

დათვური მოუდრეკელობა მჟღავნდებოდა მის მიხვრა-მოხვრაში, ნახმლევით დაჩეხილი ჰქონდა ღაწვისთავები, ეს ამახინჯებდა მშვენიერ ვაჟკაცს. როხროხა ხმა ჰქონდა, იშვიათად იცინოდა ფრიად თავმოდრეკილი ქცევაში.

დედოფალი თვალს არ აშორებდა სტუმარს, როცა მეფეს გადაეხვია იგი, მარიამის მძაფრმა თვალმა შენიშნა: საკმაოდ ცივად შეეგება გიორგი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჩამოსულ ნათესავს.

მტკვარზე გადმოსვლისას გაცივებულიყო გირშელ, ახველებდა, მაინც არად იმჩნევდა შეუძლოდყოფნას.

გირშელის გამო უცნაური ამბები ჰქონდა გაგონილი დედოფალს: ქალთა სქესს გაურბისო რატომღაც, ღვინოსა და თრიაქს ეძალებაო.

უმშვენიერესი სეფე-მოახლე მიუჩინა დედოფალმა სტუმარს; როცა ანჩაბაისძის ქალს წარუდგინეს. გირშელი უცნაურად აიმღვრა, მამლის ბიბილოებივით გაუწითლდა ნიყვივით ფართე, განზე გამდგარი ყურები.

ორიოდე სიტყვას ძლივს მოუყარა თავი.

დედოფალმა ეს აგრე ახსნა: ალბათ მუსულმანების ტყვეობაში გადასჩვევიაო მანდილოსნებთან მასლაათს.

პურობა აფხაზთა მეფეების სასახლეებისათვის ჩვეული ცერემონიით დაიწყო.

უცნაური მადა მოსძალებოდა ნამგზავრს, ნერწყვსა ჰგვრიდა ირმის მწვადების, კეცზე შემწვარი ორაგულების, ორთქლიანი ბეჭისა და მოხრაკულების საამური სუნი. ბუნებით თავაზიანი და მორიდებული ისე ციცქნიდა საჭმელს, როგორც ირემი ნეკერს, გაურბოდა ვაჟკაცი მანდილოსანთა სიახლოვეს ჭამას.

ყველა ატყობდა, უხერხულად რომ გრძნობდა თავს პურობის დროს სტუმარი. თავათ მას აოცებდა მეინახეთა მდუმარება სრული. როგორც მეფე-დედოფალი, ისე მთელი ტაძრეული ისე სადილობდნენ, თითქოს ამ სუფრაზე ყველა ემდურისო ურთიერთს.

პურობას ნადიმი მოჰყვა. განმგეთუხუცესმა მოართმევინა დიდ-დიდნი სამწდეურნი ბაგრატეულნი, ატენური, ხიდისთავური და მუხრანული სუფრას არ აკლდა.

ღვინო ენატრებოდა მაჰმადიან ქვეყანაში დაყოვნებულს, მაგრამ იცოდა: სასახლეში არ იყო მიღებული ღვინის სმა ჭარბად, ამიტომაც ითმენდა შეძლებისამებრ.

ჩუმად სჭამდა მეფეც, მაგრამ ღვინოს მიეძალა რატომღაც, გირშელსაც ეპატიჟებოდა – მოსვიო, სთხოვდა ჟამიდან ჟამზე.

შეუძლოდ ვარო, – მოიმიზეზა გირშელმა. ტუჩს მიადებდა სამწდეურს, შესრუტავდა მართლაც მცირეოდენს, სტკბებოდა ღვინის ჭაშნიკითა და ნელსურნელებით.

ადრე გათავდა ნადიმი იმ დღეს, ყველაზე მეტად გირშელს გაუხარდა ეს. სასახლის ბაღში გაიყვანა მეფემ სტუმარი ყოველი ბუჩქი, ყოველი ხე თავის სიყრმეს აგონებდა გირშელს.

ამ ყველაფერში დასდევდნენ იგი და გიორგი პეპლებს, იმ ხილნარში აგებდნენ კაკანათებსა და სასირე ბადეებს, იმ ცაცხვების ფუღუროებში უთვალთვალებდნენ ბუს მართვეებს. ამ მსხლებზე ასულან, ის ატმები გაუკრეფიათ, იმ კაკლების ქვეშ ელოდნენ მწიფე ნაყოფის ცვენას.

მსხლებს ფითრი მოსდებია, ატმებს შტოები შეხმობია, კაკლებს ფუღურო შესდგომია, ლეღვები გადაუჭრიათ, მორჩს შეეცვალა ნაცრისფერი ტანები. ძუძუების დარი კერტები ეგულებოდათ ამ ლეღვებზე, «დედამძუძეებს» უწოდებდნენ მათ.

კაჭკაჭის ბუდეები დაუნგრევიათ იმ ვერხვებზე, იმ ვაშლის ხეებზე ჩამომსხდარ გვრიტებს გამოსდგომიან ტოლები მშვილდისრით, ამ ცაცხვის ქვეშ ერთ ვირზე მჯდარან მეფე და ერისთავი ოდესღაც, თოროსან რაინდებად მოჰქონდათ სახრეებით აღჭურვილებს თავი.

შაშვის მართვეები ჩამოუყვანიათ იმ თუთის ხეებიდან.

ბედნიერი ბალღობა იჭვრიტებოდა ყოველი ხის ფუღუროდან, ყოველი ბუჩქის ძირიდან. ეს უკვე აღარ იყო მათი სიყრმის ლხენის წალკოტი, არამედ ნაღვლის მომგვრელი ბაღნარი სევდისა.

საბაზიერო სახლს ჩაუარეს, ქორ-შავარდნები სთვლემდნენ ხარიხებზე, მენადირეთუხუცესმა მოასხა მეძებრები, მადევრები და მწევრები.

შემოესიენ ძაღლები მეფეს. გირშელს აღტაცება მოჰგვარა ამ სანახაობამ, მხიარულად ყეფდნენ მადევრები, წკმუტუნებდნენ მეძებრები.

ყვითელწინწკლიანი შავი მწევარი შეახტა გირშელს, ოქსინოს ჯუბაჩა დაუსვარა თათებით.

გიორგი ყვრიმალებს უსრესდა ძაღლებს, პირში ხელს უყოფდა ყოველ მათგანს, ფაფუკ ყურებს იღებდა ხელში, თელგამს უწმენდდა თვალწიდოვანებს.

როცა ძაღლები წაასხეს, გირშელი ეკითხება მასპინძელს:

«შენი ავაზა რა უყავი, გიორგი?»

«ჩემი ავაზა გაცოფდა, ბევრი ვუაქიმეთ, ლენცოფის წვენი ვასვით, ბოლოს ნამეტნავად გაბოროტდა, შემომიტია მეცა.

უნდა გენახა გახელებული, ნაკვერცხლებს ჰყრიდა თვალებიდან, აქოჩრილი, დუჟმორეული მომეჭრა, ისეთი უცნაური ხმა გაიღო, როგორიც გაბრაზებულ კატას წამოსცდება ხოლმე. ახლაც სხეულში მაქვს დარჩენილი ის შიში, რომელიც გულში ჩამეჭრა იმ დღეს. ეს შემემთხვა უჯაჭვოდ, უხმლოდ გამოსულს ამ ბაღში.

მალემსრბოლი უშიშარაისძე მოვარდა, შუბის წვერზე წამოაგო გაცოფებული».

«სადაური იყო ის ავაზა, გიორგი?»

«მამაჩემს უთავაზა კეისარმა».

«მაშ ახლა უავაზოდ ნადირობ?»

«ავაზა ერთი კი არა, ორი მყავს.

ერთმა ირანელმა მომგვარა ბოკვერები შარშან».

ორმა მონამ შრამელიდან გამოიყვანა ერთი წყვილი ავაზა. მშვენიერი, ხატულა ბეწვი ჰქონდა ხვადს. განსაკუთრებით იგი წააგავდა ვეფხს. გამოხამებული, სადოღე ცხენივით ტანმოქნილი, მაღალ ფეხებზე იდგა იოგებმაგარი მხეცი.

გრძელი, მოხდენილი ტანი ჰქონდა, ტანზე უგრძესი კუდი, სხივისფერი ულვაში უბრწყინავდა ჩალისფერ ტუჩ-პირის გარშემო.

მიდიოდა თავდაწეული, უნდოდ აფახულებდა ყვითლად დაწინწკლულ კატისებრ თვალებს.

ძუ შორიახლო შესდგა, გაბზეკილი კუდი გააშეშა, პირდაღრენილი შესცქეროდა უცხოს.

ხვადმა მეფისაკენ წამოიწია, გაუშვითო, უბრძანა გიორგიმ მონას.

როცა მოეახლათ, გირშელი შედრკა.

ფრთხილად მოსინჯა ხმლის ვადა. გიორგიმ დაამშვიდა სტუმარი. ავაზას მისწვდა, ყვრიმალები დაუსრისა მხეცს, ნადირმა თვალები განაბა.

გიორგი იცინოდა.

ზურგზე ხელს უსვამდა გატვრინულ ხვადს.

ბოლოს ხელიდან გაუსხლტა იგი პატრონს, გირშელისაკენ გაიწია ღრენით, მონები მოიჭრნენ, წაიყვანეს გაავებული.

«სადაურია ესენი?»

იკითხა გირშელმა.

«ჰინდუსტანიდან მომგვარეს, ჩიტას უწოდებენ თურმე ამ ნადირს ჰინდონი».

«ალ-ჰაქიმს ჰყავდა თორმეტი ამათზე უფრო მოზრდილი ავაზა. – ამბობს გირშელი, – ისინი სავსებით დაგეშილნი იყვნენ, ხალიფის ბაღში დასეირნობდნენ, არას ავნებდნენ გამვლელებს».

«ახლა ისეთ რამეს გაჩვენებ, რაც თვალით არ გენახოს არასდროს».

როცა სასახლის ბაღი გადაიარეს და ირმის საჩიხემდის მიაღწიეს, გირშელი გაოცდა მართლაც. იგი ირანშიაც იყო ნამყოფი, მაგრამ არც შაჰის სამხეცეში, არც ფატიმიდების სანადირო პავილიონებში ამდენი ირმები არ ენახა ერთად თავმოყრილი.

უსაყვედურა გიორგის, ცუდად გყოლიაო მოვლილი.

«ეს ირმები შენი სასძლოს – შორენას მამას წავართვი, კვეტარის ერისთავს» – მიუგო გიორგიმ, თვალი თვალში გაუყარა სტუმარს. შორენას ხსენებაზე ყურები შეუწითლდა გირშელს, მღელვარების თუ დარცხვენის დასაფარავად საჩიხეს მარგილებს მოსჭიდა ხელები, კისერი წაიგრძელა, საჩიხეში თავი გადაჰყო, თვალიერება დაუწყო ქორბუდიან რქების მთელ ტყეს.

განსაკუთრებით ფურები გამოიყურებოდნენ მთლად საწყალობელად. ნაზამთრალი ბალანი გასცვენოდათ, ახალი ჯერ არსად სჩანდა, ზოგსაც ისეთი უსუსური ბეწვი ამოსვლოდა აქა-იქ, როგორიც კორდებს მოედება ხოლმე ბალახი, დასუსხული, მეჩხერი, თებერვლის გასულს, როცა არც ზამთარია, არც გაზაფხული და მთებს ჯერ კიდევ ატყვია რილოჭრელო თოვლისა.

ნუკრები მიყუჟულიყვნენ ყორესთან, თავჩაქინდრულნი სთვლემდნენ, უცნაურად ძაგძაგებდნენ ბედშავენი მზვარეში.

«საქმე ისაა, – ამბობს გიორგი, – ნუკრობიდანვე მთაში იყვნენ ეს ირმები გაზრდილნი, მოვლა კარგი აქვთ, საკვებსაც არ აკლებენ, მაგრამ მცხეთის ჰავას ცუდად იტანენ».

მენადირეთუხუცესმა ლასტის ფალანგი შეაღო, საჩიხეში შეიყვანა გირშელი მეფემ.

საქონლისა და სკორის სუნი სდიოდა ირგვლივ.

გირშელმა ნუკრებს გადახედა.

«როგორც სჩანს, აცივებს ბედშავთ!»

ხარები ატორტმანდნენ უცხოს დანახვაზე, უმშვენიერეს ფურს თვალი დაადგა სტუმარმა.

«ეს არის შორენას საყვარელი, ნებიერა, თავათ გაუზრდია თურმე».

«ახლაც თუ უვლის თავათ?»

იკითხა გირშელმა.

«აქამდის ღართისკარის ციხეში გვყავდა ერისთავის ქალი. ამჟამად ხურსისეულ სასახლეში ცხოვრობს. როცა შენი სასძლო გახდება, მისი ნებაა, თავის ირემს თუ მიხედავს თავათ.

ათანასე ბერი მიამბობდა, შორენას მოძღვარი: ძლიერ ენატრებაო თავისი ნებიერა».

გირშელს ჯერ არ ენახა კოლონკელიძის ქალი, მიშტერებოდა ნებიერას, თითქოს ეწადა ამ მშვენიერი, ლომისფერი ცხოველის ანაგობაში როგორმე ამოეკითხა თავისი სასძლოს ბუნება.

მენადირეთუხუცესი და მონები დაითხოვა გიორგიმ. ჩვენ გადავკეტავთო საჩიხეს.

როცა მარტონი დარჩნენ, მანაც შეხედა ნებიერას, მოაგონდა: ის ორიოდე ბედნიერი წუთი, კოლონკელიძის სასახლეში გატარებული იმ საშინელ ღამეს, როცა კვეტარის ციხე აიღეს სამეფოს სპათა.

გირშელს მიუბრუნდა ისევ:

«ჩვეულებრივი აზნაურის ასული არ გეგონოს შორენა, ვაჟკაცი, მონადირე ქალია იგი».

მონადირეო?

???

თავის მამიდებისაგანაც ბევრი რამ ჰქონდა განაგონი შორენას სილამაზის გამო გირშელს. ვერც წარმოედგინა ამ უჩვეულო მშვენების პატრონს მოისარობა და ნადირობა თუ ემარჯვებოდა.

საოცრად მოუნდა საცოლეს ნახვა, უნდოდა ეთქვა სიყრმის მეგობრისათვის, ბოლოს, მაჩვენეთო ეგ ჩემი სასძლო.

გაახსენდა: გურანდუხტს მოელოდნენ სასახლეში, უმისოდ რომ არ შეხვედროდნენ შორენას. დაძრული სიტყვა ხორხის არეში გაეჩხირა და ეს უთხრა გიორგის:

«დედოფალსა და კათალიკოსს მოვერიდე დღეს, თორემ სწორედ გითხრა, სმა მეწადა პურობის დროს».

გიორგის შერცხვა, ალბათ შეამჩნია, გულცივად რომ მივიღეო სტუმარი, გაუღიმა გირშელს, მხარზე ხელი დაჰკრა და ეუბნება:

«მაშ კარგი, ძველი დრო მოვიგონოთ ერთი, სმაში გავეჯიბროთ ერთმანეთს».

მცირე ხანს შესდგა, ახედ-დახედა გირშელს და დასძინა: «თუ ნამდვილი ღრეობა გწადია, უნდა გადავიცვათ როგორმე».

გირშელი გაოცდა.

ოქსინოს ჯუბანი ეცვა, ვერცხლის ბექთარნი მასზედ, ვერ გაეგო რა უნდა ჩაეცვა ამაზე უკეთესი სტუმრად წასულს?

«არა, მდაბიორის სამოსი უნდა გადავიცვათ ორივემ».

გირშელმა გაიღიმა.

კარისკაცთა შორის არავინ ეგულებოდა გიორგის ისეთი, ვისი სამოსიც მოერგებოდა სტუმარს. ზვიადს სთხოვა სანადირო დიდი ტყავკაბა, არც ეგ გამოადგა დევკაცს.

ბოლოს მალემსრბოლი უშიშარაისძე მოაგონდა მეფეს, სასაცილო იყო ნასხვისარში ახმახი გირშელი. უშიშარაისძის ხამლის სამოსი და კურდღლის ტყავის ჯუბაჩაც მოკლე აღმოჩნდა მისთვის. ბოლოს მამამზეს ტყავკაბა გამოსძებნეს, მცხეთიდან წასვლისას დარჩენოდა იგი ერისთავს, უკვე გახუნებული და პეწგადაცლილი საკმაოდ.

XXVI

როცა მეფემ ინით შეიღება წვერი, გაოცებული მიაშტერდა გირშელი.

«იცი, გიორგი, უცნაურად მაგონებ ალ-ჰაქიმს, სწორედ ასეთი წითური წვერი ჰქონდა ხალიფას, მკვიდრი ძმა ეგონები სარკინოზებს მისი».

«სარკინოზებთან ომებში ეხმარებოდა მამაჩემი კეისარს, დიაცთა მოყვარული იყო ბაგრატ კურაპალატი თურმე, ვინ იცის, ეგებ ხალიფას დედას გადააწყდა სადმე».

გირშელმა გაიღიმა.

«დამავიწყდა შენთვის მეამბნა: სწორედ იმ ღამეს, როცა გულიამები დავხოცეთ, ხალიფი ალ-ჰაქიმი სასეირნოდ წასულა და უკვალოდ დაკარგულა თურმე».

გიორგი გაოცდა და გირშელმა დასძინა:

«ასე რომ, შენ შეგიძლია სარკინოზების ღმერთად გამოაცხადო თავი».

იცინოდნენ, აღმა მიჰყვებოდნენ არაგვს.

«ღმერთი არ გაგიწყრეს, გირშელ, არავისთან წამოგცდეს, თორემ ამასაც მკრეხელობად ჩამომართმევს კათალიკოსი».

შესდგნენ მცირე ხანს.

მოგელავდა გაშმაგებული მდინარე, სოჭის ძელები მოჰქონდა, ყინულის ხორგები და დამხრჩვალი ცხენები.

უღლიანი კამეჩები მოეტაცნა წყალს. თავ-კისერი მოუჩანდათ ბედშავებს მხოლოდ, საწყალობლად ყოყინებდნენ, ნაპირისაკენ იცქირებოდნენ.

იძალებდა ორთაგანი ერთი, ზეაისროდა თავის კერძ უღელს, დასძირავდა მეორეს წყალში.

მოჰქონდა დაუღლებულნი არაგვს, მორიგეობით ყვინთაობდნენ ბედშავნი.

«ასე გადაჰკიდებს ხანდახან ორ კაცს ერთ უღელზე ბედი».

ესა სთქვა გიორგიმ და გირშელმა მიუგო:

«ან ერთს დაახრჩობს, ან მეორეს ბოლოს».

«შესაძლოა, ორივენი მოაშთოს ერთად».

ვიღაც ვაჟები გაშიშვლდნენ რიყეზე, ცურვით გაეკიდნენ წყალწაღებულ პირუტყვებს.

«სიყრმეში მე და შენაც გადაგვილახავს ასეთ დროს არაგვი, ბიჭი ხარ და ახლა გადასცურავ».

ეუბნება გირშელი დეიდაშვილს.

გიორგის გაახსენდა მუდმივი ჯიბრი სიყრმის მეგობართან.

«რატომაც არა, შენ თუ მტკვარი გადასცურე გუშინწინ, ნუთუ მე არაგვს ვერ მოვერევი?

«უნდა გითხრა, მტკვარი არ ყოფილა ასე მოდიდებული იმ ღამეს».

მცირე ხნის შემდეგ ამბობს:

«ჩვენ ორივეს გვჯობნიდა ერთი მდაბიორი».

«რომელი?..

«დრუიძე?...

«არა, გაბოი, ვგონებ, რა გვარი იყო გაბოი!»

«კოხრიჭისძეა გაბოი. მის სახლში მივდივართ სწორედ».

ესა სთქვა გიორგიმ, არაგვს მიჰხედა კვლავ. კამეჩებს მისწეოდნენ ბიჭები. გაუხარდა, რადგან კამეჩები უყვარდა გიორგის.

მუდამ უკვირდა: რად ყოყინებსო ასე ნაღვლიანად ეგზომ ძლიერი ცხოველი?

ახლაც ეს უთხრა მეგობარს.

«შენ რა გგონია, – ამბობს გირშელი, – ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამქვეყნად.

მიტომაც მუდამ დაღრენილნი დადიან ლომები, ვეფხები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულად დაცუნცულობენ.

არაბეთში მომისმენია ლომების ბუხუნი. გამოდგებიან უდაბნოში, შემზარავად გრგვინავენ, ამაზრზენია მათი უცნაური გლოვა».

მდუმარედ მიჰყვებოდნენ ორივენი ნაპირს.

გირშელი ბანიან სახლს მიაჩერდა ერთს.

– გახსოვს, გიორგი, მზრდელს რომ გავეპარეთ კვირაცხოვლობას. ვიღაც ლოთებმა ღვინო გვასვეს, აგვეკვიატა ერთი კუზიანი. იმ სახლის სარდაფში ჩაგვიყვანა, მეძავებთან.

გამოგვიდგნენ ჭარმაგი კაცები, თქვენ რა გინდათო მეძავებთან, ღლაპებო?

დაგვიცაცხანეს, დარცხვენილნი გამოვიპარეთ».

გიორგის გულიანად გაეცინა ამის გამგონეს.

იმ სახლის ბანზე ახლაც ისხდნენ ქალები.

გადასცქეროდნენ მოზღვავებულ არაგვს.

ვიღაც ვაჟებს ბადე ამოჰქონდათ წყლიდან.

გიორგი და გირშელი გადადგნენ კბოდეზე.

ბადე გაშალა მებადურმა თუ არა, ორაგულები, ციმორები და კალმახები აცეკვდნენ რიყეზე.

თევზი გვიზიარეთო, გადასძახეს გოგონებმა ყმაწვილებს.

გირშელი ათვალიერებდა გზადაგზა ქუჩებს, უთვალთვალებდა ბაღებსა და ბანებს.

ზედიზედ იგონებდა სიყრმეს.

მამლების, ვერძების ბრძოლას, ბერიკობასა და ჭონას. მთვარიან ღამეში სასახლიდან გაპარვას, მზრდელის ბუზღუნსა და არაგვში თევზაობას.

ოჩხის ამოღებას, ჩანგლების სროლას, თოვლის გოდოლების აგებას და მათ შემუსვრას.

ამ საუბარში გართულნი მოსულიყვნენ მთავართა სანათლოის უბანში.

როცა ხურსისეულ სასახლემდის მიაღწიეს, გირშელი ყმაწვილივით ატყდა: მაინც მდაბიორებს ვგავართ, სასახლის ეზოში შევიჭვრიტოთ, ფხოველი დიაცები დავლანდოთო შორიდან მაინც.

გიორგიც გააყმაწვილა სიყრმის ტკბილმა მოგონებებმა, თავათაც ეწადა ასეთი რამ მოემოქმედნა, მაგრამ ეს არ უნდოდა გირშელის თანხლებით ექნა.

სტუმარი მაინც არ იშლიდა თავისას. თვალმოკვრით მაინც ვნახოო შორენა.

გიორგი დაფიქრდა: ვაჲთუ სხვარიგად ახსნასო, ხურისისეულ სასახლის ბაღში შეიყვანა გირშელი.

აივანზე ბნელოდა.

გულით უნდოდა არავინ დახვედროდათ შინ.

ძაღლები აყეფდნენ ანაზდად.

ფხოველი დიაცი გამოეგება ხილნარში შესულებს, ტანმორჩილი, ნაყვავილევი.

«- მწუხრი მშვიდობისა» შეაგება სტუმრებს.

შორენა იკითხეს.

დიაცი შეკრთა.

ათანასე ბერმა წაიყვანაო სალოცავად ზედაზენს შორენა და მოახლეები მისი. ვარდისახარიღა დარჩა შინ, რაკი შეუძლოდ იყო იმ დღეს.

ვარდისახარს ვუხმობო, თუ გნებავთ.

ამას ამბობდა ჩოფურა დიაცი.

ვარდისახარის ნახვა არავის ეწადა, ამიტომაც გაბრუნდნენ ანაზდად.

ფხოველი დიაცი არ მოეშვა: რომელი სოფლისანი ხართ, ან ეს გვარქვით, რად იკითხეთო პატრონი ჩვენი?

კლარჯეთელი მწირები ვართო, კოლონკელიძის ნაცნობნი ძველნი.

მაშ მოიცადეთ, სადაცაა მოვლენო, ემუდარა ფხოველი დიაცი.

მცირე ხნის შემდეგ გამოგივლითო კვლავ, დაუბარა გიორგიმ, ქუჩაბანდისკენ გადაუხვიეს.

როცა სამეფო საჯინიბეს ჩაუარეს, გირშელმა აიჩემა: შენი კვიცების ქება გამიგია, მაჩვენეო ახლა.

თავლაში შესვლისთანავე ეცათ ის სუნი, რომელიც ცხენისმოყვარულთ არა სძაგთ ხოლმე.

პატრონის დანახვაზე ჭიხვინი მორთეს საომარმა ცხენებმა.

გიორგის განუზომლად უყვარდა ისინი. ჭირთამთმენნი მრავალთა, მრავალი ომის თანაზიარნი.

ეს ცხენებიც ისევე დაჩეხილნი იყვნენ, როგორც მათი პატრონის ჯერაც ახალგაზრდა სხეული.

ხუმრობით იტყოდა ხოლმე გიორგი:

«ეს კარგი, ჩვენ კაცნი რომ ვხოცავთ ურთიერთს, მაგრამ ამ საცოდავ პირუტყვებს რას ვემართლებით, ნეტავ?»

სათითაოდ მიეახლა თითოეულს, ეფერებოდა, ყურებზე, საოლავებზე ხელს უსვამდა, თვალებს უკოცნიდა, საალერსო სახელებს ეუბნებოდა სათითოოდ.

ეს მშვენიერი ერთგული ცხენებიც იფერებდნენ ალერსს, ხვიხვინებდნენ, ფრუტუნებდნენ, ალერსიანად თავს უქნევდნენ პატრონს.

სტუმარს ეუბნება გიორგი:

«შენ გეტყვი, გირშელ, ხვალ რომ ტახტიდან გადამაგდოთ ერისთავებმა, მეჯინიბედ დავდგები უთუოდ, ცხენებს მოვუვლი და ეს მომგვრიდა უდიდეს ბედნიერებას».

აღტაცებული შესცქეროდა ყველისციხის პატრონი ნაომარ იაბოებს, მკერდდაჩეხილ ულაყებს, არაბულ კვიცებსა და თექურ ჭაკებს.

სიყრმის მეგობარს მიუბრუნდა:

«იცი, გიორგი, ომში ცხენები მეცოდება ყველაზე მეტად, მრავალგზის მინატრია: ოღონდ ცხენს ნუ გამომიკლავენ ბრძოლაში და მე მზადა ვარ თავათ შევუშვირო მტრის ისარს მკერდი.

როცა ქაჩაბურაისძე წარმტაცა მტკვარმა, ცხენი შემეცოდა და, ამიტომაც არ დავიზოგე თავი, მეჯინიბეს მივუგდე ჩემი, მხარულით გავსდიე მეაბჯრეს».

საჯინიბოს ეზო გადაიარეს.

გაბოის სახლში ბჟუტავდა ჭაღი.

ეს იყო ჩვეულებრივი სოფლური დარბაზი უზარმაზარ დედაბოძზე დაყრდნობილის სახურავითა. ჩაჩხები ეკიდა სხვენზე. მჭვარტლში გამურული სრულიად.

დაფაცურდა გაბოი.

შუაცეცხლზე ჯაჭვი იყო ჩამოშვებული. ბატი ეკიდა ზედ.

დიაცი კერას უჯდა.

ტრიალებდა ბატი, ძირს დადგმულ ტაფაზე იღვრებოდა ცხიმი.

ფრთას აწობდა დიაცი ცრმელში, უსვამდა ისევ ბატს.

საამური სუნი იდგა ქოხში. ნერწყვი მოადგათ გირშელსა და გიორგის.

ერთადერთი უცხოთაგანი დაუხვდათ მუნ, უნდილაისძე, ჯავახელი მეცხვარე.

«აბა თუ იცნოთ ჩემი სტუმარი?»

ეუბნება სიყრმის მეგობრებს გიორგი.

ვერც გაბრიელმა, ვერც ქიტესამ და ვეღარც ესტატემ ვერ იცვნეს სტუმარი.

მეფეს არ უნდოდა გირშელის ვინაობა შეეცნო მეცხვარეს, ამიტომაც ეუბნება დამხვდურთ:

«კარგი, დასხედით, ჯერ, დაგვალევინეთ ღვინო, მერმე გაგაცნობთ ამ ვაჟკაცის ვინაობას».

გაბოი სხვენზე აძვრა, სამწლიანი დუმა ჩამოიღო.

უცნაური სიღატაკე სუფევდა ირგვლივ. ჯვალოს ძონძები ეკიდა კედლებზე, დაფხრეწილი მუთაქები და დოშაკები ეგდო კუთხეში, სამი აკვანი იდგა საწოლის წინ, საწყალობლად ღნაოდნენ ბალღები.

უმწეოდ სტიროდა პატარა ბიჭუნა, მერმე სლოკინი აუვარდა, ხველა დააწყებინა, ყვინჩილასავით ყიოდა თანაც.

დიაცები სუფრის თადარიგით იყვნენ გართულნი, ბალღებისთვის არავის ცხელოდა.

გიორგი მივიდა, დაუყვავა პატარას.

საჩვენებელი თითი დაადო ნიკაპზე.

ეუბნება:

«ალალი, ალალი!»

დუმა ქვაბში ჩააგდეს, ლოქო მოართვეს სტუმრებს. ქინძის სუნი ეცა დამშეულ გირშელს, უარესად გაუხელდა მადა.

გიორგი თავათ მიუჯდა კერას. ფრთა გამოართვა დედაკაცს. თავათ აწობდა ცხიმში, ჯაჭვზე დაკიდებულ ბატს უსვამდა ნელ-ნელა.

«რამდენი შვილი გყავს, ქალო?»

ეკითხება გიორგი დიაცს.

«მენა? მენა, ორი».

«ტყუპები?»

«ტყუპები».

მიუგო დარცხვენით დიაცმა.

«გაგიზარდოს, გაგიზარდოს, ქალო».

ისევ ჩააწო გიორგიმ ტაფაში ფრთა, ბატს წასცხო კვლავ და ეკითხება დიაცს:

«ეს მესამე ვისია, ქალო?»

«ჩემი დაი სტუმრადაა ჩვენსას, იმისია ი პატარაი, ყივანა ხველა შეეყარა ბედშავს».

გირშელი ხარბად სჭამდა ლოქოს, ესტატეს სავსე ხელადები მოჰქონდა ჭურიდან.

«ერთ ძმაკაცთან ვიყავი სადილად დღეს, მშიერი დამტოვა მაგ ოჯახქორმა».

ესა სთქვა გირშელმა, ლავაში დაახვია ნიჩაბისებრ ხელით, წვენში ჩააწო და ჩაიბღუჯა პირში.

ღვინო მოსწყურდა სველი ხელადების დანახვისას გიორგის. გირშელმა მორიგი ჯამი გადასცა ესტატეს.

ეუბნება:

«ჩვენი გლახუნა ვადღეგრძელოთ ამ ჯამით».

გიორგიმ სასმური გამოართვა მეგობარს. ზეასწია და ამბობს:

«ჯერ ჩემი სტუმარი მიდღეგრძელეთ, იკუნკელისძე».

გირშელმა გაიღიმა და არა სთქვა რა.

«ეგ კაცი ცოლის შესართავადაა მცხეთას ჩამოსული, ადიდებული მტკვარი გადაულახავს.

ვაჟკაცთა წესია ასეთი: გულისმიჯნურისთვის არ დარიდება საფრთხისა».

გლახუნამ თვალი მოავლო მიწურს, რა დარწმუნდა, დიაცები გაკრებილანო:

«არა, გატყუებთ, ბიჭებო, მას ერთი სიძვის დიაცი ჰყავს მცხეთაში, ამადაც გაუწირავს თავი».

გაბომ შენიშნა: გლახუნა ეჯიბრებოდა ღვინის სმაში უცხოს. ამიტომაც უჩურჩულა ესტატეს:

ცოტა არაყი ჩაუსხიო მაგ გოლიათს ყანწში, თორემ დაგვათრობსო ყველას.

გიორგის მოუბრუნდა შემდეგ ამისა:

«საჭმელს მიეძალე, გლახუნა, თორემ ეგ ღვინო მატყუარაა, იცოდე».

გლახუნამ ბარკალი აგლიჯა ბატს. გირშელი უხმოდ ილუკმებოდა, ნადირისებრი კბილებით გლეჯდა ხორცს, ძვლებს ხრავდა, ილოკავდა ცხიმში ამოსვრილ ხელებს.

მადიანად შეექცეოდნენ მდაბიორებიც. ამათ შემყურეს გლახუნასაც მოეცა მადა.

როცა მეინახეთა და ოჯახის წევრთა სადღეგრძელოები ჩამოთავდა, უნდილაისძეს გადახედა გიორგიმ. რა დარწმუნდა, აღარ არისო იგი უკვე ამ სოფელს, მოზვრის ყანწი ზეასწია და ამბობს:

«ერთი სადღეგრძელო მეც მათქმევინეთ, კაცნო, ხომ გახსოვთ სიყრმის მეგობარი ჩვენი, დედიჩემის დისწული – გირშელი».

«როგორ არ გვახსოვს, გლახუნავ, გვითევზავნია არაგვში მასთან».

მიაძახეს სამთა.

«ჰოდა... სარკინოზებს გამოჰქცევია, ყველისციხეში ჩასულა აღდგომა დღეს.

ვადღეგრძელოთ, ბიჭებო, გირშელი.

გეხსოვნებათ, ალბათ, ღვინის სმაში გვეჯიბრებოდა ოდესღაც. აქა გვყავდეს, ვუჩვენებდით სეირს».

«ჰაი, ჰაი, აქა გვყავდეს ნეტა!»

როხროხობს გაბოი.

ნადირისებრი ღოჯები გამოაჩინა გირშელმა, ყანწი დასცალა და ბატის კურტუმს დაუწყო ღრღნა. ერთ წუთში აელეწა სახე, უცნაური რყევა შეიცნო, ჯამში ჩააგდო ცხიმიანი ხორცი.

გული აერია, მაგრამ თავი შეიკავა, ორივე მკლავით მუხლის თავს მოეჭიდა.

გაბრიელმა ჯიხვი გაავსო კიდემდის.

წესისამებრ ვადღეგრძელოთო მეფე გიორგი.

ჩამოიარა ჯიხვმაც. უხმოდ ჭამას შეუდგნენ მეინახენი კვლავ.

ესტატემ ესა სთქვა მხოლოდ.

«რასა სჭამს ნეტავ ი ბედშავი მეფე გიორგი ახლა?»

«სამი წლის დუმას შეექცევა ალბათ ჩვენსავით, ირმის მწვადები გამოულეველიაო სასახლეში თურმე».

გაიხუმრა უნდილაისძემ.

მეფე გიორგი მართლაც სჭამდა სამი წლის დუმას იმ წუთში.

გაეცინა.

პეშვით მოიწმინდა ულვაშიდან ცხიმი.

გიორგის შეეშინდა, ჩემი ვინაობა არ შეიცნოსო მეცხვარემ.

წამუყო გაბრიელს:

კიდევ ატაკეო მოზვრის ყანწი უნდილაისძეს.

კიდემდის გაავსო თამადამ ყანწი.

შენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოსა ვსვამთო.

წელი მოსტეხა მუხრანულმა ჯავახელს. თავი ჩაჰკიდა და დაიწყო თვლემა.

გირშელსაც ძლიერ მოეკიდა ღვინო. როგორც ყველაფერში, სმაშიაც ეჯიბრებოდა თავის ნათესავს.

გამწედ სვამდა თავათ, გიორგის მიერ დაცლილ ყანწებსა და ჯამებს უთვალთვალებდა თანაც.

«ჩემთან ჯიბრი გადაგიტანს, იკუნკელისძევ».

მიაძახა გლახუნამ, სულმოუთქმელად გამოსცალა უზარმაზარი ჯამი და ისევ გირშელს გადაულოცა.

გირშელმა მიამიტად შესცინა.

ქიტესა, ესტატე და გაბოი გაოცებულნი იყვნენ.

არაოდეს ენახათ, ასე ხალისიანად რომ ესვა მეფეს.

გირშელმა თრობა შეიცნო უკვე.

აუხირდა გიორგის: დღეს ეს ვიკმაროთ, წამო, ხურსისეულ სასახლეში შევიჭვრიტოთო.

გიორგიმ იცოდა: სმა რომ შეეწყვიტათ, გირშელი უთუოდ წაათრევდა ფხოველი დიაცების სანახავად მასაც. თავს ვერ შეიკავებდა სასძლოს დანახვაზე მთვრალი, მთელი ქვეყანა გაიგებდა ამ ამბავს.

ანიშნა გიორგიმ გაბრიელს: გაეგრძელებინა როგორმე სმა.

მიცვალებულთა შენდობანი მოთავდა.

ომებში დახოცილი მეგობრები მოიგონეს.

ადგილის დედაც ადღეგრძელეს ბოლოს.

წამოდგა ძველი მონადირე, ესტატე.

«ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მამალ ორაგულს, აღმა რომ მიჰყვება ამაღამ არაგვს, უფსკრულებში დაეძებდეს თავის დედალს, ვაჟკაცურად მიარღვევდეს ტალღებს, რათა გუდამაყარში წამოეწიოს და მისწვდეს საწადელს».

გიორგის გულზე ეცა ეს სადღეგრძელო.

გირშელი მოაგონა ამ ორაგულმა რატომღაც.

ბრაზი წაეკიდა, მაგრამ დადუმდა.

მოზვრის ყანწმა ჩამოიარა კვლავ. გირშელს სასმური ჩამოართვა გიორგიმ, ცერის ფრჩხილზე დააპირქვავა.

ახლა ქიტესამ აიღო ყანწი.

«ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ფურირემს, რომელიც საჩიხეში ჰყავს დამწყვდეული მეფე გიორგის, მყვირალობის დრო მოდგება თუ არა, აბღავლდება და ეძახის გულის სწორს».

გირშელს ნებიერა გაახსენა ამ სადღეგრძელომ, ხოლო ნებიერამ – შორენა. მხარზე დაეყრდნო თავის ნათესავს და უჩურჩულა:

თუ შენ არ წამოხვალ ახლავე, მე წავალ და ვინახულებო ფხოველ დიაცებს.

იჭვნეულობა გულზე წაეკიდა გიორგის.

ცოტა მადროვე, წამოვალო ახლავე.

ესა სთქვა, ჯიხვი გაავსო კიდემდის.

ხელში აიღო და ამბობს:

«ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ხარირემს, რომელიც საფურცლეს ტყეში დასდევდეს ამ წუთში თავის ფურს და სხვა ხარი თუ შეეზიარა, რქებით გამოფატრავს მეტოქეს».

ხარირემის სადღეგრძელომ წააქცია გირშელი.

გული აერია თუ არა, წამოვარდა, მაგრამ პურის კიდობანს გადააწყდა ბნელში და დაყორდა სოხანეზე დევკაცი.

ოთხმა ვაჟკაცმა ძლივს გაათრია გირშელი ფარდულში. ჩალაზე დააწვინეს, ნაბადი დაახურეს ზედ, მაგრამ გაბრიელის ნაბადი კვირისთავამდისაც არ მისწვდენია გოლიათს.

გირშელმა ხვრინვა ამოუშვა მყისვე.

გიორგი გამობრუნდა და ეუბნება მეგობრებს:

«იცით, ბიჭებო, ეგ კაცი ვინ არის?

გირშელია, დედიჩემის დისწული».

«შე კაცო, დროზე რომ გეთქვა, არ დავათრობდითო ასე უღმერთოდ».

ამბობს ნაღვლიანად გაბოი.

სამივენი მიეახლნენ გირშელს და გადაჰკოცნეს მძინარე.

«იცით, ბიჭებო, მეცნაურებოდა ეგ კაცი, მაგრამ ნახმლევი მებლანდებოდა თვალში».

ესა სთქვა ესტატემ.

უკვე შეღამებული იყო, როცა სტუმარი გამოაცილეს სამთა.

საჯინიბოში გავიაროთო, მოისურვა გიორგიმ.

როცა შიგ შევიდნენ, ოქროსფერი ულაყი შემიკაზმეო, ეუბნება გლახუნა გაბრიელს.

კოხრიჭისძე გაშრა, მხრები აიჩეჩა.

რა დროს შეკაზმვაო ცხენისა?

უჩვეულოდ გაფიცხდა გლახუნა.

მეფე გიორგი გიბრძანებს: ახლავე შეჰკაზმეო ცხენი.

ბუზღუნით დაითრია უნაგირი გაბომ.

გაოგნებული შესცქერიან ესტატე და ქიტესაც მეფეს.

ბუნებით მშვიდსა და თავაზიანს არ სჩვეოდა ამნაირი ჭირვეულობა.

ბოლოს ხნით უფროსმა მოიკრიბა მხნეობა. ქიტესა მიეჭრა და ეუბნება გიორგის:

უკეთუ არ გვამცნობ თუ სად მიდიხარ, შენს ნაბრძანისს არ შევასრულებთო.

«ბევრს ნუ ლაყბობ, შენ გეტყვი, ესტატე, გაიქე, უშიშარაისძე აქ მომგვარე ახლავე, ზედაზენს უნდა წავიდე ამაღამ».

???

«არაგვი გაცოფებულია და ზედაზენს ამაღამ წასვლა?!»

დაუჩოქა ჭაღარა ქიტესამ.

«სამივენი დაგვხოცე, თუ გნებავს, არ გაგიშვებთ ზედაზენს ამაღამ».

გაბრიელმა უნაგირი ძირს დასდო. ფერხთით დაუვარდა გაგულისებულს.

ჩვენ გადავლახავთ შენს მაგივრად არაგვს, რასაც გვიბრძანებ, აგისრულებთო ახლავე.

«არა, ჩემს მაგივრობას ვერ გასწევთ თქვენ».

«მაშ რაც გენებოს, ის გვიყავი, არ შეგიკაზმავთ, გლახუნავ, ცხენს».

ესა სთქვა გაბომ და უნაგირი კვლავ შეიტანა თვალში.

დაუჩოქა ქიტესამ გიორგის, სიყრმის მეგობრობა მოაგონა, ნუ დაადგამო გაბოის პურ-მარილს ფეხს!

საქმე რა მისჭირად, დედის სული დააფიცა ბოლოს.

დედა უყვარდა გიორგის ყველაზე მეტად ამქვეყნად. აქ კი მოტყდა უცნაურად გაჯიქებული.

«მაშ ჩამომეცალეთ სამივენი ახლავე, მარტოობა მომნატრებია».

განაცხადა გლახუნამ მტკიცედ.

სამივენი გადაჰკოცნა მთვრალმა.

«ბატონი ბრძანდები, ვარდი გფენია შენს გზაზე».

მიუგო ქიტესამ.....

XXVII

მიდიოდა გიორგი, გაუგებარ სიტყვებს როშავდა თანაც. მეგობრები შორიდანაც ატყობდნენ: ვიღაცას ემუქრებოდა იგი.

ყორეებს ეფარებოდნენ, უთვალთვალებდნენ, ერთი ვნახოთ სად წავაო ახლა?

მოედანი გადაიარა გლახუნამ, ხურსისეულ სასახლისკენ გადაუხვია მხარმარცხნით.

ეზოში შევიდა და შესდგა.

სამივემ ირწმუნა მცხეთაში გავრცელებული ჭორი: კოლონკელიძის ქალს ყვარობსო მეფე გიორგი.

გადაჰხედეს ურთიერთს, ჩამოსცილდნენ მართლაც.

ხილნარში შევიდა გიორგი, ახედა ზედაზენის მთებიდან გადმომდგარ მთვარეს.

დათოვლილივით მოსჩანდნენ ატმისა და ვაშლის ხეები, მსუბუქი ბორიო ოდნავ აქანავებდა ხეთა კენწეროებს.

ტოკავდა შტოთა ნაჩრდილევი სითვით ნაქარგივით ამოჩითული მიწაზე, ასე ეგონა ბილიკზე მიმავალს: ქარცემულივით ტორტმანობსო მთელი ქვეყანა.

მიწის სუნი, ნაზამთრალი ფესვების სუნი, ატმის ყვავილის ნელსურნელება იკმეოდა ირგვლივ.

სიმთვრალემ მხნეობა შეჰმატა.

არც დედოფლის რიდი ჰქონდა ამ წუთში, აღარც მელქისედეკ კათალიკოსისა. იგიც სულ ერთი იყო მისთვის, თუ რას იტყოდნენ სასახლეში ავი ენები.

ჭაღები ქათქათებდნენ ხურსისეულ სასახლეში.

ალბათ მობრუნებულაო ზედაზენიდან შორენა.

«გირშელი კი არა, მამაჩემი რომ წამოდგეს, ბაგრატ კურაპალატი, არ შევეპუები მასაც».

ესა სთქვა თითქმის ხმამაღლა გიორგიმ.

ცა ისეთი მაღალი იყო, ვარსკვლავებიც ისე ნაზად აფახულებდნენ იისფერ წამწამებს, არასოდეს ასეთი ბედნიერება არა უგრძვნია გიორგის.

ჯერ კიდევ ყრმას შეაჩეჩეს დედოფალი მზრდელმა და მელქისედეკმა, ისე როგორც მდაბიორს მიუგდებენ მეზობლიანთ თხუპნიას. ბოლოს თავი მოაბეზრეს სეფექალებმაც, რადგანაც სძაგდა მოძალებული დიაცი.

ამის მეტად არ ეგემნა მიუწვდენელი სიყვარულის ტკბილი ბადაგი.

შესცქეროდა თეთრად მოქათქათე ხილნარს. სიყვარული, ღვინო და ყვავილთა ნელსურნელება შემოგზნებოდა გულზე.

კიდევ შეჰხედა სასახლის სარკმელებს.

დარწმუნდა: ჩამოსულაო შორენა. რადგან ცაც ისეთი მაღალი იყო, ვარსკვლავებიც ნაზად ნაბავდნენ იისფერ წამწამებს, ოცნებასა და ზმანებას დაებანგა ქვეყანა სრულად.

სიჭაბუკის შემდეგ ეს პირველად შედიოდა ხურსისეულ ეზოში გიორგი. საჯინიბო ღია იყო, შრამელები აეღოთ, მხოლოდ უზარმაზარი ქვის კიბე დარჩენილიყო უცვლელად.

ჰინდური თუთიყუშები ჩხაოდნენ სადღაც. კიბის შუაგულამდის ისე მიაღწია, არც მონების, არც ძაღლების ჭაჭანება არსად ისმოდა.

«კარგად კი ჰყოლია დაცული ფხოველი ტყვეები გამოყრუებულ ათანასე ბერს!»

გაიფიქრა გიორგიმ. ინანა: აქამდის რად არ შემოვიპარეო გადაცმული ამ სასახლეში?

სულ რამდენიმე ხარისხი ჰქონდა დარჩენილი კიბისა, ტალანიდან შინაური ავაზა გამოვარდა და კიბის თავზე შესდგა.

ფოსფორული შუქი ქათქათებდა ნადირის თვალებში.

გაუკვირდა: აქამდის ცოცხალი ყოფილაო ხურსისეული ავაზა?!

კიდევ აიარა ორიოდე ხარისხი. ავაზა დაიძრა დინჯად და წამოვიდა უცხოს შესახვედრად.

თორი არ ეცვა მეფეს, შეკრთა, ხმლის ვადაზე წაივლო ხელი.

ვიღაცა დიაცმა გამოსდია ავაზას. უცნობის დანახვაზე შეკრთა.

ამასობაში ავაზა მოეახლა გიორგის, მუხლის თავზე უყნოსა ძაღლივით.

მარცხენა ხელი გამოიღო გიორგიმ, უნდა მიალერსებოდა მხეცს, მაგრამ საეჭვოდ მიიჩნია სტუმართმოყვარეობა მისი.

მარჯვენათი მოზიდა ხმალი.

«ნუ გეშინია, არას გავნებს, ბატონო».

მიაძახა კიბის თავზე შემდგარმა ქალმა.

შერცხვა კიდევაც ოდნავ, დიაცმა რომ შეამჩნია შეკრთომა ვაჟკაცს.

ტალანში შესულს ეცნაურა შინდისფერ მანდილიანი დიაცი.

«მწუხრი მშვიდობისა».

ეუბნება სტუმარი.

«ვინა გნებავთ, ბატონო?»

ხმა გაიღო ქალმა.

«დიასახლისი ამ სახლისა».

მიუგო გიორგიმ.

???

«ამ სახლის დიასახლისი?»

დადუმდა მცირე ხანს და დასძინა:

«სარკინოზებთანაა წასული იგი».

«ვინა ცხოვრობს სასახლეში ამჟამად?»

«ფხოველი ტყვეები, ჩვენ».

«შენ ვინ იქნები, ქალავ?»

«პირისფარეში ერისთავის ქალისა».

«თვითონ შორენა სადა ბრძანდება, პატრონი შენი?»

«შორენა და მისი მოახლენი ზედაზენს წაიყვანა ჩვენმა მოძღვარმა».

«შენი სახელი მიბოძე, ქალავ».

«ვარდისახარი, ბატონო ჩემო».

გიორგის მცირე რამ სმენოდა ამ ქალის გამო, დაკვირვებულად ახედ-დახედა დიაცს.

«შენ თავათ ვინა ბრძანდები, ბატონო?»

«მეფე გიორგის მალემსრბოლი, ავშანისძე ვარ, გლახუნა».

მეფე გიორგის ხსენებაზე ანაზდად შეშფოთდა ქალი.

«მობრძანდით, – ეუბნება მოწიწებით სტუმარს, დიდ დარბაზისკენ გაუძღვა წინ.

ოთხივე კუთხეში კაცის სიმაღლე შანდლები ენთო, ხალასი ვერცხლისა. ნიშებში თაფლის სანთლები ბჟუტავდნენ.

ირმის რქები და ტყავები ეკიდა კედლებზე, გაშლილი ვაშკარანები, ღია სკივრები და ზანდუკები ელაგა ირგვლივ.

შუაგულ დარბაზში ვერცხლის ტაბაკი იდგა, გახსნილი გრაგნილი ზედ იდო გრძელი. სწორედ ამ ტაბაკთან მიიყვანა ვარდისახარმა სტუმარი, სელზე დაჯდომა შესთავაზა მყისვე.

გიორგიმ მოურიდებლად დახედა გრაგნილს.

ეს რა არისო?

ეკითხება დიაცს.

«მზითვის წიგნია ერისთავის ქალისა».

ვარდისახარმა ახედ-დახედა სტუმარს.

ასე დაასკვნა სამოსის მიხედვით: მდაბიორიაო ვიღაცა, ალბათ, გულახდილად დაუწყო ამიტომაც მას საუბარი.

მარტოშთენილისათვის აღტაცება მოეგვარა, როგორც სჩანდა, შორენას მზითევს. სათითაოდ უჩვენებდა ყოველივეს სტუმარს.

დაუზარებლად ეტიკეტიკებოდა მეფეს, აქებდა თავის პატრონს თანაც.

გულნაზიაო და პირმშვენიერი შორენა. ურთიერთისაგან არ არჩევსო დიდსა და მცირეს, მანდილოსანის სინატიფე და რაინდის ლომგულოვნება თანაბრად შერწყმულიაო მასში.

ბედმა უმუხთლაო ჩემს პატრონს ერთხელ, დააბეზღესო მსტოვარებმა კოლონკელიძე, მეფის ღალატი შესწამესო უბრალოდ, ზვიად სპასალარს აძაგებდა, კვეტარის დამქცეველს, თვალები დაუბნელესო უმიზეზოდ ბედკრულ ერისთავს.

ზვიადმა მოუკლაო ერისთავის ქალს საქმრო, ბოლოს თავათ მეფეს უნდოდა ცოლად შეერთო, მაგრამ მელქისედეკმა და დედოფალმა არ დაანებესო. მაინც მოხედაო შორენას ღმერთმა...

ახლა თავისი ცხოვრების ამბავიც წამოიწყო ვარდისახარმა.

მეც ვიყავიო ბედნიერი ოდესღაც, ოვსთა მეფე მიგულებდაო სასძლოდ (არ გაუმხელია, ხარჭად რომ ჰყავდა ოვსთა მეფეს, არც ის უთქვამს, ჭიაბერმა რომ მოაწამვლინა იგი).

უცებ შესწყვიტა ამგვარი ტიკტიკი.

«მაინც რა საქმე გაქვს შორენასთან, კაცო?»

«ნაბრძანები მაქვს პირადად მოვახსენო საუწყებელი».

«მაშ დაიცადე მცირედი, გამოჩნდებიან სადაცაა ალბათ».

გიორგიმ თავათაც არ იცოდა ამ წუთში, მართლაც რომ შემოსულიყო შორენა, რა უნდა ეთქვა მისთვის მოულოდნელ სტუმარს?

გიორგიმ საუბარში შეატყო: დიაცმა არც კი იცოდა, მოდიდებული რომ იყო არაგვი.

მთელი კვირაა გარეთ არ გამიხედავს, შორენას მზითევს ვითვლი და ვალაგებ, გურანდუხტს მოველითო ხვალ.

ესა სთქვა ვარდისახარმა და გახსნილ ვაშკარანებთან მიიყვანა სტუმარი.

საყდრის იარაღებს აჩვენებდა დიდის მოწიწებით. ოქროთი შეჭედილ ხატებს, ვერცხლის ლუსკუმიან ჯვრებს, დიდრონი იაგუნდებით, ლალებითა და საფირონებით მოოჭვილთ.

ძელი ჭეშმარიტი გადმოიღო ერთი, ხოშორის მარგალიტებით შემკული, სახარება და ფსალმუნი ფერადი მინიატიურებით დამშვენებული, ოქროთი მოჭედილი ბუდეებიც მათთვის.

სპილოს ძვლის ზანდუკი გახსნა, საყურეები ამოიღო ბადახშანის ლალებითა, ნიშაბურის ფირუზებით, მურასა ჯაჭვებითა და თითრიმებითა.

შესანიშნავი მანიაკები გადაიცვა ყელზე, ვარდისფერი იაგუნდებითა.

წითელი, ყვითელი და პირისფერი იაგუნდები ისხდნენ ბეჭდის თვლებში.

მიჭვრიტანები ამოალაგა ოქროთი მოზარნიშებულნი, საყურეები ყვრიმალებთან მიჰქონდა, ბეჭდებს თითებზე იზომავდა.

ასე ეგონა: თვალს მოსჭრისო მათი დანახვა ხამლის სამოსში გამოწყობილ «მდაბიორს».

როცა პატიოსანი თვლები წამიერად მიეახლებოდნენ ვარდისახარს, ეს ყოველივე ბრწყინვალებას ჰმატებდა ისედაც პირმშვენიერ დიაცს, მაგრამ მათგან მოგვრილი აღტაცება თვალსაჩინოდ ჰხდიდა მდაბიორობას მისას.

ახლა დიდი ზანდუკი გახსნა ჯვრის ჩუქურთმებით შემკული. ოქროს ფიალები ამოალაგა, ვერცხლის ჯამები, ვერცხლნაქანდაკები ლანგარები, წეროსყელიანი სურები.

ოქროს ფიალა აიღო გიორგიმ. ირმები იყო ზედ გამოსახული, ფური და ხარი მიჰყვებოდნენ ურთიერთს, წყვილებს წყვილებიდან თიშავდა მგელკაცების უცნაური ფიგურები.

დიდ სურაზე ნადირობა იყო გამოხატული, ხოხობზე მონადირე მოისარები მოსჩანდნენ, მაძებრების თავები, გაქცეული ნიამორების გადრეკილი ზურგები. ვაზის ლერწები და ფოთლები გარს ერტყა სხვათა, უდიდესი გულმოდგინებით შესრულებულნი ოსტატის მიერ.

ახლა საპირფარეშოს ოქროს გოდოლები გადმოიღო ვარდისახარმა, უმარილის სალესი ჯამები, თმის საყოფები, ყურისა და კბილის საჩიჩქნი ჩხირები ოქროისანი, ბროლისტარიანი თმის სახვევები, გველებრ დაგრეხილი ოქროს მარყუჟები ნაწნავების დასაგრაგნელი.

მოჩვენებითი გულისყურით ათვალიერებდა ამ ნივთებს გიორგი. გამოართმევდა ვარდისახარს, სინჯავდა, აქებდა სათითაოდ ყველაფერს.

ორხოვის ნოხები ამოალაგა დიაცმა, ხატაური და ჰინდური სტავრა, ოქროთი ნემსურნი სრულად.

ვერცხლის თუნგები აბანოში სახმარი, ფერადად ნაქარგი აბანოს სდუზანები, მოვის პერანგები, მარგალიტის თირთიმებითა და ყირმიზი ლალებით დამშვენებულნი.

საწმერთულებს თვალი წაატანა გიორგიმ, პირისფერს, ბროწეულის ყვავილისა და სინგურისფერისას.

გულისპირები ამოჰყვა მათ, ფერადი მაშიები, მარგალიტით მოოჭვილი ქოშები.

ერთი საწმერთული აიღო გიორგიმ ხელში, ხოხბისყელისფერი, ტოტებზე ირმის თავები იყო სითვით ამოქარგული, მეორეზე ვაზის ფოთლები და მტევნები იყო ოქრომკედით ამოყვანილი.

ხატაური და ირანული დიბის კაბები გადმოიღო ვარდისახარმა, ნარინჯისფერნი, მზისფერნი და ზღვისფერნი.

ცხრა კაბა ქირმანული ფერადი შალისა, ცხრა საწმერთული გვიმრისფერი, ენდროსფერი და პირისფერნი.

ოქროს ქამრები, მძიმე სარტყელები ამოალაგა თეთრი, შავი და უნაბისფერნი.

ყვითელი, მწვანე, ჟრუნი და იისფერი ქათიბები, ოქროს სინსილიანნი, ტყავკაბები, ოქროქსოვილი ზორტებით და მარგალიტის ფოჩვებიანნი.

კვერნის ტყავები მარგალიტის საყბეურებით, ოქროსა და ალმასების ღილებითა.

ქვეშაგებს თვალი მოჰკრა გიორგიმ, დორებს, საფენებს, ვაშკარანებს, მაფრაშებს, თასებს, ხატაურსა და ირანულ ლანგრებს, ვაზებს და სურებს.

ქირმანული ხალიჩები ეყარა ირგვლივ, ოქრომკედით მოქარგული მუთაქები, ბალიშები და ნატები.

ახლა ცხენსაკაზმი აჩვენა დიაცმა.

მურასა ოქროთი შეჭედილი უნაგირები, მშვლის ბეწვის თოქალთოები, ოქრომკედით კიდემოხატულნი, ვერცხლის სამკერდენი, საცხენო თორნი, ბიზანტიური, ქართული და ირანული, ვერცხლით შეზიკული აღვირები, ლაგამები და მოსართავები.

მარგალიტის ქუდი ხელში შერჩენოდა ვარდისახარს, თავზე დაიხურა და გაუღიმა სტუმარს.

«ერთ წუთში მე ვიქნები ერისთავის სასძლო».

ნაღვლიანად დასძინა:

«ეჰ, ერთ დროს მეც გამიღიმა ბედმა, მაგრამ რისხვით მობრუნდა ჩემს თავზე ცარგვალი!».....

გიორგიმ შეჰხედა დიაცს.

გაახსენდა ზვიადის ნაამბობი: მეჯადაგის ქალი ყოფილაო ვარდისახარი. შესცქეროდა, უკვირდა: როგორ წარმოშვაო მეჯადაგემ ეგზომ მშვენიერი დიაცი!

თვალი შეავლო მარგალიტის ქუდს და მწყრისფერ აბრეშუმის კაბას.

მოაგონდა: ეს ქუდი ეხურა შორენას, როცა კვეტარის ციხის კარებთან შეაგებეს იგი მეფეს. სწორედ ეგ მწყრისფერი კაბა ემოსა იმ საღამოს.

მართლაც სადედოფლო ქალი იდგა მის წინაშე. შორიახლო იწვა ავაზა, წინა თათებზე დაედო თავი.

ოდნავ, სულ ოდნავ ჭორფლიანი, მაგრამ თეთრი, ვაშლის ყვავილისფერი სახე ჰქონდა, ავაზას დარი თვალები.

მწყრისფერი აბრეშუმი დიდად ჰშვენოდა, ნასხვისარობა ეტყობოდა კაბას.

მკვრივად შემოტმასნოდა იგი გათქვირულ ძუძუებსა და სავსე თეძოებს.

ზედა ტანი ოდნავ გაცრეცილი იყო სწორედ იმ ადგილას, სადაც ძუძუს კერტები ზედმოსდგომოდა მწყრისფერ აბრეშუმს.

ახლა დარწმუნდა გიორგი: მართლაც გრძნეული უნდა იყოსო ეს დიაცი.

განზრახ შეეკითხა ვარდისახარს:

ვის მიჰყვებაო ცოლად ერისთავის ასული?

???

ვარდისახარი გაოცდა: როგორ არ სცოდნიაო ეს ამბავი მცხეთელს? მთელი ქალაქი ამ ქორწინების გამო ჭორაობსო დღენიადაგ.

«მაინც ვის?»

გაუმეორა გიორგიმ კითხვა.

«მეფე გიორგის ბრძანებით, გირშელს, ყველისციხის პატრონს».

მოწიწებით წარმოსთქვა ერისთავის სახელი დიაცმა.

გველცემულივით ზეწამოიჭრა სტუმარი, ამ წუთში ირწმუნა: სამუდამოდ დავკარგეო შორენა.

სამსჭვალივით ეცა გულზე ეს სახელი «გირშელი».

განზრახ შეეკითხა დიაცს:

«რა კაცია ნეტავ ეგ გირშელი?»

«დიდი ვაჟკაცი, მოისარი ფრიადი, ერისთავი უსაჩინოესი, გიორგი მეფის დედის დისწული».

კიდევ აპირებდა ვარდისახარი ამ რაინდის სხვა სიქველეთა ჩამოთვლას, მაგრამ სტუმარმა არ აცალა და სიტყვა ჩაუგდო საუბარში ასეთი:

«ალბათ ბედნიერია ერისთავის ქალი, ჰა?»

«ჩემს პატრონს სხვა უყვარდა, არხეგოსი, ერისთავი ჭიაბერ, მაგრამ რა ჩარა აქვს ახლა, გიორგი მეფის ტყვეები ვართ ჩვენა, არჩევანის ნება ვინ მოგვცა ბედშავთ?»

«ასე რომ, მეფე გიბრძანებთ, ყოველივეს შეასრულებთ, არა?»

გაეხუმრა გიორგი და მის მკერდს დაადგა თვალი.

ქალმა ეს შემოხედვა დაიჭირა, აიმღვრა, აღარ იცოდა, რა ეპასუხნა.

«აფსუს, რად არა ვარ მეფე გიორგი?!»

ვითომდაც ნაღვლიანად ამბობს სტუმარი. კიდევ შეხედა მის აბორცვილ ძუძუებს და კვლავ გაუღიმა, ახლა უფრო მოურიდებლად, მრუშად.

«მეფე გიორგი რომ იყვე, რას იზამდი ნეტავი?»

«მეფე გიორგი რომ ვიყვე? ხარჭად აგიყვანდი შენაც».

ეს უთხრა, ახლოს მიეჭრა დიაცს, ავაზისებრ თვალებში ჩააშტერდა, მარჯვენა ძუძუზე წაუცაცუნა ხელი (ასეთი მშვენიერი ძუძუები არასოდეს ენახა ქალის სხეულზე გიორგის).

ვარდისახარი აილეწა.

«ხელები დაიმოკლე, ბედშავო!»

შერისხა და მარჯვენა ხელზე წაუტლაშუნა მამაკაცს მარცხენა.

გიორგიმ ხელი მოუნაცვლა, ახლა მარცხენა წაუცაცუნა მარცხენა ძუძუს, მერმე მარჯვენა გამოიღო სწრაფად, ქედზე შემოჰხვია, მოიზიდა დიაცი.

მკერდზე შემოენთო ქალის სხეულის სილბო და სიტფო.

უარესად აღელდა მთვრალი, თავი გადაუწია მკლავებში ჩაბღუჯულს, უნდოდა მისწვდენოდა მის წითელსა და ვნებიან ტუჩებს, მაგრამ ლეღვის შტოსავით გადაიკეცა ქალი.

მარჯვენა გამოიღო, მკერდზე ხელი ჰკრა მამაკაცს და მიახალა:

«თუ მართლაც მეფის მიერ ხარ მოგზავნილი, ისე გაისარჯე, როგორც მეფეთა მოციქულებს ეს ეკადრება, ბრიყვო».

ასეთი სიტყვა არავის უკადრებია გიორგისათვის ჯერ.

ბრაზი, ღვინო და ვნება მოეძალა ერთბაშად, ნაბიჯი წინ წასდგა კვლავ და ეუბნება დიაცს:

«მე თვითონ ვარ მეფე გიორგი».

იქედნურად გაუღიმა ქალმა:

«მეფე გიორგის მიგიგავს წვერი».

სტუმარმა ჩაიცინა, კვლავ წაეპოტინა იგი ვარდისახარს. მცირე ხანს იბრძოდნენ დიაცი და მამაცი. მკლავების სალტეებში მომწყვდეული ატირდა.

თუ არ მომეშვები, ვიკივლებო ახლავე.

მკლავები შეუშვა გიორგიმ, ვარდისახარმა იდროვა, ხელი ჰკრა ისევე მკერდზე, დაბარბაცდა მთვრალი, მუნვე გაწოლილ ავაზას ზედ გადააწყდა. ნადირი განზე გადაუხტა, თვალები დაუბრიალა უცხოს, შემზარავად ლაშდაღრენილმა.

თავისი გაცოფებული ავაზა მოაგონა გიორგის ფოსფორულმა ელვამ, ხმალს ხელი მიჰყო, ელვის უსწრაფესად ძირს დასცა მხეცი.

სისხლის დანახვისას შედრკა უცნაურად ქალი. გიორგიმ ხმალი გასწმინდა, აუღელვებლად ჩააგო ქარქაშში. კვლავ მიეახლა ვარდისახარს.

ასე ეგონა, დავიუფლეო შემკრთალი დიაცი.

გაიბრძოლა ქალმა, ისევ ატირდა, მაგრამ მტკიცე მკლავები შემოჭდობოდა სხეულზე. გახელებული მთვრალი ჰკოცნიდა ყვრიმალებზე, კისერზე.

საკინძე გაუფხრიწა გიორგიმ და ძუძუზე უკბინა გახელებულმა.

ვაჰმეო, იყვირა ვარდისახარმა და როცა შემკრთალი მამაკაცი მოეშვა კვლავ, მარჯვენა მკლავი მოუქნია და სტკიცა სილა.

გონს მოვიდა მთვრალი, სიწითლემ იფეთქა მის სახეზე, ავაზას ლეშზე გადააბოტა და მიმართა ღამეს.

XXVIII

...«ახლა, ქორწინებისათვის კვიმატი
დღეების გამოც უნდა მოგითხროთ მცირეოდენი.
გაზაფხულის სამივე თვეში კურდღლის
დღენი სამივენი ნავსია.
ზაფხულის სამივე თვეში ცხენის
დღენი სამივენი ნავსია»...
ფარსმან სპარსის სამთვარიოდან.

შოშიები მობრუნებულიყვნენ მცხეთაში.

არსაკიძე აივნიდან უთვალთვალებდა; აურაცხელი მშვენიერი ფრინველი შერეოდა ჭადარს.

ეშვებოდა ბინდი.

არსაკიძე ჯერ კიდევ ჰხედავდა ხოჭოს ჯავშანივით ლაპლაპა ნაკრტენზე ალაგ-ალაგ სხურვებულ სიშავეს. ერთობლივად ჟიოდა, ჟღურტულებდა სირი.

შოშიები არ აპირებდნენ დაცხრომას. უცხოსა და უცხო ქვეყნების ამბავს უამბობენო თითქოს ურთიერთს, ერთად ყოფნით გახარებულნი.

დაქანცული იყო დღიურ ჯაფისაგან კონსტანტინე. სვეტს მიყრდნობილი შესცქეროდა, ყურს უგდებდა ამ სანახაობას.

ასე ეგონა მჭვრეტელს: სადაცაა შევიცნობო მათი იდუმალი ჟღურტულის შინაარსს.

უცნაური სიმარტოვე შეიცნო.

სიყრმე მოაგონდა თავისი.

სწორედ მის სარკმელთან მოდიოდნენ ისინი გაზაფხულზე კვეტარში.

ნეკერჩხლის ხეზე ათევდნენ ღამეს.

შოშიებს მოჰქონდათ გაზაფხულის სიხარული მთაში.

დედა მოაგონა ამ ამბავმა არსაკიძეს.

დაფათურებს ალბათ შაოსანი მთიულური ქვიტკირის ეზოში.

ყორნები შემომსხდარან მახლობელ ნაძვებზე, უხიაგი ყრანტალით უხმობენ ღამეს. შოშიები ჟივიან ნეკერჩხლის მწვანეში.

თვალნათლივ ჰხედავს კონსტანტინე შავ ცხვრებს.

მოისმის ნერბებისა და ბატკნების ერთობლივი ბღავილი.

გონების თვალი მიაყოლა შავადმოსილ მოხუცის ლანდს.

დაფაცურობს დედა, დასდევს დახუთული ცხვრებს.

ვიდრე ერთს გამოსწველიდეს, რომელიმე თოხლი შეუვარდება ჯიქანში შაქს.

დაიჩოქებს, ურაჯგუნებს გამობერტყილ ძუძუებს.

სიყრმეში თავათ ეხმარებოდა ცხვრის წველისას დედას, საჩიხეში შერეკავდა ბატკნებს, ხელს წაავლებდა ყურზე, სათითაოდ მოჰგვრიდა ჯირკვზე მჯდარ მოხუცს.

ამ წუთში შემოესმა არსაკიძეს გულგანაწყენი ბღავილი.

დაფაცურობს შუაცეცხლთან დედა.

ჩრაქვით გააღვიძებს ცეცხლს.

რძეს ჩააყენებს...

ილოცავს...

ხატს შეავედრებს თავის ერთადერთ ვაჟს.

დაწვება მოხუცი იმ იმედით: სიზმარში მაინც ვნახოო გადაკარგული შვილი.

«უტა», – მოესმა არსაკიძეს თავისი ლაზური სახელი.

შოშიები დაცხრნენ.

მდუმარებამ დაივანა ბაღში.

მთვარე ჯერაც არ ამოსულიყო.

ქიმერებივით მოსჩანდნენ ცაცხვების, ჭადრების და ფითრიანი მსხლების სილუეტები.

უყვარდა არსაკიძეს ჭვრეტა ღამისა, როცა ქვეყანა ბნელითაა მოცული და მხოლოდ ჩქამით შეიცნობა, რომ სიცოცხლე ჯერაც ფეთქავს მიწაზე.

აივანზე მარტო დარჩენილს მოესმის თითქოს დედის ნათქვამი ლაზურად: რძე დალიეო, უტა!

დასძაბა გონების ძალი თვალდახუჭულმა: სურდა შეეცნო, თუ რას ეტყოდა შორეული ჩვენება დედისა?

უსუსური აღმოჩნდა გონება.

ახლა ნანობს არსაკიძე: რად არ ვასწავლეო მოხუცებულს წიგნი?

სიტყვიერად უთვლიდა მოკითხვას შორიდან.

ხან წაბლს გამოუგზავნიდა, ხან ზღმარტლს, ხან პანტას, დედის მიერ ხელშენავლებს. ფხოვურ პაჭიჭებს, ჭრელ წინდებს, კალთებმოქარგულ ფხოვურ ჩოხას.

იმდენი სყვარული და სიტფო თან ჩამოჰყვებოდა ხოლმე ამ საგნებს, დიდხანს, დიდხანს ყოფნიდა ჯაფისაგან წელში გაწყვეტილ ოსტატს ეს ყოველივე.

უთვლიდა დედა:

დავსნეულდიო, შვილო, მეშინია: არ ამომხდესო უშენოდ სული.

ცნობა მოვიდა კვეტარში: გაუცვნიხარო გიორგი მეფეს.

ალბათ მეფესაც ეყოლებაო დედა, ალბათ მეფესაც ეყვარებაო დედა.

დედა დააფიცეო მეფეს, შეევედრეო ჩემს მაგივრად, გამოგიშვასო დედის სანახავად.

ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც თვალი მოგკრა როგორმე. სიკვდილის წინ დაგლოცო, შვილო, შემდეგ ამისა ნუ შემრჩება სუნთქვა, შემდეგ ამისა მიმიღოსო უფალმა.

გზა რომ ვიცოდე, კვალი რომ ვიცოდე, თავათ წამოვიდოდი როგორმე, პურისმცხობლად დავდგებოდი შენს ახლოს სადმე, თავს არ დავზოგავდი, წამოვფორთხდებოდი როგორმე, ფეხები დამისივდა, ძველებურად ვეღარ ვჯდებიო ცხენზე.

ეგეც არ იყოს, ვინღა მიხედავსო მამას, ფხოვურ მიწაში მარტოკა მწოლარეს?

საკლავს ვინ შესწირავსო სულის საცხონებლად, ხუცს ვინ აწირვინებსო სალხენად მისდა?

ისევ ისა სჯობია თავათ ინახულოო მოხუცი დედა.

ეს შემოუთვალა არსაკიძეს დედამ, კალატოზის ბოდოკიას პირით.

ფხოველი დიაცი ჰყავდა ბოდოკიას, ლაზს.

არა ჰქნა დედაკაცმა ბარში ჩამოსვლა, ვერ მოვშორდებიო წინაპართა საძვალეს.

თავათ მიდიოდა ამიტომაც ბოდოკია სამ თვეში ერთხელ ცოლის სანახავად ფხოვს.

მას შემდეგ, რაც ფარსმან სპარსს აჰყარეს პატივი, არსაკიძე გახდა ხუროთმოძღვარი მეფისა.

მეფისათვის უნდა ეთხოვა მას ფხოვს წასვლის ნება.

ერიდებოდა თხოვნას.

თავათაც ენატრებოდა მოხუცის ნახვა, მაგრამ არ იქნა და ვერ მოთავდა სვეტიცხოველი.

რაც უფრო მაღლა მიიწევდა შენობა, უფრო და უფრო რთულდებოდა ოსტატის საქმე.

ხარაჩოები ინგრეოდნენ ზამთრობით, მუშახელი ზიანდებოდა.

დაიღუპებოდა რომელიმე ოსტატი, მშენებლობა შეფერხდებოდა.

კაცის მაგივრად კაცის პოვნა ხომ ადვილია, ოსტატის ნაცვლად ოსტატის გამონახვა ასევე ძნელი.

კარგად იცოდა კონსტანტინემ:

ქმნილების დაწყებაა მთავარი, მაგრამ დასრულება მისი უმთავრესია მაინც.

დიდი მოამაგე იყო მელქისედეკ კათალიკოსი, მაგრამ ჟამიდანჟამზე ხელს უშლიდა არსაკიძეს. ფარსმანის მაგალითით დაშინებულს, ყოველ წვრილმანში «წარმართობა» ელანდებოდა, უნებლიეთ ებრძოდა ბერიკაცი ქართულ მოტივებს, ძველბიზანტიურ მკვდარ სქემებზე შეყვარებული.

თავათ არსაკიძესაც ბერძნული სკოლა ჰქონდა ბიზანტიონში განვლილი. მას შემდეგ, რაც თავისთავადი გახდა ოსტატი, უღალატა მასწავლებელთა გზას.

(ეს ასე ყოფილა მუდამ: ვინც შეგირდი არ ყოფილა, ვერასოდეს გახდება ოსტატი, ვერც იგი გახდება ოდესმე ოსტატი, მუდამ ოსტატებს ვინც შეჰყურებს პირში).

იჭნეულად შესცქეროდა მელქისედეკი არაქრისტიანთ ოსტატთა შორის. უნიჭო ქრისტიანს არჩევდა ნიჭიერ ირანელს, ანდა სარკინოზს.

არსაკიძესაც ახელებდა მელქისედეკის უთავჟამო მითითებანი. მუდამ სძაგდა ისეთი ოსტატები, რომელთაც პირჯვრის წერის მეტი არა ესწავლათ რა.

გამოგზავნიდა ხოლმე რომელიმე მეჯადაგეს კათალიკოსი, მართლმორწმუნეაო, შემოუთვლიდა, გამოიყენეო ეს ოსტატი როგორმე.

სასტიკად ტუქსავდა ამ «მეჯადაგე ოსტატებს» არსაკიძე.

ბრაზმორეულნი გარბოდნენ ეზოსმოძღვართან, ხანაც კათალიკოსს დაუხვდებოდნენ წინ, მშენებლობის მოსახილველად მოსულს.

აბეზღებდნენ არსაკიძეს: მართლმორწმუნეებს სდევნისო «წარმართი ფხოველი», იბერიელბსა და ქრისტიანებს აქვეითებს, აწინაურებსო ლაზებსა და ფხოველებს.

გასულ წელს ხარაჩოებიდან ჩამოვარდა კალატოზი გარისელისძე, მოქანდაკე ქველაისძე, მეჩუქურთმე კვირიკაისძე, მეფის მხატვარი ოტობაია, მექანდაკენი: როსტომაისძე და წვერგრძელისძე.

წრეულს მიწისძვრის დროს, თებერვლის 3-ს, კედელი ჩამოწვა. ასზე მეტი მონა ხელოსანი გასრისა, სამას ფხოველთაგან მხოლოდ სამოცი გადარჩა.

ცუდი კვება და სახადი მუსრს ავლებდა მუშახელს.

მოაქუჩებდნენ ცხედრებს, დავითნს წაუკითხავდა ხუცესი, დაჰყრიდნენ ურმებზე და ჩაჰყრიდნენ ქალაქს გარეთ ორმოში (არც კაცს, არც ქვას, არც სიტყვას არ შემოუნახავს მათი სახელი).

არსაკიძე ჰხედავდა ამას ყოველივეს.

გული სტკიოდა, ვერ ბედავდა ხმის ამოღებას.

ასეთ დროს ტაძრის მიტოვება და ფხოვს წასვლა ღალატი იქნებოდა საქმისა უთუოდ.

«ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან».

იტყოდა ხოლმე არსაკიძე.

ღამემ დაივანა რატისეული სასახლის ხილნარში.

ვარსკვლავები აყვავდნენ ცაზე. კალთები შეუწითლდა დასავლეთით ცას.

ჯვარის მონასტერს წამოადგა მთვარე.

ტურების კივილი მოისმოდა შორიდან, კატები ღნაოდნენ ბაღჩაში.

შეკრთა ბნელში მდგომარე უეცრად.

ნონაი ეპოტინებოდა მკლავზე.

შესჭამეო რაიმე, შვილო.

დიდხანს უჯდა შუაცეცხლს ნონაის სამყოფელში ლაზი.

ქუმელი ძლივს შესჭამა მცირედი.

მადლი უძღვნა ნონაის.

ხელის დაბანა მოეწადინა.

ფრჩხილებზე დაიხედა უეცრად.

გაახსენდა: ფეხი რომ დაუცურდა ხარაჩოზე ამ დილით, მოებღაუჭა ძელს. ფრჩხილები დამსხვრევოდა მარჯვენაზე სრულიად.

დანა გალესა, ქნა დაუწყო ფრჩხილებს.

ადგა ნონაი.

წიგნი მოუტანა ყდაგახუნებული.

ფრჩხილის დაქნისათვის სწერიაო ამ წიგნში რაღაც.

«უკეთუ ურჩხულის დღეს ფრჩხილი დაიქნას ვინმემ, გულის სწორთან წაკიდებას ელოდეს იგი.

ვინცა ძროხის დღეს დაიქნას, სიხარულია უეცარი მოსალოდნელი.

კურდღლის დღეს – საყვარელთან წაკიდებასა, გველის დღეს – მორიელისაგან დაკბენას.

ცხენის დღეს – ქრთამებსა ფრიადს, ლომის დღეს – საწადელი აუხდეს».

თავი აიღო არსაკიძემ, შესცინა მხევალს.

«ვისია ეს წიგნი, ნონაი?»

«ფარსმან სპარსმა უსახსოვრა განსვენებულს რატის ოდესღაც».

დიდხანს იჯდა არსაკიძე კერასთან.

კითხულობდა სამთვარიოს, ცეცხლის შუქთან მიჰქონდა წიგნი.

ნონაი კუთხეში მიგდებულიყო დათვის ტყავზე.

ბოდავდა ძილში.

კენჭი შემოვარდა სარკმლიდან.

ჩქამი შეიცნო არსაკიძემ, მიიხედ-მოიხედა, კვლავ განაგრძო სამთვარიოს ფურცვლა.

ახლა მის ფერხთით დაეცა კენჭი.

ადგა, ბაღჩაში გავიდა.

ჭოტის ხმა მოდიოდა მუხოვანიდან.

შინ შებრუნება დააპირა და სწორედ ამ დროს გაიელვა ცაცხვის ქვეშ თეთრრიდიანმა ლანდმა.

მიეახლა თუ არა, მთვარის შუქზე ვარდისახარი შეიცნო.

დარბაზში აიყვანა სტუმარი.

შემკრთალი ეჩვენა ვარდისახარი, ქუშამომჯდარსავით ქშინავდა დიაცი.

ჭაღები დააქვრეო, ეს იყო პირველი სიტყვა სტუმრისა. შემოგვისწრებსო ვინმე.

ეუცნაურა მისი ნათქვამი არსაკიძეს.

სელი მოუტანა და დასვა დიაცი.

დარბაზს თვალი მოავლო ვარდისახარმა, მიაშტერდა კედელზე დაკიდულ ფარებსა და რკინის პერანგებს.

ისევ შეევედრა ვაჟს:

შუქი რაღად გინდა, დააქვრეო ჭაღები.

«რად უნდა დავაქრო, ქალავ? ნონაის სძინავს, რატისეულ მხევალს, სხვა ვინღა მოვა ამ ღამეში ჩემთან?»

თავათაც აიღო სელი, გვერდით მიუჯდა.

უფრო მეტად დამშვენებულიყო ტყვეობაში ვარდისახარი.

მოეწონა წაწალყოფილი.

ქედზე ხელი გადაჰხვია, აკოცა ყვრიმალში.

ნებას დაჰყვა დიაცი, წელზე ხელი მოავლო, მოიზიდა. თავი გადაუწია, დიდხანს, დიდხანს უწუწნიდა გოლეულივით ტკბილსა და ვნებიან ტუჩებს.

მერმე მოსწყდნენ ერთიმეორეს ვნებისაგან აღრეულნი.

თრიაქით მთვრალს მიუგავდა ვეფხისებრი თვალები დიაცს. ხორბლისფერი ნაწნავები დაუხსნა არსაკიძემ, თავის გარშემო სამკეცად შემოგრაგნილი.

ადექი, ტახტზე დავჯდეთო, შეევედრა ვაჟი.

აქ მირჩევნიაო, აიჩემა ქალმა.

კიდევ შეევედრა ვაჟი, მაინც გაჯიქდა ვარდისახარი.

მივიდა ვაჟკაცი, ბალღივით აიყვანა გათქვირული დიაცი და ტახტზე დააწვინა ძალით.

ქალი წამოდგა, ჯდომა სჯობიაო წოლას.

არსაკიძე გვერდით მიუჯდა ისევ.

თავი აარიდა საყვარლის ხვევნას ვარდისახარმა. შერისხა ვაჟმა, დიაცი ადგა, ტახტის წინ დაიჩოქა, მუხლზე თავი დაადო არსაკიძეს. ბალღივით აქვითინდა.

ვაჟმა არა ჰკითხა მიზეზი.

დიდი ხნის გაყრის შემდეგ მოსულს ანაზდად აუჩქროლდაო გული. ალერსითა და ლაციცობით მოიოხეს ვნება.

წყალი ითხოვა სტუმარმა.

მოიკლა თუ არა წყურვილი, გამხიარულდა, ატიკტიკდა თავისებურად.

შორენა ზედაზენს იყო, გუშინ მობრუნდაო ძლივს, გურანდუხტი შინ დახვდაო.

«ტირილით გადაეხვიენ დედა-შვილი ურთიერთს. ქვა ადუღდებოდა მათი შემხედვარე.

ნიშნობა იქნება მალე».

აქებდა, ადიდებდა ვარდისახარი გირშელს, ყველისციხის პატრონს.

ქვეშეცნეულად არ მოსწონდა ეს კაცი არსაკიძეს, არც მისი ხსენება იამა ახლა, მაინც ყურს უგდებდა დიაცის ტიკტიკს.

«გუშინ თვალი მოვჰკარი, – განაგრძო ვარდისახარმა, – ჰშვენოდა ცხენზე ჯდომა ერისთავს. გიორგი მეფეს მიჰყვებოდა ცხენდაცხენ. სულ რჩეული რაინდები ახლდნენ, თორ-აბჯარში ჩაჭედილნი სრულად. სახის იერით გიორგი ბრწყინავდა, ახოვნებით გირშელი – ყველისციხის პატრონი.

მოოქროვილი თორი ეცვა მეფეს, ხოლო ერისთავს მოვერცხლილი სრულად».

იჭვნეული იყო არსაკიძე ფრიად, განსაკუთრებით ვარდისახარის მიმართ. დღემდის ვერ ეპატიებინა მისთვის ოვსთა მეფის ხარჭად ყოფნა ოდესღაც.

«შენ მაინც რომელი უფრო მოგეწონა, ვარდო, გიორგი მეფე, თუ ერისთავი გირშელი?»

დამცინავი კილოთი შეეკითხა დიაცს.

კითხულმა ვერ გაიგო დაცინვა.

«მართალი გითხრა, გიორგი მეფე, – მე არ მიყვარს მამაკაცი ახმახი».

არსაკიძე აიმღვრა, მაგრამ დადუმდა.

აივნიდან ჩქამი შემოესმათ.

მასპინძელი გარეთ გავიდა.

ძაღლი დარჩენილიყო ტალანში. ძირს ჩაუშვა, კარი გადარაზა ისევ.

ვარდისახარი ზეზე დაუხვდა. ამბობს:

«შინ უნდა წავიდე, თორემ შორენა არ დაწვება უჩემოდ. ტანზე უნდა გავხადო ჩემს პატრონს».

«შეიცადე მცირე ხანს».

მიეახლა ვაჟი.

ტახტზე დასვა კვლავ. გვერდით მიუჯდა, თმა გადაუწია და ყურის ბიბილოზე აკოცა.

ატიკტიკდა ვარდისახარი ისევე.

საიდუმლო უნდა გაგიმხილო ერთი. ფიცის ქვეშ გამანდოვო გურანდუხტმა, შორენას დედამ.

დაინტერესდა არსაკიძე.

რა გიამბოო გურანდუხტმა ასეთი?

გაჯიუტდა დიაცი.

შეევედრა არსაკიძე კვლავ.

«მაშ შემომფიცე, შორენასაც რომ არ გაუმხელ».

სამკეცი ფიცი დასდო არსაკიძემ.

«თურმე ნუ იტყვი, – იდუმალის ხმით დაიწყო ქალმა, – შორენა როდი ყოფილა შენი ძუძუმტე».

«მაშ ვინა?»

შეაწყვეტინა გაოცებულმა სიტყვა.

«მზექალაი, კოლონკელიძის ხარჭის ნაშობი».

«სადღაა მერმე მზექალაი?»

«აკვანშივე მომკვდარა იგი თურმე».

ვარდისახარი მცირე ხანს შესდგა, ისევ მიმოიხედა და განაგრძო:

«ჰოდა... მზექალაი ყოფილა ძუძუმტე შენი».

«მაშ რად გვეუბნებოდნენ, ძუძუმტენი ხართო?»

«ალბათ მაშინაც იცოდნენ, ყმაწვილები რომ წაწლობენ ფხოვში, შეშინებია გურანდუხტს, ამიტომაც დაუთქვამს ძუძუმტეობა თქვენი».

ესა სთქვა ვარდისახარმა. ცბიერად გაუღიმა საყვარელს. თითქოს უსიტყვოდ ეკითხებოდა თვალებით: ხომ არ გაგიხარდა, რომ არა ხარო შორენას ძუძუმტე?

გაოცდა არსაკიძე ამის გამგონე. დიაცის ღიმილის შინაარსს არც კი ჩასწვდენია.

«მარტოკა იზრდებოდა კვეტარის ციხეში შორენა, აზნაურთაგანი არავინ იყო ახლომახლო, მონები სად გაუწევდნენ მეგობრობას აზნაურს? სიყრმიდან ერთად იზრდებოდით ორნი, ამაოდ დაუთქვამთ, ძუძუმტენი ხართო».

ესა სთქვა და კვლავ შეხედა გამომცდელი ღიმილით ვაჟს, გაკვირვების მეტი ვერაფერი ამოიკითხა მის სახეზე.

ადგა და ისევ დააპირა წასვლა.

«ამდენი ხანია არ შევყრივართ ურთიერთს, რად გეჩქარება შინ წასვლა, ვარდო?»

ეს უთხრა, თვალებში ჩახედა და დასძინა:

«სხვა ვაჟს ხომ არ დაადგი თვალი?»

გაწითლდა ანაზდად დიაცი.

საეჭვოდ ეჩვენა ეს გაწითლება ვაჟს. გაახსენდა: როცა გიორგი მეფეს აქებდა, უცნაურად ელავდა მის თვალებში ვნება.

ქედზე წაავლო ხელი დიაცს კვლავინდებურად.

«ჭაღები ჩააქრე».

შეევედრა ვარდისახარი კვლავ.

ბრაზმორეული ეუბნება ვაჟი:

«არა, არ ჩავაქრობ ჭაღებს».

მარჯვენა ხელი წელზე შემოარტყა მტკიცედ, მარცხენათი გულისპირი აართვა, შიშველ ძუძუებზე დაუწყო ლაციცი.

ნუო, შეევედრა ვარდისახარი, ოღონდ დღეს გამიშვი შინ, სხვა დროს გავეპარები პატრონს, მთელი ღამით მოვალო თუგინდ.

სხვა დროსო?

უარესად გახელდა ვაჟი.

სხვა დროს ეგებ სხვა მომინდესო მეც.

ქალი აილეწა.

ვაჟმა დაუყვავა.

ხელი დაავლო, ნატებით მოგებულ ტახტზე გადააწვინა.

გაიბრძოლა დიაცმა.

მუხლი დააჭირა მკერდზე ვაჟკაცმა, ცალი მკლავით ორივენი შეუკრა, ცალითაც გაუხსნა მოვის პერანგის საკინძე.

მარგალიტის ღილებს ნუ დამაწყვეტო.

შეევედრა ვარდისახარი.

ვაჟს აღარაფერი ახსოვდა უკვე.....

ყელზე ჰკოცნიდა, შიშველ ძუძუებზე ელაციცებოდა ხელით, წუწნიდა გოლეულივით ტკბილსა და ვნებიან ტუჩებს.

ხურვებაშეყრილივით უცახცახებდა მთელი სხეული დიაცს. თვალები უბზინავდა, ნაკოცნი ტუჩები და ბაგეები უნაბისფერი გაუხდა, მაინც ებრძოდა ვაჟს.

ისევ შეუკრა ხელები არსაკიძემ, მარცხენა ძუძუ ამოუღო მოვის პერანგიდან, დაუკოცნა, დაუსრისა გახელებულმა და როცა მარჯვენა გამოუღო ძალით, საკოცნელად უნდა მისწვდენოდა, წამოვარდა, ხელი შეუშვა დიაცს.

«ეს რა გატყვია ძუძუზე?»

ქალი გაწითლდა, გაინაბა, ვეღარ წამოდგა.

ვაჟი ისევ დააცქერდა მარჯვენა ძუძუს, ნაკბილარები შეიცნო.

გაცოფებული ზეწამოიჭრა, მიახალა უკმეხად:

«მეძავო, მრუშო, კიდევ არ იშლი ბოზობას? არ გეყო რაც გათრია ოვსების მეფემ?»

ვარდისახარი წამოვარდა, საკინძე გაისწორა. ეუბნება არსაკიძეს:

«მხოლოდ ამასა გთხოვ, ნუ შეურაცხმყოფ უბრალოდ. შენ მზესა ვფიცავ, არავისთვის გამიყვია შენი სიყვარული».

«ჩემ მზეს ნუ იფიცავ ამაოდ, შენი დაიფიცე, მრუშო».

ეუბნება ვაჟი, ჭირვეული ბალღივით აბაკუნებს ფეხებს.

«დამშვიდდი, დამშვიდდი, – ევედრება ვარდისახარი, – ოღონდ დამშვიდდი, ყოველივეს გიამბობ წვრილად».

«რას მიამბობ იმაზე მეტს, რაც საკუთარი თვალით ვნახე?»

ქალი ადგა.

საკინძე გაისწორა.

სამი მარგალიტი აეწყვიტა იჭვნეულს.

სად არისო ჩემი მარგალიტები?

სამივენი მოუძებნა არსაკიძემ, ხელში მიაჩეჩა გაწბილებულს.

«ალბათ ახალ კუროს უჩუქნია ესენი შენთვის თან წაიღე, არ დაგავიწყდეს. საჩუქრებზე ხარბი ხარ, ვიცი».

«შორენამ მაჩუქა მოვის პერანგი, მარგალიტის ღილებიანი, გუშინ».

ვაჟმა გესლიანად გაიღიმა.

ქალმა ეს უთხრა მხოლოდ:

«თუ ჩემს სიტყვას არ ერწმუნები, ისე იფიქრე, როგორც გენებოს».

ქალის სიმშვიდემ უარესად გაახელა ვაჟი.

«სთქვი ახლავე, ვისია ეგ ნაკბილარი, თორემ ცოცხალი ვერ გახვალ აქედან».

ვარდისახარი მიეჭრა, ტუჩებზე დააფარა ხელი.

«იყუჩე, შმაგო, მხევალი არ გააღვიძო, მოითმინე, გიამბობ ახლავე».

«ვინც არ უნდა მოვიდეს, ყველას ვეტყვი, ბოზი რომა ხარ და გამტეხელი ფიცისა».

კაბა გაისწორა ვარდისახარმა.

გულხელდაკრეფილი დაჯდა სელზე და უამბო ყოველივე, რაც შეემთხვა სამი დღის წინათ.

მეფის მალემსრბოლი მოვიდაო ხურსის სასახლეში, იმან მიყოო ეს ყოველივე.

«ის გერჩია, მოეკალი მალემსრბოლს მეფისას».

ქალი იჯდა, სტიროდა საწყალობლად:

თავზე დაადგა არსაკიძე:

«თუ მრუში არა ხარ, რად შეუშვი უცხო კაცი მარტოხელამ შინ?»

«შენ თვითონ იფიქრე, როგორ შემეძლო ტყვეს მეფის მიერ წარმოგზავნილი შინ არ შემეშო?

არც თუ მარტო ვყოფილვარ, მხევალი მელანია შინ იყო, მაგრამ დასძინებია მაგ ჩემი ცოდვით სავსეს».

«შენ თუ არა სტყუი, მაშ რა ერქვა მაგ მალემსრბოლს მეფისას?»

ქალი დაფიქრდა. თავი აიღო, თვალებში ჩააცქერდა ვაჟს, ყოყმანით ამბობს:

«ავშანისძე გლახუნა».

???

ზეწამოიჭრა არსაკიძე.

«მიტომაც აქებდი მეფე გიორგის, ბოზო?»

ეს უნდოდა ეთქვა, ენისწვერზე დაიჭირა სიტყვა.

გაიფიქრა თავისთვის:

«კიდევ უარესი, გიორგი მეფე ყოფილა თავათ, კბენას არ დაგაჯერებდა იგი».

ახლა სავსებით დარწმუნდა, მიღალატაო წაწალმა უცილოდ.

მიახალა დიაცს:

«აბა ადექი ახლავე, აღარ გნახოს ჩემმა თვალებმა, ბოზო».

აქვითინდა დიაცი, ისევ ფერხთით დაუვარდა. მუხლებს უკოცნიდა:

ნუ გამწირავ, უბრალო ვარო, სავსებით.

თუ შენ არ წახვალ, მე გაგეცლებიო ახლავე, – მიახალა ვაჟმა.

წამოვარდა პირგამეხებული ქალი.

ცრემლები მოიწმინდა, რიდე მოისხა:

«მე წავალ, მაგრამ შურს ვიძიებ, იცოდე».

როცა კიბეზე ჩააცილა არსაკიძემ სტუმარი, მთვარის შუქზედაც ამჩნევდა: მხრების თავები უტოკავდნენ ვარდისახარს.

ეს ამბავი მოხდა პარასკევს, ურჩხულის დღეს...

XXIX

Pour ètre plus qu'un Roi
tu te crois quelque chose.
თუ გსურს აღემატებოდე მეფეს,
უნდა წარმოადგენდე კიდევაც რაიმეს.

მთელი ღამე არ სძინებია არსაკიძეს.

ძაღლები ყეფდნენ ცაცხვების ქვეშ. ვიღაც აფორიაქებდა რატისეულ სასახლეს.

არსაკიძე ადგა.

ხმალი შეირტყა და ბაღჩაში გავიდა. ხილნარში არავინ აღმოჩნდა. ძაღლები გარს შემოერტყნენ, კუდს აქიცინებდნენ, თათებს უცაცუნებდნენ, ეალერსებოდნენ ახალ პატრონს.

ეძინათ ყვავილებსა და ფუტკრებს.

უცნაური ზუნი ისმოდა სკებიდან, ძილში გალობდნენო ეს საყვარელი მწერები თითქოს.

შორიდან, ძლიერ შორიდან მოდიოდა ხოხბის ყივილი.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

თეთრი, მთლად თეთრი ღრუბლები ელავდნენ მთებზე, ეს ღრუბლები, ეს ზეთისხილისფერი მთები ისეთი გამსჭვირვალენი იყვნენ, სადაცაა მოეშვებიან მიწას და გაიქნებიანო ეთერში.

მათ ქვემოთ, არაგვს შეყოლილი ბარი ზღვას მიაგავდა ლაზისტანის ყურეში მთვლემარეს.

იდგა არსაკიძე, იგონებდა ზღვასა და სიყრმეს.....

შინ შებრუნდა.

ხმალი შეიხსნა, ძილი არსად სჩანდა მაინც.....

ვარდისახარმა შეაშფოთა მისი გონება.

...ეს ღალატი? იგი არ ყოფილა მოულოდნელი.

ამაზე უფრო უცნაური სხვა რამე იყო: შორენა რომ არ აღმოჩნდა ძუძუმტე მისი!!!

ძუძუმტე!!!

მზექალაო?

ახლა იგონებს არსაკიძე: დედა ახსენებდა წარამარა ამ სახელს ერთხელ აწირვინა კიდევაც მისდა სალხენად ხუცს.

იწვა ბნელ დარბაზში პირაღმა. ისევ შორენას ეპოტინებოდა ფიქრი.

...და როგორც თიბათვის მიწურულს, სკაში გამოჩნდება თუ არა დედაფუტკარი ახალი, აიყრებიან, აზვავდებიან მამლები, გამოუდგებიან გაქცეულ დედოფალს, ასე წამოიშალნენ მისი ფიქრები და გასდიეს შორენას ამ წუთში.

მართალს ამბობს ვარდისახარი.

თავათ იგონებს ყოველივეს წვრილად, მზექალაის სიკვდილის შემდეგ ლაზისტანს წავიდა არსაკიძის ოჯახი, ხუთი წელი მანდ დაჰყვეს, კონსტანტინოპოლში – ათი. ბოლოს კვლავ მიბრუნდნენ ფხოვს.

გუშინდელ დღესავით ახსოვს არსაკიძეს შორენასთან შეხვედრა კვლავ, ახლად შეღერებული გოგონა იყო, ღაწვისთავებზე სცემდა ქერა კულულები. ხტოდა, უსტვენდა, ცელქობდა ბიჭსავით, ფაფარზე მოეჭიდებოდა, დააჭენებდა უბელო ცხენებს.

არსაკიძემ გადასწყვიტა: უთუოდ ენახა ამ დღეებში კოლონკელიძის ქალი. რაკი გურანდუხტი მცხეთას ჩამოსულა. არ გაძნელდებოდა შორენას ნახვა.

ისევე როგორც ფხოვში, მიუწვევლად შეივლიდა კოლონკელიძიანთ ოჯახში, ისე უბრალოდ, როგორც ძუძუმტე მივა ხოლმე ძუძუმტეს სახლში. გაახსენდა: ამ კვირას იმდენი საქმე ჰქონდა, გაძნელდებოდა ასეთი რამ. მარტოკაც რომ შეხვედროდა, მერმე რა?

თავათ ხომ ვერა ჰკითხავდა არსაკიძე, ფიცი ჩამოართვა ვარდისახარმა (რა ვუყოთ, რომ თვითონ ფიცისგამტეხელი აღმოჩნდა დიაცი?) როგორმე უნდა გაეგო არსაკიძეს: შორენამ თუ იცოდა ეს ყოველივე?

უცნაური რამ მოხდა მაინც: ერთის დაკვრით შეიცვალა სიყრმის მეგობარი მის თვალში.

მოაგონდა ის ღამე, სამთავროს ეკლესიაში, მწუხრის შემდეგ.

ეზოსმოძღვრის ყორნისფერი ანაფორა დალანდა.

რიდემოსხმული, თავჩაქინდრული მიდიოდა შორენა თავის მოახლეთა შორის. საოცარი ტანჯვის იერი გადასდიოდა სახეზე. თვალს არიდებდა ცნობისმოყვარე დიაცების ბრბოს.

მჭმუნვარე ფერნამკრთალობა განრთხმულიყო მის სახეზე, მხრებზე, მთელს ანაგობაზე.

მოურიდებლად უჭვრეტდნენ მლოცველები, მაინც მიდიოდა ქედმაღალი და გულმართალი, ამაყად მიჰქონდა ბედისაგან დაკისრებული კირთება.

ეს გაიფიქრა არსაკიძემ და წარმოუდგა მარჩბივი ჩვენება. ვარდისახარი ამოუდგა შორენას გვერდით.

კისკისა,

ტიკტიკა,

ფეროვანი, ჭარბვნებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული, მარად სიმდიდრის მონატრული და მქირდავი ბედისა.

მხოლოდ ვნებისათვის, მხოლოდ სარეცელისათვის გაჩენილა ეს აშარი დიაცი.

...ეგეც კმაროდა მისგან: საყვარელი ხელიდან ეცლებოდა და სამი ცალი მარგალიტის დაკარგვას მისტიროდა ხარბი.

ახლა ესეც მოაგონდა არსაკიძეს: როგორ ეკვინტრიშებოდა ვარდისახარი კვეტარის ერისთავს!.....

...ავხორცი იყო კოლონკელიძე. მხევლებს, მექათმეებს და ხაბაზებსაც არ ზოგავდა, ისეთ დიაცებს, თორნის პურის, ხინკლის და საბუდარის სუნი რომ უდისთ მუდამჟამს.

მისი ბუშების გაბარებისაგან სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული გურანდუხტს, საბრალოს.

არსაკიძემ თავათ წაუსწრო ერთხელ, სამრეცხაოში მიემწყვდია ვარდისახარი ერისთავს, გათქვირულ, შიშველ მკლავებზე სჩქმეტდა.

ხტოდა, კისკისებდა ვარდისახარი და ეს კისკისი მოაგონებდა არსაკიძეს გახელებულ ჭიხვინს იმ ფაშატისას, რომელიც განზრახ გაურბის ხოლმე მოძალებულ ულაყს, რათა მომეტებულად ააღელვოს მამრი და გაგრილებისას უფრო ხარბად დააცხრეს ვნებას.

როცა შორენა და ვარდისახარი პირისპირ წარსდგნენ არსაკიძის წარმოდგენაში, ოვსთა მეფის ხარჭაყოფილი კოლონკელიძის ქალმა დაჩრდილა ანაზდად.

ოდნავ ტლანქი, თითქმის მამაკაცური ხელები ჰქონდა ვარდისახარს, როცა თმას გადაიწევდა, საკმაოდ მოზრდილი, მოყვითალო ყურები გამოუჩნდებოდა ხოლმე, ხმა ჰქონდა ბოხი, იგიც მამაკაცური ოდნავ.

ფაქიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცვისის მჭმუნვარე ანგელოსი.

ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წკრიალა, როგორც ვერცხლის ეჟვნები, ხევისბერების დროშის ბუნზე შებმულნი.

ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად.

კედლისკენ მიბრუნდა არსაკიძე, თვალები დახუჭა, დაძინება სცადა, ადრე უნდა გასულიყო ხარაჩოებზე.

ზანზალაკების ჟღარუნი ისმოდა შორიდან, შოლტის ტლაშუნი კეპავდა ღამეს, არაგვის შუილი მოდიოდა მაინც, რომელიღაც ჩიტი აჭიკჭიკდა, ბულბული არ უნდა ყოფილიყო იგი, გაბმულად უსტვენდა სირი, ასე ეჩვენა არსაკიძეს, გულის მიჯნურს უხმობსო ბნელში.

ძაღლები აყეფდნენ სადღაც, ისევ დავარდა მყუდროება, ქათმებს დაუქშია ნონაიმ, ჟრუნი შუქი შემოადგა სარკმლებს და ძილმა გააბა პოტიკი მოლულულ წამწამებზე ძლივს.....

.....ეზმანა: შემოდგომის წყნარ დღეს მიდიოდა ვითომც თავთუხის ყანებში. მუხლისთავებზე სცემდა მწიფე თაველები, ყაყაჩოები ჰყვაოდნენ ირგვლივ. წითელი ჯახველი და კუნელი ელავდნენ აქა-იქ, მუხა იდგა ველზე, შტომრავალი და დიდი.

ქედნები შემომსხდარიყვნენ ზედ.

ტკბილად, ტკბილად ღუღუნებდნენ ქედნები...

სარწყავი რუები გადმოეშვათ კორდიდან. ხვატისაგან დახეთქილი მიწა ხარბად სვამდა წყალს.

საცეხვავის დარი დათვოულები გაემართათ ამ რუზე. დაქანცულ აქლემებსავით აკანტურებდნენ ეს ახმახი დათვოულები თავს. დაესხმოდა წყალი ძელის ბოლოს გამართულ გეჯაზე, აყირავდებოდა ძელი, გადმოიღვრებოდა წყალი, გაადენდა დათვოული ფიცარზე ბრაგვანს.

კვლავ შეიმართებოდა ძელი, კვლავ ივსებოდა გეჯა, კვლავ იღვრებოდა წყალი და ისმოდა დათვოულების რახუნი მორებზე.

განა თუ ერთი იყო დათვოული. სანამ თვალი გასწვდებოდა თავთუხის ყანებს, ყველგან იდგნენ დათვოულები, მთელს ხეობაში გაისმოდა გაბმული რახუნი...

მთლად საოცარი ეს იყო: ამ დათვოულების მიუხედავად, მაინც გავსილიყო თავთუხის ყანები დათვებით. კოტრიალებდნენ, ღრიალებდნენ მხეცები, ტორებით თქერავდნენ პურეულს.

მიდის არსაკიძე ყანაში, ხედავს, – შორენა მოადგა გაღმიდან რუს.

ისკუპა ისე მკვირცხლად ქალმა, ისე, როგორც ნადირობის დროს ეს სჩვეოდა ფხოვში.

მოდის. მოარღვევს თავთავების ზღვას. თოვლივით თეთრი აცვია სამოსი, სოსანისფერი საწმერთული ზედ.

თავი დახარეს თავთუხის თავთავებმა, ნაზად იზნიქებიან ყაყაჩოებიც.

ერთბაშად მოსწყდნენ მუხის შტოებიდან ქედნები, მხრებზე შეასხდნენ შორენას და მორთეს ღუღუნი.

აღრიალდა ორი დათვი შორენას დანახვისას. მწიფე წაბლისფერი ერთი, გვიმრისფერი მეორე.

ზეაღიმართნენ, მოალაჯებენ კაცურად, ღრიალით მიაშურეს ქალს.

მიარღვევს არსაკიძე თავთუხის ზღვას, უნდა მიუსწროს, გაჰკვეთოს ორივენი ხმლით, გადაარჩინოს გულის სწორი განსაცდელს.

ხმალი მოიზიდა არსაკიძემ, მაგრამ გაუჩხიბავს ვიღაცას ხმალი. მიეშურება, – თაველების ფხა ედება ფეხებზე, მუხლები ისე დაუმძიმდა, ჩაფლულაო ფისით გავსილ ზღვაში.

დათვები ღრიალებენ, ტორით თქერავენ ოქროსფერ თავთავებსა და წითელ ყაყაჩოებს, სადაცაა ეცემიან და გაბდღვნიან შორენას.

«ჰარაი»!

ყვირის არსაკიძე, მაგრამ აღარ ერჩის ხმაც.

«ჰარაი!!!» ყვირის არსაკიძე და მიარღვევს ყანას, ყანას კი არა, ფისის ზღვას, თავთუხის ფხა ებლანდება ჩოხის კალთებზე, ვერ იძვრის ვაჟკაცი.

დათვები ფერხთით დაუწვნენ შორენას, აღარ ღრიალებენ, აღარ ტორავენ მიწას. შორენამ თავზე ფეხი დაადო ერთს, საწმერთულის ტოტი გამოუჩნდა, ვაზის ფურცლებიც, ზედნაქარგი ოქროთი. მერმე დასწვდა ორივეს, ეალერსებოდა ორივეს ქეჩოზე.

შორიდან შესცქერის გარინდებული არსაკიძე, თუ ვით ეფერება მისი უნაზესი მეგობარი მხეცებს.....

ქედნები შემომსხდარან შორენას მხრებზე, სულზე უტკბესს სძლისპირებს გალობენ, ნაზად იდრეკენ წითელი ყაყაჩოები კლერტოებს, იზნიქებიან ოქროს თაველები, თაყვანსა სცემენ სანატრელ სასძლოს. დათვები მის ფერხთით წვანან, ვნებამორეული აფახულებენ თვალებს.....

სწორედ ასეთ დროს გააღვიძა არსაკიძე ნონაიმ.

დარბაზში მკრთალი შუქი იდგა.

აბრძანდი, ბატონო, მორიელებმა გამოსტეხესო ქვითკირი.

XXX

«ვეფხის დღესაა განსაცდელი მოსალოდნელი».
ფარსმან სპარსის სამთვარიოდან.

შიში უცხო იყო არსაკიძისათვის.

რა დროს მორიელებია? დამაცალეო ძილი.

«თუ არ გჯერა, აგერ გაჩვენებ, ბატონო».

ესა სთქვა, ორი მორიელი აჩვენა ჩხირზე წამოგებული ნონაიმ. არსაკიძე გაოცდა.

«ერთი ჩემს სამყოფლოში მოვკალი წუხელ, ერთიც ამ დილით, შენი სასთუმალის გასწვრივ».

არსაკიძე წამოდგა.

ჭაღები აანთეს, გოგირდი დაახრჩოლეს. სჩხრიკეს დიდი დარბაზის კედლები. სასტუმროს, საწოლის, მხევალთა სამყოფლოის ხვრელები და ჭუჭრუტანები, ვეღარსად ნახეს სხვა.

ჭაღი აიღო ნონაიმ, ეგებ სარდაფში წავაწყდეთო რაიმეს, ობობის ქსელით დაბლანდული იყო ირგვლივ ყველაფერი.

ობის სუნი იდგა სარდაფში.

დაჟანგული თორები და ზუჩები ეკიდა კედლებზე. კაცისა და ცხენის ჯავშანები, უნაგირები, საბარკლენი, სამკლავენი, პოლოტიკნი და ბექთარნი, შუბები, წათები, ხარჩა და ქიმურჯნი დიდ-დიდნი, საბრძოლო ბოძალნი, ჯიხვისა და ირმის რქები, ჩუგლუგები, დაჟანგული ხმლები.

ღამურებით გავსილიყო იქაურობა.

თავქვე ეკიდნენ მღამიობები ჭერზე. ჭაღის შუქზე დაფრთხნენ, წრიპინი ასტეხეს, მორთეს რიალი ირგვლივ. აწყდებოდნენ ჭერსა და კედლებს, ტყაპანით ძირს სცვივოდნენ ზოგნიც, ფართხალებდნენ საწყალობლად მტვერში.

ერთ კუთხეში ირანული განჯინა იდგა, სადაფებით მოოჭვილი. ძველი ეტრატები ეყარა ზედ, ხატების ნამუსრევი, ძველებური სამაჯურები, აზარფეშები და ფიალები.

სიძველეთა მოყვარული იყო არსაკიძე, მორიელების ამბავი გადაავიწყდა. განჯინას მიადგა, ამ ძველ ნივთებს დაუწყო ჩხრეკა.

სათითაოდ ხელში იღებდა, მტვერს აცლიდა, უჭვრეტდა, თარიღებსა და წარწერებს უთვალთვალებდა.

ფიალებს შორის სავსებით უცნაური ნივთი იპოვნა ერთი, მტვერსა და დინგელში ამოგანგლული სრულად.

გასწმინდა, დინგელი შემოაცალა.

ეს აღმოჩნდა ბეჭდისდარი ტვიფარი სპილენძისა, მელის სახე იყო ამოჭრილი ზედ.

ჭაღთან მიიტანა არსაკიძემ ტვიფარი, არავითარი თარიღი არ აჩნდა მას.

«ეს რაღაა, ნონაი?»

ეკითხება მხევალს.

ნონაი დადუმდა. გაოგნებული შეაშტერდა პატრონს. მუშტით მოიკუმა ბაგე.

არ მოეშვა არსაკიძე მხევალს.

არ არისო მართებული მიცვალებულის აუგად ხსენება, – ამბობდა მხევალი.

ისევე შეევედრა არსაკიძე ნონაის, უნდა მამცნო, თუ რას მოასწავებსო ეს ტვიფარი მელის სახისა?

ბოლოს ვეღარ დაიტია საიდუმლო დიაცის გულმა.

«ეს მოხდა ჟამიანობის წელს, მე ახლად მოყვანილი ვიყავი აფხაზეთიდან ამ სახლში. ხუთშაბათს, თებერვლის სამს, ნაშუაღამევს, სამჯერ იძრა მიწა.

ღართისკარის ციხე დაზიანდა იმ წელს. სამეფო პალატები ჩამოიქცა უფლისციხეში.

მეფე გიორგი ომში იყო, აღარ მახსოვს ვის ეომებოდა მაშინ.

სამი კვირის შემდეგ ჟამიანობა დაიწყო, მამათა მონასტერში დიდძალი ბერი იმსხვერპლა სენმა, ჟამმა მოჰკლა მცხეთის მიტროპოლიტი იოანე.

ბოლოს მეციხოვნე ლაშქარს მისწვდა ის წყეული. ერთ თვეში ათასამდე მონასპა დაიხოცა არაგვის კარისა და ხუნარისას ციხეებში.

მუცლით მეზღაპრენი მეორედ მოსვლას აუწყებდნენ ხალხს. ქადაგად დავარდა დაყუდებული ბერი, ანთიმოზ.

ხალხს ამცნო: მწვალებლები არიანო მცხეთაში და ამიტომაც განრისხდაო უფალი.

შესმენილ იქმნა მელქისედეკ კათალიკოსის წინაშე ხურსი აბულელი და მისი სახლთუხუცესი რატი.

ხურსი ვერ შეიპყრეს, რადგან ჯერ კიდევ სარკინოზებთან გაქცევამდის, მთიულებთან იმალებოდა ხურსი. მოგეხსენება, დაბალ ღობეს უმალ მისწვდებიან.

ფიწლებით შეიარაღებული ბრბო შეუცვივდა სასახლეში რატის, მცირე ხანს იმ კოშკს შეაფარა საცოდავმა თავი, სწორედ მაშინ მოარღვიეს ჩარდახი კოშკს, ცეცხლი შემოაგზნეს, გამოიყვანეს ძლივს.

ჩაქოლვა უნდოდათ, მაგრამ მელქისედეკმა შეივრდომა. ბოლოს მოვიდა ეზოსმოძღვარი ამროსი.

მელის ტვიფარით დავდაღოთო ეშმაკის კერძი.

ამ სარდაფში შემოათრიეს ბედკრული.

ეგ ტვიფარი გაახურეს ცეცხლში, მელის სახით დადაღეს, როგორც მწვალებელი და სატანის თანაზიარი».

«შენ რა გგონია, ნონაი, ახლა, ბრალი თუ მიუძღოდა რაიმე რატის?»

შეეკითხა არსაკიძე.

«მენა? მწვალებლობისა რა მოგახსენო, ბატონო, ერთი ბნელი დიაცი გახლავარ მენა, ან ამდენი სად გამეგება, მაგრამ ეშმაკი, რაც მას ვემსახურებოდი ათი წლის მანძილზე, ეშმაკი თვალით არ მინახავს ამ სასახლეში, მენა».....

არსაკიძე დადუმდა.

კვლავ აიღო მელის ტვიფარი ხელში. ახლა უფრო დაკვირვებულად დაუწყო ჭვრეტა.

ნონაიმ ყოველ კუთხეში დაახრჩოლა გოგირდი.

•

საუზმის დროს ისევ მორიელების გამო ჩამოაგდო ნონაიმ სიტყვა.

რატის ვაჟი, საცოდავი ვაჩე, დაკბინესო ამ სარდაფში მორიელებმა.

«ოდითგანვე წყევლა სდებია რატის ოჯახს, მესამე მუხლის ნაშიერთაგანს ყოველს მორიელი დაჰგესლავდა თურმე».

გულში გაეღიმა არსაკიძეს ამის გამგონეს, მაინც ბოლომდის მოუსმინა მხევალს.

«ნადირობიდან მობრუნებულიყო რატის ვაჟი გვიან, შესულიყო სარდაფში, აფათურებდა სიბნელეში ხელს და სწორედ ამ დროს მისწვდენოდა მორიელი თურმე.

და ეს მოხდა ურჩხულის დღეს»...

ნაღვლიანად დასძინა ნონაიმ.

ურჩევდა არსაკიძეს მხევალი:

«გიორგი მეფე დიდად გწყალობს, ბატონო, სთხოვე სხვა სასახლე მოგიჩინოს სადმე, თუ მეც თან წამიყვან, ხომ კარგი, თუ არადა ჯვარი გწერია ჩემის თვალისაგან, მე მაინც განწირული ვარ, ბატონო, სხვასაც ბევრს შეაძლიეს ეს სასახლე შენამდი, არავინ დადგა ამ წყეულ სახლში. მხოლოდშობილი ხარ დედიშენისა, მებრალები ვაჟკაცი, ბატონო».

გაიღიმა არსაკიძემ.

«ეჰ, ჩემო ნონაი, მე ხმლით სიკვდილი დამითქვა მუცლით მეზღაპრემ ერთმა, ასე რომ მორიელის გესლი ვერას დამაკლებს».

არსაკიძე ადგა, წასვლა დააპირა.

შეევედრა ნონაი, – ცუდი სიზმარი მქონდა, ბატონო, ნუ წახვალო სამუშაოზედ დღეს.

სამაგიეროდ მე მქონდაო კარგი სიზმრები, – გაიცინა არსაკიძემ.

შინიდან გამოსულმა პირჯვარი გადაიწერა მაინც.

ნისლი დასწოლოდა ხილნარს. გიშრის ორნამენტებივით მოსჩანდნენ ტოტები და შტოები. ფოთლებს სილურჯე გასცლოდა, მდელოს გახუნებოდა ფერი. ცვარის ნიჟარები ცახცახებდნენ ყვავილების სათუთ წამწამებზე.

ჯანღს დაებურა მთები.

დაძრულიყო ნისლი კავკასიონის თვალშეუდგამ ქარაფებიდან, ხეობებიდან, ღრანტებიდან გადმოხვეწილი გამოჰყოლოდა არაგვის ხეობას და აევსო ქვეყანა არმურით...

თემშარაზე გასულს ზანზალაკების ჟღარუნი მოესმა. ქიმერებივით მობობღავდნენ აქლემები ნისლში. გამვლელები დალასლასებდნენ ირგვლივ, როგორც ლანდების უცნაური ბერიკაობა.

აღარა სჩანდნენ მეფისა და კათალიკოსის სასახლეები, მათი მიმდგომი გალავნები, ციხე-კოშკები, ქვითკირები, ქარვასლები, ფანჩატურები.

ცისკიდურებზე ნაჩრდილევიც აღარსად იყო.

ამ ნისლში ჩაფლულ სასახლეებს, ციხეებს და ფანჩატურებს, ყველას ზედ დასცქეროდა სვეტიცხოველი.

ნისლს ვერ დაეთრგუნა მისი უცნაური ტანკენარობა და ისეთ წუთებში, როცა შენობებსა და ხეებს, კაცსა და ცხოველს, ყვავილსა და ფოთოლს, ყველას გასცლოდა პირველადი მშვენება და ხალისი, იდგა ეს ტაძარი უფრო დიდებული, ვიდრე ნამდვილად იყო ამ წუთში.

წვრილმანი ზადი ნისლს დაეფარა, ხოლო ანაგობას მისას ვერ მორეოდა იგი, ასე რომ შორიდან მაცქერალს დასრულებული ეგონებოდა ტაძარი.

ჟამის მანძილიდან შესცქეროდა გახარებული ოსტატი თავის ქმნილებას.

«როცა ყველაფერს წვიმა წარხოცავს, როცა ყველა ხმას ქარი წაიღებს, სვეტიცხოველი შეიმატებს დიდებას კიდევაც.

მართლაცდა სხვა რა ევალება ოსტატს, თუ არ წამიერის მარადჟამულად ქცევა? სხვა რა ევალება ამქვეყნად ოსტატს თუ არ ჭიდილი წარმავლობის ნისლთან?»

გადაელახა ზედაზენისა და არმაზის მთები, ტაშირისა და ტაშისკარისკენ დაძრულიყო ნისლი.

•

ტაძრის კარიბჭესთან უხიაგი ამბავი დაახვედრეს ახალი: გუმბათზე ფიქალის დაგებისას ფეხი დაუცურდა თურმე კირითხუროს კარაისძეს სტეფანოზს, მიწამდი არ დაჰყოლია მაგ უბედურს სული.

შემზარავ სანახაობას წააწყდა ხუროთმოძღვარი მეფისა. ტვინი და თმები ურთიერთში აღრეულიყო. არსაკიძემ ბრძანა და ტაძარში დაასვენეს მისი ადღვებილი ნეშთი. ტაძრიდან გამოსულს სამცხელი მონები შემოეხვივნენ გარს.

უმი მხალის მეტს არას გვაჭმევენ, აღარ არისო სამუშაო ღონე.

ასისთავმა შემოსჩივლა: ცამეტი მონა გაგვექცაო წუხელ.

«წავალ, ვინახულებ განმგეთუხუცესს, ეგებ საკვები მისცენო რიგიანი მონებს».

ეს გაიფიქრა არსაკიძემ, გამობრუნდა გულარეული.

გალავნის კარებთან კალატოზი შემოეყარა ყბაახვეული. გუშინ საღამოს ბერძენ მუშებს გვცემესო ლაზებმა.

კირითხუროი ბოდოკია ახმობინა არსაკიძემ, გულმართალი კაცი იყო ბოდოკია, ლაზი.

დაამოწმა მოხუცმა: მართლაც სცემესო ლაზებმა ბერძნებს, ისიც დასძინა: ჩვენს ლაზებს მიუძღოდათო ბრალი.

ახალგაზრდა მონა წათაია წასტანებია ბერძნის ულუფა ოსპის წვენს.

აყვირებულა ოსპის პატრონი, წათაიას შემოუკრავს და წაუქცევია ბერძენი. ბერძენს ბერძნები მიშველებიან, შემოკრებილან ლაზებიც, წასარჩლებიან ლაზს, ვაგლახად დაუჟეჟავთ ბერძნები.

არსაკიძემ სასტიკად დატუქსა თვისტომნი და გადავიდა ტაძრის ეზოდან.

მზეს ყური ამოეყო უკვე. ჯერაც ისეთი ყვითელი იყო იგი, როგორც კვერცხის გული რძეში ნახარში.

ნელ-ნელა გაიფანტა ნისლი, ჰაერი ამღვრეული მოსჩანდა მცირე ხანს, როგორც არაგვის საგაზაფხულო დიდროაის ჟამს.

ციხეების კბილოვანი ქონგურები გამოჩნდნენ ცისკიდურებზე, კოშკების, სასახლეების, ქარვასლების ზეთავები მოიხატნენ ცაზე.

ჯერ ნახშირისებრ მრუმე ხაზებით გარსმოვლებულნი მოსჩანდნენ ისინი. გამოხდა ხანი, მუქი სვირინგები გაიცრიცნენ მინისფერ ფონზე.

ლაინისფერი და იისფერი ებრძოდნენ ურთიერთს ცარგვალზე მცირე ხანს, ენდროსფრად შეიღებნენ დურაჯისფერი ქულები, კრაველებივით მიმობნეულნი ცაზე, ბოლოს სოსანისფერი წამლებით შეღება ღრუბლები უჩინარმა არსთა მხატვარმა, იფეთქა ფურცლოვანში სიმწვანემ და აჟღურტულდნენ ჩიტუნები საამოდ.

სასახლის ბაღში ფარშავანგები ჩხაოდნენ უკმეხად.

ნაშუადღევამდის უცადა არსაკიძემ განმგეთუხუცესს, მერმე ასე უთხრეს: უფლისციხიდან მოველითო. მცირე ხნის შემდეგ თუ შემოივლი, აქ დაგხვდებაო უცილოდ.

თავი სტკიოდა ღამენათევს.

ასე იფიქრა:

ბაღში გავივლი, გამიაროსო, ვინძლო ტკივილმა.

ალუჩების მწვანეში ბულბულები უსტვენდნენ. წინა ღამით დაწყებულიყო ხეხილიდან ყვავილების ცვენა.

მიწის წვენით დაბერილი კვირტები უღიმოდნენ მზეს. თოვლის ფიფქივით მოეჩითა ყვავილთა ნამუსრევს მიწა, ახლაც მოციალებდნენ ისინი ჰაერში ამოდ. მშვლები დაჯირითობდნენ ბაღში.

კოლონკელიძისეულ ირმებს თვალს შევავლებო, ეს გაიფიქრა არსაკიძემ, საჩიხესკენ მიმავალს დაადგა ბილიკს.

საჩიხეს ფალანგთან სეფე-მოახლენი დაუხვდნენ სამნი. ვერც ერთი ვეღარ იცნო ლაზმა.

ერისთავის ქალს ვახლავართო, ამბობდა ჭორფლიანი მოახლე.

საჩიხეში შესულიყო თავათ შორენა. ეფერებოდა, თვალებს უკოცნიდა ნებიერას. გარინდებული იდგა ლომისფერი ირემი, ალერსიანი თვალებით შესცქეროდა თავის გამზრდელს.

ადამიანსა და ნადირს უსიტყვოდაც ეპოვნათ საერთო ენა.

ნესტოები დაბერვოდა ნებიერას, აპაკუნებდა გიშრისფერ ჭლიკებს. მხოლოდ მაშინ მოიხედა შორენამ, როცა ირემი შეკრთა უცხო პირის მიახლებისას.

ველის ყაყაჩოსავით შეუწითლდა ღაწვები ქალს. თვალებიდან იელვა ზღვისფერმა სილურჯემ.

გახარებულმა მიაძახა:

«უტა!»

ეს არ იყო ბავშვობაში შერქმეული უბრალო სახელი, არამედ გაცილებით უფრო ტკბილი, ვიდრე მოგონება სიყრმისა, დედის ალერსს იტევდა იგი, დაღუპული მამის გლოვას, ლაზისტანის მშობლიური ზღვის შრიალს, ფხოვში გატარებულ სიჭაბუკის ლხენას.

ამ სიტყვაში კვლავ განეცხადა მას ის ბედნიერი წუთები, როცა პირველად შეხვდნენ ისინი ურთიერთს ფხოვში, როცა არც ერთმა მათგანმა იცოდა, თუ რა იყო მათ შორის ქალი და ვაჟი.

ახლა?

ახლა უკვე დობილის ხმა როდი იყო ეს, არამედ ძახილი ქალისა.

არსაკიძე მიეჭრა, მაგრამ კვლავინდებურად გადახვევა ვეღარ შეჰბედა, ორივე ხელი დაუკოცნა სახეალეწილმა.

შორენა გაოცდა ანაზდად, მაგრამ არა უთხრა რა, მარჯვენა ლოყაზე აკოცა ვაჟს.

მყისვე შეამჩნია ყვავილის მიერ ოდნავ დაკენკილი სახე. ეკითხება შემკრთალი:

«რა მოგივიდა, უტა?»

არსაკიძეს არც კი ახსოვდა, ნაყვავილევი რომ აჩნდა სახეზე, იფიქრა: ძველებურად რომ არ მოვეხვიე, ეუცხოვა ქალს, ალბათ.

«რაო, რას იკითხავ, შორენა?»

«რა მოგივიდა სახეზე, უტა?»

«ყვავილი მოვიხადე მცხეთაში».

«ვინ გივლიდა, ბედშავო?»

«გომურში ვეგდე უპატრონოდ, გარეუბანში, მონაზონი მივლიდა სამადლოდ ერთი».

არსაკიძის თვალი შორენას ანაგობას მისწვდა.

ალმასის ქუდი ეხურა ერისთავის ქალს, კვერნის ქათიბი ზედ ეცვა, მარგალიტის საყბეურებით და ხოხბისყელისფერი საწმერთული, ოქრომკედით ტოტებმოქარგული.

წინა ღამის სიზმარი მოაგონდა ანაზდად, ყაყაჩოებისა და თაველების თაყვანისცემა. თავთუხისფერი თმები ჰქონდა შორენას, თვალებში უელავდა ლაზისტანის ზღვისა სილურჯე.

გაოცდა არსაკიძე: რა მალე ამიხდაო ზმანება.

ფაქიზი იყო ამ დილითაც იგი, როგორც ქერუბიმის ფრთენი, ხმა ჰქონდა წკრიალა (ვერცხლის ეჟვნები, ხევისბერების დროშას შებმულნი!..). როცა საჩიხედან გამოვიდნენ, მოახლეების სახეზე გაოცება ამოიკითხა ლაზმა.

სჩანდა უკვირდათ კიდევაც: რად მიესალმაო ასე ტფილად ერისთავის ქალი ვიღაც «ფხოველს», კირით მოთხუნულ ჩოხაში მორთულს.

დაწინაურდნენ.

მოახლეების ვინაობა იკითხა ვაჟმა.

«დედოფალთან ვიყავი წვეული, სეფექალები თან გამომატანა ნებიერას სანახავად წამოსულს».

ნეტარების ღიმი ეხატებოდა არსაკიძეს სახეზე.

დაცვარულ მწვანეში მხიარულად უსტვენდნენ სირნი, ჟრიამულით ეგებებოდნენ ნისლის ზღვიდან მშვიდობით გამოსულ მზეს.

ახლა მოაგონდა არსაკიძეს, მზის დაბნელებას მოელოდნენ ამ დღისათვის ვარსკვლავთმრიცხველნი. გამტყუნდა ფარსმან სპარსის ვარაუდი ამჯერად.

მიდიოდა არსაკიძე შორენას გვერდით.

ამო იყო მისი სუნთქვა და მისი ხმა, ნაზი და ველური იერი ჰქონდა თავათაც, უფრო სანუკველი, ვიდრე საგაზაფხულო ნელსურნელება მიწისა.

წარამარა ახსენებდა არსაკიძის ლაზურ სახელს. ძველებურად ეტიკეტიკებოდა «უტას», როგორც ნაძმობს, როგორც ძუძუმტეს.

მხოლოდ ერთმა ამბავმა გააოცა არსაკიძე ფრიად. სიტყვაც არ დაუძრავს თავის დანიშვნის გამო, არც გირშელი უხსენებია, ყველისციხის პატრონი.

ვარდისახარი მოიგონა რატომღაც.

მომავალ კვირას ვათხოვებთო ვარდისახარს.

არსაკიძემ დაიჭირა გამომცდელი შემოხედვა ქალისა: ყველაფერი ვიციო, რაც რამ მომხდარა თქვენს შორის ოდესმე.

ეს ამოიკითხა მის მზერაში ვაჟმა.

გულის გარეთ შეეკითხა არსაკიძე:

ვის მიათხოვეთო ვარდისახარი?

«მეფე გიორგის ბრძანებით, ფარსმან სპარსს».

მცირე ხნის დუმილის შემდეგ დასძინა ერისთავის ქალმა: «მხოლოდ ამ დილით დაითანხმა დედამ, ასე ამბობდა მანამდის: მონაზვნად შევდგები, ან არადა, არაგვში დავიხრჩობო თავს».

მეფის სასახლემდე მიაცილა კოლონკელიძის ქალი კონსტანტინემ. გამოთხოვებისას ეუბნება შორენა:

«ხურსისეულ სასახლეში გვინახულე, უტა».....

მიდიოდა წაბლების ხეივანში. ყოველ წუთს თვალწინ ედგა შორენა. მისი ხმა, მისი სუნთქვა ჯერაც არ გაჰყროდა არსაკიძის ცხოვრებას.

ასე ეგონა: გვერდით მომყვებაო კიდევ. ახსენებდა თითქოს მის ლაზურ სახელს, აგონებდა სიყრმეს, სიჭაბუკის შეწყვეტილ ლხენას, დედას უნაზესს, ფხოვურ მაღალ ცას და ლაზისტანის კამკამა ზღვას.

ისევ მოესმა სივრცეში შორენას ხმა, ისევ იელვა მის წინაშე ზღვისფერმა თვალებმა.

უმზაკვრო იყო მისი შემოხედვა, ზეცის რეკვასავით ამო – მისი ხმა.

«მართლაც, მართლაც ღირსია შორენა ველის ყაყაჩოები თაყვანსა სცემდნენ. ოქროს თაველები თავს იდრეკდნენ მის წინაშე და უმძვინვარესი მხეცები ეგებებოდნენ ფერხთით სანატრელს». ასე ეგონა არსაკიძეს ამ წუთში, სავსებით ახალი ადამიანი შემატებოდა მის ცნობიერებას. აღარა ჰგავდა იგი ფხოველ ძუძუმტეს. ხელახლად შობილაო ეს ქალი მისთვის, ამ გაზაფხულის მშვენიერ დილას.

•

სხვა რამეც უკვირდა არსაკიძეს:

«ვარდისახარი... ფარსმან სპარსს?»...

ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე მსაჯულთუხუცესის მიერ წვეული იყო ფარსმანი, რაღაც საშინელი ბრალის გამო პასუხის საგებლად.

ახლა ვაზირებს გადაუწყვეტიათ მისი დაოჯახება, თითქოს რომელიმე დიდი ერისთავი ყოფილიყო ფარსმანი, ისე გულმოდგინედ ეკიდება მის დაქორწინებას მთელი სასახლე...

«უცილოდ მოსჭორა დიაცმა გლახუნა ავშანისძის გამიჯნურების ამბავი. სეფექალები რამ გამოლია სასახლეში, ოვსთა მეფის ხარჭაყოფილს რომ არ დასხმოდა გიორგი მეფე თავს?!»

მხოლოდ ეს იწვევდა ნატამალს იჭვისას: ბებერ ფარსმანს ვინ მისცაო საკბენი კბილები?

ან გიორგი მეფის შერქმეული სახელი «გლახუნა ავშანისძე» სად გაიგონა ვარდისახარმა?

ამ წუთში სამუდამოდ შესძაგდა ეს ქალი.

ინანა: ფხოვურ ცის ქვეშ გატარებული ტკბილი ღამეები, ინანა თავისი პირველი ვნება ამ «უსირცხვილო სიძვის დიაცის მიმართ».

.....

XXXI

განმგეთუხუცესი უცხვირპირო კაცი აღმოჩნდა. უკმეხად მიიღო ხუროთმოძღვარი მეფისა.

კურდღლის ტყავის ჯუბაჩა ეცვა, ზანტად აფახულებდა ლოპინარისფერ თვალებს. უზარმაზარ სელზე იჯდა სახედაჭმუჭვნილი, უკბილო ბებერი.

იჭვნეულად შესცქეროდა არსაკიძეს თავის დაფანჩვულ, თეთრ წარბებიდან.

ქუშამომჯდარ ცხენსავით ქშინავდა, უსიტყვოდ უსმენდა არსაკიძეს. როცა მოხსენება მოათავა ლაზმა, თავი აიღო ბერიკაცმა, მკლავი შემოიდგა ყბაზე და უგუნებოდ შეეკითხა ხუროთმოძღვარს:

«ოსპის წვენის გამო წაკიდებულან ლაზები და ბერძნები?»

დიახო, დაუდასტურა არსაკიძემ იმ იმედით, საზრდოს გამოუცვლიანო მონებს.

«ალბათ გემრიელი ყოფილა ოსპის წვენი, არა?»

ესა სთქვა, ულოსავით დაგრეხილ, თეთრ ულვაშზე ჩამოისვა პეშვი, მერმე დაასწრო სტუმარს, სელიდან წამოდგა და გესლიანი ღიმილით ეუბნება:

«ეს იცოდე, ჭაბუკო, მაძღარი მონები ვერაფერს შეჰქმნიან კარგს. ეს ციხეები, ეს ეკლესიები და ეს სასახლეები მშიერების მიერაა აგებული».

სახეში შეაჩერდა არსაკიძეს და ეკითხება:

«შენ ლაზი ხარ, ხომ?»

«თუ ლაზი ხარ, ეგეც გეცოდინება, ჭაბუკო, სადოღე ცხენი თუ გააძღე, ჰელოზე სხვა მიასწრებს უცილოდ, მწევარი თუ გააძღე, კურდღელს ვერ მიეწევა, მგელი, რომ მგელია, მგელი რომ მშიერი არ დაძრწოდეს, მაკე ცხვარიც გაასწრებდა უთუოდ.

ხალხი თუ გაძღა, ჭაბუკო, ეს იცოდე, ლოცვასაც მიატოვებს და შრომასაც, მაშინ აღარც ციხეები გვექნება და აღარც ეკლესიები»...

«ჰი, ჰი, ჰი», – ჩაიხვიხვინა ბერიკაცმა ნადირისებრი ღოჯი გამოუჩნდა ორი.

იდგა მის წინაშე არსაკიძე მდუმარედ, წასვლა ეჩქარებოდა, მაგრამ ვერ გაებედნა ნაბიჯის გადადგმა. ახლა ღირკილოებზე წაეპოტინა განმგეთუხუცესი.

«შენ ქრისტიანი ხარ, ხომ?»

ქრისტიანი ვარო, ეგეც დაუდასტურა ლაზმა.

«აბა ერთს კიდევ გეტყვი, ჭაბუკო, განა თუ ჩემი გამონაგონია ის, რაც გითხარი. უფალი ჩვენი მაცხოვარიც ამას ასწავლიდა ხალხს.

უდაბნოში შიმშილობდა თავათ, შეგირდებსაც აშიმშილებდა. იგიც ხომ გახსოვს, ჭაბუკო, ხუთი პურითა და შვიდი თევზით რომ გააძღო მან ბევრზე ბევრი?

რაკი ქრისტიანი ხარ, ეგეც მართებულია რომ იცოდე, ჭაბუკო: ხალხს სამი რამ უნდა ასწავლოს ერის წინამდგომმა ყოველმა: შიმშილი, ლოცვა და შრომა, ხოლო რაიცა შეეხება ომს, ომში აზნაურები წაასხამენ მონებს».....

XXXII

სვეტიცხოვლის კარიბჭესთან ბოდოკია შემოეგება არსაკიძეს.

«შენ გიცდიდი, ოსტატო».

ამბობს ბოდოკია.

«ხომ არაფერი მომხდარა კიდევ?»

«ჩუქურთმიანი ლოდია ჩრდილოს კედელზე გასატანი, ოსტატო».

ნაბიჯს აუჩქარა არსაკიძემ, მიხვდა თუ რომელ ლოდს გულისხმობდა ბოდოკია, ლაზი.

სვეტიცხოვლის ტაძარზე ახლაც დარჩენილია მოდელი ტაძრისა.

სწორედ ამ მოდელის ქვემოთ დატანებულია ეს ჩუქურთმიანი ლოდი, სამმხარიანი ჯვარია მასზედ და ასომთავრული წარწერა ასეთი:

«ნებითა ღვთისათა განახლდა სამირონე ესე, ბრძანებითა ქრისტეს მიერ კათალიკოსის მელქისედეკისათა. შეიწყალე უფალო, მონა შენი კალატონი ოთხნი, ამინ».

დიდხანს ჭირვეულობდა ამ ლოდის გამო კათალიკოსი, სამგზის დაიწუნა ჩუქურთმიანი ჯვარი, ბოლოს, როგორც იქნა, ეს უკანასკნელი მოიწონა. ამიტომაც ჰქონდა ნაბრძანები არსაკიძეს: უჩემოდ არ ჩადგათო ლოდი.

ეს ამბავი პარასკევს მოხდა. შაბათს მელქისედეკი აპირებდა მშენებლობის დასათვალიერებლად მოსვლას, ამიტომაც ეჩქარებოდათ ოსტატებს.

კალატოზებმაც იცოდნენ მელქისედეკის ჭირვეულობის ამბავი, ამიტომაც ვეღარ ანდეს მისი ატანა მონებს. ხუთივენი ავიდნენ ხარაჩოზე.

როცა საბელით აზიდეს ლოდი, მოხუცი ბოდოკია წაეპოტინა პირველი, მარყუჟიდან გამოხსნა ლოდი, მაგრამ ვეღარ მოერია თავათ.

სამი დანარჩენი კალატოზი უმარჯვოდ იდგა, ხარაჩოს ძელები გაესიპა ნისლს, ფეხი ვეღარ მოიმაგრეს, ამიტომაც ვერ მოეშველნენ ბოდოკიას დროზე.

ლოდიც გასიპული იყო, ხელი მოეცარა ბოდოკიას, მაგრამ მკერდი მაინც შეაგება ოსტატმა, ისევ წაეპოტინა, მაგრამ ვეღარ შეიმაგრა ლოდი.

დაწინაურდა კონსტანტინე არსაკიძე, მკლავები შემოაჭდო ლოდს და საოცრად გაწითლდა მთელს სახეზე. კალატოზებიც დაიძრნენ ადგილიდან, მაგრამ ვერც ერთმა მოიკიდა სველ ხარაჩოზე ფეხი, კარგა ხანს გაუძლო არსაკიძემ ოთხი კაცის ტვირთს, ვეღარც მას მიეშველნენ დროზე.

ხელი გაეშვა?

ბოდოკია იქვე იდგა, დაშავდებოდა მოხუცი, ბოლოს ჩუქურთმიანი ლოდიც დაიმსხვრეოდა უცილოდ.

იმარჯვეს ისევ სამთა, წელმოწყვეტილი ბოდოკიაც მიეშველა. მაჯაგანით ჩასვეს ჩუქურთმიანი ლოდი, მაგრამ ნირშეცვლილი არსაკიძე შეჰქანდა ხარაჩოზე.

თვალი წაატანა ბოდოკიამ, ლაინისფერმა გადაჰკრა ხუროთმოძღვარს სახეზე.

როცა იგი ძირს ჩამოიყვანეს, წელი ვერ გამართა არსაკიძემ. მშვილდივით მოკეცილი დაეცა მიწაზე. საკაცეზე დააწვინეს ხუროთმოძღვარი მეფისა, თორმეტმა კალატოზმა წაიყვანა არსაკიძე რატისეულ სასახლეში.

ატირდა საწყალობლად ნონაი.

«წუხელი ცუდი სიზმარი მქონდა, არ დამიჯერა ბატონმა, მიტომაც შეემთხვა ხიფათი».

მელქისედეკი უფლისციხეში იყო იმ დღეს, მსახურთუხუცესი წარგზავნა ავადმყოფის სანახავად გიორგი მეფემ.

ფარსმან სპარსი იხმეს, მაგრამ ავად ვარო, მოიმიზეზა ფარსმანმა, უფლისციხეში აფრინეს კაცი, თურმანიძე თმოგვს წასულიყო წინა დღეს.

ორი კვირის მანძილზე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იყო არსაკიძე მისული, უმწეოდ დაფათურებდა ნონაი, შავ შარბათს, თემრი ჰინდის, უშხულისა და ბროწეულის წვენს ასმევდა ავადმყოფს, სვინტრისა და თალგამის მხალს აჭმევდა დღენიადაგ.

არ აპირებდა ავადმყოფი გამობრუნებას.

ბოლოს დარწმუნდა არსაკიძე მომიხდებაო სიცოცხლის დათმობა. ნაღვლობდა ოსტატი ფრიად, დაუსრულებელი რომ რჩებოდა სვეტიცხოველი.

მთელი სიცოცხლე სხვის ქვეყნებში ყიალსა და უსაზმნო შრომაში დალია, ცხრაკარსა და ითვალისში აგებული ორიოდე ეკლესია უკვდავებას ვერ მოუხვეჭდა მის სახელს.

კარგად იცოდა ოსტატმა: მუზები დიახაც მიელტვიან უღრან ტყეებსა და უკაცურ მთებს, მაგრამ უკეთუ მათი შთაგონების საგანი სატახტო ქალაქებს ვერ მისწვდა, ვერც ერთი ოსტატი გაითქვამს სახელს.

სვეტიცხოველი იყო მისი სიჭაბუკის, მამაკაცობის უსაჩინოესი ქმნილება, საქართველოს გულში აგებული საჩინო ადგილზე.

რამდენი შრომა და ტანჯვა შეალია ამ დიდ ქმნილებას და ახლა სიკვდილს უნდა გადაეჭრა გზა!..

ეცოდებოდა მოხუცი დედა, ფხოვის ცივ მიწაში დარჩენილი მამის ძვლების ერთგული დარაჯი; ბოდოკია უნდა წარეგზავნა კვეტარს, მაგრამ საქმეს ხომ ვერ მოაცდენდა ჩინებულ კალატოზს?

ეს კი ეწადა, სულზე მოესწრო როგორმე დედას, ეგებ მისმა ლოცვამ და სიყვარულმა გადამარჩინოსო სიკვდილს.

ერთი და უსაწყალობლესი დარდიც უნდა გაჰყოლოდა ამ უხეირო წუთისოფლიდან.

ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც კიდევ ენახა შორენა, როგორმე შეევლო საღამო ჟამს ხურსისეულ სასახლეში და ერთხელ მაინც გაეგონა მისი პირისაგან დედის მიერ შერქმეული ლაზური სახელი «უტა».

სულზე მოუსწრო თურმანიძემ ავადმყოფს.

მარჯვენა მკლავი გაუხსნა აქიმმა. სისხლი ადინა საგუალის ძარღვიდან. გრილი შარბათები ასვა, ვარდის კაჭაჭის ფოთლები დაანაყვინა ნონაის, უხვად ასვა წვენი, ქაფურში გავლებული გრილი ტლეები შემოადგა.

სამ დღეში გამომჯობინდა არსაკიძე.

ასე დააწესა აქიმმა: ორ თვეს მაინც არ გასულიყო ხარაჩოზე ხუროთმოძღვარი მეფისა.

არც ცხენზე შემჯდარიყო ორ თვეს, ფიცხელი მოძრაობა აღკვეთოდა ყოველნაირი.

ერთი კვირის შემდეგ თავათ დგებოდა ფეხზე.

მთელი დღე იჯდა რატისეულ სასახლის აივანზე. გულშემოყრილი გასცქეროდა თავის საყვარელ ქმნილებას შორიდან.

ყოველ დილას მოდიოდა ბოდოკია, მითითებებსა და თათბირებს ღებულობდა ავადმყოფი ოსტატისაგან.

თითქმის ყოველ დილით ხედავდა აივნიდან არსაკიძე სანადიროდ მიმავალ შორენას.

გიორგის მეფის ოქროსფერ ულაყზე იჯდა ერისთავის ასული, ორი მოახლე და ორი დიაკონი მისდევდნენ ცხენდაცხენ, შავარდნიანი ბაზიერებიც თან ახლდნენ.

მხარმარჯვნითა და მხარმარცხნით გიორგი და გირშელ მიჰყვებოდნენ საომარ ცხენებზე გადამჯდარნი, თორმეტი თოროსანი რაინდი თან ახლდა მეფესა და ერისთავს.

სულ ბოლოს ურმით მიჰყავდათ გიორგი მეფის ავაზები მონებს, ატლასის დორი ზედ ეხურათ ავაზებს, საბელის თავი ურმის უკან მიმავალ მონებს ეჭირათ ხელში.

აივნიდანვე ამჩნევდა არსაკიძე, შორენა მხიარულად ებაასებოდა მეფესა და ერისთავს.

სანადირო ტყავკაბა ეცვა გირშელის საცოლეს, ოქროქსოვილი ზორტებითა და მარგალიტების ფოჩვებით შემკული ტარსიკონის ჩექმები ფეხზე, ვერცხლის უზანგებამდის წვდებოდა ბროწეულის ყვავილისფერი საწმერთულის ტოტები.

XXXIII

> «...და წარმომგზავნა ღმერთმა, რათა შევმუსრო კაცთაგანი სამი ჯურისა: ქედმაღალი, მრავალგვართა ღვთაებათა თაყვანისმცემნი და მხატვარნი.
>
> უფრთხილდით, კაცნო, უფლისა და ადამიანის გამოსახვას. ნება გეძლევათ ხატოთ მარტოოდენ ხენი, ყვავილნი და ქმნილებანი უჰასაკონი...»

როცა მარტოობა გულზე შემოეგზნებოდა, გადმოიღებდა ტილოსა და წამლებს არსაკიძე, ხატავდა თავისთვის...

ერთ დღეს, ნასადილევს, ტახტზე წამოწოლილიყო ავადმყოფი. სამი ბერი ამოვიდა რატისეული სასახლის კიბეზე.

ხუროთმოძღვარი მეფისა იკითხეს.

შემოფათურდა ნონაი: ვიღაც ბერები გკითხულობენო, ბატონო.

მობრძანდნენო, უთხრა არსაკიძემ.

როცა სტუმრები დარბაზში შემოვიდნენ და თავსაბურავი მოიხსნეს, არსაკიძემ მელქისედეკ კათალიკოსი შეიცნო.

კონსტატინე შეკრთა, მაგრამ წამოდგომა არ დაანება მელქისედეკმა, თავათ მოიტანა მის სასთუმალთან სელი.

დაჯდა, ალერსიანად გამოკითხა ჯანმრთელობის ამბავი.

ჯვალოს ჩოხა ეცვა მელქისედეკს, სავსებით გახუნებული. ბერული, ორკაპიანი არგანი ეჭირა ხელში.

მცირე ხანს დარჩნენ სტუმრები, მწუხრზე მეჩქარებაო, მოიმიზეზა კათალიკოსმა.

წამოდგა.

ჯვარი გადასწერა ავადმყოფს.

ეუბნება:

«დღეს შევევედრებით უფალს განკურნებისა შენისათვის, შვილო, მალე გაჯანსაღდები ღვთით, სვეტიცხოველს დაასრულებ მალე, ტაძრის კურთხევაზე ფრიად საპატიო სტუმრებს მოველით ბიზანტიონიდან».

ეს მოხდა შაბათს საღამოს.

გაოცებული იყო არსაკიძე: როგორი სათნო კაცი ყოფილაო მელქისედეკი! ტკბილად შესაყრელი და ამოდმოუბარი ეჩვენა საერთოდ ბუზღუნა და ჭირვეული მოხუცი.

საქმიანობაში აუტანელი იყო მელქისედეკი, წვრილმანი, სასტიკი, განუზომელად ახირებული ხშირად.

კირითხუროებს, კალატოზებს და მონებს მეხივით ეშინოდათ მისი.

როცა იგი მშენებლობის სათვალყუროდ ჩამოივლიდა, ორ ათასამდე მუშა ისე გაიტვრინებოდა, ალალმა ჩაუქროლაო ნიბლიების გროვას.

არც არავინ იცოდა არასდროს, რომელ წუთს, რომელი ჭიშკრიდან შემოვიდოდა იგი სვეტიცხოვლის ეზოში. თავის გახუნებულ ჯვალოს ჩოხაში, უბრალო ბერისგან ძლივს გაარჩევდა მას კაცი.

როცა ყველა დარწმუნებული იყო, უფლისციხეშიაო მელქისედეკი, იმავე დღეს მოაკითხავდა ტაძარს.

ხმა დავარდებოდა: ავად გახდაო კათალიკოსი, ბალღებივით გაიხარებდნენ მონები, სწორედ იმ საღამოს მიადგებოდა ხარაჩოებს.

ყველას ეს აოცებდა: თრითინასავით დაძვრებოდა ზედ მუხლებდასიებული, ჩია ბერიკაცი.

ნონაი შემოვიდა. წამლები შეასვა ავადმყოფს, ცხელი რძე მოუტანა და წაფრატუნდა.

სიბნელემ დაივანა დარბაზში. ერთადერთ ვარსკვლავს თვალი ჰკიდა არსაკიძემ. მერმე დიდხანს იწვა პირაღმა. ისევ მელქისედეკის გამო ფიქრობდა იგი.

როგორი სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა მას ნამწუხრევს, სამთავროს ეკლესიაში ქადაგების ჟამს, როცა იაკობის მიერ ღმერთთან შერკინებას განუმარტავდა მრევლს.

სიყრმიდანვე აოცებდა არსაკიძეს ეს უცნაური ადგილი დაბადებისა, ჯერ კიდევ ადრიან სიჭაბუკეში, კონსტანტინოპოლში, მრავალჯერ უთქვამს: რა თამამად მოუციაო ამ სტრიქონების ავტორს ადამიანის ჭიდილი ღმერთთან?

ახლა უცნაურად აეკვიატა ასეთი განზრახვა: უთუოდ დაეხატა იაკობის შერკინება უფალთან.

ისე ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ დასახატი საგანი, შეეშინდა, ჩვენებად არ გადამექცესო ეს ყოველივე.

ორ-სამგზის იცვალა გვერდი. ვეღარ მოისვენა. ღამე არ ყოფილიყო, უთუოდ ადგებოდა, შეუდგებოდა ხატვას.

წამოდგა. ჯოხი აიღო. ბაღჩაში ჩავიდა.

ეძინა ყოველივეს ირგვლივ.

ოდნავ, სულ ოდნავ იჭვრიტებოდა მოყვითანო ღრუბლის ბლონდიდან მთვარე, იისფერი რკალი გარს ერტყა მნათობს.

იდგა ცაცხვის ქვეშ არსაკიძე. უხაროდა სასიცოცხლო ღონე რომ შეემატა მის იოგებს. ათიოდე დღეც და უჯოხოდ ივლიდა, უთუოდ შეივლიდა შორენას სანახავად.

გადაჰხედა მთვლემარე ხილნარს. ასე ეგონა მძინარე ბუნება მღერისო ძილში. მღეროდნენ ჩრდილადქცეული ხეები, მთვლემარე ყვავილები, დაცვარული ბალახი. ტკბილის სძლისპირივით მოესმოდა ფუტკრების ზუნი, მღეროდნენ ცისკიდურებზე გაწოლილი მთებიც, მათ ფერხთით გადაშლილ ზღვისფერ სილურჯეში არაგვი დვრინავდა ამოდ.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.....

კვირა დილას უთენია წამოდგა.

სამთვარიო ამ დღისათვის იუწყებოდა:

«დღე კეთილი, ღვინის ძვრა, ვენახის დარგვა, ქორწინი, ნადირობა და მგზავრობა ყოველივე კეთილი»...

სამთვარიო გადასდო, ჯოხი აიღო, ისევ დააგდო, ადგა და აივნამდის მივიდა უჯოხოდ.

ბაღს გადაჰხედა.

გახარებული ჭიკჭიკებდა მზეწვია მწვანეში.

სიცოცხლე და შთაგონება შეემატა კვლავ.

შინ შებრუნდა, სამხატვრო ხელსაწყონი მოიმარაგა.

წამლები შეამზადა, ტილო განფინა.

რამდენიმე ხაზი მიმოავლო ტილოზე, უბრალო კონტურები მოხაზა ზედ, ნაღვარევს გადაღმა მდგარი აქლემების, კარაულების, იაკობის ორი ცოლის, ორი მხევალის, ათერთმეტი ვაჟის ბანაკი.

ახლა, ნაღვარევს გადმოღმა, ველზე მარტო მდგარი იაკობის ფიგურა მოხაზა და სწორედ ამ დროს ნონაი შემოვიდა, ვიღაც ჩალმიანი ბერიკაცი მოსდგომია უკანა კიბეს, ხუროთმოძღვარს მეფისას იკითხავსო.

არსაკიძე მიხვდა ვინც უნდა ყოფილიყო ეს ჩალმიანი მოხუცი.

ისე მოძალებული ჰქონდა შთაგონება, არავის ნახვა ეწადა ამ წუთში.

სახე დაეღმიჭა ბრაზისაგან.

ამპარტავნობაში ჩამომართმევსო, ეს გაიფიქრა და უბრძანა მხევალს: მობრძანდესო სტუმარი.

არსაკიძე გაოცდა, როცა უკანა კარიდან შემოვიდა ფარსმან სპარსი დარბაზში.

წელში მოდრეკილი, თითქმის ქოსა მოხუცი ისე მოდიოდა, თითქოს ეპარებაო რაიმეს, გრძელი ყავარჯენი ეჭირა ხელში, ვერცხლით მოჭედილის სახელურითა.

შემოსვლისთანავე მიესალმა მასპინძელს და როცა მოწოდებულ სელზე დაჯდა, ასეთი რამე შეაგება არსაკიძეს:

«ეს მიბრძანე, ჭაბუკო, ამ სახლის უკან რატისეული კოშკია, არა?»

არსაკიძე გააოცა ამ კითხვამ.

ერთი გაიფიქრა: ალბათ თრიაქისაგან თუ დამთვრალაო ამ დილით? შეაშტერდა სახეზე.

არა.

მთვრალი არ უნდა ყოფილიყო ფარსმანი, თავაზიანად მიუგო მოხუცს:

«დიახ, კოშკია, ბატონო».

«ეჰ, მე კი სახაბაზო მეგონა თავდაპირველად, შვილო».

ყავარჯენს მოეჭიდა ორივე ხელით, იატაკს დაჰხედა და ამბობს:

«ცუდი ყოფილა სიბერე, შვილო, სიცოცხლე აღარა ღირს, როცა სახაბაზოსა და კოშკს ურთიერთისაგან ვეღარ გაარჩევ».

«ჰო, ჩარდახმორღვეულია ის კოშკი, შესაძლოა, ამიტომაც ვეღარ გაარჩიეთ, ოსტატო».

«ეჰ, უკვე აღარა ვარ ოსტატი, შვილო, ამჟამად გიორგი მეფის შავარდნებს რევანდის ოყნას ვუკეთებ. თრიაქ ფარუხს ვასმევ მიმინოებს ფილენჯისაგან განსაკურნავად.

როცა მეჯადაგეები ოსტატები გახდებიან, ოსტატებმა რევანდის ოყნა უნდა გაუკეთონ შავარდნებს».

არსაკიძე მიუხვდა ამ იგავების შეფარვულ შინაარს, დაცდილი ჰყავდა ოსტატი ძველი: ფარსმანი სათქმელს არაოდეს იტყოდა ჯიქურად.

მუდამ ირიბად მიმართავდა სიტყვას, უკუსაქცეველ ხვრელს დაიტოვებდა თანაც. ორლესილი მახვილივით მძაფრი იყო მისი ნათქვამი, მუდამ, კალმახივით უსხლტებოდა ხელიდან მსმენელს.

«რად იკითხე, ოსტატო, ამ კოშკის ამბავი წეღან?»

«ალბათ მოგეხსენება, ჭაბუკო, როცა კაცს სიბერე მოუწევს, ბალღს დაემსგავსება იგი. აკი ასე სჩვევიათ ბალღებსაც. ისეთ რამესაც იკითხავენ ხოლმე, რაც კარგად იციან თავათაც.

ბალღები და მოხუცები იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ თანაბრად აეშლებათ ხოლმე საღერღელი ლაპარაკისა.

მხოლოდ ესაა: ბალღს არ ეშინიან სისულელის თქმისა, იგი აგრე ვარაუდობს ალბათ ქვეშეცნეულად: გავიზრდები, ჭკვიანურსაც ვიტყვიო.

მოხუცებულიც აცუნდრუკდება ხშირად, რადგან გამოცდილებიდანაც კარგად იცის, მხოლოდ ბრძენკაცებს ემტერებოდნენ მეფეები, და არსად არც ერთ მეფეს, თუ გინდ სულელსაც, შლეგები არ ჩამოუხრჩვია ჯერ.

რადგან თვით უჭკუო მეფეებსაც მუდამ ესმოდათ: სულელები სათითაოდ რომ ჩამოახრჩო, მაშინ ვერც ხარკს მოხვეჭავდნენ, ვეღარც მონასპებს იპოვნიდნენ ომში წასაყვანად.

ეგეც ხომ გსმენია: არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი. მე ვიყავი მუდამ ასეთი შლეგი, სხვათა ომებში მამაცი შლეგი.

რაიცა შეეხება კოშკს, ახლა გამახსენდა: ამ კოშკში ჰყავდა დამწყვდეული მეფე გიორგის რატი.

ჭკვიანი კაცი იყო სახლთუხუცესი რატი. მან კარგად იცოდა: ვინც მეფეთა სამსახურისათვის თავს გადასდებს, მას საკუთარი სახლის უკან მზად უნდა ჰქონდეს დილეგიც.

რადგან ქარის ქროლვასა ემსგავსება მეფეთ წყალობა, ხან აღმა მიჰქრის ეს ნიავი, ხანაც თავდაღმა».

ფარსმანს ყავარჯენი გაუვარდა ხელიდან. დასწვდა, ისევ აიღო და განფენილ ტილოს შეავლო თვალი.

«ცუდ დროს მოვსულვარ, როგორც სჩანს, ჭაბუკო, სახატავად მოგიცლია, ვხედავ».

«არაფერია, ოსტატო, მცირე რამ უნდა დამეხატა ჩემთვის. დიდი ხანია ფერწერაში არ მივარჯიშნია».

«ვინ გასწავლიდა ბიზანტიონში ფერწერას?»

«მხატვართუხუცესი ავრელიოს ალოსტოს».

«ავრელიოს ალოსტოს! როდოსელი ბერძენი, არა? ფერწერაში ნიჭი მოგდგამს, გეტყობა...

როდოსელი ბერძენი, დიახ».

კვლავ გაიმეორა მხატვართუხუცესის სახელი და გვარი ფარსმანმა. თვალები მიაშტერა არსაკიძეს, მაგრამ ფარსმანი ისე ხშირად აფახულებდა წითურ წამწამებს, მისანიც ვერ შეიცნობდა მის გულის ხმას ამ წუთში. თვალებიც ისე უციმციმებდა, როგორც ვარსკვლავი ბოროტი.

«აბა ერთს გეტყვი, ჭაბუკო, ყველაფერზე უფრო ძვირფასი მხატვრისათვის მაინც იგია, რაც არც მელქისედეკ კათალიკოსს შეუკვეთია და არც მეფე გიორგის, ის, რასაც მოცალეობის ჟამს დახატავს იგი თამაშით.

ეგეც იცოდე: მაინც მოცალეობა და ფანტაზიაა შემოქმედების მკვიდრი მშობელი».

მიუხვდა ლაზი ამ შეფარვული აზრის სანიშნოს. არსაკიძეს მხოლოდ რამდენიმე ხაზი ჰქონდა გავლებული ტილოზე. ამ იგავით ეს უთხრა ფარსმანმა: ეს რამდენიმე ხაზიც სჯობიაო შენ მიერ აგებულ სვეტიცხოველს.

ან რა ნიჭის გამო შეიძლებოდა ამ მონახაზის მიხედვით მსჯელობა?

ცხადია, დასცინოდა იგი არსაკიძეს.

არსაკიძე აიმღვრა, მაგრამ არა აკადრა რა მოხუცებულ სტუმარს. თავისი ბერძნული განათლების მიუხედავად, არსაკიძე მაინც ლაზი იყო და არსად ისეთ პატივში არ არიან მოხუცებულნი, როგორც ოდითგანვე ლაზების ქვეყანაში.

«სამოცდახუთი წელი შემისრულდა გუშინ. თუმცა ახალ ცხოვრებას მოვეკიდე, მხოლოდ გუშინწინ შევირთე ცოლი. ხელცარიელი მივდივარ სამარეში, შვილო, რადგან მუდამ იმას ვაკეთებდი, რასაც კეისარი, ხალიფა და აფხაზთა მეფეები მოისურვებდნენ».

ამ სიტყვებმა ფრიად გააოცა არსაკიძე.

წლების მანძილზე უსაუბრია მასთან და არც ერთხელ კრინტიც არ დაუძრავს თავისი ცხოვრების გამო ფარსმან სპარსს.

მხოლოდ ერთი რამ ყურმოკვრით ჰქონდა მას განაგონი ამ უცნაური მოხუცის გამო.

ის ტყირპიანი დედაკაცი თებრონია მხევალი როდი ყოფილა მისი, არამედ წანარელ მონაზვნის ნაბიჭვარი.

მონასტრიდან გაუგდიათ ფეხმძიმე დიაცი, მონაზონი ძმებთან წასულა, ტყირპიანი შვილი როგორც კი ჰყოლია, გუდანურში ჩაუსვამთ ბალღი და ფარსმანის კარებში შემოუდგამთ ღამით.

ფარსმანმა გაზარდა მერმე თავისი ხარჭის ნაშობი და მხევალი თებრონია შეურქმევია მისთვის.

წამოდგა ფარსმანი, განფენილ ტილოს მიეახლა, ყავარჯენს დაებჯინა, კიდევ შეჰხედა ნახატებს და ასე სთქვა:

«შესაძლოა წინასწარ იცოდე მხატვარმა კიდევაც, რომ შენ სურათს ზედაც არ შეხედავს არავინ, გული საგულეს უნდა გქონდეს მაინც.

რადგან ეგ ასეა: ჩვენს აზნაურებს მიმინოს სკორე ურჩევნიათ სურათებს, ხოლო დიდვაჭრებს – ნოხები, ბიზანტიელ პატრიციებს – ცხენები.

ეპისკოპოზები ასე ამბობენ: მკრეხელებიაო მხატვრები, ღმერთს უტოქდებიან ისინი, უჰასაკო საგნებს შთაბერვენო სულს.

ვერც კონსტანტინოპოლში გაყიდი შენს სურათს, რადგან ბიზანტიელი აზნაურნი და უაზნონი ამას მოითხოვენ: ბასილი კეისარი უნდა ხატოსო მხატვარმა. თეთრ რაშზე გადამჯდარი, ჰოროლსა სცემდესო ხახადაბჩენილ ურჩხულს.

არც თუ მუსულმანთაგანი შეიძენს შენს სურათს ვინმე, რადგან მართლმორწმუნე მაჰმადიანი ფეხსაც არ შესდგამს იმ სახლში, სადაც სურათი ჰკიდია, ან ძაღლი აბია სადმე.

მე ერთი ჭილის ეტრატი მაქვს შინ და იმ ეტრატში ასე სწერია:

«ვაჲ მას, ვინაც გამოხატოს ცოცხალი არსი. განკითხვის დღეს, მხატვრის მიერ გამოსახული პირები გაცოცხლდებიან, სურათიდან ჩამოვლენ, მიეჭრებიან დამხატველს და მოსთხოვენ სულს.

და მხატვარი იგი, რომელიც ვეღარ შესძლებს საკუთარი სულის მიცემას, უცილოდ დაიწვება უშრეტი ცეცხლით».

დამერწმუნე, ჭაბუკო, ყველაზე კარგი სურათი იგია, რომელსაც არც უფლისციხეში, არც კონსტანტინოპოლში, არც ქაიროში არ ყიდულობენ ამჟამად, სწორედ იგი, რომლისთვისაც სულს მოსთხოვენ ერთ დღეს დამხატველს».

ფარსმანმა დილა მშვიდობისა დაუბარა არსაკიძეს, არც ჯანმრთელობისა, არც სვეტიცხოველის გამო უკითხავს რაიმე.

წასვლის წინ ესა სთქვა მხოლოდ:

მეფე გიორგის შავარდენი გახდომია ავად, რევანდის ოყნა უნდა გავუკეთოვო შავარდენს.

წავიდა თუ არა ფარსმანი, არსაკიძემ განაგრძო ხატვა.

•

სრული სამი კვირა მოანდომა არსაკიძემ ამ სურათს, რადგან აქიმი ჯერაც არ ანებებდა სამუშაოდ წასვლას.

როცა მოათავა, შუა დარბაზში დადგა. სიხარულით აღვსილი შესცქეროდა თამაშითა და ლაღობით დაწერილს.

შიდა ფონზე აქლემები და კარაულები მოსჩანდნენ ნახევრად ბნელში, ორნი ცოლნი, ორნი მხევალნი და ათერთმეტნი ძენი იაკობისნი, ხოლო ნაღვარევს გადმოღმა იდგა იაკობ მარტოი მუნ და ერკინებოდა მას უზარმაზარი დევკაცის ლანდი.

წვერი ჰქონდა ირისესავით თიმთიმა და დაფანჩვლული, ბრწყინვალე შარავანდი ემოსა გარშემო თვისა, თევზის ქერეჭისდარი ჯაჭვი ეცვა იაკობის ღმერთს, ცეცხლებრ უელავდნენ მგლისფერი თვალები.

XXXIV

აქიმის მიერ დათქმული ყავლი ჯერაც არ იყო გასული, არსაკიძემ მშენებლობას მიაშურა დილა ადრიან. გაიხარეს მის დანახვაზე კალატოზებმა და მონებმა.

ბოდოკია წინ გადაუდგა.

ჯერ ნუ ახვალო ხარაჩოზე, ბატონო!

არა ჰქნა არსაკიძემ, შეჰყვა ხარაჩოებს. ათვალიერებდა ლავგარდანების ჩუქურთმებს, თაღების მოხატულობას, ფასადების ბარელიეფებს.

ტაძრის გუმბათამდის მიაღწია ძლივს, დოინჯი შემოიდგა თეძოზე.

ბოდოკიამ ფერმკრთალობა შენიშნა მყისვე.

ცუდად ხომ არ ხარო, ოსტატო?

არ გაამხილა თირკმელების ტკივილი.

არაფერიაო, სთქვა, ხელი მოსჭიდა ფიჭვის ძელს.

კალატოზებთან ერთად ისადილა იმ დღეს, მწუხრის მოწევამდის დადიოდა ხარაჩოებზე.

ძელსა ჰკრეს სამთავროს ეკლესიაში. მონები გაიკრიფნენ მშენებლობიდან. დადიოდა ტაძრის გარშემო, უთვალთვალებდა თავის საყვარელ ქმნილებას ბინდისას.

წელს იტკივებდა დამაშვრალი, მაგრამ შორენას ნახვის წადილი მოსძალებოდა მაინც.

წყნარი, წყნარი საღამო იყო, კვიპაროსების წვეროკინები ქანაობდნენ ნელა. ბეღურები ჟიოდნენ ალვების მწვანეში.

ქუჩებში არავინ სჩანდა.

საგოდებელი გადაიარა, უსიცოცხლო შარიშური გაჰქონდა ლაშქარასა და შუფხას კლერტოებს.

მზე ეთხოვებოდა კავკასიონს, შაშვი კუთავდა სუროს მწვანეში.

ახლად აფრენილი ბუს მართვეები მიფრინავდნენ მუხოვანისკენ. უმწეონი მათ შორის სულ დაბლა, სულ ახლოს ჯდებოდნენ ტოტებზე.

სასაცილონი იყვნენ ეს მოღუშული არსებანი. ჯერაც არ გაჰყროდა ქვეყანას ნათელი. ისინი ვერ ჰხედავდნენ არსაკიძეს. გაფუყული ისხდნენ, უცნაურად კუსავდნენ ცეცხლისფერ თვალებს.

კაცს ეგონებოდა, ამსოფლიური ჭმუნვა უკვე შეჰყრიათო ახლადმოჩიტულთ.

თემშარაზე გასულს ფეხშიშველა ბალღები შემოეყარნენ არსაკიძეს, უდარდელად მოიმღეროდნენ საკინძეგაღეღილი ბიჭუნები, მგალობელ ანგელოსებსავით აღებდნენ პირს.

სამთავროს მონასტრისაკენ მიდიოდა ბერების ლაშქარი.

რაღაც უცნაურმა სუნმა ჩამოუქროლა არსაკიძეს. ბნელ სენაკებსა და საოსტიგნოებში რომ სცემია, სწორედ ისეთმა, საკმეველის, სამოგვისა და ოფლის სუნმა.

უღიმღამოდ, უხალისოდ მიედინებოდა შავჩოხიანების ბრბო, ლანჩების ერთობლივი ტკაპატკუპი ისმოდა თემშარაზე. ჩრდილებივით მიემართებოდნენ დასავლეთისკენ ისინი, უზარმაზარი ლანდები რჩებოდათ უკან.

სჩანდა, სამონასტრო ვენახებიდან ბრუნდებოდნენ. ხელში სასხლავი ეჭირათ, ზოგს ბარი მიჰქონდა, ზოგს წალდი, ზოგსაც წალამის კონები ეკიდა ზურგზე, ჩოხის ბალთებზე მოსდებოდათ ბირკა და ნარი.

მიიჩქაროდნენ დაღვრემილი, წელში გადრეკილი მოხუცები, საღამოს ბორიო არხევდა თეთრ წვერებსა და შავ კალთებს ჩოხისას.

უსიხარულოდ გასცქეროდნენ ჩამავალ მზეს, გახუნებული სამოსი ეცვათ, შავი კრიალოსნები ეკიდათ კისერზე.

მიალაჯებდნენ მტკიცედ, შავწვერიანი, მხარგრძელი ვაჟკაცები. ტანზე თორნი, წელზე ხმალი და ფეხზე დეზი უფრო დაამშვენებდა მათ, ვიდრე ეს გაცრეცილი ბერული ჩოხანი.

გოდოლების შესამუსვრელად გამოდგებოდნენ ეს მუხლმაგარი და მხარგრძელი გოლიათები.

ღვიოდნენ ღაჟღაჟა ლოყები, ბიბინებდნენ წამახული ულვაშები და ჭავლივით მღელვარე წვერები.

მიდიოდნენ თავჩაქინდრულნი, მიალაჯებდნენ გრძელბარკლიან ფეხებს.

ქოსა და დაღრეკილი მამაკაცებიც ერიენ მათ შორის, თავწვრილა, კისერმოკლე, წვივგადრეკილი ჩიაკაცები, დიაცური წრიპინა ხმა რომ გადაჰყვებათ ხოლმე ბალღობიდან შუაკაცობაში, ჰერმესსა და აფროდიტეს შორის მარად მერყევთ.

ისეთნი, ვინც დიაცებს ჭირის დღესავით სძაგთ, რაკი მათი მკლავები ხმალს ვერ მოიქნევენ, ერქვანს ვერ გამართავენ, პურს ვერ მოიწევენ, ჰოროლს ვერ სცემენ, მტერს ვერ შეუტევენ რისხვით.

ბუნებით ცვედანნი, სახითა ქოსანი, სიყრმეშივე დაბერებულნი, ხოლო სიბერეში ყრმასავით ცუნდრუკა.

არსაკიძე ზიზღით შესცქეროდა ამ ზლაზვნია, წლაწვნია, წრიპინა, მკერდჩავარდნილსა და თეძოგანიერ ქალაჩუნებს.

ბოლოს ამ ლაშქარს უკან მიჰყვებოდნენ ყრმანი ჭაბუკთაგანნი, უწვერულნი, ფერგამკრთალნი, კისერგრძელნი და პირმშვენიერნი, წარბმოხატულნი, მკერდგანიერნი და ახოვანნი.

მათაც დაამშვენებდა უთუოდ ჯიშიან, მაღალ ცხენებზე ჯდომა და გამართული ჰოროლებით იერიშების მიტანა.

სულ პაწია ბიჭუნებიც ერიენ მათ შორის, ხშირკულულიანნი, თმახუჭუჭა და ლელივით წვრილნი, ცვილისფერი იერი გადაჰკრავდა მოყვითალო სახეებს.

არსაკიძე სათითაოდ აკვირდებოდა მათ, ცვილის, გუნდრუკის და ბნელი სენაკების დახშული სუნი ასდიოდა ამ ჭაბუკების ჩოხებსაც.

«ქრისტეს მიერ გლახაკნი!»

გახმიანდა ოსტატის გულში ხმამაღალი ფიქრი, შეძრწუნდა ანაზდად. თითქოს ჯერაც არ ენახა მას ბერების მთელი ლეგიონები უფლისციხესა, ტრაპეზუნდსა და ბიზანტიონში.

მისწყდა მათი ლანჩების ერთობლივი ტკაპუნი და ერთბაშად ცხენების თქარუნი მოესმა არსაკიძეს.

მთიდან მოჰყავდათ მწყემსებს გიორგი მეფის ცხენების რემა. ფეხშიშველა მონები ისხდნენ უბელო ჭაკებზე, ბირკათი ფაფარდახუნძული ულაყები ორ-ორ კაცს მოჰყავდათ საბელით.

ჭიხვინებდნენ საომარი ულაყები, დუჟმორეულნი ღეჭავდნენ ლაგამს, მათ ხვიხვინში ისმოდა უცნაური ძახილი სქესისა...

მოკვინტრიშებდნენ თაფლისფერი კვიცები, ცეკვით მოსდევდნენ მუცელდაბერილ ჭაკებს.

გამოექცა მგლისფერი აჯილღა ორ ვაჟკაცს, აყიროსავით გადააგდო ერთი მათგანი მტვერში, უკანა ფეხებზე ზეაღიმართა, ტორები შემოჰხვია ჩალისფერ ფაშატს, რომელიც თოკით მიჰყავდა მელოტ ბერიკაცს.

ფაშატი შეტოკდა, როგორც მარტოხე გრიგალისაგან შეშფოთებული, მაგრამ მოხუცს შეებრალა მშვენიერი ულაყი, გააკავა ჭაკი.

ერთობლივი ჭიხვინი ასტეხეს საომარმა ულაყებმა და იაბოებმა, შურით აღვსილი ეროსი ფაფარში მისწვდენოდა ცხენების რემას.

ახლა კამეჩის ურმებმა აამტუტეს გზა.

წყვილ-წყვილად მოედინებოდნენ ქედმოდრეკილი კამეჩები, მოაჭრიალებდნენ ნაბდებით გადახურულ ურმებს, ნაღვლიანად ქშინავდნენ ბეჰემოტების უკანასკნელი ნაშიერნი, ურმით მოასვენებენო ციხე-ქალაქში ღამეს...

«მხოლოდ მოცლილებს ემარჯვებათ გამიჯნურება!»

ეს გაიფიქრა არსაკიძემ და უკლო ნაბიჯს.

ხურსისეულ სასახლესთან მისულმა უკან მოიხედა, ორიოდე ლანდი ღიმღამობდა მოსახვევებთან.

მათაც აცალა ჩავლა და ხილნარში შევიდა ანაზდად.

მღელვარებით აღვსილმა მოათავა კიბის ხარიხები.

რა უბრალოდ შეუვლია კოლონკელიძიანთ ოჯახში უწინ! თავათაც აოცებდა ეს მღელვარება ახლა.

დიდი დარბაზი ღია იყო ჯერაც, ორიოდე ჭაღი ლიცლიცებდა შიგ.

ზედ კარის ზღურბლთან დამჯდარიყო მხევალი ხათუთაი.

ჩხირებგაყრილი წინდა გავარდნოდა ხელიდან.

მიესალმა არსაკიძე დედაკაცს, ხმა არ გაუღია სამაგიერო დამხვდურს. თვალებში ჩაჰხედა დიაცს, მიცვალებულს მიაგავდა მძინარე.

დარბაზში შესულმა დაახველა ნელა, არც აქ შეჰგებებია ვინმე.

ქორბუდიანი ირმისთავები ეკიდა კედლებზე. რაღაც უცნაურ სევდას დაევანებინა ჩაშავებულ, ჩამქრალ თვალებში.

რკინის ჩაბალახები შენიშნა კაჩხებზე, სამფარეშოსანი თორები, ქეიბურნი და მშვილდები ირგვლივ.

ფრთხილად გაიარა გაუხსნელი ზანდუკებისა და ვაშკარანების გვერდით, უკანა კარი ოდნავ იყო გამოღებული.

ზედ ზღურბლთან შეჩერდა სტუმარი.

უნებლიედ შეიჭვრიტა მცირე დარბაზში. აქ კი მოულოდნელ სანახაობას წააწყდა თვალი.

შვიდი ხევისბერი მოსხდომოდა ტაბლას, ფხოვური იაფუხები ეყარა ზედ. სათითაოდ შეიცნო არსაკიძემ ფხოველნი: მურობი ქალუნდაური, მამუკა ბალაჩაური, მარტია ბაღათაური, ზეზვაი მისურაული, ბერდია ბებურაული, უშიშა ღუდუშაური და შიოლა აფხანაური.

სუფრის თავში გურანდუხტი შენიშნა არსაკიძემ.

ისხდნენ წვერგაბურძგვნილი, რკინის ჩაბალახიანი ხევისბერები, ჭაღების ლიცლიცზე კაშკაშებდნენ ხოჭოსფერი თორნი. თავჩაქინდრულნი უსმენდნენ შორენას.

...«დიაცი ვარ, მაგრამ მამაჩემის თვალების დაწვას მაინც არ შევარჩენ მეფე გიორგის. უჩემოდ ნუ დაიწყებთ ამბოხს. წყაროს თვალის წმ. გიორგის ხატობაზე კვეტარში გავჩნდები.

მამისეულ თორს გადავიცვამ, მის მუზარადს დავიხურავ, მის ხმალს შევირტყამ, მის საომარ ცხენზე შევჯდები, ლაშქარს გავუძღვები წითელის დროშით. მაშინ გამოჩნდება ქუდოსანთა სიმამაცე, ფხოველნო!

ჩემი ბედი, თავადიციხე რომ არ დაარღვია მეფე გიორგიმ კვეტარში, საბრძოლო გოდოლები მოათავეთ როგორმე.

მამაჩემის ბრალი ეს იყო: ფხოვში შემოსვლა რომ აცალა ზვიადის ლაშქარს.

მეფე ციხეში შეიპატიჟა, ზვიადის მოსვლამდის არ დასთხარა თვალები.

ამიერიდან არ გავიმეოროთო ასეთი შეცდომა, ფხოველნო, გუდამაყარში შევეგებოთ ზვიადის ჯარებს».

წამოდგა უხუცესი, მუროჩი ქალუნდაური.

მამამზემ და ტოხაისძემ დაგვაღალატაო იმჯერად. პირობა ჰქონდათო გუდამაყარში შებმოდნენ ზვიადს.

ესა სთქვა ქალუნდაურმა და არსაკიძე შეშფოთდა ანაზდად. ხედავდა: ცუდ საქმეში აბამდნენ შორენას.

ვეღარ მოითმინა, კარი შეაღო და დარბაზში შევიდა ჯიქურად.

წამოცვივდნენ თორიანი ხევისბერები.

ცხვრის სუნი ეცა არსაკიძეს. ერბოს სუნში აღრეული ცხვრის სუნი.

მიუალერსა მუროჩი ქალუნდაურმა არსაკიძეს, მარჯვენა მკერდზე აკოცა მანაც.

გამოჰკითხავდა ჯანმრთელობის ამბავსა, ცოლ-შვილს თუ მოეკიდე, ან მცხეთაში რას აკეთებო?

გურანდუხტი აიმღვრა, მაგრამ მაინც ტკბილად შეეგება სტუმარს.

წამუყო მოახლეს, იაფუხი და ხინკალი მოატანინა მყისვე.

მერმე ადგა, დიდ დარბაზში გავიდა. ღია კარიდან ესმოდა არსაკიძეს, თუ როგორ დატუქსა ერისთავის ცოლმა მხევალი ხათუთაი.

თუ სტუმრების მოსვლას არ გვაუწყებ, რად დაგსვესო კარის ალაგზე?

ხინკალმა და ხევისბერებმა ფხოვი მოაგონა არსაკიძეს. კოლონკელიძის ციხეში გატარებული ბედნიერი საღამოები.

გვერდით მიუჯდა შორენა უტას.

«შენი დაშავების ამბავი გუშინწინ გავიგეთ მხოლოდ, ვარდისახარი ასე გვიამბობდა: კლარჯეთს წარგზავნაო კათალიკოსმა. გუშინ უნდა გამომეარა რატისეულ სასახლეში შენთან, მოულოდნელად გვეწვიენ ხევისბერები ჩვენი».

ახლა მარტია ბაღათაური მოუჩოჩდა არსაკიძეს.

დედაშენი ვნახეო გასულ კვირას, ხატობას. წვერის ანგელოზთან მოეყვანა საკლავი, აწირვინაო მამაშენის სულის სალხენად ხუცს.

ბაგისკოცნით მოგიკითხაო დედამ, დღედაღამ გავედრებსო ფუძისანგელოზს, გმირსა კოპალეს კარატისისას და ფიწალეს ლაშქართ წინამძღოლს.

შემოგევედრაო დედა, როგორმე დაეთხოვე იმ ურჯულო მეფე გიორგის, თუნდაც ერთხელ ინახულეო დედა.

ნავახშმევს სამმა ჭაღიანმა დიაცმა დასაძინებლად გააცილა ხევისბერები.

მუროჩი ქალუნდაურმა არ ინდომა ჯერ მოსვენება, მაინც არ მეკარებაო ძილი. გურანდუხტს მიუჯდა და დაიწყეს ჩურჩული.

შორენა ალერსიანად ეტიტინებოდა არსაკიძეს. წარამარა ახსენებდა მის ლაზურ სახელს, ეფერებოდა, ეხუტებოდა უტას.

როცა მისი ავადობის მიზეზი გაიგო, ჰქირდავდა კიდევაც ნაძმობს:

«ვერ ყოფილხარ ვაჟკაცი, უტა. ოთხი კაცის ტვირთმა როგორ მოგწყვიტა წელი? შენ ისეთი ლომკაცი მეგონე, მტრის ლაშქარს შეებმის-მეთქი მარტოკა».

სულ ახლოს მიჰქონდა ვაჟის სახესთან პირი. ღელავდა არსაკიძე, როცა მისი სანუკველი სუნთქვა ეალერსებოდა ღაწვებზე.

მალე ხევისბერი ქალუნდაურიც გაიყვანეს მცირე დარბაზიდან გურანდუხტმა და ორმა მოახლემ, შორენამ მხარზე ხელი დაადო, არსაკიძეს. ყურის ბიბილოსთან მიუტანა პირი:

«იცი, უტა, ვარდისახარი ფხოვს აპირებს ხატობაზე წასვლას. პირიმზისაც თან მიჰყავს, ჩვენი მხევალი, გაპარვას აპირებენ ღამით».

ესა სთქვა შორენამ, გამომცდელი მზერით მიაშტერდა არსაკიძეს.

უხიაგად მოიღუშა ლაზი. დუმილით ამცნო: არად ვაგდებო ვარდისახარის მისვლა-მოსვლას ამიერიდან.

ლოყა დააყრდნო ხელისგულზე შორენამ, ნაღვლიანად ეუბნება არსაკიძეს:

«იცი, უტა, მე ძლიერ მენატრება კვეტარში ჩასვლა. ერთხელ მაინც მაჩვენა ბედშავი მამაი, ჩვენი ციხის ჩარდახიდან დამანახვა ფხოვეთის მთები»...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა შორენას და სწორედ ამ დროს შემობრუნდა გურანდუხტი დარბაზში.

ლაზისტანის ზღვა ელავდა შორენას ზღვისფერ თვალებში, ისეთი სიყვითლე გადასდიოდა თავთუხისფერ კულულებს, როგორიც ახლად გამოჩეკილ ხოხბის ლაპებს გადაჰკრავს ხოლმე.

ცხვრის სუნი, ერბოს სუნი დაეყენებინათ ხევისბერის ტყაპუჭებს დარბაზში, მაგრამ არსაკიძის სათუთ ყნოსვას მაინც წვდებოდა სანატრელი დიაცის თმის სუნი.

როცა ორმა ჭაღიანმა მხევალმა ხურსისეულ სასახლის ჭიშკართან მიაცილეს არსაკიძე, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცარგვალს აჰხედა ოსტატმა და მის გულში გახმიანდა გოლეულივით ტკბილი და მათრობელი სიტყვები.

«ვითარცა სურინ ირემსა წყაროს მიმართ წყალთასა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი»...

შუაღამე გადასული იყო უკვე, როცა რატისეულ სასახლეში მიბრუნდა სევდისაგან გაოგნებული.

ბუს მართვეები იძახოდნენ მუხოვანში სადღაც.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს...

XXXV

მარიამ დედოფალი ბიზანტიონს წასასვლელად ემზადებოდა, ამიტომაც აფხაზეთს გაემგზავრა სული წმინდის მოფენის დღეს.

გირშელის ნიშნობა წინა კვირას შესდგა. ქორწილს აჭიანურებდა გურანდუხტი რატომღაც.

ხან ამას მოიმიზეზებდა: შორენას მზითევს მოველიო კვეტარიდან, ხანაც თავის ძმას უცდიდა დაჩის, ცოტა-ერისთავს ცხრატბისას.

გიორგის ნანახი ჰქონდა შორენას მზითევი, მაგრამ ასე ვარაუდობდა მეფე: ალბათ სხვა საჭურჭლენიც ექნებაო ერისთავის ქალს გადამალული ფხოვში.

თავათ არა სწუხდა მაინცდამაინც გიორგი, გირშელის ქორწინება რომ გადასდეს შემოდგომის მიწურულისთვის.

პირიქით, ეს უნდოდა მეფეს: დედოფლის ბიზანტიონს წასვლამდი არ შემდგარიყო როგორმე იგი. მცირე იმედი ჭიატობდა სადღაც. ხანაც ყოველივე წაგებულად ეჩვენებოდა წინასწარ.

ეს შემოდგომა არც ისე შორს იყო.

მერმე?

მერმე იწყებოდა საშინელი და გადაუხიდავი უფსკრული. ფიქრიც უმძიმდა ამის გამო... თრიაქის წევასა და ღვინის სმას უმატა, უცნაურად გამოიცვალა, ნადირობასა და ქეიფს მიეძალა ბოლოჟამს.

ომის მონატრული იყო მეფე.

ისეთი ომი ატეხილიყო სარკინოზებთან, ან ბერძნებთან, ერთად დაღუპულიყვნენ თუნდაც გირშელი და გიორგი, ისე როგორც დაუღვლილ კამეჩებს მოაშთობს ხოლმე დიდროაის ჟამს არაგვი.

როცა გირშელი მცხეთაში იყო, გიორგი ყოველ წუთს უთვალთვალებდა მას, განსაკუთრებით საღამოობით არ აშორებდა თვალს, უცილოდ უნდა სცოდნოდა, თუ სად იყო ყველისციხის პატრონი ამ დროს?

ერთი რამ იყო სანუგეშო მხოლოდ: თავათ შორენა გულგრილად ეკიდებოდა თავის საქმროს, გაცილებით უფრო ტფილად ეპყრობოდა გიორგის, ამიტომაც მოუხშირა წვეულებებს, ნადიმობასა და ნადირობას მეფემ.

არც გურანდუხტი ანებებდა დანიშნულებს პირისპირ შეყრას და ეს ამბავი განუსაზღვრელად ახარებდა გამიჯნურებულ მეფეს.

თიბათვის პირველს გირშელი ყველისციხეში იხმეს საერისთავოს საქმეების მოსაგვარებლად.

ორი კვირაც ვეღარ მოითმინა სასიძომ და კვლავ ჩამობრუნდა მცხეთაში.

სწორედ იმ საღამოს, როცა ყველისციხის პატრონი კვლავ ეწვია მეფეს, ზვიად სპასალარი დაუბარებლად გამოცხადდა სასახლეში.

უცნაურად აღელდა გიორგი, როცა ზვიადის ტლანქი ნაბიჯები შემოესმა დიდ დარბაზში მარტო მჯდომარეს.

მსახურთუხუცესი შემოჰყვა სპასალარს, სელი მიაწოდა სტუმარს. მოუთმენლად წამოდგა ზვიადი, მისთვის უჩვევი მღელვარებით მოახსენა გაფითრებულმა მეფეს:

მსტოვარებს უსიამო ამბავი მოეტანათ ფხოვიდან. კვეტარის საბრძოლო გოდოლების კვლავ აგებას შესდგომიანო ხევისბერები. თვალდამწვარი კოლონკელიძე ვერაფერს ხედავს, მაგრამ ისე იქცევა თურმე, სმენაც წართმევიაო ვითომდაც.

«კოლონკელიძე წაჰკიდებია მოღალატე მამამზე ერისთავს, – განაგრძო სპასალარმა, – კიდევაც რომ აჯანყდნენ ფხოველნი, მამამზე და ტოხაისძე არ მიეშველებიან ერისთავს, არა!

დიდონი და ღალღაიც გადასდგომიან, მეფევ ბატონო, კოლონკელიძეს.

გაზაფხულზე თავს დასხმიან საერთო ჯარით, საცხოვარი და ხვასტაგი წაუსხამთ კიდევაც.

ერთი უსიამო ამბავიც საჭოჭმანოა ოდნავ, – შემოდგომის დამლევს მამამზის ქალი, კატაი, უნდა შეირთოს სახლთუხუცესმა ტოხაისძემ თურმე».

კარგად იცნობდა მეფე გიორგი თალაგვა კოლონკელიძეს, თუმცა ცოლ-შვილი მცხეთაში ჰყავდა მძევლად, მაგრამ თავაწყვეტილი ერისთავი უდიდესი განსაცდელის წინაშეც უკან არ დაიხევდა, თუ შურისგების საქმე ამას მოითხოვდა მისგან.

როცა ზვიადმა მოხსენება დაასრულა, მეფე სახეზე მიაჩერდა სპასალარს და ეუბნება:

«მერმე?»

«მერმე შენი ბრძანებაც თუ იქნება, მე აგრე მგონია, მეფევ ბატონო, ლაშქარი უნდა წარვგზავნოთ დაუყოვნებლივ ფხოვს, კოლონკელიძე უნდა შევიპყრათ ახლავე. თავი მოვკვეთოთ მოღალატეს, სანამ მამამზე ერისთავსა და დიდოელებს შეირიგებდეს, არა?»

მეფე თავჩაქინდრული იჯდა და სდუმდა.

ზვიადმა ეს დუმილი თანხმობის ნიშნად მიიჩნია და განაგრძო უფრო თამამად:

«ახალი ამბოხის თავკაცებიც ახლავე შევიპყრათ, შვიდივე ხევისბერი, არა?..

მუროჩი ქალუნდაური, მამუკა ბალაშაური, მარტია ბაღათაური, ზეზვაი მისურაული, ბედია ბებურაული, უშიშა ღუდუშაური და შიოლა აფხანაური».

ამათაც დავაყრევინოთო დაუყოვნებლივ თავები, ესეც უნდა განეცხადებინა სპასალარს, მაგრამ როცა ხევისბერების ჩამოთვლა მოათავა, გიორგის თავი არ აუღია, ზედაც არ შეუხედავს მისთვის, იჯდა და მდუმარებდა კვლავ...

და მაშინ მიხვდა ზვიადი, თანხმობის ნიშანს რომ არ მოასწავებდა დუმილი მეფისა.

გააოცა და შეაძრწუნა ამ ამბავმა გიორგი.

ომიო?

ომი დიახაც ენატრებოდა, მაგრამ არა შინაური, არამედ გარეშე მტერთან, შინაური ომები სძაგდა ჟამის დღესავით მეფეს.

გარდა ამისა იგიც იცოდა: შორენა დიდად გამბედავი და თავნება დიაცი იყო, დაბრმავებულ ერისთავის დალაშქვრა თუ საჭირო შეიქმნებოდა, ვინ იცის, რას მოიმოქმედებდა თვალებდამწვარი მამის მხოლოდშობილი ქალი?!!

გირშელის ჯვრისწერა საერთოდ არ შესდგებოდა, ალბათ. ეს არ აწუხებდა გიორგის. მთავარი ის იყო, ომის ატეხამდის ერისთავის ქალი კვლავ ღართისკარის ციხეში უნდა დაემწყვდიათ უცილოდ.

ესეც იყო, ზვიად სპასალარის სიფრთხილე მუდამ გადაჭარბებულად ეჩვენებოდა მეფეს. არც მსტოვარების ნაუწყები მართლდებოდა ყოველთვის.

იცოდა: გადაჭარბებულ სიფრთხილეს თან რომ სდევენ მოჩვენებანი.

ამას ეტყოდა ხოლმე ზვიადს:

შენმა მსტოვარებმა თუ მუდამ მართალი სთქვეს, შიმშილისაგან ამოსწყდებიანო უცილოდ.

ბოლოს თავი აიღო გიორგიმ. სპასალარი დაითხოვა. ასე უთხრა: ხვალ გეტყვიო პასუხს.

გუნებაში ასე გადასწყვიტა: თავათ წასულიყო უჯაროდ, უამალოდ ფხოვს, როგორც მონადირე და მოქეიფე ვინმე რაინდი.

თავათ შეემოწმებინა ეს ყოველივე, რათა უსაზმნოდ არ დაღვრილიყო სისხლი.

მხოლოდ ერთი რამ აბრკოლებდა ამ საქმეს: არ უნდოდა გირშელი მარტო დაეტოვებინა მცხეთაში. გულცივად ექცეოდა თავის საქმროს შორენა, მაგრამ ვინ იცის, ხვალ ან ზეგ რა მოხდებოდა მათ შორის?!

კანონად ჰქონდა მიჩნეული მეფე გიორგის: მსტოვრებსა და დიაცებს ნურვინ ენდობაო ბოლომდის.

იმ ღამესვე გაუზიარა ეს ამბავი გირშელს, წასვლას ვაპირებ, მაგრამ როგორ დაგტოვოო სტუმარი მარტო?

გირშელიც განსაცდელის მოყვარული იყო ბუნებით, მუდამ საფრთხე ენატრებოდა რაინდს.

ეგეც ეწადა ერისთავს, თავისი მომავალი ცოლოური ენახა, თანაც ჯიხვებზედაც წაინადირებდნენ გზადაგზა, ხატობაში წაიქეიფებდნენ სადმე.

ერთ დარბაზში მოთავსდნენ ყმაწვილებივით იმ ღამეს, ისევ იგონებდნენ სიყრმეს, იცინოდნენ, ხუმრობდნენ საწოლში.

იმ ღამესვე გადაწყდა: იდუმალად გაპარულიყვნენ მცხეთიდან, ზვიადის მეტს არავის სცოდნოდა ფხოვს წასვლის ამბავი.

ძველმანები თან წაეღოთ მრავალნაირი, წვერი ინით შეეღებათ, არავითარი ამალა არ წარეტანათ თან, ეს ყოველივე მართლაც ყმაწვილურ ხალისს ჰგვრიდა ამ იდუმალი მოგზაურობის გმირებს.

მხოლოდ ორი მხლებელი გააფრთხილეს, მალემსრბოლი უშიშარაისძე პიპა და კოხრიჭისძე გაბოი, ძველი მეჯინიბე.

აფხაზური სატალახო ცხენებით უნდა ემგზავრათ, რადგან არაბული ან თექური ულაყები არ გამოდგებოდა მთაში.

•

უთენია გავიდა ოთხი გადაცმული მხედარი მცხეთიდან. რკინის ჩაბალახები ეხურათ თავზე, ჟანგისფერნი თორნი ზედ ეცვათ, ღარიბული თექანი მიჰქონდათ უნაგირების ტახტაზე მიკრულნი.

ლაღბობით დაიწყეს მგზავრობა: მეჯინიბე და მალემსრბოლი წინ გაუშვეს პირველად.

იცინოდა თავათ ახმახი გირშელი, მალემსრბოლის უშიშარაისძის ანაგობის გამო.

ტანმორჩილ, სატალახო ცხენზე იჯდა ეს უზარმაზარი დევკაცი, თავზე ძველთაძველი ჩაფხუტი ეხურა (ბაგრატ კურაპალატის ჟამინდელი). ნახმლევებისაგან კიდეშელეწილი, ხელში ჰოროლი ეჭირა თოროსანს, ხოლო ფეხები თითქმის მუხლამდის უწევდა აფხაზურ ცხენს.

(უკანიდან შეეხედა ვისმეს, თავათ გირშელიც ასეთი მოსჩანდა თავის ცხენზედაც).

«გლახუნა, რა ჰქვია შენს მალემსრბოლს, მუდამ მავიწყდება მისი სახელი?»

«პიპა»,

ეუბნება გიორგი.

«ამხელა კაცს ვინ დაარქვა პიპა!?»

ხარხარებდა გირშელი.

«მე დავარქვი, სიყრმეში. ისე ბერძნული სახელი ჰქვია. ანაქსიმანდრეს, მცხეთის მიტროპოლიტს, მაქსიმეს მოუნათლავს მას ჟამსა შინა.

შენ კარგად იცი, მე ყველაფერი მეზიზღება ბიზატიური».

ჯერ საფურცლეშიაც არ იყვნენ მისული, საშინელი ხვატი დააცხრა მიწას, მოფუყულნი სტიროდნენ იფნის, მურყანის და ტირიფის ფოთლები, ხვატისაგან დახეთქილ მიწაზე მიაჯირითებდნენ დასიცხული მხედრები გაღვარულ ცხენებს.

პიპამ ნეშო აკინძა, მუზარადზე წამოიცვა, გაბოი ხუმრობდა: დათვოულად გამოდგებაო ყანებში პიპა.

დასიცხული კამეჩები ეყარნენ ჭალების ჭოჭში, ნაღვლიანად ყოყინებდნენ მხედრების დანახვისას.

ენაგამოვარდნილი ჯოგის ძაღლები ფეხებში უცვიოდნენ ცხენებს. ღუღუნებდნენ განკერძოებულ მუხებში შეკუჟული ქედნები, დასამწყურვებლად მიიწევდნენ გზადაგზა ცხენები.

ცას აწყდებოდნენ საირაოზე გადმოსული ქორები, წრეებს ხაზავდნენ გაკრიალებულ ცარგვალზე, საწყალობლად ყიოდნენ, ცას შესტიროდნენ გადარუჯულ მიწის სიმძიმილს.

სურათზე ნახატივით მოსჩანდნენ ციხეების, ეკლესიების და ქვითკირების კონტურები უსაზღვრო სილურჯეში. ხვლიკები გადარბოდნენ გზებზე. ძერასფერ

ქარაფების კიდეებს შეფარვით ეტმასნებოდნენ თავაწეული გველები. არაგვი მოხტოდა ლოდებზე. კლდეებს აწყდებოდა მდვრინავი ეხო.

არაგვის პირად დაისვენეს, ტიკი გახსნა გაბოიმ, წაიხემსეს, თითო-ოროლა მოზვრის ყანწი დასცალეს.

დასთქვეს: გუდამაყარს ვუწიოთო საღამოს, და განაგრძეს გზა.

ეკლესიამ იელვა მთაზე, მონასტრის თეთრი კედლები გამოჩნდა შორიდან.

სოფელშიაც არ იყვნენ შესული, ყანებიდან გამოვიდა ფეხშიშველა მონაზვნების მთელი ლაშქარი.

მიდიოდნენ შავადმოსილი, თავდაბურული დიაცები, მტვერში ამოსვრილი ძაძები ეცვათ.

«როგორ უძლებენ ამ შავებში ამნაირ ხვატს?»

ეუბნება გირშელი გიორგის.

«სიცხეს დიაცი უფრო იტანს».

მიუგო გიორგიმ.

მეწინავე მონაზონს თეთრ ტილოში გახვეული თიხის ლაზარე მიჰქონდა.

ფქვილის ტომრებსა და თეთრ ტოპრაკებს მიათრევდნენ სხვანი.

მიდიოდნენ ფეხშიშველა მონაზვნები, გალობდნენ:

ლაზარე მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა...

გიორგი და გირშელი მხარმარცხნით მიჰყვებოდნენ გზას. იდუმალ უჭვრეტდნენ მონაზვნებს.

გადაიხარა გირშელი ცხენიდან, უჩურჩულა გიორგის:

«არაფერი ისე შემზარავი არაა ამქვეყნად, როგორც მახინჯი დიაცები ერთად შეყრილნი. როგორი მოდრეკილი, კუკუმოქცეული, დაღრეჯილი ანაგობა აქვთ ამ საცოდავებს!»

მართლაც საშინელი ფიგურები მიფორთხავდნენ მტვერში. თოჯინებსავით გამოჩორგვილნი, თეძოდაშლილნი, ფეხმოქცეულნი, მენჯბრტყელნი და თავწვრილა, მხარგანიერნი, გრძელწელიანნი, მოკლეფეხება, დათვოულის ძელივით აყლაყუდანი ზოგნიც.

«ლამაზებიც არიან შიგადაშიგ, – ეუბნება ხმადაბლა ყველისციხის პატრონს გიორგი, – აბა დააკვირდი ქარაფის პირად მიმავალთ, აშოლტილი გოგონებია ისინი, მე დავინახე ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთავარ გზაზე გადმოუხვიეს».

ცხენები ააჩქარეს, გაუსწორდნენ მეწინავეთა. შეფარვით უჭვრეტდნენ ეს დიაცები თოროსან რაინდებს, შესწითლებოდათ დასიცხული ლოყები.

თავსაფარებიდან ელავდნენ ნაღვლიანი, ღამეზე უშავესი თვალები. სხვანიც შენიშნა გირშელმა: ქერათმიანი, თეთრყირმიზა დიაცები, ოდნავ ჭორფლიანი, მკერდსავსენი და თეძოსავსენი, სწორბარკლიანი, დროშის ტარივით აშოლტილი დედაკაცები.

უთვალთვალებდნენ დასიცხული მეფე და ერისთავი სიმრგვლისა და სირბილის ტოკას ძაძით შეფარვულს, განიერი თეძოების რყევას.

მტრედის ხუნდივით პაწია და თეთრი ფეხები მიტოპავდნენ მტვერში...

გიორგი კვლავ გადმოიხარა ცხენიდან, გირშელს ეუბნება ჩურჩულით:

«ვინ დასწყევლა ეს მშვენიერი დიაცები, მუდამ მგლოვიარენი იყვნენ, ჭკნობას შეუნახონ მშვენება, რათა ერთ დღეს მოვიდეს სიკვდილი და ისე მოიმკას ისინი, რომ ერთხელ მაინც არავინ იგემოს მათი მშვენიერი სხეულის სიმწიფე!»

«იცი, გლახუნა, სარკინოზების ქვეყნებში უზომოდ მახელებდა ჩადრიანი დიაცების მზერა, როგორც ენკენისთვის მიწურულში თეთრ ყურძენს ამოდ შეაყვითლებს ხოლმე მზვარე, ისე ამშვენებს მუსლიმთა ქვეყანაში ჩადრის ჩრდილი დიაცის სახეს.

მუდამ მახელებდა ეს უცნაური სიყვითლე, ჩადროსნების ღაწვზე დაჭერილი შეფარვით.

მაჰმადიანი დიაცებიც კარგი ბოზებია ზოგნი, მიდიხარ ხანდახან ქუჩაბანდში, მწუხრისას, ზღვაური აფრიალებს კაბებსა და ჩადრებს. ჩამოგიქროლებს ჩადროსანი პირშებურვილი, თუ მოეწონე, წაეხმარება ნიავს, ხელს აჰკრავს უცაბედად ჩადრს და გაჩვენებს ირანულ ვარდზე უტურფესს პირს.

მე იმ ვარდს ვგულისხმობ, გლახუნა, ეკბატანას ბაღში რომ ჰყვავის ხოლმე სულ პირველად, ვარდობის თვეში.

წითელი არ გეგონოს იგი, არამედ ძველთუძველესი სპილოსძვლისფერისა, შენ რომ სკიპტრა მაჩვენე ერთხელ, ბაგრატეული, სწორედ იმ ფერისა, გლახუნა, გესმის?

სწორედ იმ ფერის დიაცები მიყვარს, გლახუნავ, მე, ჩადრის ჩრდილში შენახული, იშვიათად, სავსებით იშვიათად თვალნაკრავი, გესმის?»

«მოკლედა სთქვი, გირშელ, სიმოკლე ამშვენებს ხანდახან სათქმელს, შენს საცოლეს რომა აქვს, კოლონკელიძის ქალს, სწორედ ისეთი, არა?»

თავი დაუქნია გირშელმა ცბიერად მომღიმარე გიორგის და დეზი ჰკრა ცხენს, რადგან ბოგირზე გადასვლისას გაოჩნდა იგი.

აღმართი მოათავეს, მონაზვნებმა მარჯვნით გადაუხვიეს, ჭილყვავივით შეესიენ ისინი კალმუხის ქუდივით აწოწილ გორაკს.

დაღმართიდან ოციოდე თოროსანი რაინდი ამოდიოდა, როცა ოთხ მხედარს გაუსწორდნენ, შესძახეს:

ვინა ხარო?

გიორგი მეფის ყმანი ვართო.

შეაგებეს ოთხთა.

დაქვეითდნენ მხედრები, პატივითა ხილვა მოუწყვეს, ოთხივენი გადაჰკოცნეს და გაუდგნენ მცხეთისკენ გზას.

გიორგიმ განაგრძო გირშელის მიერ შეწყვეტილი საუბარი.

«თუ შენ ჩადრის ჩრდილში დამშვენებულნი აგრე გყვარებია, არც ის ბეხრეკა ფარსმანი ყოფილა უჯილაგო».

«მერმე შენ რა ჰქენი, გლახუნავ?»

«რა და ფარსმანი სადედო მონასტერს შეეჩვია მცხეთისას, ულამაზეს გოგონებს ახადა ნამუსი. შარვაშისძის ქალს ნაბიჭვარი გაუკეთა, მონათა შვილებს ნუღარ იკითხავ, ბოლოს ფანასკერტელის ქალი მოიგდო ერთი, სწორედ მასაც ჰქონდა ძველი, ძველი სპილოსძვლისფერი ღაწვები. შენ რომ გყვარებია, სწორედ ისეთი, გირშელ».

«მერმე?» ეკითხება მსუნაგი გირშელი.

«მერმე და ბისტი... შე რა გგონია, ჩვენი კანონები მხოლოდ სულელებისთვისაა დაწერილი, ჩემო გირშელ. ჭკვიანები ისე აჭახრაკებენ თავიანთ დანაშაულს, მათ მაგივრად სულელები გაებმებიან ხოლმე მახეში.

მელქისედეკ კათალიკოსი კალიასავით ახტა და დახტა, უსასტიკესად დასჯა მოითხოვა მისი».

მეფე გაუჯავრდა ცხენს, გირშელმა ვეღარ მოითმინა და ისევ იკითხა:

«მერმე შენ რა ჰქენი, გლახუნავ?»

«მე რა უნდა მექნა? ფარსმან სპარსი ციხეთა მშენებელია საუკეთესო მთელს აღმოსავლეთში, ვიღაც ფანასკერტელის გომბიოს გამო ხომ არ მოვსჭრიდი თავს?

დავაჯილდოვეთ პირიქით ამისთვის, ზვიად სპასალარი შემომიჩნდა: ფარსმანმა ზოგი რამ საიდუმლო იცის ჩვენი, ეს უნდა დავტყუოთო, ამიტომაც შევრთეთ, შენ რომ იცოდე ვინ?»...

გირშელმა ცხენი შეაყენა.

ვინაო?

იკითხა.

«ვინა და ვარდისახარი, შენი საცოლეს, შორენას პირისფარეში.

შენი მსუნაგობის ამბავი ვიცი, ეს დიაცი რომ ნახო, შესაძლოა ქორწილი მეორე შემოდგომამდის გადასდო კიდევაც».

გირშელი დაინტერესდა, გაუღიმა გიორგის, მერმე ყმაწვილურად, ქარაფშუტულად ეკითხება მეფეს:

«სადაა მერმე ის დიაცი ახლა?

შენ ხომ იცი, ბებრის ცოლი ფრიად ტკბილია».

«მაგის ჟინი მეცა მჭირს, გირშელ, თუ სადმე მოვახელე, შენს წყალობას არ მოვუცდი, იცოდე».

გიორგიმ ცხენი შეაყენა, რადგან უშიშარაისძე და კოხრიჭისძე აღარსად სჩანდნენ.

აზღვავებული ხალხი შესეოდა ყანებს. დროშები და ხუცები წინ მიუძღოდნენ ბრბოებს.

მდინარეებში საბანაოდ მიჰქონდათ ხატები.

ფეხშიშველა დიაცები გალობდნენ ლაზარეს, ორღობეებში ბიჭები წყლით წუმპავდნენ გოგოებს. ტკარცალებდნენ გაქცეული დიაცები.

გიორგიმ ერთ ხილნარში გადაიხედა:

«ფშატი აყვავებულა ამ სოფელში, გირშელ, გოგოები ათქვირებულან მიტომაც».

ეუბნება ყველისციხის პატრონს.

სიცხისაგან შეჭარხლული გირშელი გაოგნებული იჯდა უნაგირზე, მაინც უთვალთვალებდა ფეხშიშველა დიაცებს. განზრახ ჩამორჩებოდნენ მეფე და ერისთავი მხლებლებს, სტკბებოდნენ მრუში ამბების მოყოლითა და ბილწსიტყვაობით.

ქუშამომჯდარი ხვნეშოდა აფხაზური ცხენი გირშელის გოლიათური სხეულის ზიდვისაგან.

ციხე-სოფელში შევიდნენ უკვე. სახედრები ღრიალებდნენ ქედზე გადმომდგარნი, კოკებით დატვირთულებს მოაჯირითებდნენ სხვათა, მიწამდი უწევდნენ ფეხებს ვირზე გადამჯდარი ვირგლა ბიჭები.

XXXVI

ძელსა ჰკრეს თეთრგუმბათიან ეკლესიაში. შურისდარ ბილიკებიდან ბღავილით დაიძრნენ ცხვრის ფარები, მღვრიე ტალღასავით შეესხნენ მთის კალთებს, კოტრიალით ცვიოდნენ ნერბები და ვერძები წყალში.

ბღაოდნენ საძოვრებიდან მობრუნებული კუროები, ჭიხვინებდნენ მუცელდაბერილი ჭაკები, ფეხშიშველა დიაცები დაძრწოდნენ ორღობეებში, თიხის ლაზარე ეჭირათ ხელში, საწყალობლად გალობდნენ:

ლაზარე მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა...
.....
ღმერთო მოგვეც ტალახიო,
აღარ გვინდა გორახიო.

მდუმარედ ისხდნენ მოქანცული მხედრები გაღვარულ ცხენებზე, უთვალთვალებდნენ ფეხშიშველა დიაცების გათქვირულ ძუძუებსა და მზისგან დაბრაწულ, შიშველ წვივებს.

ენატრებოდათ სეფექალებისგან თავმობეზრებულებს ქარცემული ლოყების კოცნა, გომიჯივით მკვრივი ძუძუების სრესა...

შევიდოდნენ ხევში. გზირები დაუხვდებოდათ, გაივლიდნენ ხეობას, ციხეებიდან უყივლებდნენ.

შემოერტყმოდნენ შუბოსნები გარს, დაზვერავდნენ, ჰკითხავდნენ: ვისნი ხართო?

გიორგი მეფის ყმანი ვართ, დიდოეთს მივდივართო ცხენების სასყიდლად.

ქრთამებს მიართმევდნენ ციხისთავებსა და ხევისთავებს და მიიწევდნენ ფხოვის მიწაზე წინ.

ცხენები ძლივს მიფოხრიკობდნენ შემრეცილ ბილიკებზე.

მთების ჩრდილები ტაფობებზე წვებოდნენ, კიოდნენ ტურები, შემოღამებული არწივები ჰყიოდნენ მთებში. შავი არაგვის პირად ციხე იდგა ოთხგოდოლიანი.

კოხრიჭისძემ აიჩემა:

შევიპაროთო ციხეში, მეჯინიბეებს ვიცნობო იქაურს. გაგვათევინებენო როგორმე ღამეს.

არა ჰქნა გლახუნამ. სადმე ფიჭვნარში შევუცადოთო ცისკარს.

წიწვიანი ტყეები დაიწყო, ამოდ ქშუოდნენ ქარაფებიდან გადაკიდული ჩქერალები, სვავები დგებოდნენ უფსკრულებიდან, მთის მგელი ყმუოდა ხევში.

გზა აერიათ მხედრებს, რომელიღაც ხეობაში დაეკარგათ ბილიკი, გლახუნამ მოითხოვა: თორმუზარადი დავმალოთ, ჰოროლები ხელიდან გავაგდოთ, თორემ გაძნელდებაო ფხოვის მიწაზე მგზავრობა.

ავაზასფერი კლდეები გამოჩნდნენ გზიდან.

როცა გირშელმა და პიპამ ძველმანები გადაიცვეს, სიცილს ვეღარ იკავებდნენ გლახუნა და გაბოი, საფრთხობელას მიაგავდნენ ძონძებში გადაცმული მხედრები.

უკვე შეუძლებელი გახდა ცხენით სვლა, მოსართავები წარამარა უწყდებოდათ გირშელსა და პიპას.

დაქვეითდნენ, ხელით მიათრევდნენ ცხენებს.

გირშელის ტაიჭი სავსებით დავარდა. პიპა უკანიდან აწვებოდა და ასე მიჰყავდათ ორ ვაჟკაცს ერთი ცხენი.

დეკათი მოფენილ ტაფობს მიადგნენ ერთს, საწყალობლად წიოდნენ როჭოები ჩირგვებში.

ორიოდე როჭო ძლივს მოინადირეს.

ცეცხლი გააჩაღეს, მწვადები შესწვეს, გაბოს არაყი აღმოაჩნდა ტიკში.

სამი თოროსანი ფხოველი წამოადგათ თავზე.

მათაც ესა ჰკითხეს, რომელი სოფლისანი ხართ, რად მოსულხართო ფხოვს?

გლახუნამ სავსე ყანწი მიაწოდა სამთაგან უხუცესს.

«შენ გეტყვი, ძია კაცო, ვინ განაგებს ამჟამად ფხოვს?»

«ერისთავი კოლონკელიძე».

«ჰო, მაგრამ, აკი ბრმაა კოლონკელიძე?»

ბრმაა, მაგრამ მაინც უკეთ ხედავს, ვიდრე იგი, ვინც თოლები დასწვაო ერისთავს.

ვინ დასწვაო თოლები კოლონკელიძეს?

«მაგ პირძაღლმა მეფე გიორგიმ».

ყველისციხის პატრონმა ძლივს შეიკავა ღიმილი. როჭოს კურტუმი დაითრია და ღოჯებით დაუწყო ღრღნა.

გაეცალნენ თუ არა ფხოველნი, ერისთავს ეუბნება გიორგი:

«შენ გეტყვი, გირშელ, სხვა მეფეებიც ჩემსავით გადაცმულნი რომ ივლიდნენ, ქება არ მოაკლდებოდათ დილას და საღამოს».

ბილიკს შეუდგნენ ფიჭვნარში მიმავალს.

ცეცხლი დაანთეს აქაც. ცხენებს თოფრები გაუკეთეს, ქეჩები დააგდეს მიწაზე.

მორიგეობით ეძინათ დაქანცულებს, მორიგეობით ყვინთავდნენ შუაღამემდის.

გუთანი გადავიდა ცაზე.

უცნაური ჩქამი გახმიანდა ტყეში, საშინელი ღნავილი ისმოდა ჩირგვებში, კატის კნავილის მინაგვარი ხმა.

გირშელმა ხმალი აიღო და შეუვარდა ბუჩქნარში ნადირს.

მცირე ხანს მისდევდა ღიჭიანში ლანდს, მერმე ფოსფორული ნათელის ელვა შენიშნა, შეუტია ხმლით, ისევ დადუმდა ტყე. ხელცარიელი გამობრუნდა და მიუჯდა ჩანაცრულ ცეცხლს.

«რა მოგელანდა, გირშელ?»

ეკითხება გლახუნა.

«ავაზა იყო ვგონებ, ხვადები იბრძოდნენ ბნელში».

პიპა და გაბოც გამოფხიზლდნენ ავაზის ხსენებაზე. მიაყურეს, ახლა ხევში ისმოდა ჩხავილი, ისეთი, როგორიც ამძუვნებულ კატებს სჩვევიათ ხოლმე.

«უსასტიკესი მხეცია ავაზა, – დაიწყო გირშელმა, – ხომ ყოველ ნადირს ეშინია ადამიანისა; როცა ევიპტიდან გამოვიქეცი, ვეფხი შეგვეფეთა ოაზისებში, არაბთა სოფელს შესჩვეოდა ერთს, შვიდმა იბერიელმა სამი ვეფხი მოვინადირეთ ერთს კვირას, ლომი რომ ლომია, იგიც არ შეუტევს უმიზეზოდ კაცს.

ავაზა მოსახლეობას თავს ესხმის ეგვიპტეში, განა თუ ღამით, დღისით, მზისით, გაიტაცებს ბალღებს და ძროხებს. ერთი ვიროსანი მოლაჰ დაჰგლიჯა ჰალებში».

«ავაზა, ფხოვში?»...

იკითხა გაბომ.

«სწორედ ამ ჩალისფერ კლდეებს ირჩევს თავის სამყოფლოდ ავაზა, სწორედ ისეთ ქარაფებს, ტაფობის გვერდით რომ ენახეთ წეღან, დალეწილ კლდეებში დაიდებს ბუნაგს, თუ ბოკვერები ჰყავს აქ სადმე მახლობლად, გამოვეთხოვოთ ჩვენს ცხენებს ამაღამ».

«როგორ, განა ცხენებსაც შეჰბედავს ავაზა?»

იკითხა პიპამ.

«ცხენსაო? სპილოებს ახტებიან ხანდახან ქედზე. განსაკუთრებით ძუ ავაზაა საშიში, ცხოველთა შორის ძუ ავაზაა უმამაცესი».

•

რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ფხოვში, მით უფრო ძნელდებოდა მოგზაურობა, ყოველ მთის ცხვირთან ციხე უხვდებოდათ, ყოველი ხევის ყელთან გზირები, უამრავი საფასი გასცეს ხევისთავების მოსაქრთამავად.

გზირებისა და მსტოვარების დაკითხვას ვეღარ აუდიოდნენ მხედრები.

დიდოეთს მიმავალ ცხენის ვაჭრებად თავის გასაღება უკვე სახიფათო იყო. გიორგი დარწმუნდა: დიდონი მართლაც მტრად შეერაცხათ ფხოველთა, ერთ-ორ ადგილას ზვიადის მსტოვარები მოიკითხეს.

უფლისციხეს გაქცეულანო, ამის გაგება მოახერხეს მხოლოდ.

ახლა ქორისფერი კლდეები გამოჩნდნენ...

ერთ გვირაბში გაათიეს მეორე ღამე, ითათბირეს, დასთქვეს: ერთად არ ევლოთ ოთხთა, სადაურობას თუ ჰკითხავთ ვინმე, სხვადასხვაგვარი პასუხი მიეცა თითოეულს.

მეფე და ერისთავი ასე ეუბნებოდნენ გზირებს: გიორგი მეფის ყმანი ვართო, უფლისციხის დილეგიდან გამოქცეულნი.

უბრძანეს მეაბჯრესა და მალემსრბოლს:

დიაცებთან სიახლოესა და ლუდის სმას განრიდებოდნენ.

პურ-მარილზე არავის სწვეოდნენ, საკუთარი საფასით ესაზრდოვათ გზადაგზა.

გაშორდნენ გზაჯვარედინზე ურთიერთს, დასთქვეს: ხატობაზე შევხვდეთო ერთმანეთს.

თითო ციკანი უნდა წაეყვანათ საკლავად ხატში.

იცოდა გიორგიმ: ხატობაზე მოსულ უცხო «მეზღვნეს» პატივისცემით ეკიდებოდნენ ფხოველნი.

პიპასა და გაბოს ებრძანათ: როგორც კი სიტყვა მოიტანდა, შეძლებისამებრ ეგინებინათ გიორგი მეფე და ზვიად სპასალარი, ამ გზით გამოერკვიათ მოსახლეობის განწყობილება ფხოვში.

ისიც დააბარეს: აუგად ეხსენებინათ მელქისედეკ კათალიკოსი, მამამზე ერისთავი, დიდონი და ღალღაი.

ხატში მისულთ, მახლობელ ტყეში გადაემალნათ ცხენები.

გირშელი და გიორგი ფეხით დაადგნენ გზას.

ყველისციხის პატრონი არ იყო ფხოვში ნამყოფი. გაოცებული შესცქეროდა ფხოველთა ხატებს, მათ დეკანოზებს, გზისპირად აღმართულ ქვის ყორეებს, სალოცავებად მიჩნეულთ.

სიბრალულით აღვსილი უყურებდა სოფლების ბოლოს, ნაკელით სავსე სამრელოებში დამწყვდეულთ, მშობიარე დიაცებს.

ბოლოს გამოჩნდა ნანატრი ხატი.

გიორგიმ და გირშელმა ციკნები იყიდეს, ცალ-ცალკე შევიდნენ ხატის ეზოში «მეზღვნენი»:

გირშელი გაოცებული შესცქეროდა ჯიხვის რქებით შემკულ ხატის დარბაზის სვეტებს.

შორიდან უმზერდა გიორგის, სცდილობდა საქციელით მიებაძნა მისთვის.

გაკვირვებული უთვალთვალებდა საჯურუმოსთან მიყვანილ გიჟებს. მედროშენი დროშის ბუნს ადგამდნენ სულით ავადმყოფებს ქედზე, ხუცი ხუცობდა, აჟღრიალებდა დროშებს, ამწყალობებდა ხელფეხგაკოჭილ გიჟებს.

ეზოში თოროსანი ფხოველები ირეოდნენ.

ხატის დარბაზის წინ დიდი დროშა ესვენა ქვის ტახტზე.

დროშის გვერდით ხუცი იდგა.

ხატის დროშის წინ დაიჩოქა მეფე გიორგიმ. ცალ ხელში ციკანი ეჭირა, ცალში ანთებული კელაპტარი, აღმოსავლეთისკენ პირშექცეულს.

ხუცმა უბრძანა და ცალი მუხლი მიწას დაჰკრა მახვეწარმა.

თვალი ზეასწია ხუცმა, ცარგვალს მოავლო თვალი.

«ააა, ღმერთმა ადიდოს შენი ძალი, წმინდაო გიორგივ, შენს გასამარჯვებლად მაიხმარი, ავშანისძეი გლახუნა, შენდ სამსახურ არ დაუკლავ, ააა, შენს წყალობას ნუ დააკლებ, ღმერთ შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ააა, დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, მზის მიმყოლ ენგელოზთა, გეხვეწები ლადის მტრისად, მწარის სიკვდილისად»...

მერმე ისეთი იდუმალი ბუტბუტი დაიწყო ხუცმა, არც შორიახლო მდგარ გირშელს და არც დაჩოქილ მეფეს აღარ ესმოდათ მისი დამწყალობება.

დასტური მივიდა, ციკანი გამოართვა გიორგის, გაჩაჩხა.

ხუცმა ყელი გამოჰღადრა მსხვერპლს.

დასტურმა ჯამი გაავსო ცხელი სისხლით, ხუცმა წამოუყო გიორგის, მანაც თითები ჩააწო ტფილ სისხლში, ხელი გაინათლა, შუბლზე და ღაწვის თავებზე წაიცხო.

გიორგი გაეცალა სასანთლო კოშკს, შორიახლოდან უჭვრეტდა გირშელის «განათვლას».

ისეთი საცოდავი გამომეტყველება ჰქონდა მახვეწარს, გიორგი ძლივს იკავებდა ღიმილს.

ბოლოს გაბოი და პიპაც გამოჩნდნენ.

ციკანი გაექცა პიპას, დაბობღავდა ახმახი, კიკინებდა ციკანი, ხელიდან უძვრებოდა მახვეწარს.

გირშელი და გიორგი უმზერდნენ ამ სანახაობას, ეცინებოდათ, ვერ ბედავდნენ სიცილს.

ბოლოს დასრულდა დამწყალობება. იფნების ჩრდილებში დალაგდნენ ხატიონები ჯგუფ-ჯგუფად.

ერთად თავმოყრა ეწადათ ოთხთა, ვერა ბედავდნენ ამასაც, დამდურებულივით გვერდს უქცევდნენ ხატიონების ბრბოში ურთიერთს.

შეწყდა ხატის დროშების ჟღრიალი, საკოდეებიდან გამოჰქონდათ დასტურებს ნაკურთხი ლუდი, ურიგებდნენ მდელოზე ფეხმორთხმულ ხატიონებს.

მოხარშულ ხორცს პირდაპირ მიწაზე ჰყრიდნენ შულტები.

ვიღაც წითური, სახედაჩეხილი ფხოველი მიეკედლა გიორგის, მხარბეჭიანი, ჟღალთვალება ვაჟკაცი, ქალუნდაური გოდერძი.

წარამარა უჭვრეტდა მის ხმალს.

ჰკითხავდა ვინაობას, სადაურობას.

ეგეც უთხრა თავაზიანად: ჩვენი ხატების საჭვრეტად ხომ არა ხარო მოსული? ან მსტოვარი თუ ხარო, მეფე გიორგის მიერ წარმოგზავნილი ფხოვს?

მეფე გიორგის ხსენებაზე ვითომც აილეწა ავშანისძე გლახუნა.

წმ. გიორგიც შეაჩვენებსო მეფე გიორგის და მის მსტოვრებს, მღვდელი შემომაკვდაო უფლისციხეში ერთი, ამიტომაც სამ წელს ვიჯექიო დილეგში.

გოდერძი ქალუნდაური თანაგრძნობით მოეკიდა სტუმარს, თავისი ცხოვრების ამბავიც მოუთხრო. მეშუღლენი მყავსო ბევრზე ბევრი.

ხევისბერის, მუროჩი ქალუნდაურის ვაჟი აღმოჩნდა იგი.

ლუდი და ხაშლამა შესთავაზა.

ახლა თავათ დაუწყო მეფე გიორგის ძაგება ფხოველმა, არ შევარჩენთო ფხოვის დალაშქვრას.

ფერხისაის ცეკვა დაიწყეს უკვე.

მკლავებით გადაებნენ მოცეკვავენი ურთიერთს, ქორებივით დაბობღავდნენ მთვრალი ვაჟკაცები, ქორისფერი თორ-აბჯარი ეცვათ. ორ მწკრივად ცეკვავდნენ, თანაც ორპირად მღეროდნენ ხატიონები, წამოიწყებდა გამყინავი ხმით გუნდის მეთაური.

დღესამ დღეობა ვისია,
წმინდისა გიორგისია...

მთელი მწკრივი დვრინავდა, იმეორებდა სიმღერას ერთხმად, ახლა მეორე გუნდის მეთაური იწყებდა:

ვალი მიკიდავ ქაჯებსა,
რად მკითხავ, ქრისტის დედაო,
ცომს ზელდა ქაჯის ბებერი,
მივასწარ ცხობაზედაო.

ისევ პირველი გუნდის მეთაურმა დაიწყო:

ნუ გაიქცევი, გიორგივ,
სამძიმარ მომდევს ხელაო,
არ გაიქცევის გიორგი,
ჯაჭვი ზედ აქვის ჭრელაო.

ნელ-ნელა, მწკრივად როკავდნენ აბჯრიანი, ზუჩიანი ვაჟკაცები. ფხოვის ნაძვებივით აშოლტილი ჭაბუკები ხატის კარისკენ მიიწევდნენ ცეკვით.

პირისპირ დაუდგებოდნენ ურთიერთს გუნდები, მარჯვნით ტრიალებდნენ ხატიონები, მარცხნით ფრიალებდნენ ჩოხის კალთები.

ჟღარუნებდნენ აბჯრები, ომახიანი ხმით დვრინავდნენ წმ. გიორგის ყმები.

მოათავებდნენ ცეკვას, იფნების ქვეშ მიუსხდებოდნენ სუფრას, ახლა სხვანი დგებოდნენ და ებმოდნენ ფერხულში მწკრივად.

ბოლოს გაიკრიფნენ მამაკაცები, ახლა მშვენიერ ფხოვურ სადიაცოთი მორთულმა ქალებმა დაიწყეს როკვა, ფრიალებდნენ გრძელფესვიანი, აბრეშუმის მანდილები, წითელ-ყვითელი შიბებით შემკული კაბები.

გიორგიმ თვალი წაატანა ვარდისახარს ერთ მწკრივში, მეორე მოახლეც ეცნაურა, პირიმზისა.

ფაშატივით ხტოდა ვარდისახარი, შვენოდა შიბებითა და ჯვრებით მოხატული სადიაცო ფხოვური სათაურა, უმანდილოდ თავზედადგმული.

ტოკავდნენ მისი მშვენიერი, მაღალი ძუძუები, უცხო თვალიც შეამჩნევდა, გადაჩვეულიყო ფხოვურ ფერხისაის.

ყანწი გაუვსო ქალუნდაურმა გიორგის, გამოსცალა სტუმარმა და ისევ მიჰხედა მოცეკვავე დიაცებს.

უნდოდა ენახა, ფერხისაის რა მოათავებდნენ, საით წავიდოდნენ ვარდისახარი და პირიმზისა?

ადრე მოეკიდა გოდერძი ქალუნდაურს ლუდი.

უსაყვედურა სტუმარს:

«ჩვენი დიაცების საჭვრეტლად მოსულხარო, კახო».

გიორგიმ გაუღიმა ქალუნდაურს და ისევ გამოსცალა ყანწი.

გირშელი უკვე სავსებით დამთვრალ ფხოველებს მიჰკედლებოდა. სამი მოხუცი გარს უჯდა ერისთავს, სამივენი ხმამაღლა ლანძღავდნენ მეფეს.

ფხოვის არწივებისა და ჯიხვებისათვის ვინ გასჭედაო ხუნდები?

არც ერთ მეფეს ეს არ შესძლებია ჯერ, ვერც მეფე გიორგი მოახერხებსო ამას.

გველისფერი წმ. გიორგი – იახსარი მტრად მოიკიდაო გიორგიმ, ვერ გადაურჩებაო წმინდანის რისხვას, წელს მოსწყვეტსო გველისფერი წმ. გიორგი მას.

თუ ხელში მოვიგდეთ მეფე და ზვიად სპასალარი, სამრეკლოზე დავკიდებთო თოკით.

გირშელმა თავი აიღო, შენიშნა შორიდან:

გიორგი და წითური ფხოველი გაცხარებულნი ლანძღავდნენ ურთიერთს.

ერთბაშად წამოიჭრნენ და იშიშვლეს ხმლები.

შემოუარეს ნავარდი ურთიერთს.

შეუძახეს.

შეუტიეს და შეიბნენ ხმალდახმალ.

წამოსცვივდნენ ფხოველები და წრე შეჰკრეს წაკიდებულთა გარშემო.

გირშელიც წამოდგა დინჯად, მიმოიხედა: უშიშარაისძე და გაბოიც მწკრივში იდგნენ გაფითრებულნი.

უყივლა გიორგიმ ქალუნდაურს, ბექთარზე აძგერა ხმალი.

მტკიცე აღმოჩნდა ფხოველის ბექთარი, შემოუქნია ქალუნდაურმა მეფეს, ფარი იფარა გიორგიმ და ნაპერწკლებმა გაიელვეს ჰაერში.

შეუძახა.

შეუტია და უყივლა ქალუნდაურმა:

გამიმაგრდიო, ჯაბანო კახო.

უკუიქცა გიორგი, ფარი იფარა, კვლავ შეუძახა და შეუტია მედგრად.

განზე გადაუხტა ფხოველი, ფარით აიცდინა ელვასავით მოქნეული ხმალი და სწორედ ამ დროს მდელოზე დაუცურდა ბანდულიანი ფეხი, ცალი მუხლით წამოიჩოქა.

შესდგა გიორგი, ანიშნა მოპირდაპირეს: არ გერჩიო ნაბიჯმოცარულს.

ისევ გაიმართა მამაცი ფხოველი წელში, თავს ზევით ასწია ფარი, ცალი ხელით ხმალი გადაიცდინა, ცალითაც მუზარადს უწია მტრისას.

აბჯრების ჭახანი ისმოდა, მუზარადებს გაჰქონდათ ჟღრიალი, უცნაურად წკრიალებდნენ ელვარე მახვილები ჰაერში.

გირშელმა თვალი მოავლო გარსმოჯარულ ბრბოს.

მოწყურვებულ ქორებივით ტორტმანებდნენ სისხლში განათლული ფხოველები ირგვლივ, ხელები, ღაწვები და შუბლი სისხლით ჰქონდა გათხუნული ყველას. გაავებული შესცქეროდნენ ფხოველთან მებრძოლ არათვისტომს.

ყივანა ქორებს მოსწყურებოდათ სისხლი!

შემოაკვდებოდა გიორგის ეს წითური ფხოველი, მყისვე გაიშიშვლებდა მთელი ტომი ხმალს და მაშინ ოთხ ვაჟკაცს მოუხდებოდა მთელ ლაშქართან პირისპირ შებმა.

ადგილი შეინაცვლა გირშელმა. უშიშარაისძესა და კოხრიჭისძეს შორის ჩადგა, მკლავში უჩქმიტა ორივეს ფრთხილად.

უსიტყვოდ ამცნო: მზად იყავითო ახლა.

მიწისფერი გადასდებოდა მეაბჯრესა და მალემსრბოლს.

თავათაც გაფითრებული იდგა გირშელი, ხმლის ვადაზე ხელი წაევლო.

კიდევ ერთი წუთი, ერთი დაფახულება თვალისა, სულ ერთია, გიორგი წაიქცეოდა, თუ ფხოველს წააცლიდნენ თავს, გირშელი მზად იყო, გაარღვევდა ფარხმალიან ფხოველების ბრბოს, ხმალზე გაივლებდა ხელს და ისე შეებმებოდა მთელს ტომს, როგორც გაავებული ავაზა სპილოს.

დაწინაურდა ისევ ფხოველი, დაიჟღრიალა გიორგის ფარმა, ხმლის წვერმა შელეწა იგი, გიორგის მკლავიდან იფეთქა სისხლმა.

დაიღრიალა გამძვინვარებულმა ბრბომ.

და როგორც ეგვიპტელ ხალიფას ცირკში გამოუშვებენ გალიიდან ავაზას, მიუსევენ ცხრა შუბოსანს ზედ, აკუწავენ თუ არა ვაჟკაცები მხეცს, გახარებული ბრბო შემოანგრევს ჭიშკარს, დიდი და მცირე მივარდება სულთმობრძავ ნადირს, რათა ავაზის სისხლში განათლონ შუბები, ასე ეგონა გირშელსაც:

აჰა, ამ წუთში იშიშვლებენ ფხოველნი ხმალს, რათა უცხოს სისხლში განათლონ ხმლები.

შეტოკდა გირშელი, წინ გადადგა ერთი ნაბიჯი და ხედავს, ხედავს, მაგრამ თვალს არ უჯერებს.

მარცხენა მკლავიდან სისხლი მოთქრიალებს გიორგის, ფარი გადააგდო, ხმალი შემართა კვლავ, უფრო მძვინვარი გაუხდა სახე, შემზარავი ხმით შეუძახა მოპირდაპირეს, ზედიზედ იფარა ხმალი, დაწინაურდა სწრაფად და სწრაფად მიიმწყვდია მოპირდაპირე აბჯრიან ფხოველების მწკრივთან და მერმე მთელმა ტომმა დაიზრიალა...

დაიშალა მწკრივი, ვიღაცეებმა წინ გაუსწრეს გირშელს, ბრბო გაარღვია შეშფოთებულმა ერისთავმა.

ხმლის გაშიშვლებას აპირებდა ყველაზე ადრე და თვალი წაატანა ამ დროს, გაფითრებულ ქალუნდაურს ხმლის ვადა ეჭირა ხელში.

გაუღიმა გიორგიმ ფხოველს, უცნაურმა სიკეთემ გაიელვა მის თეთრ კბილებზე.

მიეჭრა უხმლოს, სისხლიანი მარცხენა მხარზე დაადო, ცალითაც ხმალი გაუწოდა თავისი.

«ნაძმობნი ვიყოთ დღეიდან, გოდერძი».

გადაეხვივნენ მოპირდაპირენი ურთიერთს.

აჩოჩქოლდნენ ფხოველნი, უცხოს მიერ ნაჩუქარ ხმალს მისცვივდა დიდი და მცირე.

ხევისბერი მურობი ქალუნდაური მივიდა დამარცხებულ ვაჟთან პირველი.

ნაჩუქარი ხმალი გამოართვა, ყურადღებით დაუწყო ჭვრეტა.

არაოდეს ენახა ასეთი რამ ხევისბერს.

სისხლში გასვრილი ეგონა, ჩოხის კალთით გასწმინდა, ისევ დახედა ზედ.

მოწითანო და მომწვანო სხივი ცვალებადად ელავდა გამოხურვებულ ოქროსებრ მოლაპლაპე ხმალზე.

ვადის ქვემოთ თავწაგრაგნილი ჯვრები იყო ზედამოჭრილი, შუაზე ფრთოსანი ჭაბუკი ერთი, და სახე მგლისა.

წარწერაც შენიშნა ხევისბერმა.

გიორგი შეკრთა, ვაითუ ვინმემ ამოიკითხოსო ზედ წარწერა:

«მეფეთ მეფე გიორგი – მესიის მახვილი».

დამშვიდდა გიორგი, როცა წამკითხველი არავინ აღმოჩნდა.

«მგლისსახიანი გორდაი ვინ მოგცა, ჭაბუკო?»

ეკითხება მოხუცი მეფეს.

სარკინოზებთან ნაომარი ვარ, მათი ერისთავი მოვკალი ერთი, მას ავართვიო ეს ხმალი.

გაუხარდათ ფხოველებს უსჯულოებთან ნაომარი ვაჟკაცის დანახვა.

სათითაოდ აშიშვლებდნენ თავიანთ ხმლებს. გიორგისეულს უსვამდნენ ზედ, გაოცებულნი ხედავდნენ, ყველივით სჭრიდა ნაჩუქარი «გორდაი» ფხოვურ ხმლებს.

მიიპატიჟა ხევისბერმა ქალუნდაურმა გიორგი.

მკლავი შეუხვიეს, დალოცეს, ლუდი შეასვეს მძივებით შემკული ყანწით.

მივიდა ხუცი, ვერცხლი ჩასთალა ლუდით სავსე ყანწში, ქალუნდაურმა დალია და დაალევინა ნაძმობს, «ფიცვერცხლი» სჭამეს მეფემ და ფხოველმა.

გირშელი, გაბოი და პიპაც შემოისხეს ქალუნდაურებმა გარს.

უცხონი ხართო თქვენაც, უცხოთაგანნი ერთად დავსხათო სუფრაზე.

ლუდს იპარავდნენ სტუმრები ჩუმჩუმად.

როცა ფხოველები დათვრნენ და იფნების ქვეშ ამოუშვეს ხროტინი, ოთხივენი სათითაოდ გაეპარნენ მასპინძლებს.

ცხენები მოიკითხეთო, უბრძანეს გაბოსა და პიპას. ხატის ტყეში დაგველოდეთო.

შულტები და დასტურნიც იფნების ქვეშ ეყარნენ მთვრალნი.

ხატის ეზოდან გამოსულთ ვარდისახარი და პირიმზისა შეეყარათ გირშელსა და გიორგის.

ვარდისახარმა ავშანისძე იცნო, «მალემსრბოლი მეფისა», მაინც თავაზიანად მიესალმა ფხოველი სტუმარს.

გირშელი მთვრალი იყო, მეფის ნაამბობი გაახსენდა. თვალი დაადგა გათქვირულ დიაცს.

ვარდისახარმა იცნო შორენას საქმრო, გააოცა ღარიბულმა სამოსმა მისმა.

ფრიად ნაწყენი იყო თავის პატროზე, ხელაღებით მიმათხოვაო ბებერ ფარსმანს. ამიტომაც მიიყვავილა გირშელი.

ეკეკლუცებოდა გამიჯნურებულ ერისთავს.

გირშელმა იდროვა, მკლავში ხელი წაავლო დიაცს და ხატისტყისკენ გაემართნენ ოთხნი.

პირიმზისა მორცხვობდა, უგუნებოდ მიყვებოდა გიორგის. მოეწონა მშვენიერი ვაჟკაცი, მაგრამ ვარდისახარისა რცხვენოდა ქალწულს, მტრედის ხუნდივით გატვრინული გვერდზე ეკვროდა მამაცს.

ეკითხება გიორგის:

რად წაგეკიდაო ხევისბერის ვაჟი?

მე და ვარდისახარი შორიდან ვუჭვრეტდითო შუღლობას თქვენსას.

შენ გითვალთვალებდი, ამიტომაც წამეკიდაო ფხოველი.

იცრუა გიორგიმ.

იამა პირიმზისას ეს ამბავი, კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა უცხოსათვის, მაგრამ პირი უშრებოდა ვნებისაგან აღრეულს.

წიფლის ჩრდილს ქვეშ კოცნა დაუწყო ავშანისძემ დიაცს. ყოველ ხესთან შეაყენებდა, თავს დაუწევდა, აკოცებდა და განაგრძობდნენ გზას.

წინ მიმავალი წყვილი ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

გირშელმა ბალღივით აიყვანა ვარდისახარი, ჯერ უღონოდ ეწინააღმდეგებოდა დიაცი. მერმე გაიტვრინა. იამა ესოდენ ძლიერი ვაჟკაცის სუნთქვა.

გვიმრიანში დააწვინა ვარდისახარი გირშელმა. კვლავ შეეცადა ურჩობას დიაცი, მაგრამ როცა ვაჟკაცის გახურებულმა ტუჩებმა სუნთქვა შეუკრეს, ათრთოლდა ანაზდად, ბაგეზე დაადნა გირშელს...

გიორგი და პირიმზისა უზარმაზარ წიფლის ქვეშ იწვნენ, ნეტარების ცრემლით სტიროდა ქალი.

მალემსრბოლის სტვენა შემოესმა გიორგის.

უკანასკნელად აკოცა და ახლა იგრძნო, ცხვრის სუნი უდიოდა ფხოველ მხევალს.

ჯიხვის რქასავით მოდრეკილი მთვარე ზედ დანათოდა ხატისტყეს.

ცხენების ფრუტუნი ისმოდა შორიდან.

როცა დიაცები სოფლის ბოლომდის მიაცილეს რაინდებმა, ცხენებზე შესხდნენ და გიორგიმ ეს უთხრა თავის დედის დისწულს:

«ჩემთან ჯიბრი გადაგიტანს, იცოდე, გირშელ».

ყველისციხის პატრონმა გიაღიმა, ახალ მთვარეს გაუსწორა თვალი.

XXXVII

ფხოვში მგზავრობამ დაარწმუნა მეფე, ხელახლა ამბოხი არ უნდა ყოფილიყო მოკლე ხანში მოსალოდნელი.

«გაავებული ხევისბერის ქადილი გაუზვიადებიათ შენს მსტოვრებს, – ეუბნება სპასალარს, – ორგზის დავზვერეთ კვეტარის ციხე. გაბოი შევგზავნეთ, ერთი ღამე თავლაში გაათია კოხრიჭისძემ მეჯინიბეებთან. გოდოლების განახლების ამბავიც გამოუკითხავს წვრილად.

დიდოელების თავდასხმას მოელიან, ამადაც აპირებენო ციხის განახლებას.

მე ასე მგონია, საჭიროა ერთი მეჯინიბე მოვისყიდოთ როგორმე, ზვიად. ცხენი ჰყოლია კოლონკელიძეს უცნაური, დაატარებს თურმე ფხოვის თვალშეუდგამ ქარაფების კიდეზე თავის ბრმა პატრონს.

სწორედ ამ ცხენის მეჯინიბე თუ მოვიქრთამეთ, გვეცოდინება სად რას დადის ერისთავი კოლონკელიძე».

ზვიადი სდუმდა და მეფემ განაგრძო:

«მე მაინც დარწმუნებული ვარ, ზვიად, მამამზესა და ტოხაისძეს მართლაც წაჰკიდებია თალაგვა, რაიცა შეეხება დიდოთა, ეს ამბავი განზრახ უნდა იყოს მოჭორილი, რათა ციხეთა და გოდოლთა განახლება თვალში არ გვეცეს ჩვენ».

ზვიად სპასალარს არა სჯეროდა ნიშანდება მეფისა, ამბოხის საფრთხე კარზე მომდგარი ეგონა, მაგრამ ვერაფერი შეჰკადრა პატრონს.

XXXVIII

საერისთავოებში მშვიდობა სუფევდა სხვა მხრით.

მარიამ დედოფლის აფხაზეთში დაყოვნებამ და მელქისედეკ კათალიკოსის კლარჯეთს გამგზავრებამ ფრიად საამური გახადა სასახლეში ცხოვრება.

ეზოსმოძღვარს უცნაური სვირინგები გამოაყარა ტანზე. არა მარტო მეფე, მთელი სასახლე, მთელი მცხეთა და უფლისციხე ამას ნატრობდა: კეთრი აღმოაჩნდეს ეზოსმოძღვარს ეგებ და ამ სვირინგებს თან გადაჰყვესო გულბოროტი ხუცესი.

გიორგი და გირშელი ხან უფლისციხეში ნადირობდნენ, ხანაც მცხეთაში ქეიფობდნენ იდუმალ.

ნადიმებს ნადირობა მოჰყვებოდა ხოლმე. ნადირობას ისევ ნადიმი, ჯირითი, ჰოროლის ტყორცნა და ცხენბურთი.

ბოლოს მოაღწიეს ცხრატბის ერისთავმა დაჩიმ და მისმა მეუღლემ რუსუდანმა.

დაქალებულიყო ფანასკერტელის ასული, მონაზვნური სიყვითლე უკვე გადასცლოდა სახიდან, მკერდი აბურცვოდა, თეძოები დამრგვალებოდა, ახელებდა ვაჟკაცებს ბეჭედივით ვიწრო ტუჩპირის ზემოთ ოდნავ, ოდნავ შესამჩნევი ბუსუსები, ულვაშის დარი.

ვნებიანად აფახულებდა გრძელწამწამიან თვალებს, ურიდოდ დადიოდა ქალაქში, თრიაქსა სწევდა იდუმალ, კვიცივით უკან დასდევდა მეფე გიორგის.

გიორგი და გირშელი იოლად ათრობდნენ დაჩი ერისთავს, მორიგეობით დაათრევდნენ სანადიროდ მის ცოლს.

გააშაირეს მცხეთელებმა დიაცი.

ცხრატბის ერისთავის მეუღლეს ცხრა ღამეც არ გაუთევიაო ქმართან.

ქმრისათვის თვალის ასახვევად მუდამ ლოცულობდა ერისთავის ცოლი, ხატებსა და ლოცვას მიანება იგი ქმარმა, გირშელსა და გიორგის აეკიდა თავადაც.

ღვინის სმაში იჯაბნებდნენ მეფე და ერისთავი მას, სამაგიეროდ ჰოროლის ტყორცნაში სჯობნიდა ორივეს.

დაჩის სრულიადაც არ აწუხებდა თავის დისწულის, შორენას მოსალოდნელი ქორწილის ამბავი.

სასახლის ჭორები გამოეკითხა წინასწარ, ყურმოკვრით გაეგო:

მეფე გიორგის თვალი უჭირავსო ყველისციხის პატრონის სასძლოზე.

ამიტომაც ურჩია დისწულს: მე ისეთი ამბები მესმის, გათხოვებაზე ხელი აიღე სრულად, მონაზვნად აღიკვეცეო მცხეთაში.

სასახლეში სტუმრობის დროს მიმინოების ლაზურად გაწვრთნამ გაიტაცა დაჩი, გულით ეწადა თავის საერისთავოში შემოეღო ეს ახალი დარგი ნადირობისა.

გვიან ღამემდის არა სცხრებოდა ციხეების ჩარდახებზე სტუმრების, სეფექალების, რაინდების ხარხარი და კისკისი.

უომრად მოწყენილი აზნაურები მოგროვდნენ მცხეთაში, უამრავი სიძვის დიაცები თან ჩამოჰყვა საერისთავოებიდან მათ, მოხუცებული ერისთავების ახალგაზრდა ცოლები და აზნაურების ქვრივები.

კათალიკოსისაგან კურთხევის მისაღებად ჩამოსულიყვნენ ისინი მცხეთაში, რაკი მელქისედეკი მანდ არ დაუხვდათ, ბახუსისა და აფროდიტეს წყალობასაც დასჯერდნენ ბოლოს.

გიორგისა და გირშელის ყმაწვილურ გართობას ერთიც შეემატა ახლა.

ერთმა ინგილომ ორი ავაზა მოჰგვარა ჰერეთიდან მეფეს.

სწორედ იმ დღეს პირველი ბავლი გაეგდოთ გიორგისა და გირშელს მიმინოებისათვის სასახლის ბაღში.

კონსტანტინე არსაკიძე მოეწვია საგანგებოდ მეფეს, ლაზურად უნდა გავაწვრთნევინოთო მიმინოები.

რა დროს ბავლია, ფიქრობდა გულამრეზილი კონსტანტინე, კლარჯეთიდან მობრუნებულ მელქისედეკისათვის მოთავებული უნდა დაეხვედრებინა სვეტიცხოველი.

ბიზანტიელ სტუმრებს თან ჩამოიყვანდა არტანუჯიდან მელქისედეკი, რადგან რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა ეკურთხებინათ ტაძარი კიდევაც.

ესეც არ იყოს, აღარ მოსწონდა ხუროთმოძღვარს ბაზიერობა მეფისა, რადგან ეს ასეა, დიდი ქმნილების შემოქმედს თავმოყვარეობაც შეუდგება ხოლმე მეფისაზე აღმატებული ხანდახან.

ავაზების ჩამოყვანის ამბავი ელვასებრ მოედო სასახლეს.

სასახლის ბაღში მოგროვდნენ სტუმრები, სეფექალები და რაინდები.

გიორგი და გირშელიც გამოჩნდნენ, ჯაჭვისფერი მიმინოები უსხდათ მარცხენაზე ორივეს, ქვიშისფერი ჯაჭვი ეცვათ თავათაც.

არსაკიძეს გადასცა თავისი მიმინო მეფემ, მიეახლა ინგილოს და ეკითხება:

«როგორ დაიჭირე, ძია კაცო, ეს ავაზები?»

«ორმოს ამოვთხრით ხოლმე, მეფევ ბატონო, უკაცრიელ მთებში, წვრილი წნელებით გადავხურავთ მას, ძაღლის ლეკვს ყურში გავუყრით ანკესს, გრძელ საბელს მივაბამთ ზედ.

ეს საბელი მონადირეს უჭირავს ხელში. უშიშარ სახუნდარში ჩასაფრულს მახლობლად.

ზის მთელი ღამე ეს ლეკვი ორმოს თავზე, მეფევ ბატონო, სველი მჩვრებით პირახვეული მონადირე სახუნდარიდან უთვალთვალებს.

ხანგამოშვებით გამოსწევს საბელს, ანკესი ააყვირებს ლეკვს, ძაღლის ხორცი ძლიერ უყვარს ავაზას. სუნს აიღებს, ხმას შეიცნობს, მიწაზე გალურსული მიეპარება, ერთბაშად კამარას გააკეთებს ჰაერში, ისკუპებს, ზედ დააცხრება ლეკვს.

წნელები ვერ შეიმაგრებს მხეცს და ორმოში ამოჰყოფს იგი თავს».

«მერმე?»

ეკითხება მოუთმენლად გიორგი.

«მერმე შევკოჭავთ, წავიყვანთ, თვალს ავუხვევთ, ვცემთ და ვაშიმშილებთ, ისევ ვაშიმშილებთ, ისევ ვცემთ».

«ეგვიპტეში მახეებით იჭერენ ავაზას».

შენიშნა ყველისციხის პატრონმა.

გირშელმა აიჩემა, ანჩაბაისძის ასული და ცოტა-ერისთავის დაჩის მეუღლე, რუსუდან, წარგზავნეს შორენას მოსაყვანად.

მეფემ ფარსმანი ახმობინა, ვითარცა ყოვლისმცოდნე და მჩხიბავი.

ინგილო მიწაზე იჯდა, ცალ ხელში ორი საბელი ეჭირა, ცალშიაც შოლტი.

როცა გარსმოჯარულ უცხოთ შეუღრენდნენ ავაზები, ატკაცუნებდა შოლტს ისევე, როგორც ჩვენი მეურმე აშინებს ხოლმე კამეჩებს ტკაცანით.

სამეფო ბაღში ირანული ვარდები გაშლილიყვნენ, სისხლივით წითელი ზოგნი, ნუშისგულივით თეთრნი, მოყვითალონი სხვანი, ყვითელი კი არა, ძველთუძველესი სპილოსძვლის ფერისანი.

ჰყვაოდნენ ბაღის ყაყაჩოებიც. სუსამბარები და ნარგიზები, ნაირ-ნაირი მიხაკები, რომელთა ფერების ასაწერად წამალი არ ეყოფოდა ადამიანის სიტყვას.

იისფერნი, მზისფერნი, სინგურისფერნი, ჟრუნნი, მოწითანო, მოლურჯო და სავსებით ლურჯნი, კარაქისფერნი და ხოხბის ყელისფერნი, ფარშავანგის ბოლოსებრ მოხატულნი, ჰინდური ყვავილები ნაირ-ნაირნი.

ტალავერებზე მიშვებულნი იყვნენ ხატაური გლიცინიები და ხვიარები სხვადასხვა ჯიშისა.

ერთ ტალავერს ქვეშ თავი მოეყარათ სტუმრებს, რაინდებს, სეფექალებს, საერისთავოებიდან ჩამოსულ ლამაზმანებს.

აქ იყო თმოგვისციხის პატრონის მხოლოდშობილი ასული დედისიმედი, პირმშვენიერი, მკერდსავსე ქალწული, რომელსაც მშვილდივით მოდრეკილი წარბები

ჰქონდა, ხოლო ხელები რძიარძიასავით თეთრი, და გრძელი თითები, სწორედ ისეთი, როგორსაც ანგელოზებისას ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკოს ოსტატები იმჟამინდელნი.

შარვაშისძის უმრწემესი ქალი ხათუნა, ლურჯთვალებიანი, ლელივით რხეული დიაცი.

პირველ ცოდვასავით მღელვარების მომგვრელი თუთაი, ვარდანისძის ქვრივი, ტანმორჩილი, მაგრამ ეშხიანი დედაკაცი.

ერისთავის, გვარამ აბულელის სამივე ქალი: ერთი ქერა, ერთი შავგვრემანი და ერთიც «მზისსახიანი» (როგორც ყმაწვილკაცები უწოდებდნენ მას).

ულამაზეს სეფემოახლეთა წრეშიაც ბრწყინავდა ცხვილოსციხის პატრონის მეუღლე ცოქალა, უზადოდ მშვენიერი სხეული-ჰქონდა მას, მაგრამ თევზისებრ თვალები უჭკუო გამომეტყველებას აძლევდნენ პატრონს (ამიტომაც «თევზისფერი ძროხა» შეარქვა მეფე გიორგიმ ცოქალას).

მკერდგათქვირული, მაღალთეძოიანი ფაშფაშა დიაცი იყო იგი, გამომწვევი გარეგნობის და საქციელისა.

მეორე სახელიც ჰქონდა ცოქალას, ცხვილოსციხის პატრონის მეუღლეს, «აპოკალიპსური მედავი» შეარქვა მას ეზოსმოძღვარმა ამბროსიმ.

ფრიად შორეული ნათესავი იყო ცოქალა მეფისა.

ასე ამბობდნენ: იდუმალი ხარჭაო მისი «თევზისფერი ძროხა».

საჭოჭმანო ეს იყო, ცოქალაი სწორედ ისეთ დროს ჩამოდიოდა «სალოცავად» მცხეთაში, როცა მარიამ დედოფალი აფხაზეთს ან კლარჯეთს გაემგზავრებოდა მონასტრების მოსახილველად.

«თევზისფერ ძროხას» თან ახლდა უფროსი ქალი, ნათია, ჯეირნის ნუკრივით მორცხვი, ახლად შეღერებული ქალწული.

სხეული დედისა გამოჰყოლოდა ნათიას, მაგრამ საფირონისფერი თვალები ჰქონდა.

ისე ნაზად აფახულებდა შავსა და გრძელ წამწამებს, ასე იტყოდი, თალხი პეპლები არხევენო მის თვალის უპეებზე ფარფლებს.

ამ გოგონას მთვრალი გამოხედვა აქვს, ამიტომაც მომწონსო, წამოსცდენია თრიაქით მთვრალ მეფე გიორგის ერთხელ.

ეზოსმოძღვარი და სასახლის სხვა ჭორიკანები ასე ფიქრობდნენ:

«თევზისფერი ძროხა» ხარჭად ჰყავდა მეფეს, დედოფლობა ეწადა ცოქალას, მაგრამ თვალებმა უღალატეს, ახლა თავისი ქალის, ნათიას ტახტზე აყვანას მიელტვისო ერისთავის ქალი.

როცა ლამაზმანების კრებულს პირმშვენიერი ანჩაბაისძის ქალი, «ულვაშიანი» რუსუდან – ცხრატბის ერისთავის მეუღლე და კოლონკელიძის ასული მიეახლნენ, ერთბაშად დაჩრდილა თანადამსწრენი შორენამ.

ოდნავ ნაღვლიანი ეჩვენა კოლონკელიძის ასული მეფეს.

ეკბატანის ვარდივით ბრწყინავდა იგი უმშვენიერესს დიაცებსა და ყვავილებს შორის.

შორენა მიესალმა თანადამსწრეთა, არც მეფისა, არც გირშელისათვის თვალი არ გაუმართავს. ზედაც არ შეუხედავს ზეზისა და ოქსინოს ჯუბაჩებში მორთულ რაინდებისათვის, კონსტანტინე არსაკიძეს შეჰხედა იდუმალ, ბრწყინვალე, თოროსან ვაჟკაცებს შორის ლანდივით მდგარს.

უბრალო, ფხოვურ ჩოხაში მორთული, არამიწიერ არსებას მიაგავდა იგი ლოყებღაჟღაჟა, კურატივით ჩასუქებულ მამაკაცთა წრეში.

ბოროტი მზერა წაატანა «თევზისფერმა ძროხამ» კოლონკელიძის ასულს, შემდგომ ამისა გიორგის შეხედა შეფარვით.

მღელვარება შეატყო მეფეს.

არა მარტო მანდილოსნები, რაინდებიც არ გაჰკარებოდნენ ავაზებს ჯერაც.

ხვადი იწვა, ძუ იდგა.

შორენას სახე გაუბრწყინდა. უშიშრად მიეახლა ძუს, სწორედ ამ წუთში გიორგიმ თვალი შეავლო დიაცსა და მხეცს.

რაღაც საერთო ჰქონდათ ამ ავაზასა და ამ ქალს.

არსაკიძე შეკრთა, არ ავნოსო ნადირმა შორენას.

მოწითალო და მოყვითანო ზოლები გადასდიოდა თხემიდან კუდის წვეტამდის ძუს, წითლად და ყვითლად სხურვებული ჰქონდა ტყავი, ოქრომკედის დორივით მოხატულს.

ეს იყო მხოლოდ, ფორეჯები ბეწვისა უფრო წვრილად დაწინწკლული სჩანდა, ვიდრე ვეფხვისანი.

ყბები, მუცელი და ფეხები ქვედა მხარენი ჩალისფერი, კუდიც უფრო ჭრელჭრელა, ვიდრე მიწაზე მწოლიარე ხვადს, ფხოვურ შიბებისდარ რკალებს მოთეთრო რგოლები თიშავდნენ აგრეთვე ჩალისფერ წვეტამდის.

ვეფხისაზე უფრო წვრილი თვალები ჰქონდათ ორივეს და როცა ხვადიც ზეწამოდგა, შორენამ შენიშნა: იოგებმაგარ, მაღალ ფეხებზე იდგნენ ორივენი.

ზურგზე ხელი გადაუსვა ძუს, თვალები განაბა ავაზამ და ისეთი კრუტუნი ამოუშვა, როგორიც კატას სჩვევია ხოლმე პატრონის კალთაში მყუდროდ მონებივრეს.

რაინდები აიმღვრნენ, როცა გამბედაობით აჯობა დიაცმა მათ.

ახლა მეფეც მიეახლა ავაზას, გაუხარდა, როცა არც მას შეუღრინეს მხეცებმა.

თავის ძველ ავაზებს არ უმადლოდა გიორგი.

ხუშტურიანნი იყვნენ ისინი, ჟამიდანჟამზე მენადირეთუხუცესსა და მენადირეებს არ იკარებდნენ ხოლმე.

გაჯიქდებოდნენ, გალიიდან ვეღარ გამოჰყავდათ, ცუდი კვება ჰქონდათ მუდამ ამრეზილთ.

მოთავდებოდა ნადირობა, ქამანდით უხდებოდათ დაჭერა.

მენადირეთუხუცესი თავს იმართლებდა: დაგვიბერდნენ ავაზები, სიბერეში უხალისო ხდებიანო ისინი.

როცა ახალი ავაზები მოიყვანა ინგილომ, გიორგის უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მენადირეთუხუცესის გადაყენება.

ღელავდა გიორგი, ფარსმან სპარსი რომ არსად სჩანდა.

ეგებ ავად გახდაო ბერიკაცი, მაინცდამაინც დღეს.

არ კი იცოდა, განზრახ რომ იგვიანებდა ფარსმანი.

ხუროთმოძღვართუხუცესის პატივი აჰყარეს, ახლა მენადირეთუხუცესობას მიელტვოდა იგი.

იცოდა ფარსმანმა: სასახლეში არავინ ჰყავდა ავაზების გამწვრთნელი გიორგის, ამიტომაც თავპატიჟს იდებდა იგი.

ბოლოს, როგორც იქნა, მოაღწია ფარსმანმა.

მეფეს თაყვანი სცა, სტუმრებს მიესალმა, თამამად მივიდა ავაზებთან.

ყვრიმალები დაუსრისა ხვადს, ზურგზე მოუალერსა ძუს.

მეფეს მიუბრუნდა და მოახსენა:

«სპარსული პალანგებია, მეფევ ბატონო, ესენი, ჰინდონი ჰონიგას უწოდებენ, ხანაც კერკალს, მეგვიპტელნი გნოს».

«თუ არ ვცდები, ჩიტად უხმობენ ჰინდონი, აა?»

სიტყვა ჩაურთო მეფემ.

«დიახ, ჩიტასაც იტყვიან, ავაზები მრავალგვარნი არიან მაინც...»

ფარსმანს ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული ამ მხეცების გამო არაბულად, მათი წვრთნისათვის მხოლოდ მცირეოდენი სმენოდა ქაიროში. ამიტომაც შეეკითხა ინგილოს:

«გინადირნია ამ ავაზებით, კაცო?»

«ჯეირნებზე მყოლია, ბატონო».

«მშველზე?»

ინგილომ კეფა მოიფხანა, ყოყმანით უთხრა:

«მშველზე ჯერ არა, ბატონო»...

«ვის დააგეშინე ეს ავაზები, კაცო?»

«დიაცს მივუსვამდი ხოლმე თვალახვეულ ავაზას, ბატონო, მერმე ყურში უყვიროდა, ან ზღაპრებს უამბობდა ხოლმე დიაცი, ამრიგად ადამიანის ხმას შეაჩვევდა მხეცს».

მეფეს მიუბრუნდა ფარსმანი ღიმილით.

«ავაზა ერთადერთი ცხოველია, მეფევ ბატონო, დიაცის ლაყბობას რომ უძლებს ხანგრძლივად».

ესა სთქვა ფანასკერტელის ქალსა და ცხვილოსციხის პატრონის მეუღლეს შეჰხედა შეფარვით.

«თევზისფერი ძროხა» აიმღვრა, მას დიაცების მოდგმისათვის მესიტყვეობა ჰქონდა რატომღაც ნაკისრი, მხარზე ხელი დაადო გიორგის, ყვრიმალთან მიუტანა პირი და უჩურჩულა:

აქამდის რად არ ჩაგიძაღლებიაო ეს ენაჭარტალა ბებერი, გიორგი?

ფანასკერტელის ქალმაც იწყინა, მაგრამ იგი გაიტრუნა, რადგან მისი ქმარი დაჩი გვერდით ედგა, ფარსმანის ხსენებასაც ერიდებოდა მის სიახლოეს.

მოხუცმა იგრძნო, ცოტა უხეში რომ მოუვიდა ეს ხუმრობა, სხვა მანდილოსნებსაც შესცინა, ისევე მეფეს გაუმართა თვალი და დასძინა:

«დიაცივით გულბოროტია ავაზა, ტანხატულა და პირმშვენიერი, დიაცივით რბილი და ტფილი.

კიდევ ერთი ზნე სჭირს დიაცური ამ ნადირს, მაგრამ მეშინია, არ შემრისხონ ლამაზმანებმა, ამიტომაც სხვა დროს მოგახსენებთ, მეფევ ბატონო, ამას».

გიორგიმ ისევ გაუღიმა ბერიკაცს, მერმე ყველისციხის პატრონს მიუბრუნდა და ეს უთხრა:

«შენ რას იტყვი, გირშელ, წავიყვანოთ ეს ავაზები სანადიროდ დღესვე?»

გირშელი დაფიქრდა.

ბოლოს ეუბნება მეფეს:

«მე მეშინია, გიორგი, არ გაგვექცნენ მიუჩვეველნი, მოდი, შევიცადოთ, დავაკვირდეთ ერთ კვირას».

ახლა ინგილო დაჰკითხა გიორგიმ.

«მე წამიყვანეთ, მეფევ, ბატონო, თან, თავი მომჭერით, თუ ჩემს მიერ დაგეშილი ავაზები გაგვექცნენ».

მაინც გირშელის ნათქვამი უფრო სარწმუნოდ მიიჩნია მეფემ.

•

იმ დღესვე შეუდგნენ მშველზე ნადირობის სამზადისს.

გირშელი ამტკიცებდა: ურმით ტარება აბრაზებსო ავაზებს, ეგვიპტეში ეტლით დაჰყავდათო ეს მხეცები მონადირეებს.

უფლისციხის სასახლეში ოდითგანვე ეგდო მწვანე ეტლი, რომელიც ბასილი კეისარმა მიუბოძა ბაგრატ მესამეს, კურაპალატის ხარისხთან ერთად.

ეს ეტლი ისევე სძაგდა გიორგის, როგორც ბიზანტიის კეისარის სახსენებელი.

სიჭაბუკეში სანადირო ძაღლებს დაათრევდა ამ ეტლით მეფე, ბოლოს მელქისედეკი აუხირდა: პატივი ეციო ქრისტიან კეისარს, თუ შენ არ ჩაჯდები კურაპალატისეულ ეტლში, ძაღლებს მაინც ნუ ჩასვამო შიგ.

ახლა სწორედ ეს მწვანე ეტლი მოატანინა მეფემ.

წესისამებრ, წითელი აბრეშუმით აუხვიეს ავაზებს თვალები და ეტლში ჩასვეს.

მონადირენი დაფრთხნენ, უშიშარაისძემ იკისრა მათ გვერდით ჯდომა.

ერთადერთი უსიამო ამბავი ჩრდილავდა მონადირეთა სიხარულს. სწორედ წინა ღამით საშინელმა ხურვებამ წამოუარა ინგილოს.

შორენას ძლიერ ეწადა ამჯერად სანადიროდ წასვლა, არსაკიძეს სთხოვა, უთუოდ უნდა წამოხვიდეო მშველზე სანადიროდ.

თანაც დასძინა: მეფე გიორგიმ გთხოვა, მიმინოებიც თან წამოიყვანოო, ლაზურად გაწვრთნილნი.

თავდაპირველად უარზე იდგა ხუროთმოძღვარი მეფისა.

დღეს თუ ხვალ ტაძარი უნდა მოვათავო, სანადიროდ სად მცალიაო?

«გარდა ამისა, მე არ შემიძლია მლიქვნელისა და კარისკაცის მოვალეობა ოსტატის საქმესთან შევათავსო, თუ ხუროთმოძღვრის ხარისხი ბაზიერთუხუცესობასაც მოასწავებს, მაშინ იმ ტაძარს დავამთავრებ და ისევ კირითხურო გავხდები უბრალო».

არსაკიძე ჰხედავდა: ცუდ საქმეს რომ გადაჰკიდა იგი მიმინოების ლაზურად გაწვრთნამ, მეტი გზა აღარ იყო, ბოლოს დაუთმო შორენას.

უთენია გავიდნენ მცხეთიდან მეფე და მისი ამალა, რაინდები, სეფექალები და სტუმრები.

მწვანე ეტლში უშიშარაისძე იჯდა, ორი თვალახვეული ავაზა გვერდით ჰყავდა, მათი საბელები ხელში ეჭირა.

ყვავილებითა და მანეულის შტოებით მორთული იყო მწვანე ეტლი.

მეფე გიორგი, გირშელი, განმგეთუხუცესი, შორენა, არსაკიძე, ცხრატბის ერისთავი დაჩი და მისი მეუღლე რუსუდანი, «თევზისფერი ძროხა», საფირონისთვალებიანი ასული მისი და ფარსმან სპარსი უკან მიჰყვებოდა ეტლს.

ფარსმანი წარამარა დეზს უშენდა აფხაზურ სატალახო ცხენს, რადგან მუდამ მეფის გვერდით ეწადა სვლა, რათა ავაზების გამო საუბრით ახალი თანამდებობა ხელში ჩაეგდო როგორმე.

ხან მეფეს ლიქნიდა გზადაგზა, ხანაც საინგილოდან მოყვანილ ავაზებს აქებდა.

სამი ერისთავი, შვიდი თოროსანი რაინდი მათ შორიახლო მოაჯირითებდნენ არაბულ იაბოებს.

მთლად ბოლოს, ღვინის რუმბებითა და ხორაგეულით დატვირთულ ურმებს ცხენდაცხენ მოჰყვებოდნენ მენადირეთუხუცესი, მერემეთუხუცესი, ათი მონადირე, სამი ბაზიერი და ესტატე.

სწორედ ამ ბაზიერებს მიჰყავდათ აბრეშუმის «პერანგში» შეფუთვნილი, ლაზურად გაწვრთნილი მიმინოები, ერთი მეფისა, ერთი შორენასა და ერთიც გირშელისათვის.

მეფე გიორგი ჩინებულ გუნებაზე იყო, დაუცხრომლად მიაჯირითებდა თავის ოქროსფერ ულაყს, ფრიად კმაყოფილი იყო იმითაც, კიდევ ერთხელ რომ მოუხერხდა საქვეყნოდ გაპამპულება კეისრის მიერ ნაბოძებ მწვანე ეტლს.

გირშელსა და მის საცოლეს მოუბრუნდა და ეუბნება:

«როგორც ვატყობ, ნამეტნავი პატივი მოსდის კეისრისეულ მწვანე ეტლს. აქამდის ძაღლებს სვამდა ბაზიერი ესტატე შიგ, ახლა მეფური სისხლის ნადირები მგზავრობენ ამ ეტლით. შენ ხომ იცი, გირშელ, ბასილი კეისარს მიკიტნის სისხლი უდუღს ძარღვებში?!»

გირშელმა გაიღიმა და თავის საცოლეს გადახედა.

ჰშვენოდა ცხენოსნობაც შორენას.

ფარსმან სპარსი უკვე მისწეოდა მეფეს, უკითხავად ჩასჩარა საუბარში სიტყვა:

«დიახაც მეფური სისხლისაა, მეფევ ბატონო, ავაზა.

უფრო მეტს მოგახსენებთ, ბახუსის დედამძუძედ ითვლება იგი, ასეთია გადმოცემა ბერძნული: ძუძუს აწოვებდა თურმე ძუ ავაზა ბახუსს, ძევესისა და ზემელეს ძეს».

მეფე გიორგი ისევ შორენას ესაუბრებოდა მწვანე ეტლისა და ბასილი კეისრის გამო, ასე რომ მას არც კი გაუგონია ფარსმანის ნათქვამი.

ფარსმანმა მიმოიხედა, «თევზისფერი ძროხა» ხელში შერჩა. რადგან იგიც მეფე გიორგის გვერდით სვლას მიელტვოდა, მაგრამ ცხენოსნობაში გამოუცდელ ცოქალას წესისამებრ ვერ წარემართნა თავისი თექური იაბო. ამიტომაც მას უამბო ფარსმანმა მეფისათვის სათქმელი. არც «თევზისფერ ძროხას» გაუგონია მისი ნათქვამი, იგი შურისაგან ამრეზილი იყო, რაკი ჰხედავდა, რომ მეფე გიორგი არც მასა და არც საფირონისთვალებიან ნათიას ყურადღებას არ აქცევდა. შორენას ესაუბრებოდა გზადაგზა.

XXXIX

ლელიანი ჭაობები დაიწყო, ახლა ექვსი მონადირე უკან მიჰყვებოდა მწვანე ეტლს, ეშველებოდნენ ტლაპოებზე გადასვლისას ცხენებს.

ლაქაშიანი ველებიდან დგებოდნენ ხოხბები, გარეული ტახები ფრთხებოდნენ. ლიწინლიწინი გაჰქონდა ლელს.

საწყალობლად წიოდნენ ხოხბის ლაპები ღიჭიანებში.

ბოლოს მიადგნენ ლაშქარათი მოფენილ ტაფობს, ზღვის ყურესავით მთების უბეში შეჭრილს.

სამივე კიდით მთები გარს ერტყა მას, სამხრეთიდან ზედმომდგარიყო თვალუწვდენელი, შიშველი ტრამალი.

მენადირეთუხუცესი ჭენებით წამოეწია მეფეს.

მარეკები უნდა ავგზავნოთო მთების კალთებზე. დამფრთხალი ნადირი ტაფობში გადმოვა, მარეკები თან ჩამოჰყვებიან.

ტაფობისა და ველის მიჯნაზე უნდა დავახვედროთო ავაზები მშვლებს.

მენადირეთუხუცესი სწუხდა, მადევრები რომ არ გამოდგებოდნენ მშვლების გამოსარეკად იმ დღეს, რადგან მოგეხსენება, ავაზას ძაღლის ხორცი უყვარს, როგორც კი მადევრებს დაინახავს, მშვლებს თავს დაანებებს და ძაღლებზე გამართავსო ნადირობას იგი.

დიდხანს იყვნენ ხმაგაკმენდილი ცხენოსნები ველის მიჯნაზე, ბოლოს ჩრდილოეთიდან შემოესმათ დიდი ბუკის ხმა, მთების კალთებზე შემოსულმა

მარეკებმა ასტეხეს დაფდაფების ცემა.

მამალი ხოხბები დგებოდნენ ლაშქარასა და ანწლის ტევრებიდან. სტკბებოდნენ მონადირენი ამ მშვენიერი ფრინველების შორიდან მზერით, გარბოდნენ გოჭებიანი ტახები ტყისკენ.

სრული მყუდროება დამყარდა ტაფობზე, ნიავიც არ იძვროდა ირგვლივ.

მონადირენი უკვე ამჩნევდნენ შორიდან ლაშქარას წვეროკინების ტოკვას, ახლა გიორგიმ და გირშელმა დაინახეს თუ როგორ მოფრთხიალობდა ტაფობზე ორი ფრინველი, ფრინველი კი არა, ოთხი ყური ორი მშველისა.

გიორგის შეეშინდა, ვაითუ შეგვნიშნონო, გაიტვრინონო ლაშქარას ჩირგვებში.

გირშელი ასე ამბობდა, რაკი ფერდობებიდან ტაფობში გადმოიხვეწნენ, უთუოდ გამოვლენო ველისპირზე ისინი.

ბოლოს გიორგიმ თვალი ჰკიდა თუ როგორ ისკუპეს ლაშქარას ზღვიდან მშველებმა და გაჭენდნენ ტრამალზე.

ასიოდე უტევანიც არა ჰქონდა წინ მიმავალს განვლილი, წითელი აბრეშუმის რიდე აჰხადა უშიშარაისძემ ავაზებს.

გასაოცარის სისწრაფით გაეკიდნენ ძუ და ხვადი შუნსა და ხარმშველს.

მეფემ, შორენამ, “თევზისფერმა ძროხამ”, მისმა ასულმა, გირშელმა, არსაკიძემ, დაჩიმ და მისმა მეუღლემ, მთელმა ამალამ მოსწყვიტა ადგილიდან ცხენები.

მხედრები ძლივს ატანდნენ თვალს თუ როგორ ელავდნვნ ცეცხლასფერი ზოლები მშვლისფერ ტრამალზე.

ორივენი გამალებული მისდევდნენ თითქმის ფრენაზე გადასულ მშველებს.

ელვასებრ მიჰქროდნენ ავაზები ტრამალზე. მათზე უმშვენიერესს არსებას ჯერაც არ გადაელახა ეს მწვანე ტრამალი.

ისეთი სისწრაფით მიჰქროდნენ ცხენებიც, მუცლით ზედეკვრიანო მინდორს, მაინც ორიოდე უტევანის მანძილზე უკან რჩებოდნენ ცხენები ავაზებს.

თავდაპირველად გიორგი და გირშელი მიუძღვოდნენ ცხენოსნებს წინ, მალე მოიღალა გირშელის ცხენი, ახლა შორენას თექური ჭაკი წამოეწია ოქროსფერ ულაყს.

დეზი ჰკრა არაბულ იაბოს არსაკიძემ, მშვლის ნახტომზე წამოეწია ორივეს.

მწკრივად მიგელავდნენ ოქროსფერი ულაყი და შორენას თექური ჭაკი. უხაროდა გიორგის მის გვერდით რომ მიჰქროდა ეკბატანის ვარდი.

ამ წუთში არც ავაზები ახსოვდა მას და არც გაქცეული მშვლები.

ხვადი მიეწია პირველად ხარს, კიდევ ორიოდე ნახტომი და ზურგზე დაახტებოდა მსხვერპლს, სწორედ ამ წუთში მხარმარცხნით შემოიქცა მშველი (ისე როგორც კურდღელი უგანებს ხოლმე მწევარს), ავაზამ თავი ვეღარ შეიკავა და გაჰქანდა წინ. ვიდრე იგიც მობრუნღებოდა, მანძილი მოიგო მშველმა. განი უქნა მეორე მშველმა ძუს, მხარმარჯვნისკენ გაიტყუა ავაზა.

ერისთავი დაჩი, განმგეთუხუცესი, მერემეთუხუცესი და ხუთიოდე მხედარი მხარმარჯვნივ გაქცეულთ გამოუდგნენ უკან, მეფემ და დანარჩენებმა მხარმარცხნისაკენ გაჰქუსლეს ცხენები.

ორიოდე მანდილოსანი ჩამორჩენოდა მათ.

შურისაგან აღვესო “თევზისფერი ძროხა”, უცნაურად დასჭყივლა დიაცმა ცხენს, ელვის უსწრაფესად წამოეწია კოლონკელიძის ასულს - შორენას ჭაკმა დაუთმო ცოქალას იაბოს.

ბრაზი წაეკიდა მეფეს, “თევზისფერ ძროხას” რა წაატანა თვალი, წამოსწეოდა ხარჭაყოფილი გიორგის, როგორც სიყმაწვილის ცოდვა სიჭარმაგეში გადასულს.

ახლა შორენა და უტა მოჰქროდნენ წყვილად, აგონდებოდათ ფხოვში

განვლილი სიჭაბუკის ლხენა.

გულში გაუელვა არსაკიძეს უცნაურად, დაეტუქსა თავისი იაბო, ეჩვენებინა აფხაზთა მეფისათვის თუ როგორ ემარჯვებათ ცხენის მონუსხვა ლაზებს.

ჰაზარტში შესულიც მიხვდა: არ ივარგებდა გადასწრება მეფისა.

ისევ წამოეწია ხვადი ავაზა მშველს, ხელახლა უგანა ხარმა, მაგრამ აქ კი ჭკუა იხმარა ავაზამ, საშინელის სისწრაფით დასძლია სივრცე, თვალისმომჭრელი კამარა გააკეთა ჰაერში და ქედზე შეახტა მშველს.

როცა მხედრები დაქვეითდნენ, ავაზა კისერში მისწვდენოდა ნადავლს, ხარბად ხვრეპდა გამარჯვებული სისხლს, თანაც ღრინავდა გაავებული. დაახლოებით ასე ისმოდა ეს ღრენა

“ჰურრრაჰხ, ჰურრრაჰხხ”...

მამაკაცებიც ვერ მიეკარნენ ახლოს.

“აბა, მიდი, გირშელ”...

ეუბნება ღიმილით ყველისციხის პატრონს გიორგი. გირშელი შეყოყმანდა და გაფითრდა სავსებით.

გიორგიმ ისევ გაიღიმა, წინ გაუსწრო თავის დედის დისწულს.

“ჰურრრაჰხხ”, დაიღრიალა მომეტებული სიმძაფრით ავაზამ.

მათრახი დაატკაცუნა გიორგიმ, საშინელის ხმით უყივლა ხვადს.

პირი გაუშვა მტაცებელმა მშველს, ისევ ამოუშვა გასისხლიანებულ პირიდან “ჰურრრაჰხ”...

გიორგი თამამად მივიდა მშველთან, ხანჯლით გამოფატრა იგი, ჯერაც ორთქლიანი ნაწლავები მიუგდო ნადირს.

ორი ცხენოსანი მოჰქროდა ტრამალზე.

დაჩი ერისთავი და მენადირეთუხუცესი იცვნეს.

ორივენი ფერმკრთალნი ეჩვენა გიორგის.

“რა მოხდა, ვაჟკაცებო?”

ეკითხება გიორგი რაინდებს.

“ავაზამ შეიპყრო მშველი, მაგრამ მიადგა და თავათ შეექცევა, არავინ გაგვიკარა ახლოს, დაჩი ერისთავს ლამის არ წასჭამა ბარკალი”.

მოახსენებს მენადირეთუხუცესი მეფეს.

“ვერა ყოფილხართ მამაცები, თუ ერთმა ძუმ დაგიჯაბნათ ამდენი თოროსანი რაინდი”.

გაიხუმრა გიორგიმ.

“ჩემი ქმარიც დაუშინებია ავაზას!”

გაიხუმრა ფანასკერტელის ქალმა, ძლივს შეიკავა ღიმილი დიაცმა.

გირშელი ჯერ გაწითლდა, მერმე გაფითრდა, სამსჭვალივით გულზე მოხვდა რუსუდანის ნათქვამი: “ქმარიც” (განსაკუთრებით უკანასკნელი ბგერა “ც”).

არასდროს ჯერ ასეთი შეურაცხყოფა არ მიუყენებია არავის მისთვის.

კვლავ მოასხდნენ მონადირენი ცხენებს.

გუნება გაუფუჭა ამ ერთმა ბგერამ გირშელს.

მეფე და შორენა წინ მიჰქროდნენ, დანარჩენებს ოთხახმით მიჰყავდათ ცხენები ტრამალზე, რადგან არავის ემეტებოდა გახელებულ ავაზასთვის ბარკალი.

გიორგი გახარებული იყო, მუდამ მოწყენილი შორენა ასე რომ გაერთო ნადირობით. მეფემ იდროვა ამით, ეუბნება კოლონკელიძის ქალს:

“ერთი რამ მინდა გკითხო, შორენა, ოღონდ არ შემრისხო, გევედრები წინასწარ”.

“მიბრძანეთ, რაც გენებოთ, მეფევ ბატონო, ყმათა წყრომას მეფენი სად

ერიდებოდნენ?”

“არავინ იცის, რომელია ჩვენს შორის ყმა!”

შორენამ გაიღიმა, დაინტერესდა.

“გულწრფელად მითხარი, შორენა, როგორ მოგწონს შენი საქმრო, გირშელი?”

დაუყოვნებლივ ეს მიუგო ქალმა:

“არა უშავს, კარგი ყმაწვილია გირშელ, ლამიყლაპიას რომ არ წააგავდეს ცოტა”.

მეფეს სახე გაუბრწყინდა, გადახედა გვერდით მომქროლავს, კვლავ უნდოდა ეკითხა რაღაცა, მაგრამ შორენამ დასძინა ნათქვამს:

“მშიშარაც ყოფილა ყველისციხის პატრონი”.

ცხენი შეაყენა გიორგიმ ერთბაშად, უკან მოიხედა, რა დარწმუნდა შორს არიანო მხლებლები, ჯიქურ ეუბნება კოლონკელიძის ასულს:

“მოგაცილებ, თუ გნებავს, გირშელს?”

შორენა სდუმდა, მცირე ხნის შემდეგ ეუბნება ხმადაბლა:

“თქვენი ნებაა, მეფევ ბატონო, ეგეც, მაგრამ მე ვიცი მეფეებიც ვერ გადუვლენ განგების ნებას”.

მეფემ დეზი ჰკრა ცხენს, ზედ წამოადგნენ გვიმრიან ტაფობს.

ქარაფის კიდეზე მიემწყვდიათ შუბოსნებს ავაზა.

გაგლეჯილ მშველის ლეშზე იდგა სისხლში ამოსვრილი მხეცი, გააფთრებული ბრდღვინავდა:

“ჰურრაჰხ, ჰურრაჰხხ”.

უდაბნოს ცეცხლი ელავდა მის თვალებში.

ფარსმან სპარსიც აქ იყო, ვერც მას გაებედნა ავაზასთან მისვლა.

ფარსმანი მიეჭრა და მოახსენა:

“ღვინო მოვიტანოთ, მეფევ ბატონო, ახლავე, ღვინო სისხლს ურჩევნია ავაზას, დათვრება თუ არა, ჭუკივით დავიჭერთ ხელით”.

გიორგიმ არა მიუგო რა, ხელი ჩაიქნია და რაინდების გასაგონად ესა სთქვა:

“ახლა ვინც ვაჟკაცია, იგი მივიდეს მასთან”, თვალით აჩვენა ავაზაზე მხედრებს.

გირშელ ერისთავი გამოეყო რაინდებს, ოდნავ გაფითრდა, წითელი აბრეშუმის საფარველი აიფარა მარცხენა ხელით, მარჯვენათი ხმლის ვადა მოისინჯა ფრთხილად, გულდაგულ მიეახლა ავაზას.

შემზარავი ხმით ღრიალებდა ნადირი: “ჰურრრაჰხხ”.

უკვე ერთი ნაბიჯი უკლდა მშველის ლეშამდის გირშელს, სწორედ ამ დროს ისკუპა ავაზამ და მარჯვენა მხარზე ეცა რაინდს.

ერთხმად დაიკივლეს მანდილოსნებმა, რაინდებმა იშიშვლეს ხმლები, ავაზა მოეშვა დაკბილულს, უცნაური კამარა გააკეთა ჰაერში ძუმ და ქარაფიდან გადაიხვეწა ლანდივით.

მწვანე ეტლში ჩააწვინეს დაკოდილი გირშელი.

დაცალებული ავაზა ურემზე შესვეს, დაღვრემილი მანდილოსნები და რაინდები უხმოდ დაადგნენ მცხეთისკენ გზას.

შორენას გუნება გაუფუჭდა, გიორგის ჩამორჩა განზრახ. არსაკიძეს მოჰყვებოდა ცხენდაცხენ მდუმარე, როცა ხურსისეულ სასახლემდი მიაღწიეს ორთა, შორენამ ეს უთხრა ვაჟს:

“ხვალ საღამოს შემოგივლი, უტა”.

*

სასახლეში მისვლისთანავე გირშელი დიდ დარბაზში დააწვინეს, თურმანიძე

მცხეთაში აღმოჩნდა ბედად. ავაზას ნაკბილარები უმნიშვნელოდ მიიჩნია აქიმმა, ფოლადის ბექთარს გადაურჩენია რაინდი, ორ კვირაში ავაყენებო დაკოდილს.

მეფემ ფარსმანი შეიყვანა საწოლის დარბაზში, მესაწოლე დაითხოვა, სელზე უჩვენა ფარსმანს.

შიშისგან ცახცახებდა მოხუცი.

ვაჲთუ მე დამაბრალოსო ავაზის გაქცევა მეფემ.

ერთადერთი იმედი ეს იყო, უგუნებობა არ ეტყობოდა პატრონს. მეფე დაჯდა, ოფლი მოიწმინდა შუბლიდან და ეუბნება:

“შენ გეტყვი, ფარსმან, ახლა მითხარი რაც უნდა გეთქვა სასახლის ბაღში იმ დღეს? კითხული ვერ მიხვდა გულისთქმას მეფისას.

“შენ ამას ამბობდი, კიდევ ერთი ზნე სჭირსო ავაზას”...

“მე ეს მინდოდა მეთქვა, გაქცევა იცის - მეთქი შემოჩვეულმა ძუმ”.

“როგორ უნდა გავიგო შენი ნათქვამი ახლა?”

“ზოგიერთი დიაცი ამითაც ჰგავს, მეფევ ბატონო, ავაზას”.

ავაზას ხსენებაზე კოლონკელიძის ასული გაახსენდა მეფეს, ფარსმანის იგავის შინაარსსაც მისწვდა, მაგრამ დადუმდა. დაითხოვა მოხუცი.

LX

ამ თავში მოთხრობილია, თუ როგორ დასაჯა “შანდლის ქურდი” მეფემ

გირშელი მართლაც ვერ ადგა ორ კვირას, უმისოდ ფრიად მოეწყინა გიორგის. აღარც ნადირობანი იმართებოდა, არც ნადიმები.

შავარდნები და მიმინოები ხარიხებზე ამთქნარებდნენ. დაცალებული ავაზა დღედაღამ ბრდღვინავდა, “ჰურრაჰხ, ჰურრაჰხ” იძახოდა გაავებული, ფარშავანგები უკმეხად ჩხაოდნენ სასახლის ბაღში, საჩიხეში ბღაოდა ნებიერა, ნატრობდა ფხოვის მთებსა და მჟავე წალს.

გიორგი ადგებოდა ხოლმე, წავიდოდა, თავათ ნახავდა, რომელი ირემი ბღავისო ასე საწყალობლად? როცა გაიგებდა, რომელიც იყო, უკვირდა: როგორ დამსგავსებიაო შვილი დედას, ირმების ჯოგშიც.

და აგონდებოდა კოლონკელიძისეული ფურირემი, რომელმაც ტყვეობაში სიცოცხლეს თავისუფალი არჩია სიკვდილი.

ხანგრძლივი წვიმები დაიწყო, სავსებით უჩვეულო ამ დროს მცხეთაში.

მარიამ დედოფალი უფლისციხეში ჩამოვიდა აფსაზეთიდან, მელქისედეკმა წიგნი მოიწერა, ბიზანტიელი სტუმრები მომყავს, ერთი თვის შემდეგ ვიქნებიო მცხეთაში.

სტუმრები სასახლიდან წავიდნენ, სიძვის დიაცებიც გაიკრიფნენ მცხეთიდან.

ცოქალამ, ანუ “თევზისფერმა ძროხამ”, ნოკორნას წაიყვანა ნათია, საფირონისთვალებიანი ქალწული, რათა ჯაჭვით ნაბამი წმ. გიორგის შვილიანად ხლებოდა ახალ საბრძანისში.

დაჩიმ და რუსუდანმა ცხვილოსციხეს მიაშურეს, რადგან ცოქალას დედოფლის ეშინოდა, ხოლო “ულვაშიან” რუსუდანს მელქისედეკ კათალიკოსისა.

დღისით დაუცხრომლად წვიმდა. ღამე გადაიდარებდა ოდნავ. ციხის ჩარდახზე ადიოდნენ მეფე და ფარსმანი, უთვალთვალებდნენ მთვარეს, რადგან

ურჩხულის დარი არმური გარს ეხვეოდა მნათობს, ფარსმანის სამთვარიოც ცუდ ამბებს იუწყებოდა.

ეზოსმოძღვარის სვირინგებიც ვერ იძლეოდნენ სანუგეშო ნიშანს.

გიორგი დიახაც ნატრობდა, კეთრი აღმოაჩნდესო ეგებ, მაგრამ რაკი ეს სვირინგები ოდნავ გაშავდნენ, უკვე შიშმა აიტანა უშიშარი გიორგი.

თურმანიძე არტანუჯს წასულიყო, ამიტომაც საღამოსთვის ახმობინა ფარსმანი.

შაბათს მთელი დღე შინ იჯდა გიორგი, ხან ფსალმუნს კითხულობდა, ხან თრიაქსა სწევდა, ხანაც ფარსმანის ახალ სამთვარიოს ფურცლავდა, უგუნებოდ იყო, ავაზისაგან გირშელის დაკბენაც ქენჯნიდა მცირედ.

ნასადილევს წვიმამ გადაიღო, მელანქოლიამ წამოუარა, ყიალი მოენატრა ისევე ველებზე, ისევ მოუნდა წრის გარშემო ტრიალი, მალემსრბოლი უშიშარაისძე ახმობინა, პიპა.

ასე შეუთვალა ფარსმანს:

ეზოსმოძღვარი ინახულე და მოდიო ახლავე, მამცნე თუ რა სჭირსო ხუცესს?

თავათ მალემსრბოლს უბრძანა: ორი ცხენი მზად გყავდეს მიმწუხრისათვის, საფურცლესკენ გავისეირნოთო მე და შენ ორთა.

როცა ფარსმანი საწოლის დარბაზში შევიდა, მეფე თვალდახუჭული იწვა პირაღმა, ხელები მკერდზე დაეკრიფა, ნატანჯი სახე ჰქონდა, ალაგ-ალაგ დანაოჭებული.

ჭაღარაც მომეტებულად მოუჩანდა გაბურძგვნილ თმიდან.

ვერცხლის შანდალი იდგა სასთუმალთან ორი.

ლიცლიცებდნენ ცვილის სანთლები, ცვილისფერი მისდგომოდა სახეზე მეფეს.

ტაბლაზე ნარგილე იდგა, თრიაქის სუნი დაკმეულიყო დარბაზში.

მეფემ თვალი გაახილა, ფარსმანს ახედა და ამ წუთში შემოესმა დაცალებული ავაზის: “ჰურრაჰხ, ჰურრაჰხ”...

უშიშარაისძეს უბრძანა:

სელი მოართვიო სტუმარს.

“ინახულე ეზოსმოძღვარი?”

ეკითხება ფარსმანს, ხვნეშით ქვე დამჯდარს.

“ვინახულე ავადმყოფი, მეფევ ბატონო”.

“იცოდე, დღეს მაინც მხოლოდ მართალი უნდა მითხრა, ფარსმან”.

“განა ოდესმე ტყუილი მომიხსენებია, მეფევ ბატონო, შენთვის?”

“მხოლოდ სულელები ეუბნებიან მართალს, ჩემო ფარსმან, მეფეს”.

“ეგეც სწორია, მეფევ ბატონო, მაგრამ ერთი დღე მაინც უნდა გამოურიოს მართლის თქმისა კაცმა”.

“მაშ ეს საღამო იყოს ასეთი”.

მეფემ გაიცინა და ფარსმანს იამა ფრიად.

“როგორ გგონია, კეთრი ხომ არ სჭირს ხუცესს?”

“არა, ბატონო, არ უნდა იყოს კეთრი”.

“ან ჟამი იყოს ეგების? “

“არა მგონია, ჟამის ნიშანის რომ იყოს ეგ სვირინგები”.

“მაშ შენ მარწმუნებ, ამ საღამოს მხოლოდ სიმართლის სათქმელად ხარ მოსული, ფარსმან?”

“მხოლოდ სიმართლის მაუწყებლად მატარებენ ჩემი ბებერი იოგები, მეფევ ბატონო, მუდამჟამს”.

“ისემც რა გითხრა მე შენ, ფარსმან!”

“ის მითხარი, რაც გენებოს, მეფევ ბატონო”.

“მაშ სად იყავი ამდენ ხანს? სულ სიმართლეს აუწყებდი დილიდანვე ქვეყანას, არა?”

“თევზებს ვითვლიდი გუდამაყრისკენ, ღამის მაყრად მიმავალთ”.

“რამდენმა აიარა ამ საღამოს ზევითკენ?”

“იმდენმა, რამდენიც სიტყვა მაქვს შენთვის სათქმელი. მეფევ ბატონო, მართალი”.

“მაინც რამდენი იქნება იგინი?”

“რამდენიც კითხვა ექნება ჩემს პატრონს ჩემთვის მოსაცემი”.

“ამ თევზებსავით ხომ არ ჩაივლიან მერმე ის სიტყვები, ბერიკაცო?”

“არა, ჩემი სიტყვები დუმილში დაიძრებიან ნელა, სავსებით ნელა ჩასწვდებიან მსმენელს და ისე გვიან ეწვეთებიან გულს, როგორც ნარგილეს მილში გავლებული კვამლი თრიაქისა, გვიან მიაღწევენ მსმენელის გულამდის და გვიან, გვიან მიჩვენებენ ზემოქმედებას”.

მეფემ თავი აიღო, ორივე შანდალი უჩვენა თვალით და ეუბნება სტუმარს:

“მე ხშირად ჩამძინებია შენი ჯადოსნური საუბრის დროს, ფარსმან, თუ ახლაც მომეკიდოს რული, ადექი მაშინ, ეს შანდლები აიღე, მცირე დარბაზს რა გასცდები, მსახურები დაგიხვდებიან ტალანში, დღეს მითხრეს ალყა და ქონი გამოლეულა სასახლეში, მიუტანე ეს შანდლები მათ.

უბრძანე: არ გამაღვიძონ, სანამ მალემსრბოლი არ მოვიდეს, პიპა”.

ეს უთხრა და დადუმდა მეფე.

მცირე ხნის შემდეგ ეუბნება ბერიკაცს:

“სიტყვისა და თრიაქის მსგავსება კარგად გამოხატე წეღან, ახლა იგიც მამცნე, რითი არა ჰგავს კაცის სიტყვა ბანგს?”

“რითი არ ჰგავს კაცის სიტყვა ბანგს? “ გაიმეორა ფარსმანმა.

“მხოლოდ იმას ათრობს თრიაქი, ვისაც ასმევენ ხოლმე, მაგრამ სიტყვას ერთს ეტყვი ხშირად და ათასებს ეძგერება, როგორც ირიბად გასროლილი ქვა”.

“ქვაო? ვისა სმენია ირიბად გასროლილი ქვა?”

“ჩემს ბალღობაში ცალიერი კოკების მსხვრევა დამჩემდა ერთხელ, საჯინიბოს კედლის გასწვრივ დავამწკრივებდით ცალიერ კოკებს მე და ჩემი ტოლები. მერმე მივსდგებოდით და კედელს დავუშენდით ქვას. უკუიქცეოდნენ შეტყორცნილი ქვები, განუკითხავად ამსხვრევდნენ კოკებს.

მოგვისწრებდა განრისხებული მზრდელი, დავიფიცავდით: არ გვისვრიაო ცალიერი კოკებისათვის ქვები”.

მეფე დადუმდა, შემდგომ ამისა ეკითბება ფარსმანს:

“რად მეჩურჩულები ამ საღამოს, ფარსმან? მე ოდნავ მთვრალი ვარ, მართალია, თრიაქისაგან, მაგრამ ასე ვგობებ ჯერ შორსაა ძილი, გარდა ამისა, შენ ისე ბრძნულად მესაუბრები, შესაძლოა, არც დამეძინოს დიდხანს” .

“მე ერთი მწვრთნელი მყავდა, სიბრძნისმეტყველი, ქაიროში, აბუბექრ-ისმაილ-იბნ-ალი-აშარი ერქვა სახელად იმ ბრძენს, თავათ შლეგივით დაყიალობდა ამ ქვეყანაზე, სხვებს ურიგებდა სიბრძნეს.

იგი ითვლებოდა იდუმალთა მიმთხრობად და ჩურჩულის ოსტატად ალ-ჰაქიმის სასახლეში ოდესღაც.

სწორედ მან მასწავლა, მეფევ ბატონო, მეც, დიდი ჭეშმარიტებანი ჩურჩულით უნდა უთხრაო დიდკაცებს ყურში, ხოლო იგი, რაც დიდ ბაზრებში ყომარბაზობის დროს უნდა წამოგცდეს, ისე უნდა იყვირო, როგორც წყლისა და თაფლის

გამყიდველნი ყვირიან ქაიროში, რათა მეჯადაგეებმა და მეხამლეებმა გაიგონონ, თაფლი და წყალი შეისყიდონო შენგან".

"აბა ერთსა გკითხავ და მალე მაინც მომიგე პირდაპირ".

"მე არასოდეს არ ვლაპარაკობ პირდაპირ, რადგან ირიბად ნათქვამი უფრო პირდაპირ სჭრის, მეფევ ბატონო, მუდამ.

მე და ჩემ ტოლებს რომ პირდაპირ დაგვეშინა ცალიერ კოკებისათვის ქვები, უთუოდ ცხვირ-პირს ჩაგვილეწავდა მზრდელი.

ათინაში ერთი ღვთაების კერპი მდგარა თურმე, ის ღვთაებაც იდუმალთა მიმთხრობლად მიაჩნდათ ბერძნებს, იგი არაფერს იტყოდა პირდაპირ, ყოველივეს ირიბად ამბობდა, მუდამჟამს ანიშნებდა მხოლოდ".

მეფემ დაამთქნარა, თვალი დახუჭა, ისევ მიუბრუნდა ფარსმანს:

"ახლა ეს მითხარი, როგორ მოგწონს ხუროთმოძღვარი არსაკიძე, ფარსმან".

"არა უშავს რა, კარგი ვაჟია არსაკიძე, ლაზი, მაგრამ იგი უკეთ ხატავს, ვიდრე აშენებს. მელქისედეკის მიერ მისი დანიშვნა მაინც ერთ ამბავს მაგონებს უცნაურს"...

"კათალიკოსს არ დაუნიშნავს იგი, მე თავათ ავარჩიე არსაკიძე, ფარსმან" .

"მოხუცი შეკრთა და დადუმდა.

სახლის ბაღში ღრიალებდა ხვადი ავაზა: "ჰურრახ, ჰურრახ".

"ნუ გეშინია, ჩემო ფარსმან, რაც არ უნდა მითხრა აწი, იმისათვის არ დაგსჯი დღეს".

"მეფეებს ასე გჩვევიათ, თუ მართლის მთქმელი იმ დღეს დაინდეთ, სამი წლის შემდეგ სამგზის აზღვევინებთ სიმართლისათვის".

"არც სამი დღისა და არც სამი წლის შემდეგაც... ვფიცავ".

ფარსმანი ყოყმანობდა და გიორგიმ გაუღიმა.

"მაინც რას გაგონებს არსაკაძის დანიშვნა, ფარსმან?"

"ჯოჯოხეთში მღვდლები გაუწყვეტიათ ეშმაკებს და ყვავი დაუნიშნავსო თურმე ხუცესად ღმერთს".

მეფემ გადაიხარხარა და ფარსმანი გამხნევდა.

"სვეტიცხოველი როგორ მოგწონს, ახლადნაგები?"

"ახალი წიგნის გამო არაფერა ითქმის, სანამ ათასჯერ არ გადასწერენ მას სხვანი, არც ახლადაგებულ ტაძრის გამო ითქმის ამაზე მეტი, სანამ ათასი წლის მიწისძვრები არ გამოსცდიან ნაგებობას მისას".

"შენ ისევ ირიბულად ბნელმეტყველებ, ფარსმან".

"მე მაინც ასე მგონია, მეფევ ბატონო, ახლაც, საუკეთესო წიგნი მაინც იგია, რომელიც ჯერაც არ დაუწერია არავის. რაიცა შეეხება ტაძართაგანს საუკეთესოს, ჯერაც არ აგებულა ასეთი მიწაზე".

"ახლა ჩემი ვაზირების გამოც უნდა მამცნო მცირედი, რომელი უფრო მოგწონს მათ შორის, ფარსმან? "

"მხოლოდ იგი, რომელიც ერთ დღეს მაინც ეტყვის თავის პატრონს სიმართლეს".

"მერმე, რომელია ასეთი?"

"ვგონებ, შენს ვაზირებს ყველას სათითაოდ ეშინია შენი, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, მლიქვნელების თათბირები არც ერთ მეფეს გამოსდგომია ჯერაც".

მეფე თავქვე დაწვა, ხარხარებდა, ხელით იწმენდდა სიცილისაგან გადმოღვრილ ცრემლს.

უფრო და უფრო გამხნევდა ფარსმანი.

"მეფეებს ერთი უბედურება სჭირთ ასეთი: მშიშარანი რომ ვაზირებად არ

გამოდგებიან, ეს ხომ ისე თვალსაჩინოა, როგორც არაგვის დაღმა დინება?”

“უეჭველად სწორია ეგეც”.

“მაშ თუ ეს სწორია, რა უნდა ჰქნას მეფემ? ჯერ არც ერთი მეფე ჭკვიან ვაზირებს არ გაუხდიათ ბრძენი. თუ ისეთი ვაზირები გაიჩინა, რომელთაც მეფის შიში აღარ ექნებათ, მაშინ ისინი თავათ წაეპოტინებიან ტახტს! “

ეგეც დაუმოწმა მეფემ.

ღიმილით ეკითხება ისევ:

“კიდევ რა სენი სჭირთ მეფეებს, ფარსმან?”

ფარსმანი დადუმდა, შეყოყმანდა ოდნავ.

“მე უკვე მიწია ნასადილევს მოწეულმა თრიაქმა, შენი სიტყვების ზეგავლენა ჯერაც არსად სჩანს, შენ ხომ იცი, სიმთვრალეში ფრიად კეთილი რომ ვარ, ფარსმან?”

“შენ სიფხიზლეშიაც კეთილი ბრძანდები, მეფევ ბატონო, მუდამ”.

მეფემ ყური არ ათხოვა უკანასკნელ სიტყვებს და განაგრძო:

“ერთხელ ვიღაც მთვრალმა მდაბიორმა ცხენი გამომიკლა მცხეთაში, მე გამიხარდა, თავათ რომ გადავრჩი, გარდა ამისა, მთვრალი ვიყავი, მდაბიორის სამოსში გადაცმული, ამიტორც არაფერი ვაკადრე მთვრალს”.

“ეგეც მსმენია, მეფევ ბატონო”.

მიუგო ღიმილით ფარსმანმა.

“კიდევ რა ზნე სჭირთ მეფეებს, ეგეც მითხარი ბარემ”.

“ქედმაღლობა მეფეების უდიდესი უბედურებაა. მეფე ყოველ ქვეყანაში მარტოხელაა და ერთადერთი, იგიც ხომ ცხადია, მარტოსული არასოდეს იქნება მთელი.

რამდენად უფრო აღმატებულია მარტოსული, მან უფრო კარგად იცის, რომ ერთი კაცი თავის უდიდეს სიბრძნეშიაც შლეგად ითვლება მუდამ”.

“მერმე, მერმე?”

ეკითხება მეფე და შესცქერის თრიაქისაგან აღრეული თვალებით ბერიკაცს.

“მერმე მიმოიხედავს ხოლმე მარტოსული იგი და რაკი თავის მსგავსს ვერავინ ნახავს სხვას, მას ხელიდან ეცლება უძვირფასესი სამკაული კაცთა მოდგმისა, თავმდაბლობა”.

ორივენი დადუმდნენ, სასახლის ბაღიდან ისევ მოისმა დაცალებული ავაზის “ჰურრახ, ჰურრახ”...

“ნამდვილი თავმდაბლობა, - განაგრძო ფარსმანმა, - არასოდეს აურიო მონისა და მლიქვნელის თავმდაბლობაში, არც იმ გლახაკის თავმოდრეკილებაში, სამოგვის თასმებს რომ უკოცნის პატრონს.

უდიდესი უბედურება მაშინ ეწვევა კაცს, როცა მას დაავიწყდება, რომ კაცთაგანი, უფლისწულია ყოველი.

მეფეებსა და შლეგებს ზნედა სჭირთ ხოლმე, სხვაზე უფრო აღმატებულად შერაცხავენ თავისთავს და ვინც მათ გაუტოლდება, თავს წააცლიან უთუოდ, ხოლო იგი, ვისაც უმცირესზედაც აღმატებულად თავი მოაქვს, სწორედ იგია ქედმაღალი, მეფევ ბატონო.

მე რომ მესსია გზაში შემეყაროს და მითხრას, სხვას ჯობიხარო, ასე მივუგებდი: შენ არ ყოფილხარ-მეთქი მესსია.

მეფეები და ლომები მარტოობაში ხდებიან გულზვიადნი. აზვავდებიან და მოიწყენენ, მარტოხელნი იღუპებიან კიდევაც”.

ფარსმანმა კვლავ გაიგონა ხვადი ავაზას ღრიალი:

“ჰურრახ, ჰურრახ”

მწუხრი უკვე მოსწოლოდა დიდი დარბაზის სარკმელს, დახედა მეფის სარეცელს.

თვალდახუჭული იწვა მეფე გიორგი. ცვილის სინათლისგან მოფენილი შუქი უსიცოცხლო სიყვითლეს აძლევდა მის სახეს. იგი მძინარეს როდი მიაგავდა, არამედ მიცვალებულს.

დასძინებიაო, გაიფიქრა ფარსმანმა.

ადგა, შანდლები თან წაიღო და ფეხაკრეფით გაიპარა სულგანაბული.

მცირე დარბაზის ტალანამდისაც არ იქნებოდა მისული იგი, უშიშარაისძე შემოვიდა საწოლის დარბაზში.

მეფე წამოდგა და ეუბნება მალემსრბოლს:

“ფარსმან სპარსმა ვერცხლის შანდლები მოიპარა, ერთი წამოეწიე, პიპა, და ორიოდე პანღური ამო ჰკარი მაგ ბებერ ძაღლს”.

*

როცა გიორგი და პიპა სასახლის კიბეზე ჩამოდიოდნენ ფარსმან სპარსი იქვე იჯდა. წამოდგა, მეფეს მიეახლა და მოახსენა:

“შენ აკი დამპირდი, მეფევ ბატონო, არ დაგსჯიო სიმართლის თქმისთვის?”

მეფემ წარბები აწკიპა, გაიკვირვა თითქოს ერთბაშად.

“??? განა სიმართლისათვის გაგაპანღურეს მართლა? ეს შანდლების მოპარვისათვის დაისაჯე დღეს”.

ფარსმანი გაოცდა.

მეფემ გაუცინა და ეს უთხრა მოხუცს:

“შენ ირიბი ზმები გყვარებია, ჩემო ფარსმან, ხოლო ირიბი პანღურები მეფეებს სჩვევიათ ხოლმე”.

*

ერთი სიმართლე მაინც დაუმალა ამ საღამოს ფარსმანმა გიორგის, მან შეატყო, ჟამის სვირინგები რომ აჩნდა ეზოსმოძღვარს, კიდევ ერთი რამ მოახსენა გიორგის მცდარი ამბავი და ამის გამო წაიკითხე ეს:

შ ე გ ო ნ ე ბ ა:

ერთხელ სამი მუსიკოსი გამოსულიყო მოედანზე საღამოს.

იდგნენ და უკრავდნენ ტკბილად.

გარსმოჯარული ხალხი ფერხულს უვლიდა მათ გარშემო. გაიხარებდნენ სალამურის, ჭიანურისა და სტვირის შეწყობილ მუსიკობისაგან აღტყინებულნი.

ერთი ყრუ მიეახლა ამ მუსიკოსებს, მას არც ხმა ესმოდა და არც სიტყვა.

რა სულელია ეს ხალხი!

გაიფიქრა ყრუმ.

სამი კაცი ხელს აფათურებს, ერთს ლერწამი გაურჭვია პირში, მეორეს ძელის ნაჭერი აუღია და ძელისავე წკეპლით უხახუნებს ზედ. ხოლო მესამეს გაბერილი გუდა პირთან მიუტანია და ეს ამდენი ხალხი შლეგურად როკავს ამ ამბის შემყურე!

როცა ოსტატის მიერ შესრულებული ქმნილების დიდებულებას ვეღარ ჰხედავს შურისგან აღვსილი, ხელმოცარული ოსტატი ვინმე, იცოდე, მკითხველო, ამ

ყრუს მიაგავს იგი, იმ სამთა ტკბილი მუსიკოსის ვერ შემსმენელსა.

XLI

თავდაპირველად ქვიშისფერნი იყვნენ ღრუბლები, მაგრამ როცა მთვარე თავზე წამოადგა ჯვარის მონასტერს, გაყვითლდნენ ისინი.

მერმე ატყდა სხივთა ლიცლიცი ცაზე. გალურჯდნენ მთები, ხოლო ღრუბლებსა და ცას ქედანისფერმა გადაჰკრა იერმა.

აივნიდან ხედავდა არსაკიძე ამას ყოველივეს, მერმე მის თვალწინ თალხმა ფერებმა დაიჯაბნეს ნათელი.

ნელ-ნელა გაშავდნენ ხეებისა, ეკლესიებისა და ციხეების ზეთავები გარშემო, გამოხურვებულ ოქროსფრად გაიელვა ზეცის კალთებზე დასავლეთისკენ, შორს.

და სწორედ ამ დროს გაისმა ციხეების გოდოლებიდან საყვირის ხმა პირველად.

ეს იყო ნიშანი, მეციხოვნენი სცვლიდნენ ურთიერთს.

ბინდი დაეშვა რატისეულ ხილნარზე. თალხი ფერები გადაანთხია ყვავილებსა და ბალახებს მწუხრმა, ჩრდილისებრ ნახაზებად იქცნენ ხეები და სიგრილე შეიცნო აივანზე მდგომარემ.

ადგა, დარბაზში შევიდა.

ნონაის უკვე აენთო ჭაღები.

სულ პატარა, სულ პაწია პეპლები ცეკვავდნენ შუქის გარშემო დარბაზში.

ბუს მართვე წიოდა ხილნარში.

დიდხანს იჯდა არსაკიძე დარბაზში და უსმენდა მარტოსულის ძახილს.

ახლა მოზრდილი პეპლები შემოპარულიყვნენ დარბაზში, თალხი, სავსებით თალხი ფარფლები ჰქონდათ მათ, კიდე-კიდე დაწინწკლულნი წითლად და ყვითლად, ჭაღებს უვლიდნენ გარშემო.

ვეღარ გაუძლო არსაკიძემ ამის ყურებას, ადგა, ისევ აივანზე გავიდა, სიბნელეში განმარტოება მოენატრა კვლავ.

ატყობდა თავათაც ოსტატი:

სულ მცირე ხანში ხასიათი გამოეცვალა. მოუთმენელი, დაუდგრომელი გახდა იგიცა, როგორც ეროსი - სულწასული დედისა და უჯიათი მამისაგან წარმოშობილი.

დღეს გათენება აგვიანდებოდა, მზეს ბნელში ჩასვლა, ხოლო საღამოს მიმწუხრად ქცევა, ასე გამოდიოდა, თავათ მნათობებსაც შეუცვლიათო ჩვეული ეტლი მის თვალწინ ანაზდად.

უმთავრესი მაინც ის იყო, მარტოობას ვეღარ უძლებდა მარტოობაში გაზრდილი კაცი.

ბნელში დაბადებული ბუს მართვე ბნელს უჩიოდა ხილნარში.

მადლობა უფალს, დასასრულს რომ მიეახლა მისი საყვარელი ქმნილება უკვე, თორემ რომელ გულს ეყოფა ძალა, მიჯნურობასა და ხელოვნებას ემსახუროს ორთავეს თანაბრად?

ასე ყოფილა ჟამის დასაბამისიდან, ერთი ბომონი ვერ დაიტევს ვერასოდეს ორ კერპს.

ისევ იცვალა სამყოფელი მოუსვენარმა.

ბაღში ჩავიდა.

ღამე შემოსულიყო რატისეულ სასახლეში, მაინც არ სჩანდა გულისმიჯნური.

სამი საღამო წვიმდა ზედიზედ, დღეს გადაიღო, მაგრამ იგი არ მოდიოდა.

იდგა ცაცხვის ტანს მიყრდნობილი, ყურს მიუგდებდა უმცირეს ჩქამსაც.

სდუმდა ხილნარი, ფოთლები არ იძვროდნენ. მარტოშთენილი ბუს მართვე იძახოდა საწყალობლად. მხოლოდ მისი ხმა მოესმოდა არსაკიძეს, ბნელში მდგომარეს.

თვალებდახუჭულს შორენას ხმა შემოესმა ახლა ანაზდად.

ასე ეგონა: ჩოხის ღირკილოებსაც მისწვდენოდა, ეუბნებოდა თითქოს ჩურჩულით:

“რამ დაგაღონა, აჰა მოვედი, რამ დაგაღონა, უტა?”

თვალი გაახილა, მთვარეს აჰხედა.

ისევ დახუჭა თვალი, ჟამის სრბოლა გადავიწყნოდა ლოდინისგან გულშეღონებულს.

ნაავდრალი ზღვის ტალღების დარად უკუქცეულან წლები. კვლავ ყრმა გამხდარა უტა, მობრუნებულან ბავშვობის დღენი.

ის ნეტარი დრო, როცა სჯეროდა გულმართალს მათი: მზე და მთვარე ერთი დედის ძუძუმტენი რომ ყოფილან თურმე ოდესღაც.

ქალსა და ვაჟს ერთმანეთი შეყვარებოდათ.

დაუტუქსავს ორივენი მშობლებს.

ქალი მზედ იქმნა, ყმაწვილი მთვარედ.

ცეცხლად ქცეულან და აჭრილან ცაში ორივე.

ათასეული წლები გასულან, როგორც თვალის დაფახულება ერთი.

დაეძებენო იმის შემდეგ შეყვარებულნი ძუძუმტენი ერთმანეთს დღემდის.

მზეცა და მთვარეც სიყვარული ყოფილა თურმე.

და ეს ასეა, ვისაც ოდესმე სიყვარული გამოუცდია, მას უგემნია თავათ სიკვდილი.

ან თუ ღმერთია სადმე ამქვეყნად, სიყვარულია, ალბათ, ის ღმერთიც.

შეკრთა ერთბაშად.

ქარი ხომ არ არხევდა ხილნარში შტოებს? მარტოობას ხომ არ უჩიოდა ბუს მართვე სადმე?

ეძინათ ტკბილად ყვავილებსა და ბალახებს, მხოლოდ ფუტკრები გალობდნენ ძილში, ან სიყვარული თუ მღეროდა ვაჟკაცის გულში?

ჰყვაოდნენ ბნელში ბაღის ვარდები და ხატაური გლიცინიები ისე მკაფიოდ მოსჩანდნენ კიდევ (ვაზის მტევნები, სვეტიცხოველისა, ოსტატის ხელით ამოჭრილი თეძამის ქვაზე!).

“სიყვარულია თავათ ღმერთი ამ ქვეყანაზე”.

მოიჩქაროდა მისკენ ლანდი რიდემოსხმული, მთვარის შუქისგან დათოვლილი მოსჩანდა იგი.

ეს გაიფიქრა არსაკიძემ და ქალის კაბის შარიშური შემოესმა ბალახებიდან.

“აქ რად მიცდიდი, უტა?”

ეს უთხრა ქალმა.

და როცა ცხადლივ შემოესმა მისი ამო ხმა, კვლავ გაიგონა მისივე პირიდან თავისი ლაზური სახელი, რომელსაც უკვე აღარავინ უძახოდა ამ მარტოობაში. ეს უნდოდა არსაკიძეს, სველ მდელოზე დაჩოქილიყო, ფერხთით დავარდნოდა სანატრელს, მას, ვინც არაფერს არ დაერიდა და ეწვია ღარიბ ოსტატს, სიყრმის მეგობრობის გასაახლებლად.

თავი შეიკავა, საკოცნელად წაეპოტინა მის ხელებს.

დარბაზში შემოსულთ ეს შეამჩნიეს: შავი პეპლები დაფარფატებდნენ ჭაღების გარშემო, ზედ ეხლებოდნენ ცეცხლს. ფარფლშეტრუსულნი ძირს სცვიოდნენ, ფართხალებდნენ საწყალობლად.

მღამიობებით გავსილიყო მთელი დარბაზი, თავბრუდამხვეველ ფერხულს უვლიდნენ, დარიალებდნენ წყვილად.

რიდე მოიხსნა შორენამ.

არც მარგალიტის ქუდი ეხურა, არც ალმასების მანიაკი ეკიდა ყელზე.

არც ხატაური აბრეშუმის კაბა ეცვა, არც საწმერთული ხოხბისყელისფერი.

ფხოვური, თალხი სადიაცო ეცვა, ისეთივე სადა, როგორსაც მისი მოახლენი ატარებდნენ ხოლმე ყოველდღე.

ფერგამკრთალი სჩანდა.

ყინცვისის ანგელოსივით მჭმუნვარე.

მხოლოდ ახლა მიხვდა არსაკიძე, რომ მისი ალმასის ქუდები, დიბის კაბები, აბრეშუმის საწმერთულები და მარგალიტის სამკაულები, ეს ყოველივე ნიღაბი ყოფილა თურმე, გიორგი მეფის გარყვნილ სასახლეში სახმარებელი.

და ამას იმისთვის სჩადიოდა, რათა არავის შეეცნო, რომ შორენა თავათ წააგავდა თავის საყვარელ ნებიერას, მყვირალობის დროს საჩიხეში აწრიალებულს, ფხოვის მთებსა და მჟავე წყალს მონატრულ ირემს.

ბუნებრივადაც მოეჩვენა თალხი სამოსიც, რადგან ეს გლოვა უფრო ამშვენებდა მას, ვიდრე ალმასების მანიაკები და ოქსინოს ქათიბები ფერად-ფერადი.

შიშისაგან ცახცახებდა კოლონკელიძის ქალი.

ხომ არავინ არისო შენს მეტი ამ სახლში, უტა?

მიმოიხედა, ვერავინ ნახა, მხოლოდ სურათს დაადგა თვალი.

შეჰხედა, შეკრთა, რა დაინახა ღმერთთან მებრძოლი კოჭლი იაკობი.

“სხვა ვინ იქნება აქ ჩემს გარდა, - ამბობდა ვაჟი, - ნონაის სძინავს თავის სამყოფელოში დიდი ხანია, მე და ღმერთი ვართ ამ უბედურ, ბნელ სასახლეში”.

“როგორ თუ ღმერთი, რას ამბობ, უტა?”

გაოცებული ეკითხება ვაჟკაცს დიაცი.

ისევ მიჰხედა იაკობის ღმერთს, სანთელი აიღო, ახლოს მიიტანა და მიაშტერდა.

“მელქისედეკ კათალიკოსს მიუგავს ამ ბებერს სახე. მე თავათ ვნახე იმ საღამოს, როცა იაკობის მიერ ღმერთთან შებრძოლებას შეეხო იგი, ხოლო იაკობ შენა გგავს, უტა!”

ოსტატი სდუმდა (ასე სჩვევია ეს ნამდვილ ოსტატს, ნიღაბს არ ახდის არასდროს თავათ, თავის ქმნილების პირველად სახეს).

სტუმარი სელზე დასვა მასპინძელმა. გვერდით მიუჯდა.

“მე ასე მგონია, სიზმრად გხედავდე თითქოს, შორენა. რა დიდი გზა, როგორი წამების გზა უნდა გაგვევლო თურმე, რათა ერთმანეთი შეგვეცნო ბოლოს!

მთელი ჩემი სიცოცხლე ღმერთის ძიებაში ვიყავი მე შლეგი ფხოვში, ლაზისტანსა და ბიზანტიონში.

მხოლოდ დღეს მივხვდი, ჩემო, რომ ეს ცხოვრება არც ისე მრუდედ წარუმართავს არსთაგანმგებელს, ყველაფერი იმისათვის შეემთხვევა ამ მიწაზე კაცს, რათა თავის თავს და თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს.

გჯეროდეს, ჩემო, საპატიო ვალია კაცისა არა გლახურ ღმერთის ძიება, არამედ თავათ უნდა გახდეს შემომქმედ უფლის მეტოქედ”.

“რას ამბობ, უტა, მე მაშინებს შენი ნათქვამი”.

“შენ ხომ სხვა დიაცებსავით მშიშარა არა ხარ, შენ არავის ჰგავდი შენს სქესში, შორენა, ამიტომაც უფრო ადრე მიყვარდი, ვიდრე მე შევიცნობდი თუ რა იყო ქალი და კაცი. შენ რაინდებზე ადრე მიეახლე მეფის ავაზას.

შენ ისეთი წმინდანი ხარ, უმძვინვარესი მხეცებიც ვერ შეგბედავენ. თუ

სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენა ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი თავათ. ამიტომაც გიგულებდი თანამდგომად მარტო ბრძოლაში".

შორენა იჯდა ტახტის ბოლოში, თავჩაქინდრული უსმენდა ვაჟს.

გაოცების ნიშანიც არ ეტყობოდა მას, ასე ეჩვენა არსაკიძეს, დუმილშიაც შეუცვნიაო ეს ყოველივე დიდი ხნის წინათ.

მიუახლოვდა, გვერდით მიუჯდა, თავზე ხელი გადაუსვა, როგორც გაბუტულ ბალღს მიეფერებიან ხოლმე.

ქალმა თავი აიღო მშვიდად, თავისი მჭმუნვარე თვალებით შეხედა ვაჟს.

"მეც შენსავით მარტო ვარ, უტა, - კვნესოდა შორენა, როგორც მარტოხე, ქარისაგან დაბრიყვებული.

მე მუდამ შენთან ვიყავი, უტა, მაგრამ შენ ვერ ჰხედავდი ამას. ხან შენი ხელოვნებით იყავი გატაცებული, ხან სიძვის დიაცებს აეკიდებოდი, ხან ნადირობდი".

"როგორ, მე ხელი გკარი განა ოდესმე?"

"შენ ხომ გახსოვს, უტა, როცა ჭიაბერი კვეტარს მოდიოდა ჩემს დასანიშნავად, მე გთხოვე მამიჩემის ცხენებზე შევსხდეთ, გავიქცეთ-მეთქი ღამით, ფხოვიდან?!"

"მახსოვს, მაგრამ მე ასე მეგონა, მართლაც ძუძუმტე იყავ ჩემი".

"ახლა ვინ გითხრა შენ ეს ამბავი?"

"ფიცი მაქვს დადებული, არ გავამხილო".

"ვიცი, ვინც გეტყოდა, მაგრამ ეს სულ ერთია".

"შენ თუ იცოდი ეს, მზექალაი რომ ყოფილა ჩემი ძუძუმტე?"

"ვიცოდი, მაგრამ მე ამის თქმით გულის ნადებს გაგიმხელდი, არ ვარგა, როცა გულწრფელობაში ქალი დაასწრებს ხოლმე ვაჟკაცს".

"მაშ ჭიაბერი შენ არ გიყვარდა? მე ასე მეგონა ეს ქალწულის შიში იყო გათხოვების წინაშე, სხვა არაფერი".

"ქალის გაჩენაში ალბათ ღმერთი არ გარეულა, უტა.

მიჯნურს გული აურჩევს საკუთარი დიაცს, ხოლო საქმროს, მშობლები და მდგომარეობა. ჩემთვის ორგვარი არჩევანი იყო იმჟამად.

მეფე გიორგი ან ჭიაბერი.

იგიც ვიცოდი, ჩვენი დედებიც მუდამ მათ გაჰყოლიან ცოლად, ვინც არასდროს ჰყვარებიათ გათხოვებამდის.

მეცოდებოდა დედოფალი, ისე როგორც დიაცთაგანს შეებრალება ხოლმე მეორე. არც სხვის უბედურებაზე აგებული ბედი მინატრია ოდესმე. სწორედ ამიტომ შევურიგდი ჭიაბერის ცოლად გახდომას".

"ახლა?"

სიტყვა ჩააგდო არსაკიძემ გაოგნებულმა.

"ახლა ყველაფერი გვიანაა უკვე, გვიჯობს, ნუ გავაღვიძებთ სიყრმის სიყვარულს. გირშელი მიამბობდა, მოულოდნელად გაღვიძებული ავაზაააო ყველაზე მეტად საშინელი რამ.

მე კი მგონია, სიყრმის სიყვარულის გაღვიძება მასზე მეტია.

გირშელი თუ გიორგი? მე ვიტყოდი: არც ერთი და არც მეორე. გირშელი საფრთხობელას მაგონებს, დათვებისათვის ყანაში დადგმულს.

გიორგი მეფემ თვალები დაუბნელა მამაჩემს, უმალ სიკვდილის ცოლი გავხდები...

ბიძაჩემმა დაჩიმ სწორი თათბირი მითხრა, გიჯობს სადედო მონასტერს შეეხიზნოო რომელიმეს, და ეს სწორია.

სხვა გზაც არსებობს ერთი, მაგრამ სხვა დროისთვის იყოს ამის თქმა, უტა".

არსაკიძე ფერხთით დაუვარდა, მერმე ქედზე მოხვია მკლავი და აკოცა შორენას. სიყრმის პირველ ცოდვასავით ტკბილი იყო მისი ტუჩები...

საყვირის ხმა მოისმა მუხნარისას ციხიდან.

ქალი წამოდგა.

ეუბნება ვაჟს:

“ახლა უნდა დაგტოვო მარტო, მშვიდობით, უტა”.

ყელზე შემოეჭდო არსაკიძე ქალს.

ამო იყო მისი სუნთქვა, როგორც მიწის სურნელება ვარდობის თვეში.

“ყველაფერს შენ შეგწირავ, შენ განაცვალებ, შორენა, ჩემს გულის სისხლს, ჩემს სუნთქვას, უკანასკნელს, ოღონდ ნუ დამტოვებ მარტო”.

ხელი გააშვებინა არსაკიძეს კოლონკელიძის ქალმა.

მტკიცედ ეუბნება:

“საყვირის ხმა ისმის ხელახალი, უკვე გვიანაა, უტა!”

XLII

მიდიოდნენ ვიწრო შუკებში, ეძინათ მთავართა სანათლოის ქოხებს. ამძუვნებული ძაღლების ხროვა დაჯირითობდა ბნელში, მთვარე გადმოსულიყო ღრუბლის საფარველიდან მრეში ტალებით დატვიფრული სავსებით.

შორიახლოდან მიჰყვებოდა არსაკიძე ერისთავის ქალს.

ხურსისეულ სასახლემდის რა მიაღწიეს, შესდგა, მიმოიხედა, ადამიანის სული არ ჭაჭანებდა ირგვლივ, მივიდა, ორივე ხელები დაუკოცნა.

ემუდარა: ნუ დამტოვებო მარტო.

ზეცის რეკვასავით ამო იყო მისი ხმა.

კარგი, ხვალ საღამოს გამოვივლიო, უტა, თუ წვიმა არ იქნა, გამოგივლიო უთუოდ. უკან ბრუნდებოდა არსაკიძე იმავე შუკებით, ძაღლი დამჯდარიყო მიწურის ბანზე, თუჯის ქანდაკს მიაგავდა მთვარის შუქზე განჩრდილული მგელ-ძაღლის ფიგურა, თავაშვერილი შუსცქეროდა მთვარეს, ყმუოდა მარტოსული საბრალოდ.

გააჟრჟოლა შემზარავი ყმუილის გამგონეს.

აუჩქარა ნაბიჯს. თავათაც აჰხედა მთვარეს, თავათაც ინატრა: შემეძლოსო მეც შევყმუვლო ცას. . . . . .

მთლად იისფერი ბლონდი ზედ შეჰფენოდა მნათობს, მოწითალო სხივების ძნა ქათქათებდა ზეცის თავანში. ასეთი მთვარე ჯერ არ ენახა მას.

მიფათურებდა არსაკიძე ბნელ ქუჩაბანდში, ქენჯნიდა თავისთავს, მამაკაცური გულარძნილობის გამო.

ბიზანტიონის სამეძავო სახლების სიბინძურე თვალწინ დაუდგა.

ბერძნის კახპები, თურქის დიაცები, ბიზანტიაში გაყიდული ლაზი გოგონები მოაგონდა.

ბალღობიდანვე გაკახპებული, უპატრონო დედაკაცები. გული აურიეს ამ სახეებმა. . .

და დიდი მანძილი იყო ბიზანტიონიდან ფხოვამდის, ვარდისახარი ასრულებდა ამ სიძვის დიაცების მრავალფეროვან კრიალოსანს.

ყველას მიჰქონდა მისგან ოქროს სოლიდები, ზოგსაც ნამუსრევი სიჭაბუკის ცეცხლისა, არც ერთი მათგანის ტკბილი მოგონება არ დარჩენია თუნდაც უმცირესიც.

ბოლოს შემოეყარა იგი, ვისაც პირველი სიყვარული უნდა რგებოდა,

უკანასკნელი შეაძლიეს უკვე განწირულს და განიკითხეს არსაკიძე თავის ყმაწვილურ შეცოდებათა გამო.

ასე გამოდის ცხოვრებაში, სიყრმიდანვე იხეტიალებს სიძვის დამრეცილ ბილიკებზე ვაჟი, მერმე უცილოდ მას უნდა წაეპოტინოს, ვინაც ისე სპეტაკია, როგორც თოვლი როშკას მწვერვალისა, ვინც ისე შეურყვნელია, როგორც ველის ყაყაჩოები.

ოჰ! რა სასტიკად განმკითხველია სიცოცხლისა და სიკვდილის უფალი!

კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ, რა ფრთხილად ივლიდა დედის კალთას მოწყვეტილი ყმაწვილი, მან რომ იცოდეს წინასწარ უმცირესი ვნების გამოც განიკითხავს ვიღაც იქნება მას.

წვიმის წვეთები გახურებულ შუბლზე დაეცა არსაკიძეს, მიფათურებდა ბნელში, ლოყებზე მოჟონავდა სისველე.

არა, ეს არ იყო განკითხულის ცრემლი. წვიმა თქორავდა მცირედი, უკვე აღარ სჩანდა მთვარე, მიწისფრად გამხდარ ღრუბლების ხნულებში მარტოხელა ვარსკვლავები ელავდნენ აქა-იქ.

მიდიოდა არსაკიძე უქუდოდ, ლოყებზე სილამე ჟონავდა, გული უტიროდა, თვალის უპეებს უსველებდა ცრემლი კი არა, წვიმა.

“მე ბედი მაქვს ასეთი, ჩემი სიყვარული განწირულს ეკუთვნოდა მუდამ. მე ის ფერები მიყვარდა, რომელთა შეზავება თვით მეწამლეებსა და მხატვრებსაც გადავიწყნიათ უკვე, ისეთი ჩუქურთმები, თვით უხუცეს კალატოზებს რომ ვეღარ გამოჰყავთ, ისეთი სამოსელი, რომლის ტარებაც უკვე არავის ეხალისება, და ახლა ბედმა იგი შემაყვარა, ვინც ბედისაგან განწირულია”.

ამას ფიქრობდა არსაკიძე გაოგნებული.

შესდგა.

მხარი აქცეოდა.

გამობრუნდა ქუჩაბანდის ჩიხიდან.

ახლა ის მშვენიერი, ის სანატრელი დაუდგა თვალწინ.

რა ვაჟკაცური შეუდრეკელობით შესცქერის იგი თავის უმწიკვლო ცხოვრების დასასრულს!

მშვიდი და სათნო, როგორც ქედანი ველისა.

“ერთადერთი გზა დამრჩენია, მონასტრისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ რომელი მონასტერი მიმიღებს, თუ გიორგი მეფე ამას წინ აღუდგება? არც მონასტერში დამაყენებენ განწირულს?”

ეს უთხრა შორენამ არსაკიძეს, როცა რატისეული ბაღი გადაიარეს წეღან.

ამას ამბობდა იგი, ვისაც ასეთი ფაქიზი, გული დაჰყოლია, ვისთვისაც ეგზომ უმწიკვლო სული შთაუბერავს განგებას.

ვისი ფრჩხილის ნამუსრევად არა ჰღირს არც ყველისციხის პატრონი, არც გიორგი მეფე და არც მისი ხუროთმოძღვარი. კიდევ არის ერთი გზა, ამის გამო შემდეგ გეტყვიო.

არსაკიძემ კარგად იცის, რომ ეგეც ისევე ბნელია, როგორც მონასტრისაკენ მიმავალიცა, კარებდახშულ მონასტრისკენ მიმავალი გზა.

რა თანადგომა გაუწიოს ამჟამად არსაკიძემ მას, ვინც უფრო ადრე უყვარდა, ვიდრე შეიცნობდა თუ რა იყო ქალი ან კაცი? ფხოვში თან გაჰყვეს და მეამბოხეთა გვერდით იბრძოლონ ორივემ?

მოაგონდა ის საშინელი ღამე კვეტარის ციხეში.

კატის კნუტივით ისროდნენ ციხის ჩარდახიდან ხევისთავებსა და ხევისბერებს

ზვიადი სპანი.

აქაც უეჭველი დაღუპვა მოელის შორენას.

ახლა სვეტიცხოველი?

ამ მცირე ხანში უნდა აკურთხონ ტაძარი, მეამბოხეებს მიემხოს პატიოსანი სიტყვით დილეგიდან გამოშვებული კაცი?

თავის ვაჟკაცურ სიტყვას შეარცხვენს, გიორგი მეფე გულმძვინვარეა, თუ ფარსმანიც შეუჩნდა, შესაძლოა დააქცევინოს კიდევაც ტაძარი.

შორენა ქალია, ყმაწვილი ქალი, მან ეს არ იცის: ომში წასვლაა სახალისო, მაგრამ ჯერ არც ერთი, თვით გამარჯვებული მეომარი ამავე ხალისით უკან არ მობრუნებულა.

წვიმამ მოუხშირა, მიდიოდა სავსებით გაზუზული, მაინც ეს ფიქრები უტრიალებდა თავში.

ბოლოს მოაღწია შინ.

საშინელი გრიგალი ამოვარდა. გაიელვებდა, მოიჭრებოდნენ ცისკიდურზე აფხორილი მთები, ისევ დაბნელდებოდა ირგვლივ, ხელი დარია ზღვაურმა ხილნარს, კვნესოდნენ ასწლიანი ცაცხვები, ქარი დაგელავდა ბაღში, აფორიაქებდა მახლობელ მუხნარს.

პირქვე დამხობილი იწვა არსაკიძე, წვიმა აღარ ხვდებოდა მის ღაწვებს, მაგრამ ცრემლი, ნამდვილი ცრემლი ალტობდა თვალებსა და ბალიშს.

შ ე გ ო ნ ე ბ ა :

მაინც სხვა რაღაა სიყვარული, თუ არა და ღმერთი? ღმერთი კი არა, სიკვდილი. რადგან მას დაუმკვიდრებია სიყვარული სამარადჟამოდ, ვისაც სიკვდილის საფასით შეუსყიდნია იგი...

*

აგრე უთქვამს ბრძენს: ავაზა ისეთი მხეცია, სიცოცხლეს იოლად რომ დასთმობს თურმე სიყვარულისთვის.

ბახუსს მან აწოვაო ძუძუ ძევესისა და ზემელეს ძეს, ამიტომაც უყვართო გამიჯნურებულთ ღვინო, ამადაც ეტანებიანო შეყვარებულნი სისხლსა და ღვინოს, ავაზასავით.

... და ეს ამბავი ავაზის დღეს მოხდა.

XLIII

კონსტანტინე არსაკიძეს მთელი ღამე არ სძინებია. ყურს უგდებდა წვიმის შხაპუნს, შიშობდა, ვაჲთუ ხვალაც არ გამოიდაროს, ვჲათუ არ მოვიდესო შორენა.

გაიხარა. როცა საწოლშივე შეაგება ალერსიანი სხივები მზემ.

მშენებლობას მიაშურა უზმოზე, მაგრამ ეს იყო, თვით საყვარელი ქმნილების დანახვამაც ვეღარ მოჰგვარა ხალისი.

უგუნებოდ აძლევდა პასუხს კალატოზების და მხატვრების შეკითხვებს. ყველა გაოცებული იყო იმ დღეს მისი დაუდევრობისა და გულგრილობის გამო.

წარამარა ეკითხებოდა ბოდოკია: ავათ ხომ არა ხარ, ოსტატო, ხომ არ იტკივებო თირკმელებს?

იჯდა ქვის სახელოსნოში ოფლში გაწურული თავხელისძე. თეძამის ქვაზე სჭრიდა ფრთოსანი ლომის ხატებას.

წვალობდა მეჩუქურთმე, უმარჯვოდ ხმარობდა სატეხს. უკანკალებდა ხელი.

ლომის ფიგურა კარგად იყო ამოჭრილი სიბრტყეზე, მაგრამ ოსტატის თვალმა ეს შეამჩნია, სწორედ ფრთები ვერ გამოჰყავდა "ქრისტიან ოსტატს".

მოუხეშავად გამოეკვეთა ფრთები, ქვაში არ იყო გამჟღავნებული ის სირბილე, გაშლილი ფრთისათვის ხელის შეუვლებლად რომ ეცემა ხოლმე კაცის თვალს.

გამოართვა თავხელისძეს საჭრეთელი, დაისვენეო, ძიაკაცო, მცირედი, ეს უთხრა, თავათ დაჯდა მის ადგილს ხუროთმოძღვარი მეფისა.

სწორედ ის მცირე ღარები უნდა ამოეჭრა ზედ, ზეაშვერილ მხარს ფრთოსნისას რომ აჩნია ხოლმე.

უცნაურად გაჯიუტდა ქვა, დაარტყამდა საჭრეთელის თავს კვერს, კვნესოდა ლოდის ნაჭერი, უკანასკნელი ცეცხლით იგერიებდა თავს ოსტატის შემოტევისაგან გაგულისებული ქვა, ხედავდა ოსტატი, ისეთივე უხეში ხაზები გამოჰყავდა მის ხელში საჭრეთელს, როგორიც "მეჯადაგე ოსტატებს" სჩვევოდა ეს.

მოხუცი მეჩუქურთმეც ამჩნევდა ქვის ურჩობას და ოსტატის ხელის მოცარვას.

ოფლი გადაასკდა არსაკიძეს შუბლზე, იგიც სახოცით იწმენდდა შუბლს, მარცხენათი კვერსა სცემდა უმოწყალოდ, მაგრამ საჭრეთელიც ეურჩებოდა მარჯვენას.

ბოდოკია მოვიდა ბედად, ჩუქურთმიანი ლოდი უნდა ჩავდგათო კარიბჭის თავზე ერთი, კალატოზები გთხოვენო თათბირს.

გაუხარდა არსაკიძეს იდუმალ, სირცხვილს რომ გადაარჩინა ხმობამ.

ლოდი აიტანეს მშვიდობით.

გაეცალა კალატოზებს ხუროთმოძღვარი მეფისა. ნატრობდა: ნეტავ არ მკითხავდნენ არაფერს, თუნდაც ერთ დღეს, ერთ დღეს მაინც ვეკუთვნოდეო ჩემს თავს.

დადიოდა დარცხვენილი ოსტატი, ტაძრის გარშემო დაყიალობდა უსაზმნოდ.

ისე ათვალიერებდა კარ-ფანჯრების სამკაულებს, ფასადების ბარელიეფს, ლავგარდანების ჩუქურთმებს, თითქოს იგინი სხვის მიერ ყოფილიყვნენ შესრულებულნი.

როგორი უდრეკი ძალმოსილება ჰქონია მათ ოსტატს, რა ძალას დაუმორჩილებია ლოდების უჯიათობა ასე?!

მარმარილოსთვის სიტფო უსესხებია სულს, გრანიტისათვის ჰარილესებრი სირბილე.

ჩუქურთმებსა და როზეტებს ისეთი სილბო გადაჰკრავდა ზედ, როგორიც სალმასურის ჯავშანს გადასდის ხოლმე, ვერცხლის ჯავშანს სამფარეშოსანს, ხანაც აბრეშუმის ქსოვილებს რბილი და მსხვილი ზეზისაგან შემტკიცულთ.

ჭავლისებრ მღელვარება ეტყობოდა ზოგთა ზედაპირს, ისეთი ჰარმონიული, კლაკნია ხაზები, როგორიც ვაზის ლერწმებს სჩვევიათ ხოლმე, ხვიარების კლერტოებს, ნიამორებისა და მშვლების გადრეკილ ზურგებს, ან არადა ზღვაურის სუნთქვით შეტოკებულ ყანებს, როცა მოდგება საღამოს ბორიო, გადაიჯირითებს ოქროს თაველებზე, დაუთოვებს თავთუხის ზღვას.

მარყუჟიანი დეტალები, მცენარეულის სახეები ისე ფაქიზად იყვნენ შესრულებულნი, როგორც ახლადმოსული პწკალები ვაზისა, ან ის უმცირესი, ნატიფი ხაზები, ვაზის ფოთლებს წაღმართ მხარეზე რომ ამჩნევია (ან არადა თელის მორს, სწორად გადახერხილსა და ცვილით გასიპულს).

ძლიერად გავლებულ, მომრგვალებულ ნახაზებს მოჩვენებითი დრეკადობა ირმის რქებისა ზედ ემჩნევოდათ.

თვალისმომჭრელი მიმიკრიით ხიბლავდნენ მნახველს იდეალურად სწორ

კვადრატების კიდეებზე მიყოლებული წრეები, ყოველი მათგანი თანაბარის სისწორით იყო შესრულებული, სხვადასხვაგვარი ჩუქურთმებით შემკულნი.

ერთად შეავლებდი თვალს?

ერთნაირი გეგონებოდათ, ხოლო ცალ-ცალკე - სხვადასხვაგვარი როზეტებით ნაქარგი!

და მთელი მრავალკიდოვანი ბუნება სიბრტყით განფენილი სამყაროისა, ისე ამოდ, ისე ჰარმონიულად, ისე რბილად გამოთქმულიყო ქვაზე, როგორც თავათ ღმერთს არ მოჰგონებია მისი მოცემა.

ასე, ცვილივით მორჩილი, ვაზის ლერწივით დრეკადი, ჯეჯილის ზედაპირივით რბილი იყვნენ ეს ლოდები ოსტატის ხელში ოდესღაც და ახლა საჭრეთელის მონატრული, უაღრესად ნებისდამყოლი თეძამის ქვაც წინ აღუდგა ოსტატს, ცეცხლს აფრქვევდა პირიდან და ეურჩებოდა მის მარჯვენას, ვისაც ეროსი ჩასვლოდა გვამში.

. . . ნურავის გაუკვირდება ეს, რადგან ეროსი ზარმაცების ღვთაებაა, იგი ნადიმებს უფრო მეტად ეტანება, ვიდრე ქვის სახელოსნოებს.

სიმთვრალეში მიუდგა მამამისი თავის ცოლს, ძევესის ბაღში ნაქურდალ ნექტარით გალეშილი.

ამიტომაც ხხვის ვენახებსა და სხვის საცოლეებს უთვალთვალებს მუდამ ეროსი, ნაქურდალი ღვინისა და სიყვარულისაგან გალოთებული.

ასე უკითხავად შეიპარება იგი თავათ ოსტატების გულშიაც, საყვარლისათვის ოცნებას, ღვინის სმასა და მუსიკობას მოანატრებს გამიჯნურებულს.

*

ბოდოკიას გადააპირა ორიოდე დავალება არსაკიძემ, ჩვეულებრივზე ადრე წავიდა მშენებლობიდან, გამოიპარა, როგორც ზარმაცი მონა.

მთავართა სანათლოის გარეუბანში, ღვინოს სვამდნენ ერთ ვენახში მეზვრენი, შეიპატიჟეს, ყველი, მწვანილი, ახალი კიტრები მიართვეს, ხელადით ასვეს წითელი ღვინო.

მეზვრენი ისევ საქმეს მიუბრუნდნენ, ხოლო შეზარხოშებული არსაკიძე მცხეთიდან გავიდა, საფურცლისკენ მიჰყვა ტყეებსა და ველებს.

მიიმღეროდა მთვრალი, უცნაურ შაირებს ამბობდა მარტოხელი მგზავრი, მღეროდა, ღაპაღუპით ჩამოდიოდა ცრემლები.

ქარი სცემდა სახეში, მიდიოდა, მიიმღეროდა, უკითხავად მოსული ცრემლი ღაწვისთავზე ჩამოდიოდა, კარგად არ იცოდა მთვრალმა, ვინ მოჰგვარა ეს ცრემლი?

ქარმა თუ ქალმა?..

*

შ ე გ ო ნ ე ბ ა :

ასეთი უგულო ვინმეა ეროსი, იგი მამაც მეფეებს დაალაჩრებს, თრიაქის სმასა და უსაზმნო ლოთობას შეაჩვევს, ხოლო დიდოსტატებს, რომელნიც მტკიცე ხელით აქანდაკებდნენ თეძამის ქვაზე როზეტებსა და ყურძნის მტევნებს, მეჯადგე ოსტატებს დაამსგავსებს და გაახელებს. ბოლოს მინდვრებზე სახეტიალოდ წარგზავნის რათა საყვარლისათვის აკრეფინოს წარმავალი ყაყაჩოები ველისა.

საღამომდის იხეტიალა არსაკიძემ ჭალებში, მზვარეში დამწვარი, ქარცემული მიბრუნდა მწუხრისას მცხეთაში. უამრავი ყაყაჩოები და თავთუხის თაველები მოიტანა თან.

ისევ დაიწყო წვიმა.

ჯერ ოდნავ, ოდნავ ჟინჟღლავდა, ბოლოს დაიქუხა ცამ, ელვის ლეკურები გადაამსხვრია მწვერვალებს თავზე. სეტყვამ უწყალოდ შემუსრა ყვავილები და ხეხილი.

მოუსვენრად დაწრიალებდა არსაკიძე, დაფეთებული უკან დასდევდა ნონაი, უკვირდა, როგორა ძლებსო უსმელ-უჭმელი ბატონი?

როცა დარბაზში ჭაღების ანთება დაიწყო მხევალმა, არსაკიძემ დაითხოვა, წინა ღამის უძინარი ვარ, ნუ აანთებო ჭაღებს. თავის სამყოფლოში წარგზავნა მხევალი, თავათ პირქვე დაემხო ტახტზე, ყურს უგდებდა წვიმის შხაპუნს. ამას ფიქრობდა ამ წვიმაში თუ მოვაო შორენა?

მოვიდოდა? რა ეთქვა მას თავათ?

ერთ სასწორზე ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდეს.

ეს საღამო გამოარკვევდა რომელი მათგანი გადასწონიდა:

სვეტიცხოველი თუ შორენა?

ორივენი ერთსა და იმავეს მოითხივდნენ მისგან: სიცოცხლეს.

განა მარტო სიცოცხლეს მოითხოვდა ქალი? ვაჟკაცური სიტყვის გატეხას, პატიოსნების და ოსტატობის ნაყოფს უძვირფასესს.

მხოლოდ ახლა ეკითხებოდა იდუმალ თავისთავს:

ხომ არ ეწადა, წვიმას არ გადაეღო, შორენა არ მოსულიყო, არ მოსულიყო არც დღეს, არც ხვალ და არც არასოდეს, არც არაფერი ეთქვა მისთვის იმ "მეორე გზის გამო?"

ხედავდა არსაკიძე, ეს გზა ისევე უიმედო იყო, როგორც ყოველი, შორენას წინაშე მდებარე გზა.

ვთქვათ, ნებას დაჰყოლოდა არსაკიძე, არც ისე იოლი იქნებოდა მცხეთიდან გაპარვა.

ფხოვში დაწყებული მოძრაობა ზვიადის მსტოვარებს არ გამოეპარებოდათ.

მეფე გიორგის უთუოდ მიჩენილი ეყოლებოდა ერისთავის ქალისათვის მზირები.

დღისით ვინ გაუშვებდა ორ ცხენოსანს მცხეთიდან? მწუხრი დადგებოდა თუ არა, იკეტებოდა ციხეების კარები.

მოაგონდა მცხეთაში განაგონი: გადაცმული მამამზე ერისთავის შეპყრობის ამბავი.

იგიც იცოდა არსაკიძემ, ფხოველებს შორისაც რომ არ იყო თანხმობა: მუროჩი ქალუნდაური და უშიშა ღუდუშაური ებრძოდნენ ურთიერთს იდუმალ.

თალაგვა კოლონკელიძეს დროებით უჭერდნენ ხევისბერები მხარს.

დაამარცხებდნენ ზვიადის ლაშქარს? მეორე დღესვე თავს წასჭრიდნენ თვალდამწვარ ერისთავს, რადგან გიორგი მეფისადმი სიძულვილი აერთებდა ხევისბერებსა და ხევისთავებს მასთან.

როგორც გამარჯვების, ისე დამარცხების შემდეგ უთუოდ აირეოდა მონასტერი, ორივე შემთხვევაში უცილო დაღუპვა მოელოდა შორენას.

ძაღლის ყეფა შემოესმა ამ ფიქრში გართულს.

წამოვარდა. კიბე ჩაირბინა.

სანადირო ტყავკაბა ეცვა ერისთავის ასულს, კვერნისა. ტარსიკონის წაღებიც დასველებოდა წვიმაში, სავსებით გაფითრებული შემოვიდა დარბაზში.

გახადა ტყავკაბა, ქუდი მოხადა.

ხატაური შავი აბრეშუმის სამოსზე გადმოიღვარა გამოხურვებული ოქროსფერი თმა.

მოწყენილი სჩანდა, სავსებით უმწიკვლო ბუნებას ამხელდა მისი უმზაკვრო და ნათელი თვალები.

გონების წარმღები იყო მისი პირი, ბროწეულის ყვავილის ფერი, ოდნავ, ოდნავ გაბუტული ზემო ტუჩი საყვარლად აბურცვოდა გულნაწყენ ბავშვის ბაგესავით.

წვიმის წვეთები მიშხეფებოდა ღაწვებზე, მაგრამ ამ მშვენიერი სახის მნახველი ან როგორ იფიქრებდა ოდესმე, ცრემლებს თუ დაესეტყვა თვალმშვენიერი, ან ეს ლოყები, ძველთაძველი სპილოსძვლის ფერისანი?

და რა საშინელი იკო არსაკიძისათვის მხოლოდ წარმოდგენა იმისა, რომ ეს სანატრელი, ეგ ძვირფასი არსება უღვთოდ გაეწირა ბედს.

ეგეც იყო, ეს განწირულება მომეტებულის სხივით მოსავდა არსაკიძის თვალში მას, რადგან კონსტანტინეს ყოველივე განწირული უყვარდა ბუნებით.

არსაკიძე მიეახლა, აკოცა შუბლზე, მეორე მხარზე შემოხვია მარჯვენა, მაგრად მიიკრა და აკოცა ყვრიმალში. ჰარილესავით რბილი იყო მისი სხეული, მისი სუნთქვა ამო, როგორც ზაფხულის ჰაერი ვენახებში, როცა ფშატი ჰყვავის ხოლმე ვაზებსა და ყაყაჩოებს შორის.

“რა ძლიერი ყოფილხარ, უტა!”

ეუბნება შორენა.

“ძლიერი მანამდის ვიყავ, სანამდის შენი სიყვარული დამათრობდა, საყვარელო”.

ეს უნდოდა ეთქვა ვაჟს, მაგრამ არა უთხრა რა, რადგან იცოდა, რომ უძლურება არ უყვართ დიაცებს.

“თუმცა რა, შენ ხომ მოქანდაკე ხარ, უტა, სხვას ვის უნდა ჰქონდეს უფრო ძლიერი მკლავი, ვიდრე მოქანდაკეს, ქვასთან მებრძოლს!”

“კარგი იქნება, ჩემო, უძლიერესი მკლავი მართლაც ხელოვანისათვის მიეცა განგებას, მაგრამ ჩვენზე უფრო ძლიერი მკლავები,საუბედუროდ, სხვებს ასხია მხრებზე”.

მოუწონა ქალს ხატაური ფარჩის სამოსი შავი.

“ვინძლო ხარაჩოდან ჩამოვვარდე, ჩემო, ან მორიელებმა დამგესლონ ამ უბედურ სახლში, მაშინ ამ შავი კაბით მოდი, ეს დალალები დაიშალე თავთუხის თავთავების ფერისა და ასე მიტირე, იცოდე”.

“რა მორიელები? რას ამბობ, უტა?”

“არაფერია, ეს ვიხუმრე მხოლოდ - რატისეულ სასახლეში მორიელებს რა უნდა?!”

ეს უთხრა და დაამშვიდა ქალი.

მერმე ხელახლა შემოხვია მხარზე მარჯვენა, ახლა უფრო სათუთად, ტახტთან მიიყვანა და დასვა ზედ, აიღო ყაყაჩოებისა და თავთუხის თავთავების კონა, ფეხქვეშ დაუყარა სანატრელს და უამბო საზმარი.

იგიც უთხრა: როგორც კი სვეტიცხოველს მოვათავებ, ის სიზმარი უნდა დავხატოო უცილოდ.

“მე ვეღარ ვნახავ, სამწუხაროდ, იმ სურათს! “

მშვიდად, ნაღვლიანად ამბობს შორენა.

ახლა ხარაჩოების გამო აწრიალდა ქალი:

“რას დაბობღავ ამ ტიალ ხარაჩოებზე, უტა, ერთხელ ძლივს გადარჩი სიკვდილს, ხომ დაასრულე ტაძარი, აკი?”

მცირე ხნის შემდეგ დასძინა:

“მეფე გიორგი და მელქისედეკ კათალიკოსი ისეთი გულბოროტი ადამიანებია, სულ ერთია, მაინც არ დაგიფასებენ ღვაწლს”.

“განა მეფისა და კათალიკოსის წყალობის მოლოდინში შევალიე სვეტიცხოველს ჯანი?

მე ჩემი ხელოვნება სიცოცხლეზე მეტად შემყვარებია, ჩემო, ამიტომაც განწირული მაქვს თავი”.

“მაშ შენ სიცოცხლე ქვაზე ნაკლებად გყვარებია, უტა?”

“განა ქვაა სვეტიცხოველი, ჩემო? ქვაყოფილია იგი ამჟამად. უფრო უკვდავი, ვიდრე ასიათასი მოკვდავის სული”.

“მაინც სვეტიცხოველი გირჩევნია შენ ყველაფერს, უტა”.

არსაკიძემ იგრძნო, იჭვნეულობდა ამ ტაძრისადმი ქალი.

ახლა ორივე მკლავი შემოხვია ტანზე მაგრად, მაგრად მიიკრა მკერდზე, აკოცა კისერზე სწორედ იქ, სადაც მანიაკის მარგალიტები ჰკოცნიდნენ დღენიადაგ შორენას.

ჩურჩულით ეკითხება:

თუ გიყვარვარო, ჩემო?

კოლონკელიძის ქალმა თავისი ზღვისფერი თვალები შეავლო სიყრმის მეგობარს, ვაჟი შეეცადა ამ კითხვის პასუხი ამოეკითხა მათში, მაგრამ ისე დაბინდული ეჩვენა ეს თვალები როგორც ნაავდრალი ზღვა.

თავი ჩაჰქინდრა არსაკიძემ. ქალი უსიტყვოდ მიუხვდა მოწყენის შინაარსს, თავზე ხელი გადაუსვა ვაჟს.

შეკრთა არსაკიძე, მეხის ნაპერწკალივით დაუარა სხეულში ამ ხელისაგან მოგვრილმა ჟრჟოლამ. ისევ თვალებში ჩაჰხედა შორენას და ეუბნება:

“მე ღირსი არა ვარ ვისმეს რომ ვუყვარდე, ჩემო, შენ მართალი ხარ, სიძვის დიაცებს დავურიგე შენდამი სიყვარული, გაძარცვული დაგიბრუნდი სხვათა ქვეყნიდან, სამშობლოშიაც მფლანგველი დავრჩი, უსასტიკესად დამსაჯა ამიტომაც ბედმა.

მფლანგველებს ასეთი ბედი ეწვევა მუდამ, სხვის საუნჯეთა მპარავნი საკუთარსაც ვერ შეირჩენენ.

განგებას ასე დაუთქვამს ჩემთვის, თავათ მიყვარდეს, მაგრამ სამაგიეროს არ ვეღირსო არასოდეს.

შენ რომ კარგად მყავდე, შენი ცხოვრება დაწყობილი მეგულებოდეს, ალბათ მეყოფოდა სულგრძელობა და ამასაც შევჯერდებოდი, მაგრამ შენ საფრთხეში გიდგას ფეხი და ამიტომაც მომეძალა შენდამი სიყვარული, ჩემო”.

ქალი აილეწა.

უჩემოდ ვინ გაგაცნოო ჩემი საიდუმლო, უტა? ვარდინახსრი რომ არ ყოფილაო შენთან?

ვაჟმა დაამშვიდა შეშფოთებული, თვალით არ მინახავსო, რა ხანია, ვარდისახარი.

“ხომ გახსოვს, თქვენსას რომ ვიყავი იმ საღამოს, დასძინებოდა ხათუთაის, მხევალს, ამიტომაც, უნებლიედ ვისმინე, რაც ხევისბერებს შენ უთხარი, ჩემო”.

შორენამ თავი ჩაჰქინდრა, მერმე თვალი გაუმართა კონსტანტინეს:

“მე ამისთვის არ მოვსულვარ, უტა არც მსხვერპლს მოვითხოვ რაიმეს შენგან. უთქმელადაც ვიცი. შენ ვერც შესძლებ ამას. მეც უანგარო ვარ ჩემს გრძნობაში მუდამ, ჯერ არავინ მყვარებია ამქვეყნად იმისთვის, რომ სამაგიერო მოეზღო ვისმეს.

ახდილად გითხრა? ეგეც კარგად მესმის - შენსა და ჩემს შორის რა მაღალი კედელი აღუმართავს ბედს. შენი სვეტიცხოველის სიმაღლე ქვის კედელი, უტა”.

“მე ასე მგონია, ჩემო, შენმა სიცოცხლემ რომ ეს მოითხოვოს, მე საკუთარს იოლად დავთმობ, იცოდე”.

ქალმა შეხედა, არსაკიძემ უსიტყვოდ შეატყო: დიაცმა ირწმუნა ეს. “შენმა ბედნიერებამ თუ მოითხოვა, სვეტიცხოველსაც გავსწირავდი, ალბათ”. ეს “ალბათ” გულზე ეცა ქალს, ხოლო ამ სიტყვების მთქმელს გულის კუნჭულში, სადღაც გაუელვა აზრმა: ეს ვერ არისო სავსებით სწორი.

შორენას თვალებშიც იგივე ამოიკითხა ვაჟმა.

“... მაგრამ უმთავრესი მაინც ეგაა, - სხაპა სახუპით წამოაწია სიტყვა უკვე თქმულს. - ადამიანებს ასე ჰგონიათ, როცა ერთ უსამართლობას მეორეთი ცვლიან, მდგომარეობის შეცვლა მოუტანდეს თითქოს მათ შვებას.

მე არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ, არც მელქისედეკ კათალიკოსის მგალობელი. მაგრამ არა მგონია, შვიდმა ხევისბერმა უფრო მართებული კანონები შეჰქმნან ამჟამად, ვიდრე თუნდაც ერთმა გულბოროტმა მეფემ.

ჩემდა თავათ მე ვემორჩილები იმ წყობილებას, რომელიც წილად ერგო ჩემს ხალხს და არც ერთი ერი იმის უკეთესის ღირსი არაა, რაც მას დაუმყარებია თავათ. - ამიტომაც ხვალ რომ ბერძნები ან სარკინოზები შემოეწყონ საქართველოს ციხეებს, მოქანდაკის საჭრეთელს განზე გადავდებ და ხმლით შევებრძოლები მტერს.

ყოველი კაცისათვის სანატრელი წყობილება ჯერაც არსად დამყარებულა, ჩემო.

თქვენს ხევისბერებს ჯერაც ცხვრის სუნი უდით და შენ ხომ იცი, ფარას თუ ყოჩი არ წარუძღვანე, კბოდეზე გადასცვივა სულელი ცხვარი.

შენი სიტყვები მკაფიოდ მესმოდა ღია კარიდან. ჩემისთანანი თუნდაც ათასიც წამოგეხმარონ და ვაჯობოთ კიდევაც ზვიადის ლაშქარს, მეორე დღესვე იგივე დატრიალდება ფხოვში, რაც კვეტარის ციხეში მოხდა იმ ღამეს.

ერისთავი უსინათლოა, შენ ქალი ხარ, ხევისბერები და ხევისთავები დაერევიან ურთიერთს, ამასობაში გზებიც გაიხსნება, ზვიადის ლაშქარი მოვა ხელახლა, დიდსა და მცირეს გაჟუჟავენ, იცოდე”.

ორივე იდაყვი მუხლზე დაებჯინა, ხელისგულები სახეზე შემოედგა, ბავშვივით უსმენდა არსაკიძეს დიაცი. მერმე წამოდგა, აუღელვებლად, მშვიდად ეუბნება ვაჟს:

“შენ ხომ იცი, უტა, ხანდახან გონებაა დახშული, ხანაც გულისკარია ღია. შენი ნათქვამი სწორი იყოს ეგების, მაგრამ მათთვის ჩემი გული დახურულია.

მე სიტყვა მივეცი ხევისბერებს უკვე, წყაროს თვალის წმ. გიორგის დღეობაზე ფხოვში ვიქნები და იქ დაველოდები-მეთქი ზვიადის ლაშქარსა და სიკვდილს.

მე არ მოვსულვარ შენთან, რათა თანადგომა რაიმე გთხოვო, დიდი ხანია, რაც ჩვენი გზები გაჰყარა ცხოვრებამ. არც მე მაქვს უფლება შენგან მოვითხოვო თავდადება, რადგან არც მე გამიწირავს შენთვის ყველაფერი.

მე რომ ჭიაბერის საცოლე არ გავმხდარიყავ, გონს მოსვლა დამეცლია შენთვის, მეცადა, ვიდრე შემთხვევის ძალით, შენც გაიგებდი, რომ არა ხარ ჩემი ძუძუმტე, მაშინ უფლება მექნებოდა შეთვის მეთქვა: ადექი, გავიპაროთ მცხეთიდან და ჩავუდგეთ-მეთქი სათავეში ფხოველთა ამბოხს.

მეც იგივე მომიზღო განგებამ, არც მე შემძლებია ყოველივე გამეწირა

სიყვარულისათვის, და ამიტომაც მეც შენსავით დავისაჯე, უტა:

ეგეც იცოდე, არავინ ისე არ ისჯება ამ ქვეყანაზე, როგორც იგი, რომელიც ყოველივეს არ შესწირავს თავის სიყვარულს.

ასეთნი მუდამ მარტოკანი დარჩებიან ამ ქვეყანაზედ და არავინ ისე საცოდავი არაა, როგორც მარტოსული, უტა".

გააოცა ამ სიტყვებმა არსაკიძე.

წამოდგა, ისევ შეჰხედა შორენას.ქალი კი არა, ღმერთი მეტყველებდა მის მშვენიერ, ბროწეულის ყვავილისფერ, ბავშვურ ტუჩებიდან...

მერმე მოეხვიენ ურთიერთს, დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს, კოცნიდნენ კვეტარში გატარებული სიყმაწვილის მოსაგონებლად, გაცდენილი ბედნიერების, დაკარგული დღეების, უსიყვარულოდ გატარებული წლების, სხვისთვის გაფლანგული ტანჯვის სამაგიეროდ, მერმე ისევ შემოესმათ საყვირის ხმები მუხნარისას ციხიდან. და შორენა ეუბნება:

"ახლა უკვე გვიანაა, უტა".

ისევ გადაიარეს ბაღი, განცალკევებულად მიჰყვნენ ბნელ შუკებს, ხურსისეული სასახლის ჭიშკართან რა მიაღწიეს, შორენამ ეს უთხრა კონსტანტინეს:

"წასვლის წინა დღეს კიდევ გნახავ, უტა".

როცა შინმობრუნებულმა ჭაღები ჩააქრო არსაკიძემ, გაახსენდა მღამიობების გამოდენა რომ დაავიწყდა.

მოუსვენრად ტრიალებდა იგი საწოლში, წრიპინებდნენ მღამიობები, კუთხეებში ფაჩუნობდა რაღაც.

ძილი არ ეკარებოდა ვაჟს, გვერდს იცვლიდა, ხანაც ბალიშს, პირქვედამხობილი იწვა ბნელში და ნატრობდა:

"სად დაიკარგნენ ის წყეულები, გამოძვრნენ ბნელი ნაპრალებიდან და დამგესლონ ცეცხლისფერმა მორიელებმა ბარემ".

XLV

ნასმურევზე ირმის ბღავილმა გამოაღვიძა მეფე. მესაწოლემ იდროვა, ახალი ამბავი ამცნო.

ეზოსმოძღვარი ამროსი კვდებაო.

წარბები მოღუშა უჟმურად. წაიბუტბუტა მხოლოდ:

"აღხოცენინ უფალმან ბაგენი მზაკვარნი და ენა დიდად მეტყველი!"

ეს სთქვა, კედლისკენ პირი იბრუნა და განაგრძო თვლემა.

გირშელს ფილადელფოს ბერი მკურნალობდა. ყოველ დილით ტლეებს ადებდა წყლულზე, სწორედ მისგან გაიგო: ჟამმა იმსხვერპლაო ეზოსმოძღვარი.

შეშფოთდა ყველისციხის პატრონი ფრიად.

მას ეგვიპტეში ტყვედყოფნის დროს ორგზის ჰქონდა ჟამიანობა განცდილი:

პირველად ქარავნებმა გაავრცელეს იგი ქაიროში, ხოლო მეორე ჯერ, ჰინდუსტანის გემებიდან გადმოცვენილმა ვირთხებმა მოსდვეს ჭირი ხალიფატის ქალაქებს.

მათვე შეიტანეს ჟამი იმ ციხეში, სადაც სამი ათასი ბერძენი და ხუთასი იბერიელი ტყვედ ჰყავდა ხალიფას.

ამ ციხეში სახვეტად იყო რწყილი. სიცოცხლე ჰქონდათ მობეზრებული ტყვეებს. რწყილებმა აითვისეს ჟამი. ერთ თვეში სავსებით მოისრნენ ბერძნები, ხოლო

იბერიელთაგან მხოლოდ ცხრა კაცი გადაურჩა სიკვდილს.

მერმე ის იყო ჯარები და მალემსრბოლები შეენაცვლნენ რწყილებსა და ვირთხებს, ანტიოქიას, სირიასა და ირანში გადატყორცნეს ჟამი.

ამჯერად ასე ვარაუდობდა გირშელი: ალბათ ტფილისის საამიროში წარმოგზავნილი არაბული ჯარები შემოიტანდნენო საქართველოში ამ სენს.

თუმცა ავაზის მიერ დაკბილული მხარი ჯერაც არა ჰქონდა მოშუშებული, მაინც უთენია წამოვარდა ერისთავი, გულმოდგინედ დაჰკითხავდა ბერს:

“რწყილს ხომ არ უკბენია ამროსისათვის, მამაო ფილადელფოს?”

“რა მოგახსენო, არ ვიცი, ერისთავო ბატონო”.

“გულისრევა ხომ არა ჰქონია, თუ იცი?”

“არც ეგ ვიცი, ერისთავთ-ერისთავო, ბატონო”.

“სად გაუჩნდა სვირინგები თავდაპირველად?”

“იღლიის ქვეშ, თუ არ ვცდები, ბატონო”.

შეშფოთდა ამის გამგონე გირშელი:

“ჟამი ყოფილა უეჭველად, ფილადელფოს მამაო, რამოდენა იყო პირველი სვირინგი?”

“დაფნის ფოთლისოდენა, ბატონო”.

“შენ ხომ არ მოგინახულებია ავადმყოფობის დროს ხუცესი?”

“ერთხელ ვინახულე, ერისთავო ბატონო”.

ეს გაიგონა თუ არა გირშელმა, დაცოფილივით უკუიქცა, ეუბნება ბერს:

“აწი არ შემოხვიდე, მამაო ფილადელფოს, ჩემთან”.

კარებამდის მიღწეულს მიაძახა გირშელმა: მერემეთუხუცესი აქ მოვიდესო ახლავე.

მერემეთუხუცესმა ვეღარ იცნო ყველისციხის პატრონი.

საერთოდ დინჯი და უშიშარი რაინდი უცნაურად აეცუნდრუკებინა შიშს.

თავჩაქინდრული დაწრიალებდა დარბაზში. დაბაჯბაჯებდა ჯაჭვით დაბმული დათვივით. უცნაურად ბუყბუყებდა შეშფოთებული.

ჯერ ეს უამბო მერემეთუხუცესს, თუ რა საშინელი სენია ჟამი, ორგზის ბეწვზე ეკიდა ეგვიპტეში ჩემი სიცოცხლე, ლამის იყო არ მიმსხვერპლა წყეულმა, სარკინოზებს რომ არ გამოვქცეოდი, უთუოდ მომკლავდაო მეც.

ბოლოს ჭირის ამბავი შესწყვიტა ანაზდად, ასე უბრძანა: დაუყოვნებლივ მორეკეთო იალაღიდან ცხენები. ახლავე გააღვიძეთ ჩემი აზნაურები, ამ წუთში მომგვარეთო ჩემი ცხენები.

გიორგი სწორედ იმ დილით უნდა წასულიყო უფლისციხეს დედოფლის ჩამოსაყვანად მცხეთაში, მაგრამ სამი დღით გადასდო ეს საქმე, რადგან იცოდა: მცხეთელებს შეაშფოთებდა მისი წასელა უთუოდ.

უწინარეს ყოვლისა შორენას მისწვდა მისი ფიქრი ამ წუთში.

განაგონიდან იცოდა მეფემ თავდაპირველად ღარიბებს დაერეოდა ჟამი, ხურსისეული სასახლე ღარიბების უბანში იმყოფებოდა სწორედ.

ერთი გაიფიქრა: სასახლეში გადმოეყვანა შორენა და გურანდუხტი დროებით, მაგრამ დედოფალი და კათალიკოსი გაახსენდა მყისვე, შეუძლებლად მიიჩნია ეს.

მესაწოლე დატუქსა სასტიკად: რად არ მამცნე, ჟამმა თუ მოჰკლაო ეზოსმოძღვარი?

შეშფოთებული მოსახლეობა ფეხზე დააყენა ჟამმა, სახელოსნოებიდან, მონასტრებიდან და ციხეებიდან გამოცვივდა ხალხი. მონები, ბერები და მონასპები მოსდებოდნენ ქუჩებსა და მოედნებს.

დროული კაცების რჩევით დიდი და მცირე ნადირობდა ვირთხებზე. სარდაფებში, ხვიმრებში ასხამდნენ მდუღარეს. რწყილების წამალი არავინ იცოდა, ამიტომაც ვერაფერი დააკლეს ამ მწერებს.

სადილადაც არ მოიცადა გირშელმა.

ნუ მიხვალო, ემუდარებოდა გიორგი: ჯერ მონებსა და ღატაკებს დაერევა სახადი, სასახლეში რა უნდაო ჟამს?

გიორგისაც ეს აფიქრებდა სწორეთ: მთავართა სანათლიოს რომ მოელოდა უმეტესი საფრთხე, სწორედ ამ უბანში შეჰყროდა ვიღაც მეხამლეს იგი. ჟამიანის დედა გამოვარდნილიყო ქუჩაში, ეზოსმოძღვარი დაულანდავს, გზადგავლილი შემთხვევით.

შევედრებია: აზიარეო ჩემი მომაკვდავი შვილი.

შებრალებია ეზოსმოძღვარს მოხუცი.

იმ დღესვე მომკვდარა მეხამლე, მეორე დღეს გააცია თურმე ამროსის. ხურვება ჰგონებია მკურნალს.

მასპინძლის მოვალეობა მოითხოვდა შეჰპატიჟებოდა გიორგი გირშელს. გულში უხაროდა კიდევაც მისი წასვლა ამჯერად. განა თუ მარტოოდენ წასვლა?

ყმაწვილივით ხარობდა მეფე, ეს მეორეჯერ რომ აჯობა გამბედაობით თავის დეიდაშვილს იმ დღეს.

თუ აღრენილ ავაზას ვერ მიეახლა ხმლის გაუშიშვლებლად რაინდი, გასაგები იყო ეს, მაგრამ მთავართა სანათლიოს რწყილებს რომ გაექცა მრავალნაცადი გმირი, ეს ღიმილს ჰგვრიდა მეფეს.

ახელებდა ამის გამო ყველისციხის პატრონს გიორგი.

უკვე ხუმრობის გუნებაზე აღარ იყო გირშელი. აღარც საცოლე გახსენებია, დარწმუნებული იყო, რწყილები იქნება იმ უბანში უთუოდ. მხოლოდ მეფეს გამოეთხოვა ერისთავი, ამალიანად წავიდა მცხეთიდან.

რა თქმა უნდა, გულისგარეთ მსჯელობდა მეფე გიორგი ასე, ვაჟკაცობის საქმეში ჩახედული იყო თავათაც ფრიად.

კარგად იცოდა, რომ ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არც თუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას.

თავათ მასაც მრავალგზის გაუოცებია ბრძოლის ველებზე მტრებიც, მაგრამ თუ გირშელს ავაზებისა და რწყილების ეშინოდა, გიორგი ცახცახებდა გველებისა და ცოფიანი პირუტყვის წინაშე.

გველებისაგან დაშინებულს იფნისა და ხვიარის ფესვებიც აფრთხობდა ხოლმე ნადირობის დროს, მუდამ გველები ესიზმრებოდა, იტანჯებოდა ამის გამო ძილშიაც. ცოფიანი ძაღლებისა უფრო მეტად ეშინოდა გიორგის, ვიდრე ბიზანტიურ ლოდსატყორცნებისა ომში.

უბრალო მყეფარსაც რომ შეეტია მისთვის, მყისეე ხმლის ვადაზე იტაცებღა ხელს. განა თუ მარტო ძაღლებისა? ცოფიანი პირუტყვისა საერთოდ.

ფარსმან სპარსი ათასგზის ჰყავდა დაკითხული: კამეჩი თუ გაცოფდებაო, ან ცხენი, ან ხარი, ან მგელი?

ერთხელ ასეთი ხუმრობაც შეაპარა ფარსმანმა მეფეს:

ყველაზე მეტად საშიშარი ცოფიანი ძროხააო ამქვეყნად.

მიუხვდა გიორგი მყისვე: “თევზისფერ ძროხას” რომ გულისხმობდა ფარსმანი, ცოქალას, ხარჭაყოფილს მეფისას, მაგრამ ეს თავხედობაც აპატია მოხუცს.

როცა სპასალარი შემოვიდა დილა ადრიან, ღიმილით ეუბნება გიორგი:

მთავართა სანათლიოს რწყილებს გაექცაო ყველისციხის პატრონი.

“შენ რა გგონია, ზვიად, სარკინოზებს როდი გაქცევია გირშელი, არამედ ეგვიპტურ რწყილებს”.

ზვიადს არ უყვარდა გირშელი, იქედნურად გაიცინა თავათაც. ესა სთქვა მხოლოდ:

“მე მუდამ გაზვიადებულად მიმაჩნდა მისი გმირობის ამბები, მეფევ ბატონო, წინათაც”.

საგანგებო ღონასძიებანი დაადგინეს იმავე დილით მეფემ, მიტროპოლიტმა, სპასალარმა და განმგეთხუცესმა.

აქიმები და მკურნალები ახმობინეს, მალემსრბოლი უფლისციხეს აფრინეს. დედოფალს ამცნეს, ჯერჯერობით არ ჩამობრძანდეთო მცხეთაში.

თურმანიძე დაიბარეს თმოგვის ციხიდან სასწრაფოდ.

ფარსმანი აწვევინა მეფემ, მაგრამ არ გამოცხადდა “შანდლების ქურდი”, ავადა ვარო, შემოთვალა, ქუჩაშიც არ გამოდიოდა გაპანღურების შემდეგ.

ბრძანება გასცეს: ქალაქს გარეთ წაეღოთ, საკირეში დაეწვათ ამროსის ცხედარი.

ციხისთავებს მიუთითეს: დაუყოვნებლივ აღეკვეთათ ჯარების მიმოგზავნა ციხეებს შორის, არც ქარავნები შემოეშვათ მცხეთში, დღისით და ღამით, დაეგმანათ ციხეებისა და გოდოლების კარები.

მუხნარისას ციხისთავი დილეგში ჩააგდეს, რადგან სამი დღის წინად ერთი მონასპა მოეკლა ჟამს, ასისთავს არ გაუმხელია ეს ამბავი, ქრისტეანული წესით დაუმარხავთ მიცვალებული.

მკურნალებს დაევალათ: სასტიკად ედევნებიათ მოსახლეობისათვის თვალყური. თუ სადმე ჟამი თავს იჩენდა, მყისვე “ჟამიანების ფარდულში” გადაეგზავნათ, თუნდაც “საეჭვონი”, მიცვალებულნი სამოს-საგებიანად დაეწვათ ცეცხლში. ჭირიანის სახლები გამოეკეტნათ, ვირთხები და რწყილები შეემუსრათ შეძლებისამებრ.

მონასტრების წინამძღოლებს უბრძანეს: მეროჭიკე ბერები არ შეეშვათ საოსტიგნოებსა და სენაკებში, სხვა მონასტრებთან მისვლა-მოსვლაც აღკვეთილიყო, სისუფთავე დაეცვათ ყველგან.

ბაზრების უფროსებსა და სავაჭროების მეთვალყურეთ ხილისა და მხალეულის გაყიდვა ააკრძალვინეს.

თავის ოქროსფერ ულაყზე შეჯდა მეფე, ამალიანად დადიოდა მოედნებზე, ეჩვენებოდა ცისქვეშ გამოცვენილ ხალხს. ათვალიერებდა ციხეებს, მონასტრებს და სახელოსნოებს, ამშვიდებდა დიდსა და მცირეს.

ასე არწმუნებდა მოსახლეობას: ვერ მოგვერევაო ჟამიც.

როცა ხურსისეულ სასახლესთან გაიარეს მეფემ და მისმა ამალამ, გიორგიმ შენიშნა: შეკაზმული ცხენები დაჰყავდათ ეზოში მონებს. “ვისია ეგ ცხენები?”

ეკითხება მერემეთუხუცესს.

“კოლონკელიძეს გამოეგზავნა ექვსი ცხენი ოჯახობისთვის, მეფევ ბატონო”.

აივნისკენ თვალი გაექცა გიორგის. მხევლები დაქოთქოთობდნენ მხოლოდ.

დილა მშვიდობისა უსურვა თავის გულისმიჯნურს იდუმალ, შენს მაგივრად მე შემეყაროსო ჟამი, ეს გაიფიქრა და დეზი ჰკრა ოქროსფერ ულყს. გადაიჯირითეს მოედანზე მხედრებმა.

აყმუვლდნენ ბანებზე დაყუნცული ძაღლები მთავართ სანათლოის შუკებში...

მორიელების წინაშე შიში გადაავიწყა ჟამიანობამ ნონაის. მოსვენებას არ აძლევდა არსაკიძეს მხევალი. მდუღრავდა დგამს, ნოხებს, ფარდებს და დოშაკებს. მდუღარეს ასხამდა სარდაფებში, ჭუჭრუტანებში, ღრუებში. ვირთხები და რწყილები ელანდებოდა ყველგან.

ჩამოეკიდა პატრონს: სამუშაოზე ნუ მიხვალო, ბატონო, ღარიბ ხალხს ემტერებაო ჟამი, თავს ნუ გადააყოლებ უფლის სახლს, ღმერთს ბევრი აქვს ეკლესიები, ვენაცვალე მის მადლს, ხოლო საწყალობელ დედაშენს შენზე ამოსდისო მზე.

ბოდოკია გზაზე დაუხვდა არსაკიძეს: სამას ლაზს უარი ეთქვა სამუშაოზე: ლაზების მაგალითს აჰყოლოდნენ სამცხელები, ბოლნისელები და ბერძნები.

ჟამისაგან მოვისრებით მაინც, ბარემ მოსვენებული შევეგებოთო სიკვდილს. სახელოსნოები დაეგდოთ, ხარაჩოებიდან ჩამოსულიყვნენ. ტაძრის ჩრდილში წამოწოლილიყვნენ მონები, ფანდურს უკრავდნენ, მღეროდნენ ზოგნი. მოხუცებს გარს მოსხდომოდნენ ჭაბუკები. აამბობინებდნენ ჟამიანობის ძველ, ამბებს.

არსაკიძე რა დაინახეს, წამოიშალნენ, მონები, კალატოზები და ზემდეგები გამხნევდნენ.

ლაზები გარს შემოერტყნენ თვისტომს.

“ლაზებო, - მიმართა არსაკიძემ ბრბოს, - მართალია, ჟამიანობა დაიწყო, მაგრამ გახსოვდეთ, ჟამის საფრთხე ყველას გვიქადის, ხომ ხედავთ. მეც თქვენთან ვარ განსაცდელის ჟამს, ლაზებო. სიკვდილი ისეთი რამეა, უჟამოდაც არ აგვცდება, იცოდეთ, რადგან არავინ იცის, როდის გვეწვევა იგი. ხომ ხედავთ, რა შლეგია სიკვდილი. ისეთ უგუნურ ცხოველებს თან დაჰყვება, როგორიცაა ვირთხები და რწყილები.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, ლაზებო, უქნარობაში რომ დავიხოცოთ, იმას არა სჯობს, ჩვენი მოვალეობის შესრულებისას გვეწვიოს სიკვდილი. ეგეც იცოდეთ, ძმებო, ზარმაცებსა და მშიშარებს უმალ ეწვევა იგი, ვიდრე მამაცებსა და გამრჯელებს.

რას იტყვიან იბერიელები? მშიშარნი ყოფილანო ლაზები. იცოდეთ, ყველაზე მეტად ძმების უნდა გერიდებოდეთ, ლაზებო, რადგან არავინ ისე საყვარელი არაა ამ ქვეყანაზე, როგორც დედა, არავინ ისე მოსარიდებელი, როგორც დედის ხსენის თანაზიარნი.

საქართველო ჩვენი დედაა, ლაზებო, ხოლო იბერიელები ძმებია ჩვენი.

აბა მოიგონონ უხუცესებმა თქვენ შორის, სარკინოზებთან ან ბერძნებთან ომებში თუ ოდესმე გიღალატნიათ მათთვის?

ახლა ვირთხებისა და რწყილების მიერ გავრცელებულმა ჟამმა რომ გვასწავლოს ღალატი, სირცხვილი იქნება უთუოდ, ლაზებო.

ეგეც იცოდეო, ძმებო, არავინ ისე სძაგებელი არაა ამქვეყნად, როგორც ძმების მოღალატე, მშიშარა ვაჟკაცები, ლაზებო”.

“მართალს ბრძანებს, მართალს ბრძანებს ოსტატი”. მიაძახეს ლაზთა შორის უხუცესებმა.

არსაკიძე პირველი ავიდა ხარაჩოზე, თუმცა თირკმელებს იტკიებდა ამ დილით. ბოდოკია უკან მისდევდა ოსტატს, მოხუცი ლაზებიც მათ მიჰყვნენ. ბოლოს შერცხვათ ახალგაზრდებს. ახლა სამცხელები და ბოლნისელები წამოიშალნენ. ბოლოს ბერძნებმაც ითაკილეს ჯაბანის სახელი.

სადილობის დრომ მოაწია თუ არა, დაიცალა სახელოსნოები, ხარაჩოებიდან ძირს ჩამოვიდნენ მუშები.

ტაძრის გალავნის კუთხეებში ფარუდულები იყო ხელოსნების სამყოფლო.

კოცონები ენთო ამ ფარდულების წინ, უზარმაზარ ქვაბებში ოსპის წვენი იხარშებოდა. ქვაბებს გარს მოსდგომოდნენ მონები, ბალღებივით შესციცინებდნენ მესადილეებს.

შიმშილისგან ღონემიხდილნი ფანდურს უკრავდნენ. ნაღვლიანად ღიღინებდნენ ზოგნიც.

ლოდზე ჩამომჯდარიყო წითერი ლაზი, აჩხაკუნებდა ფანდურს, ზედ ამღერებდა სიყვარულის ლექსს, სიყრმეშივე განაგონი ჰქონდა არსაკიძეს ეს ჰანგი, ახლა ძლივს არჩევდა ლაზურ სიტყვებს ფანდურის ხმაზე:

ზღვისფერი გაქვს თვალები, და თავათ ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მითხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებელ ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფლოს, შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს.
ზღვისფერი გაქვს თვალები, და თავათ ჰგავხარ ზღვას.

არსაკიძე განზრახ დაყიალობდა ფარდულების წინ, ბრბოში.

ახლა შენიშნა: სიკვდილის საფრთხემ შაირობა და სიმღერა მოანატრა ხალხს. აჩხაკუნებდა ფანდურს, სევდიანად კვნესოდა წითური ლაზი.

შაირი გრძელი იყო, მიჯნურის მუქარა უსაზღვრო, ყოველი სტროფი ერთი და იმავე ტაეპით იწყებოდა და თავდებოდა:

ზღვის ფერი გაქვს თვალები, და თავათ ჰგავხარ ზღვას.

უცნაურად აეკვიატა ეს ლექსი.

შორენა მოაგონდა. მერმე თვალები გაუშტერდა გაოგნებულს. თავისი სიტყვაც გადამარცვლა ხსოვნაში.

ახლა დარწმუნდა: ერთი რამ გულისგარედ წამოსცდა წეღან.

განა დედა ყველაზე საყვარელია ამ ქვეყანაზე?

ან ძმა ყველაზე ძვირფასი?

ეგეც არის, ვერც დედობას გაგიწევს სხვა ვინმე, ვეღარც ძმობას.

შორენა მუდამ სწუხდა: რად არა მყავსო ძმები?

ახლა მას ძმები რომ ჰყოლოდა, ხომ არ დასჭირდებოდა ვაჟკაცის საქმე თავათ ეტვირთა?

ვაჟები გვერდით ამოუდგებოდნენ კოლონკელიძეს, ისინი მიუზღავდნენ მეფე გიორგის სამაგიეროს. წითური ლაზი აჩხაკუნებდა ფანდურს და მღეროდა:

ზღვისფერი გაქვს თვალები, და თავათ ჰგავხარ ზღვას.

მართლაც ზღვასავით მოუსვენარი იყო შორენა.

მაგრამ ახლა გადაუკეტეს ამ ზღვას კიდენი, დარწმუნებული იყო არსაკიძე, ჟამიც ვერ შეჰბედავდა სანატრელს, შესაძლოა ჟამს გადაერჩინა კიდევაც იგი. დღე და ღამე დაკეტილი იქნება მცხეთის ზღუდენი, სამი დღის შემდეგ წყაროსთვალის წმ. გიორგის დღეობაა ფხოვში. ამაოდ მოუცდიან ხატობაზე ხევისბერები მას.

განა მარტო ეს იყო საფრთხე?

ყველისციხის პატრონი ისეთი თავაწყვეტილი ვინმეა, ერთიც ვნახოთ მოეწყინა მცხეთაში მომწყვდეულს და ამ ჟამიანობის დროს ქორწილი მოუნდა?

მაშინ?

წითური ლაზი მღეროდა კვლავ:

და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს.

ახლა თავათ დაფიქრდა არსაკიძე.

ყოველი ქალი ზღვასა ჰგავს მართლაც, არავინ იცის, ან ერთი როდის აღელდება, ან მეორე?

ერთიც ვნახოთ, გირშელს გაჰყოლოდა შორენა, მაშინ?

მას, არსაკიძეს, თუ ეყოფოდა იმდენი გამბედაობა, უბირი ლაზი ჭაბუკის ვაჟკაცობის შესაბამისი?

“ააა?”...

სწორედ ამ წუთში ბოდოკია ამოუდგა გვერდით.

ამასობაში ორი მონა მიეახლა ოსპით გაფიფინებულ ქვაბს, ხელკეტი გაუყარეს და პირველი ფარდულისაკენ წაიღეს ხვნეშით.

ისევ მეფანდურეს მიუგდო არსაკიძემ ყური.

უნდოდა გაეგონა, თუ რითი დასრულდებოდა გამიჯნურებული ლაზის ქადილი ამ შაირში?

ბოდოკიამ ხელი წაუცაცუნა მარჯვენაზე:

კანკელი უკვე დავდგით, ახლა აღსავლის კარების გამო უნდა გეთათბიროთო, ოსტატო!

უგრეხელისძე, კალატოზი, წამოეწიათ კანკელამდის მისულთ. სახეშეცვლილი, ფერმკრთალი ეუბნება არსაკიძეს:

პირველ ფარდულში იფეთქაო ჟამმა.

როცა ხუროთმოძღვარმა და სამმა კალატოზმა პირველ ფარდულამდის მიაღწიეს, თავზარდაცემული მონები გამორბოდნენ თავპირისმტვრევით ეზოში.

მონას, წათაიას, გამოსჩენოდა იღლიაში პირველი სვირინგი.

დამფრთხალიყვნენ ნარებზე მწოლარენი, სწორედ ამ დროს შეეტანათ ოსპით სავსე ქვაბი ფარდულში.

დასტაკებოდნენ მზარეულებს მუშები, ორივენი წაექციათ, ქვაბი გადმოუყირავებიათ, ხელფეხდათუთქულნი მიწაზე ფართხალებდნენ, გულისმომკვლელად ყვიროდნენ ბედშავნი.

ფარდულის კარებს აწყდებოდა დაშინებული ბრბო, შიგ შესვლა ვერ გაებედნა ვერავის.

შემოესმა თუ არა დამდუღრულების ყვირილი, ბრბო გაარღვია არსაკიძემ, გზა შეუკრეს კალატოზებმა:

ნუ შეხვალ ამ ფარდულში, ოსტატო, ჟამიანი მანდ წევსო ახლაც ბოდოკია გამოეყო ლაზებს, თან გაჰყვა ხუროთმოძღვარს მეფისას.

აიყვანეს დამდუღრულები, გამოათრიეს სათითაოდ გარეთ. მოატანინეს მარილი, დამდუღრულებსაც არ გაეკარნენ მონები.

თავათ გახადეს დამწვართ სამოსი, მარილი დააყარეს დათუთქულ სხეულზე ორთა.

ხელის დაბანაც ვერ მოასწრო არსაკიძემ, გიორგი მეფე, ზვიად სპასალარი, მცხეთის მიტროპოლიტი, ამალითურთ შემოსულიყვნენ ეზოში, ტაძარი

დაეთვალიერებინათ, შემდგომ ამისა წინასწარ გამოეკითხა ყოველივე წვრილად.

განმგეთუხუცესი თავზე წამოადგა ხუროთმოძღვარს მეფისას.

ეუბნება, გიხმობსო მეფე.

არსაკიძე ხელს იმშრალებდა იმ წუთში.

მოახსენა: ჟამიანის ფარდულში ვიყავი, ამიტომაც ვერ ვეახლებიო მეფეს.

ხელახლა მივიდა განმგეთუხუცესი:

მეფე გიბრძანებსო მოსვლას.

არსაკიძე მიეახლა, საპატიო მანძილზე შესდგა, თაყვანისცა გიორგის, მეფემ გაუღიმა, ახლოს მოსვლა უბრძანა.

“შენზე ნაკლებად მამაცი ხომ არ გგონივარ, ლაზო?”

მერმე გაუღიმა, მაგრად ჩამოართვა ხელი და ეს უთხრა:

ხუროთმოძღვრების დიდოსტატი დიდი ვაჟკაციც ყოფილხარო, ლაზო!

XLVII

გამართლდა ფარსმან სპარსის სამთვარიოს წინათქმა, შაბათ საღამოს მცხეთიდან დასავლეთით გამოჩნდა ერთი სავსებით უცნაური ვარსკვლავი მახვილის სახისა.

ქარი ჰქროდა, აზანზარებდა ცასა და მყარს.

დიდხანს უთვალთვალებდა სახლის ჩარდახიდან ფარსმან სპარსი ამ ვარსკვლავს, როცა იგი დასავლეთის კერძო გაჰქრა ისევე, ფარსმანი ძირს ჩამოვიდა.

ვარდისახარი ტანზე იხდიდა სწორედ.

მივიდა, შიშველ მკლავზე უჩქმიტა ცოლს. ეუბნება:

“თუ მეფემ მალემსრბოლი გამოგზავნოს კვლავ, ასე უთხარით: ავდაა-თქო ფარსმანი”.

“მეფე უფლისციხეს წასულა ამ დილით”.

ამცნო ვარდისახარმა.

“შენ ვინ გითხრა ეგა?”

“სამთავროში ვიყავი, იქ ამბობდნენ ბერები”.

“დღეს წირვა იყო სამთავროში განა?”

“მთავარეპისკოპოზი ილოცავდა, მთელი მცხეთა მანდ იყო”.

“რაო, რა იჩურჩუტა რაჟდენმა?”

“უშჯულოებისა ჩვენისათვის წარმოგვიგზავნაო უფალმა ჟამი, მწვალებელნი და მკრეხელნი მომრავლდნენო მცხეთაში. საერისთავოებშიაც დაეთრევიან ზოგნი, აპამპულებენო ქრისტეს შჯულს”.

ფარსმანს ენიშნა რაჟდენის სიტყვები.

“მაინც რას ამბობენო ის მწვალებელნი, როგორა სთქვა მიტროპოლიტმა, ვარდო?”

შეეკითხა ცოლს.

“ღვთისმშობლის უხრწნელობის ამბავს სათუოდ სთვლიანო ზოგნი, ხანაც ასეთ კითხვებს აძლევენ მართლმორწმუნე ქრისტეანებს: რამდენი ანგელოსი დაეტევაო ნემსის წვერზე? “

ფარსმანმა შენიშნა, ვარდისხარიც ამრეზილი იყო ამ “მწვალებლებისა და მკრეხელების” მიმართ. იგინებოდა, ასე ამბობდა: მე რომ ვიცოდე, ასეთ მკრეხელობას ვინ ჩადის, პირველი ჩავქოლავდიო ამ სიტყვების წარმომთქმელს.

“განა ასე საჭიროა დიაცისათვის უხრწნელობა? არც შენ ყოფილხარ

მაინცდამაინც უბიწო, ვარდო, მაგრამ შენ ხომ უფრო მეტად მიყვარხარ, ვიდრე რომელიმე, უხრწნელი ქალწული, ხომ?”

ვარდისახარი აპილპილდა.

“თუნდაც ფანასკერტელის ქალი, რუსუდან, არა? ერთი იგი გყავდა უხრწნელი?”

დაუყვავა ფარსმანმა იჭვნეულ დიაცს.

მიეახლა, შიშველ ქედზე ხელი მოუცაცუნა. ეუბნება იდუმალი ხმით:

“ხვალ ნუ გახვალ ქალაქში, ვარდო. შენ ხომ იცი, სვეტიცხოვლის მშენებლებს დარევიათ ჟამი, ლაზი მოუკლავს ერთი.

შენ ხომ გაგიხარდება, ეგ ლაზები ერთბაშად რომ გასწყვიტოს ჟამმა, ააა, რას იტყვი, ვარდო?”

ეს უთხრა ფარსმანმა ცოლს, თვალებში ჩააცქერდა ღიმილით.

სალოკი თითი მიადო ნიკაპზე, სწორედ იქ, სადაც ოდნავ, სულ ოდნავ ჩაზნექილი იყო კანი (ეს მოსწონდა ბებერ ფარსმანს ფრიად. ეროსის თითით დატვიფრული აქვსო ნიკაპი, ეროსის თითის მეტი ჯერ არაფერი მოხვედრიაო ჩემს ცოლს, იხუმრებდა ხოლმე ვარდისახარის თანდასწრებით ფარსმანი).

არად მიიჩნია ეს მოფერებაც ქალმა მშვილდივით მოდრეკილი წარბები ზეაწკიპა, მოვის პერანგზე მარგალიტის ღილები შეიხსნა და ეუბნება ქმარს:

“მე ფხოველი დიაცი ვარ, იცოდე, არ მიყვარს, როცა ჩემს მაგივრად სხვა იძიებს ხოლმე ვინმეზე შურს. შენ რომ გულისხმობ, იმ ლაზს, ჟამსაც არ დავანებებ, იცოდე”.

“ჰე, ჰე, ჰე”, - ხითხითებს ბერიკაცი, - ახლა მარჯვენა ძუძუს დაადგა თვალი, ექილიკება ცოლს:

“ამ ძუძუზე გიკბინა მალემსრბოლმა მეფისამ, ვარდო, არა? რა უცნაურია ეს მეფე გიორგი, ვარდო, როგორ დაგეშილი ჰყავს ავაზები და მალემსრბოლები? ვისი დაკბენაც თავათ მოუნდება, სწორედ იმას დაჰკბენენ იგინი. ააა, შენ რას იტყვი, ვარდო?”

უაღრესად მოიღუშა დიაცი. სანახევროდ გაშიშვლებულ ძუძუებზე ორივე ხელი დაიფარა და ამრეზილი გაიშოთა საწოლზე.

მცირე ხანს იწვა გაოგნებული. მერმე დაამთქნარა და კედლისაკენ იბრუნა პირი.

თებრონია კარისალაგთან მიგდებულიყო, პირქვე დამხობილი ხვრინავდა დიაცი.

ფარსმანმა ცას ახედა. თავისი საწოლი სარკმელთან მიაჩოჩა. შემდგომ ამისა, ზეზეურად წამოწოლილი დიდხანს უთვალთვალებდა ვარსკვლავეთს.

ხელახლა გამოჩნდა ის ვარსკვლავი მახვილის სახისა.

მცირე ხანს უმზირა ფარსმანმა, მერმე უკან მოიხედა ანაზდად.

ვარდისახარი უძრავად იწვა. ტყირპიანი თებრონია ხვრინავდა კვლავ.

“ხომ არ გძინავს, ვარდო, ააა, ვარდო?”

არაო, მიუგო დიაცმა და დაამთქნარა ხელახლა.

“ხვალ ნაშუადღევს დიდი მიწისძვრა იქნება, იცოდე, ნურავის ეტყვი, ნურც შენ გახვალ ქალაქში, ვარდო, შესაძლოა ქარვასლები წამოიქცნენ, მეფისა და კათალიკოსის სასახლე გაცამტვერდეს, სვეტიცხოველი აყიროსავით მოაძროს. შენ ნურსად წახვალ, იცოდე, თებრონია გაგზავნე ბაზარში, ვარდო”.

ვარდისახარი წამოდგა საწოლზე. საკუთარ ყურებს არ უჯეროდა ამის გამგონე, ხოლო ფარსმანმა განაგრძო:

“შესაძლოა ამაღამ, ნაშუღამევს შეგვატოკოს სატანამ მცირედ, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, ვარდო”.

ვარდისახარი ზეწამოიჭრა. “მაგას რას ამბობ, კაცო, სჯობს ტანზე ჩავიცვათ, არა?”

“ნუ გეშინია, დიაცო, ამაღამ არ უნდა იქნეს ისე ძლიერი, ალბათ”.

ვარდისახარი საწოლიდან წამოვარდა შეშინებული, ფეხშიშველა დარბოდა აგურის იტაკზე, მერმე კუთხეში დაიჩოქა ხატების წინაშე.

მუშტები დაუშინა თავის მშვენიერ მკერდს, თითქოს ინანიებდა საკუთარ ხორცისმიერ ცოდვებს, ლიტანიობდა. იატაკს უსწორებდა შუბლს.

ლოცვა მოათავა თუ არა, ფარსმანს წამოადგა თავზე ნახევრად შიშველი დიაცი.

ეუბნება:

“თებრონია არ გავაღვიძოთ?”

“ნუ, ნუ გააღვიძებ თებრონიას ბედშავს, ძილში სიკვდილის მონატრულია თებრონია, ვარდო”.

დიაცი გააოცა მისმა უგულობამ. ფარსმანი ისევ სარკმლისკენ მიბრუნდა, დამშვიდებული უთვალთვალებს ცას.

“თებრონია, თებრონია”, - უყვირის დედინაცვალი გერს. თებრონია განაგრძობს ხვრინვას. ბოლოს წიხლი ჰკრა ვარდისახარმა მძინარეს.

დამდუღრულივით ათუხთუხდა ტყირპიანი დიაცი, თვალებს იფშვნეტს შეშფოთებული.

რა შემოესმა მიწა იძვრებაო, ნახევრადშიშველი წამოვარდა მყისვე, დაფათურობდა, ეძებდა ირგვლივ დაყრილ ძონძებს, პირჯვარს იწერდა, ევედრებოდა ღმერთს: გადაარჩინეო ეს ქვეყანა წარღვნას.

ახლა ვარდისახარსაც გადაედო შიში.

ზანდუკს მივარდა, საჩქაროდ ამოჰყარა თავისი კაბები, შორენას მიერ ნაჩუქარი ქათიბები, საწმერთულები, პერანგები, მანდილები, ქუდები, ვერცხლის ჭურჭელი, ზოგი ნაჩუქარი, ზოგიც ნაპარავი, მაგრამ ერთბაშად წარმოიდგინა, ვერ მოვასწრებთო ყოველივეს გარეთ გატანას.

თებრონია მოიშველია, ისევ ჩაჰყარეს ეს ნივთები, ახლა სავსე ზანდუკს დაეჭიდნენ დიაცები, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრეს იგი.

ვარსკვლავებს უთვალთვალებდა ფარსმან სპარსი კვლავ.

ხელახლა ამოჰყარეს ზანდუკიდან საბადებელი. თებრონია დატვირთა ვარდისახარმა, მერმე თავათ დახვია მკლავები და გარეთ გაათრიეს მზითევი.

ფარსმანი მობრუნდა, ამშვიდებდა ცოლს. ეფიცებოდა: დღეს არ იქნებაო ძლიერი მიწისძვრა. ყურიც არ ათხოვა შეშფოთებულმა.

ფარსმანი ისევ სარკმელისკენ მიბრუნდა, შესცქეროდა შეწითლებულ ცას.

კვლავ შემოვარდა ვარდისახარი, სპილენძის ჭანგები დავიწყნოდა, თმის სახვევი, ზანდუკში.

როცა ჭანგები იპოვნა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა მეუღლე.

“ადექი, ბაღში გამოდი, ბატონო”.

ადგილიდანაც არ დაძრულა ფარსმანი, გულში გაეცინა. სპილენძის ჭანგებზე უფრო გვიან რომ გაახსენდა ცოლს. თვალიც არ მოუცილებია მახვილის სახის ვარსკვლავისათვის, ისე მიაძახა დიაცს:

“გაეთრიე, დედაკაცო, გარეთ, თორემ თავზე დაგეცემა ჭერი”.

კარის ალაგთანაც არ იყო ვარდისახარი მისული, როცა მაგრად შეტოკდა ციხისებური სახლი, შეტორტმანდნენ კედლები, ახლა ფარსმანმაც იკადრა წამოხტომა, ფეხშიშველა გაირბინა ქვითკირის დარბაზი და მიაძახა კიბის თავთან წაქცეულ ცოლს:

“ეგებ დაილეწოს ეს ქვეყანა, ვარდო, ახალში მაინც მიმიწვევენ

ხუროთმოძღვრად”.

“თებრონია, თებრონია!” - კიოდა ვარდისახარი, მაგრამ თებრონია პირქვედამხობილი ეგდო მიწაზე, ლოცულობდა და სტიროდა.

ქარი აფორიაქებდა ხეებს, ასე რომ, დედინაცვლის ძახილი არც კი მისწვდენია ამ წუთში მას.

XLV1II

სვეტიცხოველის კედელზე შვიდს უჩვენებდა მზის საათი, როცა პირველად შეტოკდა მიწა. არსაკიძე ხარაჩოზე იდგა, კალატოზებს უძახდა: აქ ამოვიდესო ერთ-ერთი.

მან ერთმა შეიცნო ეს. ძირს ჩამოვიდა, კალატოზებს მკერდზე მიადო გაშლილი მკლავები: ეზოში გავიდეთო, ეუბნება.

გაოცდნენ დამსწრენი.

დასავლეთის კედლის გასწვრივ კატა გასულიყო ხარაჩოზე, იქ დაბუდებულ მტრედებს ზვერავდა.

ერთბაშად უცნაური კნავილი ასტეხა, საშინელის სისწრაფით დაეშვა ძირს.

არსაკიძემ უყვირა მონებს: დაუყოვნებლივ დასცალეთო ხარაჩოები.

ამ დროს მეორეჯერ შეტოკდა მიწა.

ხოლო მესამეჯერ ისეთი ძალით შეჰქანდა ნიადაგი, არსაკიძემ ტაძარს შეჰხედა, ასე ეჩვენა: ეკლესია შეტორტმანდა და გადაწვაო განზე.

შემზარავი გრუხუნი გაისმა, სამ ადგილას დაირღვა გალავანი.

ყვირილით გამოცვივდნენ ლაზები და სამცხელები ეზოში, პირქვე დაემხვნენ,დაიწყეს ლოცვა.

შუკაში დედაკაცი მიელალებოდა ცხვრებს, აბღავლდა პირუტყვი. გაიფანტა ფარა, ძაღლებმა შემზარავი ყმუილი მორთეს, აზმუვლდნენ ძროხები, დედაკაცები გაბმულად კიოდნენ.

ქოსსა ჰკრეს არაგვის კარისა და მუხნარისას ციხეებში. მონასპანი გარეთ გამოსცვივდნენ, მოედნებზე დაფდაფების ცემა ასტეხეს ჯარებმა.

ძელსა სცეს ეკლესიაში ზედიზედ.

ბერებმა და მონაზვნებმა საოსტიგნოები დააგდეს.

ისმოდა ტირილი, ღაღადისი და გალობა:

“შენ გესავ, უფალო”.

*

სვეტიცხოველი გადარჩა, ახლა შორენას მისწვდა არსაკიძის ფიქრი.

მთავართა სანათლომდის ძლივს მიაღწია აქელებულმა.

დიაცები ირეოდნენ ხურსისეული სასახლის ეზოში.

ვიღაც თავმოტვლეპილ მოხუცს ელაპარაკებოდა გურანდუხტი.

არსაკიძემ ზნაურა შეიცნო, კოლონკელიძიანთ კარის ეკლესიის ნადიაკვნარი.

სამი შეკაზმული ცხენი თავლის კარებთან ება. ჩალისფერ ულაყს ყურებზე ეფერებოდა შორენა. მხოლოდ მას არ ეტყობოდა შეშფოთება სახეზე.

შორენა, გურანდუხტი და ზნაურა ზედაზენს წასვლას აპირებდნენ თურმე ამ დილით.

გურანდუხტი შეძრწუნებული მოუთხრობდა არსკიძეს დედამიწის მესამეჯერ

შეტოკების ამბავს. საწოლიდან გადმოვარდნილა. შორენა თავლაში ყოფილიყო, ცხენს აკაზმვინებდა თურმე ზნაურას.

არსაკიძის დანახვაზე გამოჰქანდა ერისთავის ქალი, სტუმარს მიესალმა, უამბობდა, საცოდავად აჭიხვინებულანო ცხენები.

სწორედ ამ დროს თავშიშველი ფხოველი მონა შემოვარდა ეზოში, ჯიქურ მიეჭრა შორენას და ეუბნება:

ლასტის ჯებირი გაარღვიეს ირმებმა, ორი ხარი და ერთი ფური საჩიხიდან გაგვექცაო. ბევრი ვსდიეთ სასახლის ბაღში, ახლოსაც არ გაგვიკარაო არც ერთი.

“ნებიერა ხომ არ გაქცეულა, თუ იცი, ბაღათურ?”

ეკითხება შორენა.

“სწორედ ნებიერი გადახტა პირველი, ერისთავის ასულო”.

ბაღათურ საჩიხეში ყოფილიყო, როცა მესამეჯერ იძრა მიწა. ქვას აადუღებდაო ირმების ჯოგის ერთობლივი ბღავილი.

“ცხენები მოგვგვარე, ზნაურა, - ეუბნება შორენა დიაკონს, - მე და უტა მივყვებით ირმებს, თორემ ბიჭები ვერ დაიჭერენ მათ”.

ბაღათური ასე ამბობდა:

სასახლის ბაღიდან გასულნი არიან უკვე, მუხოვანში სიციქნიდნენო ნეკერს.

ეტყობოდა გურანდუხტს არ უნდოდა მარტოკანი გაეშვა ქალ-ვაჟი.

დიაკონი წარიტანეთო თან, ძველი მონადირეაო ზნაურა.

შორენა მთავარ დარბაზში ავიდა, მშვილდი მოუტანა არსაკიძეს, თავათაც მხარზე ჰქონდა ერთი.

ხმალი ზედა მაქვს, რად მინდაო მშვილდი?

ესა სთქვა არსაკიძემ, მაინც გამოართვა კაპარჭიანად.

მთავართა სანათლოის ქუჩებზე თავთავიანთი საბადებლები გამოეტანათ მცხოვრებლებს. დიაცები სტიროდნენ, აკვნიანად გარეთ გამოყვანილი ბალღები ღნაოდნენ.

ძაღლები ყმუოდნენ, მოხუცები დარღვეული ქვითკირების ბალავარებზე კრეფდნენ დამსხვრეული დგამისა და ჭურჭლის ნამუსრევებს.

მეფის სასახლეში უთავჟამოდ დაქოთქოთებდნენ კარისკაცები და მსახურები. საწოლ დარბაზში ჭერი ჩამონგრეულიყო, დაეშავებინა მესაწოლე მეფისა. “

კიბეებზე ჩამოჰქონდათ ნოხები, ფარდაგები, მაფრაშები, ზანდუკები, საჭურჭლენი.

საყდრის იარაღები, ცხენსაკაზმები, დედოფლის საპირფარეშოს დიდძალი ხელსაწყონი, მისივე ქათიბები, დიბის კაბები, აურაცხელი სტავრა, ოქსინო და ხატაური ფარჩა...

სასახლის ბაღიდან მუხოვანში გაიყვანა ბაღათურმა შორენა და მისი მხლებლები.

უჩვენა ის ადგილი, სადაც ნეკერსა სჭამდნენ ირმები.

ნაწვიმარი იყო და ახალ ნაკვალევს მიჰყვნენ ცხენოსნები. უნაგირი მოჰქონდა ვიღაც წითურ მონასპას.

ჩიოდა:

ცხენი მომიკლაო მიწისძვრამ. თავლა ჩამოქცეულიყო, ზედ დასცემოდა პირუტყვს.

ირმების გამო ესა სთქვა წითურმა:

იმ ველს გადახვალთ, წიფლნარს გაივლით, იმ წიფლნარის გადაღმა სამი უტევანის მანძილზე დაარღვია მიწისძვრამ ქალაქის ზღუდენი, იქ გადავიდნენო

ირმები, უთუოდ.

შორენა იმედს არა ჰკარგავდა, ბალახს დანატრებულნი არიან ირმები, თუ სადმე წავუსწარით, ნებიერას მაინც უცილოდ დავიჭერთო.

მე არ გამექცევაო ნებიერა.

ქალაქის ზღუდენი ბალავრიანად დაელეწა მართლაც მიწისძვრას.

გასცდნენ თუ არა დარღვეულ გალავანს, შორენამ ცხენს მათრახი სტკეცა პირველად.

მშვილდოსან ეროსს მიაგავდა თავათ, სიყვარულის მაცდუნებელ ღმერთს.

არსაკიძეს ღიმილს ჰგვრიდა ირმების დაჭერისათვის ოცნებაც, შინაურებია ირმები, მაგრამ თავისუფლებას რა იგემებენ, სიახლოეს არ გაგიკარებენო.

მაინც უხაროდა საყვარელის გვერდით ჭენება ცხენისა.

ასე ფიქრობდა: გავივლით მცირეს, გულს გადავაყოლებთ, შორენაც შეიგნებს უნაყოფობას დევნისას, დროზე შემოვიქცევითო უკან.

მცხეთა ჯერ კიდევ მოსჩანდა ცის კიდურზე. არსაკიძემ თავის საყვარელ ქმნილებას მიჰხედა და გაჰქუსლა ცხენი.

უხაროდა ორივენი, უძვირფასესნი, რომ გადაურჩნენ საშინელ სტიქიონს.

მეურმე შემოეყარათ ტყის პირად.

ნარეკვავისკენ გარბოდაო წყვილი ირემი.

ახლოს, ძლიერ ახლოს ჩაუარეს ურემს, ხნულები გადაიჯირითეს და მიჰყვნენო, "ეჰე, იმ საურმე გზას".

"ხარები თუ ფურები?"

ეკითხება ზნაურა.

"ერთი ფური და ერთიც ხარი, ბატონო".

მიუგო მეურმემ.

ხნულებზე გადაიყვანეს არსაკიძემ და შორენამ ცხენები.

მიწა დათქერილი იყო, კვალი პირდაპირ მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ.

ხნულები მოთავდა, ნაურმალზე გადასდიეს ნატერფალებს.

ადამიანთა ნაჯაფარის იავარქმნა არც კი შეესმინა ბუნებას.

უკანა ფეხზე დაცუცქულიყო კურდღელი, ქანდაკივით იდგა ველის პირზე, თათს უცაცუნებდა იქვე მწოლარე ძუს.

ბრაწივით შეემართა ცალიც, პირუტყვული ენით ანიშნებდა: ტყისპირად წამო, ნეკერი მოვციცქნოთო მცირე.

ცხენების ფეხის ხმაზე დაფრთხნენ ორივენი.

მელიკუდას ზღვაში მიტოპავდნენ, მხოლოდ ოთხი ყური მოუჩანდათ მორბენალთ.

ლანდებივით გამოეყვნენ მელიები კურდღლისფერ ჯაგებს, ძუ წინ გარბოდა, გაიცუნცულებდა მცირე მანძილს, მერმე შესდგებოდა, მოხედავდა ქმარს; უსიტყვო მზერით ეუბნებოდა: წამოჩანჩალდიო, ჩემო კაცო.

შორენა ნაურმალს აცქერდებოდა. ჯერ არც ურემს, არც საქონელს არ გადაეარა ზედ, ლარივით მისდევდნენ ირმის ჭლიკების ნატერფალნი შარას.

ახოში ქედნების გუნდი წამოიშალა, მუხოვანს მიაშურეს ფარფატით.

გნოლები ჯერ მელიკუდით დაფარულ მინდორზე გარბოდნენ, მერმე იგინიც აფრინდნენ გუნდად, კაკბები კბოდეებისკენ გაჰქანდნენ, ხევში დაბერვილ ლოდებს შეეხიზნენ და ასტეხეს კრიახი. გუნდის მეთაურები ლოდებზე ადიოდნენ წინასწარ, ზვერავდნენ გარემოს, კაკანებდნენ, წყვილ-წყვილად მიჰყვებოდნენ მზვერავებს.

მელიას, ძუს, შიში გადაავიწყა შიმშილმა, კორდზე შესდგა, დაფიქრდა

ნერწყვმორეული.

კარგად არ იცოდა რა მოემოქმედნა?

გნოლებს გამოსდგომოდა, თუ ქარაფებიდან მოეარნა. ბალახში გატვრინულიყო და მოულოდნელად თავს დასხმოდა კაკბებს?

არსაკიძე ხედავდა, როგორ ნეტარებდნენ ბუნების წიაღში წყვილები, აქ არც ალერსი იყო დაშლილი და არც სიყვარული. ამ საფირონის ცის ქვეშ დაგებულია ფოთლების ფარჩა, წყვილად და ერთად ცხოვრობენ ეს საყვარელი ფრინველები და ნადირები.

ქვეყანა ვრცელია, ყველას თანაბრად ატფობს მზის თვალი, დედალსა და მამალს, ხვადსა და ძუს, ფურსა და ხარს.

ირმის ნაკვალევმა სავსებით ნორჩ ტყეში შეიყვანა მხედრები.

ტყე მეჩხერი იყო. აქაც აშკარად ამჩნევდნენ წყვილი ირმების ნაკვალევს.

არსაკიძე ასე ამბობდა: ალბათ მესამე ნეკერს შეჰყვებოდაო რომელიმე ტყეში.

მხარმარცხნით მთებია, მხარმარჯვნივ სოფლები, უთუოდ ამ გზას აირჩევდაო იგიც.

ნორჩი წიფლების წვეროკინები უზანგებამდის სწვდებოდა მხედრებს, ამ ტყესაც მისწვდენოდა დილანდელი წვიმა, ამიტომაც საწმერთული დაუსველდა შორენას.

არსაკიძე ნაღვლობდა: ეს საწმერთული, ხოხბისყელისფერი, ნეტავ არ ჩაგეცვაო ამ დილით.

“განა მე ვიცოდი მიწა იძვრებოდა, ან ნებიერას დევნა მოგვიხდებოდა მე და შენ?”

“ნეტავ შენ გვერდით მატარა მუდამ, მიუწვდენელის საძებნადაც გადავიხვეწო ამ ქვეყნიდან თუნდაც”.

ეს უნდოდა ეპასუხა უტას, მაგრამ ნაცვლად ამისა ეუბნება შორენას:

“როგორი უცნაურია ბუნება, ჩემო, ადამიანებს ჭერი დაგვექცა თავზე. აქ კი ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდნილა ზედმეტი”.

შორენამ არა მიუგო რა, იგი კვლავ ირმის ნაკვალევს უთვალთვალებდა.

არსაკიძემ კიდევ შეხედა, შეწითლებოდა ძველი სპილოსძვლისფერი ღაწვები, ყაყაჩოსავით შეფაკლოდა პატარა, მშვენიერი ყურები.

წიფლნარიდან გავიდნენ თუ არა, პირველად შორენამ მოჰკრა თვალი: ახოში სძოვდნენ ხარი და ფური. ლომის ფერი ნებიერა იცნო პატრონმა და ადგილიდან მოსწყვიტა ანაზდად ცხენი.

შემოესმათ თუ არა ცხენების თქარუნი, თავი ააღირა ორივემ, ფური და ხარი გაჭენდნენ წყვილად.

არსაკიძემ წინასწარ იცოდა, თუნდაც ტრამალზედაც სავსებით ამაო იყო მათი დევნა ცხენდაცხენ, არც მისძალებია თავდაპირველად ცხენს, ამიტომაც მის ულაყს გაასწრო შორენას იაბომ.

როცა ათიოდე უტევანის მანძილზე წამოეწიენ ცხენოსნები, კეკლუცად მოიღერა ლომის ფერმა ნებიერამ ყელი, მკერდი შეუშვირა ჰაერის ქროლვას, ხარმა ზურგზე გადაიწყო ქორბუდიანი რქები და თვალისმომჭრელი სისწრაფით გაქანდნენ წყვილად, თითქოს ეროსი ჩასვლოდათ გვამში.

არსაკიძეს უცნაური აღტაცება მოჰგვარა ამ საოცარმა სანახაობამ, ალბათ გიორგი მეფის საჩიხეში თვალი დაუდგამს ფურისთვის ხარს, ახლა იდროვა, გაიტაცა მიჯნურმა მიჯნური.

თავათაც უყივლა ცხენს, თავათაც გამოუდგა წინ მიმქროლავ საყვარელს.

ველი მოთავდა, ხნულები დაიწყო. ცხენებს უჭირდათ ხნულში ჭენება. არსაკიძე თრთოდა, ეშინოდა: შორენას ცხენს ფეხი არ ჩავარდნოდა სარწყავ რუში თუნდაც. ევედრებოდა ერისთავის ქალს, ამაოდ მივსდევთო ირმებს.

ყამირიც მოთავდა, ახლა ჯაგნარი დაიწყო, ხრამმა გადაუჭრა ცხენოსნებს გზა.

შეევედრა არსაკიძე, გავბრუნდეთო მცხეთაში.

სამსჭვალივით გულზე მოხვდა ვაჟის ნათქვამი დიაცს.

“მცხეთაში მიეჩქარები?

როდისღა მოათავებ მაგ შენს სვეტიცხოველს. როგორც ვატყობ, მეორედ მოსვლა მოუსწრებს მის დასრულებას”.

ვაჟი მიხვდა: იჭვნეულობდა დიაცი.

უნებლიეთ იცრუა: არა, საქმე არაფერი მაქვს ბევრი, მაგრამ ამაოდ დავშვრებითო მაგ ირმების დევნისგან.

შორენამ ცხენი შეაყენა, უკან მოიხედა. აღარსად სჩანდა ზნაურაი.

ბოლოს დაინახეს შორიდან, ახლა გამოვიდა იგი ტყიდან, ძლივს მობობღავდა დიაკონი ველზე.

“ოცი, უტა, შენ ნუ მოსცდები საქმეს, თუ გინდა, დაბრუნდი, მე და ზნაურა ვივლით ასე მცირე ხანს, ეგერ რომ ტყე სჩანს, იმის გადაღმა თუ ვეღარ ვნახეთ სადმე, გამოვბრუნდებით”.

იწყინა არსაკიძემ:

“როგორა გგონია, ჩემო, ამ ტყეში მიგატოვებ და მარტო წავალ შინ?”

“მეც შენსავით მუდამ შეუძლებელსა და მიუწვდომელს მივეტრფოდი ჩემს სიცოცხლეში, უტა, შორიელი მუდამ უფრო სანუკველია, ვიდრე მახლობელი. ის, რაც ხელზე, ახლოა, მუდამ მოსაწყენია, თურმე.

დღენიადაგ ხარაჩოებზე დაბობღავ. მოდი, ეს დღე ჩემთვის დაკარგე, უტა. მე ისეთი გრძნობა მაქვს და ისეთი სიზმრები... ხათუთას ცუდად ჰქონია ეს სიზმრები მინიშნებული...

ველს რომ დავინახავ, გზას რომ დავხედავ, უცნაური მღელვარება შემიპყრობს, მინდა ვიარო, ცის კიდურიდან ცისკიდურამდის ვიარო და აღარ მოვბრუნდე ჩემს სამყოფლოში არასდროს”.

“შენთვის ერთ დღეს კი არა, მთელ ჩემს სიცოცხლეს დავლევ თუ გინდა, სანატრელო.

სვეტიცხოველი მოვათავე გუშინწინ, ახლა “სიზმარი” უნდა დავასრულო როგორმე”.

ეს უნდოდა ეთქვა არსაკიძეს, მაგრამ მოერიდა, ქალაჩუნობად ჩამომართმევსო, ამიტომაც აგრე უთხრა:

“ერთი დღე? შესაძლოა შენთვის მთელი სიცოცხლეა შევაგდო სასწორზე, მაგრამ”...

“მაგრამ, რაო? “

ჩაჰკითხავდა ქალი.

“მაგრამ არიან ისეთი სიტყვებიც, რომელნიც გამოთქმისაგან შეიბღალებიან ხოლმე. მხოლოდ იმ სიტყვასა აქვს წონა, რომელთაც საქმე მოჰყვება და მსხვერპლი. უმსხვერპლო სიტყვა ისევე ამაოა, როგორც უსურნელო ყვავილი, უნათლო შუქი, გინა სიტფოს მოკლებული მზეი”.

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ, მერმე ისევ ქალმა დასძრა სიტყვა:

“მე ასე მგონია, უტა, ნებიერას რომ დავენახე, არ გამექცეოდა. ჩემი ბრალია, ცხენი არ უნდა გამეჭენებია, ისე მივახლოვებოდი, დავიჭერდი უთუოდ”.

ტყის ინდოურები ჯეჯილებიდან ადგნენ. არსაკიძემ ისარი ესროლა, მეწინავე ინდოური შეტორტმანდა ჰაერში, დაეცა მიწაზე, ზნაურამ აიყვანა ჯერაც ცოცხალი, თასმით მიიბა ქამარზე.

შეჯდა ისევე ცხენზე, ფართხალებდა ინდოური საწყალობლად. ისედაც უცნაური ანაგობა ჰქონდა ზნაურას, თავზე ფხოვური ფაფახი ეხურა, ქორის ბუდისებრ გაბურძგვნილი, წელზე შებმული ნასხვისარი ხმალი მუხლამდის უწევდა ცხენს, პირუკუშებრუნებული ჯუბაჩა ეცვა ტყავისა, გაწეწილი და დაფხრეწილი. ახლა, როცა ეს ინდოურიც წელზე მიიბა, შორენამ და კონსტანტინემ ვეღარ შეიკავეს ღიმი.

წამოეწიათ ზნაურა, უჩიოდა თავის ცხენს, გამიოჩნდაო ეს სამგლე.

სვავები წამოიშალნენ დათვის მიერ გაგლეჯილი ძროხის ლეშიდან, მახლობელ მუხიდან ყვავები უთვალთვალებდნენ მათ, ჯერაც არ ჩაევლოთ ცხენოსნებს, ისე დაასხდნენ ისინი ლეშს.

ზნაურამ სულ ახლოს ჩაუარა მათ, არც შეპუებიან დიაკონს, არხეინად განაგრძეს თავხედებმა საუზმე.

მოთავდა ფურცლოვანი.

ჯაგები.

ბარდები.

ველი. ისევ აღმართები, ქარაფები და უფსკრულები, ისევე ველი...

ხარირემი ბღაოდა სადღაც.

სვავები სერავდნენ ცას.

წიწვიანი ტყე დაიწყო. აღარ ისმოდა ირმის ბღავილი. მხოლოდ გულყვითელა წიოდა საწყალობლად. დედალი სატრფიალოდ უხმობდა მამალს, რადგან დუმილში გარინდულ ბუნებას მთლად გადავიწყნოდა, რომ მიწა შეირყა ორ-სამ ჯერ, ადამიანები სადღაც სტიროდნენ. ზოგს ჟამი აწუხებდა, ზოგს მიწისძვრა, ხოლო ზოგსაც მოსალოდნელი სიმძიმილი სიყვარულისა.

ცხენები ერთად მიდიოდნენ სავსებით მდუმარე ტყეში. გულწითელა იძახდა მხოლოდ. გახედა არსაკიძემ დიაცს, სისხლი აემღვრა, უნდოდა უფრო მჭიდროდ მიახლებოდა საყვარელს, თავი გადმოეწია მისთვის და ეკოცნა ყვრიმალში, ველის ყაყაჩოსავით შეწითლებულ, პატარა ყურს ქვემოდ, მაგრამ შტოების ლიწინი მოესმა. ეს დიაკონი მოფოხრიკობდა თავისი ჯაგლაგა ცხენით.

არსაკიძემ ცხენი შეაყენა. მშვილდს წაეპოტინა, ნაყოფით დახუნძულ პანტაზე ადამიანივით შემდგარიყო ორ ფეხზე დათვი.

წინა თათით ხეს მოსჭიდებოდა, ცალითაც ტოტებს ბერტყავდა. იღეჭებოდა თავათაც.

პანტის ხის ქვეშ ბელები ძიძგნიდნენ პანტას.

მხედრები რა დაინახა, ძირს ჩამოვარდა, აიყოლია ბელები, უკმაყოფილო ბურტყუნით ქარაფიდან გადაიხვეწა.

სხვებიც აღმოჩნდნენ მახლობელ ხეებზე, ისინი უარესად აბურტყუნდნენ და გადაეშვნენ კბოდეებიდან.

ტყე გაიარეს, კვლავ ველს გადახედეს მხედრებმა.

ხევს გადაღმა გორმახები იყო. მათ გადაღმა მთები. მთებს გადაღმა მწვერვალები, კავკასიონის მწვერვალები ერთობლივად შაბიამანის ფერისა.

მიჭრიალებდნენ ურმები, ბავშვის კუბო მიჰქონდათ სამი, სოფელში ორიოდე ქვითკირი დაენგრია მიწისძვრას, ეკლესიის გუმბათი ეგდო მიწაზე.

სვეტიცხოველი გაახსენდა არსაკიძეს, გამარჯვებული გოლიათი ტაძართაგანი.

ტბას ჩაუარეს ველზე მთვლემარეს, კაშკაშებდა მარტოხელა მზის თვალი მასში.

იხვებისა და ბატების ფრთების ბარტყუნი ისმოდა, როგორც ერთობლივი ტაში. ასე ეგონა არსაკიძეს: ბუნება ტაშს უკრავსო საყვარლის მომტაცებელ ხარირემს.

წამოიშალნენ ჭაობის ფრინველები, დასავლეთისაკენ დაფარეს ცისკიდე სრულად.

კვალი დაიკარგა ამ ტბასთან, ახლა ირმის ბღავილი მოისმოდა ჩრდილოეთიდან.

“ნებიერიაა”.

ამბობს შორენა.

“ირმის მყვირალობა დაწყებულია ალბათ, ამ მთებში ირმები სხვაც ბევრი იქნება, ჩემო”.

თოხარიკზე გადაიყვანეს ცხენები.

ბალღივით ხარობდა შორენა.

“შენ ხომ დააკვირდი იმ სოფელს. ამ ზეგანებზე ნაკლებად უვნია მიწისძვრას ხალხისთვის”.

ეუბნება კონსტანტინე შორენას.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ნაღვლიანად ამბობს დიაცი.

“ფხოვში თუ იყო ნეტავ? ვინ იცის, რა დღეშია საცოდავი მამაი?”

აღმართი მოათავეს, ზეგანზე გავიდნენ ოფლში გაღვარული, აქოშინებული ცხენები.

ჯვარედინ გზას მიადგნენ ბოლოს. მზეს გადაესწრო მწვერვალს გადაღმა, აფახულებდა სპილენძისფერ წამწამებს.

დაწინაურდა ზნაურა.

მხარმარცხნისაკენ გაიშვირა ხელი:

ამბობს:

“ოვსთა სოფლებია აქეთკენ”.

მხარმარჯვნისკენ აჩვენებს შორენას:

“ფხოვის გზა ეგაა, ერისთავის ასულო”.

“ჩრდილოეთისაკენ?”

შეეკითხა არსაკიძე.

“ქორსატეველას ციხისაკენ მიდის ეს საურმე გზა პირდაპირ”.

მერმე ხელი მიიჩრდილა დიაკვანმა თვალებზე.

“ეჰე, იმ მთაზე დაყორებულ ღრუბლების ქვემოდ ციხე მოსჩანს, ოთხგოდოლიანი.

სწორედ ეგაა ქორსატეველას ციხე”.

ქორსატეველას ხსენებაზე გული აემღვრა შორენას, თავათაც მიიჩრდილა შუბლზე ხელი და გაჰხედა ციხეს. მერმე მარჯვნისაკენ შეაბრუნა ცხენი. მხარმარცხნისაკენ მიმავალ ურმის გზას გაჰხედა არსაკიძემ.

“აქეთკენ ატყვია ირმის ნაკვალევი გზას”.

ეუბნება ღიმილით.

გამოაბრუნა დიაცმა ცხენი.

“მე შენისთანა მონადირე ვერა ვარ, უტა, მაგრამ ირმის ნაჭლიკარს ხარის ნატერფალიდან კიდევ გავარჩევ როგორმე”.

“რამდენი მანძილი დაგვრჩა ახლა ფხოვამდის?”

იკითხა არსაკიძემ.

“სულ ახლოა, ბატონო, ამ მთის ცხვირს შემოვუვლით, ჩრდილოეთიდან, მერმე ხევ-ხევ ვივლით მცირეს, მთას გადავლახავთ ერთს, შავ არაგვს მივყვებით და

ორბოძალ გზაზე პირველი გოდოლი იქნება ფხოვისა”.

ესა სთქვა დიაკონმა და ექვსი ცხენოსანი მოადგა ჯვარედინა გზას მხარმარცხნიდან.

აქელებულნი ქშინავდნენ ოფლში გაღვარულნი. თორიანი, ქოსა ვაჟკაცი მოუძღოდა მხედრებს.

ტახის ეშვივით წვეტიან ღოჯებს ორგზის გაეპო ზემო ჩარბი, უფრო ნადირს მიაგავდა ეს თვალებგადმოკარკლული ქოსა, ვიდრე კაცთაგანს.

შორენას უსიამოდ გააჟრჟოლა მის დანახვაზე, იცნო: ბოქაი, ჭიაბერის ძუძუმტე და ხუთივე ძმა მისი: აზარაი, გაბიდაი, ზაზაი, ჯიბრედაი და ცცოი.

შორენას მიაშტერა ბოქაიმ თვალები, ცხენი შეაყენა და დანარჩენებს უყივლა რაღაც. ქალმა მკაფიოდ გაიგონა ჭიაბერის სახელი ოსურად ნათქვამში.

ამასობაში მხარმარჯვნივ მიმავალ ფხოვის გზას დაადგნენ შორენა და მისი მხლებლები.

კარგა ხანს იდგნენ გზაჯვარედინზე მხედრები, მათი ჯაჯღანი ესმოდა შორენას.

ახლა არსაკიძემაც მოჰკრა ყური; ჭიაბერს ახსენებდნენ ისინი ხშირად. ყველაზე ხმამაღლა ბოქაი როხროხობდა. უწყრებოდა უმცროს ძმებს რატომღაც.

ბოლოს ერთობლივ სტკეცეს მათრახი ცხენებს და ჭენებით მიაშურეს ქორსატეველას ციხეს.

*

წყენის ჩრდილმა გადაირბინა შორენას სახეზე. არსაკიძემ მიზეზი ჰკითხა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი არ ამცნო, ქალმა, რადგან არ უნდოდა ჭიაბერის ხსენება კვლავ.

კონსტანტინე მდუმარედ მისდევდა გვერდით, ახლა მასაც მოაგონდა ეშვებიანი ბოქაი და მისი ძმები, ჭიაბერის ტირილზე ნახუნლი.

საჭოჭმანო ეგ იყო: რაინდთა წესისამებრ არ მისალმებიან ისინი შორენასა და მის მხლებლებს რატომღაც.

შორენას ცხენი დაწინაურებულიყო. არსაკიძემ დეზი ჰკრა თავის ულაყს. წამოეწია. ეუბნება ალერსიანად:

“იცი, შორენა, მე მაინც არ გირჩევდი კვეტარის ციხეში ამჟამად ჩასვლას. შენ ხომ აღკვეთილი გაქვს მეფისაგან ფხოვს გამგზავრება?”.

“განა მარტო მე? შენც აღკვეთილი გაქვს ფხოვს ჩასვლა, უტა. მაგრამ შენ პირველ გოდოლამდის მიმაცილებ, მერმე მე და ზნაურაი ვივლით მარტონი, მთვარიანი ღამე იქნება ალბათ, რა გვიშავს?

შენ რომ გულისხმობ, ის საფრთხე უკვე განვლილია, უტა, ასე რომ, მამას ვინახულებ და ზეგვე გამოვბრუნდები მცხეთას”.

“რომელი საფრთხე, შორენა?”

“ზნაურამ ჩამოგვიტანა ამბავი, შენი იჭვები ზედმიწევნით სწორი აღმოჩნდა.

ხევისბერები გადაუდგნენ მამას. ვგონებ ეს მისი ბრალია, მამას არ უნდოდა მამამზესთან შერიგება, ხოლო ხევისბერები ამას მიელტვოდნენ სწორედ, საერთო ძალით გავტეხოთო მეფე გიორგი.

მე მაშინაც ვხედავდი ამ საფრთხეს, მაგრამ სიტყვა მქონდა მიცემული. ჭირის გაჩენის შემდეგ მცხეთის ციხეები რომ არ ჩაეკეტათ, უთუოდ ჩავიდოდი ფხოვს”.

შორენა დადუმდა და არსაკიძემ სიტყვა ჩაურთო:

“ასეა, ჩემო, ურმით დადის ბედისწერა ამქვეყნად, რაც უნდა ჩქარა ირბინო,

მაინც წამოგვეწევა ბოლოს”.

“ეგეც სწორია, უტა, ურმით დადის ბედისწერა თურმე, მეც გადავწყვიტე შევურიგდე განგების ნებას.

მცირე იმედი მაინც ჭიატობს სადღაც. გირშელი მთავართა სანათლოის რწყილებმა გააქციეს, ეგებ გიორგი მეფეს თავზე ჩამოენგრა პალატები უფლისციხეში გუშინ.

დროული კაცებისაგან გამიგონია: სარკინოზებთან ომის დროს დაქცეულაო უფლისციხის სასახლე ერთხელ”.

გული მოუკლა არსაკიძეს ამ სიტყვებმა.

ისე საწყალობელი და უმწეო სჩანდა შორენა ამ წუთში, ერთი გაიფიქრა: წავყვები კვეტარში, მთაში გადავმალავ მცირე ხანს, მერმე ლაზისტანში გადავიყვანო ჩუმად, მაგრამ გაახსენდა გიორგისათვის მიცემული ვაჟკაცური სიტყვა, სვეტიცხოველიც დაუმთავრებელი იყო და როგორც ქინაქინის შესმისას შეძაგძაგდება ციებით სნეული, ისე შეირხა ცხენზე და დეზი ჰკრა მას, რათა თავიდან მოეცილებინა ეს საშინელი ფიქრი.

მდუმარედ მიჰყვებოდა არსაკიძე დამრეცილ ბილიკებს და ნატრობდა ვაჟკაცობას ხარირემისას.

XLIX

ხუთივე მხედარი დაუცხრომლად მიაჭენებდა ქორსატეველას ციხისაკენ ცხენებს. როცა ვიწროებს შეუდგნენ, ძლიერ გასჭირდა სწრაფად სვლა. ქორწილზე ეჩქარებოდათ ჭიაბერის ძუძუმტეებს, მაგრამ ქორწილზე მეტად სხვა რამესაც მიესწრაფოდა ბოქაი, ამიტომაც არ ზოგავდა თავის ფეხკავშა ულაყს.

ძმათა შორის ახალგაზრდებს ქეიფი უფრო ახალისებდათ, ტოხაისძისა და კატაის ქორწილში ქეიფი, რადგან კარგი მომღერლები იყვნენ, ხოლო ცცოი, ყველაზე უმცირესი ძმებში, ჩინებულად უკრავდა ქნარს და საკუთარ შაირებს ზედ ამღერებდა ტკბილად.

ამიტომაც ისრის მისაწვდენზე მისდევდნენ უმცროსები უფროს ძმას. ყველაზე ბოლოს ცცოი მიაფენდურებდა თავის თოხარიკ ცხენს.

როცა ქედფიცხელმა ბოქაიმ ცხენი მიაგდო პირველ გოდოლზე, გუშაგებმაც ციხის კარი გაუღეს, ჩამოხტა ბოქაი მარდად, კოჭლობით წავიდა თავადი ციხისკენ.

ხუთივენი მის მაგალითს მიჰყვნენ. იგინიც ოდნავ კოჭლობდნენ სიარულის დროს, რადგან ხანგრძლივ ჭენებას ცხენისას ბარძაყები დაებუჟა მათთვისაც.

ეზოში კოცონები ენთო, მთლიანი ხარები, დეკეულები და ხბორები შეეფიცხებინათ ზედ. თავშიშველა მონები ატრიალებდნენ შამფურებს. კისერს იღრეჯდნენ. ათვალიერებდნენ ციხის ეზოში შემოსულ ოვსებს.

თავადი ციხის კიბიდან ტოხაისძე მოვიდა სწრაფად, მიეჭრა ბოქაის, მარჯვენა მხარზე აკოცა, მერმე დანარჩენ ხუთ ვაჟკაცსაც ასევე მიესალმა.

ბოქაიმ ნეკერჩხლის ქვეშ გაიხმო ტოხაისძე.

სამზერიდან ხედავდა კატაი, თუ როგორ დაცუცქდნენ ორივენი ხის ძირას და იდუმალის გამომეტყველებით ეჩურჩულებოდნენ ურთიერთს დიდხანს.

ისევ ამოვიდა კიბეზე სიძე, ახლა მამამზე ჩამოიყვანა ძირს. მასაც აკოცა მარჯვენა მხარზე ბოქაიმ. უზარმაზარი მკლავებით დასწვდა მახლობლად გდებულ ლოდს. მიუჭირვებლად აიღო და ნეკერჩხლის ქვეშ დააგდო.

ლოდზე წამოჯდა მამამზე, ბოქაი და ტოხაისძე ისევ დაცუცქდნენ მიწაზე და

განაგრძეს ჩურჩული.

"მარტო დიაკვანი ახლდა, ზნაურაი?"

ხმამაღლა შეეკითხა მამამზე ბოქაის.

"არა, ერთი ვაჟიც ფხოვურად ჩაცმული".

"შავგვრემანი? "

"არა, ქერა, მე ვიტყოდი, წითური".

"მაღალი?"

"არა, საშუალო ტანისა" .

"არსაკიძე იქნება, ალბათ".

შენიშნა მამამზემ .

"ჩოფურა, არა?"

იკითხა ტოხაისძემ.

ეს დაადასტურა ბოქაიმ.

"არსაკიძე უთუოდ".

დასძინა ტოხაისძემ.

"შეკოჭეთ და აქ მომგვარეთ სამივენი.

ასე ამბობენ: თავის ძუძუმტეს ყვარობსო კოლონკელიძის ქალი. მე მაგას ვუჩვენებ როგორი გლოვა ეკადრება ჭიაბერის საცოლეს.

ისეთ დილეგში ჩავაგდებ, სანატრელი გაუხდეს მზის შუქი" .

მტკიცედ სთქვა მამამზემ.

"მეფე გიორგი? " ...

იკითხა როყიოდ ბოქაიმ.

"იცი, ჩემო ბოქაი, მე ასე მჩვეოდა ომებში: მუდამ უნდა ეცადო შენ პირველი ემგერო მტერს.

სულ ერთია კატაისა და ტოხაისძის შეუღლებას არ გვაპატიებს მეფე გიორგი. გარდა ამისა, ეს საბაბი იქნება, ჭიაბერის სისხლის ასაღები საბაბი" .

ესა სთქვა და ტოხაისძეს გადახედა მამამზემ.

L

შავი არაგვი შორს იყო ჯერაც, ზნაურას ცხენი დავარდა სავსებით.

ფეხდაფეხ მისდევდა მხედარი, სახრეს უშენდა, ლანძღავდა პირუტყვს.

ბევრს ეცადა არსაკიძე, მაგრამ უგუნებობა ვერ გადაჰყარა შორენას. რაც უფრო ახლოს მიიწევდნენ ფხოვის მიწისკენ, უფრო მოუთმენელი ხდებოდა იგი.

დიაკონი და მისი ჯაგლაგა ცხენი ფრიად აყოვნებდნენ მგზავრობას. სიკვდილს ებრძოდა თავქვე დაკიდული ინდოური, მოეშვებოდა ფეხებზე შებმული თასმა, დაყუნცდებოდა დიაკონი, ახლა ინდოურს დაუწყებდა გინებას. ისევ შეიბამდა წელზე, კვლავ ცხენს დაუშენდა სახრეს.

ცხენს შეაყენებდა შორენა, მოხედავდა ზნაურას კი არა, გზას.

ერთხელ ასეთი რამეც უთხრა არსაკიძეს: მოდი, ზნაურა დავტოვოთ, ჩვენ ორთა ვიაროთო სწრაფად.

გზა არ იცოდა არც ერთმა, კითხვა-კითხვით სვლას ისევ დიაკონთან ერთად სიარული არჩიეს.

მთის ცხვირს ჩრდილიდან შემოუარეს, მაგრამ გზა აღარ იყო უკვე, ხევ-ხევ უნდა ეარნათ, რადგან წყალს წაეღო გზა, ხოლო ხევი ისე დახერგილი იყო ლოდებით, ცხენებს მუცლამდე წვდებოდნენ ისინი.

ხევი მოათავეს, ახლა უფსკრულების შემრეცილ კიდეებს მიჰყვა ბილიკი, მხარმარცხნით მთები იყო, მხარმარჯვნით ქარაფები, ხოლო ქარაფების გადაღმა დეკათი მოფენილი ტაფობი მისდევდა ბილიკს.

შორენას და არსაკიძესაც ტაატით მიჰყავდათ დაღმართში ცხენები.

"გახსოვს, უტა, ტყეში რომ შემოგვაღამდა ერთხელ, ორი დიდოელი თავს დაგვესხა, მე გატაცება მომინდომეს, შენ ხმალი გააშიშვლე, ერთი დასჩეხე, ხოლო მეორე ქარაფიდან გადაიხვეწა. ახლა რომ თავს დაგვესხას ვინმე, ნეტავ, შენ რას იზამ უტა?"

"მე ამის პასუხი მომიცია შენთვის. არ მიყვარს ქადილი. ჩემო".

სწორედ ამ დროს გაიშხუილა მათრახმა და უკანიდან ყვირილი შემოესმათ.

ჩოხიანებს ზნაურაჲ შეესვათ ცხენზე. ორი მხედარი უკან მოჰყვებოდა, მათრახს უშენდნენ ხან ცხენსა და ხან კაცს.

ცხენი შეაბრუნა არსაკიძემ, მშვილდი ჩამოიღო მხრიდან.

წინ გადაუდგა შემობრუნებულ მხედარს ბოქაი.

ხმლისამოუღებლად უყივლა:

დაგვნებდიო!

როცა არსაკიძის მიერ გასროლილი ისარი თვალის უპეში მოხვდა, ჩამოუქროლა, ხმალი ააცდინა და დაუჭრა ცხენი.

გზა ვიწრო იყო. ძლივს იკავებდნენ დუჟმორეულ ულაყებს.

ზნაურაჲ და მისი ჭაკიც გაჩხირულიყვნენ ზედ. ამიტომაც სწრაფად ვერ შემოუტიეს დანარჩენებმა.

შორენამ ისარი მიაყოლა ბოქაის, იგი უკვე უნაგირიდან გადმოკიდებულიყო, მიჰქროდა ცხენი, ხელებით მიფოცხავდა პატრონი მტვერს.

არსაკიძე გადმოხტა, იფარა ცხენი.

ორმა ძმამ ჩამოუქროლეს, უმარჯვოდ მოუქნიეს ხმალი. ცხენი მოუკლეს, დასჭყივლეს. უკან გამოუდგნენ ბოქაის, ორსაც ზნაურა ებღაუჭებოდა; კეტივით იქნევდა დიაკონი ხმალს.

შორენამ აზარაის დაატაკა მკერდულით ცხენი, რაინდი მოერიდა დიაცთან შებმას. არსაკიძეს გადაუქნია ხმალი, თავისი დაახვედრა ბარძაყში დაჭრილმა, მაჯის ქვემოთ წააცალა ხმლიანი მარჯვენა.

ახლა ზაზას გადაუდგა კოლონკელის ასული ცხენდაცხენ, მკლავში სტაცა ვაჟკაცმა ხელი, ორივეს დაუფრთხა ცხენები, არსაკიძეს ჩაუქროლა ოვსმა, ხმალი დააცდინა, ვერც ცხენი შეიკავა დროზე.

ზნაურამ იდროვა ამ აურზაურით, ხელიდან გაუძვრა ცცოის და მიჰყვა ჭენებით შორენას.

ხმალშემართული წამოვიდა ცცოი. ხმალი შეაგება ლაზმა, მაგრამ ასხლეტილი მახვილი მაინც მოხვდა მარცხენა მხარზე. შეჰქანდა, გადაეშვა ქარაფიდან უფსკრულში.

ცხენი შემოაბრუნა ცცოიმ, დასჭყივლა მჭახედ, გადმოხტა, მაგრამ ვერსად მიაბა. ბოლოს მოისაზრა: მოკლულის აღვირზე დაემაგრებინა.

კბოდედან ძირს ჩასვლა დაეზარა, თანაც შეებრალა დაკოდილი ვაჟკაცი, ისევ შემოახტა ცხენს და გაჰყვა დანარჩენ ძმებს.

დიდხანს იკოტრიალა ორგზის დაჭრილმა თავდაღმართში, დეკას კლერტოებს ებღაუჭებოდა, მიგორავდა უფსკრულისაკენ. უვნებლად მიაღწია ხევს, მცირე ხანს იწვა გატვრინული, გრძნობდა, თუ როგორ სდიოდა სისხლი.

ბოლოს წამოდგა არსაკიძე გაოგნებული. ცალი ხელით ჩოხა შეიხსნა, პერანგი

გაიძრო, ხმლით დაჰკეპა იგი, მხარი და ბარძაყი შეიხვია ძლივს.

ხმალს დაბჯენილი ამოფორთხდა გზის პირად. ყური მიუგდო ჩქამს. ადამიანის ჭაჭანება არსაიდან ისმოდა. მხოლოდ ჩხიკვები უხმობდნენ საღამოს, როჭო წიოდა საწყალობლად დეკაში.

ასე ფიქრობდა კონსტანტინე:

სადმე გადავაწყდებიო ცხენოსნებს, შევაკვდებიო მტერს.

ზნაურას ქუდი და მკვდარი ინდოური ეგდო ბილიკზე. გაუვლიათო, იფიქრა, ისევ გამობრუნდა უკან.

მიდიოდა ხმალს დაბჯენილი, მიკელანობდა, იცლებოდა სისხლისაგან, სისხლმოწყურებული.

ცხენების თქარუნი შემოესმა ანაზდად.

კუნელის ბუჩქები შენიშნა ქარაფის კიდეზე. გაინაბა. ხმალშემართული უცდიდა მტერს.

მწუხრი ეშვებოდა მთების უბეებში. დასავლეთისაკენ ელავდნენ ღრუბლები.

სამი მხედარი ჩამოდიოდა დაღმართში. ორი ცხენი თან მოჰყავდათ მარქაფად.

დააცქერდა: შუბოსნები აღმოჩნდნენ.

ოვსები არ უნდა ყოფილიყვნენ ესენი, ჰოროლები თან არა ჰქონდათ ბოქაისა და მის ძმებს.

ქართული ლაპარაკი შემოესმა ჩასაფრულს.

ხმალს ზედ დაეყრდნო, წინ გადაუდგა მხედრებს.

ჰკითხავდა: სხვა ცხენოსნები ხომ არ შეგხვედრიათო გზაზე?

ხევს გადაღმა ვნახეთ ცხენოსნები, ქორსატეველასკენ მიდიოდნენო ტაატით.

სამი რაინდი მიათრევდა მკვდარს. ერთ შეცხადებულ დიაცს ძლივს ამაგრებდა ორი.

მელოტო ბერიკაცი უკან მისდევდაო უქუდო.

შუბოსნები ლარგვისის ციხისთავის წარგზავნილები აღმოჩნდნენ.

როგორც კი გაიგეს, მძიმედ დაუჭრიათო ხუროთმოძღვარი მეფისა, ცხენზე შესვეს და მცხეთისაკენ გააქროლეს დაუყოვნებლივ.

LI

> მახვილო,
> მახვილო, აღსდეგ, რათა ელვიდე ხილვას
> შენსა ამაოსა და მისნობასა შენსა
> ცრუსა.

მეფე გიორგი სავსებით მოულოდნელად ჩამობრუნდა სამშაბათს მცხეთაში. ზვიადმა საკაცით მოაყვანინა სასახლეში ხუროთმოძღვარი მეფისა, წვრილად გამოჰკითხეს მას ყოველივე.

ცხადი იყო, ეს გამომწვევი თავხედობა მამამზე ერისთავისა ომის საბაბის ძიება იყო მხოლოდ.

იმ დილითვე აფრინეს მალემსრბოლი ყველის ციხის პატრონთან.

საღამოს დარბაზის ერნი აწვია მეფემ. ერთხმად გადაწყდა: ერთი კვირიაკეს მოქცევის შემდეგ ლაშქარი წარეგზავნათ, ბალავრიანად ისე დაერღვიათ ქორსატეველას ციხე, მესახსოვრეც არ დარჩენილიყო მამამზის ოჯახიდან.

რაღაც ბედად შავი ჭირი მოეშვა ხალხს.

მეორე დღეს ახალი ცნობები მოიტანეს ზვიადის მსტოვრებმა: მურობი ქალუნდაური და ხუთი ხევისბერი მამამზეს მიმხრობოდნენ. მხოლოდ უშიშა ღუდუშაური შერჩენოდა კვეტარის ერისთავს.

ასე რომ, მარტოოდენ წანარნი და ოვსნი როდი უწევდნენ თანადგომას მამამზეს, არამედ ფხოვის ხევისბერები და მათი ლაშქარიც.

ციხოვანსა და უციხო აზნაურებს წანართა მხარისა ქორსატეველას ბასტიონში გაეხიზნათ დედა-წულნი, საცხოვარი და ხვასტაგი. ციხესთან მისასვლელი ,,იწროები" გაემაგრებინათ, კოლონკელიძის ასული და დიაკონი ზნაურაჲ დილეგში ჩაეგდოთ, ხოლო შორენას საწმერთული, ხოხბისყელისფერი, თავადიციხის ზეთავზე დაეკიდნა ტოხაისძეს.

ხელახლა შეემუსრათ მონასტრები და ეკლესიები, ცხენის ძუაზე გამოებათ მღვდლები.

იმავე დღეს გზირები წარგზავნა ზვიადმა მთაში, ჩრდილოდან უნდა მოეარნათ ქორსატეველას ციხისათვის. მამამზეს წარდგომოდნენ, "ვითარცა კალატოზნი, საშოვარის მაძიებელნი" , რადგან იცოდა გიორგიმ, სწორედ ხელოსნები სჭიროდა იმჟამად ერისთავს, ციხეების შემკეთებელნი.

უშიშარაისძეს, პიპას, ერთი ქისა ოქრო გაატანეს, დაავალეს: რომელიმე გოდოლის კლიტენი ჩაეგდო როგორმე ხელში.

შაბათ დილას კახაი მოვიდა ლაშქრითურთ, სამცხის ჯარების პატრონი, ხოლო ნაშუადღევს გირშელმა მოაწია. ათასი რჩეული მოისარი თან ახლდა ერისთავს, ორი ათასი შუბოსანი, შავშეთელნი, მხოლოდ მიმწუხრზე შემოვიდნენ მცხეთაში დაფდაფების ცემით.

მეორე დღეს უთენია გავიდნენ ჯარები.

სეფე დროშა წარუმძღვარეს ლაშქარს, დროშას ჯვარის მტვირთველი და მთავარეპისკოპოზი მიჰყვებოდა თოროსან ცხენზე შემჯდარი, თავათაც თორი ეცვა რაჟდენს.

გირშელი მემარჯვენე ლაშქარს უსარდლეს, სამცხის ჯარებს კახაი, ხოლო მემარცხენეს ზვიად სპასალარი.

მეფე მოგვიანებით გავიდა მცხეთიდან, აფხაზ მოისართა ერთი ათასეული, ექვსასი შუბოსანი ქართლელი და ლოდსატყორცნები უკან მიჰყვებოდა მეფის ამალას.

თავის ოქროსფერ ულაყზე იჯდა გიორგი, ბაგრატეული მუზარადი ეხურა, ოქროცურვილი, სალმასურის თორი ეცვა ვერცხლისა.

გირშელი დაუზოგავად მიერეკებოდა ჯარებს, იხოცებოდნენ ქუშამომჯდარი ცხენები, ყველის ციხის პატრონმა გადაასწრო ზვიადისა და კახაის ათასეულებს.

ბინდდებოდა, როცა ქორსატეველას ციხე გამოჩნდა, ოთხი გზირი შემოეგება ერისთავის ლაშქარს.

უშიშარაისძე პიპა და სამი მსტოვარი კალატოზებად აეყვანა ტოხაისძეს მიწისძვრისაგან დაზიანებული გოდოლების შესაკეთებლად, ვიწროები საგორავებითა და ხანდაკებით გაამაგრესო.

ტოხაისძე ოვსთა ჯარით დაგიხვდებაო ვიწროების ყელთან. ქორსატეველას ექვსი ათასი მეომარი იცავსო, წანარნი, ფხოველნი და ოვსნი.

უკვე შეღამებული იყო, როცა ზვიადი წამოეწია გირშელსა და მის ლაშქარს. ყველის ციხის პატრონი ვეღარ ითმენდა, შეღამებამდის ვეძგეროთო იწროებს.

სპასალარი დილამდის არ აპირებდა შეტევას. წალაპარაკდნენ გირშელი და ზვიადი, სამცხის ჯარების პატრონი ჩაერია მათ პაექრობაში. როგორც იქნა, დაუჯერა გირშელმა კახაის, ერისთავთაგანს უხუცესს.

ბოლოს მეფემაც მოაწია და ტყეში გაათია სამივე ლაშქარმა ღამე.

გარიჟრაჟზე ნისლი დაეცა ტყეს.

გათენდა, მაგრამ ჯანღი არ აპირებდა გაფანტვას.

გირშელის სპანი გამოვიდნენ პირველად ველზე, აქ კი სავსებით უცნაური სანახაობა დაუხვდათ შავშეთელებს. იწროების ყელთან შავნაბდიანი მხედრები იდგნენ, ჯერ ისრები დაუშინეს სპათა. ხმა არ გაიღეს შავით მოსილთა.

მაშინ შემართული ჰოროლებით ეძგერნენ გირშელის ცხენოსნები შავნაბდიანებს მხარმარცხნიდან. მხარმარჯვნიდან ზვიადის ჯარებმა შეუტიეს მტრებს, მაგრამ სად იყვნენ მტრები?

საომარი ხრიკი ეხმარა ტოხაისძეს, ველზე დარჭობილ ჯოხებისათვის ჩაეცვათ ნაბდები, მთიულური ქუდები ზედ დაეხურათ.

როცა ეს საფრთხობელები გადალახეს მეწინავე მხედრებმა და სიცილით მიაშურეს ვიწროებს, ველზე გამართულ ხანდაკებიდან ამოცვივდნენ ოვსები და ფხოველნი. ჰოროლები აძგერეს სამეფოის სპათა. ცხენები დაუხოცეს მეწინავეებს.

სამი მხრით შეუტიეს გირშელმა, კახაიმ და ზვიადმა. უკუაქციეს მეამბოხენი. იწროებში შერეკეს მტერი.

იწროებს ქარაფები ახლდა მარჯნითა და მარცხნით, ცხენოსნები ზედ ვერ ადიოდნენ. ოვსნი და ფხოველნი თხებივით დახტოდნენ, ქვებსა და ისრებს უშენდნენ ხევში შემოსულ ლაშქარს, ღრიალებდნენ, კვარის ჟინჟღილებს ატრიალებდნენ, ამგვარად აფრთხობდნენ ცხენებს.

სცეს საყვირები შავშეთელებმა და ეკვეთნენ ოვსებს. მაშინ დაუშვეს ქარაფებიდან საგორავები, იჟლიტებოდა ცხენი და კაცი, ფრთხებოდნენ გახელებული ულაყები, კლდეზე ახლიდნენ თავიანთ მხედრებს.

შედრკნენ შავშეთელნი და სამცხელნი, უკუქცევას დაადგნენ წინანი, ხმალი იშიშვლა სამივე სარდალმა, უყივლეს მონასპებს, შებღავლეს ჯარს: "მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი!"

ისევ დაუშვეს ქარაფებიდან საგორავები. თვალის დაფახულება ერთი, ცხენსა და კაცს სისხლის გუბედ აქცევდნენ ლოდები.

ქვის ნამსხვრევებიც თვალებს უვსებდნენ მხედრებს.

ცხენი გამოუკლეს გირშელს, კახაის პირში ეცა კაჟის ნამუსრევი. ბაგეებიდან გადმომსქდარმა სისხლამა შეღება მისი მშვენიერი, თეთრი წვერი.

გირშელი ქვეითად გაუძღვა თავის ჯარს. წარბიც არ შეუხრია კახაის. ჰოროლსა სცემდა მოხუცი სარდალი ოვსებს თანაც ამხნევებდა სამცხელ შუბოსნებს .

სისხლში ამოგანგლული მხედრები და ცხენები აქელებულნი მიდიოდნენ აღმართში, ჰოროლითა და ხმლით ჰკაფავდნენ მტრებით დახერგილ გზას.

ბოლოს, ჭილყვავივით გამოცვივდნენ ხმალშემართული ოვსები. შემზარავი ყიჟინით შეებნენ მეწინავეთა. შედრკა გირშელის ლაშქარი. უკუიქცნენ დაფეთებული ცხენები.

რა დაინახეს მეფე გიორგი მოდისო, ისევ შებრუნდნენ ნაგვემი მხედრები.

დაწინაურდნენ აფხაზები და ქართლელები. ომებში მრავალნაცადი მახვილი გააშიშვლა მეფემ. დეზი ჰკრა თავის ოქროსფერ ულაყს.

სწორედ ამ ადგილას ფართოვდებოდა ხევი. გადმოიჭრნენ ლოდების საფარიდან ოვსთა და წანართა აზნაურები. ოვსთა თავადი მიუძღოდა მათ თუზარაი. ყორნისფერ ულაყზე იჯდა ყორანზე უშავესი დევკაცი.

ხმალშემართულმა მოაშურა მეფეს. შემოუქნია გიორგიმ მახვილი სამკლავიანად წააჭრა მკლავი.

დაწინაურდნენ აფხაზები და სამცხელები სცეს ჰოროლები წანარებსა და ოვსებს თხების არვესავით წინ გაირეკეს აზნაურები.

იწროები მოათავეს თუ არა, ტოხაისძე შეება ოვსთა ჯარით გიორგის. ჩალის ღერებივით დაულეწეს მთეულებს ხმლები სამეფოის სპათა, უკუაქციეს მტერი.

ტოხაისძე დაიჭრა მსუბუქად, სამი აზნაური დასტოვა ველზე, ასიოდე მხედარი და ერთიც, ხევისბერი, მისურაული ზეზვაი.

ციხეში შებრუნდა ტოხაისძე, დაგმანეს გოდოლის კარები.

მეფემ ბრძანა და ზვიადმა კაცი მიუგზავნა მამამზეს:

ნუ დაგვაღვრევინებო ამაოდ სისხლს მეფის სახელით ჰპირდებოდა: კიდე ერთხელ გაპატიებთო განდგომას. ბაგრატ კურაპალატის სიყრმის მეგობარს. თავადიციხეც უვნებლად დაგრჩებათო სიბერისათვის შენ და ბორდოხანს.

შემოთვალეს ციხიდან: დედოფალი მობრძანდესო, თუ მარიამ მაცხოვრის ხატზე დაგვიფიცავს, მხოლოდ იმას მივენდობითო.

უპასუხა ზვიადმა მოციქულების პირითვე :

ავადააო დედოფალი, უფლისციხეში.

მაშინ მეფემ ბრძანა და საფარები ააგებინა ციხის მისასვლელებთან, ლოდსატყორცნებიდან დაუშინეს ოთხივე გოდოლს.

ახლა მამამზემ გამოგზავნა შუაკაცები:

მელქისედეკ კათალიკოსი მოვიდეს, უფიცოდ ვენდობითო მღვდელმთავარს.

არტანუჯშიაო მელქისედეკ კათალიკოსი, დააბარა ზვიადმა წარგზავნილს. მცხეთის მთავარესპიკოპოზი რაჟდენი მოვაო კათალიკოსის ნაცვლად.

კარავი დაადგმევინა პირველი გოდოლის მახლობლად მამამზემ.

თავის კარავიდან უჭვრეტდა გიორგი.

გამოვიდა თეთრწვერა, ახოვანი მამამზე, გაფითრებული სავსებით.

უთოროდ, უმუზარადოდ, ჯვარაპყრობილი მიეახლა რაჟდენი.

დაიჩოქა მამამზემ. ცალი ხელით ხმალს დაებჯინა. ჯვარს წაეპოტინა ცალითაც. ეამბორა ზედ. შემდგომ ამისა ეპისკოპოსს ემთხვია ხელზე.

მცირე ხანს ისაუბრეს ორთა: ბოლოს ისევ ციხეში შევიდა ერისთავი, და რაჟდენმა ეს მოახსენა მეფეს:

მამამზე შევრდომებას მოითხოვდა არა მარტო თავისთვის, ოსთა და წანართა აზნაურებსაც არ უნდა ვნებოდა რაიმე, ქორსატეველას ციხის პატრონად უნდა შეერაცხა მეფეს ერისთავის ასული კატაი, და მისი ქმარი ტოხაისძე შავლეგ.

კოლონკელიძის ასული ოსთა მეფის უმცროს ვაჟს, ვარაზს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, კვეტარის ციხე მზითევად უნდა რგებოდა შორენას.

თორი ჩაიცვიო, ეუბნება კათალიკოსის მოსაყდრეს მეფე, უსიტყვოდ გავიდა კარავიდან, სამასი მონასპა წარგზავნა ქორსატეველას ბასტიონის გარშემო მცველად გზებისა,ხუთი კალატოზი წყაროების მოსაწყვეტად გაატანა მათ.

გირშელ ერისთავმა აიჩემა: მე ავიღებო პირველ გოდოლს მზის გადახრამდის. ზვიადს არ ეპრიანა ეს, მაგრამ დადუმდა. მეფემ ბრძანა და სეფე დროშა აიღო დროშის მტვირთველმა. სცეს საყვირები სამეფოის სპათა და მიუშვეს პირველ გოდოლზე გირშელის ლაშქარი.

კვლავ გააშიშვლა ყველის ციხის პატრონმა მახვილი, სარკინოზების სისხლით შესვრილი მრავალგზის.

ჩამოეგებნენ ხმალამოწვდილი აზნაურები ციხიდან, მაგრამ დაწინაურდა გირშელი, თივასავით დასცელეს მეციხოვნე სპანი შავშეთელთა.

ქოსსა ჰკრეს ქორსატეველას ციხეში. ახალი და ახალი რაზმეულები მოერთვნენ

პირველი გოდოლის მცველ ფხოველებს. ისევ გამოუკლეს ერისთავს ცხენი, მისწვდა განრისხებული გირშელ ცხენის მკვლელის ბედაურს უკანა ფეხზე. ბატკანივით დაითრია იგი და მხედრიანად გადასტყორცნა კბოდედან.

ახალი ცხენი მოართვა მეაბჯრემ, ფიცხლად მოახტა, ისევ უყივლა რისხვიანად ჯარს, ისე დაერია ოვსებსა და წანარებს, როგორც ავაზა ძუ მწევრებს, ბოკვერების წარმტაცებელთა.

"მაშინ ჩამოუშვეს გოდოლის ჩარდახიდან საგორავნი ურიცხვნი, დაასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვიმისა. შე იქმნა სიმრავლე ისრისა, ვითარცა სეტყვა, ზემოდან ნატყორცნმა ისარმა ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაიარა, სანახევროდ ჩაერჭო მიწაში".

შედრკნენ შავშელები, მაგრამ ისე უყივლა ლაშქარს ერისთავმა, კვლავ გამართეს ჰოროლები გირშელის სპათა, ცხედრებზე მიაბოტებდნენ მხედრები და ცხენები, გორგალივით მოგორავდნენ დაღმართში, ზოგნიც ჭიხვინებდნენ და სცვივოდნენ მხედრიანად უფსკრულში, ილეწებოდნენ ჯაჭვის პერანგები, გოგრებივით სქდებოდნენ მუზარადები.

მოუთმენლობამ შეიპყრო გიორგი, თრიაქსა სწევდა დაუცხრომელად, აღარ იცოდა, რომელი უფრო შეაწუხებდა: გირშელის გამარჯვება, თუ დამარცხება?

ზვიადი ნაწყენი იყო გირშელის მიმართ, პირველი გოდოლის შელეწვაც თავათ ეწადა, იცოდა, არც მეფეს უხაროდა ეს. გულის გარედან ეუბნება გიორგის:

მაშველ ჯარს თხოულობსო ყველის ციხის პატრონი.

ასე ვარაუდობდა მეფე: თუ პირველ გოდოლს გირშელი აიღებდა, თავადიციხე მას დარჩებოდა, გაახსენდა: მცხეთაშივე დანაქადნები მის მიერ: ქორსატეველა თუ ავიღე , მეორე დღესვე შევირთავო კოლონკელიძის ასულს.

ბრაზი წაეკიდა ამ ამბის გულში გამვლებელს, ახლა იგიც მოაგონდა: მოგაცილებო გირშელს, შორენას რომ შეჰპირდა ავაზებით ნადირობისას. ეუბნება ხმადაბლა სპასალარს:

"მე ასე მგონია, ზვიად, ამაოდ შეაწყვიტა პირველ გოდოლს გირშელმა სპაი".

მერმე ეს უნდოდა ეთქვა: ნუ მიაშველებო ლაშქარს, მაგრამ ბაგენი მოკუმა და მცირე დუმილის შემდეგ ასე უთხრა:

"უკუიხმე ახლავე ერისთავი, ღამეს შევუცადოთ, ეგებ ციხის კლიტენი მოგვაწოდოს პიპამ".

"მეც ასე მგონია, მეფევ ბატონო, კარგი ვაჟკაცია ერისთავი გირშელ, მაგრამ მოქნევას მოზომვა სჭირია წინასწარ. თუ თქვენი ბრძანება იქნება, ინათლებს თუ არა, მე გავუძღვები აფხაზთა ათასეულს და სამცხის ჯარებს, მზის ამოსვლამდის ჩაგაბარებ პირველ გოდოლს ".

მოახსენეს თუ არა გირშელს, უკუქცევას გიბრძანებსო მეფე, განრისხდა ერისთავი. ახლა ჯიბრზე გაუდგა სისხლისმიერ ნათესავს. თანაც გაახსენდა ფხოვში ნათქვამი მის მიერ: ჩემთან ჯიბრი გადაგიტანსო, გირშელ. მაინც არ შედრკა უჯიათი ვაჟკაცი, რომელსაც დასცინოდა კიდევაც ხუმრობით მეფე: რწყილებისა და ავაზების გეშინიაო.

კვლავ შეუზახნა ლაშქარს, სცეს საყვირები შავშეთელებმა ხელახლა, დაწინაურდა გირშელ, გააალმასა ხმალი და ისე შეება მტერთა სიმრავლეს, როგორც ავაზა მთელს ქარავანს სპილოებისას.

შედრკნენ ოვსნი და ფხოველნი. ტოხაისძემ ციხის კარებთან დასტოვა კავკასიონის ნაძვებივით აშოლტილი ვაჟკაცები, მკერდგანგმირულნი, ციხეში შეასწრო თავათ.

ხელახლა გადაჰკეტეს გოდოლის კარნი.

მაშინ უბრძანა ყველისციხის პატრონმა შავშთა ათასეულის უფროსს: შესტეხეთო ციხის კარები.

როგორც იქნა, შეანგრიეს რკინის ჭიშკარი.

პირველი შეიჭრა გააფთრებული ერისთავი გოდოლში, ხევისბერი მუროჩი ქალუნდაური შემოეგება ხმალშემართული. შემოუტია მამაცმა ბერიკაცმა გირშელს, გადმოუქნია ხმალი, აქაც არ შედრკა ერისთავი, ხმლის გამართვა ვეღარ მოასწრო, ლაჯებში სცა მახვილი მტერს .

წაიქცა ხევისბერი თუ არა, ეძგერა ერისთავს გოდერძი ქალუნდაური, გიორგის მიერ ნაჩუქარი ხმლით გადაუჭრა მახვილი, მეორეჯერ შემოუქნია, თორიანად გააპო გირშელ.

ისევ ჩაჰკეტეს გოდოლის კარები, უკუიქცნენ მოზღვავებულნი სპანი.

*

ბინდმა გაჰყარა მებრძოლნი.

ბანაკი დასცეს ციხის გარშემო სამეფოის სპათა, კოცონები აანთეს, გზები შეჰკრეს და წყაროები მოსწყვიტეს ირგვლივ.

ნაშუაღამევს თითისტარი დაეცა მეწინავე გუშაგების ფერხთით, პირველი გოდოლის კლიტენი ზედ იყო მიბმული.

ახლა წიგნი დაახვიეს თითისტარზე.

მეფე ეკითხება უშიშარაისძეს, პიპას: რა ბედი ეწია ყველის ციხის პატრონს?

ისევ გადმოაგდეს თითისტარი.

ფხოველმა, გოდერძი ქალუნდაურმა ხმლით აკუწაო გირშელი.

მთელი ღამე არ სძინებია მეფეს. იგონებდა ყრმობას, გირშელთან გატარებულს, მასთან ალერსსა და მასთან გაჯიბრებას.

ფხოვი მოაგონდა და ძმადნაფიცი ქალუნდაური.

გამოუტყდა თავისთავს: უხაროდა დედის დისწულის სიკვდილი. გუშაგები ყიოდნენ ბნელში, ცხენები ტკბილად ახრამუნებდნენ თივას, გიორგი პირქვე იწვა თავის კარავში და ფიქრობდა თვალდახუჭული.

როცა მამლებმა იყივლეს ქორსატეველას ციხეში პირველად, მან გადასწყვიტა მტკიცედ: თუ შორენას უვნებლად გამოიყვანდა ციხიდან, ერთ კვირაში ცოლად შეერთო იგი.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა საყვირები სცეს სამეფოის სპათა. ციხისთავმა კაცი გამოუგზავნა, პატიება ითხოვა მამამზემ. პასუხი არ გასცა მეფემ. ლოდსატყორცნები დაუშინეს ოთხივე გოდოლს.

მაშინ ამოსცვივდნენ თავადიციხისა და გოდოლების ჩარდახებზე მამამზის სპანი, ჯვრები ეჭირათ ხელში, ყვიროდნენ:

"მზე გრძელი იყოს მეფე გიორგი" .

სამზერებიდან, ქონგურებიდან უჩვენებდნენ გარს მოჯარულ ლაშქარს ხის ჯვრებს და კვლავ ყვიროდნენ:

"მზე გრძელი იყოს მეფე გიორგი" .

გიორგის აღარ უნდოდა სისხლის ღვრის გაგრძელება, მაგრამ ზვიადი ურჩევდა: ეგ ტოხაისძის მიერ მოგონილი ხრიკიაო, ახალი, ციხეში შეგვიტყუებენ, საგორავებს დაგვიშენენ, თავებს წაგვაჭრიანო დიდსა და მცირეს.

მაშინ გაუსია მეფემ ლაშქარი ოთხივე გოდოლს, მხოლოდ მესამე დღეს შელეწეს თავადიციხის კარები, ციხისთავი შემოეგება მეფეს, სამი გოდოლის

კლიტენი მოართვა, ფერხთით დაუვარდა გიორგის.

პირველი გოდოლის კლიტენი რა უყავიო?

ეკითხება მეფე.

მოიპარესო, მეფევ ბატონო.

კარგად იცოდა მეფემ, უშიშარაისძემ პიპამ რომ მოისყიდა ციხისთავი.

ზვიადს მიუბრუნდა: თავი მოსჭერით პატრონის მოღალატეს და მამამზე ერისთავს მიართვითო ახლავე .

თავადი ციხის მთავარ დარბაზში ჩაკეტილიყო მამამზე, როცა მეფის ძღვენი მოართვეს, გაოცდა ფრიად.

გიორგი და ზვიადი შეიწვია დარბაზში, ფერხთით დაუვარდა მეფეს, მუხლზე აკოცა და პატიება ითხოვა.

წარბიც არ შეუხრია გამარჯვებულს.

ეკითხება:

ჩემი ძღვენი თუ მიიღეო?

მადლი მოახსენა ერისთავმა.

"ასე მჩვევია, ერისთავთ-ერისთავო, მე. მოღალატეს არ უნდა შერჩეს თავი მხრებზე. შენ გინდოდა გაგეგო ძვალთა და რკინათა მკვეთელი რკინის საიდუმლო როგორმე, ამასაც გამოცდი საკუთარ თავზე ".

გაიყვანეთო, ბრძანა ზვიადმა.

ციხის ზეთავიდან ჩამოიღეს შორენას საწმერთული, მამამზე ერისთავის ჭაღარა თავი აღმართეს ზედ.

ტოხაისძეს საბელი მარყუჟად მოახვიეს ყელზე, ორ ცხენს მიაბეს საბელის თავები, სცეს ორთავეთა ამიერ და იმიერ, თავი წაწყვიტეს სახლთუხუცესს.

ოთხი ხევისბერი მოაშთვეს იმ დილით.

ქორსატეველას ციხე ზღუდიანად დაარღვიეს.

შორენა გაჭაღარებულიყო ტყვეობში სრულიად, მაინც ჰშვენოდა მშვენიერი მხცით შემკული თმა.

მცხეთაში ჩამოიყვანეს ერისთავის ასული, გურანდუხტს ჩააბარეს ისევ.

ძლივს მოჰკრიფეს გირშელის ცხედარი, ასო-ასოდ აკუწული ფხოველთა მიერ. იტირეს წესისამებრ და სამთავროში დაფლეს, კანკელის წინ, სწორედ იმ ადგილას, სადაც მეფეებს, კათალიკოსებს და ერისთავებს ასაფლავებდნენ წესისამებრ მაშინ.

LII

მელქისედეკი ცას ეწია სიხარულისაგან, რადგან მის მიერ ჩამოყვანილ ბიზანტიელ სტუმრებს მოთავებული დაახვედრეს სვეტიცხოველი. ნამგზავრი, ნაავადმყოფარი ძლივს ჩამოიყვანეს ბერებმა ცხენიდან. იმ საღამოსვე ტაძრის ეზოში გაჩნდა.

ლოცავდა კალატოზებსა და კირითხუროებს, მაგრამ ფრიად დამწუხრდა, როცა ამცნეს: მძიმედ დაჭრილი ხუროთმოძღვარი ფეხზე ვეღარ დგება, ამიტომაც ვერ დაუხვდაო შენს უწმინდესობას.

დიდძალი შეწირულებანი ჩამოიტანა კლარჯეთის, სამცხის და ჯავახეთის მორწმუნეთა, აზნაურთა და უაზნოთა მიერ მორთმეული.

შეამკო და მოკაზმა ტაძარი ოქროითა და ვერცხლითა. შეჭედა თავათ ”სვეტიცხოველი", კანკელნი და კარნი საკურთხევლისანი, დაასვენა პატიოსანი

თვლებით დამშვენებული ხატი, ბასილი კეისრის მიერ გამოგზავნილი, თავათ გამოიღო ორმოცდახუთი, ოქროითა, ვერცხლითა შემკობილნი, თვალითა და მარგალიტითა მოოჭვილნი, ოქროს ფორტლითა დაწერილნი.

დიდის ამბით ჩამოასვენეს ნოკორნადან ჯაჭვით ნაბამი წმ. გიორგის ხატი ოქროისა, უცნობი ქართველი ოსტატის მიერ შესანიშნავად ნაქანდაკები (ურჩხულის ქერეჭი და სამფარეშოსანი ჯაჭვის თვლები იგავმიუწვდენელი ხელოვნებით იყო ზედ გამოყვანილი).

მოატანინა საყდრის საკაზმნი, მრავალგვარნი საკითხავნი, მატიანენი, საკმეველნი, საკელაპტრენი-ოქროითა, ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით დამშვენებულნი სრულად.

დაჰკიდა ოქსინონი, სკარამანგნი დიდ-დიდნი, კეისრის მიერ ბოძებულნი. სკარამანგნი სხვანი, უფრო მშვენიერნი, გარშემო ოლვილნი, განსვენებულის, ბაგრატ კურაპალატის მიერ ნაბოძებნი.

შესწირა სვეტიცხოველს სოფელნი “ძმათა თვისთა განძითა ნასყიდნი", კლარჯეთს, ჯავახეთს, ტაოს და ქვემო ქართლს.

(მათ გამოც შეუვალობის სიმტკიცე ჰქონდა ნაბოძები თავის გამზრდელის, ბაგრატ კურაპალატის მიერ).

ბოლოს, თავათ დასწერა სიგელი. ყოველივე საბადებელი ტაძრისა აღნუსხა წვრილად და გაუგონარის სიმკაცრით დასწყევლა ყველა, "ვინცა რამამანცა კაცმა რაიცა დააკლოს და შესცვალოს".

. . , :. . . . . .

LIII

ტაძრის კურთხევის დღეს დაიძრა ხალხი ნიკოფსიასა და დარუბანდს შორის გადაშლილ საერისთავოებიდან. არც ტაძარში, არც მის ეზოში და არც მცხეთაში ეტეოდნენ სტუმრები.

მელქისედეკ კათალიკოსი სწირავდა, თორმეტი თანამწირველი ეპისკოპოზიც ქართულად და ბერძნულად.

გიორგის ბერძნული ლაპარაკიც სძაგდა, ამიტომაც დაღვრემილი უსმენდა ბიზანტიელ არქიელებს. დიდის პათოსით ღაღადებდნენ და ღიღინებდნენ ისინი ამ მშვენიერ ენაზე.

ნაწირვებს დადგა კანკელის წინ მგლისებრ თვალებიანი, ჩია მოხუცი, ჯერ ოდნავ უხალისოდ ლაპარაკობდა თითქოს, თავდაპირველად ავლში გახვეული ნაღვერდალივით ღვივოდნენ სიტყვები.

ათასგზის განაგონ ბიბლიურ მითებს უტრიალებდა მელქისედეკი, მაგრამ ისე ამოდ ჰყვებოდა ამას ყოველივეს, გატვრინული უსმენდა დიდი და მცირე.

ყოველი მისი სიტყვა მტკიცე იყო, როგორც სპილენძი, და სწორედ ისე, როგორც თრიაქი შეუმჩნევლად მოედება ხოლმე გულს, ძარღვებში სისხლს ააჩქროლებს, აზვავდება ოცნება, ქვიშის კიბეს მიადგამს ცას, ასე დაეუფლა იგი სპილენძივით მტკიცესა და თრიაქივით დამათრობელს, სალმასურის ჯაჭვივით ელვარე ქართულ სიტყვას და შეატოქა იგი აგრეთვე მშვენიერსა და აგრეთვე ვაჟკაცურს ბერძნულს.

მელქისედეკის აზრები როდი ხიბლავდა გიორგის, არამედ უცნაური

რიტორობა მისი, ამიტომაც პირველად თავის სიცოცხლეში უდიდესის სიყვარულით უსმენდა კათალიკოსს.

თავის ქადაგებაში ორი რამ საგანგებოდ აღნიშნა მელქისედეკმა. "წმინდათა სწორი დედოფალი მარიამი", ამ ტაძრის დიდი მოამაგე, ავად გახდაო იერუსალიმს გამგზავრების კვირაძალში.

ახლა არსაკიძის ხიფათის ხსენება დააპირა, მაგრამ მოერიდა დედოფლის გვერდით მის მოხსენებას, ერთბაშად ისევ ბიბლიურ მითებს მიუბრუნდა, ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანას შეეხო, ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოსო, როგორც ღმერთი.

დიდის ტაქტით მიუბრუნდა ანტიოქიის პატრიარქთან ურთიერთობას, აქ სარკინოზებს გადასწვდა, გზები მოგვიჭრესო მაგ წყეულებმა. არსებითად უხაროდა კიდევაც გულში, რომ სწორედ ამის გამოც დაჰკარგა ანტიოქიის პატრიარქმა ის ათასი ოქროს დინარი, ხარკად შეწერილი ათას ქართულ სოფლისათვის.

არ უხსენებია იგიც, როცა გზა გაიხსნა, გიორგი მეფის ხმალმა რომ გადასჭრა გზა.

ამ ადგილას უფრო გულმოდგინედ მიუგდო გიორგი მეფემ ორატორს ყური, რადგან მელქისედეკი 1021 წლის ზავს შეეხო. ქვეყანამ იცოდა: სწორედ გიორგის ხმალმა გაჰკვეთა ის საბელი, რომლითაც ბიზანტიის ეკლესია ბოჭავდა ქართულს.

ბოლოს იგი მოიგონა, ვისი ხსენებაც გულით ეწადა პირველად.

"წყეულმა ოვსებმა" . მძიმედ დაგვიჭრესო სვეტიცხოვლის ამგები, დიდოსტატი არსაკიძე, კიდევ ერთხელ შეაჩვენა რატომღაც ოვსები, "უსაჩინოესი ერისთავის, გირშელის მკვლელნი" .

მოათავა თუ არა ქადაგება, საკაცით შემოაყვანინა კონსტანტინე არსაკიძე.

თვალი მოავლო ოსტატმა ოქროითა, ვეცხლითა და პატიოსანი თვლებით მოკაზმულ ტაძარს, ცრემლი დაიძრა, მაგრამ დაიოკა მღელვარება, ჩუმად, სავსებით ჩუმად წაიბუტბუტა:

"იქმენინ ნათელი!"

კათალიკოსმა თვალი დაადგა ცვილივით გაყვითლებულ სახეს, მიეახლა, შუბლზე ეამბორა, მერმე გაბრუნდა, გვერდით ჩაუარა, როგორც კეისრის მიერ ნაბოძებ ღვთისმშობელს, ისე აურაცხელ წმინდანების ხატებათ, ჯიქურ მივიდა უცნობი ქართველი ოქრომქანდაკებელის მიერ შესრულებულ წმ. გიორგის ხატთან.

ორივე ხელი მოსჭიდა, ადგილიდან დასძრა და შეჰღაღადა:

განკურნეო დიდოსტატი არსაკიძე .

მერმე მთელმა ერმა, ტაძრის შიგნით და ტაძრის ეზოში შებღავლა ღვთაებას:

"განკურნე დიდოსტატი! "

შორენა და გურანდუხტი ერისთავთა დედაწულებთან იდგნენ, როცა კოლონკელიძის ასულმა არსაკიძის დალეულ სახეს თვალი ჰკიდა და განკურნეო, იგრიალა ტაძარმა, მას ხმა ჩაუწყდა ხორხის არეში, დაიჩოქა, ილოცვიდა თავის სიყრმის მეგობრის განკურნებისათვის, მანდილოსნების ფარჩის კაბებს ამოფარებული სტიროდა, ევედრებოდა წმინდანს.

გურანდუხტმა უკმაყოფილოდ ზეაწკიპა წარბები, შორენას ქვითინი რა შემოესმა, აცახცახდა.

ვაᲲთუ მეფის ყურამდის მიიტანონო ეს ამბავი! რადგან მეფე გიორგიმ პირადად ამცნო მას, როგორც კი იერუსალიმს გაემგზავრება დედოფალი, მეორე დღესვე შევირთავო შორენას.

სწორედ ამიტომაც ღელავდა: ,,ვიღაც მდაბიორი კალატოზის, ისიც ლაზის"

განკურნებისათვის რად აწუხებსო მომავალი დედოფალი წმ. გიორგის?

LIV

დიდი დროშა კარის ალაგთან იდგა.

მეფესთან სადილად აწვიეს იმავე დღეს ერისთავები დედაწულიანად, ბიზანტიელნი, პატრიციები, მიტროპოლიტები და ეპისკოპოზები.

მელქისედეკ კათალიკოსი, ზვიად სპასალარი, მთავარეპისკოპოზი რაჟდენი, ჭყონდიდელი, ანჩელი, მაწყვერელი და მტბევარი თავთავის ალაგას იდგნენ, ხოლო მხარმარცხნით - ბიზანტიელი დიდებულები; კატეპანი ნიკიფორე კასავილა, პატრიციუს ქრისტეფორე დელფოს, სევასტოს თეოდორე ლამპროს (სამივენი ვერცხლის ფორიანნი, უხმლოდ), ამორელი მიტროპოლიტი კამახა, სმირნელი იოანე, როდესელი არქიელი ეპიფანეს, ტრაპეზუნდელი რომანოზ და თორმეტი უდაბნოთანი ქართველნი.

მეფემ უბრძანა მანდატურთწინამდგომს და მან არგანი დააგდო.

ამირეჯიბმა აიღო იგი.

მანდატურთწინამდგომი მთავარი ტახტის წინაშე მიდგა.

პური მოიღეთო.

ბრძანა მეფემ.

პურის წინაობა იურვა მანდატურთწინამდგომმა.

კათალიკოსი, სპასალარი, განმგეთუხუცესი, დიდებულები და სტუმრები ზეწამოდგნენ.

მეფე გიორგიმ კათალიკოსი აწვია პირველად.

სუფრა აკურთხა მელქისედეკმა, ილოცა, პირველად მანვე გასტეხა პური.

ტაბაკი მანდატურთწინამდგომმა და ამირეჯიბმა დასდგეს. მოიტანეს სამეფოის ტაბლანი ოქროისა და ვერცხლისანი, მოიღეს სამწდეურნი ბაგრატეულნი, ოქროსანი სრულად.

ოქროს ტაბაკზე მარგალიტით მოოჭვილი კოვზი იყო, ვერცხლისტარიანი, ერთი.

ახლა მოლარეთუხუცესი წამოდგა, მანდატურთუხუცესი თავის ადგილზე დაჯდა.

კათალიკოსს, ჭყონდიდელს, ქართველ და ბიზანტიელ დიდებულებსა და ეპისკოპოზებს ამირეჯიბმა დაუდგა ტაბაკი.

განმგეთუხუცესმა სამ-სამი ჯამი მოართვა თითოთა.

საწოლის უხუცესი მწიგნობართუხუცესის გვერდით მოთავსდა, მათ მიჰყვნენ ხელოსანნი და ხელისუფალნი, ბოლოს მერემეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი.

ლოყებღაჟღაჟა, გრძელულვაშიანი, ნიკაპგამოპუტული ჭაშნაგირი იდგა.

მოჰქონდათ შეჭამადი მრავალნაირი, ხელისგულზე ისხამდა, თავათ სინჯავდა ყველაფერს. მოიღებდნენ ღვინოს მრავალგვარს, პირველად მოსვამდა ჭაშნიკს.

კატეპანს, ნიკიფორე კასავილას მოვლილი ჰქონდა მთელი მსოფლიო, ხატაეთიდან ირლანდამდის.

მაინც გაოცებული შესცქეროდა ოქროისა და ვერცხლის ჭაღებს, დიდი დარბაზის კუთხეებში დადგმულს, ბაგრატეულ სამწდეურებს, ოქროს ლანგარებს, აზარფეშებს და ფიალებს, ხატაურ და ირანულ ჭურჭელს.

უთვალთვალებდა უცნაურ ცერემონიებს საქართველოს მეფის ბრწყინვალე სასახლისას.

საქართველო მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ნახევრად წარმართული სამეფო.

სარკინოზთა ხალიფების კარზე ელჩად ნამყოფს უკვირდა: მუსლიმების დარად ხელით როდი ჭამდნენ, არც ყაყანებდნენ პურობის დროს, პირიქით, სავსებით მდუმარედ შეექცეოდა დიდი და მცირე სადილს.

ბიზანტიელი ეპისკოპოსები მეფის სუფრაზედაც განაგრძობდნენ კამათს აღდგომის კალენდარის გამო.

(იმჟამინდელ ბიზანტიაში დიდი პოლემიკა ჰქონდათ ღვთის მეტყველებს, როგორ მოეწყოთ წელთაღრიცხვა ისე, ქრისტეანული აღდგომა ებრაელების პასექს არ დამთხვეოდა).

მთავარეპისკოპოზი რაჟდენი ვნებიანი პოლემისტი იყო, ახლაც გულით ეწადა ამ კამათში ჩარეულიყო, მაგრამ იცოდა: გიორგის არ უყვარდა, როცა ქართველნი ბიზანტიური საქმეების გამო გამართავდნენ კამათს, ამიტომაც ახლად მორთმეულ ორაგულებზე ამოიყარა ჟინი.

"ვიგრი" დაარქვა ღორმუცელობის გამო გიორგიმ მას, მართლაც წააგავდა იგი კროკოდილს, გრძელზე უგრძესი ცხვირითა, ფართოდ გაჭრილი პირითა და ფორეჯიანი, ხორკლიანი სახითა.

ცნობისმოყვარე კატეპანმა დაითვალა ასზე მეტი სხვადასხვაგვარი შეჭამადი სუფრაზე მოტანილი.

როგორც თავათ კასავილა, ისე დანარჩენი ბიზანტიელი სტუმრები მხოლოდ დატკბილულ საჭმელებს ეძალებოდნენ, არ იკარებდნენ პილპილიანს, ძმრიანსა და ნივრიანს, კოლხურ საჭმელებს.

ჩაკურატებული ბიზანტიელი არქიელები სასტიკად გაეჯიბრნენ ლოყებღაჟღაჟა ქართველ ეპისკოპოზებს, მუსრს ავლებდნენ არაგვის ორაგულებს, მტკვრის მურწასა და კარაქისფერ ციმორს, გუნებაში სწყევლიდნენ მზარეულთუხუცესს, შესანიშნავი ზუთხი და ზურგიელი პილპილითა და ნივრით რომ "წაეწყმიდა" .

მათაც ვიგრივით შეუტიეს ახალ ქვირითს, მაინც ვერა ძღებოდნენ, შამფურზე შემწვარ გოჭებისა და შებრაწულ ინდოურებისაკენ იჭვრიტებოდნენ ვნებიანი თვალებით.

სმირნელი მიტროპოლიტი იოანე ახლად დაბრუნებული იყო ანტიოქიიდან, სადაც იგი თორ-აბჯარში გადაცმული ებრძოდა სარკინოზებს ხმლით, ახლა მან ისე შეუტია არაგვის ორაგულებს, თვით ღორმუცელა ,, ვიგრი", იგივე რაჟდენი, ანჩელი და მტბევარი დაგვიჩაგრა ქართველებს.

ორგზის ფხა გაეჩხირა ყრონტში, ორი ქართველი ეპისკოპოზი უჯდა მას გვერდით, არც ერთმა იცოდა ბერძნული, მაგრამ წამოეშველა ფარსმანი, რომელიც თარჯიმანად იყო წვეული იმ დღეს, ხმელი ლავაში მიაწოდა დროზე.

გიორგიმ ბერძნულიც იცოდა და არაბულიცა, მაგრამ არასდროს კრინტი არ დაუძრავს უცხო ენაზე სასახლეში.

თავათ მეფე უხალისოდ ჭამდა, ეს უგუნებობა შორენასაგან გადაედო. სავსებით გაფითრებული და მდუმარე იჯდა იგი "თევზისფერ ძროხასა და გურანდუხტს შორის, ერისთავების ჩაქვირითებულ მეუღლეთა წრეში, არამიწიერი სილამაზით გაბრწყინებული.

შორენას შინ წასვლა უნდოდა წირვის შემდეგ, თავი სტკიოდა, მარტოკა

ტირილი ერჩია ჭამას, მაგრამ გურანდუხტი დაემუქრა, თუ დღეს არ სწვევიხარ მეფეს, თმით გათრევო შინ მისულს უთუოდ.

ბერძენი სტუმრების სიახლოვე და მათი ენაც ახელებდა მეფეს, განსაკუთრებით კასავილას წრესგადასული ცნობისწადილი აბრაზებდა მას.

კატეპანი კასავილა ისე ლუკმას არ ჩაიდებდა პირში, ფარსმანისათვის არ ეკითხა: ამ საჭმელს როგორ აკეთებენო?

კიბოები ყვარებია სენატორს, როცა კოლხურად შემზადებული კიბოები მიართვეს, ასე იფიქრა: ამას მაინც არ ექნებაო პილპილი, შესჭამა თუ არა, ათუხთუხდა პირდამწვარი, მოურიდებლად გადმონერწყვა მარცხენა ხელისგულზე, შემდგომ ამისა ეკითხება ფარსმანს:

რომელ მდინარეში იჭერენო ამ პილპილიან კიბოებს?

ეს კიბოები კოლხეთის წყლებში მოაშენაო მეფე გიორგიმ, რათა ნამეტნავად ცნობისმოყვარე სტუმრებს ენა წასწვასო როგორმე.

ასე მიუგო ფარსმანმა.

ბევრი იცინა კასავილამ, როცა მისგანვე გაიგო, რომ ეს კიბოები "პილპილიანად როდი იბადებიან" თურმე, არამედ ხობოკვერას გამოაცლიან შიგნეულს, ბოლოდან გამოღებულ ხორცს გაურევენ ნიგოზს, პილპილსა და ნიორს, ისევე დატენიანო ხობოკვერას კიბოსას.

თავათ კასავილა იძულებული იყო ხელით ეჭამა, რადგან მარჯვენა ხელზე მხოლოდ ორი თითი ჰქონდა შერჩენილი.

ტრაბახობდა კიდევაც: შარშან რომის პაპთან ვიყავი წვეული, ბენედიქტ VIII-ს ტრაპეზზედაც ხელით ვჭამდიო.

არსებითად ასე იყო საქმე :

როტა ცეტინიუმთან დამარცხებულ ბულგარებს თვალები დასწვა ბასილი კეისარმან, სწორედ ნიკიფორე კასავილა ხელმძღვანელობდა ამ ოპერაციას.

ერთმა ბულგარელმა ითხოვა: საიდუმლოს გავთქვამო დიდს, თუ სენატორ კასავილასათვის მათქმევინებთო იდუმალ.

როცა მოუყვანეს მოხალისე ”მსტოვარი" კასავილას, ბულგარელი ეცა მას ყელში, მარჯვენა მოუქნია სენატორმა, გაცოფებული ტყვე მისწვდა და სამი თითი წასჭამა ბიზანტიელ დიდებულს.

სწორედ ამ ,,გმირობისათვის" მიიღო კატეპანის ხარისხი კასავილამ, ჩუმ-ჩუმად სხვას ტრაბახობდა იგი:

ცეტინიუმთან მე დავამარცხე ბულგარელები, თხუთმეტ ათასს დავუბნელეო თვალები.

LV

მოთავდა თუ არა ნადიმი, მეფეს აეკიდა კატეპანი სასახლის ბაღშიც. დაუსრულებელი შეკითხვებით თავს აბეზრებდა, ეთამამებოდა, მარჯვენაზე ხელს ჰკიდებდა.

ძლივს იკავებდა ამრეზილი მასპინძელი თავს.

ეს ყოველივე მით უფრო სამძიმო იყო გიორგისათვის, რომ მას ორგზის უნდა გაეგონა ნათქვამი იმ დღეს, ბერძნულად და ქართულად.

როცა ციხეებისა და ჯარების გამო ორაზროვანი პასუხი მიიღო ზედიზედ, ახლა მეფის ცხენების და შავარდნების გამოკითხვა დაიწყო სტუმარმა.

ეტყობოდა ეს ამბავიც სათითოოდ სცოდნოდა წინასწარ, თვით |ყურშაის სახელიც ეცნაურა კასავილას.

"ჰურრახ, პურრახ", აღრიალდა დაცალებული ავაზა ამ დრო.ახლა ავაზების გამო გაუბა საუბარი კატეპანმა მეფეს.

"თევზისფერ ძროხას" საფირონის თვალებიანი ნათია აეყოლებინა, ბევრი სდია სასახლის ბაღში გიორგის, ბოლოს ავაზების გალიასთან მიუსწრო მეფესა და კატეპანს.

კასავილა მოეშვა ავაზების გამო ლაყბობას, ჯერ ნათიას შეხედა, მერმე დედამისს, ბოლოს გიორგის გადახედა და ეუბნება ფარსმანს:

მეფისწული ხომ არაა ეგ მშვენიერი?

თვალისგუგიდან ამოღებულივით მიაგავსო მეფე გიორგის.

როცა ფარსმანმა ეს გადათარგმნა, სახე აელეწა ცოქალას, გიორგიმ შეხედა ნათიას, მართლაც იპოვნა მსგავსება მის სახეზე, გააჟრჟოლა, რა მოიგონა, სამი თვის წინად ხარჭად აყვანა რომ უნდოდა მისი.

უცნაურად აიმღვრა მეფე და ეუბნება ქართულად ფარსმანს:

"ამ ორთითა კატეპანს როცა შევსცქერი, მეშინია, არაფერი ამომაცალოს ჯიბიდან"

ესა სთქვა და ავაზაზე გადაიტანა მზერა, წაიბუტბუტა თავისთვის:

"საერთოდ ქურდებია ბიზანტიელები, სჯული ებრაელებს მოპარეს ენა - ძველ ბერძნებს, ბულგარელებს - ცეტინიუმი, სომხებს - ანისი, ბასიანს გადაღმა ქვეყნები - ქართველებს, ხოლო სინდისი ვერავის წაგლიჯეს, რადგან ასეთი რამ არა სჭირიათ ჯერაც" .

რაო, რა ბრძანაო მეფემ?

ეკითხება ენამრავალი კატეპანი ფარსმანს.

მეფემ ასე მოგახსენათო, მიუგო თარჯიმანმა, როგორც კი ჩემი ვაჟი, ბაგრატი მშვიდობით დაბრუნდება, ტახტს გადავულოცავ უფლისწულს, კეისარს ვეახლები, წმინდა ადგილებს მოვილოცავო ბიზანტიისას.

მეფემ ძლივს შეიკავა ღიმილი.

"თევზის ფერმა ძროხამ" კარგად არ იცოდა ბერძნული. ასე იფიქრა: ახლა დავიღუპე უთუოდ, მეფე დაიჯერებს, თითქოს მისგან მყავდეს ნათია, ამიერიდან ცოლად არ შეირთავს გიორგი მას, უფლისწული ბაგრატი მალე ჩამოვა და ბიზანტიონში წაყვებაო დედოფალს მეფე.

მეფემ მოინდომა საუბრის საგანი შეეცვალა როგორმე.

ამიტომაც აკითხვინა კასავილასათვის:

ავაზები თუ ჰყავსო კეისარს?

უკანასკნელიც მოკვდომოდა ბასილის.

უკეთ რომ ვთქვათ, ტახტის მემკვიდრეს, კონსტანტინეს, მის ძმას, რადგან ბასილი მუდამ ლოცვითა და თვალების დათხრით იყო გართული.

ახლა ავაზების გამო დაიწყო კასავილამ ქაქანი.

ფარაონის თუთმაზის პირამიდაზე ვნახეო ერთი ბარელიეფი შარშან, მუნ გამოხატულ ქურუმებს მარცხენა მხარზე აქვთო ავაზის ტყავი გადაკიდებული.

ეგვიპტური ღმერთქალი საფეს ასე ატარებდაო ავაზის ტყავს.

ფარსმანი აიმღვრა.

ეგ პირამიდა თავათ არ ენახა, მას ყოვლისმცოდნედ მოჰქონდა თავი.

გაოცდა, როცა ისეთი რამე გაიგონა, რაც მას არა სმენოდა არასდროს.

როცა ირმების საჩიხემდის მიაღწიეს, გიორგიმ ატროკება შეამჩნია კატეპანს, ახლა ამ ირმების გამო წამჭამსო თავს, შორენა შენიშნა, გურანდუხტის გვერდით

განაბული.

კოლონკელიძის მეუღლემ განზრახ უტია მეფეს, ,,თევზისფერ ძროხას" მიეახლა, მკლავში გაუყარა ხელი და შეეცადა საუბრით შეექცია როგორმე.

მეფე ამჩნევდა თავისთავს, რაც უფრო ხანი გადიოდა, მომეტებულის მოკრძალებით ეკიდებოდა შორენას.

დიაცების მიმართ ცინიკურად განწყობილს, უცნაურად ეშინოდა რატომღაც მისი, მასთან საუბრის დროს ღელავდა, ენა ებმებოდა თითქმის.

ახლა ნაღვინევი იყო ოდნავ, მხნეობა მოიკრიფა და ეუბნება:

"რათ მოგიწყენია, ეკბატანას ვარდო? "

ქალმა არც კი შეიფერა ხოტბა მეფისა, უსიტყვოდ დახარა თავი.

მეფემ მორცხვობას მიაწერა ეგ. ახლა ეს უთხრა ქალს:

"ეგებ ნებიერას გაქცევამ დაგაღონა, არა? "

შორენას აგრე უნდოდა მიეგო: სხვაც ბევრი მაქვსო დარდი, მაგრამ დუმილი არჩია კვლავ.

კვლავ მოიკრიფა გამიჯნურებულმა მხნეობა.

ეუბნება ალერიანად:

"თუ ერთ საწადელს შემისრულებ, შორენა, დღესვე ვუბრძანებ მენადირეთუხუცესს, შევაპყრობინებ შენს ნებიერას".

"კიდევ რა გწადია, მეფევ ბატონო, ჩემგან" .

თითქმის ამრეზილად მიუგო შორენამ და ნაღვლიანად გაჰხედა ირმებს.

"შენი სიყვარული" .

იყო პასუხი.

"მე მგონია, რაც წამართვი, იგიც გეყოფა, მეფევ ბატონო, არა? მამაჩემს თვალის სინათლე წარსტაცე, მე - თავისუფლება, - ხოლო ჩემი გული? სხვას ეკუთვნის დიდი ხანია იგი".

მეფე აიმღვრა, ბრაზი წაეკიდა, ამ წუთშივე უნდოდა გაეგო, ვინღა დარჩაო სხვა? ჭიაბერი და გირშელი აღარ იყვნენ ამქვეყნად, ვინ უნდა ყოფილიყო იგი, ვისაც გაებედანა მეფისათვის გატოლება თავისა?

მღელვარება დაიოკა, აღარ იცოდა, რა მოემოქმედნა. მაგრამ ბედად, "თევზისფერი ძროხა" ხელიდან დაძრომოდა გურანდუხტს, შორენას მიეჭრა ცოქალა, ირმების გამო დაუწყო ლაპარაკი.

მეფემ იდროვა, ბოდიში მოიხადა მანდილოსნებთან, გურანდუხტსა და კასავილას მიეკედლა გაფითრებული.

ახლა ეს აიტეხა კატეპანმა: მაჩვენეთო ის საოცარი ძაღლი "კურშაი" ("ყ"-ს ვერ გამოსთქვამდა კატეპანი. თავხედურად ხუმრობდა კიდევაც: "ქართულ პილპილსა და " ყ"-ს ვერ ინელებსო ჩემი ყელი").

თითქმის მდუმარედ იარეს მცირე ხანს ბაღში.

ძაღლების სამყოფ ელოსთან ისეთ ამბავს წააწყდნენ, თავათ გიორგიმ უხერხულობა იგრძნო, შორენა, გურანდუხტი და ნათია გაწითლდნენ, ფარსმანსა და კასავილას გაეცინათ, "თევზისფერმა ძროხამ" ძლივს შეიკავა ღიმილი.

ნებივრად იწვა ძუძუებშებერტყილი ყურშაი. სამი ლეკვი სამ ბოკვერს წაჯდომოდა მგლისას.

ხვადები ისე ტოკავდნენ, როგორც ამძუვნებულ ძაღლებს სჩვევიათ ხოლმე .

კასავილა გაოცდა, როცა შენიშნა მგლის ბოკვერებისა და ლეკვების ალერსი.

ფარსმანმა განუმარტა: ეს ბოკვერები მე მივუსვიო ყურშაის, სამივენი თავათ გაზარდაო ძაღლმა.

ფარსმანს მთელი დღე მოშხამული ჰქონდა სვეტიცხოვლის კურთხევისა და არსაკიძის დიდოსტატად აღიარების გამო. ბოღმამ თავხედობა გაუათკეცა, გვერდით ამოუდგა მარტოკა მიმავალ მეფეს, ღიმილით ეუბნება გიორგის:

"ეგ ბოკვერები და ლეკვები ძუძუმტეებია, მეფევ ბატონო" .

გიორგის ენიშნა ქარაგმულად ნათქვამი.

წამსვე მოისაზრა: ალბათ რაიმე იცისო იმ ,, სხვას " გამო მელაძუა ფარსმანმა, წაეპოტინა ზმას:

" პირდაპირ მითხარი, რისი თქმაც გწადია, ბებერო! "

"მეც გადავწყვიტე არაოდეს მოგახსენო, მეფევ ბატონო, სიმართლე, არც პირდაპირ და არც ირიბად, რადგან შანდლები კიდევ ბევრი დარჩა სასახლეში, ვგონებ" .

"დედის სულს გეფიცები, არ დაგსჯი სიმართლის თქმისათვის, ფარსმან" .

იცოდა ფარსმანმა, ამაოდ არ დაიფიცავდა იგი დედას, ახლა ინანა: იმ დღეს რად არ ჩამოვართვიო ასეთი ფიცი?

"აკი მოგახსენე, მეფევ ბატონო, მშიშარანი არიან-მეთქი შენი ვაზირები. ყველას ეგ სწადია, მხოლოდ საამური თავათ მოახსენოს მეფეს, ხოლო ცუდ ამბავთა მაუწყებლად "შანდლების ქურდი" ეგულებათ".

გიორგიმ მკლავში ხელი წაავლო ფარსმანს, ნაბიჯს აუჩქარა, კასავილა არ წამოსწეოდათ.

"ამაოდ იგულებ, მეფევ ბატონო, სადედოფლოდ ერისთავის ქალს, მთელმა სასახლემ იცის, არსაკიძე ცხოვრობს დიდიხანია მასთან".

"იცოდე, თავი მხრებზე არ შეგრჩება, ფარსმან, ამის საბუთი თუ არ მოგიტანია თავათ" .

"უფლისციხეში ბრძანდებოდი მიწისძვრის დროს, მეფევ ბატონო, არა?

ირმის დევნა საბაბი იყო მხოლოდ, შორენა გაიტაცა არსაკიძემ იმ დღეს, ფხოვის მიწაზე დაიჭირეს მერმე ოვსებმა.

დიდი ხანია, რაც განიკურნა ხუროთმოძღვარი მეფისა, თურმანიძის მალამოებმა მას არგო ფრიად. მაინც წევს, რადგან ეგეც ხრიკია, კოლონკელიძის ასულის შემოსაჩვევად" .

მეფე გახელდა, მიწის ფერი დაედო სახეზე .

"არა მგონია თავი გამიტოლოს აგრე რიგად მაგ ლაზმა".

"გატოლებაო? "

გაიღიმა ფარსმანმა.

"მეფეებს არც უტოლებს იგი თავს.

მიწისძვრის მეორე დღეს შევუარე, ავადმყოფი მეგონა, შინ არ დამხვდა ფხოვს გაქცეული. ერთი სურათი ვნახე მის მიერ ნახატი, იაკობისა და ღმერთის რკინებაა ზედ გამოსახული.

თანაც იცოდე, ღმერთს მელქისედეკის თვალები აქვს, ხოლო იაკობს - დამხატველისა.

ეგ კიდევ ცოტაა, მეფევ ბატონო, შორენა დაუხატავს, ერისთავის ასული. ყაყაჩოების ველზე დგას იგი, მხრებზე ქედნები ასხედან, ხოლო ორი დათვი, ერთი წმინდა თაფლისფერი, მეორე - წაბლისფერი, ფერხთით დავარდნია დიაცს. წაბლისფერი ყველის ციხის პატრონს მოგაგონებს ზედმიწევნით, ხოლო თაფლისფერი თუ ვინ იქნება, ამას თავათაც მიხვდები, მეფევ ბატონო, უთუოდ".

გიორგის ენიშნა ეს ყოველივე , უფრო აუჩქარა ნაბიჯს, ისევ შეეშინდა კატეპანი არ დაგვეწიოსო.

"თუ ეგ საბუთებიც გეცოტაოს, მეფევ ბატონო, მე ცნობები მაქვს ეჭვმიუტანელი, ხანდახან შაბათობით დადის მასთან გვიან ღამით შორენა, თუ კარგად გასჩხრეკენ რატისეულ დარბაზს, სხვა საბუთებსაც აღმოაჩენს მახვილი თვალი".

კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა ფარსმანისათვის მეფეს, მაგრამ

"თევზის ფერი ძროხა" და კატეპანი წამოეწიენ მათ.

*

მეორე დღეს კატეპანმა დანარჩენი სტუმრები დასტოვა სასახლეში და ბიზანტიონს წავიდა.

LVI

სიკვდილის მოახლოვება რა შეიცნო კეისარმა ბასილიმ, საქართველოში გამოისტუმრა საპატიო მძევალი. ბაგრატ გიორგის ძე, კატეპანი დოკიანი გამოაყოლა დიდძალი ამალით.

ბიზანტიის ტახტის მემკვიდრე, კონსტანტინე აღარსად სჩანდა.

წიგნი მისწერა სასწრაფოდ ძმას, მაგრამ ვაზირებმა გადამალეს უსტარი.

რამდენჯერმე გაიმეორა კეისარმა ბრძანება, არ გაუმხილეს ლოგოთეტებმა სიმართლე.

ბოლოს თავით შეაკაზმვინა ცხენი. გაემართა ტახტის მემკვიდრის საძებნად.

ვაზირებმა იცოდნენ: სიძვის დიაცებთან ქეიფობდა კონსტანტინე ნიკეაში იმ დღეს.

მიკიტნის სისხლი უფრო ჭარბად მას გამოჰყოლოდა.

კარგად იცოდა: სახრჩობელა და მოწამვლა კეისრის გვირგვინის ზედნადები იყო ბიზანტიაში. ამიტომაც ლოთობდა. უწესო ქალებში ატარებდა დროს, მხოლოდ ხანდახან ვარჯიშობდა თვალების დაწვაში ტახტის მემკვიდრე.

როცა აღმხედრებული ბასილი კონსტანტინოპოლის ქუჩებში გამოჩნდა, შეძრწუნებული ხალხი სარდაფებში გადაიმალა. ხოლო ვაზირებს უფრო მეტად შეეშინდათ, მალემსრბოლები აფრინეს, ძლივს მოათრიეს გალეშილი კონსტანტინე ბიზანტიონში.

თავათ შეიყვანა ბასილი მთვრალი ქრიზოტრიკლინის ოქროს დარბაზში. ტახტზე დასვა საკუთარი ძმა, წითელი წაღები გაიხადა და ჩააცვა ფეხზე, გვირგვინი თავზე დაადგა. მერმე ფერხთით დაუვარდა და თაყვანი სცა კეისარს, უკვე კონსტანტინე IX-ს.

იმავე კვირას მდევარი გამოაკიდა ახალმა კეისარმა კატეპანსა და ბაგრატს.

მალემსრბოლებმა გზაში მოუსწრო ტაოს საზღვარზე მოსულთ. წიგნი გადასცეს კატეპანს.

,,განგებითა ღვთისათა გარდაიცვალა სანატრელი ბასილი მეფე, ძმა ჩემი", _ იუწყებოდა კონსტანტინე კეისარი, _ ,,აწ უკვე სადაც მიწევნულ იყოს განსაგებელსა ჩვენსა, ბაგრატ, ძე გიორგი აფხაზთა ხელმწიფისა, გარეშეაქციეთ და მოიწიოს წინაშე ჩვენსა".

ლაშქრიანად შეეგებნენ ბაგრატს აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართლელნი, ძალას მიმართეს ბიზანტიელებმა, მაგრამ შეებრძოლნენ სპანი მეფისანი, კატეპანი დოკიანი და მისი ჯარი უკუაქციეს, ხოლო უფლისწული მეფე გიორგის მოჰგვარეს.

დიდი ზეიმი გაიმართა უფლისციხეში, მელქისედეკმა სამშვიდობო პარაკლისი

გადაიხადა სვეტიცხოველში, გახარებული იყო მთელი საქართველო, კავკასიონიდან ბასიანამდე.

გიორგი მეფეს ამ ამბავმაც ვერ გადაჰყარა უგუნებობა.

თრიაქის წევას უმატა, ნადირობდა გამუდმებულად. . . .

LVII

არსაკიძეს მართლაც არგო თურმანიძის მალამოებმა. უკვე ჯოხით წამოდგომას ახერხებდა თავათ.

ხუთშაბათს უთენია ადგა. ნაშუაღამევს მოათავა თავისი "სიზმარი".

სწორედ იმ დღეს ხათუთიამ მოუტანა შორენასაგან წიგნი. თუ კარგი დარი იქნა, შაბათ დილას დედა აპირებსო ზედაზენს წასვლას, საღამოს გამოგივლიო უთუოდ.

დიდი ხანია, რაც ეპირებოდა გურანდუხტი ზედაზენს წასვლას, რამდენიმე შაბათი ისე წავიდა, აღარსად ჩანდა შორენა.

ასე ივარაუდა კონსტანტინემ: გაავებული გურანდუხტი ფხიზლად მწყემსავსო თავის ქალს.

პირაღმა იწვა დაჭრილი ოსტატი. დარბაზის სარკმელიდან უთვალთვალებდა ცას. ღრუბლების მოძრაობას აკვირდებოდა. ამას ნატრობდა: გამოიდარებდესო შაბათამდის, ნეტავ.

ხუთშაბათს, საღამოს ცა მოისარკა, მაგრამ წამოეძალა სულწასულობა ეროსით შეპყრობილს, ფრჩხილით გადააცალა ბარძაყის ჭრილობას კანი, თუმცა აქიმი უკრძალავდა, ხელი არ ახლოო იარას.

იმავე საღამოს სიცხე მისცა, ნონაი მკურნალთან გაიქცა, იწვა პირაღმა უპატრონო ავადმყოფი, პირი უშრებოდა, სწყურდა წყალი.

შემდგომ ამისა, უცნაურად წაეწყვნენ უბედური ამბები ზედი-ზედ ურთიერთს, როგორც ეს ხდება ხოლმე ხანდახან.

*

დიდხანს უჩიჩინებდა ფარსმანი ცოლს, ხურსისეულ სასახლეში წადი, საწმერთული მოპარეო შორენას, მაგრამ ვარდისახარი ყოყმანობდა მაინც.

სწორედ ხუთშაბათს თავის ტკივილმა წამოუარა დიაცს, ასე იფიქრა: ეგებ გურანდუხტს ექნესო შაკიკის წამალი.

შორენა და მისი მოახლენი სამთავროს წაეყვანა კოლონკელიძის მეუღლეს, მარტო ხათუთაი დაუხვდა შინ.

წყლის მოსატანად გაგზავნა სტუმარმა ხათუთაი, თავათ, გამოსძებნა შორენას საწმერთული, ხოხბისყელისფერი, რომლის მცხეთაში ჩამოტანას ერისთავი გირშელ და ორი ათასი მონასპა შეეწირა.

შეღამებული იყო უკვე, როცა რატისეულ სასახლეში შევიდა ვარდისახარი, ნონაი არსად სჩანდა, ამიტომაც ჯერაც არ იყო ანთებული ჭაღები.

ფეხაკრეფით შეიპარა და სასთუმალს ქვეშ ამოუდვა სიცხიან ავადმყოფს შორენას საწმერთული.

არსაკიძე ბოდავდა იმ წუთში, ნონაი ეგონა, ამიტომაც შეეკითხა:

როდის მოვაო მკურნალი?

მოვაო, მოვაო, - წაიბუტბუტა ვარდისახარმა ყრუდ, - ავადმყოფს მიჰხედა, ლანდზე უსწრაფესად გაჰქრა.

*

შაბათ დილას ისევ დაიწყო წვიმა, მაგრამ აღარ შეუმჩნევია ეს, საღამოს გამოეპარა შორენა დედას.

აქელებულმა შეირბინა ავადმყოფთან, დიდხანს ვერ დარჩა მაინც.

მეფეს გაემჟღავნებია ფარსმანის ჭორები გურანდუხტისათვის, თმით დაუთრევია შორენა დედას. ,,ბოზი" უძახა თურმე და ,,ვიღაც კალატოზის სიძვის დიაცი" .

სურათის ამბავი არც შორენას მოჰგონებია, მით უმეტეს არც მის დამხატველს.

შეამჩნია: ცუდად შექმნილიყო მეგობარი მისი სიყრმისა, თვალცრემლიანმა ჩააბარა ნონაის.

შეევედრა: ბოდოკია გაგზავნეო ფხოვს, მე ამ დღეში ვარ, დედა იხმე, განკურნოსო მისმა ალერსმა ეგებ.

თუ მოვახერხე, შაბათს შემოვივლიო, გახურვებული ლოყები დაუკოცნა ავადმყოფს.

ტირილით მოვიდა, ტირილითვე წავიდა უკან.

რატისეული ხილნარიდანაც არ იყო გასული შორენა, როცა ლანდი შემოეხეჩა. დაზვერა კოლონკელიძის ასული, ფეხაკრეფით ავიდა ქვის კიბეზე ლანდი.

ნონაი მობრუნებულიყო თავის სამყოფლოში, სამკურნალო ბალახებს ხარშავდა.

წყალიო, შეევედრა შემოსულს ავადმყოფი.

წყალი მოუტანა მყისვე, დარბაზი დაათვალიერა, სასთაული გაუჩხრიკა არსაკიძეს, საწმერთული იპოვნა ხოხბისყელისფერი.

მეფეს მიუტანა მსტოვარმა იგი, თანაც ამცნო ხილნარშივე გადავაწყდიო კოლონკელიძის ასულს.

ორივე სურათის შინაარსი უამბო წვრილად.

*

ყოველი საგანი მაშინ იწყებს წაქცევას, როცა წონასწორობას დაჰკარგავს იგი.

მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დჰაკარგა ეროსისაგან გახელებულმა.

ეს ყოველივე წაემატა ურთიერთს, მალემსრბოლის მოლოდინში თრიაქით დამთვრალიყო გიორგი, მელქისედეკი ეწვია იმავე საღამოს.

კათალიკოსმა რა გაიგო, მკრეხელური სურათი დაუხატავსო არსაკიძეს, ლაზს, მოაგონდა თავისი ქადაგება სამთავროს ტაძარში, წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე.

მეორე დღეს მელქისედეკი ბიზანტიონს მიმავალ სტუმრებს გაჰყვა დიდის ამალით. მეფემ ფარსმანი იხმო, ხუროთმოძღვართუხუცესად დანიშნა კვლავ.

სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვა ფარსმანმა, ხოლო განრისხებულმა გიორგიმ სვეტიცხოველის ,,ცუდად ამგებელს" მკლავის მოკვეთა მიუსაჯა.

როცა დასიცხულ ავადმყოფს მარჯვენა წააცალა ტფილისელმა ჯალათმა, თვით საღირასაც ცრემლი ჩამოსდიოდა ერთადერთი თვლიდან.

LVIII

მეორე დღესვე, კათალიკოსის მოსაყდრის, რაჟდენის საიდუმლო ბრძანებით,

ბაგინეთის სადედო მონასტერში მონაზვნად აღკვეცეს კვეტარის ერისთავის, კოლონკელიძის ასული, შორენა.

შუშანიკი დაარქვეს მას, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ პირველ ასოს სახელისას უცვლელად უტოვებდნენ აღკვეცილს.

შორენასათვის მოულოდნელი არა ყოფილა ეს სასჯელი.

მას ასე ეგონა: ცოლობაზე უარი ვაკადრე მეფეს, განრისხდა და მომიზღოო სამაგიერო.

ამასაც გულმშვიდად შეეგება იგი, კარგად იცოდა: ხუროთმოძღვარს, ლაზს, არ მიათხოვებდნენ ერისთავის ასულს.

მცხეთაში მაინც აუტანელი გახდა ცხოვრება. გაბოროტებული გურანდუხტი გესლავდა დღენიადაგ თავის მხოლოდშობილ ასულს.

მცხეთის ჭორებმა თავი მოაბეზრეს შორენას, ოდესღაც მისი ერთგული მოახლენიც აჰყვნენ სეფექალებისა და ერისთავთა ცოლების სისინს, სასახლესა და გურანდუხტს შორის მიმოჰქონდათ ენა.

კოლონკელიძის მეუღლეს სავსებით უღირსად ეჭირა თავი.

დიდხანს ცდილობდა ემაჭანკლა მეფისათვის როგორმე, როცა ვერაფერს გახდა, დაუზოგავად სცემდა და ლანძღავდა შორენას.

მოეწონა "შუშანიკს" სადედო მონასტრის მდებარეობა, მთელი მცხეთა ხელისგულზე სჩანდა აქედან.

მონასტრის გარშემო კვიპაროსები იდგნენ. შეღამებისას გიშრის შანდლებივით შეეჯიბრებოდნენ ისინი ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას.

შორს იყო აქედან სასახლის ჭორები. ერისთავთა ცოლების სისინი, კავკასიონის მწვერვალები მოსჩანდნენ, მთლად მშვენიერი, საფირონის გოლიათები.

დილას და საღამოს ისეთი სპეტაკი ღრუბლები დაეფინებოდნენ ირგვლივ მოჯარულ მთებს, როგორც ბავშვების უცოდველი სიზმრები.

ეს დაკრიალებული სენაკებიც მოეწონა შუშანიკს. დიდად მორწმუნე არ იყო ფხოვში გაზრდილი ქალი, მაგრამ სიამოვნებით ისმენდა სძლისპირებს, თავათაც გალობდა მწუხრისას.

სხვა დებთან ერთად ამზადებდა საჭმელს, სენაკებს ჰგვიდა, ჭურჭლებს რეცხავდა, ძონძებს კერავდა, ნუშის გულივით თეთრი ხელებით ხეხავდა ქვაბებს.

ერთხელ მივიდა მასთან ჭაღარა მონაზონი, დაჲ ეფემია, ხელიდან წაჰგლიჯა სპილენძის ქვაბი, ცოდვაო ეგ ხელები ამ ქვაბების სახეხად.

არ დაანება შუშანიკმა მოხუცებულ მონაზონს, უმცროსი უნდა ემსახუროსო უფროსს.

რა გახდა, ქალო, შენი უმცროსობა, შენც ჭაღარა ხარ და მეცა, ორივე მხცოვანები ვართო მე და შენ!

ეს უთხრა ეფემიამ, მოეხვია შუშანიკს, გადაჰკოცნა მისი მშვენიერი, ცვილის ფერი ლოყები, ცვილისფერი კი არა, ძველთუძველესი სპილოს ძვლის ფერისა.

დაჰკოცნა მისი ნაადრევი ჭაღარა, ბალღივით მიიხუტა მკერდზე.

ნაყვავილევი იყო ეფემია, სახით მახინჯი, მაგრამ სპეტაკი სულითა და ჭირთამთმენი მრავალთა.

ბედს მოეძულებინა სიყრმიდანვე იგი. კლარჯეთში უყიდნია ვიღაც დიდ ვაჭარს დიაცი, უფლისციხის მონათა ბაზარზე მიუყიდნია ერთი ირანელისათვის.

ირანში ქართველ მეღვინეს შეუძენია ეფემია, ბოლოს მცხეთაში ჩამოსულა მხევლის პატრონი, ულოცნია, მეორე დღეს მომკვდარა კიდევაც.

ეფემიას ცხოვრებაც მოთავებული აღმოჩნდა ამ ხეტიალში, ბაგინეთის სადედო

მონასტერს შეჰკედლებია.

დედის გულარძნილობით დამწუხრებული, შვილივით მოეკიდა ეფემიას შორენა, ღამით მიიწვენდა მრავალტანჯული დიაცი, ეფერებოდა ბნელში მის მშვენიერ თავს, ჩუმად სტიროდა შუშანიკ ბალღივით...

კვიცივით უკან დასდევდა "დედა ეფემიას", ხანაც განმარტოვდებოდა მონასტრის გვერდით, კვიპაროსის ქვეშ, გადასცქეროდა ძირს გადაშლილ მცხეთას.

ამას ნატრობდა მხოლოდ: თავის საყვარელ უტას ჯანმრთელობის ამბავი გაეგო როგორმე.

ეს იყო ოღონდ, აქაც არ ანებებდნენ მარტო ყოფნას შუშანიკს.

მისი სილამაზის, მისი უდროო ჭაღარის გამო ლაპარაკობდა დიდი და მცირე.

თავათ არავის უმხელდა თავის ვინაობას, მაინც დაიწყეს დიაცებმა ჭორები, ათასნაირი ზღაპრები შესთხზა მოცლილი ქალების უქმმა ფანტაზიამ.

მდაბიორის ქალი ყოფილაო შუშანიკ. გუთნისდედა ყვარებია ერთი, მოხუც ერისთავს მიათხოვესო ძალით.

აყირავებულ სახნისზე წამოგებულა გუთნისდედა იგი, გამოქცევიაო ბებერ ერისთავს შუშანიკ.

აწუხებდნენ მოკრძალებულ მონაზონს გამუდმებული გამოკითხვით დები, და როგორც მახინჯ ქალებს ეს სჩვევიათ ხოლმე, უკან დასდევდნენ, უჭვრეტდნენ, როცა მარტოკა მოახელებდნენ. მკერდზე მიიკრავდნენ და ჰკოცნიდნენ.

უფრო მეტად დაამშვენა მისი სახე ჯვალოს სამოსმა, სძლისპირების გალობის დროს ყინცვისის ანგელოსს მიაგავდა იგი მჭმუნვარეს.

ერთხელ საღამოს ლოცვის შემდეგ, კვიპაროსის ქვეშ ისხდნენ ეფემია და შუშანიკ.

მოშორებით ალვის ხე იდგა ქარაფის კიდეს, კბოდეს გადაღმა თვალშეუდგამი უფსკრული იყო.

მდუმარედ შესცქეროდნენ ჩამავალი მზის სხივთა თამაშს სვეტიცხოვლის გუმბათზე.

ოქროს ფურცლებით იყო გადახურული ტაძრის ზეთავი მაშინ, და ეს სანახაობა დიახაც ახარებდა თვალს.

ვიღაც ენაჭარტალა მონაზონი უკითხავად მიეკედლა ამ ორთა.

მათ ფერხთით დაცუცქდა, სვეტიცხოველს გადახედა. ამოიოხრა და ეუბნება უფროს მონაზონს:

"იცი, დედაო ეფემია, რა მომხდარა გუშინ მცხეთაში? "

ეფემიას ყოველივე კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი ამ ცხოვრებასთან, გულგრილად ეუბნება ცნობისმოყვარეს:

რა მომხდარაო, დაო?

"ამ ტაძრის ხუროთმოძღვარს, ვიღაც ლაზს, შეჰყვარებია ერისთავის ასული, ძალუმად ლამაზი ყოფილა მაგ დიაცი. ქა. მეფე გიორგის ნდომია იგი საცოლედ, ხუროთმოძღვრის სიყვარული არჩია თურმე მაგ სულელმა დედოფლობასა.

ეს მეფეს გაუგია, მერმე წაუსწრეს თურმე შეყვარებულებს, ქა, დიაცი გაქცეულა, მაგრამ საწმერთული დარჩენია ხუროთმოძღვრის სასთაულს ქვეშ. განრისხებულა მეფე გიორგი, ქა, მკლავი მოუჭრიათ იმ ლაზისათვის ბოლოს" .

შორენას მიწისფერმა გადაჰკრა ამის გამგონეს, სავსებით ჩაეფერფლა თვალები.

მოაგონდა: მართლაც რომ დაიკარგა საწმერთული ხოხბისყელისფერი, ამ ორი კვირის წინად. მცირე ხანს გატვრინული იჯდა, მერმე წამოდგა, მთვარეულივით წაბარბაცდა ქარაფისაკენ, ალვის ხემდის რა მიაწია, ეფემიამ მიაძახა:

სად მიხვალო, შუშანიკ!

ახლავე მოვალო, დედაო ეფემია.

ესა სთქვა, პირჯვარი გადაიწერა, გარღვეულივით დაბარბაცდა და გადაეშვა ქარაფიდან შორენა.

ჯერ ისე მხრებგაშლილი წავიდა ძირს, როგორც გაფრენილ ანგელოსებს ჰხატავდნენ ხოლმე ფრესკის ოსტატები. მერმე, დიდ მანძილზე სრბოლისას ორგზის გადატრიალდა ჰაერში და როცა კლდის ქიმზე დაეცა თავქვე, მიწამდის არ დაჰყოლია სული.

LIX

ხელახლა იფეთქა შავმა ჭირმა მცხეთაში, მოკვდა სამთავროს მონასტრის მამაი სტეფანოზ. სარკინოზებმა ჩამოუქროლეს მტკვარს გადაღმელ სოფლებს. მელქისედეკმა გააშენა ოდესღაც ესენი. სვეტიცხოველს შემოუმტკიცა სიგელით.

ჯარი დაადევნეს, გააქციეს მტერი.

სტეფანოზ ბერის დასაფლავებაზე სიტყვა წარმოსთქვა მთავარეპისკოპოზმა, რაჟდენმა.

მწვალებლები გვყავსო მცხეთაში, ამიტომაც არ გვშორდებაო ჟამი. ბოლოს პირუთვნელად ამხილა ფარსმან სპარსი, იგიაო მწვალებელთა მამამთავარი.

გიორგი უფლისციხეში იყო.

გააფთრებული ბრბო შინ მიეჭრა ფარსმანს, ჩაქოლვას უპირებდნენ, მაგრამ გაიოზ ბერმა მოუსწრო, დავდაღოთო ეშმაკის თანაზიარი.

გაახურეს სპილენძის ტვიფარი, მელის სახისა, შუბლზე დაარტყეს მწვალებელს.

არც უფლისწულს ბაგრატს უყვარდა ფარსმანი. მოშთობა ეწადა მისი, მაგრამ მიმინოების მეწამლე და მჩხიბავი სხვა არავინ გამოჩნდა.

მცირე საბაბმაც იკმარა ბოლოს: ბაგრატს მიმინო გაუხდა ავად. ფარსმანმა ოყნა გაუკეთა ფრინველს.

მორჩენის ნაცვლად მოკვდა მიმინო.

განრისხდა ახალგაზრდა ბატონი, დილეგში ჩააგდეთო ”მაგ წარმართი".

ისევ გაგორდა ჭური თვითმოძრავი. . .

დილეგიდან გაიპარა ტუსაღი, სარკინოზებთან გაიქცა იდუმალ.

დიღომთან შეიპყრეს სამეფოს სპათა. დიდხანს აწამეს ფარსმანი. ხელის ფრჩხილებიც დააძვრეს, ჯავარდენების წრთობის საიდუმლო მაინც არ გასთქვა.

ამ წამების დროს შემოაკვდათ მოხუცი.

ასე რომ, ღვინის ქურდი თხლეს გადააყოლეს.

*

ცუდ ფეხზე მოსულიყო იმ დღეს მცხეთის სასახლეში ვიგრი. წინა ღამეს წალაპარაკდნენ მეფე და უფლისწული.

ეს ამბავი ასე დაიწყო: წიგნი მოუვიდა ბიზანტიონიდან ბაგრატს.

ნავახშმევს ბიზანტიელების ძაგება დაიწყო გიორგიმ. უფლისწულმა ასეთი რამ შეჰკადრა მამას:

თავშეკავება გმართებსო საუბრის დროს, მეფევ ბატონო, იმ დღესაც აუგად გიხსენებია კეისარი და მთელი ბიზანტია.

ფარსმანს სულ სხვა რამ უთარგმნია კასავილასთვის იმ დღეს. ხოლო

ბიზანტიელი სტუმრების წასვლის წინ, წვრილად გადაუცია შენი ნაბრძანები კატეპანისთვის.

კასავილამ ახალ კეისარს მოახსენა, ამიტომაც გამომაკიდესო თურმე მდევარი.

მეფე გაცხარდა და უყვირა ვაჟს, შენც გაგრყვნესო ბიზანტიელებმა, კარგი უქნია ფარსმანს, უჩემოდ რომ მიუხლია კასავილასთვის სიმართლე პირში (გულში სხვას ნატრობდა: ნეტავ შემეძლოს მეორეჯერ მოვკლაო ფარსმანი).

სწორედ მეორე დღეს დიდ დარბაზში შემოვიდა მთავარეპისკოპოზი რაჟდენი. მეფე ნარგილეს მიჯდომოდა და თრიაქსა სწევდა.

მიმოიხედა ვიგრმა, რა დარწმუნდა არავინ არისო სხვა, ამცნო შორენას დაღუპვის ამბავი გიორგის.

უსიტყვოდ წამოდგა მეფე, საწოლის დარბაზში შევიდა. მესაწოლე დაითხოვა, კარები გადაიკეტა თავათ. ინით შეიღება წვერი, მდაბიორის სამოსი ჩაიცვა კვლავ.

საღამოს უშიშარაისძე ახმობინა, პიპა.

შემდგომ ამისა, არც არავინ უნახავს, თუ როგორ გავიდნენ სასახლიდან ორნი, ან ცხენები როგორ გაიყვანეს საჯინიბოდან.

ერთ კვირას ასე ეგონათ: სანადიროდ წაბრძანდაო საფურცლეს მეფე, მერმე უფლოსციხეში იგულეს, მალემსრბოლები აფრინეს ორგანვე.

მისი მნახველიც ვერავინ იპოვნეს. ერთადერთი ნუგეში ეს იყო: მადევარი ძაღლიც აღარსად იყო ყურშაი.

აფხაზეთს შიკრიკები წარგზავნეს, თმოგვში მოიკითხეს, ფანასკერტის ციხეშიაც აღარ აღნოჩნდა. მტკვარსა და არაგვში აძებნინეს მებადურებს. არც მეფე სჩანდა სადმე, არც მალემსრბოლი უშიშარაისძე.

მხოლოდ ერთი რამ მოიგონა უფლისწულმა, უკვე ბაგრატ მეოთხემ: იმ უბედურ ღამეს ვიღაცამ მაკოცაო ძილში. მინდოდა მენახა, მამა თუ იყო-მეთქი. მაგრამ ძილმა წამართვაო თავი.

ბოლოს ხალიფას ალ-ჰაქიმის იდუმალი გაუჩინარების ამბავი გაახსენდათ, გამოიგლოვეს სასახლეში მეფე.

LX

ირმის მყვირალობა ჯერ შორს იყო, მაინც დაეხეტებოდნენ თრიალეთის ტყეებში გლახუნი და პიპა. მეტ ნაწილად მეჯოგეების კარვებში ათევდნენ ღამეს, ხანაც ერთ ნაპარტახალ ქოხს შეენიზნებოდნენ სოფელ იწროში.

ხმას არავის სცემდნენ, არც ვისმეს უმხელდნენ თავიანთ ვინაობას.

ერთ დილით, მეჯოგის კარავში მწოლარე, ირმის ბღავილმა გამოაღვიძა ავშანისძე. გლახუნა წინა დღის ნარბენს ისე მაგრად მოჰკიდებოდა ძილი, მცხეთის სასახლეში ეგონა თავი.

გვერდი იბრუნა და განაგრძო თვლემა.

მეორეჯერ დაიქუხა ირემმა, შეკრთა და წამოვარდა მძინარე.

პიპა გააღვიძა საჩქათოდ, კურშაი აიყოლიეს და მიჰყვნენ ირმის ბღავილს.

უშიშარაისძე უძაღლოდ მიდიოდა. სწორედ იგი გადააწყდა ხარს, ესროლა ისარი, მაგრამ დააცდინა. გლახუნა ფურს გამოუდგა, ლომის ფერი იყო იგიცა, ზედმიწევნით ჰგავდა ნებიერას.

ნაშუადღევამდის სდიეს ირემს პატრონმა და ძაღლმა, ორგზის შემოაბრუნა მადევარმა, ბოლოს დაეცა მძიმედ დაჭრილი ნადირი.

როცა გლახუნა მიეახლა, იგი იწვა წინა მუხლებზე დაჩოქილი, დრუნჩი მიწაზე

დაედო და საწყალობლად ხვნეშოდა ფური.

მონადირეს უნდა მოეკლა წესისამებრ, სატევარი იძრო, მაგრამ ისეთი მშვენიერი და უმწეო იყო ცხოველი, ისევ ჩააგო გლახუნამ იარაღი ქარქაშში.

ქარაფზე გადადგა. უძახა უშიშარაისძეს, აღარსად ჩანდა იგი, ახლა ხეზე გავიდა, უყივლა, უსტვინა, ამაო იყო ყოველივე.

იფიქრა: ავიყვანო ხელში. მოეჭიდა ირემს, მართლაც ატარა მცირე მანძილზე, ბოლოს ეტკინა ნადირს ჭრილობა, დაიბღავლა, ორივენი დაეცნენ მიწაზე.

სწორედ ამ დროს ნაწლავები გადაესკვნა გლახუნას. წამოდგომა დააპირა, წელი ვერ გამართა.

თავი მიადო ჯერაც მსუნთქავსა და ტფილ ცხოველს. იამა მისი საამური სუნი.

სიკვდილი მოვიდაო, გაიფიქრა, თანაც იგონებდა შორენას, იმ რამდენიმე ბედნიერ წუთს, კვეტარის ციხეში გატარებულს.

ბოლოს მოუსწრო პიპამ, ბავშვივით აიყვანა მომაკვდავი მეფე, ირემი ტყეში დასტოვა და ძლივს მიათრია იწროში.

უშაშარაისძეს აგრე ეგონა: ძარღვი გაესკვნაო უბრალოდ.

გახადა სამოსი, გაოცდა, როცა ნახმლევებისაგან დაჩეხილი სხეული ნახა, სავსებით ახალგაზრდა ვაჟკაცის სხეული.

უზელდა მუცელს, მაგრამ შენიშნა, უარესად ხდებოდა მეფე.

მკვდრისფერი დაედო სახეზე, თვალები დახუჭა. მერმე ისევ შეუწითლდა ლოყები, თვალები გაახილა და ეუბნება პირაღმა მწოლარე:

"ამ სახლში ხომ არავინაა შენს მეტი, პიპა?"

"არავინაა, მეფევ ბატონო"

"კარგია, პიპა, შენს მეტი რომ არავინ დაესწრო ჩემს სიკვდილს"

"რა დროს სიკვდილია, რასა ბრძანებთ, მეფევ ბატონო?!"

"არა, ჩემი დღენი დათვლილია უკვე. მიწია გველისფერი წმიდა გიორგის რისხვამ, მე მივდივარ ამ სოფლიდან, პიპა. უამბე ჩემი ნათხრობი ვინც მომიკითხოს, ყველას. ბაგრატ უფლისწულსა და უკანასკნელ მეხამლესაც უამბე, პიპა.

მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად. როგორც მეფეს. ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი, ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავი და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მეშინოდა ხვიარას ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიღალატია, პიპა.

ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი, კარგად ვიცი, თვით ჩემს მსტოვარებში ნახევარი ბიზანტიელებსა ჰყავდათ შესყიდული, ნახევარი სარკინოზებს.

როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას.

ბასიანთან აზნაურებს რომ არ ეღალატნათ, იქაც ვძლევდი ბასილი კეისარს, იცოდე.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, პიპა, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშრებსა და მსტოვარებს.

სიყრმე და სიჭაბუკე საქართველოს შევალიე, მაგრამ ქართლელები "აფხაზს" მეძახდნენ, ხოლო აფხაზები - "ქართლელების მსტოვარს" მიწოდებდნენ ბაგრატოვანს, ლაზს.

დამანელა აზნაურებისა და სარდლების კინკლაობამ, პიპა. ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიას - სარდლობა.

მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს. ამიტომაც არ მიყვარდა პაპაჩემი - გურგენ მაგისტროსი, მამაჩემი - ბაგრატ კურაპალატი, და მცხეთიდან გაქცევის წინაღამეს ჩემს ვაჟს წავეკიდე, ბაგრატს.

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუექნაობა გვიყვარს, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხიც აზნაურებს ბაძავდა, პიპა, ამიტომაც მშვენიერს "უცხოს" უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს "ბერძნულს", ხოლო საუკეთესო ცერცვსაც "ბერძნულს" .

სიმთვრალეში კარგი ვაჟკაცები ვართ და კარგი რიტორები, პიპა, ეგაა ოღონდ - სიფხიზლის დროს ჩადენილი ცუდკაცობა სიმთვრალეში გვავიწყდება ხოლმე, ხოლო ქეიფის დროს დანაქადები უკვე აღარ გვახსოვს გამოფხიზლებულთ.

მეც მჭირდა ეგ სენი, პიპა, სიმთვრალეში მოვაკვლევინე ფხოველებს დედიჩემის დისწული გირშელ, თრიაქით მთვრალმა.

ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, მას ისე დაგკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები".

მცირე ხანს დადუმდა თვალდახუჭული, უცნაურად დაემანჭა სახე. ისევ გადაედო მკვდრისფერი, მერმე გაახილა თვალი და ეუბნება უშიშარაისძეს:

"ახლა ადექი, პიპა, მღვდელთაგანი მომგვარე ვინმე, არ მიყვარს პამპულა ეპისკოპოსები, უბრალო დიაკვნის პუტუნი მენატრება, პიპა".

გავიდა უშიშარაისძე, ვიღაც ახმახი დიაკონი გამოსძებნა სოფელში, როცა გიორგის სამყოფელს მიეახლა, გამოექცა დიაკონს, სვეტს მიეყრდნო და ზლუქუნებდა ეს ვეება ვაჟკაცი ბნელში.

თავზე წამოადგა დიაკონი მომაკვდავს, ცალ ხელში დავითნი ეჭირა, ცალშიაც ანთებული კელაპტარი და პუტუნებდა:

ღმერთო სულთა და ყოველთა ხორციელთაო, რადგან სიკვდილი განაქარვე და ეშმაკი დასთრგუნე და ცხოვრება სოფელსა მიანიჭე, შენ უფალო, განუსვენე სულსა მონისა ამის შენისასა “სახელი და გვარი გამოსტოვა, რადგან არც კი იცოდა, ვის უკითხავდა სულთათანას” ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანილოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა, სადა იგი არა არს სალმობაი, მწუხარებაი და სულთქმაი და ყოველნი ცოდვანი ამის მიერ ქმნილნი საქმითანი, სიტყვითანი და მოგონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან შეუნდნენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა სცოდოს, რამეთუ შენ უცხო ყოვლისაგან ცოდვისა ხარ და სიმართლე შენი სიმართლეა საუკუნო და სიტყვა შენი ჭეშმარიტ.

გიორგი იწვა გულზე ხელდაკრეფილი, ხოლო ზემოტუჩი უტოკავდა ნელა, სულ ნელა, თითქოს ეჩურჩულებაო ვიღაცას.

წაიბუტბუტა:

"მომიცადე, დედა!"

პიპას ზლუქუნი შემოესმა გარედან, თვალი გაახილა, დიაკონი უშიშარაისძე ეგონა, ხოლო ანთებული კელაპტარი - ცეცხლის მფრქვეველი ხმალი. ეუბნება:

"რა გატირებს! დამკარი, შე უღმერთო, ეგ ხმალი, ბარემ გათავდეს ეს ცხოვრება, პიპა".

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები ამქვეყნად.

როცა ქუთაისში ასაფლავებდნენ მის ცხედარს, საშინელი წვიმა იყო და ქარი ჰქროდა.

პირველად ერთ მესაფლავეს წამოსცდა სიმართლე მისი უთავჟამო და ბობოქარი ცხოვრების გამო.

როცა მოტირალები, დიდებულები და მოსეირენი წავიდ-წამოვიდნენ, მოხუცმა

მესაფლავემ ეს უთხრა ახალგაზრდას:

"არც სიკვდილში ჰქონია გიორგი მეფეს ბედი".

LX

ვაი, საშოსა ჩემსა, რამეთუ გშობე,
ვაი, ძუძუთა ჩემთა, რამეთუ გზარდე,
ვაი ბაგეთა ჩემთა, რამეთუ გიძახოდი და არ გამეც ხმაი,
ვაი, თვალთა ჩემთა, რამეთუ გიტირე.

ღამეს ნაბდის კარავი დაედგა ხილნარში, რატისეულ სასახლეში აგზავნიდა თავის დესპანებს.

აღარ თენდებოდა, აგვისტოს ხვატი ვერ გაენელებინა ბნელსაც.

ერთადერთი ჭაღის გარშემო თვალისმომჭრელი სისწრაფით ცეკვავდნენ ფრთამოხატული, თალხი პეპლები.

ბორგავდა ავადმყოფი, იგი არც ამ პეპლებს ხედავდა, არც ღამურებს, ჭერს ქვეშ მორიალეთ, ჩრდილები ლასლასებდნენ ირგვლივ, ჭაღის ალზე იტრუსებოდნენ პეპლები, ძირს სცვივოდნენ განწირულები, მაგრამ მაინც ახალსა და ახალ ლაშქარს უშენდა ჭაღის შუქს ღამე, პეპლები ცეკვავდნენ, დალასლასებდნენ ჩრდილები დარბაზში.

ვაჟკაცურად ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

თავი აიღო არსაკიძემ, სიცხისაგან გაოგნებულმა. სარკმლიდან მოსჩანდა ლურჯი, სავსებით ლურჯი ცარგვალი, სწორედ ისეთი, როგორც ნაავდრალი შავი ზღვა.

ვარსკვლავები მაინც ანათებდნენ ბნელს, აფახულებდნენ ოქროსფერ წამწამებს.

ნონაი ბალახებს ხარშავდა თავის სამყოფლოში და როცა ცრემლი მოზღვავდებოდა, კაბის კალთით იწმენდდა თვალებს.

წუხდა ნონაი, არც ბოდოკია სჩანდა სადმე, აღარც დედა სულთმობრძავისა.

ისევ აიღო ავადმყოფმა თავი, ასე ეჩვენა კონსტანტინეს:

ბუს მართვე უხმობსო ღამეს. თვალი დახუჭა, ნელი, ნელი ხმით სთქვა: "წყალი" .

სწყუროდა ავადმყოფს, იქვე იდგა წყალი, მარჯვენა მკლავი აღარ ჰქონდა, მარცხენას ვეღარ ხმარობდა მხარში დაჭრილი.

ხედავდა: წყალი იქცეოდა ნაპირებიდან. არა, ზღვა იყო ეგ, ლურჯი ზღვა, ოქროს თევზები ხომ არ თამაშობდნენ შიგ?

ლაზური სოფელი და ეკლესია დალანდა ზღვისპირად, ალვის ხეები, ლაზური ოდა, ალვის ხეები, ცამდის მაღალნი.

მერმე მთები გამოჩნდნენ, ფხოვის მშვენიერი მთები, აქაც უხვად იღვრებოდა ქარაფებიდან წყალი, მაინც არავის მოჰქონდა იგი.

ფხოვური ქვითკირის პატარა ეზოში დაფათურობს შავით მოსილა დიაცი, ფხოვური მანდილი ახურავს შავი.

ცალ ხელში შავ ტარიანი დანა უჭირავს სისხლიანი, შავი ცხვრისთვის უძგერებია ყელში და მოთქრიალებს წყალი კი არა, სისხლი. მისწვდა არსაკიძე, მაგრამ გაბოროტდა დედა, ახლოს არ გაიკარა თავისი საყვარელი უტა.

ქარაფებიდან იღვრებოდა წყალი, ჰქუხდნენ მშვენიერი ჩქერალები ფხოვისა, მაგრამ გაუძლისი სიცხე იდგა მთებში.

მოწყურებული ქორები აწყდებოდნენ უწყალო ცას.

წყალიო, დაიძახა არსაკიძემ უძლური ხმით და ბალღივით იტირა, დედამაც რომ არ მოუტანა წყალი.

შეეშინდა: არავინ ნახოსო ცრემლი. გამოიღო საბნიდან მარცხენა ხელი, თვალზე წამოიფარა.

გამოეთხოვა მთებსა და ზღვას, გამოეთხოვა თავის ტკბილ სიყრმესა და სიჭაბუკეს გამწარებულს.

ასე მოესმა ავადმყოფს: რაღაც ფაჩუნობსო კუთხეებში. რაღაც დაეცა სველ ღაწვზე , უბწკინა. ხოჭო ხომ არ იყო ეს?

ამასაც გრძნობდა: საბნის ქვეშაც ფაჩუნობდა რაღაც, გააჟრჟოლა ანაზდად და აცახცახდა,მერმე ალასლასდნენ ჩრდილები დარბაზში.

უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან, მგლისებრმა თვალებმა გაიელვეს ბნელში.

და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი, მერმე მისწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი.

მოეძალა ბობღია ლანდი, მგლისებრი თვალები შემოანათა და სთხოვა სული.

არ მისცა სული მგლისებრთვალება მოხუცებულს მხატვარმა.

დიდხანს ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს.

. . . . . .

*

ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა, ატყდა ნათლის ლიცლიცი გარეთ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვევოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან.

შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი,ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს.

დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული.

ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისთვის შეეწირა იგი.

უთენია ჩამოვიდა ფხოვიდან დედა და როცა მორიელებისაგან დაკბენილი შვილი დაინახა, გაქვავდა თურმე.

...და ეს ამბავიც ავაზის დღეს მომხდარა.

ე პ ი ლ ო გ ი

ათას წელს იწვიმა და იქუხა იმ დღიდან საქართველოს თავზე, ათას წელს იგორა ქვადქცეულმა სულმა.

ჩემს სიყრმეშიაც მინახავს კაცის სიმაღლე ლოდი, რომლის გამოც აგრე ამბობდნენ მცხეთაში: კონსტანტინე არსაკიძის დედაო გაქვავებული.

მანდილიან ფხოველ დიაცს მიაგავდა ეს ლოდი მართლაც. შარშანაც ვნახე ძველ სასაფლაოზე, მცხეთაში.

წრეულსაც მოვიკითხე, ასე მითხრეს: მშენებლობაზე წაიღესო სადღაც.

მას შემდეგ არ მიძებნია იგი, რადგან ამასობაში უკვე დავასწარი მშენებლობის

გენიას და ქვაში ჩაკირული საიდუმლო განვაცხადე სიტყვაში.

ტფილისი.
1939 წელი.

ბოლოსიტყვა

ხელახლა გამოცემა ქმნილებისა უთუოდ გამოცდაა მისი. როდესაც რომელიმე ჩემი რომანის უკანასკნელი ფორმა საროტაციო მანქანიდან ჩამოვა, აგრე მგონია, სამუდამოდ გავეყარე-მეთქი მას და შენელდება ეს უცნაური მღელვარება, რომელსაც წიგნის ბეჭდვის პროცესში განვიცდი ხოლმე. შემდგომ ამისა მე აღარ შემიძლია მისი გადათვალიერება კორექტურული შეცდომების აღმოჩენის შიშისაგან შეძრულს. უკვე დაბეჭდილი წიგნის გადაკითხვა შემიძლია მხოლოდ ახალი გამოცემის მოლოდინში.

უცნაურია გუტენბერგის გენიოსური გამოგონების ამბავი. დასტამბვამდის მე დიდი სიყვარულით ვეკიდები ხელნაწერს. დაისტამბება თუ არა წიგნი, მერმე ყოველივე "ინტერესი მეკარგება მანუსკრიპტის მიმართ. იგივე ბედი ეწვევა გამოცემას წინანდელს.

კიდევ ერთხელ გადავიკითხე "დიდოსტატის მარჯვენა" და მხოლოდ რამდენიმე დაბოლოება შევცვალე, რამდენიმე ეტიმოლოგიური ლაპსუსი, კორექტურელი შეცდომა გავასწორე.

უეჭველად ეს არის სიძაბუნე ჩვენი გულისა. ავტორი მუდამ ღელავს, როცა წიგნი ხელახლა უნდა მოეფინოს ქვეყანას.

ამგვარი მღელვარება მოიცავს ალბათ იმ ვერფის პატრონის გულს, რომელიც სახელოსნოდან ახლად გამოშვებულ ხომალდს საცდელად გაუშვებს ხოლმე ოკეანეში, რათა გრიგალებს გამოაცდევინოს იგი.

ჩვენი უდიდესი სიხარულიც ეგ არის: თვალნათლივ, ვუცქიროთ, თუ როგორ უძლებს ჩვენი სულის ნაშიერი დროის ცვალებადობათა ზღვაურს, ან რა ზეგავლენას ახდენს იგი თანადროულ ლიტერატურასა და ადამიანებზე.

შესაძლოა, ჩემს მკითხველს ზედმეტად არ მოეჩვენოს ორიოდე სიტყვა "დიდოსტატის მარჯვენას" წარმოშობისათვის აქ წარმოდგენილი.

სიჭაბუკიდანვე ისე ძალოვანად მქონდა მოძალებული ინტერესი დასავლეთ ევროპულ ხალხთა ენებისა, ისტორიისა და საერთოდ კულტურისადმი, არც კი მეგონა აზიისკენ თუ გამოვიხედავდი ოდესმე.

ადამიანის სული ერთ რამეში ჰგავს ზეასროლილ ტყვიას: იგი ცაში აიჭრება და ბოლოს იმავე ნიადაგს უბრუნდება, საიდანაც ატყორცნეს იგი.

მოგზაურობათა და განსწავლის პერიოდში ფრიად გამიტაცა იტალიის შუასაუკუნეთა ისტორიამ. ამას ყოველივეს წინ უძღოდა ჰინდური ლიტერატურისა და საერთოდ ბუდიზმისადმი აღძრული ინტერესი.

ბოლის იტალიაში ორგზის მოგზაურობისას საგანგებოდ დამაინტერესა დანტემ და იტალიური რენესანსის პრობლემებმა. საამისო ნიადაგიც მზად მქონდა, რამდენადაც მარავალი წლის მანძილზე მე მიხდებოდა იტალიური ფეოდალიზმისა და პაპიზმის იატორიის შესწავლა. ბუნებრივად ამ ინტერესთა ფოკუსში აღმოჩნდნენ არაბული, საერთოდ აღმოსავლურ კულტურათა საკითხებიცა.

უცნაური ამბავი შემემთხვა ამ ჯერად.

თუ ძველი დროის ქართველი მწერალი უშუალოდ ეწაფებოდა ირანის, ბიზანტიისა და არაბეთის კულტურათა მიღწევებს, მე დამჭირდა დიდი და ვრცელი

ზიგზაგების განვლა, რათა მივდგომოდი იმ სათავეებს, რომელნიც სულიერ საზრდოს აწვდიდნენ ხოლმე ჩვენს წინაპრებს ოდესღაც. იმავე ხანებში მე მომიხდა საბერძნეთსა და აწინდელ ოსმალეთში მოგზაურობა და ამან გააღვივა ჩემი ინტერესი ბიზანტიის მიმართ.

ანაციონალური ბიზანტიის ოდესღაც მოძულე, ბოლოს და ბოლოს დავრწმუნდი, რომ ბიზანტია იყო არსებითად ნამდვილი ფორპოსტი დასავლეთური დიდი ცივილიზაციისა. მეტსაც ვიტყოდი: იგი იყო გაცილებით უფრო დიდი და ნათელი კერა კულტურისა, ვიდრე მისი თანადროული ევროპა.

ბიზანტიას უწოდებდნენ აღმოსავლურ იმპერიას რომისას და უნდა ითქვას, რამდენიმე პანევროპელ ისტორიკოსს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, თვით უდიდესი ევროპელი ბიზანტიოლოგები მას გაცილებით უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე დასავლურ იმპერიას რომისას ან უფრო ნაგვიანებ ფორმაციას სახელმწიფურს, რომის იმპერიას გერმანული ნაციისას.

ამას თვით ევროპელებიც ცხადლივ აღიარებენ, რომ XI, XII, XIII საუკუნეთა კონსტანტინოპოლში ჩამოსული ინგლისელი, ფრანგი და გერმანელი არისტოკრატი რაინდები ისეთ ველურ მანერებს ამჟღავნებდნენ, როგორც სატახტო ქალაქებში შემთხვევით ჩამოხეტებულნი მთიელნი.

ის დიდი ათინათი ბრწყინვალებისა, რომელიც ასდიოდა ამ შესანიშნავ ქვეყანას, ანათებდა მთელს წინა-აზიას, საქართველოსა და სომხეთს.

უთოდ ეგ იყო გარდაუვალი კაპრიზი ისტორიის ნემეზისისა, რომ ეს შესანიშნავი სამეფო დაამხეს აღმოსავლეთიდან გადმოხვეწილმა ველურმა ტარტარებმა და უფრო გვიან მონღოლმა მეჯოგეებმა.

თუმცა ქართველები და სომხები ცალკეულ პერიოდში ებრძოდნენ კიდევაც ბიზანტიურ იმპერიალიზმს, განსაკუთრებით მაკედონური დინასტიის პერიოდებში, იგივე ბიზანტია იყო ოდესღაც დიდი ასპარეზი ამ ორი ერის საუკეთესო შვილთა პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული უნარის გამოსაჩენი,რამდენადაც ბიზანტიის იმპერია მარტოოდენ ბერძენთა ტალანტის მეოხებით წარმომდგარი სახელმწიფო არა ყოფილა.

კომნენების პერიოდში დავითისა და თამარის საქართველო შეეცადა კიდევაც ბიზანტიისათვის ჩამოერთმია ქრისტიანული იმპერიის დიდი მისია. სხვა გზაც არა ჰქონდათ ბერძნებს; არაბთა ხალიფატისა და სელჯუკიანთა სასულტანოს იერიშებისაგან შევიწროებული იმპერია ისე დაეცა, რომ მას მხოლოდ კონსტანტინიპოლის და ბალკანეთის პროვინციები დარჩა.

ცხადია, რუსუდანის საქართველოს რომ როგორმე მოეგერიებინა მონღოლთა შემოტევის ქარბორბალა, თამარისეული იმპერია ნიკოფსიდან დარუბანდამდის უთუოდ თავათ იკისრებდა გაგრძელებას იმ შესანიშნავი როლისას, რომელსაც ასრულებდა ბიზანტია ოდითგანვე.

ნურავის ჰგონია გელათის, ვარძიისა და ბეთანიის ფრესკებზე გამოსახულთ, დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს მხატვართა კაპრიზის მეოხებით ცმოდეთ წითელი წაღები. წითელი წაღები ეს გახლავთ რეგალიები ბიზანტიის კეისრებისა.

ცნობილია, არცერთს არაფერი შეუქმნია მნიშვნელოვანი, თუ მას ოდესმე რომელიმე დიდი კულტურულ - ისტორიული მისიის მეურვედ არ უცვნია თავი. ამის გარეშე ყოველივე ეპიგონობაა და მსოფლიო პროვინციის უნიათო ლუღლუღი.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შუა-საუკუნეთა ქართველობამ ყველაზე დიდი და შესანიშნავი სიტყვა სთქვა სწორედ XI - XII საუკუნეთა მანძილზე. ამ ეპოქაში განვითარების ზენიტს მიაღწია როგორც სახელმწიფომ ჩვენმა, ისე ენამ

ქართულმა.

"დიდოსტატის მარჯვენა" ეგ იყო ჩემთვის ორმაგი წყურვილის მოკვლა. უწინარეს ყოვლისა, ფიგურალურად რომ ვთქვათი, რომანის ფორმებში გავამჟღავნე ჩემი L'art poetique.

გარდა ამისა დიდი საქართველოს ჩვენება განვაცხადე თანადროული რომანის მიხედვით.

მე სულ თორმეტიოდე წლისა ვიყავი, როცა "ქართლის ცხოვრება" მომაჩეჩა ხელში შემთხვევამ თუ ბედმა, ჩემი გარდაცვლილი ძმის, ბესარიონის ბიბლიოთეკაში ნაპოვნი. ბალღობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი.

მიყვარდა იგი ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე (აქ იგულისხმება მამა გიორგისა, ბაგრატ III კურაპალატი და ძე გიორგისა, ბაგრატ IV, აგრეთვე კურაპალატი.

ვინც დაახლოებით მაინც წარმოიდგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი II, ბულგართამმუსვრელი, რომლის იმპერია განფენილი იყო აპენინის ნახევარკუნძულიდან ბასიანამდის, ბალკანეთის უკიდურესი სამანებიდან არაბეთის უდაბნოს კიდემდის, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმჟამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა, და ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატიანე უწოდებს "უშიშოს, ვითარცა უხორცოს", ქართულ ქორონიკებში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა. აპოლოგია ამ შემთხვევაში უხეირო სიტყვაა. მე არ ვეწევი ხელაღებით აპოლოგიას ნაციონალური ისტორიისა, რადგან საამისოდ საკმაოდ მომწიფებულ მსოფლიო მოქალაქედ წარმომიდგენია თავი და ეგეც ვიცი, არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიერწყვება.

კიდევ ერთი მომენტიც უნდა ვახსენო აქვე: ოდითგანვე ქართული მწერლობის უმთავრესი ტემები იყო: მამულის დაცვა, ომი, მიჯნურობა და ნადირობა, ახალ დროში გლეხისა და ბატონის ურთიერთობანი და სხვა.

ოცზე მეტი საუკუნის მანძილზე არსებითად სამ რამეში ისახელა ქართველმა კაცმა თავი: ომში, მწერლობასა და ხუროთმოძღვრებაში.

ხომ უცილოდ დიდია რუსთაველი და თანავარსკვლავედი მისი, მაგრამ არა ნაკლებად საამაყოა ჩვენთვის ბოლნისის, ჯვარის, სვეტიცხოველის, წრომის, ბედიას, მარტვილის, თიღვას და გელათის დიდოსტატები. მე ვწუხდი, რომ ასეთი შედევრების ხუროთმოძღვრებს დავიწყების ჩრდილი მიჰფენოდათ სახეზე.

ამიტომაც წავატანე ხელი კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის მშვენიერ ლეგენდას.

ჩვენს დროში, შრომის აპოლოგიის საუკუნეში, შევასხი ხოტბა დიდი ხელოვანის ჯაფას და მის თავდადებას.

ზოგიერთ კრიტიკოსს აგრე მოეჩვენა, თითქოს მთავარი გმირი ამ რომანისა გიორგი პირველი იყოს და არა კონსტანტინე არსაკიძე.

გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულისხმო ამბავია. ამ შემთხვევაში სათაურს უნდა დაუკვირდეს მკითხველი. მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წარკვეთის ამბავი, ე. ი. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა

ტირანულ სახელმწიფოში.

ზოგს ეგ უკვირდა: რად არ ავსახე გარე პოლიტიკური ომები "დიდოსტატის მარჯვენაში", ან რად დავუთმე მომეტებული ყურადღება შინაურ ამბოხებათა ჩაქრობის მომენტებს?

უნდა ვაღიარო: ეგ შეგნებულად მაქვს ჩადენილი. შინაპოლიტიკური ვითარებანი სწყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს. მსოფლიო ისტორიაა ამის მოწმე თავათ.

არც ერთი ნაციონალური გაერთიანება, არც ერთი სახელმწიფო მარტოოდენ გარეპოლიტიკური ინვაზიების შედეგად არ დარღვეულა.

შინაური გათიშვისა და ზნეობრივი დეგრადაციის მეოხებით დაიღუპა ძველი საბერძნეთი, ძველი რომი, საკეისრო ბიზანტიისა, რუსუდანისა და ლაშა გიორგის სახელმწიფოცა.

ამადაც აქცენტი გავუკეთე ჩემს რომანში გიორგი პირველისეულ საქართველოს ვითარებას შინაურს.

ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიეს ფარსმან სპარსის პარადოქსებმა. უწინარეს ყოვლისა უნდა განვაცხადო, რომ ფარსმან სპარსი წინაპარია საქართველოს ისტორიის მანძილზე წარმოშობილ უსამშობლო კონდოტიერებისა.

მე არა მგონია, კონდოტიერის, ავანტიურისტის იდეალიზირება რაიმეს წაადგებოდეს ნაციონალურ კულტურას. რა თქმა უნდა, თუ მწერლობას გოეტესებურ პედაგოგიურ პროვინციად ვიგულისხმებთ, ეს საზიანოც არის კიდევაც.

ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ერთგვარი ტეზა და ანტიტეზა რომანში.

ერთის მხრით, დიდად ტალანტიანი ფარსმანი, უპრინციპო და გაყიდული, უსამშობლო კაცი, მეორე მხრით, აგრეთვე ტალანტიანი არსაკიძე, მისი შეგირდი:

ფარსმანი გადაეგება, როგორც ხელმოცარული კაცი, ხოლო არსაკიძის შემოქმედების ნაყოფი-სვეტიცხოველი დარჩება როგორც წარმავლობასთან მებრძოლი, უკვდავი ქმნილება ხელოვნებისა.

ფარსმანის სოფისტურმა პარადოქსებმა საბაბი მისცა ზოგიერთს, ჩემთვის დაებრალებინა, თითქოს საბჭოურ სინამდვილეში მეკისროს სახელმწიფური შეკვეთის უარყოფა საერთოდ, უთუოდ სასაცილოა ამგვარი მტკიცება.

ან ვინ დაიჯერებს, მე არა მცოდნოდეს, რომ სახელმწიფური შეკვეთის შედეგია ყველაზე უფრო მონუმენტური ქმნილებანი მსოფლიო კულტურისა, ეგვიპტური პირამიდები, ანტიური სახელმწიფოს ურბანისტური ხელოვნება, ფიდიასისა და პრაქსიტელესის სკულპტურა, რომის, ფლორენციის, რავენას ხუროთმოძღვრება, რაფაელის სტანცები და ლეონარდო და ვინჩის იგავმიუწვდენელი ფრესკები, ბოლოს, უდიდესი ძეგლები ფრანგული გოტიკისა.

შორს რომ არ წავიდეთ, სახელმწიფური შეკვეთის შედეგადაა წარმოშობილი ჩვენი საამაყო ბოლნისი, ჯვარის მონასტერი, სვეტიცხოველი, ვარძია, გელათი, ქუთათური, ბაგრატისეული ტაძარი და ნიკორწმინდა.

აზრთა სხვაობანი აღძრა "დიდოსტატში" აღებულმა ენობრივმა გეზმა. უნდა ვაღიარო: არც მომეტებული პოპულარობის წყურვილი, არც ჩემი ლიტერატურული ოპოზიციის შეძახილი არაოდეს მაიძულებს მდარე გემოვნების ხარისხზე ჩამოსვლას.

თუ ჩემი რომანების ხელახალ გამოცემებს ლექსიკონს დავურთავ ხოლმე, ამას ჩავდივარ მარტოოდენ იმის გამო, რათა ჩემს მიერ გაცოცხლებულ სიტყვებს ნებსით თუ უნებლიეთ უმართებულო განმარტება არ მისცეს მკითხველმა. იმასაც ვიღებ მხედველობაში, რომ ჩვენი შესანიშნავი საბა ორბელიანი ვეღარა წვდება გაზრდილ

მოთხოვნილებას თანამედროვე მწერლისას.

კონსტანტინე გამხახურდია.
ტფილისი, 1939 წელს.